ლეონ ალიმონავი

ვეფრის წიგნები

„ნაკადული“
თბილისი, 1988 წ.

83 3 Гр
Ъ 501

ლერი ალიმონაკის წიგნი „კვირის წირვები“ ასახავს XX საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტის ტერენტი გრანელის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ესეისტურ-ფსიქოლოგიური თხრობის ჭრილში გამოკვეთილია პოეტის რთული პიროვნება.

მეორე გამოცემა

©, „ნაკადული“, 1988 წ.

70303—7
А————————92—88
М 603 (08) — 88

ვოკვდები ღამით, გათენებისას, როდესაც გარეთ იქნება ზამთრის გაცივებული მთვარე და ყინვა. სიკვდილის წინ მომაგონდება თბილისის ღამეები და ჩემი უნაზესი და: ეს ორი შეერთებული კოცონი, რომელიც მწვავდა მე ყოველთვის... ასე გათავდება სინათლე, გაქრებიან მოგონების წამები. გადავეცემი სიკვდილის მდუმარე ხელებს. ჩემი წამებული სხეული შეუერთდება მსოფლიო ელემენტებს, და მე ვიგრძნობ უმაღლეს მოსვენებას. ჩემი კუბო იქნება სადა და პროცესია უცრემლო. მე დამასაფლავებენ შუადღისას ორ საათზე თბილისის ახლო. ჩემი დაკრძალვის დღეს აიშლებიან ფერადი ღრუბლები და ამოვარდება შორეული გრიგალი. ბალდახინი, რომელიც წაიღებს ჩემს ცხედარს, იქნება თეთრი და მოძველებული. პანაშვიდს გადამიხდის ვინმე უბრალო მღვდელი, რომელსაც არ ეკბება წაკითხული ჩემი სისხლიანი წიგნი „Memento mori". არ შეეცოდები მღვდელს, რომელსაც არ ეცოდინება ჩემი დაფერფლილი სულის ისტორია. მხოლოდ ცხედართან მდგომ პოეტებს მოაგონდებათ ჩემს დანისლულ ლექსებიდან სტრიქონები. მოვა უიმედობა. პანაშვიდი გათავდება ქარში. ჩემს ცხედარს ნელა ჩაუშვებენ სამარეში. და პირველ მიწას სახეზე მომაყრის ვინმე უხეში მესაფლავე. კუბოს ფიცარზე შეწყდება უკანასკნელი გუგუნი მიწის და ქვების. პროცესია დაიშლება. მე და სიჩუმე დავრჩებით მარტო.. გზაში ისაუბრებენ ჩემზე. დაღამდება... მე შემეშინდება მარტო სასაფლაოზე, ღამით. დავტოვებ კუბოს და ტანშიშველი გამოვიქცევი სამარიდან... და გიჟივით ვიკივლებ, რომ მომეშველონ, რომ და-

მიფარონ. არავინ იქნება ჩემი მხსნელი, ისევ დავეცემი, — თავს ვიგრძნობ სამარეში და კვლავ მივეცემი ძილს დაუსრულებელს. ნათელივით თავზე დამადგება ჩემი განუყრელი და — სიჩუმე. თეთრად დასუდრული იქნება მთელი ქვეყანა. ის სოფელი, სადაც მე დავიბადე, დაემსგავსება უდაბნოს. გაივლის ზამთარი წვიმით და ქარებით. დადგებიან გაზაფხულის დღეები. შეიფოთლება სასაფლაო. კვირა დილით, როდესაც ყველა მლოცველისათვის გაიღება ეკლესიის კარი, ჩემ საფლავთან დაფიქრებული მოვა ვინმე ქალი, მოიგონებს ჩემს დამწვარ სახეს, მოიგონებს ჩემს წამებას და შეეცოდები. ასე გაივლიან საუკუნეები. ჩემ საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცხვის. ჩემ მიერ უხილავი საღამოს ბინდი დაფარავს მივიწყებულ ლოდებს და ჩემი საფლავიც შეიმოსება სიბნელით. წამოვა წვიმა, ქარიშხალი და მოწყენილ საფლავზე დამაყრის ყვითელ ფოთლებს. ასე, დროთა შავი წვეთებით დახავსდება ჩემი სამარე, ზედ წამოიზრდება ბალახი. ზაფხულში, საღამო დროს, ჩემ საფლავს ჩაუვლიან თეთრად გამოწყობილი ქალები, შორს სარკესთან უცნობი თითები დაუკრავს როიალს. დილაადრიან უიმედოდ იკივლებენ ორთქლმავლები. მოვა კვირადღე და ჩემს ახლო დარეკავენ ზარებს, აანთებენ სანთლებს. დაიღლებიან ხელაპყრობილი მლოცველები. წირვა გათავდება. საყდარს დაკეტავენ, ხატები დამწყვდეულ ტუსაღებივით დარჩებიან შიგ, და სასაფლაოს ჩხავილით გადაუფრენს ყვავი. გაქრება თვალები, რომელზედაც ესვენა თბილისის ღამეები მძიმე ლოდებივით. და ჩემი სამარის სამუდამო დარაჯი იქნება ჩემი უნაზესი და — სიჩუმე...“

დგას შუა საყდარში, სურამიდან ლტოლვილი, და ჩაესმის ეს სტრიქონები, ათი წლის წინათ რომ იდუმალმა ხმამ უკარნახა, ჩაესმის და ახსენებს მისტერიულ დაცემასა და აღდგომას, ჩამქრალი თვალებით დაჟინებით უმზერს ერთ წერტილს და გრძნობს დასასრულის მოახლოებას. გამოხსნილია ბედისწერის ყველა ნასკვი და მხოლოდ ერთიღა შერჩენია ხელთ, მტკიცედ რომ შეუკრავს უხილავ ხელებს და უხილავი ხელებითვე მიუწერია სიკვდილის მაუწყებელი რიცხვი: „1934“. დგას ახლა ღმერთის უმაღლეს სინათლეში დანთქმული, ატრიალებს ხელში ამ უკანასკნელ ნასკვს და საკუთარი ხელებით ცდილობს მის გამოხსნას. მთელი თავისი

წუთისოფელი ბედისწერას ებრძოდა, მის დაფარულ და გამოუთქმელ ძალას, და რაც უფრო მეტად ებრძოდა, მით მეტად ისადგურებდა მის ელვარე თვალებში ბედისწერის შორეული აჩრდილები. და ცხოვრობდა არა მომავლის იმედით, შეუცნობელ უფსკრულად რომ ესახებოდა, არამედ ბედისწერის იმედით, ღვთისანაბარა, ფარულ სიხარულსა და მწუხარებას რომ ანიჭებდა. მხოლოდ ამ სიხარულითა და მწუხარებით თუ გრძნობდა, რომ ცოცხლობდა, რომ არსებობდა. ისე მიელტვოდა ბედისწერას, როგორც სული — უსაზღვროებას, სული მარადი, ბიწიერებისაგან განწმენდილი და განსპეტაკებული. ისე მორჩილებდა ბედისწერის იდუმალ ხმას, ვით წუთისოფლის ამაოებას, ვით გარდუვალ ხვედრს, იმ ხვედრს, ზეციური სინათლე და სულის სიწმინდე რომ უნათებდა. ბედისწერა ხომ გარდუვალობაა და ისიც მორწმუნე აღმსარებელივით მორჩილებდა ამ გარდუვალობას: „ქვეყნის გლოვა და წყევლა ჩემს იღბალს უკვე მიწვდა. თითქო კუბოში ვწევარ, თითქო მაყრიან მიწას...“ დგას ჩამქრალი და ელოდება ანთებას, ჩამავალი მზის ანარეკლი, ეკლესიაში სხივებად დაღვრილი, კვლავ რომ აუნთებს სულში სინათლეს, კვლავ რომ აუსხივოსნებს ჩაფერფლილ თვალებს; დგას უძრავად და დაჟინებით უმზერს ერთ წერტილს, თითქო იქ ეძიებდეს არსებობის ძირსა და ფუძეს, უმზერს და იხსენებს რაღაც დაკარგულს, რაღაც უხსოვარსა და დავიწყებულს. ჩამავალი მზის ანარეკლი კი უცხოფერად აცისკროვნებს მაცხოვარის მწუხარ სახეს და კვლავ ჩაესმის საიდანღაც ორღანის ზემიწიერი ხმები, თოვლის ფანტელებივით რომ ცვივა ახლა მის არსებაში, და დანისლულ ქვეყნებში გადახვეწილი მისი მახსოვრობა კვლავ უბრუნდება თავის ჩამქრალ კერას. სექტემბრის ფერმკრთალი დღე კი ილევა და მზე მშვიდად მიესვენება სადღაც, მთავრდება სინათლე და იწყება ღამე, სიკვდილ-სიცოცხლის გზაგასაყარი გამოუთქმელ მწუხარებას ამეფებს და ამ გამოუთქმელ მწუხარებაში იბადება ლოცვა პოეზიისა, ნახევრად დაბინდულ და გაცრეცილ საგნებიდან მოჟონავს იდუმალი ქროლვა სულისა. რაღაც ავისმომასწავებლად მდუმარებს მთელი ქალაქი, ყოველდღიური არსებობით გადაღლილ ა[illegible] ლოცვისა და ვედრების სურვილი ეუფლებათ. თავ[illegible] ნირვა და საყდარი ნელ-ნელა ცარიელდება, გამო[illegible] ძძიმე ნაბიჯებით, მწუხარე სახეებით და შიშჩამდ-

გარი თვალებით, მაგრამ შთაგონებულნი და რწმენით აღვსილნი. საყდარში ისევ იკმევა საკმევლის ნელსურნელება, დაუმქრალი სანთლები ისევ ასხივოსნებს ხატებს, აქა-იქ ისევ დალაციცებენ ეკლესიის მსახურნი, ჩაღვენთილ სანთლებს აგროვებენ. მღვდელი სახარებას კეცავს, ძვირფასი თვლებით მოოქვილ ყუთში დებს და მორიდებით უახლოვდება შუა საყდარში უძრავად მდგომს, შეხმიანებას ეკრძალება, ისეთი ელვარე თვალებით უმზერს თეთრ რაშზე ამხედრებულ წმიდა გიორგის, შუბაპყრობილი გველეშაპს რომ გმირავს; და ესმის — უხმობს მხედარი. გაფითრებული მზერა ქრისტეზე გადააქვს, ჯვარზე გაკრულ ქრისტეზე: დალურსმული ხელ-ფეხიდან სისხლი სდის, უძირო სევდითა და ტკივილით აღბეჭდილი თვალები ჯერ კიდევ ადასტურებენ ჯვარცმულის სიცოცხლეს; და ესმის — უხმობს ჯვარცმული. მერე ღვთისმშობელს მიაპყრო მზერა, დიდხანს, ძალიან დიდხანს უმზირა, თითქო რაღაც დავიწყებულის გახსენებას აპირებსო, ვით ყარიბი ვინმე, უდაბნოებში მოხეტიალე, მშობლიურ ალაგს დაბრუნებული. უეცრად სახე წამოენთო: ალბათ იღიმოდა კიდეც, ალბათ ტიროდა კიდეც. აი, გაიპო კრეტსაბმელი და წამოვიდა მისკენ მარიამი, მოცურავს სპეტაკ სამოსში შემოსილი, სახეანთებული, ხელებგამოწვდილი, მოცურავს და მოაქვს ცა, მიწა, მზე... მოჟონავს ცრემლი და უდაღავს ჩაშრეტილ სახეს, სიცოცხლეს უბრუნებს მახსოვრობას და რაღაც იდუმალის მოლოდინში თრთის და ცახცახებს: „რა სიბნელეა ველზე. აქ, სხვათაშორის, მეც ვარ. და მწუხარებით ვუმზერ მარად მდუმარე ზეცას. და უმძაფრესი ღონის ქარიშხალია დღემდე. გამომეღვიძა, მგონი, გარდაცვალების შემდეგ...“ და ფერგამკრთალებულმა და გაოცებულმა მიმოიხედა ირგვლივ, სიკვდილის ბნელი და ჩუმი სამეფოდან თითქო წამიერად მობრუნებულმა, ვისთვისაც უცხოა აქაური სამეფო, სამეფო სიცოცხლისა და ტანჯვისა, სამეფო მშფოთვარებისა და სიხარულისა... „შვილო, ვკეტავთ საყდარს“, შეეხმიანა მღვდელი. გამოერკვა უეცარი ექსტაზიდან და ანთებულ სახეზე ისევ ბინდი გადაეფინა, მკვდარივით გალასლასდა კარისკენ. „რას დამგვანებულა, ძლივსღა ვიცანი“, მისწვდა მის დახშულ სმენას და ჟრუანტელმა დაუარა ტანში, მწუხარედ ამოხედა შიგნიდან თავის თავს და შეძრწუნდა: მართლაც საშინლად ჩამოძენძილა, თმა მხრებამდე ჩამოზრდია, წვერი ჩაბურძგვნია, ამ ხუთ

წელიწადში მთლად დაბერებულა. ხორცდარღვეულივით აპყვა სამრეკლოს ხვეულ კიბეს, მძიმედ მიიწევდა მაღლა, სულ მაღლა, და ეს წრებრუნვა თავის წარსულ ცხოვრებას ახსენებდა. კუთხეში ჩაჯდა, თავი კედელს მიაყრდნო და გაირინდა. ერთხანს უაზროდ უმზირა მიბნედილ სივრცეს, მერე თვალი მილულა და ჩაჟანგებული სახე ღრმად ჩამალა პალტოს საყელოში. იჯდა უაზროდ და დუმდა, დუმდა ბაგეგაუხსნელი და ზანტად აყურადებდა სივრცეს და დროს, ქარისა და სიცარიელის მოლოდინში, როგორც ბამბუკის გამოცარიელებული ღერო, და თანდათან ღვთიური ძალა ეღვრებოდა სულში, ივსებოდა რაღაც უხილავი, ფარული, გამოუცნობი ძალით. საყდრის გუმბათი კიდევ ერთხელ ააელვარა ჩამავალმა მზემ, ჩაესვენა სადღაც შორეულ მხარეში და, თითქო ტყე შრიალებსო, ქარისაგან მსუბუქად დარწეული, იდუმალი რამ მუსიკა შეესმა მის მთვლემარ სულს, ჩაესმა იდუმალი ბგერები და გონების მიუვალ ნაპრალებში საბედისწერო სიტყვები ამოეტვიფრა: „თავში გველი მყავს...“

ასე დაიწყო ყველაფერი... „თავში გველი მყავს!“.. იქედნურად ჩაიქირქილა უცხო ხმამ მის არსებაში და გაუჩინარდა. აღარც ახსოვს, როდის ჩაესმა პირველად ეს ავისმაუწყებელი სიტყვები — 1928 წელს თუ 928 წელს, თითქო ათას წელს გაევლოს მას მერე, წყვდიადით შენივთულ გაქვავებულ საუკუნეებს. ახსოვს, ამ სიტყვებმა უცნაურად რომ შეაძრწუნა, რაღაც ყრუდ და მძიმედ რომ დაძრა ქვევიდან ზევით. „თავში გველი მყავს!..“ ყინულივით შემოეგზნო ქვეცნობიერებიდან დაძრული ექო, გადაფითრდა და წამისუმალ სიცარიელე იგრძნო თავში. თითქო რაღაც შეირხა მიუვალ დილეგში, თითქო თავიც გამოიხსნა საკუთარი სხეულის ტყვეობიდან, დაიწმაწნა, წაიგრაგნა, ჩუმი შრიალით განვლო ხორციელი ჭურჭელი და ზევით, თავში დასადგურებულ სიცარიელეში ჩაიბუდა. ისევ გადაეშვა სიცარიელეში, ვით თოვლის გუნდა — უფსკრულში, გადაეშვა, დაიშალა და გაიმქვრა თოვლის უსასრულო სითეთრეში. „მოვკვდები ღამით, გათენებისას...“, იმეორებდა უფსკრულიდან დაძრულ ექოს ზეცის გამჭვირვალე, მაგრამ გაუღწეველი თავანი და ფარულად კვანძავდა ბედისწერის უხილავ კვანძებს. განთიადზე სწრაფად ჩაიარა მდუმარე ქალაქი და

ალექსანდროვის ბაღში საიდუმლოდ გაანდო მეგობარს: „თავში გველი მყავს!..“ და მის არსებაში ერთად იქუხა ათასმა ორღანმა, მიაწყდა შინაგან გარსს, გამოიხმო სული ხორციელი პატიმრობისაგან და გათენების ზარების რეკვას შეუერთდა. ასეთი ბგერები არასოდეს მოუსმენია, არც ასეთი ფერები უხილავს ოდესმე, ყველაფერი შეიცვალა, ყველაფერი გადასხვაფერდა... „ხომ გესმის, როგორ მიხმობენ!.. მე იქ მელიან!.. მე მიხმობს დიდი ნიცშე!..“ ასე ჩამოეშვა მახსოვრობის ფარდა და ჩამოდგა უსასრულო ღამე. უჰაერო სივრცეში გადახვეწილი, ექსორიაქმნილივით დაეხეტებოდა თბილისის ქუჩებში, ცოცხალი გლოვა და სევდა, ჩაუქრა აელვებული მზერა, ჩაეღვარა, საგნების ნაცვლად ანარეკლებსღა ელაცლაცებოდა მისი ჩანისლული თვალის ჩინი, უბით დაჰქონდა „სისხლიანი რვეული“ და ნაწამები სახე სანთელივით ეშრეტებოდა. გზა არსაით უჩანდა და მრავალგზის შედგა მღვდლადკურთხევისა და თვითმკვლელობის გზაჯვარედინზე, მაგრამ ვერც ერთი შესძლო და ვერც მეორე, არც ერთისთვის ეყო ძალა და არც მეორესთვის. გზაჯვარედინზე დარჩა, ქანდაკებასავით უძრავი, მაგრამ შინაგანად დაშლილი და დარღვეული, რწმენაშერყეული და უმიზნო, ვიღაცის თუ რაღაცის მოლოდინში, განურჩევლობა და მორჩილება იქცა მისი არსებობის წესად და კანონად, გაეთიშა ერთმანეთს გული და გონება და მხოლოდ გრძნობიერებას დამორჩილდა მთელი მისი არსება, კოშმარული წარმოსახვები და საშინელი ხილვები რომ ასაზრდოვებდა, შიშსა და იჭვში რომ გაედგათ ფესვები. ღამეულმა მწუხრმა და სიჩუმემ დაისადგურა მის სულში, და ამ სიჩუმეში, — სხეული, გული და გონება რომ ჩაძირულიყო, ვით შორეულ და უხსოვარ სიზმარში, — ჩაესმოდა ზეციური ბგერები, თუმცა ყური დახშოდა სასმენად; ამ სიჩუმეში უმზერდა იმქვეყნიურ ფერებს, თუმცა თვალი ჩაღამებოდა სამზერად. მთელი ცხოვრება სრულქმნას მიელტვოდა, ამიტომ ტანჯავდა სიცარიელე, თუმცა ტანჯვის გრძნობაც წართმეოდა და მისთვის უკვე სულერთი იყო ყველაფერი. მხოლოდ საშინელი ხილვები და მოჩვენებები არ აძლევდა საშველს, მის თვალებში ფერგამკრთალ ჩრდილებად რომ ილანდებოდნენ და ქაღალდის გაყვითლებულ ნაგლეჯებზე პოულობდნენ ზეგრძნობიერ მოხაზულობას. არასაკუთარ სამყაროში გადასახლებული, მისი ყოველი ქცევა თუ სიტყვა ხილვებისა და მოჩვენებების

ულმობელობას დამორჩილდა და ეს მორჩილება კვლავ ახალ ხილვებსა და მოჩვენებებს აღუძრავდა და ასე გაგრძელდა მანამ, სანამ მის არსებაში ხილვა და ქცევა, მოჩვენება და სიტყვა ერთარსებად არ შენივთდა. თითქო ყველაფერი დაირღვა და დაიშალა, ყველაფერი შიშველ გრძნობებს დაემონა. ხოლო ძალა, მიწიერ ცხოვრებასთან რომ აკავშირებდა, თოვლივით გაილია. უთანხმოება, რითაც გარეყოფას უპირისპირდებოდა, განელდა და სრულმა თანხმობამ და მორჩილებამ მოიცვა სული, ტანჯვის სიმხურვალეში გამონაწრთობი და ღამეულ სიცარიელეში თავისუფლად მოფარფატე. ცნობიერი სამყარო ქვეცნობიერში ჩაიშალა და გაითქვიფა, ქვეცნობიერი იქცა ცნობიერ სამყაროდ, ელვისუმალ რომ მიაქანებდა მყინვარების დუმილში. მისი ფარული, იდუმალი სული, უფაქიზეს მისტიურ სამოსში შემოსილი, განუწყვეტლივ ეძიებდა თანამგრძნობ სულებს, ეძიებდა და ხშირად პოულობდა კიდეც, მიწიერი გაძლებისა და არსებობის ძალას რომ მატებდა. ხშირად უხილავს თბილისის ნისლში ფიროსმანის ტანჯული სახე, მისი სნებიანი, ჩამღვრეული მზერა, სევდიანი თვალები, უხილავს და უსაზღვროდ გახარებია, მარტო რომ არ იყო ამქვეყნად, რომ არსებობდნენ მისნაირი ხვედრით შეკრული და წმინდა ტანჯვით შეკავშირებული ადამიანები, არსებობდნენ და კვლავაც იარსებებენ: „ჩუმად გეწვია საოცრების რუხი ხაზები, ფარულ კოშმარებს ატირებდი სევდის მინაში. შენ არ იცოდი დამშვიდებით ყოფნა ბინაში და ღამის ლოთებს დაეძებდი ღვინის თასებით. ლოცვით ამსხვრევდი ზიარებას სასაფლაოზე. სისხლიან მკერდით აიტანე ბროლის არმაზი. ანთებულ მხატვარს საიქიო ალბათ გაოცებს. შენი ოცნება ისევნებდა წითელ ნარმაზე. ცოდვილ ქალაქში დადიოდი ჩოხისამარა. საშინელებამ უცნაურად დაგასამარა“...

ფიროსმანის გახსენებამ წამით სახე აუნთო, სულში სინათლე ჩაუღვარა და იგრძნო უთქმელი თანაგრძნობა, თანაგრძნობა საწყალი ნიკალასი, ლანდივით რომ მოდგომოდა ახლა სამრეკლოს, თვალებში ჩაჰყურებდა და თითქო ანიშნებდა: ჩვენი ბედისწერის ხაზებმა კარგახანია გადაკვეთეს ერთმანეთი და ახლა ზეცისკენ მიემართებიანო. ნიკალას ბედმა თავისი ბედი შეახსენა, თავისი „ოთახი“. მისი ტანჯვისა და მარტოობის ერთადერთი უტყვი მოწამე და მესაიდუმლე, სადღაც, ორსართულიანი კიბის ქვეშ, ბელგიის ქუჩაზე, სამოწყალოდ რომ უბოძეს ნახევრადმიწური. ძველ-

თაძველი ტახტი, პატარა მაგიდა და ლამპა — აი, მთელი მისი ავლადიდება... და ხელნაწერი ლექსები, ლექსები, ლექსები... „ახალი სოფლის“ რედაქტორმა, გიორგი მუშიშვილმა მოუხერხა „ბინა“, მანვე დააწყებინა მუშაობა 1928 წელს, ექსპედიციაში, გაზეთების მკეცავად. თითქო ერთი წამით გამოფხიზლდა კიდეც და შემოტრიალდა ცხოვრებისაკენ, თითქო უხაროდა კიდეც, თითქო ბედნიერიც იყო, თითქო რაღაც ახალსაც კი გრძნობდა ცხოვრებაში: „იყო საღამო, გამოთხოვება, იყო გარშემო ქარის ტრიალი. მე ვუბრუნდები ახლა ცხოვრებას, მომწყინდა ქუჩა და ხეტიალი. ცა სპეტაკია, მთვარე დაბერდა და ღამით ფიქრი უფრო ხშირია. ჩემი ცხოვრება გადასხვაფერდა, ჩემი ცხოვრება სხვანაირია...“ მაგრამ ეს სულ ერთი წამით იყო, მალე მიანება თავი სამუშაოს და ისევ ქუჩასა და ხეტიალს დაუბრუნდა... და კვლავ ამოუტივტივდა გონებაში დღიურში ჩანიშნული სტრიქონები: „დილის ცხრა საათია, მივდივარ ვერის პარკში, გავიარე ახალი ხიდი. ახლა ვზივარ პატარა კუნძულზე და ვფიქრობ თვითმკვლელობაზე. აქეთ-იქით მიდის მტკვარი. არ ვიცი, საიდან მომესმა არღნის ხმა, ვტოვებ კუნძულს“; „დღეს ღრუბლიანი დღეა, ხვალ ვაპირებ თავის მოკვლას“; „დილიდან მოდის წვიმა. გავდივარ ქუჩაში... გადავწყვიტე არ მოვიკლა თავი და შევურიგდე ცხოვრებას, და ჩემი პოეზია ისევ დარჩეს სპეტაკი. ეს იქნება დაბრუნება ცხოვრებასთან“; „ოდნავ ღრუბლიანი დღეა, ქარი არ ქრის. მე ვდგები სამსახურში და ვიწყებ სხვანაირ ცხოვრებას. დროებით ვისვენებ და თავს ვანებებ ხეტიალს“; „დილას თოვდა, შუადღის შემდეგ გამოიდარა. მე ვმუშაობდი „ახალი სოფლის“ ექსპედიციაში, ვკეცავდი გაზეთს და ძლიერ დავიღალე. მოვედი ოთახში და დავწექი“; „დადგა გაზაფხულის დღეები, დადგა ჩუმი საღამოები. მე თეთრი ხალათით დავდივარ და მიმზერს მთელი თბილისი“; „დილის ექვს საათზე მივდივარ ექსპედიციაში. ოდნავ ცრის წვიმა. ვმუშაობ თავაუღებლივ საღამოს ცხრა საათამდე. გაზეთზე მომუშავენი ხუმრობენ და იცინიან. მე სრულიად არ მეცინება“: „დღეს მთელი დღე ვმუშაობ ექსპედიციაში. დაღამდა. მივდივარ ოთახში. ახლა მთვარიანი ღამეა და მწვავს სურვილები, ერთი და იმავე დროს, სწორედ ახლა, მინდა ვიყო ყველგან, მინდა მთელი მსოფლიო გადაიშალოს ჩემს წინ, როგორც ერთი ნაჭერი მიწა, აქედან ვუმზერდე პარიზში მიმავალ ადამიანს. მინდა ხელში მეკავოს მთე-

ლი მსოფლიო, როგორც ბურთი. მაგრამ რა ვქნა, როდესაც ამისათვის არ არის პირობები. ჩემს გარშემო მწარე სინამდვილეა და ვუმზერ მხოლოდ ოთახს, გარინდებულ კედელს“... ამ ოთახში შეხვდა ახალ წელს, მარტო, სრულიად მარტო, ცრემლითა და ერთი ნატეხი პურით, ყველამ მიატოვა, ყველას თავისი ბედი უხმობდა, ყველა ჩაეთრია ცხოვრებას წარმავალ აურზაურში. ხანდახან აკაკი თუ მოაკითხავდა, ანდრიაშვილი, ძვირფასი ადამიანი და მეგობარი, მაგრამ მალე მანაც ცოლი შეირთო და ისე ხშირად ვეღარ დაიარებოდა. ის ზამთარი საბედისწერო აღმოჩნდა: გაბლიკებულ ოთახში საშინელ მოჩვენებებსა და მოლანდებებს ებრძოდა, ებრძოდა შიშითა და ძრწოლვით, ქარსა და ყინვაში; შუაღამისას ყველაზე ბნელი და ჩარღვეული კუთხიდან მამის აჩრდილი ამოდიოდა და ესაუბრებოდა, ესაუბრებოდა ვიღაც უხილავი მესამე პირის მეშვეობით, რაღაც არაბუნებრივი, არაჩვეულებრივი ენით, შიშსა და კანკალში ათენებდა თეთრად ღამეებს. ერთ დღეს ანდრიაშვილმა ნაბადი მოიტანა, იმ ადგილას დააფინა, საიდანაც თითქო აჩრდილი ამოდიოდა და დაწვა. ცოტათი დამშვიდდა, მიწვა დასაძინებლად, ერთხანს ჩათვლიმა კიდეც, მაგრამ მაინც ვერ მოისვენა, ისევ რაღაც-რაღაცეები ელანდებოდა, სნებიანივით თრთოდა. უეცრად წამოდგა, სწრაფად ჩაწერა რაღაც ქაღალდის ნაგლეჯზე, ტახტზე ჩამოჯდა და გასწორდა. „ხედავ, კაკო!.. ვეღარაფერს ვახერხებ... ახლა, ამ წუთას, წერა რომ დავიწყე, ვიღაცამ დაიძახა: „შეხედეთ ერთი, განა ასე უნდა იჯდეს პოეტი!..“ და მეც გავსწორდი. „ჰო, აი, ასე უნდა იჯდეს პოეტი!...“ დაიძახა ისევ იმ ხმამ... აღარ შემიძლია, კაკო, ძალიან დავიღალე... აი, ნახე, ძლივს მოვასწარი ამ სტრიქონების ჩაწერა“, და აკანკალებული ხელით მეგობარს ქაღალდის ნაგლეჯი გაუწოდა: „შავი ღამეა, სადღაც მღერიან, ახლა დუმილი არ შეიძლება. და მამაჩემი ბედნიერია, და მამაჩემი ფრიდრიხ ნიცშეა. და რაღაც ასო ცაზე სწერია, ეს მიჰხოხეს გულის ნიშნებმა. და მამაჩემი ბედნიერია, და მამაჩემი ფრიდრიხ ნიცშეა!!.“ ცოტა ხნით ისევ ჩათვლიმა, მერე ისევ წამოვარდა და მეგობარს უყვირა: „შენ რა გილაპარაკია ჩემზე!.. შენც... შენც აჰყევი ხომ იმ ფილისტერებს?!..“ და გრძნობა დაკარგა. ამის მერე აღარ უნახავს ანდრიაშვილს, აღარც მას უნახავს თავისი ერთგული მეგობარი. ყველას დაეკარგა, ყველას და ყველაფერს, დაეკარგა საკუთარ თავსაც და ისე გაიმქვრა შუაღამის სიცარიელეში, როგორც ღრუბელი.

ასე მიიხურა მახსოვრობის კარიბჭე და შეიღო დავიწყების სარკმელი, საიდანაც შავად იმზირებოდა... სურამი!.. კვლავ ავისმაუწყებლად წივის გონებაში ავბედითი სიტყვა: „სურამი!..“ აი, მიჰქრის საბარგო მატარებელი ქართლის ველებზე და გისოსებიან სარკმელში შუაღამის წყვდიადი იმზირება, სიცივე, უსულგულობა და სისასტიკე რომ ჩასაფრებულა. ზის ამ ღამეულ სისასტიკეში, ხვედრის გარდუვალობას შეგუებული და ისე მორჩილებს ბედისწერის ძალას, ვით ხეს მომწყდარი ყვითელი ფოთოლი — ციდან მოვარდნილ ქარიშხალს: „დღეს ჩემი ბედი ქარიშხალს მისდევს“, „მივსდევ საკუთარ იღბალს, საკუთარ ტირილს ვისმენ“, „რა დავაშავე, რისთვის მებრძვიან, მე დამნაშავე არ ვარ სრულიად“, უელავს გონებაში ბედითი სტრიქონები... „დამნაშავე ხარ!.. დამნაშავე ხარ!.. დამნაშავე ხარ!..“ ჩაესმის ბორბლების ხმაურში ისევ ის შემზარავი ხმა, ჟამის უკან პოეტს ჯდომას რომ ასწავლიდა, ჩაესმის და უკან იმზირება, სადაც თბილისი დარჩა, რუხი ქალაქი — დარდის უდაბნო და სიხარულის უცხო ალაგი. მიჰქრის სადღაც, უცნობი და ჯერარნახული სამყაროსაკენ და იქვი უღრღნის ტვინსა და გულს: ეს ხომ არ არის ის გზა, მთელი ცხოვრება რომ მიელტვოდა, ის მესამე გზა, შორეულ და მიუვალ ქვეყანაში რომ გადაკარგავდა, სიცოცხლისა და სიკვდილის იმიერ მხარეში?! მაგრამ ლანდად ხედავს, ვიღაც ახმახი და თეთრხალათიანი ჩრდილები რომ დაბორიალობენ მის გარშემო და სახეზე ეს უკანასკნელი იჭვიც უქრება; ვიღაცის რკინის ცივ ხელს მძლავრად ჩაუბღუჯავს მისი მაჯა, სიცარიელისაკენ მიაქანებს, — „ძე კაცისაჲ მიცემად არს ხელთა კაცთასა“, — და შემზარავი ხმით გასძახის ღამეულ სივრცეს: „პოეტი ტერენტი გრანელი, რომელიც სულით ავადმყოფია და დაიარება ქუჩაში, და შესაძლოა ვინმეს რაიმე დაუშავოს, გთხოვთ ადმინისტრაციული წესით წაიყვანონ და მოათავსონ საავადმყოფოში!..“ „ყველა მოგუშაგეებს! მიგითითებთ! დააპატიმრეთ და წარმოადგინეთ სამილიციო რაიონში!..“ „პოეტი ტერენტი გრანელი, რომელიც ამჟამად მოთავსებულია სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში, გთხოვთ გაგზავნილ იქნას სურამის საავადმყოფოში!..“ „სულით ავადმყოფი პოეტი ტერენტი გრანელი არ გამოწეროთ თქვენი საავადმყოფოდან მანამ, სანამ იგი გადაგზავნილი არ იქნება ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ სურამის საავადმყოფოში!..“ „როგორც

ვიგეთ, სულით ავადმყოფი პოეტი ტერენტი გრანელი, თქვენს მიერ უკვე გამოწერილი ყოფილა საავადმყოფოდან. მოგეხსენებათ, რომ ჯანსახკომის მიერ იგი გაგზავნილია სურამის სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში, მაგრამ მწერალთა ფედერაციას არავითარი საშუალება არა აქვს მის სურამში გადაგზავნისა. გეოკოკთ, თქვენს მიერ იქნას იგი გადაგზავნილი სურამში...“ მიაქრის მატარებელი ქართლის ჩიბნელებულ ველებზე და ბორბლების ხმაურში შემზარავად ჩაესმის: „სულით ავადმყოფი!.. სულით ავადმყოფი!.. სულით ავადმყოფი!..“ მერე ახსენდება სტრიქონები: „დგას ანგელოზი ახლო ჩემ სულთან“ და ეს იღბალი არ უდრის კრულვას“, „სული ნაზია და სული წმინდა, როგორც ქაღალდი დაუწერელი“, „დღეს ჩემი სული მართლა ღმერთია“, „ჩემს სულს სწყურია თეთრი სავანე, ჩემს სულს სწყურია უსაზღვროება“. თეთრი სავანე?.. უსაზღვროება?.. აი, მისი თეთრი სავანე, აი, მისი უსაზღვროება: „მიღებულია სულით ავადმყოფი ტერენტი გრანელი. სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმი. 5 ივლისი, 1931 წელი“... ასე დაიწყო მისი თეთრი სავანე, ასე დაიწყო მისი უსაზღვროება: ოთხი წელი, საშინელი ამაოებისა და მარტოობის ოთხი წელი, წამებისა და ჯვარცმის ოთხი წელი. რა აღარ გაიგონეს მისმა ყურებმა, თუმცა დახშოდა ყური სასმენად; რა აღარ იხილეს მისმა თვალებმა, თუმცა დაშრეტოდა თვალი სამზერად; რა აღარ იგრძნეს მისმა ნერვებმა, თუმცა დაწყვეტოდა ნერვები საგრძნობლად. „ამ ჩამავალი მზის სხივებს გეფიცებით. მე არ ვარ გიჟი, მე სიცოცხლე მიყვარს, მე სიმშვიდე მინდა“... „აქ ყველა ასე ამბობს!..“ მხოლოდ ფანქარი და ქაღალდის გაყვითლებული ნახევები — აი, მისი ხსნა, მისი იმედი, მისი ფიქრების თანაზიარი და თანამგრძნობელი. ტრიალებს ამ ჯოჯოხეთში, ცისკენ ხელებაპყრობილი და თხოულობს შველას, თხოულობს შველას ხორცის სნებიან ჭურჭელში ჩამწყვდეული სული, მოუხმობს ზეციურ ძალებს და გაყვითლებულ ქაღალდზე მისტიურ ხაზებს ავლებს: „ეს დილა კვირის მე როგორ მღუპავს, შორს ვიღაც ტირის, თხოულობს შველას“, „ეს მძიმე ლოდი და ეს ანთება, სიკვდილი მოდის, ნელა ღამდება“, „მე ვნახე ეკლის საფლავი წყნარი, გზა იყო ეკლის, გზა იყო ქარის“, „ღამე იქნება, იქნება ნისლი და გაისვრება პერანგი სისხლით“, „მე მარტო ვრჩები, ეს ცრემლი — სისხლი, ეს ბინა ჩემი, ეს ბინა სხვისი“, „არ შემიძლია, სიკვდილს ვეძახი, გული — სისხ-

ლია, სული სპეტაკი“, „მაღლა დგას ლოდი, ძირს გული კვდება, სიკვდილი მოდის, სინათლე ქრება“, „ყველგან ღმერთია, ღმერთო, დამიცავ! თითქოს ერთია ეს მზე და მიწა“, „მხოლოდ ოთახი ელის წამებას, მინდა ცოტა ხნით გარდაცვალება“, „ისევ სიკვდილის ლანდი მაშინებს, ისევ დაჰქრიან ხევში ქარები, მოდი, როგორმე გადამარჩინე, შველას გთხოვ და მე გემუდარები“, „ეს გული დარჩა, ეს წამი მირბის, თბილისი არ ჩანს, ნისლია ირგვლივ“... სიკვდილის წინ მოაგონდა თბილისის ღამეები და უნაზესი და: ორი შეერთებული კოცონი, რომელიც წვავდა ყოველთვის, მოაგონდა და სურამის კოშმარულ ლაბირინთებში სრულმა უიმედობამ რომ მოიცვა, მის წრეშებრუნებულ გონებაში თბილისი წამოტივტივდა. ერთ დღეს, ეზოში ხეტიალისას რომ შეიტყო, თბილისში არ იყო — გაფითრდა... ეს იყო მისი უკანასკნელი გაფითრება... და დარჩა სამუდამოდ გაფითრებული... — „ვიცი, გაფითრებული, ვგავარ შემოღამებას“, — მაგრამ გონებას რაღაც საოცარი სინათლე და სიცხადე მოეფინა, ყოველივე გაიხსნა მის არსებაში, წარსულიც და აწმყოც ერთ მთლიან ხატად იქცა, ახლა ამ ხატის გადარჩენა იყო საჭირო; იმავე ღამეს გაიპარა თბილისს: „ცა მოსჩანს, როგორც შიშველი სარკე, მივალ, ვიგონებ გაფრენილ წამებს. ჩემი გზა მიდის სამარისაკენ და ნაპრალებთან წევს შავი ღამე... ასეთი დარდი არ მახსოვს დღემდე, ო, როგორ მორბის ლანდი სიკვდილის. მივდივარ, ერთი საათის შემდეგ მე ისევ ვნახავ ჩემს მტანჯველ თბილისს...“ და ისევ თბილისშია თავის მტანჯველ თბილისში, კიდევ ერთხელ, ერთხელ, კიდევ რომ მოეჩვენოს თბილისს და თბილისელებს, გამოეთხოვოს წმინდა ადგილებს, გამოეთხოვოს მადათოვს და ნარიყალას, ქაშუეთს და სიონსა, დიდუბეს და მთაწმინდას, ავლაბარს და ორთაჭალას, კუკიას და პეტრე-პავლეს, გამოეთხოვოს და სამუდამო განსასვენებელი აქ — თბილისში რომ ჰპოვოს, თოვლის ნაზი ფანტელივით რომ ჩაადნეს თავის სალოცავ თბილისის მიწას: „თბილისი წმინდა თავშესაფარი. თბილისი მინდა, როგორც საფლავი!..“

თბილისი ხომ სარწმუნოებაა მისთვის, თავად კი — მორწმუნე, სააღსარებოდ თავდახრილი, მის ბნელ ქუჩებში ცოდვილივით მოხეტიალე, გალახული და ნაგვემი, როგორც ბავშვი — უთვისტომო

და ცრემლიანი. თბილისი ტაძარია სალოცავი, ცად მდგარი და გასხივოსნებული, დასაბამიდანვე რომ ელტვიან ცოდვილნი, თავად კი მწირი — ჩაღვენთილი სანთელივით ფერნამკრთალები, სული — ფრესკებს მიმქრალი და შეთვისებული: „მიდის ჩემი სინაზე, როგორც ნისლი დილების და თბილისის წინაშე სანთელივით ვილევი“. სანაც თითქო თავად არის ტაძარი, — ჩამქრალი და დავიწყებული, ხოლო თბილისი — სანთელი, მის სულში რომ იწვის ჩაუქრობლად. თბილისი კვირის წირვებია, ჯვარცმა და ვედრებაა, ის შორეული და უცხო მხარეა, სნებიანივით რომ ერწყმის მისი ხორციელი და სულიერი არსება. თბილისია მისი იდუმალი წუთისოფლის შემზარავი მესაიდუმლე, როგორც სიკვდილმისჯილი და სახრჩობელა, როგორც ქრისტე და გოლგოთა, და ამიტომ უყვარს საშინელი და საძულველი სიყვარულით. თბილისი მისტიური ქალაქია, შორეული უხილაობის ქალაქი, ქარებისა და წამების ქროლვა, თოვლისა და წვიმის დაბინდული ველი. აქ ებრძოდა ცრემლიან სიზმრებს, აქ უხმობდა უხილავ გრიგალებს, აქ ითვლიდა დღეებისა და თვეების ერთფეროვან ცვალებადობას, აქ უმზერდა მზეს — უხსოვარი და მარადიული რიცხვების დედას. ისე დაიარებოდა თბილისის ქუჩებში, თითქო უჰაერო სივრცეში მოხვედრილიყოს, სხეულის სიმძიმისაგან უარყოფილი, ისე დალაციცებდა ქალაქის უთანხმოებაში, როგორც ლანდი უაჩრდილო, შემკრთალი და მოცახცახე, ჩუმი და მდუმარი, ისე იზიდავდა ქალაქის დუმილი, როგორც გრიგალს იზიდავს სივრცე, როგორც ხმაურს იზიდავს სიჩუმე. ახლაც ახსოვთ თბილისის ქუჩებს მისი სიზმარეული სტრიქონები: „ქალაქი გაჩუმებულია, თითქო ადამიანები გაქრნენ და დგანან ცარიელი სახლები... დღესაც თოვს, ვტოვებ ოთახს დილაადრიან, ცოტახნის ხეტიალის შემდეგ ვჩერდები ალექსანდროვის ბაღთან, ვიხედები ირგვლივ, ბაღი გავს უდაბნოს, გარშემო დგანან თოვლით დახონხილი ხეები. ქუჩაში მიდიან ქალები. მთელი ქალაქი სავსეა თოვლით. ყველაფერი გადასხვაფერდა უცებ... ლრუბლიანი დღეა და უიმედობა. ვზივარ ნაწვიმარ ბაღში და ვოცნებობ შორეულ საგნებზე. სკამები დასველებულია წვიმისაგან, ჩემს წინ ყრია ტალახით გასვრილი თოვლი. მივდივარ ოთახისაკენ. თოვს. უცებ გავიხედავ, ვერ ვიცანი ქუჩა, მე არ ვიცი, რომელ ქუჩაზე ვარ. ძლივს გამოვიარე [illegible] მთელი ღამე თოვდა. გათენდა თოვლიანი

დღე, თანაც ნისლია. თოვლი და ნისლი ტოვებს მთვარიანი ღამის შთაბეჭდილებას. დილა არის და მგონია ღამე. მივდივარ თოვლში, მიმაქვს მარადიული მწუხარებით შეპყრობილი გული. ისევ თოვს. თოვლში და ნისლში დაფრინავენ ყვავები... განთიადიდან იწყებს თოვას. ვდგავარ ქუჩაში. ადამიანები თოვლში დადიან, როგორც ლანდები. მეც ბავშვივით მიხარია თოვლში სიარული. მივდივარ ბაღისკენ, ბაღში ყრია ბევრი თოვლი, დგანან თოვლისაგან ტოტებ-დახრილი კვიპაროსები...“

უეცრად ცნობიერებაში პაატა ორბელიანის სტრიქონები წა-ჩოელანდა, 1922 წელს დაბეჭდილი გაზეთ „ტრიბუნაში“: „ტერენ-ტი გრანელში უთუოდ მეტია ხილვა ხელშეუხების და შეუცნობის. ამ წიგნში არის სტრიქონები, როდესაც იგრძნობი მყუდრო უდაბ-ნოში მოზუზუნე სამუმების მოულოდნელ გამოქროლებას და საზა-რელ ოხვრას ქვიშაში დამარხულ ქარავნების. უფრო ხშირია შფო-ფიანი გადაშლა უიმედო აფრების. ტერენტი გრანელი — ეს თმებ-გაწეწილი ბავშვი ტფილისის ტროტუარების და მისი აქლემისფე-რი მიდამოების, იყურება ამ წიგნიდან მართლა სისხლიანი თვალე-ბით. ტერენტი გრანელს აქვს ბევრი ამღერება, რომელიც იძლევა უთუოდ იმპრესიონისტულ ათვისებას ტფილისის პეიზაჟისას... აქ არის განწირული ხმები ეშაფოტზე ასული ადამიანის... დღეს ტფი-ლისისთვის სიზმარეულია ტერენტი გრანელის მოაცახცახე სხეუ-ლი, ისე როგორც გრანელისათვის სიზმარია და მოჩვენება საკუ-თარი ცხოვრება: — „უიმედო დღეებმა ნელა ჩაიარეს“... და არა-ვინ არ იცის, რომ ამ ზამთრის დაუსრულებელ ღამეებში მას ია-ტაკზე სძინავს გაყინული ცრემლებით. დილას, როდესაც ტფი-ლისის ნისლში ამოვა მზე, იგი მიჰყვება მზიან ტროტუარებს თვალებამღვრეული, შფოთიანი ელდით და კონვულსიებით...“ გაახსენდა ეს სიტყვები, „სულიდან საფლავებზე“ თქმული, და მწა-რედ ჩაეღიმა, თუმცა სადღა იყო ღიმილი — სახეზე მხოლოდ ღი-მილნარევი ტანჯვა და უსაზღვრო ტკივილი აღბეჭდვოდა, სიკვდი-ლის ნიღაბს მიუგავდა გაფერმკრთალებული და გაქვავებული სახე, ნისლითა და იდუმალებით გარემოსილი. იგი ხომ იდუმალი მზე-რით უმზერდა თბილისს, უწესრიგოდ მიმოყრილ მის ქუჩებს, მათ გარეგან განზიდვასა და განკერძოებას, მერე ეს მზერა შიგნით შეჰქონდა, სულის სიღრმეში და სულიდან ამოპირქვავებული მზე-რით უახლოვდებოდა ქალაქს, როგორც ღრუბელს უახლოვდება

გაცრეცილი ნათელი მთვარის, შუაღამის ცაზე მალულად მოხეტიალე; და ეს მიახლოება აუცხოვებდა ქალაქის ცხადიერ ხაზებს, მისი ფსიქიკის ფსკერში რომ ინასკვებოდნენ და ქმნიდნენ ქალაქის უცხო, შორეულ ყოფას. თუმცა ქალაქის თვალხილული ყოფა თრგუნავდა, მაინც მიელტვოდა მას, როგორც პეპელა მიელტვის სანთელს, მიელტვოდა და იფერფლებოდა, მერე კვლავ აღსდგებოდა ფერფლისაგან და კვლავ იფერფლებოდა. გამუდმებით ითავისუფლებდა თავს მიწიერი სიმძიმისაგან და იქით მიიწევდა, საითაც სული უხმობდა, წამებით იხდიდა მარტივი წუთისოფლის აბჯარს და დაუცხრომლად უხმობდა დავიწყებულ და დაკარგულ სივრცეებს, ამ სივრცეთა უხილავ არსებობას. მთელი არსებით ინთქმებოდა ოცნებათა სილივლივეში, წარმოსახვებში თხზავდა თბილისის მითოლოგიას და თვალებს ის მისტიური ქვეყანა ეცხადებოდა, სიზმრადაც რომ არასოდეს მოლანდებია. სიმკვრივეს აცილებული და ცის საუფლოში გადახვეწილი, ივიწყებდა ხორციელ ჭურჭელს და დაუსაბამო სულის გამჭვირვალობას შეერთვოდა. ახლაც ახსოვს ის ნეტარი და მწუხარე წამები, სხეულის სიმძიმისაგან რომ თავისუფლდებოდა და სიმსუბუქესა და უწონადობაში გადადიოდა, ისე იკარგებოდა თბილისის ნისლში, როგორც სიჩუმე — გრიგალში: „მე დავბრუნდი გუშინ, გამოვიარე გველივით დაკლაკნილი გზები, ახლა სიჩუმეა მხოლოდ... მე ვამბობ იმ მხარეზე, რომელიც უკვე დავტოვე. ახლა აქა ვარ. უიმედო დღეებმა ნელა ჩაიარეს. ისევ მოდიან მოსაწყენი დღეები. ღია სამარეს გავს ჩემი საკანი. წმინდაო ღმერთო! მე ვიღუპები თანდათან და ვგრძნობ უკანასკნელ წამის მოახლოებას... ჩემი გული ყვითელ ფოთოლივით ჩამოვარდა წუხელ... დრო სიზმარივით გადის... მე ახლა აღაო ვარ. ჩემი გული გადაეცით თბილისს, თუ აღმოჩნდა სადმე...“ თბილისი მარადიული თავშესაფარია, წმინდა ალაგი, ხორცისა და სულის სამუდამო განსასვენებელი, მისი მწუხარების დასაწყისიცა და დასასრულიც, სნებიანი სულის მკურნალიცა და ნუგეშიც, წამებაც და სიხარულიც, პატიებაც და მორჩილებაც. თბილისი დაღალვაა და ხეტიალი, ცრემლი და დაცინვა, დანაშაული და გილიოტინა. და მაინც გამოექცა სურამს, დაქუცმაცებულ და მარცვალივით დაბნეულ მის სულს რომ თანხმიერება აღედგინა, და ამ თანხმიერებით კვლავ დაბრუნებოდა საკუთარ თავს, კვლავ დაუფლებოდა საკუთარ არსებას. თუ არა ეს, სად და ვისთან მოიჩქარო-

და. ვინ ჰყავდა, ვინ ელოდა ამ უცხო ქალაქში?! რატომ თავის ფესვებს არ ჩაეხვია, თავის წალენჯიხას, რად არ წაეპოტინა იმ პაწაწინა ხავსსაც კი, ერთადერთ უმწეო იმედად რომ ენთო მუდამ? „მაგონდება ბავშვობა და სოფელი მამშვიდებს — ჩემი ტკბილი ოცნების ლურჯი ნამოსახლარი“... იქნებ სწორედ აქ — დიადი კავკასიონის ძირას, მშობლიურ სოფელში ეპოვა ის, რასაც მთელი ცხოვრება ეძებდა?! თბილისისკენ მოისწრაფეოდა, მშობლიური სატანჯველისკენ, განდგომილთა და პოეტთა სამფარველოსკენ, სამუდამოდ რომ შერწყმოდა მარტოობასა და არყოფნის უსასრულობას, ყოველი წამი უცნაური გარდასახვებით რომ სუნთქავს და იძვრის...

გაახსენდა პირველი შეხვედრა თბილისთან, სამუდამოდ რომ მიატოვა სოფელი და უფროს დასთან, მაშოსთან ერთად მუზათა ქალაქში რომ ჩამოვიდა ბედის საძიებლად. 1918 წლის დამდეგი იყო. კი არ გაუკვირვებია, შეაშინა თბილისმა. პირველი განცდა, რაც დაეუფლა, იყო შიში, და ამ რუხმა ქალაქმა, როგორც ბედისწერამ, სამუდამოდ დაივანა მის სულში. თითქო მაშინვე უგრძნო ტანმა, სასტიკ ხვედრს რომ განუმზადებდა ეს ქალაქი: „შენს მიმქრალ სახეს შემოდგომა მე არ მანებებს და აქ, თბილისში, თვით მათხოვარს შევეცოდები“, „ო, ჩემს გარშემო მკვლელებია და გამცემლები, უფალი იყოს ამ ქალაქში ჩემი მფარველი...“ მთაწმინდაზე დაიქირავეს ერთი პატარა ოთახი, საიდანაც კარგად მოჩანდა არსენალი და კუკია, ავლაბარი და პეტრე-პავლე, ის ადგილები, მთელი ცხოვრება რომ იყარიბა და იხეტიალა. არ გასულა დიდი ხანი, მაშომ რომ სოფლიდან რაღაც წერილი მიიღო და მიატოვა. დარჩა უცხო ქალაქში მარტო, ბედისა და საკუთარი თავის ანაბარა... სწავლა სწყუროდა, სტუდენტობა ენატრებოდა; ჯერ მამის, მერე კი დედინაცვლის გარდაცვალებამ მის სურვილს ფრთები შეუკვეცა, და დარჩა სრულიად უთვისტომოდ: „რა უიმედო საღამო დგება, ისევ საოცარ იღბალს მივყევარ. სად არის მამა, სად არის დედა, რომ ჩემი გული ასე ირღვევა...“ მაშო და ზოზია გათხოვდნენ და თავთავიანთ ოჯახებში ატარებდნენ წუთისოფლის უფერულ დღეებს... და მიენდო თბილისს, მთელი არსებით მიენდო, როგორც აღელვებულ ზღვას — ნაფოტი. რა ექნა, არსებობა ხომ უნდოდა, და რკინიგზაზე მოეწყო სამუშაოდ, ჯერ ვაგონების გადამბმელად, მერე კი კონდუქტორად. აქ, რკინიგზის მუშებს

შორის, მალაკნების უბანში ხშირად ესმოდა ნიკო ფიროსმანაშვილის სახელი, ყველა მის უბედურ ბედზე, მის უგზო-უკეთოდ გაჭრობაზე ლაპარაკობდა. საგანგებოდ დაიარებოდა იმ ადგილებში, სადაც ნიკალას ფეხი დაედგა, სადაც თავის ჯადოსნურ სურათებს ქმნიდა, დაიარებოდა და ისმენდა მის ტანჯულ და უცნაურ ცხოვრებაზე და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქო აგერ-აგერ შეხვდებოდა, ძმასავით მოიკითხავდა ნიკალა, იქვე დუქანში ჭიქა არაყზე შეიპატიჟებდა, წაჰყვებოდა, აუცილებლად წაჰყვებოდა... სონეტი, ფიროსმანიშვილს რომ მიუძღვნა, „პანაშვიდებში“ დაიბეჭდა პირველად, 1920 წელს, მისი პირველი წიგნიც ეს იყო. რა დაავიწყებს იმ პირველ სიხარულს, პირველ დაბეჭდილ ლექსებს „სონეტი დედინაცვალს“, „კვირის შუადღე“, „რკალიდან: კვირის წირვები“, „ლოცვა მთვარესთან“. ახლაც ბედითად რეკს პირველი სტრიქონები: „კვირის აისი ლანდებში ახვევს დამსხვრეულ კუბოს ყვითელი ფერით. ისევ წამება და ავი სახე, წამიღებს ზარით მე ნოემბერი...“ გობრონ აგარელის ლექსებიც ხომ ამ წიგნში დაიბეჭდა პირველად. ნეტა სად არის ახლა მისი ძვირფასი გობრონი, რა სინაზით, რა სიფაქიზით სუნთქავდა მასთან გატარებული ყოველი წუთი; „ტერენტი ჩამოვიდა სამეგრელოდან, თითქოს ჩამომიტანა სიხარული. ნუთუ არავინ იგრძნობს პოეზიას, რომელიც კრთის ჩვენს სულში?!“ ასეთი იყო იგი. ნეტაი იმ დროს, ჭაბუკები რომ იყვნენ და უსათნოესად უყვარდათ ერთმანეთი, უყვარდათ სიცოცხლე, პოეზია... ალბათ ისევ ობლად არის მიტოვებული გობრონის მეგობარი ქალის კლავდია ზელინსკაიას საფლავი; თითქო გუშინ ყოფილიყოს, ისე ცხადად აღეძრა იმწუთიერი განწყობილება: „დილას დაიწყო თოვლა. მე მივდივარ კუკიის სასაფლაოზე, ვნახულობ პოეტ გობრონ აგარელის მეგობარი ქალის კლავდია ზელინსკაიას საფლავს. იგი დამარხულია განმარტოებით და მის გარშემო სუფევს საშინელი მდუმარება...“

თბილისი ახლა სიცარიელეა მისთვის, სადაც მხოლოდ შავი ფრთოსნები დაფარფატებენ, მისი ხვედრის დასასრულის მაუწყებელნი. თითქო თავადაც სიცარიელეა, დამშრალი ტბაა, და ისე მიელტვიან ერთმანეთს, როგორც ღამე მიელტვის დღეს, როგორც წყვდიადი — სინათლეს, როგორც სიჩუმე — უსასრულობას. თბილისი წამიც არის ახლა და საუკუნეთა შესაკრებელიც, მოლოდინიც და უიმედობაც, წარმავლობაც და წარუვალობაც: თბი-

ლისი ხომ სამშობლოა მისი, დაკარგული და კვლავ ნაპოვნი და განა სწორედ აქ, თბილისის ძველ უბნებში არ პოულობდა სულის სიმშვიდეს?! მაგრამ თბილისი ხომ ტანჯვა არის, დაუსრულებელი და განუკურნებელი, და ამიტომ გაურბოდა ქარსა თუ წვიმაში, თითქო შიშობდა, ამ ირიბ ქუჩებს არ გაეთქვათ მისი იდუმალი თავშესაფარი. მაგრამ თბილისის ქუჩები დუმდნენ. და ისე იზიდავდა ეს დუმილი, როგორც მაშვრალს — თანაგრძნობა, როგორც მეუდაბნოეს — ლოცვა, და ვერც წარმოედგინა უფრო დიდი თანაგრძნობა, ვიდრე თანაგრძნობა სიჩუმისა და დუმილისა. ამ ჩუმ და მდუმარ თანაგრძნობაში ბლანდავდა ბედისწერის ძაფებს, სიბრალულით რომ აღავსებდა საკუთარი ხვედრისადმი: „ბედის სიშორეს ქარივით მისდევს რიცხვები გლოვის და აღშფოთების. თბილისის კვამლში ვეხვევი ისევ მე, თანამგზავრი მკვდარი ფოთლების. სძინავს გრიგალებს ღამის შუშაზე, ფითრდება მზეზე სული მოღლილი. ჩუმად გავივლი სადმე ქუჩაზე მე, მგლოვიარე და წელმოხრილი...“ ხომ არის ცხოვრებაში უცნაური წამები, წამები სულიერი მდგომარეობისა, როცა გინდა იმაწანწალო და იხეტიალო, ყველასაგან გარიყულმა და შესაბრალისმა, არის ხშირად დაუოკებელი წყურვილი სატანჯველისა, შებრალებისა და შეცოდებისა, და ამ შეცოდებაში შეიგრძნობს კაცი სულიერ ნეტარებას. განა არის იმაზე დიდი სიკეთე, ადამიანებს რომ სიბრალულის, შეცოდებისა და მიტევების გრძნობა აღუძრა, თუნდაც შენ იყო მსხვერპლი, შენ თავად იყო შესაბრალებელიცა და მისატევებელიც?! და ესეც ნეტარებდა ამ სატანჯველით, ამ შეცოდებით, ამ სიბრალულით, ნეტარებდა იდუმლად და ქვეცნობიერად, ნეტარებდა და იტანჯებოდა ამ ნეტარებით. ასეთი იყო მისი ბედი, ასეთი დაბადა დამბადებელმა, და იგიც ისე მიჰყვებოდა ამ ბედისწერას, როგორც კლდეს მიმწყდარი ყვავილი — ადიდებულ მდინარეს. დათმენითა და მორჩილებით ითრგუნავდა ვნებებსა და სურვილებს, შიგნითვე რომ რჩებოდნენ აღუსრულებელნი, და უღრღნიდა და უსერავდა სულსა და გულს. ეს ვნებები და სურვილები ხშირად დაბეგვილი და ფერშეცვლილი სახით გამოდიოდნენ გარეთ, და თუ მისი ქცევა მზირალი თვალისთვის უცხო და მიუღებელი იყო, თავად მისთვის შინაგანად ყველაფერი მართალი და გასაგები იყო. კარგად ახსოვს, როგორ ეცვლებოდა სულიერი განწყობილება იმისდა მიხედვით, რა „ხასიათზე“ ხვდებოდა თბილისი, გაყინული ოთახი-

დან გამთენიისას გასულს და სახეტიალოდ და საოცნებოდ მიმავალს. თბილისსაც ხომ თავისი განწყობილება აქვს, თავისი შინაგანი ცხოვრება, და ქალაქის გარდასახვები უეცარ სიხარულს თუ უეცარ მწუხარებას გვრიდა. ქალაქის გაქვავებული და უტყვი საგნები აღაგზნებდა მის შეგრძნებებს და უცნაურ ფსიქიკურ გამოვლინებებს აღუძრავდა, ნერვიულ თრთოლას გვრიდა და იმ საპირისპირო გამოვლინებებს, მისივე არსებიდან რომ ამოდიოდნენ, თავიანთი შინაგანი სიმართლე ჰქონდათ. ბავშვობაში, სამხიარულო წვეულებებსა თუ დღეობებზე, ხალხი რომ წუთიერად ილხენდა და იშვებდა, იგი თვალზე მომდგარ ცრემლს ვერ მალავდა; უკვირდა, რად სდიოდა ცრემლი, რა იყო მისი მიზეზი. მერე, სიჰაბუკეშიც რომ ვერ განიკურნა ამ ნეტარი და აუხსნელი სნებისაგან, მიხვდა, იმ წმინდა ცრემლებს ქვეცნობიერებაში რომ ჰქონიათ ძირები გადგმული, და ეს ძირები ადამიანის ტანჯული ხვედრის თანაგრძნობა იყო, მშობელი ხალხის სვეგამწარებული ცხოვრების თანაზიარობა. ხალხის ლხენასა და სიმღერას წუთიერ თავდავიწყებად თვლიდა იმ დიდ მწუხარებაში, განგებამ რომ მოუვლინა და განუმზადა მათ... განა სწორედ ეს შინაგანი უთანხმოება არ უწრთობდა სულს, ეს უთანხმოება არ დაღავდა მის ცხოვრებას უჩვეულობით?! ერთხელ, ახსენდება, უკანასკნელი გროშები მეყვავილეს ჩაუთვალა, ვარდის დიდი თაიგული მკერდზე აიხუტა, ვერაზე ეტლი დაიქირავა და რუსთაველის ქუჩა ეტლში ფეხზე მდგომმა ჩაიქროლა, თან ამაყად გაიძახოდა: „მე, ტერენტი ვარ, გრანელი!...“ ეტლი ქაშუეთთან შეაჩერებინა და ტაძრისაკენ გაემართა. მეეტლემ ქირა მოსთხოვა, ქირის სანაცვლოდ თაიგულიდან ერთი ვარდი ამოაძრო და მხრების შმუშვნით მეეტლეს გაუწოდა. ალბათ, ეს იყო მისი სიმართლეც და სიწრფელეც, მისი ყველაზე დიდი დანაშაულიც ალბათ ეს იყო. მეეტლემ „მაწანწალაო!“, და მათრახი მოუქნია. არც აცივა, არც აცხელა და მეეტლეს სილა გააწნა. ატყდა ჩოჩქოლი. მაშინ გამოერკვა, საკანში რომ შეაბრძანეს. მერე კი ინანა, მაგრამ გვიან იყო. დატანჯა ციხის ყრუ კედლებმა, უთბილისობამ, საკუთარ ხვედრზე ფიქრმა: „მოვიდა ღამე — ასე აშკარა, მოვიდა ღამე და სევდა რბილი. ვერ მოვისვენე. ვაღებ ფანჯარას, რომ გადავხედო აქედან თბილისს. და ვფიქრობ ასე განმარტოებით, და ვუცდი ისევ სხვა საოცრებას. და მომაშორეს თბილისს დროებით, თბილისი გახდა ჩემთვის ოცნება. ისევ ღა-

მეა, ცა ელავს შავად და ჩემს წამებას ბოლო არ უჩანს. მგონი, ციხიდან ორ დღეში გავალ და ისევ დამღლის თბილისის ქუჩა...“

თბილისი ხომ დარდის უდაბნოც არის და მოყვავილე ედემიც, აკვანიცა და ძვალთშესალაგიც, თბილისი ციხეა — დამძიმებული და კეთროვანი, გამოთხოვება და ხსნა, უარყოფა და სინანული. ისე გრძნობდა თბილისს, ვით საკუთარ ოთახს, ხან ამ ოთახივით თბილსა და მყუდროს, ხან კი ცივსა და მიუსაფარს. ღამეულ ქარიშხლებში იფარავდა თბილისის ქუჩები, ვით უძღებ შვილს, სადღაც გადახვეწილს და კვლავ დაბრუნებულს. მისი ცხოვრება ამ ქალაქში ერთი დაუსრულებელი შიში და წამება იყო, მაგრამ სწორედ ეს შიში და წამება აკავებდა იმ ზღურბლთან, რის იქითაც ველური ყიჟინა და ჭაობი იდგა. შიში და წამება განა ბედნიერებაა?! მაგრამ რა უნდა ექნა, როცა ეს შერჩა ერთადერთ საფარად, როგორც კუს — საკუთარი ბაკანი, მისი ზიდვით წელმოწყვეტილი და სამუდამოდ დასჯილი. და ესეც დაატარებდა წამებისა და შიშის ბაკანს, წელმოხრილი და მგლოვიარე. იწამა თბილისი — ქალაქი შორეულ რიცხვის, მაგრამ ვერ იწამა ამ ქალაქის ყალბი ღიმილი, მაცთუნებლად რომ უწვდიდა ყოველ წამს წითელ ვაშლს და შორიახლოსაც რომ არ გაკარებია. უდაბნოდან გადმოხვეწილი ნადირივით დაძრწოდა მის ნაცრისფერ ქუჩებში, უალაგო და უთვისტომო და ხშირად მოსურვებია, განშორებოდა თბილისს და სადმე შორს, უცხო მხარეში ეცხოვრა მწირივით, ყველასაგან დავიწყებულსა და განკერძოებულს: „თოვლიანი დღეა და მინდა იყოს გასვენება, მინდა მივყვებოდე ცხედარს. ან ვიყო სადმე შორს, უცნობ ქალაქში და მენატრებოდეს თბილისის ნახვა. მე ახლა ვზივარ და ვწერ, გარეთ თოვლია და მდუმარება...“ ხშირად, ძალიან ხშირად გადაკარგულა ოცნებით შორს, ცის უხილავ თაღებქვეშ, როგორც ფასკუნჯი — გამჭვირვალობაში, მაგრამ სინამდვილეს შავი კედელი აღუმართავს მის წინ. ფრთებშეკვეცილი, მოჩვენებასავით დაეხეტებოდა გარიჟრაჟიდან შეღამებამდე თბილისის ქუჩებში, ნერვიული და ფერმკრთალი, ია-იებითა და ვარდებით ხელში, დაეხეტებოდა და შთაგონებულ სახეს, სპილენძისფერი რომ გადაჭკვროდა და ცისფერი თვალების მწუხარე მზერა რომ უნათებდა, მარტის სუსხი და ქარიშხალი უფორიაქებდა. ეს მწუხარე თვალები, ამღვრეული, თითქო ზერელედ მზირალი თვალები, ღრმა უპეებში რომ ჩამსხდარიყვნენ, შლიდნენ და აფერმ-

კრთალებდნენ საგნებს, მათი ხილვის უსაზღვრო არეში მოქცეულთ, შლიდნენ საგნებს და მათ მიღმა ეძიებდნენ ცხოვრების აზრსა და მიზანს. ო, ეს თვალები! ღრმა სევდითა და კაეშნით მოცული, მეოცნებე, უპირატესობითა და მფარველობით ამეტყველებული თვალები, მათში ხომ უძლურება და დაცემა კი არა, — შინაგანი წვა, სულიერი ძალა და სიფაქიზე გამოსჭვიოდა მუდამ... თბილისის ბაღებს აფარებდა თავს, იქ პოულობდა სიმშვიდესა და მარტოობას; ჩაწვებოდა გულაღმა ბუჩქებში და ფიქრობდა, ფიქრობდა და ოცნებობდა, ოცნებობდა და წერდა. ააცოცდებოდა ხელზე ჭიანჭველა და ავიწყდებოდა ყველაფერი, სადღაც შორს იძირებოდა ცის შეუღწეველ უფსკრულებში, მერე დგებოდა და ხეებს ეხვეოდა, ესაუბრებოდა, ყვითელ ფოთლებს უბეში იყრიდა და ოთახში მიჰქონდა. ზოგჯერ ისე დაიარებოდა მშობლიური ქალაქის ქუჩებში, როგორც უცხო ქვეყნიდან გადმოხვეწილი მწირი: „მთელი დღე წვიმდა. მე დავდიოდი ქუჩაში და ვეძებდი თავშესაფარს. დაღამდა. ახლა თოვლიანი ღამეა და ეზოდან ვგრძნობ საშინელ მდუმარებას...“ პეტრე-პავლე, კუკია, მთაწმინდა... აქ, — მოუსვენრად რომ დაიარებოდა საფლავებს შორის, ღრმად ჩაფიქრებული, და უსმენდა ზარების რეკვას, შორს, შორს რომ მიაქანებდა, არყოფნის სამეფოში, — ცდილობდა აეხსნა სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლო. სასაფლაოს სასტიკი მდუმარება აოცებდა, საფლავის ბინდი და იდუმალება; აქ არავინ ურღვევდა ფიქრებს, არც ყურადღებას აქცევდა ვინმე... გაიგონებდა თუ არა სამგლოვიარო მუსიკის ხმას, გაჰყვებოდა პროცესიას, გულზე ხელებგადაწყობილი, მდუმარე, სევდიანი, სულერთი იყო, ვის ასაფლავებდნენ, ან სად, — ვიღაცის სიკვდილს გლოვობდნენ და თვითონაც ამ გლოვის ჩუმი მონაწილე ხდებოდა. ყველანი მიდიოდნენ, ის კი დიდხანს რჩებოდა უცნობ საფლავთან, დაღონებული და დაფიქრებული, თითქო საყვარელ არსებას ეთხოვებოდა სამარადისოდ... და მაინც, ეკლესია იყო მისი სულის სავანე, აქ — კვირისა და აღდგომის წირვებზე, რაღაც იდუმალ ექსტაზს რომ განაცდევინებდა, თრთოდა აღმსარებლის ცოდვით შეპყრობილი; „მოდის აღდგომა... მივდივარ სიონში, ვისმენ წირვას... ხვალ თენდება აღდგომა... მე მთელი ღამე არ მძინავს... დიდი სიხარულით ვეგებები აღდგომას...“ მუსიკა — აი, ის ჯადოსნური ძალა, მის არსებას, მის პოეზიას რომ აზეციერებდა და ამშვენიერებდა; ამიტომ დაიარებოდა ხშირად კათოლი-

კეთა ეკლესიაში, უსმენდა ზაქარია ფალიაშვილის დაკრულ ორღანს, საათობით მდგარა უცნობი სახლის ფანჯარასთან გარინდეპული და უსმენია როიალის ხმისთვის, ვიღაც უცხო ქალის თითებიდან რომ იფრქვეოდნენ... ერთხელ, ზაქარია ჭიჭინაძესთან, ვინც ერთხანს შეიფარა და შეიკედლა, ანიკო ღვინიაშვილი მოვიდა, დავით კარიჭაშვილს ბარათი და წიგნები გამოეტანებია ზაქარიასთვის. მერე ზაქარიამ სთხოვა, მიეცილებინა გოგონა სახლამდე. შინ შეიწვიეს. ოთახის ერთ კუთხეში რაღაც უცხო, ლამაზად მოჩუქურთმებულ ყუთს მოჰკრა თვალი. რა არისო, იკითხა მორიდებით, ფრანგული საკრავი აღმოჩნდა. ამის მერე ხშირად დაიარებოდა ანიკოსთან, მომართავდა საკრავს, მელოდიას მელოდია ცვლიდა, და ვიდრე სანოტო გორგალი ბოლომდე არ ჩათავდებოდა, განუძრეველად უსმენდა. ამ ოჯახში გაიცნო პირველად ეკატერინე გაბაშვილი, ბაბილინა, დარია ახვლედიანი, მარიჯანი, კატო მიქელაძე, ლიდა მეგრელიძე. ესენი მეზობელ ოთახში ისხდნენ და საუბრობდნენ, თვითონ კი აქეთ მარტო უსმენდა მუსიკის მომაჯადოებელ ხმებს, რისი ცეცხლიც შორეულ ქვეყნებში დააქროლებდა... ზოგჯერ უნივერსიტეტშიც შეივლიდა, გობრონ აგარელთან, გობრონი ხომ გრიგოლ წერეთლის ასისტენტი იყო: გობრონთან ერთად დიდი ცნობისწადილით უსმენდა ხოლმე გრიგოლ წერეთლის, სერგი დანელიას, შალვა ნუცუბიძის, დიმიტრი უზნაძის ლექციებს. ყოველთვის აცვიფრებდა ანაქსაგორას პოეტური გამონათქვამი: მზე უზარმაზარი ცეცხლოვანი სფეროა, დაღამებისას ქრება, დილას კი ისევ ინთება, და ასე გრძელდება მარადიულად... სტუდენტ-ახალგაზრდობას იზიდავდა მისი იდუმალი ცხოვრება და თანაუგრძნობდნენ.

მუდამ უჭირდა. დილას არ იცოდა, ისადილებდა თუ არა, საღამოს არ იცოდა, სად გაათევდა ღამეს. სამსახურის ეშინოდა. მომავალი დღე ამოუხსნელ ქიმერად ესახებოდა, მხოლოდ „ახლა“, მხოლოდ „წამი“ და ამ წამიერებაში მოქცეული მარადისობა არსებობდა მისთვის; ყოველი ახალი დღე ახალ ცხოვრებას სთავაზობდა, მეორე დღესვე რომ საკუთარი ხელებით ამსხვრევდა... „შვიდი შაური მასესხე!..“ სთხოვდა ვინმე ნაცნობს ან მეგობარს მცირე ულუფის საფასურს, და „მასესხე“ ისე იყო ნათქვამი, „მომეცის“ უფრო ნიშნავდა და უარის თქმასაც, კიდეც რომ სდომოდა, ვერავინ ახერხებდა... თავის პირად გაჭირვებაზე არასოდეს

ულაპარაკია, ყოველთვის დუმდა; არავინ იცოდა, სად ეძინა, სად ათევდა ღამეს, სად ჭამდა, სად სვამდა... ამ გახსენებამ თომა ჩიქვანაიას სიტყვები გაახსენა: „...ტერენტი გრანელი, მშიერ-მწყურვალი, დაფლეთილ-დაგლეჯილ ტანისამოსში გახვეული, უბინაო და უთავშესაფრო, საცოდავად დაეხეტება ქუჩა-ქუჩა და მე ყოველთვის მეშინია, რომ ხვალ მას სადმე თფილისის ქუჩაზე გადამთიელი მეეზოვე იპოვნის სიცივისაგან გაფიჩხულს, შიმშილისაგან სულამომძვრალს...“ ყველა იცნობს თბილისში, ყველას რაღაც სმენია მის უცნაურ ცხოვრებაზე. უყვარდა თბილისს, უყვარდა ისე, როგორც დედას — სნებიანი შვილი, რომ ტანჯავს და მაინც უყვარს, რომ აწამებს და მაინც რომ მას აფარებს დახეულ კალთას. საბედისწერო მორგია მისთვის თბილისი, თავდავიწყებით გაურბის და კვლავ განახლებული ტკივილებით უბრუნდება, რომ შეერწყას ამ ქალაქის თვეებსა და დღეებს, საათებსა და წამებს, რიცხვებს მომავალ საუკუნეთა. ასეთია მისი ხვედრი, მისი ბედისწერა, ახლა რომ ისე მორჩილებს, ვით წყვდიადში გზაარეული მხედარი — ცხენის გუმანსა და ალღოს. ადრე განა თბილისის მიწიერებას ან მის ცხადიერ მოხაზულობას ებრძოდა?! საკუთარ არსებაში ჩაბუდებულ ბედისწერას ებრძოდა. ო, როგორ ლამობდა მის დამხობას, მის დამორჩილებას, როგორ ებრძოდა საკუთარ აჩრდილს, საკუთარ ორეულს, ქალაქის ქუჩებში საბედისწერო ნიღბით მოარულს, ებრძოდა და იკარგებოდა თბილისის მისტიურ ლაბირინთებში, იქ რომ მაინც ეხილა და შეეცნო არსებობის აზრი და მიზანი, შეეცნო, რადგანაც ღირდა ცხოვრება, ღირდა თუნდაც იმიტომ, რომ საკუთარ თავზე ეგემა დამცირება იმ ცხოვრებისაგან, ველური ყიჟინა რომ ერქვა... იმ საშინელი მოლანდების მერე („თავში გველი მყავს!“), ბნელი ოთახის კედლებზე რომ ათასნაირ სურათებს ხედავდა, იშვიათად ეცხადებოდა ქალაქს. კაცმა არ იცოდა მისი ასავალ-დასავალი, ბევრმა არც ის იცოდა — ცოცხალი იყო თუ მკვდარი, და საერთოდ აღარც კი ახსოვდათ ალბათ. ერთ დღეს მოჩვენებასავით გამოეცხადა ქალაქს: მოდის რულსთაველზე, ძლივს მოლასლასებს, თუმცა აგვისტოს პაპანაქებაა, პალტო აცვია, გრძელი კალთები ქუჩას მისთრევს. მოდის მშიერ-მწყურვალი, გამხდარი, სნებიანი, მოდის და მოაქვს წმინდა გული, მოდის და ვერავის ამჩნევს გარშემო, ვერავის და ვერაფერს; ზოგჯერ საკუთარ აჩრდილს თუ შეავლებს

თვალს, ხან რომ გაიზრდება და ხან რომ დაპატარავდება. იღლიაში ცისფერყდიანი „ანა კარენინა“ ამოუჩრია და მოდის თავისთვის, თავის მტვრიან გზაზე, მარტო, სრულიად მარტო, მოდის და ცისფერი, ჩაფერფლილი თვალებით ისე შესცქერის ზეცას, სადაც არის კიბე დაიწყება და ზეასვლას შეუდგებაო... ჩუმად, უტყვად ჩაიარა იქ, „ახალგაზრდა კომუნისტის“ მწერლები რომ იკრიბებიან, ოპერის პირდაპირ. უეცრად ფრიდონ ნაროუშვილის გამყინავი ხმა ჩაესმა: „გიჟია, სულელია, გვარცხვენს პოეტებს!..“ ციებიანივით შეაჟრჟოლა ტანში. „გნომიო!“ მიაძახა ჩურჩულით და ისე გააგრძელა გზა, უკან არც კი მოუხედავს. ზურგსუკან იგრძნო, ელვისუმალ როგორ მოწყდა ნაროუშვილი ადგილს, ხელიდან წიგნი გააგდებინა და სილა გააწნა: თავბრუ დაეხვა, იქვე ხეს მიეყრდნო და ჩაიკეცა, შეებრალა საკუთარი თავი და ჩუმად ატირდა. ნაროუშვილი კი ისევ შემზარავად გაიძახოდა: „მათხოვარია, გიჟია, ავადმყოფია, გვარცხვენს პოეტებს!..“ დღესაც კი, როცა ყოველივე შავს წყალს წაუღია და ბინდს დაუფარავს შორეული იმედები, ისეთი შეგრძნება აქვს, თითქო თვითონაც მოსახმარი რამ საგანი იყოს ამ აურაცხელ საგანთა შორის, დროის სტიქიურ მდინარებას რომ დამორჩილებიან და ადამიანებიც ბრეიგელის კაცუნებს დამსგავსებიან, ყოველდღიური არსებობით კმაყოფილნი და უიმედოდ იმედიანნი; მათთვის ხომ კარგახანია ჩამქრალა ის ანთებული კელაპტარი, ერის სულში საუკუნეები რომ აწრთობდა და იფარავდა, რომ არ ჩამქრალიყო, რომ არ გამქრალიყო... თბილისი, წმინდა წამების ალაგად შეგრძნებული, მორიელივით განრთხმია ახლა მიწას, შხამართმეული და ქანცმილეული, და მაინც დგას ეს რუხი ქალაქი — ათას ქარიშხლებს გადარჩენილი, მარტოკაცთა მხსნელი და იმედი... და ისე გარინდებულა ახლა მის წინაშე, ვით მონანიე — საკურთხევლის წინაშე, ხორცით ნაგვემ-გაპარტახებული, მაგრამ სულით უბიწო და წმინდა, ის სული, რაღაცნაირ მოციმციმე ცისფერ წერტილად, ხან კი ალისფერ ხაზად რომ წრიალებს ახლა მის გარშემო, ებრძვის ნაგვემ სხეულს და ცდილობს მისი პატიმრობისაგან თავის დაღწევას, თბილისის წმინდა მიწას, მის მარადიულ სასუფეველს რომ ეზიაროს: „მე ისევ ძალას ვიკრებ დილისთვის და ანგელოზი ჩემ სულში ცხოვრობს. რა ვქნა, დღეს მინდა ვნახო თბილისი, ვნახო თბილისი და მეუცხოვოს. მზის ნაპერწკალი ეშვება ციდან, მოდის

შუადღე, როგორც ანთება. ისევ თბილისის შუქი მიზიდავს, ისევ თბილისის ცა მენატრება. მზიანი დღეა, მე ჩინარს ვუმზერ, სოფელს სიჩუმის დემონი იცავს. მალე მოვკვდები და ვიცი, გულზე, რომ დამაყრიან თბილისის მიწას...“

გრილმა ნიავმა გამოაფხიზლა და შორეული ფიქრებიდან თუ ზმანებებიდან ისევ ამწუთიერ არსებობაში დააბრუნა. ნეტაი მართლა უამური სიზმარი იყოს ყოველივე, გაგეღვიძება და გაგეხარდება, მზის სითბო და სინათლე ჩაგეღვრება სულში, მაგრამ ვაი რომ სინამდვილე ჩასჩერებია თვალებში, მკაცრი სინამდვილე, ვით ყვავილნარიდან — გველის გამყინავი თვალები. წამით მოუნდა წამომხტარიყო და პატარა ბიჭივით დაერბინა თბილისის ქუჩები, ჩახვეოდა ყველა ადგილს, სადაც ოდესმე ფეხი დაედგა; მაგრამ ეს მხოლოდ წამით იყო... თითქო რაღაც უხილავ ძალას შეუპყრიაო, მთელი სხეული ისე გათანგვია, სითეთრისა და სიშავის არეებს ლიბრისფერი გადაჰკვრია და წაშლილა მათ შორის ზღვარი, ერთმანეთში ჩაღვრილან და შერწყმიან ერთმანეთს, თითქო სადღაც იძირებოდეს მძიმედ და ღრმად, უფრო და უფრო ერღვევა ტანი, ბორგავს სული, ყრუ და გამუდმებული ტკივილებით დაღლილი. ღმერთო დიდებულო! რა საოცარი ღამეა... ასეთი ლამაზი სურათები კაიხანია აღარ უხილავს, ასეთი საამო ჰანგები კაიხანია აღარ სმენია... ღრუბლებიდან ნელ-ნელა ამოცურდა ქაშუეთი — სპეტაკი და წმინდა, ვით მონანიეს მხურვალე ლოცვა, სანთელივით აუელვარა გუმბათი მთვარის ნათელმა; სამრეკლოზე მსუბუქად, უხმოდ ირწევა ზარი, ვით ზმანებაში, იმ სამრეკლოზე, არაერთხელ რომ გაუთევია ღამე მიუსაფარს... მაგრამ მისი სული და გონება ახლა იქ დაჰქრის, სადაც ჩაისახა მისი სიცოცხლე, საიდანაც დაიწყო მისი ცხოვრება, სადაც დაუსაზღვრა ბედისწერამ არსებობა, დაუსაზღვრა და წამები საუკუნედ უქცია. ყველაფერი წავიდა, პაწაწინა იმედის სხივიც ჩაქრა და დარჩა გარიყული კუნძულზე, ბერივით რომ შეხიზნებია ახლა მის უდაბურებას, მალე თოვლი მოვა და დაიწყება გრძელი ზამთარი, ო, რა გაათბობს მის გათოშილ სულს, მარადიულ სითბოსა და გაზაფხულს მონატრებული!.. თითქო სიზმარს ხედავსო სიზმარში, ისე ხედავს წარსულ ცხოვრებას, თავის ბავშვობას, თავის წალენჯიხას, ხედავს და

იგონებს სოფელს, ვით წმინდა სავანეს. სძინავთ ახლა სოფელში, მშვიდი და ნეტარი ძილით, ყოველდღიური გარჯა-ტანჯვისაგან დაღლილებს, ოდის უკან ჩამავალი ღელე კი ალბათ მისი გულივით შფოთავს და ხმაურობს: „მოდის საღამო, ეს დღე ილევა და ირგვლივ სოფლის თეთრი სივრცეა. აღარ ეტყობა სოფელს ცვლილება და წალენჯიხა ისევ ისეა. მწვანეა ველი ახლო მდებარე და გზაზე შეშა მიაქვთ ვიღაცებს. ქრიან ბავშვობის მოგონებანი და მიმაქვს ფიქრი წალენჯიხაზე. ახლოს მტერია დაუნდობელი და მოდის წვიმა, სუფევს ავდარი. ჩანს წალენჯიხა — ჩემი სოფელი, ჩანს წალენჯიხის ძველი საყდარი. და ქარიშხალი სოფელს არ აცდა, ამნაირ იღბალს არც მე ავცდები. კვლავ ჭადრებია ეკლესიასთან და იქვე ახლო დგანან ცაცხვები. მოდის საღამო, ეს დღე ილევა და ირგვლივ სოფლის თეთრი სივრცეა. აღარ ეტყობა სოფელს ცვლილება და წალენჯიხა ისევ ისეა...“ სოფელი განა დაუსაბამო სივრცე არ იყო მისთვის, სითეთრისა და სიცისფერის უსაზღვრო ველი, თბილისის ღამეებით გატანჯული განა ისევ სოფელს არ აფარებდა თავს, სადაც ყველაფერი არაამქვეყნიური ნეტარებით სუნთქავდა, სადაც უცხონაირად შრიალებდა სოფლის გაყვითლებული ტყე-ველი, მოწყენილი დების ცრემლები?! ახლაც, როგორც ოდესღაც, გარბის თბილისიდან, მაგრამ გარბის ხილვებსა და წარმოსახვებში, სოფლის სიჩუმესა და სიმშვიდეში რომ გაუჩინარდეს, ქალაქის ხმაურისაგან რეტდასხმული, დევნილი, სურამის „სამოთხიდან“ ლტოლვილი... აი, სახლი, სადაც დაიბადა, სადაც პირველად ჩაესმა დედის ნანა, სადაც ბავშვობა გაატარა, სახლი — „რომელიც უკვე გაყიდულია“, აი, დები — მაშო და ზოზია, ერთადერთი მშობლიური ადამიანები, რომელთა კალთაშიც ჩაურგავს თავი და მწარედ მისტირის ბავშვობის მოუბრუნებელ წლებს; აი, მაცხოვრის ეკლესია, სადაც პირველად იხილა თეთრ რაშზე ამხედრებული წმინდა გიორგი, შუბაპყრობილი გველეშაპს რომ გმირავს, იხილა წმინდა მარიამი, ჯვარცმული ძის დამტირებელი... წამით სიხარული და სიმშვიდე ჩაეღვარა სულში, მაგრამ მხოლოდ წამით; უმალვე ჩაუქრა წამიერი სიხარული. წამიერი გზნება და კვლავ ღრუბელი ჩამოეფინა სახეზე, ისევ ცრემლი და ტკივილი მოებჯინა ყელში, — ის ხომ ყველასათვის უცხოა უკვე, მისთვის უცხოა ყველა, ძვირფასი და სანატრელი დებიც კი უცხოა ახლა, აქაც გულგრილობა და განურჩევლობა გამეფებულა, აქაც

თავის წვრილმან საზრუნავში ჩაფლულა ყველა. ისევ სიცარიელე ეუფლება, სიცარიელე, ერთ ადგილზე რომ ყინავს კაცს, როცა არსად არ გინდა, როცა არაფერი არ გინდა, როცა არავინ არ გინდა. მაგრამ აი, ანუგეშებს ზოზია და იმედის პაწაწინა ნამცეცებიც ჩნდება, უმალვე კენკავს მარტოობის დაუნდობელი ნისკარტი. ადრე, ბავშვობაში, ვარდისფერ ლაჟვარდებში რომ დაჰქროდა, ცხოვრება ლამაზი და მშვენიერი ეცხადებოდა მის გულს და გონებას — შეუმკრთალსა და სისხამს, მაგრამ უმალვე გაუქარწყლდა ყველაფერი, როგორც კი მოკუპრული და გაუღწეველი ცა იხილეს მისმა თვალებმა, როგორც კი ღრმად ჩახედა ნისლიან თვალებში ყვავს — ჟამთასვლისაგან გაყინულსა და აბუზულს. ცხოვრებისაგან საოცრებას ელოდა, ელოდა სასწაულს, რაღაც სხვას, მაგრამ იხილა ულმობელი და შემზარავი თვალები გველის. ხანდახან თუ იმედის სხივი აუკიაფდებოდა, როგორც წეღან — ზოზიას წამიერი ნუგეშისას, ისიც ისე მალე ეკარგებოდა თვალსა და ხელს შუა, ვით თვალსაწიერისკენ მიმავალი გემი. ცხოვრების ლამაზი ფერები, ბავშვური გულუბრყვილობით რომ ხატავდა, უმალვე ჩამოიქცა მის თვალწინ და ბინდი ჩამოდგა იქ, სადაც სინათლეს ელოდა, და ამ ბინდმა მისი ბავშვური წარმოდგენები დაშალა და დააქუცმაცა, მერე ისევ შეადედა და ერთ მთლიან ჭრილობად აქცია, იმად, წუთისოფლის ოკრობოკრო გზებზე მტანჯველი და დამღლელი სიარული რომ ჰქვია. დარჩა მხოლოდ წამიერი განცდა სოფლური იდილიისა, ლტოლვა სოფლური იდილიისაკენ, და ეს ლტოლვა და ოცნება ასაზრდოებდა მის სულს, მაგრამ როგორც კი ცხადად იხილავდა და შეეხებოდა სოფელს, მაშინვე უკუქცევის განცდას აღუძრავდა, ვით კრამიტზე დაცემული სეტყვა. განა თბილისთანაც ასეთივე კავშირით არ იყო შეკრული?! გონებით წარმოსახული თბილისი, მის არსებაში მოლივლივე, უფრო მიმზიდველი და სხვანაირი იყო, ვიდრე ნამდვილი, ცხადიერი თბილისი, დილის ბინდში გამკრთალი მისი ასიმეტრიული ხაზები მხოლოდ მიზეზი იყო უცხო, მისტიური ქალაქის წარმოსადგენად. ამიტომ გაურბოდა თბილისს, გაურბოდა მის ცხადიერ სახებას და არა მისტიურ ანარეკლს, გაურბოდა და თავის გაყინულ ოთახში სოფლის იდილიურ სურათებს თხზავდა: „არავინ, მარტო დავრჩი სრულიად, მიდიან, დღეებს ბოლო არ უჩანს. ზამთარი გაჰქრა, გაზაფხულია და სადღაც ყვავილს დაყრის

ალუჩა. დანამულია ეზო, ყანები, იქვე დგას ძროხა, იქვე ძაღლია. ალბათ, ბავშვები, დედის ბრძანებით, ვიღაც მეზობლის ქალს უძახიან. მოვარდნილ ქარში შრიალებს ალვა, ტყე არ მინახავს დიდი ხანია. დადგა მაისი, სოფელში, ალბათ, უფრო დუმილი და სიმწვანეა. გათენდა დილა, ახლა ცვარია, გათენდა დილა, ჩამოწვა ნისლი. არავინ არის, მხოლოდ ქარია, მხოლოდ ფოთლების შრიალი ისმის. და სოფელს ვუძღვნი მე ამ სტრიქონებს (იდუმალია ეს დღე მზიანი). ალბათ, შარშანდელ ზაფხულს იგონებს სოფელში ვიღაც ადამიანი...“

სოფელი მარტო წმინდა ალაგი როდია, დამბადებელი და გამზრდელი, ბედისწერაა გარდუვალი, უშორეს საუკუნეებში რომ აქვს ალბათ ფესვები გადგმული. ძველი ბერძენივით სწამს ბედისწერის, რისი უხილავი ძალაც განაგებს კაცთა ცხოვრებას, დაბადებასა და სიკვდილს. ბედისწერამ არ დაუსაზღვრა განა იდუმალი წრე და სამუდამო დაღიც განა ბედისწერამ არ დაასვა მის ცხოვრებას, ყოველ მის სიტყვას, მის ყოველ მოქმედებას?!. პირველი ლექსი განა ბედისწერამ არ დააწერინა?!. ბედი ხომ დროა — დაბადებასა და სიკვდილს შუა მოქცეული, უხილავი სფეროა, ქვეცნობიერების ქარი რომ უგზო-უკვლოდ დააქროლებს ზევით თუ ქვევით, იქით და აქეთ; მთელი ქვეყნის ბედიც ქარს არ უკავია?!. ბედისწერამ დაუსაზღვრა დაბადების დრო და ალაგი, ბედისწერამ უბოძა გვარი და სახელი, ბედისწერამ ჩაუსახა ხასიათი და განუმზადა ამოსახსნელ თუ ამოუხსნელ ამოცანათა წრე, ბედისწერამ უწყალობა სიხარულისა თუ მწუხარების, ბედნიერებისა თუ უბედურების წამები, წამები, ხან რომ აინთებოდნენ და ხან რომ ჩაქრებოდნენ. სწამს, ბედისწერის ძალამ რომ დაბადა სწორედ აქ — წალენჯიხაში, საქართველოში, და არა სადმე სხვაგან, უცხო ქვეყანაში, დაიბადა სწორედ სამ ივნისს, 1898 წელს, და არა სხვა დროს, სხვა თვესა თუ სხვა საუკუნეში; მას ხომ სწორედ ამ საუკუნის ხვედრი უნდა გაეზიარებინა, სნებასავით უნდა ეტარებინა მისი ტკივილი საკუთარ არსებაში. ეს რიცხვი სწორედ ბედისწერამ ჩაწერა თავისი უხილავი ხელით წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის დაბადებათა ნუსხაში, გვარიც და სახელიც, — ტერენტი კვირკველია, — მანვე უწყალობა, მის ჯილაგში დაწყებული სიცოცხლე რომ არ შეწყვეტილიყო და გაგრძელებულიყო. სიტყვა „დაბადებას“ ყოველთვის რაღაც მაგიურსა და იდუმალ

მნიშვნელობას ანიჭებდა, და რაც უფრო ღრმად ცდილობდა მისი არსის შეცნობას, უფრო მეტად უახლოვდებოდა სიკვდილს, როგორც მთის მდინარე — ოკეანის უკაცრიელ სანაპიროებს. ახლა შეცნობილი აქვს დაბადება დაბადებაც რომ არის და სიკვდილიც, ხოლო სიკვდილი — სიკვდილიც არის და დაბადებაც. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სიცოცხლეში წამიერად ვცოცხლობთ, სიკვდილში — საუკუნოდ. იმასაც ცხადად გრძნობს უკვე, მისი სიკვდილის რიცხვსაც რომ მალე ჩასწერენ გაყვითლებული ქაღალდის ნაგლეჯზე და სადმე საცავში გულმოდგინედ შეინახავენ... ახლა სოფელში სიმშვიდეა ალბათ, აქ კი წუხილია და ღამის გრიგალები, ცივი და გრძელი ზამთარიც ახლოვდება და იზიდავს სოფლის სიმწველე, ნეტარი ცოდვა და ყრუ სიფაქიზე, იზიდავს მშვენიერი ცა, მზე, თოვლიანი მწვერვალები; და ახლა, ასე ცხადად რომ გრძნობს აღსასრულის წამებს, ოდეს ყოველივე გადაწყვეტილი და დამთავრებულია, გულით მოუნდა სოფელში ყოფნა, სულის მოთქმა მის წიაღში, მის სიმყუდროვეში განწმენდა და განწმენდილი იქ დაბრუნება, საიდანაც ოცდათექვსმეტი წლის წინათ მოვიდა... თითქო ცხადად ხედავს სოფელ ჯგალის გზაჯვარედინთან ყავრით დახურულ ჯარგვალს, სადაც დაიბადა და სადაც პირველად შეხედა მზეს; „შოუ ნანა, შოუ შვილო, შვილო ცისკენ ფრთაგაწვდილო“, თითქო ცხადად ჩაესმის დედის სევდიანი სიმღერა, სადღაც შორს, უსასრულობაში რომ იკარგება. ყოველივე, რაც მერე იგრძნო და განიცადა, აქ, ამ ჯარგვალში იშვა მასთან ერთად, იშვა და მრავალწერტილად მოეფინა მის წუთისოფელს, ტანჯვით რომ ატარა თავის ბებერ მკერდზე, ბევრი შხამი რომ ასვა, მაგრამ არასოდეს წაშლილა მის არსებაში, ვით ღრუბელი ვერ შლის ცაზე მოკიაფე ვარსკვლავს, არასოდეს დაჭკნობია ის ძირი, რაზეც აღმოცენდა და რასთანაც ბედისწერამ დააკავშირა. და უხმობს მამისეული კერია, მისი იდუმალი შრიალი, უხმობს ბავშვობა, ამ შრიალში ჩამქრალი და საუდამოდ ჩაფერფლილი: „რა ვქნა, მას შემდეგ დიდი ხანია, რაც არ მინახავს ჩემი სოფელი. მარტო მივდივარ, ჩუმი ღამეა, მივდივარ ასე შეუცნობელი. პოეტს ცისფერი ოცნება დაღლის, რადგან სიცოცხლე მეტად რთულია; და მესიზმრება ის ჩვენი სახლი, რომელიც უკვე გაყიდულია...“

...კვირა დილაა. წალენჯიხის თოვლიან მთებს მარტის მცხუნვარე მზე ანათებს. ჯერ კიდევ სუსხია, თოვლი გაუმლღვალია, გზე-

ბი ატალახებული. ანაკლიიდან ზღვაური უბერავს, ძვალსა და რბილში ატანს, მინდვრებში ჩამდგარი გუბეები ყინვას გადაუთეთრებია. გამოფენილან შარაზე წალენჯიხელები, ეკლესიაში მიეშურებიან კვირის წირვაზე, მიდიან, კიდევ ერთხელ რომ შეავედრონ ღმერთს შვილის მორჩენა, ოჯახის სიკეთე, უხვი მოსავალი, მშვიდობა, მიდიან უიმედოდ იმედიანნი, შეუცნობელი მღელვარებით შეპყრობილნი... ცხრა წლისა ფეხდაფეხ მისდევს დედინაცვალს — ღვთისმოშიშ დარიას , მამას — სამსონს კი მაშოსა და ზოზიასათვის ჩაუვლია მოუხეშავი ხელები და დინჯად მიაბიჯებს, თავდახრილი და გოროზი. დედინაცვლის კალთას მიკრული, განცვიფრებული თვალებით უმზერს საღმრთო რიტუალს, ეკლესიის მოხატულობას, წმინდანებსა და ექვსფრთიან ანგელოზებს, მთავარანგელოზ გაბრიელსა და მარეხ დედოფალს, თეთრ რაშზე ამხედრებულ წმინდა გიორგის, შუბაპყრობილი გველეშაპს რომ გმირავს; გალობად ჩაესმის აღვლენილი ლოცვა: „გამოავლინე ნათელი შენი და ჭეშმარიტებაჲ შენი, ესენი მიმიძღუეს და მიმიყვანეს მე მთასა წმიდასა შენსა და საყოფელთა შენთა... მოიქეც ბოროტისაგან და ქმენ კეთილ, მოიძიე მშვიდობაჲ და მისდევდი მას...“ თავადაც ფრესკას მოჰგავს, ოქროსფერი კულულებითა და ცისფერი თვალებით, საიდანაც შეფარული სევდა გამოკრთის. ანთებულ სახეს სანთლებიდან დაფრქვეული სინათლე უცისკროვნებს, აკვირდება ჩაფერფლილ სანთლებს... და ფითრდება, ფითრდება... „მთასა წმიდასა!.. მთასა წმიდასა!.. მთასა წმიდასა!..“ ახლაც ცხადად ჩაესმის ყურებში, თავადაც რომ იმეორებდა ჩურჩულით, და თითქო მართლა მიუყვებოდა უხილავ მთაზე ამავალ ბილიკს... ეკლესიიდან მობრუნებული, მდუმარედ მიჰყვება დედინაცვალს, თოვლიან მთებს უმზერს და თავში ათასი ამოუხსნელი აზრი და კითხვა უტრიალებს. თოვლის სითეთრე უფრო უცისფერებს თვალებს, და ეს თვალები მეტყველებენ, მათ პატრონს ცისმიღმიერი სამყაროს ხილვა რომ სწადია. მაგრამ ირგვლივ ნისლია და უსაზღვრო სივრცე. ჩრდილოეთით კი დიდი მთებია, ნისლისა და სივრცის სითეთრეში ნაცრისფრად რომ იკარგებიან; ირგვლივ ნისლია და ტრიალი ველი, ველზე მარტოეულად მდგარი ხე — უფოთლო, უნაყოფო, ყინვისაგან დამზრალი. ხეზე ყვავი ჩამომჯდარა, აბუზული, ფრთებჩამოყრილი, ლიბრიანი თვალებით მიწას ჩაჰყურებს, თითქო რაღაც დაფარულ საიდუმლოს

ამოხსნას ცდილობსო. ირგვლივ კი ნისლია და სივრცე უსაზღვრო. ჰაერი ტყდება გაყინული წყლის სიფრიფანა ზედაპირივით, მხოლოდ ეს არღვევს ბუნების სიმყუდროვეს. ყვავი კი ზის მარტოკაცივით, ფრთებჩამოყრილი, თავჩაქინდრული და უაზროდ ჩასცქერის მიწას. მისჩერებია აბუზულ ყვავს და ფეხდაფეხ მისდევს დედინაცვალს, სივრცის უსასრულობას, მიწის სიმკვრივეს, რაღაცნაირ იდუმალ კავშირს ამყარებს მათ შორის და, შინმობრუნებულს, შინაური გარემო აფორიაქებს, ყოფითი ნივთები განრიდების განცდას აღუძრავენ, განმარტოებაში ჰპოვებს სიმშვიდეს... აი, ჩამომჯდარა ჭანისწყლის პირას, კაკლის ხის ძირში და აკვირდება ბუნებას; ამ მიდამოში აღეძრა პირველად შიში და კრძალვა ბუნებისადმი, აქ ცდილობდა ჩასწვდომოდა ბუნების იდუმალებას, ამოეხსნა იმ იდუმალების არსი, შეეგრძნო ბუნების სიდიადე, მისი დუმილის ძალა და აზრი. ხშირად დაიარება ძველ კოშკში, სკურის მახლობლად, დუმილსა და უდაბურებას რომ დაუსადგურებია, დროდადრო ბუს ძახილი რომ არღვევს ამ უდაბურ სიმყუდროვეს. გარინდებული უმზერს ყვავილებს, ხეებს, ჩიტებს, ბალახებს, ჩაშტერებია ჭანისწყალს, ისმენს მის ხმიერ მუსიკას, უმზერს ცას და ჩაესმის გლეხების შორეული სიმღერა: „აშო ჩელა, აშო ბუსკა, ოვ ნანა, ნანაია ნანინა. სი მონობას გეგაფილი, ოვ ნანა, ნანაია ნანინა...“ „შორს მომზირალი ცისფერი თვალები ცრემლით ევსება და თავისთვის რაღაცას ჩურჩულებს, გრძნობს შიგნიდან მოწოლილ შეუცნობელ ძალას... და ფითრდება. ფითრდება...

ადრე გაეღვიძა ცხოვრების შეცნობის ჟინი, გაფაციცებით აყურადებდა საკუთარი არსების ყოველ ცვალებადობას, სულის ყოველ მოძრაობას. პირველად რომ შეიგრძნო, საით მიჰყავდა შეცნობის ჟინს, რა სიღრმეები და დაბრკოლებები უნდა გაევლო, არ უცდია ფრთები შეეკვეცა ამ ჟინისთვის, პირიქით, — ისე მიისწრაფოდა მისკენ, ვით მონუსხული მსხვერპლი — გველის შხამიანი ხახისკენ. ბავშვობაშივე აღეძრა სურვილი — შეეცნო საკუთარი თავი, შეეცნო წუთისოფელი, შეეცნო არსებობის აზრი და მიზანი, მრავალი კითხვა თუ პასუხი ისე ქაოსურად ურიალებდა გონებაში, ვით მოლეკულები — წყლის გამჭვირვალე წვეთში. ეს დაფარული და მტანჯველი სურვილი შემეცნებისა, ათასნაირ აზრსა და განცდას რომ აღუძრავდა და გარესამყაროც უფრო მიმზიდ-

ველი, მაცთუნებელი რომ ეჩვენებოდა, უფრო და უფრო ითრევ-
და შეუცნობელის უსასრულო მორევში. სამყარო თითქო გად-
მოპირქვავებული იმზირებოდა მის თვალებში, მოგვიანებით რომ
დაუსაზღვრავ მისტიურ სივრცეებს დააკავშირა. ხოლო ნივთიერი
და ცხადიერი ყოფა უცხო მიწა აღმოჩნდა მისთვის, უდაბურ
კუნძულზე გამორიყული მეზღვაურივით, და ამ ყოფასთან ფრთხი-
ლი, იქვნეული, დასაზღვრული კავშირი დაამყარა. ეს გრძნობა
ბუნდოვნად მაშინ ჩაესახა, ხუთი წლისამ დედა რომ დაკარგა,
„იყოსა“ და „არა იყოს“ ზღვარზე რომ მიბორძიკობდა მისი
მღვრიე ცნობიერება, იმ წამებში, დედა რომ სამარეში ჩაუშვეს და მი-
სი ბავშვობაც რომ ამ სამარის პირთან დამთავრდა. „არ მიგრძვნია
ჩემი დედის ძუძუ, ყველაფერი სიზმარივით მიდის“, დედისა, ვის-
განაც მხოლოდ სურათი შემორჩა რელიქვიად, მისი ფაქიზი, უბი-
წო მზერა. და კიდევ... სათნოება და ტკბილი ნანა — სულში ჩაღვ-
რილი და ჩამზეევებული:: „ნანაია, ნანა სქუა ნანაშ ჭირიმა, არკვა-
ნიშა იშამჯანუ ვარდიში პირი მა.. ქუჩუჩელი ვარდი რექ, ბუა
დო თუთაში ნარდი რექ, დიხუხინე გოლვაფირო, სქანი ჭირიმა!..“
თითქო ახლაც ხედავს შაოსანი ხალხით სავსე ჯარგვალს, შუაგულ-
ში ჭილოფზე რომ კუბო ასვენია, კუბოში —-დედა, მძინარეს რომ
მოჰგავს, და რომ ვერ აუხსნია, ასეთ უცნაურ საწოლში რად ჩაუწ-
ვენიათ; კუბოს გარსშემოჯარვიან თმაგაშლილი ქალები: მეზობ-
ლები, დედის ნათესავები, და ყველა ერთად მოთქვამს, მოთქმას
გალობა მოსდევს, გალობას მამაკაცთა ურვა და გოდება, ქოროს
ზარივით რომ ყღერს საკმევლის სუნით გაჟღენთილ ჯარგვალში.
ტანში ჟრუანტელი უვლის და ხედავს თავდახრილი მამის გვერ-
დით რა მორჩილად დგანან მაშო და ზოზია, ხედავს ზოზიას თვა-
ლებზე მომწყდარ წყვილ ცრემლს, მარგალიტებივით რომ უკია-
ფობს ატმისფერ ღაწვებზე. კუბოს თავთან სანთელი იღვენთება,
გარინდებული უმზერს დედის მძინარ, გასხივოსნებულ სახეს და
თვალებით უსაზღვრო გაოცებას გამოხატავს... არასოდეს დავიწყ-
ნია დედის სათნო სახე, მის არსებაში რომ ღრმად გაედგა ფესვე-
ბი, და ყოველთვის — მარტოობის ჟამსა თუ სიხარულის წამებ-
ში, ცხადში თუ სიზმარში, — მის სითბოს გრძნობდა, მის იმქვეყ-
ნიურ თანაგრძნობას: „რა ვქნა, ციხეა, ვშფოთავ, ცისკენ მივყა-
ვარ სურვილს. და ემსგავსება ფოთოლს ჩემი მწუხარე სული.
მოდის შაბათი, კვირა, საშინელ სურათს ვხედავ და მესიზმრება

ხშირად მიცვალებული დედა...“ სიკვდილი, ღედას რომ მოულოდნელად ეწვია, გვიან გაიცნობიერა და მთელი ცხოვრება აჰოეესნელ ქიმერად ექცა. შიშითა და იკვით დაიასლოვა ყოფითი საგნები, ცდილობდა აეხსნა ის კავშირი, სახეს რომ უცვლის საგანთა გარეგნულ ხატს და ცნობიერებაში იერშეცვლილი ილანდებიან, ვით მთვარიანში მოთარეშე ნადირთა ჩრდილები. ეს აფრთხობდა, შიში აიძულებდა გაეწყვიტა ყოფიერ საგნებთან ასეთი უცნაური კავშირი, ცდილობდა შეეცნო სავნის არსი, ეპილა საგნის შინაგანი სახე და არა ის, რაც ცხადიერ ხაზებში ჩანს, ეპილა და ქვეცნობიერად იმასაც მიელტვოდა, ხილვები და შეგრძნებები რომ გაებუნებითებია და ყოფიერი საგნები ამ ხილვებსა და შეგრძნებებში გაელღო და გაემქვრია. მოგვიანებით, სწორედ ასე გაცნობიერდა დედის სიკვდილი მის არსებაში: „მაისია. გარეთ წვიმის წვეთების ნელი შრიალი ისმის. ტირის მოწყენილი ფრინველი ქვეყნის ობლობას. მახლობელ ღელესთან წმინდა ფოთლები სცვივა ალვის ხეებს. წყალი მიდის ჩუმი და წყნარი, როგორც ცრემლი. ფოთლები აწყვია ღელესთან, როგორც ცხედარი. ახლო მინასთან ძინავს მიცვალებულს და კუბოსთან დნება ყვითელი სანთელი. გარეთ წვიმს, ძაღლი ტირის სოფელს. მამლები აღვიქებენ მიდამოს. სოფელი წყალივით ჩუმი, სოფელი მიტოვებული სამარე, მარად ობოლი...“ ამ შორეულ და ნისლიან ხილვებს წალენჯიხის დიადი ბუნება შთააგონებდა, პირველქმნილი და ბუნებრივი უბრალოებისაკენ მიაქცევდა, და ასე აღწევდა ადამიანის გაბუნებრიობისა და ბუნების გაადამიანების იდუმალ ფერიცვალებას. ვით ლავა მიელტვის შედედებასა და გაქვავებას, ხოლო ქვა — ღაქუცმაცებას, შეუგრძნობელ სიმხურვალეში რომ კვლავ ლავად იქცეს. გარესამყაროს საგნები დაქუცმაცებულნი შექროდნენ მის ხილვებში, ვით ქარისაგან მიტაცებული მარცვლები, შექროდნენ და შინაგანი მზერით აპირქვავებდნენ მის წიაღში; ეს წარმოსახული სამყარო გახდა მისი თავშესაფარი, მისი სამკვიდრებელი, ვით დევნილისათვის — მთის მიუვალი მღვიმე, სადაც, საღამო ჟამს, ცეცხლის პირას სხდებოდნენ და უამბობდა მამა უძველეს ზღაპრებსა და თქმულებებს, ლექსებსა და სიზმრებს: „სიზმრად ვნახე — ჩამოსულან ძირს ღმერთები — მადლით სავსე. ტანს ღრუბელი ემოსათ და მზე ეხურათ ქუდად თავზე. თუთარჩელა, თეთრი მთვარე ვერცხლისფერად ანათებდა და თუთაშხა სასწაული თენ-

დებოდა თუთასფერად. და მოჰყავდათ თავთავისი ანგელოზი ღმერთებს მხლებლად, ხოლო მათი ნაშიერი აქ — მიწაზე საკ-ნებლად...“

...ხედავს მამას, თანამეცხედრის კუბოსთან მდგარს, მწუხარეს და ნაჯაფარს, დედის სიკვდილის მერე კაციც რომ ის იყო და ქალიც; ყანიდან მობრუნებული, ჯერ ბავშვებს დააპურებ-დაარწყულებდა, ცოტას თვითონაც წაიხემსებდა და დაღლილ-დაქანცულს მკვდარივით ეძინა დილამდე, ალიონზე ისევ ყანაში მიაბოტებდა და ნაღვლიანად უმზერდა, რა საწყალობლად ბზინავდა ცელის პირზე ობლების ცრემლი. ესეც ხშირად დაჰყავდა სათოხარში: ახლაც თვალწინ უდგას: ორივე ხელით თოხის ტარს დაყრდნობია მამა, წელში ოდნავ მოხრილი, ჩამღვრეული მზერით, თითქოს სივრცეს რომ უმზერს, მაგრამ შიგნით რომ იმზირება, საკუთარ ხვედრსა და ფიქრებში ჩაყურადებული, სადღაც შორს კი, მის ზურგს უკან ფოთლების გროვა იწვის და ბოლავს, მიაქვს ზეცისკენ მამის ბავშვობა და ადამიანის მარადიული საწუხარი. უბედური მამა!.. გაჭირვებამ გააგოროზა და გააკუშტა. მაგრამ მაინც ვერ გააბოროტა სათუთი გულის კაცი; ფეხი რომ მოიტეხა და მეურნეობა რომ ვეღარ შეიძლო, მეწაღეობა და მეუნაგირეობა დაიწყო, გული არ გაუტეხია დახეიბრებულს, არც ღმერთისთვის შეუთვლია საყვედური, — ჯუმათის წმინდა გიორგის ეკლესიაში ხშირად ულოცია მირსას ხატის წინ და შენდობა უთხოვია უფლისთვის, მფარველობა და მიტევება. ეხმარებოდა მამას შრომაში... აი, ზის სასწავლებლიდან მობრუნებული მამის პატარა სახარაზოში და წაღებს ჰკერავს, მერე მამას აბარებს. მამა უბლშეკრული ატრიალებს ხელში წაღებს, უმოწმებს ნახელავს. არც უწუნებს, არც უწონებს. მერე მიუჯდება ბუხართან ცეცხლს და შანავებისგან ნათხოვარ წიგნს გვიან ღამემდე კითხულობს... დილას ისევ სკოლა, მერე ისევ მამის სახარაზო, ისევ ცეცხლი და წიგნი... და ღამეული ფიქრები... ებრალება მამა, ებრალება, რომ ვერ ამოუდგა მხარში, სამუდამოდ რომ მიატოვა სოფელი, მიატოვა მამაც, დებიც, დედინაცვალიც. მაგრამ ესეც ხომ ბედისწერა იყო. ერთხელ ვიღაცის პირით შემოუთვალა მამამ, სოფელში დაბრუნდიო, დაუბრუნდი დებს, მიმქრალ კერასო, რა გინდა, რა დაგრჩენია მაგ უცხო ქალაქშიო, არც მოკეთე გყავს ვინმე. არც ახლობელიო, რომ გაგიჭირდეს, ვინ დაგიფარავსო!.. უარი შეუთვალა.

ხოლო მამის ცრემლი მხურვალე დამღასავით ჩარჩა სამუდამოდ სულში: „რა ვქნა, მტერია დაუნდობელი, სისხლის ცრემლები ძირს ეცემიან: მოგონებაში ელავს სოფელი, მოგონებაში მამის ცრემლია...“ თითქო ამ ცრემლიდან დაიწყო მისი ბედისწერა, მისი სიხარულიც და მწუხარებაც, და ხშირად მოვლენია ეს ცრემლი თანამგრძნობლადაც და მხსნელადაც. ყოველი შეხვედრა მამასთან განა უტყვი თანაგრძნობა და ტკივილი არ იყო?! თანაგრძნობა ხომ მაშინ იბადება გულში, როცა ადამიანები უსმენენ ერთმანეთს, უსმენენ და სდუმან, სდუმან და დუმილში ესმით ერთმანეთის. ამიტომ მდგარა ხშირად მამის წინაშე მდუმარედ. დამნაშავესავით თავჩაქინდრული და ჩუმად მოუსმენია მისი საყვედური, მისი გაჭირვება: „იქ შემხვდა, სადაც წევს ნაძვის ჩრდილი. იქ შემხვდა, სადაც შუქი ანთია. და მოაგონდა მოკლული შვილი და ჩემს წინ ცრემლი გადმოანთხია. ის მიამბობდა როგორ დასაჯეს, მის გულში წყრომა როგორ ანთია. იგი მომიყვა თავის გასაჭირს და ჩემს წინ ცრემლი გადმოანთხია...“ მამის გარდაცვალება რომ შეიტყო, მწარედ ინანა, მიტევებასა და პატიებას შესთხოვდა ცხედარს: რომ არ მიმეტოვებინე, იქნებ გეცოცხლა კიდეცო... ასე გაჩნდა პირველი ნაპრალი მასა და წუთისოფელს შორის, რისი წიაღიდანაც შავი თვალებით იმზირებოდა ცივი სიჩუმე, ასე ჩამოეცალა პირველი საბურველი სილამაზეს, ჭაბუკური თვალებით რომ უმზერდა ბუნებაში, ასე თანდათან ეცლებოდა მის მზერას საბურველი, ვით თვალს — ლიბრი, და დღეს, როცა უკვე ყველა საბურველი ჩამოხსნილია, შეიცნო, სწორედ ეს უსაბუოვლო ცხოვრებაა ყველაზე მშვენიერი, ყველაზე ნამდვილი და მარტივი, ყოფითობისაგან უკუქცეული, ხილულობის მიღმა ეძებდა მარტივ მშვენიერებას, ცხოვრების ქაოსურ მტვერს განრიდებული და განკერძოებული... მაშინ კი, სოფლად, ერთი სული ჰქონდა როდის დაღამდებოდა, როდის დაიძინებდნენ, რომ ჩამყუდროებულიყო თავის ხმელ საწოლზე, გადაეხურა თავზე საბანი და ეფიქრა და ეოცნება დაუსრულებლად, ჩაძირულიყო ჭაბუკური წარმოსახვებისა და ზმანებების უნეტარეს წამებში, იმ წამებში, თბილისში რომ ტანჯვად ექცა, რადგანაც იქ, სოფლად, მაინც გრძნობდა თავისიანთა სითბოსა და სიახლოვეს,. თბილისში კი — უკაცრიელ ფიქრებში ატარებდა ღამეულ ცხოვრებას. თუმცა მაინც ბედნიერად გრძნობდა თავს, ოცნებისა და ფიქრის თავი-

სუფლებაში გადმოხვეწილი, სწამდა, არავის შეეძლო თავისი ბინ-ძური ხელი ეფათურებინა სულში. ადამიანები, თავიანთი სუ-ლიერი ცხოვრება რომ არა აქვთ, სხვისი სულის წაბილწვასაც ცდილობენ, თავად წაბილწულნი. ქვეცნობიერებაში ჩაბუდებულ-მა ამ მარცვალმა, ჯერ კიდევ სიჭაბუკის წლებშივე აღუძრა ადა-მიანებისადმი შიშისა და იჭვის გრძნობა, თუმცა სიყვარულის გრძნობა არასოდეს დაუკარგავს. ცოდვიანივით დაიარებოდა შა-რაგზაზე, ადამიანებთან შეხვედრას გაურბოდა, შიშობდა, ვაითუ ჩამხედონ სულში და შეიტყონ ჩემი იდუმალი ზრახვანიო, დამირ-ღვიონ ის მშვიდი მშფოთვარება, მთელი ჩემი არსება რომ დაუფ-ლებია, ანდა რის დაუფლებასაც მიელტვისო. მაინც არ შეეძლო უადამიანოდ, სწამდა მისი სიკეთისა, არ სჯეროდა უკეთურებისა, და თუ სადმე გადააწყდებოდა, გაურბოდა, სათნოებით გაფაქიზე-ბულს არ ყოფნიდა ძალა უკეთურებასთან საბრძოლველად, და ისევ საკუთარ თავს ისჯიდა შიშითა და იჭვით შეპყრობილი, ცდი-ლობდა საკუთარ თავში ამოეძირკვა უკეთურების ყველა მარცვა-ლი. ისევ სოფლის იდუმალ ბუნებას აფარებდა თავს, სოფლის ბე-რიკაცებთან ტრიალებდა, მათი გლეხური სიბრძნე და უბრალოე-ბა იზიდავდა, იმ საოცარი ამბების მოსმენა, ათასნაირ აზრებს რომ აღუძრავდა, ათასნაირ სურათებს ასიზმრებდა და ოცნებათა სა-მეფოში გადაჰყავდა, ყველაფერი უხილავი ძაფებით რომ უკავ-შირდება ერთმანეთს და უხილავი ძაფებითვე რომ უარყოფენ ერთმანეთს. მაშინ ეს იყო მისი ერთადერთი საიმედო თავშესა-ფარი, ოცნებაში შეთხზული ლამაზი ზღაპარი.

ხედავს თავის ორეულს, სოფლის ეკლესიის ეზოში მოარულს. აწეწილი თმებით ქარსა თუ წვიმაში, ხედავს სოფლის სასაფლაო-სა და მოჩვენებებს, საღამოსავით ღამეს და დედის ძვირფას საფ-ლავს, გრძნობს შორეულ უტკბეს სიზმრებს და დედინაცვლის დედობრივ ალერსს... დედინაცვალი, დედასავით ტკბილი და მზრუნველი, ღვთისმოსავი დარია ერთგულად ედგა მხარში მამას, ღვაძლი შვილებივით შეიყვარა მაშო და ზოზია; „ნანა“ დამიძახე-თო. ეტყოდა ბავშვებს და ისინიც დედას ეძახდნენ დედინაცვალს. თვალწინ უდგას მისი მოგრძო სახე, დიდი შავი თვალები, მოკუ-მული ბაგე და უღიმილო, მაგრამ კეთილი მზერა... აი, დაჩოქილა ღვთისმშობლის ხატის წინ მკერდზე ხელებგადაწყობილი, თავდახ-რილი და უბრალდ ლოცულობს, თეთრი კაბა და ნაცრისფერი მო-

სასხამი, ნაკეცებად რომ მიუყვება ქვევით, ისე შერწყმია ქვის იატაკს, ქანდაკება ეგონება კაცს. ნავახშმევს მიუსხდებიან თუ არა ბუხარს, ყვება დარია თქმულებებს ოჩოკოჩზე — ახმახ, ბალნიან კაცზე, ტყის მეფეზე, ჭინკებზე, ეშმაკებსა და მზაკვრებზე, თუ მოგეჩვენათ, არიგებდა ბავშვებს, წმინდა გიორგი ახსენეთ, პირჯვარი გამოისახეთ და დაფრთხებიანო; მერე იღებს გაცრეცილ სახარებას და ქრისტეს ჯვარცმის ამბავს უკითხავს ბავშვებს: „და ვინაც წარიყვანეს იგი, შეიპყრეს სვიმონ ვინმე კვირინელი, მომავალი ველით, და დასდვეს მას ზედა ჯუარი იგი, და მიაქუნდა შემდგომად იესოსა...“ და სჯერა, სვიმონ კვირინელი რომ წმინდა კვირიკეა. ხშირად უყურებია, დედინაცვალი რომ ფუძის სალოცავს „ოთხაშურს“ ასრულებდა დიდმარხვაში, ახალი მთვარის ორშაბათ საღამოს, დილიდანვე დაასუფთავებდა ეზო-კარს, მერე წინკარში გავიდოდა და კოდს, ფქვილი, ლობიო, ხახვი და სხვა სამარხვოები რომ ინახებოდა, სამჯერ შემოატრიალებდა მარჯვნივ და შეევედრებოდა ღმერთს ოჯახის ბარაქასა და სიკეთეს, მშვიდობასა და სიჯანსაღეს. მერე შუაცეცხლს გაიჩაღებდა, კვერებს გამოაცხობდა, კალათში ჩაალაგებდა და საღამო ჟამს კერასთან მიდგამდა; როგორც კი ახალი მთვარე და ვარსკვლავები გამოჩნდებოდა, ყველანი კარში გავიდოდნენ დედინაცვლის გარდა, კარს მიიხურავდა, სანთლებს აანთებდა, კერასთან დაიჩოქებოდა და ლოცულობდა: „მთვარე წინამძღოლო, შენს ბედნიერ თავს ვლოცულობ ჩემი ქმრისა და შვილების სასიმრთელოდ. ფუძე-ერჩი დამიცავი ყოველი ჭირისგან, ფათერაკისგან, სიცხისგან, სიცივისგან, ყოველი ავისგან შენ დამიცავი!.. ორშაბათ ბედნიერო, ჩემი ძე გაამრავლე...“ კვირიკეს ხატში დაჰყავდა, სოფელ ჭალეში, გამოსალოცად, — „ელდანაკრავიაო“, — კვირიკეს მეხატულები ხატს ჯვარზენში რომ წაიღებდნენ, ჯგეგეს დღეობაზე და მახვეწარს დაამწყალობინებდნენ. ერთხელ ჩხოროწყუშიც კი წაიყვანა; გარახაში, მარსობა დღეს, წმინდა გიორგის ეკლესიაში რომ იმართება ჯეგე-მისაროონის დიდ ხატობაზე; „ძის განკურნება და გამრავლება“ შესთხოვა ხატს დარიამ. ზოგჯერ დედინაცვალი თავადაც შეულოცავდა, — „შეშინებულიაო“, — იტყოდა: „გევიდგი ქსელი მანავისა, რუილა მბროლისა, ლაფათინი იაგუნდისა, ჩამოსაბმელი წმინდა გიორგის სკვანტისა... გასკდა წითელი კლდე. გამოვიდა წითელი კაცი, გამოჰყვა წითელი ტანისამოსი. გამოჰყვა

წითელი ცხენი, წითელი ლაგამ-უნაგირი; დაადგა წითელ ცხენსა, ჩევიდა წითელ წყალსა; ჩაჰკრა ფარჩხი, ამოიღო წითელი გველი, ამოჰყვა წითელი ცრემლი...“ მარიამობა ღამეს, სოფლის მოედანზე ხალხი რომ იკრებებოდა, რომ ილხენდნენ და იმღერდნენ, დიდ ცეცხლს რომ ანთებდნენ და თითქო ტაბაკონას მთისკენ მროკავ მზაკვრებს რომ აფრთხობდნენ, — მზაკვრებს ძღვენი უნდა მიერთმიათ მათი მეუფე როკაპისათვის, — დარია ცვილის პატარა ნაჭრებს მიაკრავდა ბავშვებს თმაზე, კარზე ნახშირით ჯვარს გამოსახავდა, ეზოსა და ყანაში ჯვრისთავიან და ეკლისგვირგვინიან სარს ჩაასობდა, და სწამდა: ეკლის გვირგვინს მზაკვრის ავი თვალი მოხვდება და ბოროტი ძალა დაეკარგებაო, ცეცხლი კი სპობს მზაკვრებსა და არაწმინდებსო. გამოეპარებოდა დედინაცვალს ჭიაკოკონობიდან, გარინდებული უმზერდა ჯვრისთავიან სარს, ეკლის გვირგვინს... და ფითრდებოდა, ფითრდებოდა... მამის გარდაცვალების მერე დიდხანს აღარ უცოცხლია დედინაცვალს: გულისტკივილით დაიტირა, დედაშვილური და წრფელი სიყვარულისათვის კი სონეტი უძღვნა: „მამის საფლავთან აგატირებს ტკბილი წარსული, სპეტაკ ცრემლებში დაეხვევი, როგორც ბაწარი. გიყვარს ლოცვებში წალენჯიხის ძველი ტაძარი, წვიმიან დღეში სასაფლაოს წყრომით გარს უვლი. კეთროვანებას რელიგია შენში ასრულებს, მარად საყდარში იარები გრძელი მაზარით, ცივ სახარებას წაგიკითხავს მღვდელი ლაზარე და ისევ ნდობით უერთდები ცოდვილ ავსულებს. მწუხრის წირვებში ბინთები, როგორც კანდელი, გტანჯავს სიავე, ფერწასული მთვარის ანთება და შენს კალთაში ჩუმად იწვის კორიანტელი. გარს გახვევია მწუხარება გლოვის ბანტებად. ოქროს ხატებში მონაზონი ძველ მონებს სტირი. და კვლავ გელათის გესიზმრება შენ მონასტერი...“

...აი, კვლავ ხედავს თავის ყმაწვილ ორეულს, თანატოლთაგან განმდგარს, უცნაურად გაფიცხებულს, ძლიერ გრძნობისაგან წონასწორობადაკარგულს, მდუმარესა და აგზნებულს, გაღიზიანებულს, ჩათხრობილსა და ჩაფიქრებულს, შინაგანი ოცნებით შეპყრობილს, მორიდებულსა და განმარტოებულს. ერთხელ „გიჟიც“ კი დაუძახეს ამხანაგებმა; გრძნობის დაკარგვამდე გაფითრდა, მერე აენთო და დაერია მათ; ეს სასტიკი სიტყვა ბედისწერასავით დასდევდა მთელი ცხოვრება, და განა საბედისწეროც არ აღმოჩნდა

მისთვის?!. თითქო ამ სიტყვას წაეშალოს ზღვარი გარეგანსა და შინაგანს შორის, თითქო მთელი არსება ერთარსად ექციოს, ერთ განუყრელ უთანხმოებად, ყოფითი არსებობიდან რომ თიშავდა და შინაგანი ცხოვრებისაკენ მიაქროლებდა. ყველაფერი ისე აირეკლა მის სულზე, ვით ნადირის ნაფეხურები — დილის შეუბილწავ თოვლზე, და მორჩილად მიჰყვებოდა ამ ნაფეხურებს, ვერსად გაექცა ერთხელვე დაწერილს, ვით დღე ვერ გაურბის დაღამებას, ხოლო ღამე — გათენებას. განა ესეც ბედისწერა არ იყო? განა სწორედ ამ ბედისწერამ არ მოიყვანა დღევანდელ დღემდე?!. „მიჰქონდა ბედი სევდიან წამებს სადღაც გოდებით...“ უკვე მაშინვე გრძნობდა, ადამიანები მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის რომ იბრძვიან, — დიახ, სწორედ რომ იბრძვიან, — მთელს ცხოვრებას უსიამოვნებასა და უკეთურებაში ატარებენ; ამიტომ თავიდანვე დათმო ნეტარება, რა მიზეზითაც დღეს ნეტარიც არის და წამებულიც, ხოლო სხვათა თვალში იქნებ — საწყალი და უბედური. „უბედური და საწყალი ის არის, ვინც ისე დაჰკანკალებს საკუთარ სხეულსა და სიცოცხლეს, თითქო მთელი კაცობრიობის ბედს მის ხრწნად ხორცში ჩაებუდებინოს“, იაკობ შანავას ეს სიტყვები სამუდამოდ დაამახსოვრდა, სიჭაბუკეში ბოლომდე რომ ვერ სწვდებოდა მათ აზრს, დღეს კი — ღრმად გაუცნობიერებია, რადგანაც საკუთარი ცხოვრებით განუცდია, და ახლაც ზარივით რეკს, ვით გაფრთხილება ჭეშმარიტი ადამიანური ცხოვრებისა... ბევრი ასეთი თუ ამის მსგავსი შევონება მოუსმენია სიყმაწვილეშიც და სიჭაბუკეშიც იაკობ შანავასაგან, ზემო სამეგრელოში ცნობილი მწიგნობარი და მოღვაწე რომ იყო, კარის მეზობელი და მისი სულიერი მოძღვარი. მის ბიბლიოთეკაში ეზიარა პირველად რუსთაველისა და გურამიშვილის, ბარათაშვილისა და აკაკის, ვაჟასა და ილიას უკვდავ სტრიქონებს, სახარების მცნებებსა და ზნეობრივ დამოძღვრებებს. ბევრს კითხულობდა. თუმცა ახლა, ოდეს უკვე ჩავლილია წუთისოფლის გზა და უკანასკნელ სადგურს მიახლოებია, იცის, მხოლოდ წიგნი რომ არაფერს აძლევს პოეტს, თუ იგი ძლიერი სულიერი და გონებრივი დამღით არ არის დაღდასმული, იმ უხილავი და აუხსნელი მაგიით, თანდაყოლილი რომ არის და ღვთისგან ბოძებული; წიგნიდან ნასესხები ცხოვრება არამყარია, წარმავალია, მრავალ შეცდომათა და შეცოდებათა წყაროა. შინაგანი ცოდნა, ფიქრითა და უშუალო შემეცნებით

დაუფლებული, და ზეგარდმო მონიჭებული მადლი — აი, ჭეშმარიტი პოეზიის, ნამდვილი კაცური ცხოვრების მასაზრდოებელი ძირი და ფუძე. განა ცოტა შეხვედრია სოფლად უბირი გლეხკაცი, უსაზღვრო სიკეთესა და სათნოებას რომ ფლობდა, ფლობდა იმ ცოდნას, ვერცერთ წიგნში რომ ვერ ამოიკითხავს კაცი?! და განა ყველაზე დიდი სიბრძნე სიკეთე და სათნოება არ არის?! განა უბირი სიბრძნე არ არის ხშირად წყარო უფაქიზესი სულიერი ცხოვრებისა და სულიერი ტანჯვისა?! ხშირად უკამათნია იაკობთან პოეზიასა და ხელოვნებაზე, რელიგიასა და რწმენაზე, პირველყოფილ თქმულებებსა და უძველეს მისტიურ წარმოდგენებზე. იაკობს ხშირად უამბნია ილიაზე, აკაკიზე, ვაჟაზე, უამბნია იაკობ გოგებაშვილზე, არჩილ ჯორჯაძეზე; იგი ხომ მთელი არსებით ებრძოდა საქართველოს მტრებს, საყვარელ მოწაფესაც ეროვნულ გრძნობებს უღვივებდა, აყვარებდა მშობლიური ქვეყნის წარსულს, მის ძველსა და ახალ ხელოვნებას, პოეზიას, აყვარებდა და ასწავლიდა ქართულ ენას, დედა-ენას, და ესეც ვერ ურიგდებოდა მშობლიური ენის შელანძღვასა და დამცირებას. ამ გრძნობით ანთებულმა არ იყო, 1918 წელს „სახალხო საქმეში“ რომ წერილი დაბეჭდა: „ამ დაბაში (ოჩამჩირე) იშვიათად ნახავთ ქართულის მცოდნე პირებს, ხალხი გარუსებულია. აქ, სხვასთან შედარებით, რუსულ ენას დიდი უპირატესობა აქვს ნინიჭებული. ნუთუ ამ ხალხს არ შეუგნიათ ქართული ენის სიდიადე, ნუთუ მათ არ აინტერესებთ სამშობლო ენა. თვითმპყრობელობის დროს ქართული ენის უცოდინარობას ნიკოლოზის მთავრობას ვაბრალებდით. დღეს ვის უნდა დავაბრალოთ?!. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა ეს ჩვენს გულგრილობასა და გადაგვარებას ადასტურებს. გახსოვდეთ, რომ თქვენ სამშობლო გავალებთ თქვენი მშობლიური ენის შესწავლას. ამისათვის, ჩემი აზრით, წერაც ზედმეტია...“ ახსენდება იაკობის აღშფოთებული, მოელვარე თვალები, მტრებმა რომ მუხანათურად სახლი დაუწვეს და ყველაფერთან ერთად უმდიდრესი ბიბლიოთეკაც რომ დაეღუპა. და თუმცა მალევე აღადგინა ზაქარია ჭიჭინაძის, იოსებ იმედაშვილის, სამსონ ფირცხალავას, ივანე გომართელის, მიხაკო და ალექსანდრე წერეთლების დახმარებით, მაინც გული სტკიოდა დამწვარ წიგნებზე და ყოველთვის სინანულით ახსენდებოდა.

ახლაც თვალწინ უდგას იაკობის მეუღლე, სათნო და დარბაი-

სელი ეკატერინე გვასალია, ვის გულმოწყალებასაც ბევრი გლეხის შვილი დაუყენებია გზაზე. ესეც ხომ მის კეთილ უბეში აღიზარდა; არასოდეს დავიწყნია და ახლაც მადლიერებით იგონებს მის სათნო სახეს. ვინ იცის, რამდენჯერ გამართულა შანავების ოჯახში პოეზიის საღამოები, ლიტერატურული გასამართლებანი, ზოგჯერ საოჯახო წარმოდგენებიც კი. ახსოვს, ერთ საღამოს მანაც როგორი აღელვებით წაიკითხა ლერმონტოვის „ჰაჯი აბრეკი" და ჰაინეს „ლოყით მოეპყარ ჩემს ლოყასა," მერე გაბედა და, გაწითლებულმა და დარცხვენილმა, საკუთარი ლექსიც წაიკითხა: „დღისით ჩვენ ერთიმეორეს აღარა ვხედავთ, და არც გვინდა, რომ დღე ქუჩაზე ვიაროთ. ჩვენ ბნელი ღამე გვიყვარს მხოლოდ იმიტომ, რომ ფიქრები ერთმანეთს გაუზიაროთ..." ჰერე ეს ლექსი „ახალ ნაკადში" დაბეჭდა 1919 წელს... რა გულუბრყვილობა იყო?!. სოფლის მიტოვება და სასწავლებლად თბილისს გამგზავრება რომ გადაწყვიტა, განა სწორედ ეკატერინემ და იაკობმა არ დაიყოლიეს მამა, სასტიკად რომ ეწინააღმდეგებოდა ამ „უჭკუო" გადაწყვეტილებას, — „რა ჩვენი საქმეა, ბატონო, წიგნი, ახლა ხელობაა საჭირო, მე სად მაქვს, ბატონო, თავი, ბიჭი ქალაქად ვარჩინოო," — ამბობდა. მაინც დაითანხმეს მამა და იაკობმა წერილები გაატანა ზაქარია ჭიჭინაძესთან და სამსონ ფირცხალავასთან — დახმარებოდნენ უცხო ქალაქში, — და ასე გაისტუმრეს თბილისს... და აი, ხედავს სოფლის მიტოვებას, სერზე გადმომდგარ დაღვრემილ მამას, თავსაფრიან დედინაცვალს და აცრემლებულ ზოზიას, ხელში თეთრ ცხვირსახოცს რომ აფრიალებს... ეიდოდა და გული ეკუმშებოდა, გრძნობდა, საბოლოოდ რომ ემშვიდობებოდა მშობლიურ ალაგს და ბედისწერა უცნობი სამყაროსაკენ მიაქროლებდა, ცხადისა და შეცნობილის, დროისა და სივრცის მიღმა, სადაც მოხსნილია ყოველნაირი ხილული საზღვრები და სული უსივრცო და უდრო საუფლოში დაფარფატებს: „მორს მიმაქანებდა მე სულის სიჩქარე და ვგრძნობდი, თვალებში რომ ცრემლი ყვაოდა. გზა იყო უცნობი, გავალე ჭიშკარი და კვნესა მომესმა მე სასაფლაოდან. სიჩუმეს ფასტავდა ფურცლები სიმინდის, მოსჩანდა სამრეკლო და ლურჯი გორები. ჩემს ფიქრებს თან სდევდა ლოცვები სიწმინდის და ზარებს ვუსმენდი მე განმეორებით..."

...წამით ჩათვლიმა და ეზმანა: რაღაც უცხო. სამოთხისნაირ ბაღში მიაბიჯებს, ალაგ შელანძღულ, ალაგ გათელილ. მაგრამ მაინც სამოთხისნაირ ბაღში. კარიბჭეში შედგა თუ არა ფეხი, მაშინვე შუაგულ ბაღში აღმოჩნდა, დილის მზით ანთებულ, ცისფერი ცით გადაცისფერებულ ბაღში: მხოლოდ ალაგ-ალაგ იძვრიან თეთრი ღრუბლები, საქორწინო ქალწულებივით რომ მორთულან თითქო. ამოდ შრიალებენ ლეღვისა და ბროწეულის, ნ-გვზისა და ბზის ხეები, ამოდ გალობენ სამოთხის ფრინველები, თვინიერად დაბაჩუნობენ ცხოველები. უეცრად რაღაც ფრინველი წამოუფრინდა ფეხებთან, დაედევნა, მაგრამ ამაოდ. ამასობაში ერთ ლეღვის ხეს წაადგა, არც მაღალს, არც დაბალს, ასე, თავის სიმაღლეს; მისწვდა თუ არა მოსაწყვეტად ნაყოფს, ჩიტი აღმოჩნდა მგალობელი, ბუნების ფერებშერწყმული და შეთვისებული უსტვენს ჩიტი, უსტვენს თავდავიწყებით, და მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა შეიპყრო. ცოტა ხანს იფართქალა ჩიტმა და გაინაბა, იგრძნო ნაზი ალერსი და მოფერება. გადმოდგა თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, ჩიტის ალერსში გართულს, ხის ძირიდან საშინელი სისინი შემოესმა, მოიხედა — ბალახებიდან გველს ამოეყო თავი, მისი ჩასისხლული თვალებიდან სასოწარკვეთა და ზიზღი იმზირებოდა. გაიქცა შეძრწუნებული, მისდევს გველი — დაბერილი ყბებით და ენის შემზარავი სარსალით; გადმოხტა ყორეზე და მდინარისაკენ სცადა გაქცევა, მაგრამ უკვე გვიან არის: გველი ელვისუმალ ჩასრიალდა ყორეზე და ეცა შიშველ ფეხებში. ხტის და იგერიებს, ხტის რიყის ქვებზე, ეკლებზე, ხტის და დახეთქილი ფეხებიდან სისხლი სდის, გველი კი უტევს მის მუხლისთავებს, ბარძაყებს, გულ-მკერდს, სადაც არის მისწვდება, სადაც არის დაგესლავს, მაგრამ რაღაც უხილავმა ძალამ ხელიდან ჩიტი გააგდებინა. უმალვე სწვდა ჩიტს გველი, ჰაერში წრე მოხაზა, თითქო როკვით დაიწმაწნაო, ბალახებში ჩაძვრა და წამით გაირინდა. საცოდავად წივწივებს ჩიტი. იმავე უხილავმა ძალამ რიყის დიდი ქვა მიაჩეჩა ხელში და მარჯვედ ატყორცნინა, პირდაპირ შუაწელში მოხვდა გველს, მაშინვე ამოუფრინდა პირიდან მსხვერპლი და წიავწიავით ცაში გაქრა, გველი კი მწარედ იკლაკნება და ქვის სიმძიმისაგან თავის დაღწევას ცდილობს. ამ დროს ვიღაც მოდგა ლანდივით, მერე მეორე, მერე მესამე... შესთხოვს შველას მათ, მაგრამ ლანდები უძრავად დგანან. გველი კი წივის,

ყბებს ბერავს, ენას ასარსალებს... უეცრად თითქო რაღაც იძრა მთის წვერზე, მდინარის გაღმა, ბამბასავით თეთრი ღრუბელი შეიკუმშა და მოცურავს ქვევით, მდინარისაკენ, ხან აღიმართება ბუჩქებსა და ხეებზე, ხან მიწას გაერთხმება. უყურებს განცვიფრებული და ვერ არჩევს — მართლა ღრუბელია თუ საქორწინო კაბაში გამოწყობილი ქალწული. ჩამოივაკა თუ არა თეთრმა ჩვენებამ, მწვანე ბალახებიდან ზოზია ამოფარფატდა, პეპელასავით გამჭვირვალე სამოსით შემოსილი და დაფნის რტოებით გვირგვინმოსილი. თითქო ძალა მოეცაო, უძრავ ლანდებში უმწეოდ დარჩენილს, სწვდა ხის ტოტს, ჩამოტეხა სწრაფად და გამწარებით დაუწყო გველს ცემა; ურტყამს და ყვირის, ურტყამს შიშითა და ზიზღით, ისეთივე ზიზღით, წეღან რომ გველი უმზერდა, მანამ ურტყა, სანამ არ დაუჩეჩქვა თავი და ტანი, დაუჩეჩქვა და ტალახის გუბეში ჩასრისა, სიბინძურეში ალუფხა... მაშინვე მდინარისაკენ შემობრუნდა, ზოზია რომ ეგულებოდა; მაგრამ თეთრ ჩვენებას უკვე აეღწია მთის მწვერვალისათვის და სადაც იყო ცისფერ უსასრულობას შეუერთდებოდა...

წამით ჩათვლემილსა და ბურანში მყოფს, თავისი შორეული ორეულის იდუმალი ხმა ჩაესმა: „ქრიან ფიქრები მზიან ამინდის, დაო, ლანდივით ცაზე იშლები. მე მარტო დავრჩი და შენ გაფრინდი, სწუხს ჩემი სული და კლავიშები... დღეს ისევ კვირა, ხვალ ორშაბათი და ეს დღეები არ ილევიან. დაო, შენ უკვე გრიგალს ჩაბარდი და შენი ბედი უფრო მწველია. და ღამეებმა ხომ შეაწუხეს იმ ანგელოზის მწუხარე სახე. მე მთელი ღამე ვშფოთავდი წუხელ და საშინელი სიზმარი ვნახე. ქრიან წამები ისევ წვალების, დაო, ჩამოდი, თუ ისევ იქ ხარ. შენ იღიმები ცისფერ თვალებით, ცისფერ თვალებით მიცქერის ვიღაც...“ სურამის სიცარიელეში ზოზია ციმციმებდა ერთადერთ ნათელ წერტილად, მისი ცისფერი თვალები უნათებდა გზას კოშმარული სიწყვდიადიდან თავის დასაღწევად... ზოზია ხომ თეთრი სავანეა მისთვის, უხილავი ცეცხლია, სულის მოზიარე და ზეციური უბიწოებაა, წამება და ბედისწერაა, კვირის ლოცვაა, ჩუმი ღამე და იდუმალი მშფოთვარებაა, ხვედრია — აუხდენელი და დამსხვრეული, კრულვა და ცრემლის შრიალია; ზოზია წმინდა ქალწულია, ღვთაებრივი ძალა და მფარველი ანგელოზია, აღსარებაა და მონანიება, ის მისტიური ძალაა, შინაგანი რწმენის ის უხილავი სახება, ყველა-

ზე ერთგულ თანამგრძნობლად რომ ევლინებოდა გაჭირვების წამებში. და სჯერა, ზოზია ახლაც რომ გრძნობს მის იდუმალ წამებას, გრძნობს მისი ხორცის გვემას, ამ ხორცში გამომწყვდეული სულის წრიალსა და ცისფერ ნათებას. სჯერა ყოველივე ეს და ებრალება საკუთარი თავი, ზოზიას ცისფერ მზერაში უმწეოდ ალანდული, ებრალება და თითქო ჩაესმის ზოზიას შორეული, მწუხარე სიმღერა, უძირო სევდითა და გამოუთქმელი ლტოლვით რომ არის გაფაქიზებული. ეს სიმღერაა ახლა მისი მფარველი. შინაგანი წიაღიდან დაძრული მზერა, იდუმალი და ფარული თრთოლვა. რწმენა მისი, როგორც უსაზღვროების, როგორც მიუწვდომლობის; ზოზია ხომ მისი პოეზიის შთამაგონებელი ხილვა იყო და ახლაც ამ შორეულ სიმღერაში, ვით ბედისწერის თვალები. ისე კითხულობს თავის მომავალ ხვედრს. თითქო ხედავს ზოზიას, ცისფერი კაბით შემოსილს, მკერდზე ბამბის ქულებით, თეთრ ცხვირსახოცს რომ უფრიალებს და უხმობს, ხედავს და რაღაც დიდი და უთქმელი ტკივილი უშაშრავს ისედაც დაშრეტილ ხორცს. ტკივილი, მთელი ცხოვრება იდუმლად რომ ატარებდა გულში, და აწამებდა: „ეს ვედრება შიშველი მეუცხოვა მე გვიან, ღამე — ვნებით შეშლილი ყელზე გადამეხვია. თეთრი შუქი ინთება ჩემი სულის და ვარდის. ო, ტირილი მინდება შენთან უხმოდ დავარდნილს. მე თანდათან ვყვითლდები და ჩემი თმა ძირს ცვივა. დაო, ნუ შეწუხდები, თუ წამების ღირსი ვარ. ჩუმად ძინავს გულს ტყეში სევდის ლურჯი ოდებით. და თბილისის კუთხეში სადმე ღამით მოვკვდები...“ ახლაც, აღსასრულის მოახლოების ჟამს, მფარველად ისევ ზოზიას უხმობს, მის წმინდა სულსა და ნათელ სამკვიდრებელს, ფარულ თანაგრძნობასაც ისევ მისგან მოელის; სხვა ვინ, ვინღა შემორჩა ამ გაწამებულ წუთისოფელში, რომ გაუზიაროს ყველაზე ძვირფასი და იდუმალი ზრახვანი გულისა?! მაგრამ ზოზია შორსაა ახლა მისგან და ისე უხმობს მის შორეულ სახებას, სანატრელსა და მიუწვდომელს, ვით მორწმუნე აღმსარებელი — წმინდა მარიამს. და ეჩვენება, ახლა ან თვითონ არის სადღაც, შორეული ღრუბლის სანაპიროსთან, უცხო მხარეში, ან ზოზია დაუტყვევებია გრიგალს და დააქროლებს უხილავ სამეფოში, დააქროლებს და უხმობს მიწიერ უდაბნოებს, უხმობს ძმას — უიმედოდ ჩარჩენილს ცოდვილ მიწაზე, უთვისტომოსა და მარტოსულს. უხმობს და წრიალებს სივრცეებში, რომ დაიხსნას ძმის სული

ხორციელი და მიწიერი ტყვეობისაგან. ზოგჯერ თითქო აქვეა, სადღაც ახლო, გაიხედავს და უმალვე ქრება, ქრება და რჩება მხოლოდ უცნაური ათინათი სიცისფერისა, ვით შორეული ღრუბლის უმიზეზო ღიმილი. და კვლავ გარბის წარმოსახვაში თბილისიდან, გარბის, კიდევ ერთხელ რომ აღივსოს დაშრეტილი წყარო. კიდევ ერთხელ რომ იგრძნოს ძვირფასი დის ცისფერი უსაზღვროება, იგრძნოს და შესთხოვოს მარადიული მფარველობა და ჭირისუფლობა, უკანასკნელი წრფელი ცრემლი და სინანული: „ჩემო ზოზია, მე წავალ მალე, არარაობა გამაბნევს ქარში. ამ ნათურების ცოფიან თვალებს ჩუმი სანთლები შეცვლიან მაშინ...“

მიატოვა სოფელი და დაუტოვა დას სევდა და განშორების ტკივილი. სინანული და ჩუმი წყრომა, წუხილი და მდუმარება: ზოზია ხომ შორეული თანამგრძნობელია მისი, სინაზის დაულეველი წყარო და ქალწულის გლოვა, ვით სიჩუმის იდუმალი რეკვა, ფიქრი და ოცნება, ერუანტელი და სულის კვილი; ზოზია გახსენებაც არის და დავიწყებაც, უარყოფაცა და აღიარებაც, მორჩილებაცა და ამბოხიც, ცოდვაცა და მონანიებაც... ცოდვაც ხომ ისეთივე დაფარულია და წმინდა, ვით უცოდველობა, ცოდვაც ხომ წმინდაა, თუკი სულიერი სამოსითაა შემოსილი, ხოლო უცოდველობა — გასაგნებული და განივთებული, ისეთივე ცოდვაა, ვით ბიწიერება და უკეთურება. ცოდვა, სულიერ ტკივილებს რომ აღძრავს, წმინდა წამებაა: „საღამო ამნაირ სახის დარდივით გაჩნდება ისევ. დაო, ვგრძნობ გრიგალის ძახილს, დაო, ვგრძნობ წამების მიზეზს. გათავდა ცრემლების თოვა, ო, ხსოვნას რა ნელა ძინავს. და თეთრი ქალწული — გლოვა, ეცემა სისხლიან მინას. და ირგვლივ სამარეს უვლის ფარული სურვილის ლანდი. და ჩემი მწუხარე სული მსგავსია დათოვლილ სანთლის. ეს მხარე ღამდება, რადგან ცისფერი იმედი მიდის. როგორი სიჩუმე დადგა, ო, როგორ ჩამოწვა ბინდი!.. მე წავალ სხვანაირ სახით, ჩემს წასვლას დიდება მოსდევს. დაო, ვგრძნობ გრიგალის ძახილს, დაო, ვგრძნობ წამების მიზეზს!..“ აგონდება ზოზია, ახლობელი და შორეული, მისი მწუხარე და ცისფერი ლანდი, სანთელივით რომ კრთის ალბათ ახლა თეთრ უდაბნოში, კრთის და ღამის შუქივით ელავს და უნათებს გზას მარადიული სასუფევლისაკენ. აგონდება თბილისის ღამეები და თავისი უნაზესი და: ეს ორი შეერთებული კოცონი, რომელიც წვავდა ყოველთვის...

წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო; დაღალა გზამ — ეკლიანმა და შორმა, გზის უგზოობამ დაღალა. ქვების სიგრილე გარს შემოგზნებია ისედაც დამძიმებულ ტანს და გრძნობს საშინელ სიმშვიდეს, ისეთს, აგონიის მერე რომ დგება ხოლმე. და განა სურამი აგონია არ იყო, სულის შემზარავი განსაწმენდელი, სულისა, ხან ცისფერ წერტილად, ხანაც ალისფერ წრედ რომ ბრუნავს ახლა მის ირგვლივ და სხვა სამყოფს ეძიებს, ვით მზერა — სივრცეს; ალბათ ეს არის დასაწყისი იმ აუხსნელი და შეუცნობი დასასრულისა, სულისა და ხორცის გაყრა რომ ჰქვია... წამოდგომა რომ კიდეც შესძლებოდა, სად უნდა წასულიყო, ვისთან?! არც სახლი, აღარც დები, არც მეგობარი ვინმე; ის ხომ ყველასათვის მკვდარია ახლა. და დგას თბილისის წინაშე ვით მგლოვიარე სერაფიმი და ისე გრძნობს თბილისის სუნთქვას, ვით დედის უმკაცრეს ალერსს: „ფრინველივით ვზივარ ღამის უბეში, თბილისია ერთადერთი ნუგეში. რა ვქნა, დროა ამნაირი წვალების, მალე ტირილს დაიწყებენ თვალები...“ და აი, მოფრინავენ მისკენ ოთხკუთხედები, წრეები, სამკუთხედები, მოფრინავენ და მისი ჩაბრუნებული მზერა უცხონაირ სურათებს ხატავს ამ მფრინავ სხეულებში... აი, სალომეა, იოანე ნათლისმცემლის მოჭრილი თავით ხელში, აგერ იუდა — ქრისტეს კოცნის, თვალებზე ხელებაფარებული ადამი სამოთხიდან გარბის, აგერ ჯვარის მტვირთველი სვიმონ კვირინველიც და ჰა, აბელიც — სისხლში მოსვრილი უმანკო კრავი... და სისხლი, სისხლი, სისხლი!.. ამ გადასახედიდან უკვერეტს ახლა თავის წარსულ ცხოვრებას, თითქო ყველაფერს სასწორზე ღებს და სინჯავს: მართალი იყო თუ დამნაშავე — როცა უყვარდა თუ სძულდა, როცა მგზნებარებდა თუ ითმენდა, როცა იბრძოდა თუ ჩრდილში იდგა. წამით გაუცოცხლდა ხილვებში ცამეტი წლის წინანდელი შეხლა-შემოხლა, კაცთა კვლა, მტრობა, ველური ყიჟინა, დაცემა და ამაღლება, კუბო და სისხლი: „სისხლის მდინარე, დაბინდული მთები და შარა, დამწვარ ტყვიების სურნელება და განსაცდელი. ო, განახლების ქარიშხალმა ფრთები გაშალა, კრთის ნანგრევებზე აღმაფრენა, როგორც სანთელი. ქალაქის კვამლი, მღელვარება, ღამის ალები და შორეული რაინდების უმწეო შფოთი, სამარადისო მწუხარება მოკლულ თვალების და ჩემი სული ამართული, ვით ეშაფოტი...“ დღეს, როცა ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია, როცა ყველაფერი გარკვეულია და დღესავით ნათე-

ლი, ათასი კითხვა უტრიალებს თავში: რა სურდა, რას მიელტვოდა, ვის ებრძოდა, რისთვის?!. იგი ხომ თავისი ხალხის ბედნიერებისათვის იბრძოდა, იბრძოდა თავისუფლებისათვის, სამშობლოსათვის. თუმცა სიტყვა „ბრძოლას“ სხვა მნიშვნელობა მიეღო ახლა მისთვის და ისე შეეგდო იქვის სასწორზე, ვით ლამაზი, მაგრამ უსარგებლო ნივთი. აუცილებელია კი ბრძოლა, ბრძოლა სიკეთისათვის, ბრძოლა თავისუფლებისათვის?! თუ ებრძვი ვინმეს და რაიმეს, ებრძვი და ანგრევ, ებრძვი და კლავ, სადღაა სიკეთე, სადღაა თავისუფლება?!. როცა ეს შეიცნო, ველურ ყოფინას მძლავრად გაედგა უკვე ფესვები, და შეითქვა საკუთარ თავთან, შეიკეტა საკუთარ მღვიმეში და მწირივით იარა წუთისოფლის ეკლიან გზებზე. განა ყველაფერი თამაში არ არის, კაცთაგან გასართობად გამოგონილი, განა შემზარავი არ არის, სათნოებისა და სიკეთის სახელით ნგრევა და კაცთა კვლა?! მერე ვინ, ვინ განსაჯოს მტყუანი და მართალი ამ ქაოსში?! თუმცა, რაღა დროს ამაზე ფიქრია ახლა, რაც იყო — ვერ წაშლი შენი ცხოვრებიდან, ვერ წაშლი და არც უნდა ეცადო წაშლას, რადგანაც ყოველივე ბედისწერით არის განჩინებული. ცხოვრება ისეთი უნდა მიიღო, როგორიც არის, როგორიც გეძლევა, ისეთი, როგორიც განგებამ მოგივლინა, როგორიც ხვედრმა განგიმზადა, მიიღო და დამორჩილდე, და ეს იქნება უმაღლესი სათნოებაც და უმაღლესი სიკეთეც, უმაღლესი ძალაც ეს იქნება. დღეს ასე ფიქრობს და ასე სწამს. მაშინ კი...

ჭაბუკობაშივე აღეძრა შეუგუებლობის გრძნობა, შინაგან დამოუკიდებლობასა და თვითდადგინებას რომ მიელტვოდა. ერთხელვე განცდილი სამუდამოდ აღებეჭდებოდა ხსოვნაში, გარემოსთან მის კავშირს რომ ამძაფრებდა, და ეს სიმძაფრე კი არ უდუნებდა, უძლიერებდა საკუთარი მეობისაკენ ლტოლვის ჟინს. სიჭაბუკეშივე აუცილებლობად ექცა წუთისოფლის ავ-კარგზე მსჯელობა, მარადიულ ცნებათა შეცნობისაკენ სწრაფვა. განა ადამიანი მიტომ ჭამს და სვამს, ისევ ძლიერად რომ განიცადოს შიმშილი და წყურვილი, და კვლავ ჭამოს და სვას მანამ, სანამ მის ფეხქვეშ არ ჩაირღვევა საფლავის უკუნი წიაღი და არ შთანთქავს?! განა მხოლოდ ეს არის ადამიანის არსებობის მიზანი ამქვეყნად?! ვის რაში სჭირდება ეს უაზრო წრებრუნვა, ეს უაზრო როკვა და თამაში სიკვდილ-სიცოცხლისა, თუ სადაც ყველაფერი იმიტომ უნდა

აღმოცენდეს, რომ დაიღუპოს, და დაიღუპოს მხოლოდ იმიტომ, რომ კვლავ იშვას?! სულიერი ამაღლება და თავისუფლება — აი, უზენაესი მიზანი ადამიანის არსებობისა. სწორედ ამ ლტოლვამ ჩამოაგდო უთანხმოება მასა და გარეყოფას შორის, სწორედ ამ ზნეობრივმა სწრაფვამ დააჩნია მის სულს ღრმა დაღი, ვით პერგამენტზე დაღვრილი მელანი, სწორედ თავისი ხალხისა და სამშობლოს ბედის შეცნობამ მიიყვანა ეროვნული თავისუფლების აზრამდე?! განა ყოველი სულდგმული, ამ უსაზღვრო სამყაროში მოფარფატე თუ მოწრიალე, თავისივე ნათესავთა და მგვანთა სისხლისმიერი თავისუფლებისაკენ არ მიილტვის?!. სამშობლო ხომ დედის ძახილია, მწუხარება და ცრემლიანი თვალია, ზარების რეკვა და სასჯელია, გრიგალის მოლოდინია, წამება და მფარველი ანგელოზია; სამშობლო მტრობა და ღალატია, ყრუ ღამეა, მუსიკის ქროლვაა, მარადი სევდა და ზეცაა, ზეცა და ლექსია, ლექსი და ზეცაა. სამშობლო ტკივილია — მარადიული და განუკურნელი: „რაღაც მინდა სიცოცხლეზე მეტი, უფსკრულია და შენ მარტო ჰკივი. მე მაფიქრებს საქართველოს ბედი, მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს. როგორც ოხვრა შორეული ვედის, ანდა როგორც მარმარილო ცივი, — მე მაფიქრებს საქართველოს ბედი, მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს...“ მიდიოდა ძველი და მოდიოდა ახალი, ირღვეოდა საუკუნეებით დამკვიდრებული ყოფა და ზნეობა, და საზღვართა ეს შეხლა-შემოხლა უდიდეს ტკივილებს აღუძრავდა, რადგანაც განშორებაცა და შეხვედრაც ერთ გრძნობას ბადებდა მასში და ამ გრძნობას მწუხარება და სინანული ერქვა სახელად. განშორებაში განა შეხვედრის ცრემლი არ ციმციმებს, ხოლო შეხვედრაში განა განშორების სევდა არ არის ჩასახული და ჩაბუდებული?! ეს გრძნობა ხომ ისევე უცხოა და ცრემლიანი, ვით უძღები შვილის დაკარგვა და კვლავდაბრუნება. მასაც ხომ ისევ უშუალოდ და ბუნებრივად უყვარს სამშობლო, ვით ჭიანჭველას — მიწა, საიდანაც აღმოცენდა, საიდანაც საზრდოობს და სადაც დაფუსფუსებს, ის ჭიანჭველა, რაღაც უხილავი ძალით ყოველთვის რომ გრძნობს მიწის მადლსა და სითბოს. გულმოდგინედ მალავდა ამ სიყვარულს არსების სიღრმეში, ეშინოდა არ გაეუბრალოებინა, როგორც განძი უძვირფასესი, მიწის სიღრმეში ჩაფლული და გადამალული. ყოველთვის ანცეიფრებდა ის ადამიანები, შეუგუარს რომ ეგუებოდნენ, მონურად

მორჩილებდნენ ბოროტს, ხოლო თუ ეს ადამიანები რაღაც შემთხვევითობის ძალით პოეტის სახელსაც ატარებდნენ, ზიზღს გვრიდა მათი ცხოვრება და, მარტოობის გარსით შემოსაზღვრული, გაურბოდა მათ, გაურბოდა, რომ არ შეეღწიათ მის სულში და არ წაებილწათ ის სანუკვარი, მიწაში ჩაფლული განძივით რომ ატარებდა საკუთარ არსებაში. ეს კაცუნები, პოეტის წმინდა სახელს რომ ბილწავდნენ, უყოყმანოდ მორჩილებდნენ ცხოვრების წვრილმან და წარმავალ მოთხოვნებს, ეთქვიფებოდნენ იმ უხეშ გამოვლინებებს, დრო რომ პირდაპირ სთავაზობდა მათ. კი არ შურდა, აღიზიანებდა მათი ლაღი და ნებიერი, ეშმაკთან წილნაყარი ცხოვრება, ხშირად დიდებასაც რომ იხვეჭდნენ, — დიახ, სწორედ იხვეჭდნენ, — და სულიერად ძარცვავდნენ მშობელ ხალხს, ფეხქვეშ უთელავდნენ წმიდათა წმიდას, შანთით უდაღავდნენ წრფელსა და მიმნდობ გულს. თითქო ყველაფერი ერთძანეთში არეულიყო, ყველაფერს ერთი ფერი ედო და ყველაფერი უნაყოფობისაკენ მიექანებოდა. კეთილმჴ ლირმა არ ბრძანა განა: მე ის კაცი ვარ, ვის წინაშეც სხვები არიან უფრო მეტად დამნაშავენი, ვიდრე მე ვარ სხვათა წინაშე დამნაშავეო! ეს გრძნობა და აზრი აცოცხლებდა მთელი ცხოვრება, ღირსებასაც ეს აზრი და ფიქრი ანიჭებდა. მაგრამ ახლა, ყველგან შავმა წყალმა გადაიარა, უდანაშაულო დამნაშავედ იქცა, დამნაშავე — უდანაშაულოდ, და ეს აღშფოთებას კი არა, გულისტკივილსა და მწუხარებას აღუძრავდა, მწუხარებას სხვათა ბოროტებათა გამო, რადგანაც, გინდა თუ არ გინდა, შენც ამ ბოროტების რაღაც მონაწილე მაინც ხარ, რაკი მოწმე ხარ მისი. რაც მეტად გარიყეს და გაინაპირეს, რაც მეტად დაადანაშაულეს არარსებულ დანაშაულში, მით მეტად იწამა თავისი სიმართლე და პატიოსნება, ბრალმდებელნი კი, ყალბი დიდებით გარემოსილი დამნაშავენი, ებრალება, ებრალება თავიანთი უკეთურობისა და უპატიოსნობის გამო, ველური ყიჟინისა და ველური როკვის გამო. მაგრამ, ღვთის წყალობით, იყვნენ და არიან ადამიანები, — და კვლავაც იქნებიან, — სხვანაირად რომ გრძნობენ, სხვანაირად რომ ფიქრობენ, სხვანაირად რომ ცხოვრობენ, და ისჯებიან კიდეც ამ სხვანაირი გრძნობისათვის, სხვანაირი ფიქრისათვის, სხვანაირი ცხოვრებისათვის... „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ“...

ამ ფიქრმა ვანლერ დაისელი გაახსენა, წრფელი პოეტი და

მგზნებარე ,ვაცი, გაახსენდა მისი წერილის სტრიქონები, შორეული რუსეთიდან მოწერილი, გაახსენდა და გული ჩაწყდა; ეხლა იცის, სად არის ახლა, ცოცხალია თუ მკვდარი, იქნებ ველარც კი ველარ-სა საშობლოში დაბრუნებას... „არ ვიცი, მიიღეთ თუ არა თქვენ ის ბარათი, რომელიც დაიწერა იქ, სადაც მეთორმეტე საუკუნის საქართველო გათავდა (დარუბანდში) და დაიწყო ყუბანისა და შემდეგ რუსეთის ველები, — წერდა იგი, — მე მაშინ საშობლო-დან მომქონდა აუწერელი წამება, მძიმე გრძნობა და მწვავე განცდები, გადასახლებით გამოწვეული; არა მარტო გადასახლებით, არამედ ჩვენი ქართული სინამდვილის წვდომით, ამ ნიადაგთან ვგრძნობდი გულს გაერთიანებულს, და ტკივილი ამ დიდი საგნის ჩემშიდაც იწვევდა ყოველთვის ტკივილს... რა იყო იმ ბარათში?.. დიდი სიყვარული და პატივისცემა თქვენდამი, საშობლოს ბედ-თან და სინამდვილესთან დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, ჩემთვის და ჩვენთვის, თქვენ დასაფასებელი ხართ ასჯერ და ათასჯერ უფრო მეტად, ვიდრე ქართველი თანამედროვე კალმოს-ნების დიდი უმრავლესობა. საქართველოს ბედთან ერთად საქართ-ველოს პოეზიის მწარე ბედს როცა განვიცდიდი საშობლოდან ტყვედ წაყვანილი, ქართული პოეზიის ველზე თვალის მიმოვლე-ბის ჟამს, თქვენი ფასი უფრო ვიგრძენი და სიხარული დამეუფლა. იმ ბარათში გეუბნებოდით, რომ თქვენ — რიგორც პოეტი და მო-ქალაქე — პატივისცემის ღირსი ხართ, რომ შეურყეველად დგა-ხართ თქვენს სადარაჯოზე. თქვენი პოეზია, დიდ მხატვრულ ღირ-სებებთან ერთად, ატარებს იმ კონკრეტულ სოციალურ ღირებუ-ლებებსაც, რომელიც ჩვენი უკანასკნელი ათი წლის ცხოვრების ილუსტრაცია თუ არა, ამ ცხოვრების გამომხატველია; რასაკვირ-ველია, პოეზია ვერასოდეს იქნება ცხოვრების ილუსტრაცია. თქვე-ნი ძვირფასი პოეზია და თქვენი გული გაერთიანებულია ჩვენს ეროვნულ ნიადაგთან ერთად, რომელსაც ბრძოლის დიდ ოპტი-მიზმთან და პათოსთან ერთად გააჩნია სევდა და მწუხარება, გა-მოვლენილი ამ საერთო მოქმედებიდან. და სწორედ, ნიადაგის ამ მხრიდან გამომდინარეობს თქვენი პოეზიის ანკარა ნაკადული, მწყურვალ შებრძოლების, გაშმაგებულ გულების დასამშვიდებ-ლად. ამის შესახებ მე მომავალში ვიტყვი თავისუფალ სიტყვას... იცით, რატომ ხართ ღირსი თქვენ განსაკუთრებული პატივისცემი-სა? ჩრდილოეთის პოლუსზე თითქმის, სადაც ეხლა საქართვე-

ლოს ცქრიალა გასაფხულის ნაკვლად ყინულისა და თოვლის გასიპული უდაბნოა, არ ვივიწყებ მეგობრებს... გესალმებით, გაოცნით მხურვალედ და გისურვებთ ჯანმრთელობას... გადაეცით სალამი და სიყვარული ყველა მოყვარესა და მეგობარს. ზიზღი და სიძულვილი კი — მტრებს!.. 30 მარტი, 1930 წელი, არბანგელსკი...“

ადრე ჩაება პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1910-იანი წლები იდგა, წლები ბრძოლისა და დავის, იმედებისა და სასოწარკვეთის, გამარჯვებისა თუ დამარცხების, სიხარულისა თუ ტკივილების. ეროვნული მრწამსით ანთებული ხშირად აქვეყნებს წერილებს 1917, 1918. 1919 წლებში „წალენჯიხელის“ ფსევდონიმით „სახალხო საქმეში“, „ახალ ნაკადში“, „ტრიბუნაში“, დაუნდობლად ებრძვის საქართველოსა და ქართველი ხალხის მტრებს, ყველა იმათ, ვინც წინ ეღობება საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. როგორც თავისი ქვეყნის შვილი, ვერ დარჩა, რაღა თქმა უნდა, ვერც დარჩებოდა, შორიდან მაყურებელი მწვავე სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლისა და მომავლის იმედით გამსჭვალული მტკიცედ დადგა იმ ქართველი ინტელიგენციის მხარეზე, ვისი უპირველესი მიზანიც მეფის რუსეთის ძალმომრეობისაგან განთავისუფლება იყო. თვითმპყრობელობა და ძალმომრეობა ხომ აჭკნობს ეროვნულ ფესვებზე ამოზრდილ ეროვნულ საუნჯეს, კრძალავს მშობლიურ ენას, აკნინებს ეროვნული სულის ყოველნარ გამოვლინებას. ახლაც კარგად ახსოვს ის სიხარული, პირველი წერილის დაბეჭდვისას რომ განიცადა, 1917 წელს; „ხალხი იბრძვის მიწისა და თავისუფლებისათვისო“, წერდა. განა ისიც გლეხის შვილი არ იყო, სხვებივით ღატაკი და უპოვარი, ღარსებაშელახული და სამშობლოშეგინებული, ცისა და მიწის ანაბარად დარჩენილი, მაგრამ მაინც მთელი არსებით სწამდა „ბუნებით მდიდარი სამშობლოს ფეხზე დაყენება და მისი ფეხქვეშ გათელილი უფლებების აღდგენა...“ თუმცა მოლად ბავშვი იყო, კარგად ახსოვს, რა განწყობილება სუფევდა 1905 წლის რევოლუციის დამარცხების მერე, როგორ გამოიტირა ხალხმა ეროვნული თავისუფლების აღდგენის იმედი, მაგრამ რწმენა არასოდეს დაუკარგავს. თუმცა ბუნდოვნად და ყრუდ, მასაც ხომ ტკიოდა გულის სიღრმეში რაღაც, თავისი ახლობელი ადამიანების მწუხარებას რომ უსმენდა, უსმენდა და ყველაფერი უხსოვარი ნატერფალე-

ბივით აღებეჭდა სულზე, არასოდეს რომ წაშლია გონებიდან, გულიდან, მთელი არსებიდან. მერე და მერე, რომ წამოიზარდა, ათიან წლებში, გაიცნობიერა ყველაფერი, მიხვდა, რად წუხდა ხალხი, რა იყო მისი ტანჯვის მიზეზი. სწორედ იაკობ შანავას ოჯახში გაეცნო იმ ადამიანებს, სამშობლოს ხვედრი საკუთარ ხვედრად რომ მიაჩნდათ, სწორედ მათი საუბრები უღვიძებდა ეროვნულ რწმენას, თავისუფლების გრძნობას, ჭაბუკურ გულში რომ ათასნაირ ვნებებსა და ჟინს აღუძრავდა. ეს რწმენა განაწყობდა მოქმედებად, სიმართლისა და სამართლიანობის საძიებლად, ამ რწმენით მიიწევდა წინ — მიუწვდომელი თუ მისაწვდომელი მიზნებისაკენ, იმ მიზნებისაკენ, მშობელი ქვეყნის თავისუფლებასა და ბედნიერებაში რომ გაედგათ ფესვები. განა ეროვნულ გრძნობაზე დიდი გრძნობა არსებობს ქვეყნად, განა სწორედ ამას არ წერდა 1919 წელს გაზეთ „ია“-ში: „ეროვნული თავისუფლება ეს უდიდესი პრობლემაა ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს რევოლუციონური დემოკრატია დარაზმული გამოვა, თუ სამშობლოს რაიმე ხიფათი მოევლინება... ჩვენ ღრმად გვწამს, რომ დღევანდელ ზეიმში მხურვალე მონაწილეობას მიიღებს ყოველი ქართველი და ამით ერთხელ კიდევ დაუმტკიცებთ ჩვენს მტრებს, რომ ჩვენ შეგვწევს ძალა და უნარი, შევინარჩუნოთ ეროვნული თავისუფლება. დეე, ყველამ გაიგოს, რომ ჩვენ გვწყურია თავისუფალი ცხოვრება, და არავის ნებას არ მივცემთ აბუჩად აიგდოს ჩვენი უზენაესი უფლებები...“

...ალბათ პირველად იყო, წალენჯიხელებმა რომ პირველი უქუდო კაცი ნახეს, თმაგაწეწილი, საწერი ქაღალდებით ხელში, მიუკარებელი და განმარტოებული, რაც აკვირვებდა სოფლის ხალხს, ხშირად გაკვირვება გაღიზიანებაში გადასულა, ხოლო გაღიზიანება — აღშფოთებაში. მისი გამომწვევი ცხოვრებით აღშფოთებულნი, ათასნაირ ჭორებს ავრცელებდნენ, ათასნაირ ცილს სწამებდნენ, ცილისწამება, მთელი მისი ცხოვრების ბედისწერად რომ იქცა მერე. ვინ რა იცოდა, რა ღვიოდა მის გულში, რა ძლიერი სიყვარულით უყვარდა თავისი ხალხი, თავისი სოფელი, თავისი ქვეყანა. განა ეს სიყვარული არ ანიჭებდა თავისუფლებას და ამ თავისუფლებით არ უკავშირდებოდა იმ ფესვებს, იმ ეროვნულ სულს, რამაც აღმოაცენა და ძუძუ აწოვა?! თითქო საკუთარ არსებაში ერის დაღლილობასაც კი ატარებდა, იმ ზღვართან მიახ-

ლოებული ერის, კიდევ ერთი დიდი და აბალი განსაცდელი რომ ელის წინ. თითქო მთელი არსებით გრძნობდა ამ განსაცდელს, გრძნობდა ბედისწერულად და თითქო ზეცაში გადახვეწით ცდილობდა დაეძლია ეს ბედისწერული თუ საბედისწერო განსაცდელი. გამეფებული მოთხოვნები ზნეობისა ვერ აქცია საკუთარ მოთხოვნებად, ვერ შეუთავსა ისინი ერთმანეთს და უთანხმოება, მასა და გარეყოფას შორის რომ ჩამოვარდა, ვერ შენიღბა, ვერ შემოსა თვალთმაქცის ფერადი მანტიით და პირისპირ აღმოჩნდა ბრბოს განურჩევლობასა და გულგრილობასთან. თუმცა ამ უთანხმოებითვე უწყალობა თავს თავისუფლება, რამაც ტანჯვაც ბევრი აგემა, ის ნეტარი წამება, თავისუფლების შეცნობას რომ მარად თან ახლავს. ახლაც სიბრალულით იგონებს იმ ადამიანებს, მისი ცხოვრება რომ სისუსტე და უძლურება ეგონათ, საკუთარ თავში კი ვერ ხედავდნენ იმ სულიერ სიღატაკეს, რითაც აღიკვეთეს თავისუფლების ნეტარი განცდა და სამუდამოდ დაისაჯეს თავი, წუთიერ კეთილდღეობას კი მიაღწიეს, მაგრამ ღმერთს განუდგნენ და ველური ყიჟინის მონობაში გალიეს წუთისოფელი. სიბრალულითა და ზიზღით იხსენებს ახლა იმ კაცუნებს, ათასნაირი ცილისწამებით რომ სახელს უტეხდნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის რწმენაანთებულ კაცებს, მათი წმინდა სახელების ლაფში ამოსვრას რომ ცდილობდნენ. ერთ წერილში, 1918 წლის „სახალხო საქმეში“ რომ დაბეჭდა, სწორედ მათ გულისხმობდა: „დღეს, როდესაც სინათლე ეფინება უხვად ყოველ მიდამოს და სიმართლის ხმა მკაფიოდ გაისმის, აქაურ სოფლებში ისევ ბნელა და სიმართლის თქმა სასტიკად აკრძალულია, რაც სრულებით არ შეეფერება ახალ სამართალს. ყველა უსწავლელს და პოლიტიკის სრულიად არმცოდნეს თავი დიდ პოლიტიკოსად მოაქვს და ვინ იცის, თუ როგორი პროვოკაციითა და დემაგოგიით კვებავენ ხალხის გონებას. სოფელი ისევ ყაჩაღების ასპარეზად არის გადაქცეული. სოფელს კვლავ ნაძირალები ეელინება შავ აჩრდილად. არსაიდან არის ხსნა!..“ და გაახსენდა ის შემზარავი ღამე, სოფელს რომ ყაჩაღები თავს დაეცნენ, სახლებს ცეცხლი წაუკიდეს, გლეხები გარეთ გამოყარეს, რამდენიმე კაცი მათ თვალწინ მოკლეს და ცეცხლმოკიდებულ ბოსლებში ჩაფერფლეს, დაწვეს საქონელი, სურსათი; ახლაც ჩაესმის საქონლის განწირული ბღავილი, სროლა, ქალების კივილი... გაახსენდა სტრიქონები, წალენჯიხის ერთ-ერთ თავკაცს იოსებ

კვარაცხელიას რომ ავკაცობისა და უკეთურებისათვის მისწერა 1917 წელს „სახალხო საქმის“ ფურცლებზე: „არ შემიძლია უყურადღებოდ დავტოვო ის ცილისწამება, რომელიც მე მხვდა წილად თქვენი შემწეობით, და მე ბსურს ნათელვყო ჩემი სიმართლე. საკვირველია სატირალი არ იყოს ყველა ის სიტყვები, რომელიც ჩემს წინააღმდეგ წამოაყენეთ; თქვენ ლაპარაკობთ, ვითომ მე რელიგიის წინააღმდეგ მივდიოდე და „ანარქისტულ პროპაგანდას“ ვეწეოდე. თქვენ კარგად იცით ჩემი ვინაობა, იცით, რომელი პარტიის ნევრი ვარ და მიკვირს, რად დაგჭირდათ ამისთანა ჭორების გავრცელება ჩემს წინააღმდეგ. ამ ცილისწამებისათვის პროტესტს გიცხადებთ და მოგიწოდებთ გამომყვეთ სამედიატრო სასამართლოში ჩვენდა სიმართლის აღსადგენად...“

...1917 წლის დამლევია, თოვს და ყინავს, ყალტამი და უფერული დღე დგას. დიდი მიტინგია წალენჯიხაში მოწვეული, ოთხიათასამდე კაცი ესწრება, ახლომახლო სოფლებიდანაც ბევრია ჩამოსული. დამფუძნებელთა კრებისთვის ყველა პარტიამ კენჭისყრით უნდა აირჩიოს თავისი წარგზავნილი. აი, ტრიბუნაზე ადის ჯარიდან ახლადდაბრუნებული, სამხედრო მუნდირში გამოწყობილი ბეგლარ კვარაცხელია, ესეც გვერდით უდგას, მთლად ჭაბუკია; დეკემბრის სუსხიანი ქარი ოქროსფერ თმებს უწეწავს, ღელავს, თვალები უცნაურად უელავს, მოლოდინშია — ბეგლარის მერე მან უნდა თქვას სიტყვა. ბეგლარი ხალხს მოუწოდებს, არცერთ პარტიას არ მისცენ ხმა, დღეს აქ გლეხებისა და მუშების საარჩევნო უთი არ დგასო, ქართული მიწა ქართველ ხალხს ეკუთვნის, ისინი ღვრიდნენ და ღვრიან სისხლსა და ოფლს ამ მიწისთვისო... უსმენს ბეგლარის ცეცხლოვან ლაპარაკს და ნელ-ნელა ზღაპრის გოლიათს ამსგავსებს, ხალხს რომ გადაფარებია და ურჩხულისაგან რომ იცავს. მერე წმიდა გიორგიდ წარმოუდგა, თეთრ რაშზე ამხედრებულ წმიდა გიორგიდ, შუბაპყრობილი გველეშაპს რომ გმირავს... ისმის ხალხის აღტაცებული შეძახილები. მენშევიკები ბეგლარს გერმანიის აგენტს უწოდებენ, ცილს სწამებენ, არბიან ტრიბუნაზე და დაპატიმრებას უპირებენ მასაც და ბეგლარსაც, მაგრამ ვეღარ ბედავენ, — მათ მხარს უჭერენ ომიდან დაბრუნებული შეიარაღებული ჯარისკაცები. მიტინგი იშლება, სიტყვის თქმას ვეღარ ასწრებს... გაახსენდა ყველაფერი, წამიერ აგონიაში მყოფს, და სინანული დაეუფლა: ვინ, ვინ იცის მისი

წარსული ცხოვრება?! თუმცა ყოველთვის ასე ხომ არ იქნება, გაივლის დრო და ყველაფერი განცხადდება, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, გაივლის დრო და დაინახავენ, რა ცეცხლი ღვიოდა მის გულში, სწორად შეაფასებენ ყველაფერს, აუცილებლად იტყვიან, მისი ტანჯვის ერთ-ერთი მიზეზი რომ სამშობლოს უბედო ხვედრი იყო, იტყვიან, რომ ისიც სხვებივით მიელტვოდა სამშობლოს დახსნას მეფის რუსეთისაგან, მიელტვოდა ძველის დანგრევას და ახლის აღმოცენებას, იმ ახლისა, თავისუფლება და სიმშვიდე რომ უნდა დაებრუნებინა ქართველი ხალხისთვის, დაებრუნებინა იმ ჭეშმარიტ ეროვნულ ძირებთან, რასთანაც კარგახანია გაეწყვიტა კავშირი. სალონებიდან და ბალ-მასკარადებიდან კი არ მოსულა პოეზიაში, პირდაპირ ცხოვრებიდან მოვიდა, ტალახიანი ფეხებითა და ნაჯაფი ხელებით, უპოვარი და არას მქონე, ერის ხვედრზე ღრმად ჩაფიქრებული, სამშობლოს ტკივილებით შეპყრობილი, და როცა სხვები, გაპუდრულნი და ბაფთიანები, სალონებში გაფითქინებული ხელებითა და გულისპირებით იქმნიდნენ პოეტურ კარიერას, მას ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა და სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოდა, თუმცა ეს ფარაჯაც ისევე მძიმე იყო მისთვის, ვით სულისთვის — ხორცი: „ბნელ უაზარმაში სული შფოთავს, გული ღონდება, იქ უძილობა, შავი ფიქრი უფრო მაწვალებს. როს გარეთ გავალ ყრუ სიცივე ამაკანკალებს და წარსულ ყრმობის სიმახინჯე მომაგონდება...“ რა მიზანი ჰქონდა ამ ტანჯვას?! ერთადერთი: „ასე ღვივდება გრძნობა ფარული, ოღონ არ ვხედავთ ჩვენ განსხვავებას. ყველას გვაერთებს აქ სიყვარული, სამშობლოს დაცვა და აყვავება...“ სამშობლოს ტკივილს ისე შეაწნა პოეზიის უმაღლესი ცნება, ვით ვაზი — ქართულ ჩუქურთმას, ვით ვაზს — ქართული საგალობელი. ცივი მჭვრეტელი არასოდეს ყოფილა, დაუცხრომლად მოქმედებდა, მთელი არსებით, შინაგანი მოთხოვნილებით, მისი სტიქია ხომ მშფოთვარება იყო, შიში და მღელვარება, იჭვი და რწმენა, უკმარისობა და ლტოლვა, ეზიზღებოდა განურჩევლობა, გულგრილობა, უსამართლობა. ასეთი გზა რომ არა, არ იქნებოდა ახლა მართალი საკუთარ თავთან, მართალი არ იქნებოდა მშობელ ხალხთან, მთელ ქვეყანასთან, ღმერთთან არ იქნებოდა მართალი, თვით სიკვდილთანაც კი არ იქნებოდა მართალი, ახლა პირდაპირ თვალებში რომ ჩასჩერებია და მსხვერპლად სულს ითხოვს, ტანჯვით განწმენდილ და

გასპეტაკებულ სულს... კარგად ახსოვს ის დღეები, მხურვალე ლოცვა-კურთხევით რომ იხსენიებდა ხალხი იმ ადამიანებს, ვინც გადაარჩინა საქართველო აოხრებასა და განადგურებას, ვინც გულ-მხურვალედ იბრძოდა ეროვნული თავისუფლებისთვის. თავისი სტრიქონებიც გაახსენდა, სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს რომ ეხმიანებოდა „სახალხო საქმეში“ 1918 წელს: „მათ გადაარ-ჩინეს მთელი საქართველო რღვევის პროცესისაგან ჯართან ერ-თად. მათ დაგვიმტკიცეს სამშობლოს სიყვარული არა მარტო სიტყ-ვით, ფრაზებით, არამედ თავგანწირული, რეალური მოქმედებით. ბევრი საუკეთესო შვილი გამოესალმა წუთისოფელს, მაგრამ, მიუ-ხედავად ყველა ამისა, მაინც მიაღწიეს დასახულ მიზანს და დაამ-ყარეს მთელს საქართველოში სრული წესიერება და მშვიდობია-ნობა, რომელსაც დღეს აშკარად და ნათლად გრძნობს ყველა. დღევანდელი დღე მართლაც ჩემთვის საზეიმოა... დღეს მწყობ-რად გამოვლენ ტფილისის მღელვარე ქუჩებში... და ამით ერთხელ კიდევ თავზარს დასცემენ იმ ჩვენს მოსისხლე მტრებს, რომლე-ბიც ლამობენ ჩვენი სუვერენული უფლების შელახვას და ჩვენი დამოუკიდებლობის მოსპობა-განადგურებას. მაშ საუკუნო ხსენე-ბა სამშობლოს დაცვის დროს ბრძოლის ველზე გმირულად დაცე-მულ ამხანაგებს...“ და კვლავ გაუელვა გონებაში „სულის ცეცხ-ლის“ სტრიქონებმა: „ქალაქის კვამლი, მღელვარება, ღამის ალები და შორეული რაინდების უმწეო შფოთი. სამარადისო მწუხარე-ბა მოკლულ თვალების და ჩემი სული ამართული, ვით ეშაფო-ტი...“ განა მისთვის რაიმე იყო გაყოფილი, განა ყველაფერი — პირადიცა და საზოგადოც მის არსებაში ერთად არ იყო ჩაწნული და ჩამარხული?! და დღეს, როცა უკვე თითქო დამშვიდებულია, თითქო დამორჩილებია კიდეც თავის წარსულ ცხოვრებას, იმ მშფოთვარე წლებშიც კი პოეზია იყო მისთვის მთავარი. თუმცა სამშობლოს თავისუფლებისათვის სიტყვითაც იბრძოდა და საქმი-თაც, ქვეცნობიერად გრძნობდა, რაღაც უფრო დიადის წინაშე რომ უნდა მოეხარა ქედი, რაღაც უზენაეს ძალას რომ უნდა დამორჩი-ლებოდა. ეს უზენაესი ძალა — პოეზია იყო. ასე დამთავრდა მისი მშფოთვარე წლები, რამაც გაიყოლია ყველაზე სანუკვარი იმედი, და მთლად პოეზიის გამჭვირვალე ტბაში ჩაიძირა, პოეზიის სამე-ფოში ცდილობდა გაცრუებული იმედების აღდგენასა და აღორ-ძინებას. თავისი ხვედრი სამშობლოს ხვედრს გადააწნა და პოეზიის

ბედისწერით დააქორწინა ისინი ერთმანეთთან, დააქორწინა და მიეცა ღრმა, მშვიდ და მშფოთვარე მდუმარებას: „სრულიად არ ვგრძნობ იმედს, გაქრა ფიქრების კროვა. მოდის ტალღები მძიმე და საშინელი დროა...“ სიამაყის გრძნობა მსჭვალავს ახლა, მშობელი ხალხისა და ქვეყნის წინაშე იოტისოდენა ცოდვაც რომ არ ჩაუდენია, რაც აუმღვრევდა და აუფორიაქებდა სიკვდილშემდგომ სიცოცხლეს; მისი ერთადერთი და ყველაზე დიდი ცოდვა ხომ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული იყო...

ყოველივე ამან კვლავ სოფელი გაახსენა, სოფლის სითბო და სინათლე ჩაუღვარა სულში; და აი, კვლავ ხედავს სოფლის მიტოვებას: სერზე გადმომდგარ დაღვრემილ მამას, თავსაფრიან დედინაცვალს და აცრემლებულ ზოზიას, ხელში თეთრ ცხვირსახოცს რომ აფრიალებს... მოენატრა დები, ისინი გაუთბობდნენ ახლა გათოშილ სულს, გაუთბობდნენ და დაიფარავდნენ საბედისწერო განსაცდელისაგან. შორს დარჩენილი დები მისი იმედია ახლა, შორეული, მაგრამ მაინც იმედი — სულის უხილავი სავანე. ხშირად ამოფარფატებულან დები მის წარმოსახვაში არა სხეულებრივ. არამედ ფეერიულ, იდუმალებით მოცულ ნიმფებად და მოუხმია მათთვის მარტოობის ჟამს: „ახლა მარტო ვარ, ის დრო წავიდა, როცა ქუჩაში ვახდენდი დებოშს; ნუ დარდობთ ჩემზე, იყავით მშვიდად, მე მალე მოვალ, ძვირფასო დებო!..“ ახსოვს, იმ დღესაც ცივი ქარი ქროდა სასაფლაოზე, ბევრი იხეტიალა საფლავებს შორის და შორეულ ქვეყანაში გადახვეწილივით, საშინელ უცხოობასა და სიმარტოვეს გრძნობდა; წამით შეძულდა თბილისი და უმალვე მზით აბრწყინებული წალენჯიხა ამოუნათდა გონებაში, თვალწინ დაუდგა ძვირფასი დები — ერთადერთი და მარადიული თეთრი მოლოდინი, სანთელივით რომ უკიაფობდა ყოველთვის უიმედო სულში. დატოვა სასაფლაო და წამოვიდა, გზაზე ყვავი აუფრინდა და გამოედევნა, თითქო ცრემლიც კი შენიშნა მის თვალებში, — ალბათ ისიც მარტო იყო ახლა, — და იგრძნო სითბო და თანაგრძნობა. მაშინვე ბავშვობაში ნანახი ყვავი წარმოუდგა, ეკლესიიდან მობრუნებულმა გაძარცულ ხეზე ჩამომჯდარი რომ ნახა, ლიბრიანი და ცრემლიანი თვალებით რომ მიწას ჩასჩერებოდა და თითქო არსებობის აზრს ეძიებდა, წუთისოფლის

წარმავლობაზე ღრმად ჩაფიქრებული. უმზერდა საფლავებში აფრენილ ყვავს და უხილავი გრძნობით გრძნობდა, ყვავსაც რომ თავისი მარტოეული ხვედრი ტანჯავდა: „ჩიტი აფრინდა სადღაც მაღლობთან, ახლა იქნება საათის ათი. ახლა ეს ყვავი ჩემთან ახლოა, ახლა ეს ყვავი კაცივით დადის. ალბათ იქ დები მელოდებიან, ქარია მაღლა, ქარია დაბლა. თოვლია ირგვლივ და ლოდებია და გვირგვინები აწყვია საფლავს...“ ნეტავ სად არის ახლა მაშო, სად არის ზოზია?!. თუ ახსოვთ ძმა, ოდესღაც დაკარგული მშობლიური სახლიდან, გადახვეწილი უცხო ქალაქში, ახლობელთაგან განდგომილი და მარტოსული?! ნეტაი თუ გრძნობენ ახლა, რომ სცივა, რომ შია?!. რას იზამ, ასე მიდის წუთისოფელი!.. ისევ ამოვა მზე, ისევ ბევრი სინათლე დაიფრქვევა ქვეყნად, მაგრამ წარსულს ვეღარ აანთებ, ვეღარასოდეს ვეღარ იხილავ ისეთს, როგორიც იყო შენს ჭაბუკ გულში. ხოლო თუ მეორედ მოუწევს დაბადება, ალბათ ისევ ამ გზას გაივლის, ისევ ამ გზას დამორჩილდება, ბედისწერით წინასწარ დასაზღვრულსა და დაწერილს: ხოლო დღეს კი... „დღეს ყველაფერი დაკარგულია, დაკარგულ იღბალს ქარში დავეძებ. და მოვა ღამე — სევდის ნიშანი, ისევ დუმილის წამი გამეფდა. მე განვიცადე ეს ქარიშხალი, მე განვიცადე დიდი წამება...“ ახსოვს, დაღლილი ბრუნდებოდა ერთხელ ოთახში, კუკიაზე ჩამოიარა იმ დღეს, საბაჟლაოზე კამათელს აგორებდნენ. მიიზიდა კამათლის ბზრიალმა, მისი ცხოვრებაც ხომ ამ კამათლებივით ბრუნავს და ტრიალებს, ბედისწერაც ხომ კამათლებივით ათამაშებს მის ცხოვრებას. გლახაკი ვინმე ეგონათ, ხელის კვრით გამოაგდეს. წამოვიდა დამცირებული, გასაცოდავებული, მწარე ტკივილით გულშეძრული. ნუთუ არსად, არსად არ არის მისი ადგილი?!. მას კი უნდოდა ეთანაგრძნო მათთვის, უნდოდა ეთქვა, მისი ცხოვრებაც რომ ბედისწერის კამათლებზე ჰკიდია, როგორც მათი, ყველა ადამიანის ბედს რომ კამათელი ატრიალებს, ყველა ადამიანი რომ ერთნაირად საცოდავი და უბედურია ამ უდაბურ წუთისოფელში. ცრემლი მოადგა თვალზე და ამ ცრემლში მაშინვე დები აკიაფდნენ, როგორც წყვილი კამათელი ბედისწერისა. და მოუნდა მათთან გაქცევა, რომ დამხობილიყო მათ წინაშე და პატიება ეთხოვა, მარტოობისა და უთანაგრძნობის საზღვრით შემოსაზღვრულს: „მივყვები ისევ ფიქრების შრიალს, ძვირფასო დე-

ბო! მე ვიტანჯები. არ ვიცი რა ექნა, მე ციხეში ვარ, ირგვლივ მარტყია რკინის ფანჯრები. ქარი ეწვია ჩინარს და საძვალს და ქრება დღენი ჩემი ცხოვრების. არავინ არ მყავს ამ ქვეყანაზე. მე თქვენ ყოველთვის მემახსოვრებით..."

ესსენდება: 1921 წელია... ხელში სტამბიდან ახლახან გამოტანილი წითელი ასოებით დაბეჭდილი „საშგლოვიარო ხაზები" უჭირავს და კითხულობს წიგნის წარმძღვარს: „ო, ჩემი სული თეთრ ლოცვებში დატეხილი გლოვის ხაზებად". გონებისთვალით კითხულობს ახლა თავის „სისხლით ნაწერ სტრიქონებს". სულ შვიდ ლექსს, შვიდ წმინდა ცრემლს, ქვეყნის იმჟამინდელ ხვედრში რომ შავ ვარდებად ამოჩენილიყვნენ, კითხულობს და ახსენდება მათეს სიტყვები: „რამეთუ აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფებაი მეუფებასა ზედა, და იყვნენ სიყმილნი და სრვანი და ძვრანი ადგილ-ადგილ"... თითქო იმ დღიდან დაიწყო მისი სულიერი ფერიცვალება, ცხადი და ქმედითი ღწვიდან ფარულ ტკივილებსა და ჩუმ ამბოხში გადანაცვლება, მშვიდ მშფოთვარებასა და ქრისტიანულ დათმენაში გარდასულიერება. რა იყო დასამშვიდებელი?! არაფერი!.. მაგრამ ეს დათმენა და მორჩილება ზეციერი პოეზიისა და ღმერთისაკენ მიმავალ ერთადერთ ჭეშმარიტ გზად ესახებოდა. აღარ ძალუძდა ისე განეგრძო ცხოვრება, როგორც ცხოვრობდა, აღარც ძალუძდა და აღარც სურვილი ჰქონდა — მას ხომ პოეზიის შორეული სამეფოები უხმობდა, არსებული გარეყოფა კი უხეშ დინებაში უპირებდა ჩაკეტვას. მანამ სწამდა მიწიერი არსებობისა, სანამ სწამდა, რომ ბედნიერებას იხილავდა, იხილავდა უმაღლეს სამართლიანობასა და მშვენიერებას; ოდეს ყოველივე თვალსა და ხელს შუა დაეკარგა, ზღვაში ჩაძირული გემივით, საკუთარ თავში დაიწყო უმაღლესი სამართლიანობისა და ბედნიერების ძიება, და ამ ძიებას პოეზია და ზეცა, რწმენა და წამება ერქვა სახელად. ბედისწერის ჩარხს, მის თვალებსა და სამშობლოს ცაზე დატრიალებულს, უკან ვეღარავინ დააბრუნებდა. და ჩაიმარხა გულში ყოველივე, ჩაიმარხა და მარტოობისა და თვითგვემის უმძიმეს გზას დაადგა, უდაბნოში მოხეტიალე მწყურვალ ბე-

რივით. ასე დაიწყო ფარული მარტვილობა მისი სულისა, მისი ხორციელი ცხოვრების დიდმარხვა, რამაც აგერ ამ დღემდე მოიყვანა — ხორციელ დაუძლურებამდე და სულიერ გაცისკროვნებამდე. ამ მძიმე გზაზე ვაჟას სიტყვები მიუძღოდა თანამგრძნობლად და სულის მეოხად: „გაისმა მარად მწუხარე ხმა ზარისა. ეს ნიშანია იმისა, რომ ყველას გული მოიცვას მწუხარებამ. როცა ადამიანი სწუხს, მაშინ მიდრეკილება აქვს კეთილის საქმნელად, ფიქრთა და გრძნობათა განსაწმენდად... დიდმარხვაც სწორედ იმიტომ მოიგონეს, რომ შიმშილის მეოხებით, ლეშის დატანჯვით მიეცათ ადამიანთათვის საშუალება კეთილფიქრთა და გრძნობათა ასაღორძინებლად. მარხვა სინონიმია სინანულისა და მოთმინებისა...“ და განა, მთელი მისი ცხოვრება მარხვა და მოთმინება, სინანული და მონანიება, აღსარება და ტანჯვა არ იყო?!. განა ცოცხალ გლოვად და სევდად არ იქცა, ცარიელი სულისამარა არ წარუდგება უფალს, ღატაკი და არას მქონე, ნაწამები სული რომ უმწიკვლოდ მიაბაროს მარადიულ სასუფეველს?!

...შვიდი ხომ წმინდა რიცხვია და „სამგლოვიარო ხაზების“ შვიდი ლექსიც შინაგანი სიწრფელით, სულისმიერი შეგრძნებებით დაიწერა, ამ ლექსთა სიმბოლოებმა გამოავლინა მისი შინაგანი განწყობილება, იმედი, აქამდე რომ ამოძრავებდა და ამოქმედებდა, გაზაფხულის თოვლივით რომ ჩაადნა ხელში. განა „მწუხარე მელოდიაში“ დამსხვრეული იმედი წუთისოფლის მღვრიე წყალს არ მიაქვს?!. „აკანკალდა არმაზი, უნაზესი გამმაზე, მოსვენებას არ მაძლევს კვირეების გუგუნი. ძლივს გადურჩი ამ აპრილს, ვერ ვასრულებ დანაპირს, ჩვენს ცხოვრებას თანაბარს შთანთქავს ღამე უკუნი... სასაფლაოს ლოდებთან ჩამოცვივდნენ ფოთლები, მზეო, არ გელოდები, მე, ფარულად მთრთოლვარე...“ ასე დაიწყო მისი შემობრუნება იდუმალი და ჩუმი, ფარული ცხოვრებისაკენ: „მწუხარება ნაკეცი გაზაფხულზე დაგეძებს, შენს უმანკო ბაგეზე დაბინავდნენ ლოცვები...“ განა იდუმალისაკენ ლტოლვამ არ დააწერინა „ფარული ვედრება“, რისი არსიც იმ უხილავი და აუხსნელი შეგრძნებებით არის გამსჭვალული, ოდეს ადამიანი რაღაც დიადს მიელტვის, მიელტვის და ჰკარგავს მას. ლექსის ცისფერი სარკმლიდან ხომ ნივთიერი ყოფა იმზირება, საკუთარ ცოდვაში არეკლილი და უცნაურად გაცხადებული, მონანიებასა და

აღსარებაში გაზეგრძნობიერებული. აქ დაიწყო მისი წამება, რისი არსიც ღრმად შეეგრძნო და შეეცნო, და მიიღო კიდეც იგი, ვით ბედისწერით განჩინებული გარდუვალი წილხვედრი, და ლოცვისა და ვედრების სამრეკლოზე გადაინაცვლა: „ჩემს ცოდვილ სავანეს ქაოსი ედება, თითქოს ვარ სიზმარში და ირგვლივ ქვებია. ჭლექიან ფერებით ბაღებში თენდება, ჩემს ვიწრო ოთახში წამები ქრებიან. ჯვარებთან გაივლის ფარული ვედრება, წირვებით წამიღებს წამების მწვერვალი. ვარდისფერ სარკეში სურვილი ბერდება, მთვარესთან ჩამოწვა უვნებო ფერვალი. მე, ჩუმი, მივყვები ლანდების ასეულს, ღამე — უდაბნოა, ვნება — კოშმარია. ქუჩაში მცხოვრებს და სახლიდან გაქცეულს, შემინდე, შემინდე, წმინდაო მარიამ!..“ ღრმა სულიერი ტკივილები, მის არსებაში რომ აღბეჭდილიყო, არ იცვლებოდა, რაღგანაც შეუცვლელი და მდგრადი იყო ნივთიერი ყოფისადმი მისი დამოკიდებულება და ამ დამოკიდებულების მეტაფიზიკური გარდასახვა. გზა იყო რთული, სულიერი და ფსიქიური შრეებით აღსავსე, შემეცნების ახალ-ახალი შედეგებით გაღრმავებული, შესაცნობი მოვლენების შეცნობას რომ უიოლებდა. განა „შენს გაქცევაში“ არ გამოავლინა ფარული ლტოლვა, იდუმალი შემზადება ახალ არსებობაში, ახალ ყოფაში გადასასვლელად?! როგორი იყო ეს ახალი ყოფა, ანდა რა იყო აუცილებელი ახალ ყოფაში გადასასვლელად?.. განდგომა და დაძლევა საკუთარ თავში იმისა, რასაც იმედის დამსხვრევა ერქვა, მიღება და მორჩილება მისი, ვით ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენისა, ვით ბედისწერისა; ამას კარნახობდა შინაგანი ხმა. განა უამისოდ შესძლებდა მისთვის მიუღებელ ყოფაში იძულებით გადასახლებას?!. ამიტომ გრძნობდა თავს განკიცხულად და „კაინივით გმობილად“, თითქო მას ჩაედინოს ის ბოროტებანი, ახალ ყოფაში სხვა კაცად გარდაქმნა რამაც აიძულა, და აფარებდა თავს სიმშვიდისა და გარინდების ფარღალალა ქოხებს, სადაც ქარი მიწიერ ცოდვასავით დათარეშობდა: „ძველ ბაღებს დაეცნენ ქარები ყაჩაღივით, და აიკლეს ფოთლები. თავზე დამსტირის ბებერი მზის მწუხარე სხივი, ო, ლოცვით მელის ბოდვები. შენს ძვირფას სახელს ამ ტირილში მე არ ვეხები და ვარ კაინივით გმობილი. ძაღლებმაც ივრძნეს მამაჩემის კოჭლი ფეხები, აკლდამებში ძირს ჩაწყობილი. ვოცნებობ შენზე, როგორც ბავშვი შიშით დაღლილი, თან მდუმარებაც მიზიდავს ტყეში. ო, ეს

საღამო ჩემს ნაზ სულში რჩება დაღვივით, მაგრამ ვიქნები მაინც საფრთხეში...“ შინაგანი მზერით უხმობდა თავის არსებაში ცხოვრების იმ უწყინარ და დაუბინდავ ხანას, ოდეს მშვიდად და გულუბრყვილოდ ცხოვრობდა, უხმობდა ბავშვობის ხანას. ბუნების წიაღში აღძრულ გამჭირვალე შეგრძნებებსა და წარმოსახვებს, ლურჯი გორებითა და თეთრი სიმშვიდით რომ იყო გარემოცული. თუმცა იმ უზრუნველობასა და უწყინარობაში გუმანით წინასწარვე გრძნობდა თავის ბედს, თავის დღევანდელ დღეს. სული, ზეცად მოთარეშე მისი სული იყო მიზეზი ამისა. მიზეზი მისი შინაგანი დაუცხრომლობისა, ბუნებრივი კავშირი რომ გააწყვეტინა წარსულ იმედებთან და მთელი სიმკაცრით დაანახა საწუთროს ეკლიანი გზები. განა იმ ყოფასთან შეგუება, უცხო და მიუღებელი რომ არის შენთვის, მძიმე არ არის! ორმაგად მძიმე არ იქნებოდა შეგუება მისნაირი დაუცხრომელი სულის ადამიანისათვის, ცხოვრების იმ საბედისწერო საფეხურზე რომ იდგა მაშინ, ოდეს ყველაზე გადამწყვეტი ზომების მიღება იყო აუცილებელი თავის გადარჩენისა და თვითდამკვიდრებისათვის?! თუმცა ეს ცნებები მრავალმნიშვნელოვანია და ყველას თავისებურად ესმის, — გააჩნია პიროვნებას და მის დამოკიდებულებას შიგა თუ გარე სამყაროებისადმი, ზნეობრივი საწყისებისადმი, — იგი ხომ გადარჩენასა და თვითდამკვიდრებაში მხოლოდ და მხოლოდ სულიერ ხსნას ხედავდა. ამიტომ აირჩია ის გზა, გაღმა ნაპირზე რომ გაიყვანდა, სულის მაღალი სამრეკლო სადაც ეგულებოდა, აირჩია გზა. რისიც შინაგანად სწამდა და სჯეროდა, თუმცა დამღლელი და მძიმე, მაინც ხსნის გზა. რაც უფრო მეტად იძაბებოდა მისი დამოკიდებულება ახალ ყოფასთან, მით უფრო მეტად უმწვავდებოდა სულიერი ტკივილები, მეტი ცხოველმყოფელობა ეუფლებოდა მის შინაგან არსებას, საკუთარ ბედსაც კი არ ინდობდა, საკუთარ არსებობასაც იჭვით უმზერდა, დაუნდობლად ებრძოდა თავს, ცდილობდა ეხილა მისი ნამდვილი სახე, არ მიეჩქმალა საკუთარი ცოდვიანობა, ადამიანური ცოდვიანობაც, საერთოდ, — ადამიანი ხომ პირველცოდვის მერე ჯერაც არ განწმენდილა, და ალბათ ვერც ვერასოდეს განიწმინდება: „ზამთრის დღეები ყრუ სიცივე და პროცესია, ნელი სურვილი, შუაღამის თეთრი გოდება. ჩემი სავანე ცდაბნოა და შეცოდება, ვერ გავექცევი მზერამოღლილს და მიზეზიანს. ზარების რეკა წერტილებით შემომესია, უიღბლო ყოფნის სინანუ-

ლი სულში გროვდება. საქართველოში მხოლოდ შენ ეროს თუ გაგონდება გაბრწყინებული ჩემი სახე. ვით ეკლესია. ო, ჩემი სულ- უერთდება ქალაქს მტვერიანს, დავიკარგები, როგორც მამის ძველი ნისლია, როცა იელვებს კვრეები და ისტერია. მე მენატრება ღამეები, ძილი მეფური, რომ სულში ირგვლივ ბოროტების შავი ნისლია, და ჩემი ტანი ცოდვებისგან დამძიმებული...“ „ხსოვნის სიმაღლე“, პირველად რომ „საბედისწერო რიცხვები“ ერქვა, იმითაც არის სხვათაგან გამორჩეული. სულში რომ იმედის სხივი აუნთო, ნაპერწკალი იმისა, მოჩვენებითი ყოფის ზეიმური ყიჟინა რომ დაეძლია და მთლიანად ფიქრისა და სიჩუმის იდუმალ დემონს დამორჩილებოდა. განა ტანჯვასა და მწუხარებაში აღმოცენებული სიხარული უფრო წრფელი და მართალი არ არის?! ასეთი კონვულსიებით მთავრდებოდა „ვარდასახვის“ საფეხურები და ეგებებოდა ახალ არსებობას. ფარული ტანჯვითა და წამებით აღსავსეს, მაგრამ პოეზიის სიხარულითა და სინათლით გასპეტაკებულს. ასე დამორჩილდა საკუთარ ხვედრს, სინამდვილეში რომ დაუმორჩილებლობას ნიშნავდა, და ყოველთვის რომ ღრმად სწამდა: მისი უკუდგომა რომ წინსვლა იყო, ხოლო განდგომა და განმარტოება — ძალა და სათნოება: „დამძიმდა ბედი, ხსოვნის ტარება, არ მოსჩანს თეთრი მზე ლანდემინის. და სიზმარივით თვალს ეფარება: თბილისი, ცრემლი, დღე რამდენიმე. ო, გაქრა ლოცვ-ს ფარული სფერო და ვურიგდები სიკვდილზე ზამთარს. მოვიდა რიცხვი საბედისწერო და სულის ირგვლივ უცებ დაღამდა. ახლოს არ დარჩა ვარდი არცერთი და გლოვა კრთოდა ბედის წყაროდან. ჩამქრალ თვალებით ნუგეშს ვეძებდი, ვეძებდი ნუგეშს და მიხაროდა...“

ამ მძიმე და შორეული ფიქრებით დაღლილმა წამით ჩათვლიმა და იხილა: თითქო სადღაც გემზე მოხვედრილიყოს. მხოლოდ ჭკუამხიარულთ რომ მოუყრია თავი და მიცურავენ შუა ზღვაში, უსაზღვრო ნისლსა და სივრცეში, და ველურად ყიჟინებენ. ყიჟინებენ და ვერ გრძნობენ, ამ ყიჟინში თანდათან როგორ იძირება ხომალდი, ნახევრად დაშლილი და წეროსავით გაძვალტყავებული: თითქო შუა ხომალდზე ხე აღუმართავთ, მომსხვრეული და გამხმარი ტოტებით და ამ უნაყოფო ხისგან ნაყოფს ელიან.

მაგრამ ხეს, შავი ეშმაკუნები რომ შემოხვევიან გარს და ფერხულს უვლიან, მხოლოდ თავის ქალები გამოუბამს, შეშლილთ კი ხელში ჩონგურები მოუმარჯვებიათ, რაღაც სითხეს სვამენ და შემაზრზენად ყაყანებენ და ყიჟინებენ. ესეც მათთან არის ხომალდზე და სასოწარკვეთილი უმზერს, გემი რომ უფსკრულისაკენ მიექანება... ამის ხილვამ გული ჩაუწყვიტა და საშინელი ტკივილი მოკვარა, ისეთი, როგორც მაშინ, იმ „საბედისწერო რიცხვების“ ჟამს. თითქო გამთლიანდაო იმჟამინდელი ტკივილი და ამწუთიერი ხილვები, ხსოვნასა და ქვეცნობიერებაში ღრმად დაძირული, და გამთლიანებულმა რაღაც უცხო ხმამ, უტყვმა და უთქმელმა, თითქო ადუღებული კუპრით შეუგარაგნაო სული და ხორცი: „და ნუგეშინინ მათგან, რომელთა მოწყვიდენ ხორცნი, ხოლო სულისა ვერ ხელეწიფების მოკვლად. არამედ გეშინოდენ მისა უფროჲს, რომელი შემძლებელ არს სულისა და ხორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა...“ ეს ხომ თავისუფლების სრულ დაკარგვას ნიშნავს?!. თავისუფლების სამეფო!.. — ვისაც მისი ფლობის აუცილებლობის გრძნობა დაუკარგავს, მას ყველაფერი დაუკარგავს. ვინც განუძრევლად დარჩენილა მიჯაჭვული, ვისი ფრთებიც მიწიერების ჯაჭვით დაბორკილა, მისთვის დახურულია დიადი საიდუმლო თავისუფლებისა. განა თვით სამყაროც თავისუფლებაში არ ცოცხლობს და არ მიმოიძვრის?! მთელი კაცობრიული ცხოვრებაც განა თავისუფლებისაკენ არ არის დაძრული?! იგიც ხომ მარად მისკენ მიილტვის ცხადად თუ სიზმრად. თითქო უხმობს, მიწაზე მარტო დარჩენილს, ზენა სამყაროთა თავისუფალი ქროლვა ქარებისა და გრიგალებისა: „ანდა ვინ მოვა, არა მყავს კაცი, მე თუ დამიხსნის — მხოლოდ უფალი. როდის იქნება ის დღე ძვირფასი, როცა ვიქნები თავისუფალი...“ თავისუფლება ხომ რწმენაა, რწმენა უმაღლეს სიკეთესთან ზიარებისა, რწმენა ღმერთთან — უზენაეს თავისუფლებასთან მიახლებისა, რწმენა ჭეშმარიტი მოყვასეობისა და თანადგომისა, თავისუფლება ხომ ადამიანის ზნეობრივი საფუძველია. ყველას ძალუძს საკუთარ თავში ეძიოს და აღმოაჩინოს თავისუფლება და ეს ძიება თავისი არსებობის ზნეობრივ საფუძვლად აქციოს?!. ეს მხოლოდ იმას ძალუძს, ვის არსებაშიც თავისუფლების ქარი ჰქრის, კაცს, ვინც თვითუარყოფის გზით მოიკვეთს ბევრ რაიმეს ცხოვრებისაგან და გაინთავისუფლებს თავს იმ ყოფითი ზღუდეებისაგან, რის მიღმაც

სასტიკი მარტოობა იმზირება — შემეცნებისა და შთაგონების საუფლო. მას ხომ სულის წიაღიდან უხმობდა თავისუფლება, მიღი ყოველი სიტყვაც და მოქმედებაც ხომ შინაგანი თავისუფლების კანონებს ეფუძნებოდა, და ეს შინაგანობა კი არ უსაზღვრავდა პიროვნულობას, შინაგან მეს, არამედ უკრძალავდა იმ ყოფით ცხოვრებას, მის სულს რომ შორეულ სივრცეებში ქროლვას ხელს უშლიდა. ამით განდევნა თავისი არსებიდან გარეგნული და მოჩვენებითი შეგრძნებები, ნივთიერ ყოფასთან რომ აკავშირებდა. და მთლიანად თავისუფალ პიროვნებად იქცა. ვისთვისაც ამ სულიერ მდგომარეობას ღვთაებრივი აზრი ჰქონდა: „ბედმა ასწია შენი სუფევა. რა ძვირფასია თავისუფლება!..“ ახსოვს, ლოცვით გამთბარ სულში მუსიკის მომაკვდავ ბგერებად რომ ეღვენთებოდა სურვილთა გროვა და ისადგურებდა საოცარი განცდა ცისფერი ღამისა, უარყოფდა უხეშ სამკვიდრებელს და თავისუფალ არსებობას ბუნების სიმარტივეში ეძიებდა, ბუნებრივ თავისუფლებას მიელტვოდა. ხე, ანდა ნებისმიერი მცენარე ხომ მხოლოდ იმას იქმს, რასაც მას ბუნება კარნახობს, ბუნება რასაც მოითხოვს მისგან. იქმს ბუნებრივად და უბრალოდ, და არც სურს სხვა მოქმედება გარდა იმისა, რაც მის არსში ძევს — მარტივი და ბუნებითი. აბა, სცადე და შეზღუდე. ან თუნდაც შეუცვალე გეზი მის ზრდასა და არსებობას, მაშინვე გადაგვარდება, გახმება, ჩაკვდება მისი არსისეული ბუნებით ლტოლვა. და განა ადამიანთა ლტოლვაც თავისუფლებისაკენ მათივე ბუნებითი ძალის შინაგანი გამოვლენა, ამ ძალის კანონზომიერი მოძრაობა არ არის?! თავისუფლებისაკენ მისი ლტოლვაც, ერთიანი და განუყოფელი, მისივე ბუნებითი, კანონზომიერი და შინაგანი მოძრაობა არ არის. ძირი და ფუძე სათნოებისა?! სათნოება ხომ სიკეთეა, სიკეთე — თავისუფლება, ხოლო მძლავრობა — უკეთურებაა, უკეთურება — მონობაა, და თუმცა ორივე ძალა გარდუვალი ბედისწერაა კაცობრიული არსებობისა, მაინც მხოლოდ სიკეთის, კეთილშობილების, წმინდა სინდისის არქონის გამო ღირს მწუხარება და სინანული. თავისუფლების შეცნობა მარად შვებას ანიჭებდა მის გულს. ხოლო ყოველნაირი დასაზღვრულობა — უხშობდა სიხარულს. სულისმიერ და თვით ხორციელ არსებობასაც კი: „და ჩაქრა შუქი თავისუფლების, სიბნელე ირგვლივ დაფენილია. ნელა მიდიან შავი ღრუბლები. გარეთ ვიღაცას უყეფს ფინია...“, „ეს გული ჭკნე-

ბა წითელ ვარდივით (ახლა კარები იქაც დაკეტეს). და მე უფსკრულში გადავარდნილი. ეუმზერ სისხლიან სამარის კედელს...“ სიცოცხლის სიყვარულსა და თავისუფლებას რომ მიელტვოდა, უმაღლესი საგანი ამ ლტოლვისა. ვით განზოგადებული არსებისა, თვით მისივე პიროვნება იყო — იდუმალი და მიწიერ სამწყვრევში გამომწყვდეული. თავისუფლება ხომ ის სამეფოა მისთვის, რისი მიუწვდომლობაც სიკვდილთან და არყოფნასთან ათანაბრებდა, და ხშირად, ამაზე ფიქრისას, თითქო რაღაც შემზარავი ხარხარი მოესმოდა უფსკრულიდან, პატარა შავი ეშმაკუნები რომ როკავდნენ წყვდიადში, და ეს ხარხარი ყრუ გუგუნად ისე მოიწევდა ქვევიდან ზევით, რომ ზოგჯერ უხშობდა კიდეც ზეციურ ძალთა შეგრძნებებს, წუხილი ისადგურებდა მის გულში, საკუთარ თავსაც იქვით უმზერდა. იწყეველიდა გაჩენის დღეს, შუაღამისას საშინელი ზმანებებისგან შეშფოთებული: „სული ვერ უძლებს ღამის ნაპრალებს. ო. სიბნელეა და გულგრილობა. კრულვა ჩემს ოთახს. კრულვა ჩემს თვალებს, თვალებს, რომელთაც სწვავს უძილობა...“ ამ ღამეულ მშფოთვარებაში ეძიებდა იმ მოკიაფე სანთელს. იქვეისა და შიშის გარემოცვიდან რომ გაიყვანდა და გაუნათებდა სიყვარულსა და თავისუფლებისაკენ მიმავალ გზებს, და რაც უფრო მეტად ეუფლებოდა თავისუფლების გრძნობა, მით უფრო მეტად უმძიმდა გზის გაკვლევა, მთელი ცისქვეშეთი უმშვენიერეს საპყრობილედ ესახებოდა, — „დგას ისე, როგორც ლურჯი გალია ეს მოლი, ცა და ეს დედამიწა“, — იმ საპყრობილედ, საშინელი და გაუმტარი გარსით რომ ხერგავდა თავისუფლების სამეფოსაკენ მიმავალ გზას...

თავისუფლებაც ხომ ისეთივე სიკეთეა, როგორც სიცოცხლე, როგორც ბუნება, როგორც მზე — უანგაროდ მანათობელი, და რად არ უნდა დაუფლებოდა მას, როგორც უმაღლეს სიკეთეს?! განა შეეძლო ყოფილიყო ის. რაც არ იყო, და არ ყოფილიყო ის. რაც იყო?! თავისუფლებისაკენ ასეთი ძლიერი ლტოლვა ხომ ზეიმი იყო მისი სისუსტისა, ხოლო გლოვა — მისივე სიძლიერისა, და ეს იყო მისი მოქმედებაც და უმოქმედობაც, სიხარულიცა და მოწამეობაც, და ეს მოწამეობა საკუთარი თავისადმი გამოცხადებული ამბოხი უფრო იყო, ვიდრე უარყოფა და შეჩვენება სხვათა, ამ ამბოხში აღეძროდა თვითშეჩვენებისა და თვითუარყოფის ნეტარი განცდა და ამ განცდაში ხედავდა თავისუფალი მეუფების

დაუფლებას, ვით სინათლის სხივი ეუფლება სივრცეს, ხოლო ბნეერა — სიბნელეს. ვით იმედი ეუფლება უიმედობას. ის იმედი, ოდესმე რომ მაინც მიაღწევინებს თავისუფლების საუფლოს: მუდამ მარტო იდგა იმ უიმედობასთან, რაც მიღმაც ყოველთვის ცემცემებდა აჩრდილი იმედისა და მოლოდინისა, მოლოდინი უზენაესი. ღვთიური თავისუფლებისა, სიზმრებში გამოცხადებული თავისუფლებისა: „თითქოს ვიყავი ათი წლის ბავშვი თითქოს ვიყავი ბავშვი — უფალი. არ ქროდა ქარი და უცხო ბაღში მე მივდიოდი თავისუფალი. და ამ დროს უცებ მოვარდა ქარი, და თითქოს განგებ თავს ვიღუპავდი. და შემხვდა ვიღაც უცნობი ქალი და მე ვიყავი თავისუფალი. თითქოს მესმოდა ყორნის ჩხავილი, წინ იშლებოდა გზები უვალი. ხელში მეკავა თეთრი ყვავილი და მივდიოდი თავისუფალი"... სწორედ მისი ასეთი თავისუფალი ცხოვრება აღძრავდა სხვათა თვალში, თუ აშკარა არა, ქვეცნობიერ თანაგრძნობას მაინც, რაღაცნაირ უთქმელ პატივისცემასა და მოკრძალებას. ალბათ გრძნობდნენ მის ტანში ჩასახლებულ რაღაც იდუმალ ძალას, იმ სულიერობას, მის ცხოვრებას რომ შინაგანად აწესოგებდა, გრძნობდნენ იმ შინაგან თავისუფლებას, ფარულად თვითონაც რომ მიელტვოდნენ, თუმცა მის განსახორციელებლად არც ძალა შესწევდათ და არც უნარი; ალბათ ამიტომაც აღიზიანებდათ მისი მარტოეული და განდეგილური ცხოვრება, აღიზიანებდათ რადგანაც ეშინოდათ მარტოობისა და განდგომისა, იმ მარტოობისა და განდგომისა, რითაც თავისუფლება მიანიჭა თავს. ყოფითი ჯებირებისაგან რომ განთავისუფლებულიყო. მთლიანად გაადუმალა ცხოვრება, თუმცა ყოველ ფეხის გადადგმაზე გრძნობდა ცნობისწადილით ანთებულ მზერას, და ეს მზერა კიდევ ერთხელ უდასტურებდა იმ ცხოვრების აუცილებლობას, რა ცხოვრებითაც ცხოვრობდა. ბუნებით წესრიგს მორჩილებდა, მის თავისუფალ და შეუზღუდავ არსებობას, სადაც ყველაფერს ძალათა დაპირისპირებულობა აწონასწორებს: მაღალს — დაბალი, გრძელს — მოკლე, ბოროტს — კეთილი, მახინჯს — მშვენიერი. სიჭაბუკიდანვე მორჩილებდა შინაგან ხმას. რომ თავისუფლება სურვილთა და ენებათა დაკმაყოფილებით კი არ მიიღწევა, არამედ მათი უარყოფით. დათმობით, დათრგუნვით. და განა თითქმის მთლიანად არ უარყო

ხორციელი არსებობა, უარყო როგორც საკუთარ თავში. ისე გარეყოფიერებაში, უარყო და ჩაიკეტა თავისი სულის ცივ სენაკში. მხურვალე ლოცვებით რომ უთბობდა ჩაყამებულ კედლებს. ეს იყო მისი თავისუფლება. ამ თავისუფლების ძალით განერიდა იმ უთანასწორო და უღირს ბრძოლას. ღირსებას რომ შეულახავდა. გაუუხეშებდა სიფაქიზით გასათნოებულ გულს. ამ შინაგანმა თავისუფლებამ აღუძრა ფარული თუ ცხადი უთანხმოება, მოწამებრივი განხეთქილება გარეყოფასთან: „ისევ დაბნელდა, მიდის დღე სწორედ, გარინდებული მოსჩანს საგანი. არ შემიძლია, ტყვია მესროლე, ანდა მომეცი მე გასაქანი. ალბათ სიჩუმე ისევ დადგება და სიზმარივით გაივლის ქარი. ღმერთო, ბნელდება! ღმერთო, რა დღეა! სანატრელია მზიანი დარი. არ შემიძლია, რაღაც სხვა მინდა, საშინელ გრიგალს ისევ მე ველი. სული ნაზია და სული წმინდა. როგორც ქაღალდი დაუწერელი...“

მის წმინდა სულში გაჩენილი უთანხმოებისა და განხეთქილების ნაპრალები, შეერთება რომ არ ეწერათ, თანდათან ღრმავდებოდა. რაც ბოლოს მიწიერი ყოფის უარყოფაში გადავიდა. გარეგნულად თუმცა დამორჩილდა წუთისოფლის ერთფეროვან სვლას. — კაცის სურვილთა და ცხოვრების წესთა შორის აღძრული უთანხმოება ხომ შფოთსა და მოუსვენრობას ბადებს, — მაინც ჩუმსა და ფარულ ტანჯვას ესწრაფვოდა, არავითარი სურვილი არ ჰქონდა ჩართულიყო ველურ ყიჟინაში და თავისი ხმა ათასი სხვა ხმისთვის შეეერთებინა. მისთვის უცხო გახდა საგანთა სიმრავლე და მრავალფეროვნება, ნერვიულ თვითკვრეტას ვერაფერი ველარ უმღერევდა, ყველაფერმა ერთიან დღეთა დასაბამის ძიებაში გადაინაცვლა, მოარღვია ყველა ჯებირი, საკუთარი თავისაკენ მიმავალ გზებს რომ ულობავდა. თუმცა ზოგჯერ წონასწორობაც დაუკარგავს და შურის საძიებლადაც აღმდგარა, მაგრამ ეს მხოლოდ წამით ყოფილა და მაშინვე ჩაუკლავს ეს გრძნობა თავის თავში; ამ წერტილზე მიღწეულს თუმცა ნერვები ღალატობდა, ბუნებრივ სიკეთეს მაინც ინარჩუნებდა, იმ სიკეთეს, ვიღაც პიროვნულ მტერზე კი არ ეფიქრა, — არასოდეს მიუჩნევია ვინმე თავის პირად მტრად, — არამედ იმ „მტრებზე“. იმ განსულიერებულ ცნებაზე, ყველაფერი უარყოფითი რომ ერთად იყრის თავს: „მე ისევ ცისფერ სამყა-

როს ვეძებ და სადღაც ჩემზე ტირიან დეს. ახლა მარტო ვარ ამ ბრძოლის ველზე და ირგვლივ დგანან ურიცხვი მტრები. და გამარჯვების დღე მოვა მალე. ახლა გარშემო ქარია მხოლოდ. შენ, მეგობარო, მომეცი სმალი. მინდა სისხლიან მტერს შევებრძოლო...“ და მაინც ამ „მტერს“ არასოდეს დაუმცირებია მისი ზნეობა, არასოდეს აუმღვრევია მისი სული; განა ღირდა ფიქრად ვიღაც და რაღაც „მტერი“, როცა სულს ის ღვთიური ცეცხლი უწრთობდა და უსპეტაკებდა, რასაც პოეზია, რასაც ღმერთისა და უკვდავების მესამე გზის ძიება ჰქვია სახელად?! თუმცა, ამ უმაღლეს შესაცნობელთა ძიებით გალეულსა და სნეულს, ხშირად გაუგონია კაცუნათა შემაზრზენი ხარხარი: „დამწვა საკუთარმა ალმა. ვატყობ, თანდათან ვქრები. სადაც ხარობენ ალბათ ჩემი პატარა მტრები...“ ისე ჩაესმოდა ეს ხარხარი, თითქო ირგვლივ ყველაფერი ერთი მაგიური წრით შეკრულიყოს და ერთ უარსებო სახედ ქცეულიყოს, ყველაფერს გულში იკლავდა და იმარხავდა, სულს რომ უფაქიზებდა და უმქვირვალებდა ნერვებს. ადამიანებთან შეხვედრა თუ ზოგჯერ სიამეს გვრიდა, ზოგჯერ გულს უკლავდა. დაჭრილი გედივით დაფარფატებდა ბაღებსა და სასაფლაოებზე და იქ — უტყვსა და მდუმარ გარემოში ეძიებდა სულის სიმშვიდეს. ნუთუ ყველგან და ყველაფერში ცუდი უნდა ეძიოს კაცმა. ყველაფერს ავი თვალით შეხედოს, ყველაფერი გააბიაბუროს და გააქარწყლოს?! განა ასეთი ცხოვრება მხოლოდ ბრიყვთა და უმეცართა წილხვედრი არაა, ამაღლებული გრძნობებისაგან დაშრეტილი?! და მაინც, სითბოს მოწყურებული მისი გული, ადამიანებისკენ მიისწრაფოდა, თუმცა გულნატკენი უმალვე ნანობდა თავის საქციელს და გაურბოდა ქალაქის ხმაურსა და ზიმზიმს, საწყალ ნიკალასავით ქალაქის გარეუბნებს აფარებდა თავს. შინაგანად გაფაქიზებული და აგზნებული მისი ენებები ხშირად ეძიებდა გამოსავალს, ეძიებდა და პოულობდა კიდეც, მაგრამ ზოგჯერ რაღაც უხეში, უჩვეულო სახით: დათვრებოდა და დავიდარაბას ატეხდა უმიზეზოდ, ბოლოს საპატიმროში იფხიზლებდა: „არ მახსოვს, მაშინ ვის დავუძახე, ვიცოდი, ეს დღე რას მიპირებდა. მე სკანდალისთვის დამატუსაღეს, ვზივარ ქურდებთან და ჯიბგირებთან...“ ერთხელ სწორედ აქ დაწერა თავისი „ციხის ელეგია“... და იტანჯებოდა საპატიმროს კედლებშუა დღეები. კვირეები. ზოგჯერ თვეებიც კი. საპატიმროდან გამოსული ისევ დაედევნებოდა თბილი-

სის ქუჩებს, ისევ სასაფლაო, ისევ ბაღები, ისევ ბინანწიება და მოთმინება, ისევ შინაგანი შფოთი და განსეთქილება. უთანხმოება გარეყოფასთან, უთანხმოება ჩუმი და მტანჯველი, საკუთარი თავისადმი ანათემად მოვლენილი. რაიმე ერთისგან რომ განთავისუფლდებოდა, მეორე აწამებდა. ხილო მეორისგან განთავისუფლებულს — მესამე... მაშინაც სწამდა და ახლაც სწამს, რომ ქაოსურ სიმრავლესთან დაპირისპირება ძლიერება იყო, უთანხმოებაცა და განხეთქილებაც ძლიერება იყო, ძლიერება და არა უძლურება; კი არ ეგუებოდა და ეთვისებოდა შეუგუარსა და შეუთვისებელს. არაშედ, ვით მორწმუნე აღმსარებელი, მორჩილებდა ცხოვრების ბედისწერის იდუმალ მოძრაობას. როგორც სიმრავლე უპირისპირდება ერთს — მთლიანსა და განუყოფელს, — ერთსა და სიმრავლეს შორის უთანხმოება ხომ მარადიულია და უცვლელ კანონებს ემორჩილება, — ისე გარეყოფა, ბრბო უპირისპირდება ზოგჯერ დიდ პოეტს, და ეს დაპირისპირება ყოველთვის მძიმეა და ტკივილებით აღბეჭდილი: „მიჰქროდა წამი მძიმე გოდების, პოეტის სახელს ბრბო ვერ ითმენდა. არ ინძრეოდა მწვანე ფოთლები და გულიც გრძნობდა სხვა გარინდებას...“ თუმცა გაირეყა გარეყოფასთან და სიმრავლესთან ბრძოლაში, გაიმარჯვა ზნეობრივად. გაიმარჯვა სულიერად, და სწამს, ამგვარ გამარჯვებებს ყოველთვის წრფელად ზეიმობს შთამომავლობა. ასეთია ტრაგიკულ კაცთა ხვედრი, ასეთია მისი ხვედრიც. ასე იყო და ასე იქნება. ცხოვრობდა ამ რწმენით შეპყრობილი, მარტო, მართალი გულით, მშფოთვარე და დაუცხრომელი, დროსა და სივრცესთან დაპირისპირებული, მსურველი სიმშვიდისა და მშვიდობისა; ებრძოდნენ და არ იცოდა — რისთვის ებრძოდნენ, რა ცოდვა მიუძღოდა ასეთი. ნუთუ მხოლოდ ის იყო მისი ცოდვა, ველურ ყიჟინას რომ განუდგა, შეშლილთა გაძვალტყავებულ გემზე რომ ვერ შეიტყუეს, რომ ვერ ჩაითრიეს უხამს ფერხულში?! ნუთუ მხოლოდ ის ბრალი მიუძღოდა, მისი ცხოვრება რომ სხვათაგან გამორჩეული და სხვანაირი იყო, ცხოვრება, უტყვად რომ ღაღადებდა: „თქუენ ქუეყანისაგანნი ხართ, ხოლო მე ზეცისაგანი ვარ; თქუენ ამის სოფლისაგანნი ხართ, ხოლო მე არა ამის სოფლისაგანი ვარ?!.“ მაგრამ სწამს, დადგება დღე შორეულ რიცხვის, ჩაივლის მღვრიე წყალი და ყველაფერი დაწმინდება, სხვანაირად ამეტყველდება ყველაფერი: „ჩემი ღუმილი გრძელდება დღემდე, ახლა ვიგო-

ნეს ისევ იმ ყვავილს და გაიგებენ დიდი ხნის შემდეგ, რა ცეცხლი ძწვავდა და რა ვიყავი..." ახლა კი იმ სატანჯველით იტანჯება, რა სატანჯველი სხვებსაც სტანჯავს, თუმცა სიმრავლე ვერ გრძნობს ამას, რადგანაც მათი სატანჯველი მათსავე ქვეცნობიერებაში ძევს. და ეს ულრმავებს სიმრავლისადმი თანაგრძნობისა და თანადგომის აუცილებლობას; ხშირად მდგარა ამ სატანჯველში, სიმრავლისაგან წამებული, სიმრავლისგანვე გაიდუმალებული და შეუცნობელი, ხშირად ამაღლებულა იმ გარეყოფაზე, ასე რომ უმძიმდა ყოფნა. ამ ამაღლებით უხსნია ხშირად თავი დაღუპვისაგან. ზოგჯერ ისეთ უკიდურესობამდეც მისულა, ერთი წამით მაცთლა ურწმუნია თავისი უმწეობა, თავისი არარაობა, გარდუვალი დაღუპვა, დაღუპვა ხორციელადაც, სულიერადაც, და ეს წამები ყველაზე სასტიკი და ულმობელი ყოფილა. თავისი ცხოვრებაც დელგმასა და ქარიშხალში მიტოვებული ვარდის ბუჩქისთვის შეუდარებია. რაც სულ მალე, თუკი დიდხანს გაგრძელდება ქარიშხალი, მთლად შეიძარცვება ფურცლისაგან და დარჩება მხოლოდ ეკლიანი რტოები. ვიღა მოაკითხავს მერე მომავალ გაზაფხულამდე?! უწერია კი მეორედ მოსვლა, მეორე გაზაფხული?! გაზაფხული ხომ ერთხელ ევლინება ადამიანს ცხოვრებაში, ისიც წამიერად და ისე უნდა გაიბუნებო, როგორიც არის — უბრალო და მშვენიერი; ხოლო თუ ვერ მოასწარი თვალის მოვლება, წამიერი განცდა მშვენიერებისა, ყოველივე ამაო, ყოველივე დაკარგულია. და მაინც ისე სწამს მომავლისა, ვით თოვლქვეშ მიძინებულ ყვავილს სწამს გაზაფხულის მოსვლა: „ქარმა ფოთლები დიდხანს აწვალა, ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების", ახლა კი, ახლა... „არ დავბრუნდები, ცრემლებით წავალ, წავალ მინდვრებში ხეტიალისთვის..." ახლა ფიქრისა და წამების დიდი ღამე დგას: „შენი სახელი ისე ვახსენე და მწვერვალიდან ისე დავეშვი. ასეთ ღამეში რა მომასვენებს, რა დამაძინებს ასეთ ღამეში..." მხოლოდ ღამეული ლოცვით ინელებდა გულის იარებს. ლოცვით იმრთელებდა ღამეულ ზმანებებში დაქუცმაცებულ სულს. გარეყოფასთან დაპირისპირებულმა, ბევრი სურვილი ჩაიკლა გულში, ის სურვილი, თავად ეს ყოფა რომ აღვივებდა მის არსებაში, ჩაიკლა, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ უარყო ისინი, და თუ ხშირად განურჩეველობასა და სიცარიელეში უბორიალია, ხშირად სურვილებს გაუგიქეცია, თუმცა ეს სურვილები არასოდეს ყოფილან მიწიერი საძო-

სით მოსილნი, ეროტიკული გსნებით დასაზღვრულნი. ეს იყო ზეგრძნობიერი ლტოლვა ახალი ყოფის, ახალი არსებობის დასაუფლებლად, მარად შეუხორცებელი უთანხმოებისა და განხეთქილების მიზეზი რომ იყო, ზღვარი საგანთა ყოფის უარყოფისა და უნივთებო ყოფიერების აღიარებისა, გზა — მტანჯველი და ეკლიანი, გზა იმ საფეხურამდე, იმ მწვერვალამდე რომ აიყვანდა. სადაც სულის უჟამო ჟამთან შეეძლებოდა შერთვა. ეს გზა უთანხმოებისა და თვითგანდგომის გზა იყო, და ისე მიაბიჯებდა ამ გზაზე, ვით მეუდაბნოე ცხელ უდაბნოში — ოაზისის ძიებით სასოწარკვეთილიც და იმედმოცემულიც, ღვთიური ცეცხლითა და სიხარულით ანთებული: „მზე ბრწყინავდა გუშინ და მიწა ეგდო ძირს. და წამებულ გულში საღამოს დარდი ზის. ეს ფიქრია ჩემი, ვებრძვი ამნაირ დროს. და მწყურია გემით წავიდე სადმე შორს. აქ მტრებია ირგვლივ, იქ შორეული ხე. მოვა თეთრი ფიქრი და სიხარულის დღე...“

ასე თანდათან ჩაისახა და აღმოცენდა მის არსებაში გრძნობა ვაზედმეტებისა და გაუცხოებისა, ჯერ რომ შორიახლოს უვლიდა გარს, გატყიურებული ძაღლივით, მერე რომ მისი დახშული ჭიშკრის ერთგულ დარაჯად იქცა; ისე გაუცხოვდა და გაზედმეტდა გარეყოფისათვის, ვით ეს გარეყოფა მისოვის უცხო და მიუღებელი, რისი ულმობელი დინებაც უპირისპირდება მის ოცნებაში წარმოდგენილსა და სასურველ მიზნებს, მასში უთანხმოებისა და განხეთქილების შეუხორცებელი გრძნობა რომ წარმოშვა. ამ ძძიმე მდგომარეობაში მყოფს რომ წონასწორობა დაეცვა, დიდი შინაგანი ძალა იყო საჭირო, მისი ფსიქიკაც უამრავ ძალას ხარჯავდა, წონასწორობა რომ აღედგინა, და ამ აღდგენას ეწირებოდა მთელი მისი ნერვები, ქვეცნობიერი და ცნობიერი მოძრაობა აზრისა, ეწირებოდა გული — სულისა და ხორცის თანაკავშირის მეწამული საუფლო: „ახლა ეს გული სამარეა მიცვალებულ სურვილების“, „გული — სამარეა, გრძნობა — კოცონია. ტანი — სიმძიმეა, სული — ქაოსია“, „გულო! ყოველთვის მე შენ მღალავდი“, „გული დარდისგან დაითენთება“, „სული ვერ უძლებს ღამის ნაპრალებს“, „სულს ნისლიანი ქაოსი ფარავს“, „რა ვქნა, გამეფდა სულში ჩრდილები“. „გულში დარდია და სულში წვიმა...“ ეს აღძრავდა მის არსებაში შინაგანი სიმშვიდისაკენ სწრაფვას, თითქმის შეუძლებელი რომ იყო დასიზმრებულ ველურ ყიჟინაში, შეშლილთა ხომალდზე,

ზღვის ფსკერისაკენ რომ დასაღუპად მიექანებოდა. განა უფრო ძალმე და აუტანელი არ იქნებოდა განუწყვეტელ განხეთქილებაში ყოფნაც. ამიტომ არ ეძია ხსნის სხვა გზებიც?! რთულია საყრდენისა და სამკვიდრებელის პოვნა. განსაცდელი ხომ უკვე კარს იყო მომდგარი, მის არსებობასაც საფრთხე ემუქრებოდა, თუმცა საფრთხე მაინც გარდუვალი აღმოჩნდა საბოლოოდ, ახლა კარს რომ ადგომია და საზღაურს ითხოვს, ბევრჯერ რომ შეიფარა და შეიარდომა. ახლა კი საბოლოოდ დამორჩილებია... ძიების გზაჯვარედინზე. მარტო მდგომს ხშირად ისეთი შეგრძნება დაუფლებია. თითქო ორ ნაწილად გახლეჩილიყოს, ვით გაბზარული შარავანდედი, ერთი ნაწილი რომ საბოლოო განხეთქილებისკენ უხმობდა, ხოლო მეორე — სიმშვიდისა და თანხმობისაკენ. ამ უთანხმო თანხმობამ მოიცვა მთელი მისი არსება, ტანჯვის, დიახ ტანჯვის და არა სასოწარკვეთილების, სარბიელად რომ აქცია, და მყარ სამკვიდრებელს სულის სიღრმეში ეძიებდა, რადგანაც არსებული ყოფა თავისი გზით მიდიოდა უკვე, — განხორციელებული და გამკვიდრებული, მისი სულიერი ცხოვრებისაგან განკერძოებული. ყველასაგან თანხმობას, მორჩილებასა და თვინიერებას რომ მოითხოვდა, — რისი შეცვლის არც სურვილი ჰქონდა, არც ძალა. ბოლომდე ვერ ელეოდა იმას, რაც მისი როგორც პოეტისა და ადამიანის, არსებობის ნაწილი იყო, რის გამოც ცდილობდა მის შიგაწიაღში შეღწევას და მხოლოდ წარუვალისა და უცვლელის, გარედან რომ წარმავლობა და ცვალებადობა ემოსათ, შეჩერებას, და ტანჯვის ემბაზში განწმენდას; ასე რომ, თანხმიერი უთანხმოება და განხეთქილება იქცა მისი არსებობის წესად და კანონად. რომ აწამებდა და ტანჯავდა; ბოლომდე მაინც ვერ განდევნა ძავისი არსებიდან ის დამცირება და შეურაცხყოფა. ველურმა ყიჟინამ რომ ჩაასახლა მასში, და თითქო ეს დამცირებაც მშობლიურ გრძნობად ექცა, იმ აუცილებელ ცნობიერ სახედ. რაც გაიძულებს მეტი ძალით იფიქრო საკუთარ ღირსებებზე, საკუთარ სათნოებაზე, საკუთარ სიწმინდეზე, რაც მთავარია, საკუთარ სინდისზე, ცოდვასავით რომ ჩაგბუდებია სხეულში და არ გასვენებს. განა სწორედ ამან არ აღუძრა გაზედმეტებისა და გაუცხოების გრძნობა, განდგომისა და განაპირებისაკენ, მარტოობისაკენ რომ უბიძგა, მისი ბუნებისათვის კანონზომიერი და შინაგანი დამოუკიდებლობით დასაზღვრულ არსებობისაკენ?! განა ამ განცდათა

ერთიანობა და უწყვეტობა არ აღუძრავდა მშფოთვარებასა და დაუცხრომლობას, სხვა არსებობისაკენ სწრაფვის სურვილს, მძაფრი გრძნობელობითა და ექსტაზით გაჟღენთილს?! მაგრამ სულში არასოდეს შეპარვია ურწმუნოება და სასოწარკვეთა, ყოველ მის სიტყვას თუ მოქმედებას წრფელი ტანჯვისა და წამების დაღი აჩნდა, ტანჯვის, მისი რწმენაც რომ იყო, და ამ რწმენით ანთებული მიიკვლევდა გზას ახალი არსებობისაკენ — განდგომისა და განმარტოებისაკენ, სადაც ყველაფერს ქრისტეანული თვითცნობიერებით მსჭვალავდა; სწორედ ამ განდგომითა და განმარტოებით მისწვდა კიდეც პიროვნულ მთლიანობას და თანხმიერებას, ზნეობრივი და სულიერი ამაღლებაც რომ იყო. ასე გაიარა მძიმე და დამღლელი გზა განდგომიდან და მარტოობიდან თვითშემეცნებამდე და სულიერ ამაღლებამდე: „შემოდგომის სურნელება დადგა, შორეული მოგონებაც ელავს. როიალი ახმაურდა სადღაც და ღამდება პარასკევი ნელა. ახლა ვატყობ. რომ სიცოცხლე არ ღირს, სიკვდილშიაც ხომ არ არის შველა. ასე ნელა გავიარე ბაღი, ასე ნელა ჩამოვშორდი ყველას. ისევ მინდა შევებრძოლო ქარებს და ვიღაცას უდარდელად ძინავს. ვიყო ასე დარჩენილი გარეთ, ქუჩა იყოს სამუდამო ბინა. ალბათ დილას ჩამოწვება ნისლი, მე ვატარებ ანგელოზის ნიღაბს. სადღაც დიდი ტაშისცემა ისმის, სხვათაშორის, მწუხარეა ვიღაც. მე მივდივარ და მიცქერის ხალხი, ჩემი სახე გუმბათივით ელავს. ასე ნელა გავიარე ბაღი, ასე ნელ ჩამოვშორდი ყველას“...

განა გარეყოფასთან უთანხმოებამ და განხეთქილებამ არ მიიყვანა განდგომამდე, ამ განდგომით არ დაარღვია თავის თავში ყველა პირობითი კანონი ზნეობისა, განდგომა ბუნებრივი შედეგი არ იყო ამ პირობითი ზნეობის უარყოფისა, შინაგანი მთლიანობისა და თანხმიერებისაკენ რომ მოუწოდებდა, განდგომით არ დააღწია თავი სულიერ რღვევას და გადაირჩინა ბედისწერით განჩინებული ის წმიდათაწმიდა, მუხლმოყრილი და ცისკენ ხელაპყრობილი რომ შეჰღალადებდა დიად ძალას — პოეზიას?!. განა იმას არ გაურბოდა, რაც ძლიერ უყვარდა, უყვარდა, მაგრამ უდაღავდა გულს, უშანთავდა ტვინსა და სულს?! ცდილობდა გაქცეოდა საკუთარ ცხოვრებას, ზოგჯერ თვით ბედისწერასაც კი: „მინდა მო-

ეშორდე ყველას, მინდა გავიქცე სადმე“, „მინდა თბილისში სულ არ დავბრუნდე, მინდა, ბოლომდე გავყვე რკინიგზას“, „შორს ელავს მთვარე, მე ვარ დევნილი. თბილისო, გარეთ ვარ დარჩენილი“, „მღალავს ქუჩა და კიბე. როგორც სიზმარი დილის. ასე აწეწილ ბედით მინდა გავშორდე თბილისს“. „თოვლიანი დღეა და მინდა იყოს გასვენება, მინდა მივყვებოდე ცხედარს. ან ვიყო სადმე შორს, უცნობ ქალაქში და მენატრებოდეს თბილისის ნახვა. მე ახლა ვზივარ ოთახში და ვწერ. გარეთ თოვლია ღა მდუმარეა...“ და გაახსენდა სიზმარი, უთანხმოებისა და განდგომის გზაჯვარედინზე მდგომს რომ ეზმანა, გამოღვიძებულს ავად რომ ენიშნა და საბედისწეროდ რომ აუხდა კიდეც... თითქო სათანჯოს მთაზე დგას, მაღალ მწვერვალზე და გადაჰყურებს ამწვანებულ მთებსა და ველ-მინდვრებს, გადაცისფრებულ კოლხეთის დაბლობსა და შავ ზღვას, რის სიღრმეშიც, მზის ნისლში, თითქო „არგოსაც“ კი ხედავს, ნაპირისაკენ რომ მოცურავს და მოტორტმანებს. ცაც ისეთივე ლურჯია, როგორც ზღვა, მზის სიმხურვალეში ნარნარად მოციმციმე. მზეც რაღაც სხვანაირი ფერისაა, სულ სხვანაირი, არც ციური, არც მიწიერი, რაღაც სხვაქვეყნიური. შორს ჩრდილოეთით კავკასიონი აღმართულა და უსასრულობას ერთვის შესი ოოვლიანი მყინვარები. ერთ მაღალ, თოვლიან მთაზე უმშვენიერესი ტაძარი დგას, თეთრი ტაძარი, მზითა და თოვლის სისპეტაკით გაბრწყინებული. დგას და უმზერს ამ საოცარ სანახაობას მოჯადოებული, გარინდებული. უეცრად ცამ იქუხა და მიწა იძრა. იძრა შორს, ტაძრის სიღრმეში. იძრა და შეატორტმანა ქვეყანა, შეირყა და შეზანზარდა ყველაფერი, ერთი გამაყრუებელი გრიალი მოისმა და მთა, ტაძარი რომ აღმართულიყო, ტაძრიანად ნაპრალებში ჩაირღვა და ჩაინთქა!.. შეშინებულმა ზღვისკენ რომ მოიხედა, „არგო“ უკვე ზღვის უფსკრულეთში მიექანებოდა!.. განა სწორედ ასე არ ჩაირღვა გარეყოფასთან შესი კავშირი, მიტომ არ გაუბრბოდა, მის უთანასწორო ბრძოლაში რომ არ ჩართულიყო, არ შეელახა საკუთარი ღირსებები, უპირობო და უგანსაზღვრებო ზნეობა, ბოროტზე ბოროტით რომ არ მიეგო?! გაუმტარი გარსით შემოისაზღვრა თავი, უკეთურს რომ არაფერს შეეღწია მის საფარქვეშ, და ეს განდგომა მორჩილება იყო. ღვთიური მორჩილება და არა სისუსტე და უძლურება, ამ მორჩილების ძალით ინარჩუნებდა წონასწორობას ამ უთანხმო თანხმიერებაში, ინარჩუნებდა ზნეობრივ სიმართელეს, სულის სიწმინდეს, რომ

არ გაძარცულიყო პოეზიის — მარადიული საგანძურის თაყვანისცემის ნიშისაგან, არ ჩართულიყო წვრილმანი და წარმავალი ცხოვრების უაზრობაში, უაზრო ქაოსსა და ფუსფუსში. განდგომას და მარტოობას ხომ მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, ოდეს რაღაცას იცავ შენში, ოდეს რაღაც დიადს მიელტვი, იმ წმინდა სულიერობას, ღმერთი და პოეზია რომ ჰქვია: მისი განდგომაც ხომ ქრისტეანის განდგომა იყო, განდგომა სათნოებისა და სიკეთის სახსნელად და არა გაქცევა უძლურისა, ოდეს არ გსურს ხელჩართული ბრძოლით გაამრავლო ბოროტება და უკეთურება: „შევალ ოთახში, ავანთებ სანთელს, ეს თვალი ისევ ცრემლში დაცურავს. აჰა, მოვშორდი იმ კორიანტელს, რომელმაც ასე გაშანადგურა. მე დღესაც ვფიქრობ და ვიწყებ წერას, რომ ასეთ პოეტს ყველაში მრევდნენ. აჰა, მოვშორდი იმ ატმოსფეროს, ძვირფასო, სადაც მე მამცირებდნენ. ალბათ ის ქალი ბოლოს ნანობდა, მე წამოვედი და ბევრი მდიეს. აჰა, მოვშორდი იმ მეშჩანობას, რომლის გარშემო მე მოვემწყვდიე. ჩემი სახელი ხომ ასე ბრწყინავს, მე მეტ სიხარულს ველი დღეიდან. აჰა, დავტოვე ის ძველი ბინა, რომელიც ჩემთვის კუბოს უდრიდა...“ და გარბის, გარბის სახეტიალოდ, ხეტიალში რომ მოითქვას სული, თავისი ფიქრები რომ თბილისის ქუჩებს გაანდოს და გაუზიაროს, გაუზიაროს ბაღებს, სასაფლაოებს, ეკლესიებს. ხეტიალი და მოცალეობა იქცა მისი შთაგონების წყაროდ, ხეტიალსა და მოცალეობაში ენთო სანთელივით მისი სული, ხეტიალი და მოცალეობა ასაზრდოებდა მის მუზას: „ერთად ვიყავით და შენ ამბობდი, რომ ეს ცხოვრება ჩემთვის მეტია. შენ ამართლებდი ცისფერ ოცნებას. შენ ამართლებდი ამგვარ ხეტიალს“, „ღმერთო! არ ვიცი. მე რა მომელის, თუმცა დაღუპვის ფიქრი ტრიალებს. მივალ პოეტი დაუცხრომელი, მივალ პოეტი მოხეტიალე...“ ამ ფიქრმა თომაზ ბორელის (პლატონ კეშელავას) სტრიქონები გაახსენა, 1924 წელს რომ მისადმი მიძღვნილ გაზეთში დაიბეჭდა: „მოჩვენებასავით დადის, არავის იცის. როდის ან სად იძინებს. უყვარს ღანთიადის და მზის ამოსვლის შეხვედრა. მომავალი დღისათვის არ ემზადება. ჩვეულებრივ — არ აინტერესებს... არავინ იცის, რით ირჩენს თავს, ახ აინტერესებს თუ არა მატერიალური ცხოვრება. სახე მუდამ ნერვული და ფერმკრთალი, თმა — გაწეწილი. უქუდო; ზამთარ-ზაფხულ. თითქო სიცივის გამო, ოდნავ მხრებაწეულს, დაფლეთილი

სამოსლით დაფარულ ტანს უცნაური ჟრუოლა და წუხილი ურხევს. უფრო ხშირად მოწყენილია და დაღვრემილი. გაიღიმებს მხოლოდ წუთით, რაღაც ნერვული, უცნაური გაღიმებით, უყვარს სასაფლაოზე სიარული, საფლავთა შორის ხეტიალი, დასაფლავებაზე დასწრება... ჩვეულებრივ წყნარია და თითქო გაუბედავი, სათუთი. დალევს და გამოიცვლება: არ დაერიდება ქუჩაში სკანდალს. მეორე დღეს მილიციის სატუსაღოში გამოეღვიძება; დიღით იგონებს გასულ დღეს. ეღიმება ახლო წარსულის მოგონებაზე. ხელწერილს ჩამოართმევენ, მაგრამ მიცემული პირობა ავიწყდება. თუ დალია, სკანდალს ისევ გაიმეორებს და ისევ მილიციის სამმართველოს სატუსაღოში გაეღვიძება: ტკივილებს გრძნობს, მაგრამ საყვედურს არავის ეუბნება. ხან განთავისუფლებაც არ ახალისებს... უყვარს ქალაქგარეთ ხეტიალი: დადის ბოტანიკურ ბაღში, ფუნიკულიორზე, კუს ტბაზე: ზაფხულობით ერთი ან ორი დღით აგარაკებსაც ესტუმრება. სახარჯო ბევრი არ სჭირდება. საბოლოოდ მხოლოდ მოგონება რჩება...“

...და აი, ხედავს თავის ორეულს, თბილისის ქუჩებში მოხეტიალეს... ზოგჯერ ნელა დადის, არსად ეჩქარება, ზოგჯერ კი ისე მიაბიჯებს, თითქო გადაუდებელ საქმეზე მიიჩქარისო, ნერვიული ნაბიჯით, ხელების არეული ქნევით, თითქო ვინმეს ედავებაო, მიაბიჯებს და უთმობენ გზას... ნაზი ბუნებისა, ზრდილი და თავაზიანი, გულახდილი, უშუალო და თავმდაბალი, ხან ბავშვივით უკარებაა. ხანაც უმიზეზოდ ჭირვეული და იქვიანი, უფრო ხშირად — სათნო და გულუბრყვილო. წყნარია და ხშირად დუმს. მსუბუქი ირონია — აი, მისი თავდაცვის იარაღი, თავდაცვისა და არა ვინმეს შეურაცხყოფის. საკმარისია პოეზიაზე ჩამოვარდეს სიტყვა, თვალები რომ ნაკვერცხლებივით აუელვარდეს. მის საუბარში გამოსჭვივის სათნოება და სიფაქიზე, ნერვიული გზნება და სიფიცხე. თუ ვინმე არამკითხე ჭკუის დარიგებას დაუწყებს, მოთმინებიდან გამოდის და ეუბნება: „თუ ძმა ხარ დამაყენე. მწერალთა სახლში ხომ არ გგონია თავიო!..“ ყოველთვის თავისთვის არის განმარტოებული, ფიქრებში ჩაძირული, არავის ჩაახედებს სულში. მხოლოდ წამით გამოერკვევა, როცა მოშივდება ან მოწყურდება, მერე კი ისევ საკუთარ წიაღში ხეტიალობს, ხეტიალობს, და დუმს, დუმს და ხეტიალობს: „შენ, აივანო! და თქვენ, კედლებო! ხომ მოისმინეთ ცრემლის შრიალი. ახლა ბინა მაქვს საუ-

კეთესო და მაინც მინდა მე ხეტიალი". „შაბათია, ველოდები კვირას. თეთრი სივრცე მწუხარებას მალავს. ბინაში ვარ და, ძვირფასო, ხშირად ტუსაღივით მენატრება გავლა", „ეს შემოდგომა და ეს მინდორი მიხმობს უმიზნო ხეტიალისთვის. მაღლა გაფრენა მე მოვინდომე, რადგან მიწაზე სული არ იცდის", „ბედის სიშორეს ქარივით მისდევს რიცხვები გლოვის და აღშფოთების. თბილისის კვამლში ვეხვევი ისევ, მე, თანამგზავრი მკვდარი ფოთლების", „ბედი სად არის: თოვლში თუ ქარში! გუშინ ფიქრები ნელა კვდებოდნენ. ეს ოთახია, გავალ ქუჩაში და ვივლი, სანამ დავიღლებოდე", „ახლა ფოთლებს გუნდი შრიალებს და წვიმას უნდა ცრემლი დანამოს. მე დღეს იმდენი ვიხეტიალე, უკვე დაღლილი ვხვდები საღამოს..." სულიერი სიმარტოვე ტანჯავს, უალაგობა და მიუსაფრობა: „მელთა ხურელი უჩანს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს..."

დიახ, მთელი წუთისოფელი სულიერი სიმარტოვე ტანჯავდა, უალაგობა და მიუსაფრობა, მარტოობის სიცივეში გამოკეტილი, სითბოსა და სიყვარულს ეძიებდა: „მთელი დღე წვიმდა. მე დავდიოდი ქუჩაში და ვეძებდი თავშესაფარს. დაღამდა. ახლა თოვლიანი ღამეა და ეზოდან ვგრძნობ საშინელ მდუმარებას. ახლა მინდა ჩემს ოთახში უკრავდნენ როიალს. მოვიდეს ვინმე ქალი და მომეფეროს, თმებზე გადამისვას მკრთალი ხელები..." მარტოობა ხომ მისი ხვედრი, მისი ბედისწერა იყო. მარტოობაშიც ჰვრეტდა წარსულ ცხოვრებას, ამჟამინდელსაც და მომავალსაც. სწორედ მარტოობამ შეაგრძნობინა საკუთარი თავიცა და ყოფიერებაც. შორეული სამყაროები, შეაცნობინა პოეზიის ძალა და სიდიადე. განა მარტოობის ჟამს პოეზია არ იყო მისი ნუგეში, მისი ხსნა. სულიერი განსაწმენდელი?! „ბნელი ღამეა, მივდივარ ერთი, მივდივარ მარტო და ლექსს ვკითხულობ..." განა სულიერი ტანჯვა. ის ტანჯვა, თავისი აზრი და მიზანი რომ აქვს, მხოლოდ მარტოობის ცეცხლში არ იწრთობა, ყოველნაირი ბიწიერებისაგან განწმენდაც მხოლოდ მარტოობაში არ მიიღწევა?! მარტოობაში, — მისთვის ხსნაც რომ იყო და სატანჯველიც, თავისუფლებაც და ჯვარცმაც, — საკუთარი თავის გარდა ვერავინ ჰპოვა თანმგრძნობელი. მარტოობაში მოუხმობდა ზეციურ და სულიერ ძალებს, მარადიული სხივივით რომ ციმციმებს ამ წარმავალ, ცვალებად წუთისო-

ფელში: „მე შენზე ფიქრი მაშინ მღალავდა, დღეს მოწყენილი მივ-
დივარ გზაზე. რა ვუყო, ყველამ თუ მიღალატა, რა ვუყო
ცხედარს თუ დავემსგავსე...“ მარტოობაში წუხდა, მარტო-
ბაში უკვრეტდა მზის მარადიულ წრებრუნვას, დღეების ერთფე-
როვან დინებას, მუმიასავით გარინდებული, მარტოობაში ელო-
და წამებს, ელოდა საშინელ გრიგალებს, როგორც ნავი — უკაც-
რიელ ზღვაში მოტორტმანე, ელოდა ზამთარს, სიხარულს ელო-
და, ელოდა სიცოცხლეს, ელოდა სიკვდილს. სურდა დაემსხვრია
მარტოობის მკვრივი ჯავშანი, გაეღწია მარტოობის გარსიდან და ისე
შეეგრძნო და განეცადა ეს ქვეყანა — უბრალო და ღვთაებრივი,
ვით განდეგილი შეიგრძნობს უდაბნოს სიმშვენიერეს — უბრა-
ლოდ და არამიწიერად; სურდა, მაგრამ ისევ მალე ჩამალავდა თავს
მარტოობის ნიჟარაში და იქიდან აყურადებდა ‚ეუთისოფლის
უმზეო დუდუნს, მის დახშულ და ერთფეროვან ცვალებადობას.
არაფერი ებადა ტანჯვისა და მარტოობის გარდა, და არც არაფერი
ჰქონდა დასაკარგავი; ყველაფერი გასცა და სანაცვლოდ არაფერი
მოუთხოვია, გარდა სიყვარულისა და თანაგრძნობისა, სიმშვიდი-
სა და პოეზიისა... თვლემს მახსოვრობის სიმხურვალეში, ცხედარს
დამსგავსებული, ცხედარივით გახევებული და ახსენდება წერილის
სტრიქონები, აკაკი ანდრიაშვილს რომ მისწერა, სიყვარულსა და
თანაგრძნობას მოწყურებულმა: „შავი წამები მიჰქრიან და მე ისევ
ცოცხალი ვარ, ისევ ვოცნებობ და ისევ ვფიქრობ არყოფნაზე.
დიდი ხანია, რაც ჩვენ არ გვინახავს ერთმანეთი, მაინც ჩვენი გუ-
ლები ახლოს არიან, ეხლა უფრო განვიცდი შენთან სიახლოვეს.
შენ თითქოს შორს იმყოფები ჩემგან და ეს უფრო საშინელს ხდის
ჩემს მარტოობას, და მე ხომ ყოველთვის მარტოობის ქვეშ ვიფერ-
ფლები, და ეს მარტოობა საყვარელია და თან საშინელი. ეხლა მინდა
ჩემთან მოფრინდეს თეთრი ანგელოზი და შენთან გავატანო წერილი.
მე მგონია ანგელოზები დაფრინავენ როგორც მიწაზე, ისე იმ შო-
რეულ ქვეყანაში, რომელსაც ეწოდება ზეცა. მე შეიძლება მალე
მოვშორდე მიწას და წავიდე ზეცისკენ, ეს იქნება გარდაცვალე-
ბა. ხანდახან ხელებს გავიშვერ იმ მიმართულებით, საითკენაც მინ-
და გაფრენა. ძვირფასო! რა ვქნა, სად არის ის დიდი ნუგეში, რა-
საც ადამიანი ყოველთვის ეძებს. მე დავიღალე გრძნობისაგან და
ეხლა დროა გადავეშვა მარადისობის გარინდებულ უფსკრულში.
მე ხომ არ შემიძლია ჩემი მწუხარე გულის დანახვა და ეს უფრო

ამძაფრებს ჩემს ტრაგედიას... ძვირფასო აკაკი! შენ თითქოს შორს ხარ და ამავე დროს ძლიერ ახლოს. ეს არის ის, რაც მეგობრობას ყოველთვის თან სდევს. მე ვის მივმართო, რომელ ადამიანს, სად არის ჩემი ხსნა! სხვა ვინ არის, ისევ საკუთარ სულში ვიხედები და ვგრძნობ ბედნიერებას. ვარ მე და არის ეს ძვირფასი ქვეყანა. ქვეყანა როგორც ბუნება და არა როგორც მექანიკა. მე ყოველთვის ვგრძნობ შორეულ და მარადიულ სამყაროსთან ახლობელ კავშირს...“

ხშირად, საპატიმროში მოხვედრილს, საშინლად სტანჯავდა მარტოობა, უადამიანობა, უმეგობრობა, მის ცნობიერებაში უმალვე ზოგადდებოდა საკუთარი ხვედრი და ციხის პატარა საკანი ბიწიერ ციხედ ესახებოდა; სულში საერთო ადამიანური ხვედრი ჩასახლებოდა, ტკივილად, მარტოობად, ტანჯვად რომ აღმოცენებულიყო, იმ ტანჯვად და მარტოობად, პოეზიის ჭეშმარიტ ყვავილებს რომ ზრდის, ღმერთის და რწმენის გზას რომ ასხივოსნებს. მისი სათნო და მოყვასი გული განა ნიადაგ ადამიანს არ ეძიებდა?! ქარსა თუ წვიმაში, ყინვასა თუ თოვლში განა ზეცისკენ არ ჰქონდა აწვდილი ხელები, მზის სითბო, ცის სინათლე, შორეულების სიცისფერე რომ მუქში მოეკრიბა და ჩაესახლებინა სულში, მერე სხვებისთვისაც რომ დაენაწილებინა, ვით მზე ანაწილებს სხივებს განურჩევლად ყველასთვის?! მაგრამ ხშირად ვერ აღწევდა თავს მარტოობის ცივსა და მტანჯველ სამალავს და საყვედურით წამოუძახია: „ღმერთო! ამ ქვეყანაზე ასე რისთვის დამტოვეო!..“ მარტოობაში მოხეტიალე, უმეგობრო და უთანაგრძნო, ყოველ საგანში სულიერობას ჭვრეტდა, ყოველ არსებაში — გონიერსა და სულიერ არსს, ბუნების ყოველ მოვლენაში — უხილავ თანამგრძნობ ძალას: „სხვა მეგობარი მე არ მყოლია, მხოლოდ ქარია ჩემი მხლებელი. უფრო ხშირია მელანქოლია და გაფიქრება შეუძლებელის...“ თბილისის ღამეულ სიმარტოვეში მოხეტიალეს, წამიერი ნუგეშივით მოვლენია ხშირად პატარა ძაღლი, თავისი საკუთარი ცხოვრება რომ აქვს, თავისი წარსული და მოლოდინი, თავისი სევდა და მწუხარება, თავისი მარტოობა; იქნებ ისიც კაცი იყო ერთ დროს, იქნებ მასაც მარტოობა ტანჯავდა, განშორების სინანული და შეხვედრის სიხარული, ახლა კი იგონებს უხსოვარ წარსულს, ცრემლიან თვალებში წყვდიადივით რომ ჩასახლებია: „დღეა და ძაღლი ისვენებს ჯერ კი, ისვენებს იგი და თანაც ნაღვლობს.

რომ დაღამდება მოხუცი ჯეკი მეგობარივით დაწვება ახლოს. ეს ძაღლი ხშირად კაცი მგონია, ალბათ, მას ტანჯავს ფიქრების წყება. ჯეკი ძლიერი ხმის პატრონია, სდუმს, უმიზეზოდ არ იცის ყეფა... ბედნიერ დღეებს იგი არ ელის, ალბათ სიხარულს გრძნობს გიტარაში. ახლა ჯეკია ჩემი მფარველი, ახლა ჯეკია ჩემი დარაჯი..." ცხადში ისე დაეხეტებოდა, თითქო დახშოდა ყურთა სმენა, თითქო დაბნედოდა თვალთა მზერა, თითქო მხოლოდ სხვაქვეყნიური ბგერები და ფერები ევლინებოდა მის ყურთა სმენას, მის თვალთა მზერას, ევლინებოდა და ტკბებოდა ამ უცხო ბგერებითა და ფერებით. მარტოობაში ეძიებდა ადამიანურ ბედნიერებას, ადამიანებისადმი მსახურებისა და სიყვარულის გზებს, და ეს ძიება მისი ხვედრი, მისი ბედისწერა იყო, სადაც ერთმანეთს შეერწყმოდა უმაღლესი მიზანი პოეზიისა და ტანჯვისა, ტანჯვა პოეზიის ემბაზში განწმენდილი, გასპეტაკებული, სულიერი სინათლით აღვსებული, რითაც განუდგა კიდეც დროის წარმავალ დინებას, დროის ცვალებადობას, ბრბოს ზნეობრივ კანონებს და მარტოობაში ეძიებდა უკვდავებისა და მარადისობის ნავსაყუდელს. კონსტანტინე კაპანელიც ხომ ამას წერდა: „გრანელის ლექსებში სტირის სული ადამიანის, რომელიც შეშინებულია ქვეყნის უსაზღვროებით და ოცნებათა შორეული გაალებით... გრძნობა სიშორისა და მარტოობის მისი პოეტური კულტია, მისი „იდეე ფიქსია". როიალის ხმა, წვიმის წვეთები, ცხოვრების სუსხი, საღამოს ნისლი — ყველაფერი ტერენტი გრანელის შემოქმედებაში სიშორესა და მარტოობაზე მღერის... მისი ლექსების წაკითხვის შემდეგ თქვენ უსათუოდ იგრძნობთ ერთგვარ სიყვარულს საერთოდ ადამიანისადმი, ადამიანისადმი, რომელიც დაკარგულია უსაზღვროებაში და რომელსაც საშინლად სწყურია მარადისობა..." მარტოობაში იწრთობდა სულს, დათმენასა და მორჩილებას აჩვევდა ხორცს და ამ დათმენაში ნელ-ნელა ისე ეფერფლებოდა სიცოცხლე, როგორც თაფლის სანთელი იფერფლება აღმსარებლის ხელში, მლოცველი და მავედრებელი ხსნისა და მიტევებისა. თავის უკაცრიელ სამალავში გამოკეტილი, უმაღლეს მიზანს — ცისფერ სიშორესა და იმიერ ქვეყნებში გადახვეწას მიელტვოდა, ნატრობდა მარადიული სიყვარულისა და გაზაფხულის მოახლოებას, ვით მებადური ნატრობს და ელის აბობოქრებული ზღვის დამშვიდებას, შუა ზღვაში გარიყული და აქაფებულ ზვირთებზე მოტორტმანე,

თავი რომ დააღწიოს განსაცდელს და გავიდეს სამშვიდობოს... „ისევ მარტო ვარ სევდიან გზაზე, ისევ შაბათის მზიანი დღეა", „შენ მიცქერ მტრობით, ქრიან ეტლები და მარტოობით მე ვიფერფლები", „დღეს ჩემი სევდა ელავს მზესავით, დიდი ხანია, რომ ვცხოვრობ ქარში. არც მეგობარი, არც ნათესავი, არავინ არის, სულ მარტო დავრჩი..."

...და აი, კვლავ ხედავს თავის ორეულს, რუსთაველზე ჩქარი ნაბიჯით მიმავალს, თითქო სადღაც მიიჩქაროდეს. ისე უცნაურად მიარხევს მხრებსა და ხელებს, ისე უწესრიგოდ, ისე უმიზნოდ, თითქო ტანი დაშლას და სივრცეში გაფანტვას აპირებსო; მიდის და იქით-აქეთ ისე იმზირება, თითქო ვიღაცას ან რაღაცას ეძებსო, თუმცა ვერავის და ვერაფერს ამჩნევს ისეთს, რაზეც ღირდეს შეჩერება და თვალთა შენივთება, მიდის და უთმობენ გზას, საკინძეშეხსნილი, სატინის ხალათითა და დაკუპული შარვლით. უეცრად ერთი ჭაბუკის წინ შედგა და მოულოდნელად ჰკითხა: „ვინა ხართ?!." „ელიზბარ ზედგენიძე, პროლეტარი პოეტი!.." უხმოდ გაშორდა. მეორე დღეს ისევ შეხვდა, მიესალმა, ხელი ჩამოართვა და ისევ მოულოდნელად უთხრა: „შვიდი შაური მასესხე!" „მასესხე ისე იყო ნათქვამი, უარის თქმა ვერ მოაპერებინა, ბოლქექა ჯიბეები და ცხრა შაური გაუწოდა. უმალვე გამობრუნდა და რუსთაველის თეატრისკენ გაემართა. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ შეხვდა და ზუსტად ისევ შვიდი შაური თხოვა. ელიზბარს არ აღმოაჩნდა ფული და შინ მიიპატიჟა. ცოტა შეყოყმანდა, მერე დათანხმდა. „სად ცხოვრობ?.." „მთაწმინდაზე!.." „მთაწმინდაზე?.. მთაწმინდაზე სიამოვნებით წამოვალ!.." და მამადავითის აღმართს აუყვნენ. „ვინ გყავს სახლში?.." „დები, ძმები, დედა!.." „ახლა ვინ იქნება?.." „დედა უსათუოდ შინ იქნება!..", „დები, ძმები?.." „იქნებ, ისინიც!.." სუფრა აივანზე გააწყვეს. დები მუსიკისა და პოეზიის მეტრფენი აღმოჩნდნენ, ეამათ პოეტის სტუმრობა. თუმცა სახე მწუხარე და ნატანჯი აქვს, ლოყებიც ჩაცვენილი, მაინც გრძნობს ჭაბუკურ იერს, თვალებში შერჩენილ სიხალისის ნაპერწკლებს. ხელისგულივით სჩანს აივნიდან მთელი თბილისი, აი, მისი საყვარელი ავლაბარი და პეტრე-პავლე, არსენალი და ქვევით ორთაჭალა, მეტეხი და სიონი... თეთრი, თეთრი მზე ანათებს ქალაქს, ანათებს მაგიდას, უნათებს და უთბობს სულს, უთბობს და სიცოცხლის ხალისს უღვივებს. მარტოობის უკაცრიელობიდან წამით გა-

მოსული გრძნობს, მარტო რომ არ არის, რომ უყვართ, რომ აფასებენ, რომ მასაც უყვარს ადამიანები, უყვარს სიცოცხლე. უყვარს მზე, თბილისი... გარინდებულმა დიდხანს უმზირა თბილისს. არავის დაურღვევია მისი დუმილი, იგრძნეს, სადღაც შორს, უცხო ქვეყნებში რომ დაჰქროდა ახლა მისი ფიქრი, მისი ეული სული. უეცრად შემობრუნდა და მასპინძელს მიმართა: „ბედნიერი ყოფილხარ!.. მე რომ აქ ვცხოვრობდე, იცი, რას ვიზამდი?.. მე რომ ამ სახლში ვცხოვრობდე, სულ სხვა ვიქნებოდი, სხვანაირ ლექსებს დავწერდი, სხვა ცხოვრება მექნებოდა!..“ მას ხომ არ უგრძვნია მშობლიური სახლის სიმყუდროვე, მისი სითბო: ხოლო იმ სინათლეს, სულში რომ ედგა, ბუნების ნაბოძებსა და ნაწყალობევს, სიტყვას, პოეზიას, ადამიანებს უნაწილებდა: გასცემდა. სანაცვლოდ კი არას ითხოვდა, გარდა სიყვარულისა და სიწრფელისა. დიდხანს აღარ გაჩერებულა, გუნება წაუხდა და ისევ ქვევით, ქალაქისაკენ, უკაცრიელი, მაგრამ მშობლიური მარტოობისაკენ დაეშვა, ბოლომდე რომ დანთქმულიყო და გათქვეფილიყო მასში, მარცვალივით დაქუცმაცებულიყო და პოეზიის ცისფერ ყვავილებად აღმოცენებულიყო, აღმოცენებულიყო და მარტოობის მიუვალ მთაზე ამაღლებულიყო — „და განეშორა და წარვიდა მთად იგი ხოლო მარტოჲ...“

დრო თავისი გზით მიდის, დრო არ ეხება ჩვენს ცხოვრებას, არც ჩვენ ვეხებით მის დინებას, ჩვენ ჩვენი გზით მივდივართ, დრო თავისი გზით მიდის, მიდის დრო და ყველაფერი გარდაცვლას, ცვალებადობას, სახეცვალებას ემორჩილება, და ამ ცვალებადობაში ერთადერთი უცვლელი საყრდენი, ერთადერთი ნუგეში და ბედნიერება მარტოობაა, მტანჯველი მარტოობა. სადაც შეიძლება შეიცნოს კაცმა ყოფნა-არყოფნის აზრი, ახსნას არსებობის მიზანი, იხილოს ზეცა — მფარველი და ცოდვათა მიმტევებელი. ღამეული მარტოობის ჟამს არ შეიცნობა და შეიგრძნობა განა უხილავი ფერები და ბგერები ბუნებისა, ყველაზე დიადი და ყველაზე დაფარული, მისტიური ძალა მთელი სამყაროსი?! მაგრამ მარტოობა ხომ წამებაც არის, საშინელი უკაცრიელობა, ადამიანურ სამყაროს რომ მოწყვეტილხარ და ცივი და სასტიკი სიჩუმით გარემოცულხარ: „და ისევ მარტო ვზივარ ლოდებთან. უკვე გათავდა წამი გოდების. ახლა არავინ არ მელოდება, და მეც არავის არ ველოდები...“ ამაზე შორს განა შეიძლება წავიდეს მარტოობა, გა-

ნა ძალუძს ვინმეს შემოაღწიოს სიმარტოვის ამ გაუვალ გარსში და გიხილოს ისეთი, როგორიც ხარ?!. „მარტო მივდივარ, ჩუმი ღამეა, მივდივარ ასე შეუცნობელი...“ უპოვარი და მარტოსული, ერთხანს ზაქარია ჭიჭინაძემ შეივრდომა და შეიფარა, უყვარდა როგორც შვილი, როგორც უმრწემესი ძმა, როგორც ძე შეცთომილი, უყვარდა და მფარველობდა, თუმცა მისი პოეზიის განწყობილებას ბოლომდე მაინც ვერ ეგუებოდა. ერთხელ, სანდრო აბაშელს, იმხანად მწერალთა კავშირს რომ ხელმძღვანელობდა, ზაქარიამ წერილიც კი მისწერა, დახმარებას სთხოვდა: „ჩემგან გულით პატივცემულო ძვირფასო სანდრო! — წერდა ზაქარია, — ტერენტი გრანელის შენახვით მოვბეზრდი, მე ეხლა სახლი აღარ მაქვს, ერთ ოთახში ვდგევარ, აქვე მიწყვია ჩემი წიგნებიც. ტერენტის ჩემთან დგომა აღარ შეიძლება, ალაგი აღარ მაქვს, ჩემი ოთახი ისეთია, შიგ ძაღლი არ შეიგდება, ტერენტის არა აქვს ლოგინი, არა აქვს საწოლი, მაგიდა, სკამი... მე რომ ლოგინი წავართვა, მაშინ იგი ძირს უნდა ეგდოს იატაკზე ულოგინოდ... იქონიეთ ამის სიბრალული, ტიტველაა, სამოსი ტანზე სულ შემოხეული აცვია... მე არა მაქვს შეძლება, ამიტომ გაცნობებთ, უპატრონოთ ამ კაცს, ქუჩაში რომ არ მოკვდეს. მისთვის საჭიროა სულ ორმოცდაათი მანეთი, რომ ყველაფერი შეიძინოს და ოთახშიც ცალკე დადგეს. გთხოვთ მაცნობოთ პატარა წერილით, მოუხერხებთ თუ არა დახმარებას. თქვენი პატივისმცემელი ზაქარია ჭიჭინაძე. 18 იანვარი, 1928 წელი...“ ზაქარიას არ მიუღია პასუხი, „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!..“ ამ უბგერო და უფერულ საუფლოში მოხეტიალეს, ისე უვლიდა გარს უთვისტომობის შავი დემონი, ვით ერთგული მაძებარი — მონადირეს, რომ არაფერს შეეღწია სიმარტოვის მაგიურ წრეში და არ დაეხსნა მისი სული ამ უკაცრიელი გაუღწევლობისაგან. ადამიანები თბილ და მყუდრო ბინებში ჩამყუდროვებულან და ალბათ აღარც ახსოვთ, რომ არსებობენ ამქვეყნად მოხეტიალე, უბინაო და უთავსასთუმლო პოეტები, პოეტი-ბავშვები, რომელთაც ცოტა სითბო, ცოტა სიყვარული, ცოტა თანაგრძნობა და ერთი ნატეხი პური სჭირიათ. ამ მიუსაფრობაში ისევ ციცი ოთახი იყო მისი თანამგრძნობი. ძველი და ხმელი ტახტი — სიზმრებისა და ხილვების უხსოვარი სარკოფაგი, და ამ სარკოფაგში ისე წრიალებდა მისი დაფლეთილი სული, ვითარცა ბინდი და გულგრილობა — ამ უთავეამო წუთისოფელში. ძეხორციელის არაა ჭაჭანება და ვის, ვის გაანდოს თავისი სული-

სა და გულის ტკივილი: „რა გულმოკლული მივალ ოთახში, ღმერთო! რანაირ ბინაზე მივალ. დღესაც მწუხარე ვიყავი ბაღში, ახლა ქარია, მახსოვხარ, მცივა. მივალ, დამხვდება მკვდარი ქალივით, ჩემი ლოგინი თითქო სოველი. მე მოვალ მალე ღამენათევი, როგორც თვალები, ცრემლის მთოველი. მიდის ფარული ეს გამწარება, ვეძებ თანამგრძნობ მეგობრის ხელებს. ჩემს გულისწყრომას, ჩემს აღსარებას მე ვეუბნები ოთახს, სიბნელეს. გაივლის ღამე — სამარე სულის, ო, მიხარია ეს გათენება. და გავალ მზეზე მე მოქანცული, როგორც სიზმარი და მოჩვენება“...

ეუალამის სიცივემ გამოაფხიზლა, გამოაღვიძა შორეულმა და მძიმე ფიქრებმა, იგრძნო გულის საშინელი ტკივილი და მხურვალება, ზევით, თავში დასადგურებული მეწამული სიცარიელისაკენ რომ მიიწევს და იქ ისე იბუდებს, როგორც ღველფში — ნაკვერცხალი. ჩრდილოეთიდან დაძრული ღრუბელი, გამარჯვებული ლაშქარივით რომ დააქროლებს ზენა ქარი თბილისის ცაზე, თელავს მთვარის ნათელს და მისი გულის გზნებასა და სიმხურვალესაც თითქო სინოტივე და სიცივე ეუფლება. ხან გადაიქუფრება ზეცა, ხან გადაიხსნება და შორს, გაულწეველ სიწყვდიადეში მოციმციმე ვარსკვლავები მბჟუტავი სანთლებივით ციმციმებენ ზეციურ საკურთხეველში. ჩრდილთა და ნათელთა ეს მონაცვლეობა და ურთიერთგარდაცვლა თავის წარსულ ცხოვრებას, თავის ხვედრსა და ბედისწერას, თავის ბედის ვარსკვლავს აგონებს, მიწიერობის გაზეციერებულ ამბიონიდან რომ უმზერს, და სულში მარადისი დასადგურების იქვი და იმედი ეღვრება: „ჩემსა და იმ ვარსკვლავს შორის გაბმულია რაღაც უხილავი ძაფი, რომელიც მე მაერთებს მთელ ზეციურ სამყაროსთან. იმ ვარსკვლავს მე ახლაც ვხედავ და ვწერ ამ სტრიქონებს. ის ობლად ანათებს ცაზე, მეც ობოლი ვარ მიწაზე. სად იმალება ის უხილავი ძალა, რომელსაც შეუძლია ჩვენი შეერთება. მე ეს არ ვიცი... ის შორს არის ჩემგან, თუმცა ჩემი სულის მეგობარია. დიდება შენ, შორეულო ვარსკვლავო! დიდება შენ!..“ რაც უფრო შორს და მაღლა იმზირებოდა, ზეციურ სამყაროებს რომ შერწყ-

მოდა, მით უფრო იმრავალწილებდა ტკივილს, ბედისწერით რომ იყო დასაზღვრული, და უფრო მეტად გრძნობდა ზეცასთან ახლობელ და იდუმალ კავშირს. ბედისწერაში იდუმალ ძალას გრძნობს, ტანჯვისა და მწუხარების მიზეზს, უხილავსა და დაფარულს; და განა მისი სიმარტოვე, მთელი მისი ცხოვრება ბედისწერით არ არის განჩინებული, ვიღაცის მტკიცე ხელები ბავშვივით რომ დაატარებს მოჯადოებული წრის შიგნით?! ალბათ მისი ბედისწერა საუკუნეებს მიღმა ჩაისახა, გენიდან გენში რომ გადმოდის, როგორც სისხლი — ჯიშიდან ჯიშში, თაობიდან თაობაში, და მის ხორციელ და სულიერ მოვლინებასთან ერთად იშვა ქვეყნიერებაზე, წუთისოფლის ერთფეროვან და ცვალებად დინებაში მასთან ერთად რომ გაიმქვრეს და გაითქვიფოს. იქნებ ბედისწერა ხმაა, სამყაროული ბგერაა, მის არსებაში პირველშობის ჟამს ჩასახული და აღმოცენებული, პირველ-სოფლის სიმშვიდეში ფარულად მოშრიალე და მოჩურჩულე?! ალბათ ბედისწერა გარდუვალი ხვედრია, მარადიული კანონია მის ნამცეცა არსებაში სიცოცხლედ და სიკვდილად გაღვიძებული! იქნებ ბედისწერა მორჩილების ძალაა, რწმენაა შინაგანი სინდისისა, ლოცვად აღმომხდარი?! იქნებ ბედისწერა უანკარესი და უპატარავესი ნაკადულია, მთებში რომ იბადება, უსახელო და უთვისტომო, მღვრიე და უზარმაზარ მდინარედ აზავთებული ოკეანესაკენ რომ მიექანება, გზად რომ ყველაფერს მილეკავს თუ წალეკვით ემუქრება, და იღუპება ოკეანის უფსკრულთა სიწყვდიადეში, იღუპება, კვლავ რომ უანკარეს და უპატარავეს ნაკადულად მოევლინოს ქვეყნიერებას?! იქნებ ბედისწერა ხეა, მის ხრწნად სხეულში რაღაც უხილავი ძალით ჩარგული და აღმოცენებული, ის ხე, ამ უთავეამო და თოვლ-ქარიშხლიან წუთისოფელში ხან ერთი ფურცელი რომ მოწყდება და უსასრულობისაკენ წააფრიალებს, ხან მეორე და — სასრულობაში ჩაფლავს და ჩამარხავს?! ბედისწერის ამ უცვლელ ცვალებადობას მიანდო თავი თვისი და წუთისოფლის მიზეზ-შედეგობრივ ბორბალზე მბრუნავმა, ზუსტად „გამოთვალა“ თავისი ხვედრი, დასასრულს რომ უახლოვდებოდა. კარგად უწყოდა საით მიაქანებდა დროის ულმობელი, მაგრამ კანონზომიერი ქროლვა: „მე რა მომელის, არ ვიცი განა? ვიცი, სად მიჰქრის დღეთა კრებული. მე ახლა ვზივარ და ჩემ წინ დგანან სამი ხე — ასე შეერთებული... და ვამბობ: კიდევ ასეთი წამი. ალბათ ოდესმე განმეორდება. და

ქრება სადღაც სიზმარი ღამის, და ეს ოღბალი მე არ მშორდება...“ მის არსებაში ხომ ჩასახვამდე ლივლივებდა ბედისწერის ტბა, — წყნარი და მშვიდი, დაბადებისთანავე რომ იძრა და აშფოთდა. სიყრმიდანვე ცნობისწადილით უმზერდა ამ ტბის შფოთვას, უსმენდა მის იდუმალ მღერას და გულდასმით სწავლობდა მის აქაფებულ და უდაბურ სანაპიროებს. ბოლოს რომ ერთ წრედ, ერთ სახიერ ხილულობად შეეკრა და მთელი თავისი ცხოვრება წინასწარ ამოეკითხა ამ ხილულ, მაგრამ არარსებულ პერგამენტზე. ეს ზეცნობიერი შეცნობა ხვედრისა განა საკუთარი თავის შეცნობა და დაუფლება არ იყო, ეს შეცნობა და დაუფლება თავისა განა ხსნა არ იყო, ხსნა და განწმენდა სულისა, პოეზიის მისტერიას რომ აზიარა, არსიდან არსში გარდამავალი, ვით სინათლე — სიწყვდიადიდან სიწყვდიადეში გარდამავალი, რომ დაიბადოს, გარდაიცვალოს და დაიბადოს?! ისე მორჩილებდა ბედისწერის იდუმალ ძალას, ვით ფოთოლი მორჩილებს ფესვის პირველქმნილ ძალას, ფოთოლი. რომელიც სუნთქავს, ცოცხლობს და არ უწყის, ამ სასიცოცხლო ძალას რომ ფესვი აწვდის, დაფარულ წიაღში ჩაზრდილი და გაუჩინარებული. სამყაროს თანამდევი სული — სული ეშმაკეული და სული ანგელოზური, სული ბოროტი და სული კეთილი განა ბედისწერის ამ ფესვში არ არის ჩამარხული და ჩაბუდებული?! ამ ფესვის მიგნებითა და ფესვში ჩაბუდებული ძალების შეცნობით არ შეიცნობს კაცი კეთილს და ბოროტს, მშვენიერს და მახინჯს, რომ მოიკვეთოს მეორე და გაიბუნებოს პირველი?! ამიტომ მიელტვოდა ფესვის მიგნებას, მისი ფერის შეგრძნებას, მისი იდუმალი ფუთფუთის გაგონებას, მასთან რომ, ვით ბედისწერასთან, გაუხლეჩელი და ბუნებითი კავშირი დაემყარებინა: „ღამეა, მივსდევ საკუთარ ოღბალს, სდუმს ზეცა, ჩუმი და უცნაური“, „მე ისევ ბედის გრიგალს მივყვები“, „ვხედავ, ბედის მწვერვალს, იქ თეთრი არეა“ „გავყვები ბედის სევდიან რკალებს, გაჩნდება უცებ სიფითრე მწველი...“ „რა ვქნა, მივდივარ, გზები ამებნა და მომდევს ბედი, ასე ფარული...“ მორჩილებდა ბუნების კანონზომიერებას და მთელი ცისქვეშეთი ბედისწერის უზენაეს საუფლოდ ესახებოდა; ყოფნა-არყოფნის, უკვდავების მესამე გზის იდუმალებაც ხომ მოაზროვნე და გონიერმა ბუნებამ ჩაუსახა სულში, და განა შეეძლო ზეციური ნების შეცვლა და უარყოფა?!. „ახლა უფრო მდუმარეა ზეცა, ვინ მიხვდება ჩემს ამნაირ გლოვას? ისევ ციდან ველოდები მერცხალს,

მაგრამ ციდან ქარიშხალი მოვა. გათენდება ქარიანი კვირა, ბედისწერა დაეტყობა ხელებს. მოვა დარდი და ვეწვევი ხშირად შემოდგომის გაყვითლებულ ველებს...“ ამიტომ უხმობდა ქარიშხლიან და თოვლიან ღამეებში ბედისწერას, ვით იდუმალ და ფარულ ძალას, იმ ძალას, რისი ცნობიერი ახსნა არც ძალუძდა და არც ცდილა; თუმცა მისი ადამიანური ცხოვრება მიწიერი ხვედრით იყო დასაზღვრული, შინაგან ტანში ჩასახული ბედისწერა ყოველთვის სხვა, უცხო სამყაროებისაკენ უხმობდა. ყოველთვის სწამდა, ბოროტებასთან ბრძოლა რომ ბოროტებაა, უკეთურებასთან ბრძოლა რომ უკეთურებაა, უწმინდურობასთან ბრძოლა რომ უწმინდურობაა; საკუთარ თავს ებრძოდა, საკუთარ არსებაში ეძებდა ყოფნის აზრს, ეძებდა ხსნის გზებს, თუმცა ხშირად გამოუღწევია საკუთარი თავიდან, ხშირად გარედანაც უმზერია წუთისოფლისა და ბედისწერის ტრიალისთვის, გამოუღწევია და დაუნახავს თავისი ცხოვრება, შეუცვნია და თანაუგრძვნია მისთვის. და განა თანაგრძნობა საკუთარი თავისა ყველაზე დიდი და ადამიანური თანაგრძნობა არ არის?! იგი ხომ ერთადერთი გზაა ადამიანთა გულებისაკენ, ჭეშმარიტი სიყვარულისა და თანადგომისაკენ. ხშირად თავისი გაჩენის დღე, თავისი ბედიც დაუწყევლია, ოდეს სულში იქვი ღ: უთანაგრძნობა შეპარვია: „ვნაღვლობ ჩემს თავზე, სხვა იღბალს ვეძებ“, „უიღბლო ყოფნის სინანული სულში გროვდება“...

ყველას ხომ თავისი ბედისწერა აქვს, და ამ ბედისწერას საკუთარი შინაგანი კანონები განაგებს. ვის ძალუძს შეიცნოს და ახსნას ამ კანონთა აზრი და არსი?! მაშ, რად კლავთ ცნობისწადილი ამ დაფუტუროებულ კაცუნებს, სხვის სულში რად აფათურებენ ხელს?! ო, რა სისასტიკეა, რა დაცემაა!.. მათ არ უწყიან, რა ფაქიზია ადამიანის სული, რა სილბოსა და სიწმინდეს ფლობს, რა სუსტია და რა ძლიერი, როგორი მიმქრალია და როგორი გასხივოსნებული!.. განა არ სჯობს, საკუთარ თავში ჩაიხედონ ამ კაცუნებმა, იქ მოიძიონ ბრუნდი და მართალი, შეიცნონ საკუთარი თავი, საკუთარი ბედისწერა და სხვა არ განსაჯონ, არ განსაჯონ, და მიუტევონ ცოდვანი: „ნუ განიკითხავთ, რაჲთა არა განიკითხნეთ. რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ...“ განა ესეც ბედისწერა არ არის?! მისი ბედი ხომ დროში დაქუცმაცებული სიცოცხლეა, სიკვდილისთვის მსხვერპლად გაღებული, სულიერი

თავისუფლება, ქვეცნობიერის დილეგიდან დაძრული და აუცილებლობის გარდუვალ ძალას დამორჩილებული. შეიგრძნო და შეიცნო თუ არა თავის თავში უმწეობა და სისუსტე ადამიანისა, — დიახ, თავის თავში და არა სხვაში, — შეიგრძნო და შეიცნო თუ არა თავისუფლების უკმარობა თავის თავშიც და გარეყოფაშიც, დაეუფლა საშინელი ჟინი მიწიერი ჭურჭლისაგან განძარცვისა და უსასრულო სამყაროების დაუფლებისა. ამიტომ ხან მორჩილებდა ბედს, უკიდეგანო სამყაროში უმწეოდ მოხეტიალე — „ვინ გაექცევა საკუთარ იღბალს“, — ხანაც ეღვიძებოდა ფარული ჟინი ბედისა თუ ბედისწერის დაძლევისა, მისი უარყოფისა — „ამნაირ ბედზე ვნაღვლობ, ბედმა მიწაზე დამტოვა“, „შორეულ იღბალს ეუცდი, როგორც უმზეო ამინდს“... მაგრამ უმალვე დაეუფლებოდა ბედისწერის მისტერიული განცდა და ისე აყურადებდა მის იდუმალ ძალას საკუთარ ტანში, ვით გველი აყურადებს მარადიულ კრულვას — საკუთარ სხეულს ჩახვეული და კაცთაგან სამუდამოდ შეჩვენებული... ბედისწერა ხომ უმაღლესი ძალაა. მის არსებაში დაბადებამდე ჩასახული, ის ძალა, დასაბამიდან რომ მოლიელავებს და უხილავია, ყოფიერების არსში შემღწევია, შეუცნობელის შეცნობის მაუწყებელია, ძალა, მთელს მის არსებას რომ მოიცავს და, თავისუფლების გზნებით შეპყრობილს, უსაზღვრო სივრცეებს აზიარებს, გადაჰყავს იმ უწონო და უმსუბუქეს საუფლოში, სადაც მოხსნილია ყოველნაირი წინააღმდეგობა და აუფლებს უმაღლეს სიმშვიდესა და სიჩუმეს, უძრაობასა და უმოქმედობას, და ეს არის სულის უმაღლესი ნეტარებაც. გარეყოფიერ და მიწიერ ხვედრზე აღზევება განა ისევ ბედისწერის მორჩილებას არ ნიშნავს, დამქანცველ სწრაფვას გრძნობიერიდან უგრძნობელი სამყაროსაკენ, იმ უმაღლესი საფეხურისკენ, სადაც დაძლეულია საგნისმიერი და ნივთიერი ზღვდეები?! ყოველი მისი სიტყვა თუ ქცევა ხომ ბედისწერის დაუწერელი კანონით იყო აღბეჭდილი, როგორც ყოველი არსება, ისიც ხომ დასაზღვრული არსებაა, სწორედ ამ დროს დაბადებული და სწორედ ამნაირი ხვედრით დაღდასმული, მის დაბადებაშიც ხომ რაღაც ძალა მონაწილეობდა, დაბადებამდელ არსებობას რომ აუწყებდა მის სულს, ძალა იდუმალი, ძალა ფარული, საყოველთაო ძალა ბუნებისა, რომელი ძალითაც განისაზღვრა მისი ამქვეყნად მოვლინება, მისი მიწიერი ხვედრი, მისი ტანჯვა თუ სიხარული: „მფარველი ლანდი მაშინ არ მყავდა, ახლა შენსავით მეც ვიმოსები. და სევდის ბაღში ისევ

აყვავდა იები, ვარდი და მიმოზები. უზრუნველობა და სიხარული ცოდვილმა ბედმა მე არ მაღირსა. მე ვარ უცნობი, მე ვარ ფარული და ანგელოზი თეთრი ბაღისა. ეს ჩემი ბედი ახლა ამაღლდა, ვით შუაღამის თეთრი ლოცვები. და სევდის ბაღში ისევ აყვავდა იები, ვარდი და მიმოზები...“ ბუნებას და მის უცვლელ ცვალებადობას ხომ თავისი მკაცრი კანონზომიერება განაგებს, და რაც მის სულში მიმოიძვრის, როგორც ნაწილში ბუნების დიადი სულისა, იმავე თვისებისაა, ვით დიადი სული ბუნებისა, და შეუძლებელიც კია, სხვანაირი რომ იყოს, და ეს იდუმალი, გამოუთქმელი, პირველქმნილი ძალა ბუნებისა აუხსნელია; და განა ამ აუხსნელითვე არ აიხსნება აუხსნელი, დაფარულით არ გაცხადდება დაფარული?! თითქო შეჭრილიყო ამ დაფარულ და ამოუხსნელ წრეში და მის ცხოვრებას განაგებდეს უხილავი ძალა, წარსულს აწმყოდ რომ აქცევს და აწმყოს მომავლის წარსულად. კარგად უწყოდა, ვინ და რა იყო გუშინ, ვინ არის დღეს, ვინ და რა იქნება ხვალ, ახსოვდა, რა და ვინ იყო ოდესღაც — უხსოვარ წარსულში, რა და ვინ იქნება ოდესმე — უხსოვარ მომავალში, მის საფლავს რომ დააღგება მზე შორეულ რიცხვის...

განა ამ ბედმა თუ ბედისწერამ არ ჩაუსახა სწორედ ასეთი და არა სხვანაირი ხასიათი და ბუნება, ის სული და გონება, ის ცნობიერი თუ ქვეცნობიერი ვნებანი, პოეზიის საკურთხეველთან რომ მსხვერპლად მიიტანა?! და განა სწორედ მისმა ასეთმა ბუნებამ და ხასიათმა არ განსაზღვრა მისი ხვედრი, მისი ბედისწერა, ცხოვრების ის გზა, რაც გაიარა და რაც დასასრულს უახლოვდება?! განა ძირი მისი შინაგანი ცხოვრებისა, მისი შინაგანი ადამიანისა მის ბედში არ ძევს, ხოლო მისი ბედი მისსავე შინაგან ფიქრებსა და ფსიქიკაში არ არის ჩაზრდილი და გაუჩინარებული, გამუდმებით რომ ფუთფუთებს და არ ისვენებს?!. მაინც ვინ და რა იყო ის შინაგანი ადამიანი, სწორედ ასეთი ცხოვრება და ხვედრი რომ განუმზადა?!. განუმზადა, მაგრამ გაუუცხოვა კიდეც, ყველაფერი იდუმალების სამოსით შეუმოსა; და განა მთელი მისი ცხოვრება იდუმალება არ იყო, თავადაც ხომ იდუმალებით იყო მოცული, და ისე იმალავდა თავს იდუმალების ფრთებქვეშ, როგორც სფინქსი — უფსკრულის პირას დასაღუპად განმზადებული, ისე უფრთხილდებოდა იდუმალ სულს, როგორც ბნელსა და ცივ ოთახში შემოპა-

რულ მზის სხივს, მწუხარებით დაფერფლილ გულს რომ უთბობდა და უსხივოსნებდა. იდუმალება ხომ მისი შინაგანი ცხოვრება იყო და ისე გამლღვალიყო მასში, უახლოესმა ადამიანებმაც არაფერი უწყოდნენ მის გაიდუმალებულ ცხოვრებაზე, თითქო ყველაფერი ცხადიც იყო, ნათელი და თვალსაჩინოც, მაგრამ მისი ცხოვრება და პიროვნება მაინც გამოცანად რჩებოდა ყველასათვის. ყოველთვის დუმდა, დუმდა წარსულ ცხოვრებაზეც, დუმდა ამჟამინდელზეც. რაც ღმერთმა უწყის, საით მიექანება — მომავლისაკენ თუ წარსულისაკენ, დუმდა მომავალზეც. მომავალი ხომ მოლოდინია, მოლოდინი რაღაც დიადისა, ზეციურისა, მაგრამ რაღაც სასტიკისა და საშინელისა... მხოლოდ ის იცოდნენ, წალენჯიხიდან რომ იყო, დები რომ ჰყავდა სოფლად, და ძალიან რომ უყვარდა დები. თითქო შიშობდა, არავის შეეტყო აქ — თბილისში, როგორი ცხოვრება ჰქონდა სოფლად, ხოლო იქ — სოფლად მალავდა, როგორ ცხოვრობდა აქ — თბილისში. ხეტიალობდა თბილისის ბაღებსა და ქუჩებში იდუმალებით გარემოცული, და დუმდა, მისი იდუმალი და განდგომილი ცხოვრება იზიდავდა ადამიანებს, ხშირად ამიტომ ეკრძალებოდნენ კიდეც მის მარტოეულ ცხოვრებას...

ხასიათისეული ჩანასახები, სიყმაწვილეშივე რომ გრძნობდა საკუთარ არსებაში ჩაბუდებულს, 1920-1921 წლებში — უთანხმოების, განდგომისა და მარტოობის წლებში აღმოცენდა სრულქმნილი სახით, აღმოუცენდა და გაუყვა შემეცნებისა და თვითშემეცნების უმძიმეს გზას. თანდათან უმრავლდებოდა და უძლიერდებოდა გარინდებისა და დაფიქრების, დათმენისა და ვნებათა შეკავშირების, გრძნობიერებისა და სულისმიერი გრძნების წამები, ხასიათის ფუძეში რომ იყვნენ გამკვრივებულნი და ნერვიული აგზნებებით გარემოცულნი. სიყმაწვილეშივე იგრძნო გონებისმიერი მოწიფულობა, გარემოსამყაროსა და საკუთარი თავის შემეცნების ნიჭსა და უნარს რომ უძლიერებდა, ხასიათის შინაგანი ზნეობა რომ ჩამოუქნა და გამოუძერწა და იმ უმაღლეს სფეროებთან დააკავშირა, ერთ-ერთ უმთავრესს რომ ეროვნული გრძნობა ერქვა, გრძნობა, გარედან მოფრენილი კი არა — სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანი რომ იყო, ბუნებრივი გრძნობა, ისევე ჩვეულებრივი და ბუნებრივი, ვით გაზაფხულზე ია აღმოცენება, ვით მწყურვალის დარწყულება, ვით მუშაკობა და მაშვრალობა ჭიანჭ-

ველასი; გულში დაატარებდა უძვირფასეს საგანძურად ამ უნეტარეს და უსასტიკეს გრძნობას, ჩუმად უნთებდა სანთელს. უფრთხილდებოდა და ესათნოებოდა, რომ არ შეებილწათ, ფეხქვეშ რომ არ გაეთელათ. სწორედ ამ ხანებში იგრძნო და განიცადა ყველაზე ცხადად თავისი ხასიათი და შინაგანობა, პიროვნულობაში გადასვლის ძლიერი ბიძგები. მისი შემეცნება, კვიცივით რომ დაჰქროდა იქით-აქეთ, თანდათან ცნობიერ ზღუდეებში ექცეოდა და მყარ სამკვიდრებელს ეძიებდა, თუმცა მღვრიედ ქვეცნობიერის იმ შინაგან ბიძგებსაც გრძნობდა, უცნობ და მისტიურ სამყაროებს რომ აზიარა. აზიარა არაჩვეულებრივ ყოფას, უხილავ ფერებსა და ბგერებს. მის ნერვიულ და აგზნებად ხასიათში ყველაფერი წარუშლელ ნატერფალებს სტოვებდა, მერე მთელს არსებას ეუფლებოდა და დიდხანს, ძალიან დიდხანს ვერ შლიდა ამ ნატერფალებს; ხოლო თუ მათ დავიწყების ფერფლი დაფარავდა, ოდესმე ერთხელ მაინც ამოვარდებოდა ისეთი ქარიშხალი, დავიწყების ფერფლს რომ გაფანტავდა და ნატერფალები, ვით სისხლიანი იარები, წითელი ყაყაჩოებივით აშრიალდებოდნენ მის სულში. ყაყაჩოთა შრიალი, ვით ნიშანი სულის იდუმალი გაღვიძებისა, საოცარ ხილვებსა და წარმოსახვებს ბადებდა, მისთვის აუხსნელი და შეუცნობელი რომ იყო მანამ, ვიდრე საბოლოოდ თვითშემეცნებ-ის მორევში არ ჩაიძირა. ჩაავლებდა ამ ხილვების ერთ ბოლოს ხელს და მანამ ახვევდა მახსოვრობის გორგალზე, სანამ მათ დამბადებელ მიზეზთა მიზეზს არ მიადგებოდა ხოლმე. „ბევრი სასტიკი ღამე გავიარე. რამდენ წვალებას მალავს ეს ოთახი...“ ასეთი იყო მისი ცხოვრება... მისი ხასიათის შინაგანი უცნაურობანი, და ფერიცვალებანი იკვეთებოდა გარესამყაროსთან ურთიერთობაში, მრავალი ძაფით რომ უკავშირდებოდა და მთელი თავისი ხორციელი და სულიერი, გრძნობისმიერი თუ გონებისმიერი არსებით რომ შეისისხლხორცებოდა, ყოფიერება რომ შეეცნო, შეეცნო საკუთარი თავი და მათი უცნაური და აუხსნელი ურთიერთკავშირი. ხომ არის ადამიანში პირველქმნილი თვისებები ხასიათისა, ქვეცნობიერებაში რომ ჩაბუდებულა და მის მფლობელს არავითარი წარმოდგენა არა აქვს მასზე; მაგრამ თვითშეცნობის ნიჭით თუა კაცი დაჯილდოვებული, განსჯისა და ფიქრის წყალობით, საკუთარ თავში ჩამალულ სიკეთესაც შეიცნობს და უკეთურებასაც, სათნოებასაც და სიავესაც, აღმოაჩენს მათ გამყოფ ზღვარს, დათრგუ-

ნავს მეორეს და ააღორძინებს პირველს და სამართლიანობასა და ჭეშმარიტებას დაეუფლება. მთელი ცხოვრება განა ამ ძიებას არ შეალია, სამუდამოდ არ გაატანა შავს წყალს გზნება და ამპარტავნება, სიფიცხე და სიამაყე?! და ბოლოს, ვით მათხოვრის გაცრეცილი კაბა, მხოლოდ სისაწყლე, გულის სილბრ, უტყვი ლოცვა და შეწყალება არ დაიტოვა თავისთვის?! „მე ხომ ასე ვარ, მე ხომ ვეწამე, ჩემი ფიქრები მაღლა დადიან, გადავიტანე ეს ღამე და ახლა უკვე განთიადია. ქარია ჩემი ცხოვრების ღერძი, კარგია ლოცვა ასეთ ღამის წინ. ისევ საშინელ გრიგალებს ვებრძვი, ისევ საშინელ დრამას განვიცდი...“

განა გარესამყაროსთან უცნაურმა კავშირმა და მისმა პირველქმნილმა ხასიათმა არ განსაზღვრა მისივე შინაგანი ცხოვრება, ხოლო ამ შინაგანმა ცხოვრებამ — მისივე უცნური დამოკიდებულება გარესამყაროსთან, საკუთარ თავთან და მათ ურთიერთკავშირთან?! მისი ფიქრებისა თუ ხილვების უცნაურობას, მათ უწყვეტობასა და ურთიერთშეუთავსებლობასაც ხომ მისი მოზღვავებული გრძნობელობა განსაზღვრავდა. მის არსებაში ხომ ტანჯვა ისევე ბუნებრივად ჩაბუდებულა, ვით ახლადშობილი ბარტყი — ბუდეში, სულ რომ შფოთავს და წრიალებს, გაფრენას ლამობს, მაგრამ ზოგჯერ ბირს ეცემა და იღუპება. საკუთარ ტანში, გარდა ხორციელი მიზეზებისა, ეძიებდა და ეუფლებოდა სულისმიერ მიზეზებსაც სევდისა თუ სიხარულისა, ყველა იმ ადამიანური განცდისა, განუკვეთელი და განუყოფელი რომ იყო მისი შინაგანი ადამიანისათვის. სწორედ მის ფსიქიკურ და ასტრალურ ტანში ისადგურებდა და იღვიძებდა შეგრძნება მზიანი თუ წვიმიანი ამინდისა, თოვლისა თუ ქარისა, სიცივისა თუ სითბოსი, შორეულ და უხსოვარ გახსენებებსა და წარმოსახვებს რომ აღუძრავდა. აქ — თავისი სულის წიაღში ეძიებდა სინათლისა და სიწყვდიადის წყაროსაც, რომელთა ფერიცვალებანი მოვლენათა და საგანთა ქაოსში ისე ირეკლებოდა მრავალფერ გამოსხივებად, როგორც ბენგალიური ცეცხლი — მბრუნავ წრეზე. ყოველთვის გრძნობდა, განწყობათა სიმრავლე ერთი საერთო ფესვიდან რომ იღებდა დასაბამს, ერთი საერთო სამკვიდრებელი რომ ჰქონდათ მის არსებაში; ამიტომაც ქმნიდნენ ეს განწყობები მთლიან, განუკვეთელ ხატს მისი ხასიათისას, რომელ ხასიათსაც განსაკუთრებულ ფერსა და ბუნებას ანიჭებდა მისივე შინაგანი ტანჯვა-წამება, რაღაც უხილავი, მაგრამ ბუნება-

რივი სუდარით რომ შესუდრულიყვნენ, და რომელთა მიზეზთა ძიებაც ყრუ და მღვრიე ტკივილებს აღუძრავდა. სხვათა თვალში ამიტომ გამოიყურებოდა სნებიანივით, სწორედ უმიზეზო და არაგანსაზღვრული მწუხარებისა თუ სიხარულის გამო, უშუალოდ ბუნების იდუმალ ძალებს რომ უკავშირდებოდა და არა მიწიერ, ყოფით არსებობას. განა მისი განუწყვეტელი დარდის მიზეზი მხოლოდ ყოფიერების შემეცნება იყო?! ეს უწყვეტობა რაღაც პირველქმნილი და აუხსნელი, ბედისწერის მტანჯველი იდუმალებით იყო დაფარული და გარემოცული. სწორედ ამიტომ თქვა: „რომ იყოს ახლა, ვიცი, ჩემს სევდას ბარათაშვილიც ვერ გაიგებდაო?!.“ ბარათაშვილი ხომ ის სიმაღლეა სულიერი ტანჯვისა, აზრისა და სინათლისა, რა სიმაღლეზე ასვლაც და რისი წვდომაც ყველასათვის დიდი გამოცდაა, ბარათაშვილი ხომ იმ სამსჯავროს კარიბჭეა, რისი შეღებაც ყველას არ ძალუძს!.. მისი დარდი ხომ იმ ქაოსის გაწსახება და განსულიერებაა, მის შინაგან წიაღში რომ მიმოიძვრის, იმ ქაოსისა, თიხა რომ წარმოქმნა და მოზილა და შვა ადამიანთა მოდგმა, შვა ისიც, ამ მოდგმის მსგავსი და მგვანი. ამიტომ, ვით ადამიანს და ვით მოკვდავს, არასოდეს დაუყენებია თავი თვისი სხვათა მაღლა, პირიქით — სულ კუთხეებისაკენ, ჩრდილისაკენ, უჩინარობისაკენ მიიწევდა, რომ არ გამორჩეულიყო სხვათაგან, სხვათა ღირსება რომ არ შეელახა, ყოფილიყო ბუნებრივი, ისეთივე უბრალო და მარტივი, ვითარცა ბუნება, ვითარცა თიხა იმ ქაოსისა, ადამიანი რომ მოზილა და შვა... „ძვირფასო აკაკი! — წერდა ანდრიაშვილს, — მატარებლიდან ვუმზერ თბილისს და მიხარია, რომ მივჰქრი უხილავ სივრცისაკენ. მატარებელი მიჰქრის და მარცხნივ ტრიალებს მიწა. მივდივარ და მიმაქვს გული რუსეთისაკენ. დღეა, ყარაიაზის ველზე დაფრინავენ მწვანე ფრინველები, რომლებთანაც ვგრძნობ მეგობრულს და სულიერ კავშირს. დღეა და ვიღაც თათრის ბავშვი მიერეკება კამეჩს. ვხედავ, გრძელი მინდვრებია ირგვლივ და ყველგან მინდა დავაბიჯო ფეხი. მატარებლიდან ვხედავ სოფლებს, ძალიან მომეწონა დაბალი და პრიმიტიული სახლები. მინდა აქეთ ვცხოვრობდე, სადმე მიყრუებულ ადგილას და მიყურებდნენ ისე, როგორც ჩვეულებრივ და უბრალო ადამიანს...“ ისეთივე ცოდვილად დაიარებოდა ცოდვილ მიწაზე, ვით ყველა მისი მგვანი და მსგავსი, ისევე თანაუგრძობდა და იბრალებდა სხვებს, ვით საკუთარ თავს — უმწეოდ ჩარჩენილს

სასრულ ყოფიერებაში; თვითგვემისათვის კი მხოლოდ საკუთარ თავს იმეტებდა, მხოლოდ საკუთარს და არავის სხვას. არასოდეს გადასულა იმ საზღვრებს, ქრისტეანთა ღმერთმა რომ დაუსაზღვრა ადამიანს — ცოდვილსა და შესაწყალებელს. განა ასეთი არ არის ხვედრი ყველა ადამიანისა, მთელი კაცთა მოდგმისა, ხვედრი კაცობრიობისა და მსოფლიოსი, მუდამ მთლიანი და ერთიანი რომ იყო, განუყოფელი და განუთიშველი, ვით სიცოცხლეა სიკვდილისგან განუთიშველი, ხოლო სიკვდილი — სიცოცხლისაგან, ვით წარმავლობა და ცვალებადობა მარადიულობისა და უცვლელობისაგან განუყოფელი, ხოლო მარადიულობა და უცვლელობა — წარმავლობისა და ცვალებადობისაგან, ვითარცა ღმერთი — ერთიანი, განუყოფელ-განუთიშველი. ხოლო თუ მაინც მოეძალებოდა სისუსტე და ზოგჯერ მავანი და მავანისადმი ნაწყენობა და სიბრაზე დაეუფლებოდა, ეს ხომ კაცუნათა ბრალი იყო და არა მთელი ადამიანური მოდგმისა, ვინც სასტიკი სიყვარულით უყვარდა და ვისი გულისთვისაც უმოწყალოდ იტანჯებოდა. ამ კაცუნათა მიერ უარყოფილსა და ფარული გზნებით შეპყრობილს, ხშირად აღმოხდომია: „ვერ გიღალატე შენ, ჩემო თავო, ახლა სასწაულს მხოლოდ მე ველი. და მე ვატყობდი: დრო მკლავდა, დაო, და დრო მიჰქროდა შეუმჩნეველი, ვითმენ წამებას, სხვაგვარ დროს ველი...“

ისე მძლავრად განიცდიდა სულიერი რხევებით აღძრულ ბიძგებს ქვეცნობიერებისას, რისთვისაც უცხოა ლოგიკური განსჯა, ვით მიწისქვეშა რყევებს — მოკამკამე ტბის ზედაპირი, განიცდიდა იდუმლად და უფორიაქებდა არსების წიაღში ჩაყურსულ ფიქრებსა და ხილვებს. ქვეცნობიერი ბიძგები, ქვევიდან ზევით — ბუნებისიდან სიცხადისაკენ რომ მოიწევდა, მთლიანად თუ ვერ იპყრობდა ცნობიერ სფეროებს, ნახევრადცნობიერ ნახევარსფეროებს მაინც აღწევდა, მოიწევდა და არ უწყოდა, საით მიდიოდა, სად უნდა ამოპირქვავებულიყო და განფენილიყო, ვით მაღალ მთებში დაბადებულმა პატარა ღელემ არ უწყის, საით მიედინება, რომელ ზღვაში უნდა ჩაპირქვავდეს და დაიღუპოს, ყოველ წამს ისე მძაფრად გრძნობდა ფსიქიკური ბიძგების გარდამავალ ფერიცვალებებს, ვით დღისა და ღამის, სინათლისა და სიბნელის ურთიერთმონაცვლეობას. გამუდმებით ასე ცხოვრობდა უცხო ფიქრებსა და ბგერებში დანთქმული, სასტიკი სინაზითა და გზნებით შეპყრო-

ბილი, განმარტოებული და უცნაურ ფიქრებში ჩაძირული, აღუსრულებელი ოცნებებით სასოწარკვეთილი, იქვითა და შიშით, უნდობლობითა და სიყვარულით, მტრებითა და მეგობრებით გარემოცული. შინაგანად დახვეწილი გრძნობებისა და სხივნათელი ფიქრების მატარებელი, გარეგნულად ბრიყვსა და უგვანს დამგვანებოდა. და ალბათ ამას შეჰყავდა მართლა ბრიყვნი და უმეცარნი შეცდომაში, უდიერად და ზოგჯერ აგდებითაც რომ უმზერდნენ, და ვინ იცის, მისი ასეთი ცხოვრება ალბათ დიდხანს, კიდევ დიდხანს აუბნევს თავგზას ბრბოს შეზღუდულ ცნობიერებას. და განა ესეც მისი ხვედრის, მისი ბედისწერის გაგრძელება არ იქნება?!. საკუთარი ფსიქიკის წიაღში ჩანთქმული, ყოველივეს ახსნას პიროვნულობით ცდილობდა, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, არსების ფსკერში ჩალექილი განცდების გამოვლენას მიელტვოდა, და თუ ზოგჯერ ახერხებდა კიდეც, ხშირად გამოუვლენელი რჩებოდა, ხორციელ გარსსა და ნერვებს რომ ერკინებოდა, რაც ამწუხრებდა, ასევდიანებდა, ფარულად აშფოთებდა და ეძებდა გზებს გარესამყაროში მათ დასამკვიდრებლად. არასოდეს გადაღობებია საკუთარ არსებაში ტრაგიკული განცდების აღმოცენებას, არ ცდილა მათ ჩახშობას, არც დათრგუნვას, პირიქით, — ისე ულებდა კარს და ისე ეგებებოდა, ვით ჯალათს ეგებება საკანში შემწყვდეული სიკვდილმისჯილი, რაც შეიძლება ჩქარა რომ დაიხსნას ხორციელი სატანჯველისგან და აზიაროს სული მარადიულ სამკვიდრებელს, ეგებებოდა, შაგრამ მაინც თრთოდა ანთებული ნერვებით აგზნებული და ყინულივით გამჭვირვალე, ყოფნისა თუ არყოფნის გზაჯვარედინზე აგონიური შიშით შეპყრობილი: „თითქოს ვარ, თითქოს არა ვარ (ალბათ ვიღაცა დამეძებს). და შემაშინა სიზმარმა, მე, წუხელ შუაღამეზე. ვიღაც გავიდა ეზოდან (ალბათ ვიღაცა დამეძებს). რაღაც ჩურჩული მესმოდა, მე, წუხელ შუაღამეზე. ასეთი ლანდები მომდის (ალბათ ვიღაცა დამეძებს). და შემეშინდა მოკვლის, მე, წუხელ შუაღამეზე...“ სასტიკად აღიზიანებდა კაცის კმაყოფილი სახე, ქარაფშუტული და უაზრო აღტაცება და სიხარული... ახსოვს, ერთხელ რუსთაველზე მიდის, საღამო ხანია. ვიღაც ახალგაზრდა რუსთაველის თეატრის წინ დგას და ვიღაცის მოლოდინში, კმაყოფილი და ნებიერი სახით, ტყავის ხელთათმანს დარდიმანდულად ათამაშებს ხელში, გააღიზიანა მისმა კმაყოფილმა გამომეტყველებამ, უეცრად ეცა, ხელიდან ხელთათმანი წაგ-

ლიჯა და შორს მოისროლა. რომ დააკვირდა, მერე იცნო — ნიკო კეე-ლიშვილი აღმოჩნდა. ინანა, კარგა ხანს ქუჩაში შეხვედრაც ერიდებოდა, ერთხელ მობოდიშებით ისიც კი უთხრა, არ მახსოვს, როგორ და რატომ გავაკეთე, ყველაფერი ჩემს უნებურად მოხდაო. თუმცა, როცა ღრმად ჩასდევდა თავის საქციელს, მიზეზი ცხადი ხდებოდა მისთვის, რასაც ყველას ვერც აუხსნიდა და ვერც გააგებინებდა... ხშირად გამხდარა თავისივე ხასიათის მსხვერპლი და კვ-რაობით უყურყუტია საპატიმროში. სწორედ აქ — საპატიმროს კედლებში უფიქრია: თუ სიკვდილის წინაშე ყველაფერი არარაობაა, რად ვერ იმეტებენ კაცნი სიკეთეს. რად მალავენ და რად იმარხავენ გულში?! მართალია, უკეთურობასა და ბოროტებას სიჩუმითა და დუმილით პასუხობდა, მაგრამ იყო წამები, წამები დაუთმენლობისა, თვითგანსჯის უნარს რომ ჰკარგავდა და საზღვრებს სცილდებოდა; მერე ნანობდა. მაგრამ უკვე გვიან იყო, და უკვე გვიან რომ იყო, ახლა ეს ტანჯავდა ყველაზე მეტად. განა სწორედ ამიტომ არ ნატრობდა განშორებოდა ქალაქის ხმაურს, ბრბოს და სადმე მიყრუებულ ადგილას ეპოვა სიმშვიდე: „გრიგალს მივსდევ, ვარ მწუხარე სახის, მიმაქვს დარდი, მე არ ვიცი, რატომ? მინდა იყოს აქ პატარა სახლი, ხალხს მოვშორდე და ვიცხოვრო მარტომ“... მაგრამ სად, სად გაქცეოდა თავის ძვირფას და მტანჯველ თბილისს, მშობლიურ ქუჩებსა და გარეუბნებს, სად გაქცეოდა ნივთსა და საგანს, სად გაქცეოდა საკუთარ ხორცს. ასე რომ ბორკავდა და ათასნაირ განსაცდელში აგდებდა, სად გაქცეოდა ცხობისმოყვარე თვალს, საკუთარ თავს რომ ზოგჯერ არარაობად აგრძნობინებდა, ზოგჯერ კი კაცად და პოეტად?!. განა ყოველ მის ქცევასა თუ სიტყვაში, თვით ყველაზე ნერვიულ და აგზნებულ, ერთი შეხედვით, უარმყოფელ გამოვლენაშიც კი, ადამიანისადმი სიყვარული არ გამოსჭვიოდა, და მისი წყრომაცა და წყენაც, ადამიანთა უკეთურებით აღძრული, სიყვარულითვე არ იყო ნაკვები და ნასაზრდოები?!. მისი ირონია, შინაგანი ტკივილებით არ იყო აღძრული, თანაგრძნობად და თანადგომად არ ეღერდა. ვ-დრე ვინმეს ან რაიმეს გასაცამტვერებლად?! თუ ვინმეს აცამტვერებდა, ისევ საკუთარ თავს, თუ ვინმეს უარყოფდა, ისევ საკუთარ თავს, და არც ცდილა გადაეხვია ამ ეკლიანი გზიდან, ჩაემუხლებინა, ჩამოესვენებინა სადმე, გაგრილებულიყო წყაროს წყლით და გრილ ნიავს მისალბუნებოდა, არ ცდილა, რადგანაც

უწყოდა: ამ გზის შეცვლა უკვე აღარავითარ ძალას არ შეეძლო, გზისა, ბედისწერის უხილავმა ხელებმა რომ გაუკაფა და შემოუსაზღვრა, ბედისწერისა, მასთან ერთად რომ იშვა, მასთან ერთად რომ ცოცხლობს ამ მძიმე გზაზე. განა ამ გზამ არ მიიყვანა სურამის კარიბჭემდე, ამავე გზაზე არ გამოაქცია იქიდან, თვითმკვლელობით რომ არ დაესრულებინა სიცოცხლე, რის საბედისწერო ზღრუბლთანაც ყოველ წამს ციებიანივით თრთოდა?! განა თბილისმა, ძე შეცდომილივით რომ მიიღო და გადაუსვა თავზე ხელი, თბილი შესამოსელივით რომ მოახურა ვარსკვლავებიანი ღამე, არ იხსნა ამ სასტიკი მოვალეობისაგან?! იხსნა მისი სული წარწყმედისაგან, მალე რომ განიმქვრევა სამუდამო ქაოსში, საიდანაც ამოვლინდა და აღმოცენდა.

წამით მილულა თვალი და კვლავ იხილა ოდესღაც ნანახი სიზმარი... რუსთაველზე მიაბიჯებს, ვიღაც მიჰყვება გვერდით, ვერ არჩევს — მეგობართაგანია თუ ვინმე უცხო. თითქო დღეა, მაგრამ საღამოა, თითქო საღამოა, მაგრამ დღეა, მზეც ანათებს და შავი ნისლიც დასწოლია ქალაქს. მიდის და ხელში ახლახან გამოსული „სულიდან საფლავები“ უჭირავს. მეგობარი თუ ვინმე უცხო ართმევს წიგნს და ფურცლავს, ფურცლავს და თავფურცელზე კითხულობს: „ტერენტი გრანელი მოდის სისხლიან სამარიდან!..“ ჩაესმის ეს სიტყვები და თითქო რაღაც საოცარი ძალა ეუფლება, თითქო მძიმეც არის და მსუბუქიც, თითქო მიწაზე კი არ მიაბიჯებს, წვიმით გაჟღენთილ ღრუბლებზე მიცურავს, მიცურავს და გულის მომწყვლელ სურათს ხედავს: მეგობრის თუ ვინმე უცხოს თითებში ნელ-ნელა იფშვნება წიგნი, სიძველისაგან გაყვითლებულ-დაფუტურეებული, იფშვნება და ნიავი თუ უხილავი ნისლი ნაფშვენებს ზეცისკენ მიაფარფატებს, და კვლავ ჩაესმის ყრუდ და ბუნდოვნად: „ტერენტი გრანელი მოდის სისხლიან სამარიდან!.. ტერენტი გრანელი მოდის!.. გრანელი მოდის!.. მოდის!.. მოდის!..“ ცდილობს გამოართვას წიგნი, რაღაცას ეჩურჩულება, ცდილობს რაღაც მაინც გადაარჩინოს წიგნიდან, მაგრამ მეგობარს თუ ვინმე უცხოს ცარიელ ხელებსღა დასჩერებია, რომელიც იქვე გაჰქრა. შეჰყურებს ზეცისკენ მოფარფატე წიგნის ნაფშვენებს და მანამ უმზირა ხელებაპყრობილმა, სანამ უკანასკნელი ნაფშვენიც ცის უსასრუ-

ლობას არ შეუერთდა და არ გაუჩინარდა... ახსოვს, ამ სიზმრის მერე რა მოშხამული და მისავათებული ეგდო მთელი დღე თავის ხმელ ტახტზე, ერთ წერტილს მიშტერებოდა გასაწყლებული, გასაცოდავებული. ისიც კარგად ახსოვს, გასასაჩუქრებელი ცალების ეპიგრაფს, თავფურცელზე მიბეჭდილს, თეთრი ქაღალდი რომ გადააკრა. მერე კი ინანა, რად გადავაკარიო, თუმცა არც ის უწყოდა კარგად, რად წარუმძღვარა ეს სიტყვები წიგნს, რა ძალამ, რა უჩინარმა ხმამ ამცნო; არც ის უწყოდა, რად გადააკრა თეთრი ქაღალდი, რად სურდა წაეშალა ის, რასაც მთელი ცხოვრება წმინდად და ფარულად ატარებდა გულის სიღრმეში... „სულიდან საფლავები!..“ „სულიდან საფლავები!.,“ გამალებით იმეორებს ახლა მისი მახსოვრობა და ბინდი ეცლება გონებას, ცხადად ხედავს თავის ლექსებს, მოყვითალო-მონაცრისფრო ქაღალდზე დაბეჭდილს, ცხადად ხედავს სისხლით ნაწერ სტრიქონებს; თითქოს ისიც კი აღუდგა გონებაში, რომელ გვერდზე რომელი ლექსია დაბეჭდილი... თუმცა მის თვალებში მაინც თეთრქაღალდგადაკრული ეპიგრაფი ციმციმებს: „ტერენტი გრანელი მოდის სისხლიან სამარიდან!.. მოდის!.. მოდის!..“

ეს იყო 1922 წელი... ყველა „საფლავებზე“ ლაპარაკობს, უქებენ პირში, ჩუმ-ჩუმად ძაგებაც ესმის, აღიარებენ კიდეც და კიცხავენ კიდეც, მეგობრები წრფელი გულით ულოცავენ გამარჯვებას, მტრები — დასცინიან და ქირქილებენ... „ტერენტი გრანელს მთლად ჩაუკლავს სურვილები და იმედები, ქვეყნად სანუგეშოს ვერას ხედავს, მისი სული გლოვას მოუცავს, სიკვდილისაკენ, სამარისაკენ იმზირება. რასაკვირველია, ეს სიკვდილია პოეზიის... ტერენტი გრანელის პოეზია არის მოწყენილობის, უიმედო მწუხარების, სიკვდილის წინაგრძნობის პოეზია, რომელშიც არ ურევია არც ერთი იმედი, არც ერთი საგაზაფხულო მოლოდინი და რომელიც იმავე დროს სრული უარყოფაა ბედთან ბრძოლის... „ახლაც ზეპირად ახსოვს 1923 წელს ჟურნალ „კოლხეთში“ დაბეჭდილი წერილის ნაწყვეტი... განა მისი ყოველი ლექსი „საფლავებისა“, მისივე სულის განუყოფელი ნაწილი არ არის?!. მკითხველიც გრძნობდა მის სულში დანთებულ ცეცხლს, ცეცხლს ნამდვილი პოეზიისას, სიწრფელითა და ბუნებრიობით რომ არის გაფაქიზებული, და თანაუგრძნობდა. იგი ხომ თავის ლექსებში გაცხადებული ტანჯული სულია, გაცხადებული უდიდესი სიმართ-

ლით, როგორც მამა — ერთადერთ ძეში. ამ წიგნში მკითხველს ესმოდა დაჭიმული სიმების კვნესა, თითებმიუკარებლად რომ თრთოდა და ცახცახებდა, დაუცხრომელი ქროლვა მარტოობაში მყოფი სულისა, მოწყურებული თანაგრძნობასა და სიყვარულს, სიჩუმესა და სიმშვიდეს... განა სწორედ ამას არ გულისხმობდა კონსტანტინე გამსახურდია, როცა 1922 წელს ჟურნალ „ილიონ-ში“ წერდა: „ტერენტი გრანელი მოდის სისხლიან სამარიდან!..“ ჩვენს დროს ესაჭიროება ქრისტეს სისხლიანი სახის დემონიური შემოხედვა. ევროპიულის მასშტაბით მოხდა დიდი გარდატეხა; რადიკალიზმიდან მარჯვნით ფილოსოფიაში მისტიკა იმარჯვებს, პოეზიასაც მისტიური ქროლვა ეუფლება. ახალგაზრდა ტერენტი გრანელი სიმპტომატურია ამ მხრივ. წიგნში მრავალი გულწრფელი ცრემლებია, დიდი მჭმუნვარება, დიდი სევდა გაუხარებელ ნაღველში გამოზრდილ თაობის. სტრიქონები აქა-იქ სევდიანია, როგორც ცოდვილი ქერუბიმების თეთრი ფრთების შრიალი... ეს წიგნი უახლეს პოეზიაში ძლიერ თამამი სიტყვაა, მას ჩვენ თავის დროზე ჯეროვან ყურადღებას მივაქცევთ... იმ ცრემლიან ჭმუნვარებას, რომელიც ასე ძლიერად ჰქრის ამ მინანქრის სტრიქონებიდან...“ ახსენდება თავისი პოეზიის საღამოები, ცეცხლოვანი სიტყვები, პოეტები და ლექსები, ლექსები და პოეტები, პოეტები და გალაკტიონი... ღამის ბინდბუნდში თვალწინ უშრიალებს თეთრი ფურცლები გაზეთებისა და ჟურნალებისა, მისი ლექსები რომ იბეჭდებოდა: „საქართველოს სამრეკლო“, „ივერია“, „ხომლი“, „ილიონი“, „კოლხეთი“, „პოეზიის დღე“, „ტრიბუნა“, „ახალი ნაკადი“, „უქიმერიონი“, „ქართული სიტყვა“, „თეატრი და ცხოვრება“, „ქართული მწერლობა“, „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, „ლომისი“... ახსენდება „ლომისის“ ერთი ქრონიკა· „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მორიგი ლიტერატურული ხუთშაბათი დეკემბრის შვიდს გაიმართა იმ ახალგაზრდა პოეტის სახელზე, რომლის ბედს არავინ შეჰყეფს, მაგრამ, რომელიც არავის დაუთმობს თავის პოეტურ სულის წამებას — ეს ტერენტი გრანელია!..“ ამ საღამოზე ხომ გალაკტიონმაც წაიკითხა ლექსები...

ახსენდება ქუთაისი, მზიანი თეთრი ტყემლებით აფეთქებული ქუთაისი, სხვანაირი განცდებისა და სიხარულის აღმძვრელი ქუთაისი, ახსენდება ქუთაისში გამართული საღამო, მის პოეზია-

ზე ილაპარაკეს სილოვან ხუნდაძემ, დია ჩიანელმა, ნიკოლოზ შენგელაიამ; დარბაზი სავსე იყო ხალხით და თანაგრძნობითაც ვააცილეს სცენიდან. დია ჩიანელთან სტუმრობდა, სათნო და უძვირფასეს კაცთან, ვისი ოჯახიც იმ დროს საუკეთესო ინტელიგენციის საკრებულო იყო. მოინახულა იქაური მეგობრები, კიდევ ერთხელ შეავლო თვალი ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს, ნაშთს ძველი დიდებისას, გელათს, მოწამეთას, ჯაქვის ხიდსა და მწვანეყვავილას, ქუთაისის უძველეს ქუჩებსა და ეზოებს, ვარდითა და დაფნით აყვავებულთ და დამშვენებულთ, რენესანსელ მხატვარნა სურათებს რომ აგონებდა. თბილისს გამორიდებული, ფრთებშესხმული მოჰქროდა ქუთაისისკენ და მოჰქონდა სიხარულით სავსე გული, მოჰქროდა და ფიქრობდა, ეგებ ქუთაისმა მაინც გამათბოს. ჩამიკრას გულში ღვიძლი შვილივით, გამიქარვოს სევდა და მწუხარებაო, მაგრამ ვერც აქ ეღირსა სულის სიმშვიდეს, ვერც ამ მშვენიერმა ქალაქმა დაუამა მარადიული ტკივილები, ვერც აქ გაექცა საკუთარ ხვედრსა და ბედისწერას, ვერ გაექცა საკუთარ თავს, თავის მშობლიურ მარტოობასა და უიმედობას: „მე შენს კალთებზე სიმშვიდეს ვეძებ, ვეღარ გავუძელ მღელვარე თბილისს. ახლა თოვლივით ვილევი მზეზე და მომდევს ქარი შორი აპრილის... ო, ლოცვით სული აქაც აივსო, ისევ ავყევი ღამღუპველ ვნებას. და შენ სივრცეზე, მე, ქუთაისო, ველი სხვანაირ დღის გათენებას. ავალ კიბეზე და მე მივმართავ ბაგრატის ტაძრის მაღალ ნანგრევებს, რომ ჩემი სული ფერფლია მართლა, რომ გული სევდას აქაც აგროვებს... ახლაც სიმშვიდე არ მეკარება, მე აქაც ბევრი ღამე ვათიე. ო, ქუთაისო! ეს მწუხარება და ეს ტირილი შენ მაპატიე...“ თითქოს ახლაც ცხადად ხედავს გონებისთვალით ძვირფასი მეგობრის შალვა ქათამაძის წერილის სტრიქონებს, ქუთაისიდან მოწერილს, ხედავს და ჩაესმის მისი ნაზი ხმა, ჩაესმის და სინანული ეუფლება, სინანული იმისა, აღარასოდეს რომ აღარ განმეორდება ის წლები, ის წუთები და წამები, საუკუნის წიაღში ცრემლის წვეთებად რომ ჩაიმარცვლა და ჩაიკარგა... „ძვირფასი ტერენტი! — წერდა მეგობარი, — მე ქუთაისში ვიმყოფები, სანდრო ცირეკიძის თქმით, ამ „ცოცხლების სასაფლაოში“, რომელიც არის ჩუმი და ნელი, „უდარდელი არღნითა და აპატიით“. აქედან ცხადია, თუ სად წავიდეს ან რა უნდა ქნას კაცმა! არცერთი ნაცნობი, კარჩაკეტილობა, ქარი და სიცხე...

თუ ვარ შინ — მტვრიან წიგნებს შორის, თუ არადა — სადმე შორს, ქალაქის იქეთ — ამ სიტყვებს — „ქალაქის იქეთ“ — ხაზს ვუსვამ, რადგანაც ქალაქში ყოფნა ძალიან მიყვარს, არა ქუთაისისთანა ქალაქში, არამედ ქალაქში, რომელიც კალეიდოსკოპს უფრო ჰგავს, მაგალითად — თბილისი, ან უფრო დიდ ქალაქი, სადაც გამეფებულა ისეთი სიუცხოვე, ადამიანს ირრეალურ ხილვებს რომ უმახვილებენ. არიან დოსტოევსკისა და ზოლას გმირებისთანა ადამიანები, რომლებთანაც შეხვედრა ახალ სამყაროს გიშლის და სულ სხვაგვარად გაფიქრებს, გაჩვევს აზროვნებას და სხვანაირად გიმართავს ინტუიციას. მე სავსებით ვეთანხმები შენს სიტყვებს: მსოფლიო პოეტური განჭვრეტისათვის აუცილებელია საგანთა და ნივთთა შორის ტრიალი, დიდი ქალაქი და მიღებულ განცდათა შორის არსებობა სიყვარულით გამთბარი ინტიმობის. ასეთ ატმოსფეროში ადამიანი კიდეც რომ არავის შეხვდეს — არაფერია, რადგანაც ათვისებულ საგანთა და მოვლენათა მრავალფეროვნება იმდენად დიდია, რომ ადამიანი (მე პირადად) ამით კვებავს სულს. რამდენჯერ მარტო გამიტარებია დღეები თბილისში; წარმოიდგინე — კვირეებიც, მაგრამ ისე არ მოსწყენია, როგორც აქ. ამის გამო უფრო ხარბად ვიგონებ განვლილ დღეებს, თბილისში გატარებულს (ისიც შენთან). მაგონდება ეკლესიის ნოტიო ჰაერი, მლოცველების სახეები, განსაკუთრებით იმ ქალის სახე, რომელსაც ჩვენს წინ უყვარდა დგომა და რომელიც საუკუნეს ზომავს თავისი მოხრილი მხრებით და ჩაცვენილი თვალებით: მაგონდება განაპირა ქუჩები, პროსტიტუტკების თვალები, რომლებსაც თითქოს ამ ქვეყნის მწუხარება, უნუგეშობა და სიმახინჯე მხრებზე გაუდვიათ... საოცრად მენატრება შენთან შეხვედრა და საუბარი...“

ახსენდება ზუგდიდი, სიყრმისა და სიჭაბუკის ქალაქი, დადიანების ბაღი და გაზაფხულის თბილი საღამო, დიტო ნორაკიძის გაცნობა, მაშინ რომ ქუთაისის გიმნაზიის სტუდენტი იყო, ვისაც პოეზიის საღამოზე სიტყვით გამოსვლა სთხოვა: „მე აქ ვმართავ პოეზიის საღამოს... თქვენ უნდა გამოხვიდეთ შესავალი სიტყვით... მერე მე გამოვალ... აქაური პოეტებიც მიიღებენ მონაწილეობას...“ ისე ჩვეულებრივად და ისე უბრალოდ უთხრა ეს სიტყვები, დიტომ უარის თქმა ვერ შესძლო. შეჰყურებდა თვალებში დამორცხვებულს და გრძნობდა, ჭაბუკის მზერა რომ მის სახეს ღრმად იბეჭდავდა გონებაში, გრძნობდა და რაღაც ძალა და რწმენა ეუფ-

ლებოდა... ახსენდება ხალხით გაჭედილი დარბაზი, სამარისებური სიჩუმე, სიჩუმე და ლექსები... პოეზია!.. პოეზია ხომ ყველაზე უმაღლესი მშვენიერებაა, ურომლისოდაც ადამიანს არ ძალუძს ადამიანური ცხოვრება, უპოეზიოდ ადამიანი კარგავს თავის ნამდვილ ბუნებას; განა პოეზიას არ შევყავართ შეუცნობელ სამყაროში, რომ გვატყვევებს და გვაჯადოებს, პოეზია არ წვდება სულის დაფარულ იდუმალებას, პოეზია არ გვაზიარებს ყოველივე უზენაესს, უკვდავსა და მარადიულს?!. ახსენდება, დაახლოებით ამ სიტყვებით ესაუბრებოდა დარბაზის სიჩუმესა და სიბნელეს, უშუალოდ და უბრალოდ, ლექსებიც ხომ უშუალო მწუხარებით წაიკითხა, შინაგანი წვითა და ელვარებით გაფაქიზებულმა, აგზნებულმა და აფორიაქებულმა, მშვიდმა და სევდიანმა... და განწმენდა, განწმენდა... ლოცვა და განწმენდა, განწმენდა და ლოცვა... „საღამო — კანკალი სანთლის, ირგვლივ დაწოლილი ნისლი. ფარული წამების ლანდი, პოეტის ცრემლი და სისხლი...“

უსმენდნენ მის ლექსებს, კითხულობდნენ და გრძნობდნენ, მათ წინაშე იდგა არა გაორებული, არა გახლეჩილი პიროვნება, — ცხოვრება ხომ ცალკეა, ხოლო პოეზია ცალკე, — არამედ მთლიანი, განუყოფელი, ერთიანი პიროვნება, ვინც არასოდეს ღალატობს თავის ცხოვრებისეულ და პიროვნულ მრწამსს პოეზიაში და პოეტურ მრწამსს — ცხოვრებაში. იმდენად ერთიანი სულიერი ფესვი ასაზრდოვებდა მის ცხოვრებასაც და მის პოეზიასაც, განა ხშირად თვითონაც არ გასჭირვებია ახსნა, სად იწყებოდა მის არსებაში წმინდად პიროვნული და სად თავდებოდა წმინდად პოეტური? და ახლა, გონებისთვალით რომ უმზერს თავის განვლილ ცხოვრებას, სწამს, მისმა პიროვნულმა ხასიათმა და შემოქმედებითმა ფსიქიკამ განსაზღვრა მისი პოეტური აზროვნების თავისებურება, რამაც, თავის მხრივ, განსაზღვრა მისი სწორედ ამნაირი და არა სხვანაირი ცხოვრება, მისი ხვედრი. პოეზია ხომ მის არსებაში ჩაბუდებული ბედისწერაა, გამუდმებით რომ ცოცხლობს და მიმოიძვრის, და ამიტომ წერდა ისე, როგორც ცხოვრობდა, და ცხოვრობდა ისე. როგორც წერდა: „ჩემი ცხოვრება არის პოემა, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია...“ მართალია, ლექსებს წამიერი ექსტაზისა და შთაგონების ჟამს ქმნიდა, მაგრამ ისინი ხომ მისივე ერთიანი

სოფლმხედველობრივი და სოფლშეგრძნებითი ფესვებიდან იბადებოდნენ და წარმომშობ სოფლმხედველობრივ დასაბამს ბუნებრივი თანაკავშირით ატარებდნენ თავიანთ თავში. სწორედ ამიტომაა მისი პოეზია წრფელი და მართალი, სადა და ბუნებრივი, მის ცხოვრებას — სულიერსაც და ხორციელსაც, იმ გზით რომ წარმართავდა, როგორი ბუნებისაც ეს პოეზია იყო, პოეზია, მისი პიროვნული და შემოქმედებითი ფსიქიკის ძირებიდან რომ იშვა და გაუსათუთა, გაუფაქიზა სული, ხან ცისფერ წერტილად, ხან ალისფერ წრედ რომ ბრუნავს ახლა მის გარშემო და თავის მარადიულ დედა-სულს მიელტვის, მის უსასრულობას რომ შეუერთდეს და სამარადისოდ უკვდავებაში გადაიხვეწოს...

მაინც, რა ბუნებისაა ის შემოქმედებითი ფსიქიკა, ერთი მხრივ, პიროვნული ფსიქიკის ძირებიდან რომ იშვა და, მეორე მხრივ, თავად რომ შვა და აღმოაცენა სწორედ ასეთი და არა სხვანაირი პოეზია, სულისა და არსების ყველაზე უჩინარ, ფსიქიკის ყველაზე უფაქიზეს შრეებში რომ ჩამარხულა და ჩაიდუმალებულა? განა ერთი უმთავრესთაგანი მძლავრი გრძნობელობა არ იყო?!.. მოზღვავებული გრძნობა აწამებდა, ვით ცოდვილს აწამებს ცოდვა, გულის სიღრმეში ჩაზრდილსა და ჩამარხულს, სისხლს რომ უშფოთებს და უფორიაქებს, გრძნობა, რისი უხილავი ფესვებიც მისი არსების შეუცნობელ უფსკრულებში იკარგებიან, გრძნობა, რითაც ხშირად დაუფლებია ნერვიული თრთოლა და აგონიური ცახცახი, გრძნობა, ქვეცნობიერიდან ცნობიერებაში რომ გადადიოდა და გონებას რომ უცნაურ აზრებსა და ფიქრებს ამცნობდა, იმ უცნაურ აზრებსა და ფიქრებს, გულის მეწამულ სამყოფს რომ გაივლიდნენ და თეთრ ქაღალდზე სისხლისფერ სტრიქონებად იღვრებოდნენ: „ისევ იცლება გული სისხლისგან და ჩემი გრძნობა ლექსში იღვრება“... ძლიერი გრძნობელობის დროს ხშირად უგრძვნია, ხორციელ ჭურჭელს რომ მომწყდარა, და ასტრალურ სივრცეში გადასახლებულს, კოშმარული წარმოსახვები და ხილვები აღძვრია, თითქო საკუთარი სულიც კი დაუნახავს, ალისფერ წრეზე ცისფერ წერტილად მბრუნავი სული, მისი უხორცო და უსახო სახე, ქვეცნობიერიდან ცნობიერში და ცნობიერიდან ქვეცნობიერში გარდამავალი, ვით ზეცისაკენ მფრინავი გველი. რაც უფრო დიდხანს გრძელდებოდა ეს წამები, მით უფრო დიდხანს იპყრობდა მის არსებას ნერვიული გზნება, რის გავლის მერეც ნაგ-

ვემი და გალახული დაეხეტებოდა საკუთარ თავში, დაღლილი და ბასავათებული, თითქო უწონო და მსუბუქი, მაინც მძიმე და ხორციელი, ყოფნისა და არყოფნის საზღვარზე ქანდაკებასავით გარინდებული. ხორციელ ჭურჭელში ჩაპირქვავებულს, მოზღვავებული გრძნობა უნადგურებდა იმ სასიცოცხლო ძალას, რა ძალაც დაატარებდა ამქვეყნად და ზოგჯერ სანთელივით ფერფლავდა: „და გრძნობა არის, სხეულს რომ სერავს“, „მკვდარი ვიყავი და უგრძნობელი, ღია სამარე ჩემს გულს უცდიდა“, „გულში ცეცხლია გაუქრობელი, გულში ცეცხლია და ვიფერფლები“, „იყო საღამო და მომაგონდა ის ბაღი, სადაც მე ვკრეფდი ყვავილს. მე მაშინ თითქოს გული არ მქონდა, მე მაშინ თითქოს აღარ ვიყავი“, „ლურჯი საღამოა, მოდის დაღონება და გრძნობის კოცონზე ჩუმად ვიფერფლები...“ ზოგჯერ იოკებდა თავს და ახერხებდა კიდეც აფეთქებული გრძნობელობისთვის თვითცნობიერება დაეყენებინა დარაჯად, მისი დინება ზომიერ კალაპოტში წარემართა, მაგრამ ხშირად ვერ იოკებდა მოწოლილ ვნებათაღელვას, რაც ზღვარგადასულ მოქმედებისაკენ უბიძგებდა, ურთულებდა გარესამყაროსთან დამოკიდებულებას, ყოველივეს მძაფრად და მტანჯველად განაცდევინებდა. განა ცოტაჯერ განუცდია გრძნობათა უეცარი აფეთქება, მთელს მის არსებას რომ იპყრობდა, და უგრძვნია საშინელი სიმხურვალე ტანში, გულში, ტვინში, თითქო ტვინიც, მთელი გონებისმიერი აღნაგობაც გულად და გრძნობად ქცეოდეს, განა სწორედ ამის წყალობით არ გადასცემდა თავის ლექსებს გრძნობისმიერ ფიქრსა და გონებისმიერ გრძნობელობას, სწორედ ამის წყალობით არ გარდასახლებულა ჩვეულებრიობის ყოფიდან რაღაც უჩვეულო, უცხო, მისტიურ სამყაროში?! პირველხანად უჭირდა ამ უცხო სამყაროში არსებობა, უმძიმდა მასთან შეთვისება, მერე კი თანდათან გაუშინაურდა და ბოლოს ისე შეეთვისა, ყოველწამიერ არსებობად ექცა, რაც სხვისთვის უცხოდ და მიუწვდომლად გამოიყურებოდა, მისთვის ყოველდღიური ჩვეულებრიობა იყო და სწორედ ეს არ იყო მისი არაჩვეულებრიობაც, მისი ავადმყოფური ძიება და ჭვრეტა ხილული თუ უხილავი ნაპირებისა?! სწორედ ამიტომ არ ამბობდა: „სული დაფარეს ღამის ჩრდილებმა, ახლა ცხოვრება სხვა ნაპრალია. თუ ვტოვებ გიჟის შთაბეჭდილებას, დაო, ეს მხოლოდ გრძნობის ბრალია“... სულ მუდამ იწვოდა, იწვოდა შიგნითაც, იწვოდა გარეთაც; გრძნობათა პირველქმნილი შესაკრებელი ხომ გულია, მუ-

დამ დაღლილი, მტკივანი გული, მაგრამ ყოველთვის ანთებული, ნაწამები და სისხლიანი?!. „და გული ისევ ინთება“, „გულს მივენდობი — ზღვას დაუნდობელს. გრძნობას ვეყრდნობი, როგორც პოეტი“, „და გულში ისევ ზღვა გრძნობა ღელავს...“ განა გრძნობათა დაუდეგარი ცვალებადობა, — ხან რომ ქარიშხალივით მიაწყდებოდა ცასა და სივრცეს, ხან რომ სანთელივით იღვენთებოდა, — არ მიაფრენდა უხილავი ქვეყნებისაკენ, პოეტის ტანჯული ხვედრისასაკენ, მომავლის უსაზმნო მოლოდინისკენ: „გული ისეა, გული ასეა, და გული დნება, როგორც სანთელი, ალბათ იქნება სხვა დაფასება და სხვა ფიქრების კორიანტელი?!“ განა გრძნობათა ზეციურობა, გრძნობათა ფიქრიანი მოძრაობა არ იყო მისი, როგორც პოეტის, ძირთა ძირი, ზემიწიერი გრძნობით ანთებულს ცოტაჯერ უთქვამს: „და ეს გონება გრძნობებს დანებდა“, „უფროა გრძნობა, უფრო ანთება!..“ გონებას, ბუხართან მიმჯდარ მოხუც ბრძენკაცად წარმოიდგენდა ხოლმე, შიშით რომ შეჰყურებს ჭაბუკური ჟინით ატაცებულ გრძნობათა ასპარეზობას, შეჰყურებს და გაფაციცებით უდარაჯებს, უფსკრულში რომ არ გადაიჩეხოს და არ გადაიმსხვრას. ეს უხილავი პაექრობა გრძნობისა და თვითცნობიერებისა, გულისა და გონებისა, მთელი ცხოვრება რომ გრძელდებოდა, ბუხართან მიმჯდარი მოხუცი ბრძენკაცის დამარცხებით დამთავრდა, ვერ შესძლო შეეჩერებინა ჭაბუკური ჟინით ატაცებულ გრძნობათა ასპარეზობა და ორივენი უფსკრულში გადაიჩეხნენ, იმ ცარიელ სიწყვდიადეში, საიდანაც სურამის კარიბჭე ილანდებოდა ნისლში, და იწყებოდა რაღაც უფრო დიდი, იმაზე უფრო მაღალი, რასაც გრძნობა და გონება ჰქვია... მის წმინდა გულს გამუდმებით ისე ეხეთქებოდა რაღაც უსახო და უხეში საგნები, ვით აზავთებულ ოკეანეში ჩავარდნილ კაცს ეხეთქება სანაპიროებიდან მიტაცებული მორები და ძელები, ხან რომ უფსკრულში ჩააპირქვავებს, ხან რომ აქაფებულ ტალღებს ახეთქებს იქით-აქეთ: „გულია ისევ მსოფლიო ღერძი, თანამედროვე ცხოვრება მებრძვის. შორს იძირება რაღაც საგანი. არც იმედია, არც გასაქანი“, „გულია — ღერძი, რა ქნას ხელებმა? “ „ისევ სიშორის ცეცხლი მიზიდავს, არ მინდა გული სამარეს მივცე“, „აკეთებენ სადღაც ჩემთვის კუბოს, ნელა მივალ და გულია ღერძი“, „ალბათ ქარები დღესაც გვეძებდა, რომ კვდება გული — მსოფლიო ღერძი...“ სურდა თუ არ სურდა, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, გულისა და გრძნობის უპი-

რატესობას აღიარებდა, თუმცა ხშირად უცდია გრძნობათა დათრგუნვა, მაინც განგების წყალობად აღიარებდა, ვით საფუძველს თავისი ადამიანური და პოეტური არსებობისა, აღიარებდა ვით ბედისწერას, რისი უარყოფაც მკრეხელობად მიაჩნდა; გული და გრძნობელობა ხომ სიცოცხლეა, ექსტაზისა და შთაგონების სათავეა, პოეზიის მისტერიული განცდის დასაბამია, ანთებაა. ძალთა უეცარი გამოვლენაა, შინაგანი ტკივილი და ცრემლია, ნეტარებაცაა და დემონიური ძალაც, სულში რომ ჩასახლებია და ჩაბუდებია: „იმ ოთახში კვლავ საათი რეკავს და ეს გული უცნაურად იწვის“, „გულში ცეცხლი ინთება და სიჩუმის ქარია“, „რა ვქნა, მე განცდა მიმაფრენს ქარში. ვწყვეტ ცხოვრებასთან ყოველგვარ კავშირს...“ ძლიერი და შთამბეჭდავი გრძნობით აგიზგიზებული მისი არსება მორჩილებდა თავისსავე წიაღს, განწყობათა ერთიანობასა და უწყვეტობას რომ ქმნიდა, აღუძრავდა ახალ-ახალ შემოქმედებით ძალებს, გულისთვის ცხადსა და გასაგებს, გონებისთვის ზოგჯერ აუხსნელსა და გაუგებარს. ამ ორ დასაბამს შორის თანხმიერ უთანხმოებას ისე მწვავედ განიცდიდა, ვით თანხმიერ უთანხმოებას გარეყოფასა და ნაოცნებარს შორის, ვით სხეულებრივსა და ასტრალურს შორის. გრძნობათა ასეთი აღზევება და გონებასთან მისი ამნაირი თანხმიერი უთანხმოება ათასნაირ კითხვებსა და იქვებს აღუძრავდა, და ცხოვრებისა და არსებობის მრავალსახოვანი შემეცნებისაკენ უბიძგებდა. მისთვის ხომ უცხო იყო ყოველნაირი სწორხაზოვნება, განუსჯელობა, ფანურჩევლობა, დაუცხრომლად ელტვოდა იმ შესამეცნებელ სამყაროს, ასე რომ აღელვებდა და აფორიაქებდა, აწამებდა და ტანჯავდა, და რაკი ელტვოდა, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, აიძულებდა კიდეც საკუთარ თავს, მოზღვავებული გრძნობელობა გონებისა და შემეცნების ზღუდეებში მოექცია, გრძნობისმიერი განწყობები ფიქრის უწყვეტობით განემსჭვალა და ამით მიეღწია მყარი სულიერი თვითცნობიერებისათვის. მის ლექსებში თვით ყველაზე წამიერი განწყობანიც ხომ, შინაგანი თუ გარეგანი მიზეზებით აღძრულნი, ამ სულიერი მდგომარეობითა და თვითცნობიერებით არიან ბეჭედდასმულნი?!. მის ლექსებს, ვით უცხო ნაყოფებს, ყველას ერთი ჯიშის ხე აღმოაცენებს და ასაზრდოებს, და ამ ხეს მისი სახელი და გვარი არ ჰქვია, მისი ხვედრი და ბედისწერა?!. განა სწორედ ეს არ ანიშნებს მის პოეზიას მთლიანობას?! მხოლოდ ბრიყვნი და უვიცნი ერთობიან

ნაყოფის გარეგანი სილამაზით, მათი თვალისმომჭრელი ბრჭყვიალით, და არ ძალუძთ შეაღწიონ და განჭვრიტონ ის ფესვი, საიდანაც ხე და ნაყოფთა მრავალგვარობა იშვა, დაინახონ და შეიცნონ ის პატარა მარცვალი, დიდ ხეს რომ აღმოაცენებს, მრავალფერი ნაყოფებით მსხმოიარეს.

რა ბადებდა მის ასეთ ძლიერ გრძნობელობას?.. არაცნობიერი შემეცნებიდან იღებდა დასაბამს, სხვადასხვა სიბრტყეში მოქცეულ საგნებს რომ უზოგადეს პოეტურ ხატად უმთლიანებდა, ყოველ პოეტურ სიტყვასა თუ ცნებას, ფიქრსა თუ აღქმას რომ უსიმბოლოვებდა. განა სწორედ არაცნობიერ შემეცნებას არ შეჰქონდა წესრიგი მის შეგრძნებებსა და წარმოსახვებში, მის ალმოდებულ შთაგონებასა და პოეტურ ექსტაზში, სულს რომ ცნობიერისა და ქვეცნობიერის საზღვრებზე დააქროლებდა?! არაცნობიერი შემეცნება უქუცმაცებდა და უმთლიანებდა ღამეულ ფიქრებს, ერთმანეთს უკავშირებდა და უთანხმებდა ურთიერთგამომრიცხავ აზრებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში მოლივლივე საგნებს, ერთ წერტილში უკრიბავდა წარსულსა და მომავალს, აქაურ და იქაურ არსებობას. უშეშებდა წარმავალს და უცვლელ წამიერებად გარდუსახავდა, რითაც უახლოვდებოდა საგანთა დაფარულ არსს და ზოგჯერ სწვდებოდა კიდეც. არაცნობიერი შემეცნება განა მარად ახელილი თვალივით არ ელავდა მის არსებაში, უშუალოდ რომ უჭვრეტდა მთლიანს, საგანთა მრავალსახოვან განზომილებას, მათ თანხმობასა და უთანხმოებას, დროსა და სივრცეში მათ შეუთავსებლობასა თუ ურთიერთკავშირს, მათ მიზეზობრივ ურთიერთკავშირს ერთიან კანონზომიერ წრებრუნვაში. არაცნობიერი შემეცნების წყალობით ყოველივეს შინაგანი, იდუმალი, ამოუცნობი კავშირებით აკავშირებდა, ყოველივეს მიზეზშედეგობრივ ბორბალზე ათავსებდა, ბუნებაში დანაწევრებულ მოვლენებს კი არ თიშავდა ერთმანეთისაგან, თავიანთი არსისეული ბუნებით უკავშირებდა ერთმანეთს. განა არსებობს მსოფლიო ერთიანობის კანონზომიერებებიდან განკერძოებული რაიმე საგანი ან მოვლენა?! განკერძოებული ხომ მხოლოდ ღმერთია — მარტომყოფი და უმიზეზო, უდასაბამო და უაჩრდილო! თუ აღქმები და შეგრძნებები უქუცმაცებდა ყოფიერების ნივთიერ მთლიანობას, არაცნობიერი შემეცნებით მისტიურ სარკმელში აერთიანებდა და აკავშირებდა ამ დაქუცმაცებულ ნაწილებს ერთმანეთთან და ღამეულ ხილვებში ჭვრეტდა სამყაროს ერთიან, მაგრამ გაუღ-

წეველ სილურჯეს, სადაც ყველაფერი არსებობს კიდეც და არც არსებობს კიდეც: „ვწევარ და ვფიქრობ და კედელს ვუმზერ, ფიქრი ჩუმია და ასე მკრთალი. ვწევარ და ვფიქრობ მე შორეულზე და ისევ მესმის ხმა როიალის. ისევ ღამეა და მთვარე სავსე, ღამეა ჩუმი და ასე მკრთალი. ვწევარ და ვფიქრობ მე უხილავზე და ისევ მესმის ხმა როიალის. და ეს ოცნება გაქრება მერე, ჩემი ოცნება ყოველთვის მკრთალი. ვწევარ და ვფიქრობ მე სილურჯეზე და ისევ მესმის ხმა როიალის. ვიცი მსჯელობენ იქ სადღაც ჩემზე და მაგონდება ის ქალი მკრთალი. ვწევარ და ვფიქრობ დაღუპულ გემზე და ისევ მესმის ხმა როიალის...“ არაცნობიერი შემეცნებით იმეცნებდა საკუთარ ხორცსაც და ამ ხორცში მფეთქავ სულსაც, მათ ურთიერთთანხმობასა და ურთიერთმტრობასაც. თუ გონებითა და ცნობიერი შემეცნებით ყოველივე ცხადსა და ნივთიერს იმეცნებდა, არაცნობიერი შემეცნებით ამ ნივთიერი ყოფის არსს ჭვრეტდა, ჭვრეტდა უხილავს, დაფარულს, ყოველივე იმას, საგნის მიღმა ან მის შუაგულში რომ ძევს; თუ გონება უძრავ და უცვლელ საგნებს აღიბეჭდავდა, არაცნობიერი შემეცნება ამ საგნებს წამისუმალ მისტიურ სილივლივად გარდუქმნიდა, საგნებს გარეგან პირობით საბურველს რომ აცლიდა და შინაგან სახეს უსხივებდა, რომელ სახესაც მერე გონება ალამოაცალკევებდა ათასი სხვა შემთხვევითი სახისაგან და პოეტური შთაგონებისა და ექსტაზის წყალობით იდუმალებით მოცულ ყოფიერებას უკავშირებდა. განა მისმა ასეთმა არაცნობიერმა შემეცნებამ არ განსასღვრა მისი მეტაფიზიკური და მისტიური პოეტური აზროვნება?! თომაზ ბორელიც ხომ ამას წერდა მისდამი მიძღვნილ გაზეთში 1924 წელს: „პოეზიაში ლირიკის მთვარეულია. არ უყვარს საგნის ხორციელი სურნელება. უყვარს საგანი ბურუსში გახვეული: საგნის ლანდი, გაელვება, მოგონება, სიშორე. ძარღვი და სისხლი არ აინტერესებს. მისთვის ყველაფერი აჩრდილი და მოგონებაა. საგანთა და მოვლენათა შორის თვითონ აუცილებელია: ცენტრად აქვს წარმოდგენილი საკუთარი თავი. სჯერა სიცოცხლე სხეულის გარეშე“, „თითქოს არ არიან სიტყვები გრძნობისათვის“ — ავიწყდება თავისთავადი სიტყვის არარაობა. მისთვის საგანი და სიტყვა მანძილით იყოფა. უფრო სიტყვა აინტერესებს, ვიდრე საგანი — ინდივიდუალობით და საკუთარი ტკივილებით გამთბარი საგანი. მისთვის გარემო ცივია და უგულო: უყვარს ფეერიული ყოფა. მატერიალური ქვეყანა აწვალებს. საკუთარი

სხეულიც ეჯავრება და ამძიმებს... ამიტომ ის ტკივილებს ხორციელ ცხოვრებას არ უკავშირებს და მის მიერ გამოხატული სულიერი მწუხარება და ტკივილები ამ ქვეყნისათვის უცხოა...“ შინაგანად ყოველთვის გრძნობდა, მის ლექსებში რომ მხოლოდ ცნობიერი შემეცნების შედეგები კი არ ირეკლებოდა, არამედ არაცნობიერი შემეცნების დაუცხრომელი და განუწყვეტელი თვითგამოვლენა, თვითგამოვლენა, არც წარსულს რომ ეკუთვნოდა და არც მომავალს, სადაც ერთდროულად იყრიდა თავს დროთა ცვალებადი უწყვეტობა, მთელი მისი ცხოვრება ერთ გაბმულ ღვიძილად რომ აქცია: „მივსდევ ქარიშხალს და უფრო ლანდებს და სული ტყვეა იდუმალ ძალის. მე არ მეძინა, გათენებამდე მესმოდა, როგორ წვეთავდა წყალი...“ თითქო ამ მარადიულ ღვიძილით ცდილობდა ნების სასტიკი ბატონობისაგან განთავისუფლებას, არაცნობიერი შემეცნებით შეცნობილი რომ გონებისთვის გადაეცა და გაეხანგრძლივებინა და მოეწესრიგებინა იგი. განა შემეცნების ამ უწყვეტობამ არ მიიყვანა მისი ფსიქიკა რღვევისა და დაშლის კარამდე, სწორედ ამ რღვევამ არ იხსნა მისივე სული ბიწისა და ცთომისაგან, სამუდამო ჩაფერფვლისაგან?!.

შთაგონების წყალობით არღვევდა იმ ხორციელ საზღვრებს, უხილავი გარსივით რომ შემოჭდობოდა სულს, შინაგანი მზერით ალღობდა იმ ნივთობრიობას, ყოფიერების მეტაფიზიკური გარდასახვის მიზეზად რომ აღიქვამდა?! მისთვის ხომ ნეტარება იყო შთაგონების იდუმალ ბინდბუნდებში ხეტიალი, მის მისტიურ ცნობიერებაში ალანდული საგანი, თითქმის რომ აღარაფერი აკავშირებდა ხილულობასთან, მის შთაგონებაში იძენდა თავის ნამდვილ სახეს. განა შთაგონების წამებში, განუსჯელობისა და განურჩევლობის წამებში, არ აღწევდა იმ სიხარულს, თავისსავე წარმოსახვებს რომ ერწყმოდა და განიცდიდა მტანჯველ, მაგრამ ზეციურ სიხარულს?! ამ სიხარულით არ სწვდებოდა ყოფიერების აზრს, ამ სიხარულით არ აქვავებდა წარმავალში წარუვალს, ამ სიხარულით არ უპვრეტდა მცირედში საყოველთაოს, მიწიერში ზეციერს?! მისტიური შთაგონების წყალობით იმეცნებდა არა მხოლოდ თვით საგნებს, არამედ საგანთა ანარეკლებს, საგანთა ათინათებს, შთაგონების უცაბედ წამებში ეზმანებოდა მიუვალი ქვეყნის ფერები, შთაგონების აალებაში ჩაესმოდა უცხო ბგერები, ვით მთვარიანში ქარავანთა უმწეო ოხვრა. ექსტაზით შობილი მისი შთაგონება, სულიერების ემბაზში განბანილი,

ელვასავით ელავდა და სივრცეებში მისტიურ ხატებს ასხივებდა. შთაგონების წამებში ღრმა ძილისაგან გამოღვიძებულს ემსგავსებოდა, საშინელი სიზმრებიდან დაბრუნებულს, ემგვანებოდა იმ ჯადოსანს, ვინც იხილა უცხო სურათები უცხო ქვეყნისა და მოაქვს ახლა, ისინი, რომ ცხადიერ ქვეყანას აზიაროს. ოცნება — აი, მისი შთაგონების დაუშრეტელი წყარო, ოცნება და ცაში სრბოლა, ოცნება განუწყვეტელი და ოცნება წამიერი, მისი პოეზიის შინაგანი სუნთქვა და სიცოცხლე, ხან რომ ელავს და ანთია, ხან რომ ღამეულ სივრცეებში მიიმქვრევა: „დრო ასეთია, ვღონდები ისევ, დაბნელდა ჩემი ოცნების მხარე“, „ვოცნებებ შენზე, როგორც ბავშვი, შიშით დაღლილი“, „წინ მეშლება სხვა ოცნების არე, მიწის ცქერით დაიღალა მთვარე“, „მე ოცნებით მოვშორდები მიწას, გული იგრძნობს მარადიულ ლაჟვარდს“, „ეს ოცნება გაიშლება ლურჯად, მე ვარსებობ და ეს წამი გადის“, „მე ცისფერ ოცნების ტყვე ვარ, იქნება ალბათ საშველი“, „ოცნება ისევ მაღლა წავიდა, თეთრმა ღრუბლებმა ცა ვადახურეს“, „ქარიშხალივით მოდის ოცნება“, „თეთრი ოცნება იდუმალია“, „გაჩნდა ოცნების ცისფერი მხარე“, „დადგა ოცნება, როგორც სამარე და სურვილები ზეცას მოება“, „და იყო სივრცე, სადაც ოცნება მეწამულ ფრთებით მიმაქანებდა“, „დროა გრიგალმა მაღლა აგწიოს, როგორც ოცნება დიდი ნაღველის“, „პოეტს ცისფერი ოცნება დაღლის“, „დღეს გუშინდელი ფიქრი დავშალე, გაჩნდა ოცნება კიდევ სხვა ფერის“, „შენსკენ მოჰქრის ეს ოცნება წმინდა, უფსკრულია და მე რაღაც მშველის“, „ეს ოცნება სხვა პლანეტას მისდევს, სიკვდილია ხომ სიცოცხლის ბოლო“, „ისევ იღბალმა და და საოცრებამ უმზეო დღენი ჩემს წინ გაფინეს. შენ, შორეულო ჩემო ოცნებავ! — მომეცი ფრთები და გამაფრინე!..“ ოცნებისა და შთაგონების წამებში ეთიშებოდა გარესამყაროს და მთლიანად პოეზიისა და საკუთარი თავის ტყვე ხდებოდა... აი, მეგობართან ერთად მიდის ქუჩაში, მიდის და მის არსებაში იღვიძებს წამიერი განცდა შთაგონებისა, ყველაფერი იბინდება ირგვლივ, ყველაფერი ფერმკრთალდება, თითქო იშლება ზღვარი მასა და საგნებს შორის, თითქო მთლიანად ითქვიფება საგნებში, მსუბუქდება და სხვანაირი ხმიერება და მოხაზულობა ეძლევა აზრსა და გრძნობას: „სასოებით ვარ გარინდული...“ ჩერდება, თვალებს ზეცაში აცეცებს, თითქო მომდევნო სტროქონებს იქ ეძებსო. და კვლავ

იმეორებს: „სასოებით ვარ გარინდული...“ უეცრად მეგობრის ხმა ჩაესმის, ვისი გვერდით ყოფნაც დავიწყებოდა: „ძალა ჩაიდგი რაინდული...“ ფერი ეცვლება, განკვერცხლებული თვალები უქრება და წამისეულ უბრუნდება გარემყოფ არსებობას, მეგობარს საყვედურით მიმართავს: „რად დამიმსხვრიე წამიერი ოცნება!.. დამტოვე მარტო!..“ და სწრაფად შორდება იქაურობას... მისი შთაგონება, მოგონებებისა და გახსენებების ასტრალურ სფეროებში რომ დაჰქროდა, მეტაფიზიკური აზროვნების წყალობით მახსოვრობას ახანგრძლივებდა დროსა და სივრცეში, უწყვეტად მოედინებოდა წარსულის შთაბეჭდილებანი და შეგრძნებანი, — დიახ, შთაბეჭდილებანი და შეგრძნებანი, — და არა ცხადი სურათები წარსულისა, იმ წარსულისა, მხოლოდ გუშინდელი და გუშინწინდელი დღე რომ არ ყოფილა მისთვის, მხოლოდ ბავშვობის ან სიჭაბუკის წლები, ეს იყო რაღაც დაკარგული და უხსოვარი წარსული. უკვე ამქვეყნად ერთხელ ყოფნას რომ შეაგრძნობინებდა, მხოლოდ ტანით, სულით, ფსიქიკით რომ შეიმეცნებდა და არა გონებითი ცნობიერებით. გონება, მღვრიედ და ბუნდოვნად, გვიან იცნობიერებდა იმ უხსოვარ წარსულს, ეთერული სხეული რომ გადასცემდა შეგრძნებებისა და აღქმების წყალობით. განა ამიტომ არ არის მისი პოეზია გაჟღენთილი რაღაც დაკარგულის, რაღაც უხსოვარი არსებობის ძიებით, გახსენება, არაფრით რომ არ ჰგავს ჩვეულებრივ გახსენებას, არც ჩვეულებრივ მოგონებას, არც სიზმარს. არც ხილვასა და წარმოსახვას?! ამ უჩვეულო გახსენების წამებში ყოველთვის გრძნობდა რაღაც მტანჯველ ნეტარებას, ნეტარების იმ წამებს, თითქო რომ წყდებოდა ნივთიერ ყოფიერებას, წყდებოდა საკუთარ სხეულს და, უწონო და მსუბუქი, გადადიოდა სადღაც. შორეულ ქვეყანაში, ერთ დროს ალბათ რომ ცხოვრობდა კიდეც, გადადიოდა და ამოჰქონდა იქიდან მზე და ბინდი, სინათლე და წყვდიადი, ნისლი და მდუმარება, ტანჯვა და სიხარული, ამოჰქონდა და ყველაფერს პოეზიას გადასცემდა, გადასცემდა სიტყვას, ფერს, ბგერას; თითქო ცდილობდა მისწვდომოდა თავის ოდინდელ არსებობას და ამჟამინდელი ყოფნაც აეხსნა და შეეცნო. ამ გახსენების წყალობით მიელტვოდა გადასულიყო ზემიწიერ არსებობაში და ხშირად გადადიოდა კიდეც, სადაც ისევე ჩვეულებრივად და ბუნებრივად გრძნობდა თავს, როგორც აქ — მიწაზე. ცხადიერ მეუფებაში: „მე ვიყავი, ეს არ ვიცი — როდის, ჩემი

ფიქრი გაიშალა დღესაც, თავზე მადგას კვიპაროსის ტოტი და საღამოს ვარდისფერი ზეცა“, „მოგონებების ქრიან ლანდები და საფლავები მე წინ მიმიძღვის. სულის გადაღმა ელავს კანდელი და განსაცდელი შორეულ რიცხვის“; „ის დღე წავიდა და ხსოვნა დარჩა და მოგონება დღეს უფრო მღალავს“, „მოგონებები ისევ მოდიან და ტკივილებმაც თავი იჩინა“, „მე ახლა ვსდუმვარ. ვიგონებ წარსულს, მე ახლა ვსდუმვარ და ვწუხვარ ასე“. „ის გული ყორანმა წაიღო, წამებას კიდევ ავიტან. თითქო ყოველივე, რაც იყო — ყრუ სიშორეში წავიდა. შემდეგ მწუხარება გამეფდა, ჩუმად მოვიდა ზაფხული. ვდგავარ საოცრების კარებთან, როგორც სიზმარი წარსულის“, „შემოდგომის სურნელება დადგა, შორეული მოგონებაც ელავს“, „ეს დღე მაგონებს შორეულ წარსულს, ეს დღე, რომელიც გავს შემოდგომას“, „სოფლის მეშინია, თბილისს ვეფარები და შენ მაგონდები, როგორც მზე წარსულის. მთვარეს იტაცებენ მრისხანე ქარები და ქუჩის ფარნები ბეუტავს ფერწასული“, „ზეცა გულისკენ მსურს მივიზიდო, ცას იდუმალი ძალა ერევა. მე ასე ვიგრძენ — ჩემთვის იგი დრო, დღეს ნიშნავს განვლილ ბედნიერებას. მივიწევ ცისკენ და ვამბობ: რა ვქნა! და მიღალატეს თითქოს კუნთებმა. ის დრო წავიდა. ის შუქი გაჰქრა, ის დრო არასოდეს არ დაბრუნდება. მას შემდეგ ახლო მტრები არიან, ვარ ასე, თუმცა სიცოცხლე არ მსურს. არის ძვირფასი და სიზმარია, როცა იგონებ შორეულ წარსულს...“

შთაგონების წამებში ისე იმზირებოდა საკუთარ არსებაში, ვით მისტიურ სარკეში, იმზირებოდა ნისლიანი თვალებით და ჭვრეტდა თავის ორეულს — ოდესღაც დაკარგულსა და დავიწყებულს და კვლავ მოვლენილს. ამ მისტიურ სარკეში მისი ხილვები და წარმოსახვები, ძლიერი გრძნობელობისაგან აღძრულნი, ელვისუმალ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, ენაცვლებოდნენ და ქმნიდნენ იდუმალ ხატებსა და სურათებს. ამ იდუმალი ძალით შეპყრობილი, ყოველ საგანსა თუ მოვლენაში რაღაც შეფარულ აზრს აღმოაჩენდა ხოლმე, რაღაც ზეგრძნობიერ ძალას, ყოფით ხაზებს სიმბოლურ ხაზებად რომ გარდაქმნიდა და ნისლოვანებით დაბურავდა, ყოფით ბგერებს მისტიურ მუსიკად რომ გარდასახავდა, რისი გაღვიძებაც ადამიანში გაიდუმალებულ ძალას ძალუძს მხოლოდ. ასე მერყეობდა წარმოსახულსა და ხილულ ყოფიერებას შორის. რაც უმტკიცებდა რწმენას, რწმენას უმაღლეს სამყაროებთან ზიარები-

სა, უხმობდა ბუნების ფარული სულისაკენ, ყოველი არსების უხილავი სახეებისაკენ და ყველაზე უსიცოცხლო საგნებსაც კი სიცოცხლითა და პოეტური სუნთქვით მსჭვალავდა. ხშირად დაუმორჩილებია მისი ენერგია კოშმარულ ხილვებსა და წარმოსახვებს, სადაც ყოველივე ნივთიერი სულიერ ანარეკლებად გარდაქმნება ხოლმე, ხილული ყოფიერებით სწვდებოდა უხილავობის სივრცეებს — „უხილავია ალბათ ხილულშიც" — და ნივთიერ და ცხადიერ ყოფას მეტაფიზიკურ და მისტიურ ყოფად გარდასახავდა, რაც უძლიერებდა გრძნობელობას, არაცნობიერ შემეცნებას და ახალ-ახალ ხილვებსა და წარმოსახვებს აღუძრავდა. განა ამას არ გულისხმობდა გიორგი ნადირაძე, როცა 1924 წელს მისადმი მიძღვნილ გაზეთში წერდა: „ყოველი მისი სიტყვა რბილია და გამდნარი, ყოველი ხაზი სველი და უვნებო. მასში შემოქმედების ცეცხლი და ტემპერამენტი ნისლმორეული თვალებით იყურებიან... გრანელის შემოქმედება მისი ცრემლდაყრილი ტემპერამენტის მხილებაა. რბილი პოეტური თქმა, თითქოს უსახო და მუდამ ერთგვარი... ტერენტი გრანელის პოეტურ სახეებში გადამეტებული სისველეა და მიძინება. აქ არის თვითონ ნების დარბილება, შიში საგნის და სივრცეში გაჩერება მოქნეულ ხელის... შესაძლოა პოეტის ერთი შეხედვა შლიდეს საგანს და ქაოსში ალღობდეს ყოველივეს. ასეთ ხილვაში არის სურვა: შეიცნო არსი. ტერენტი გრანელისათვის სამყარო დაშლილი და უფორმო ქაოსია, სადაც ადამიანები დადიან, როგორც ჩრდილები და ნივთებს წართმეული აქვთ სახე და ყოფა. „სადღაც და ვიღაც" — ასეთია მისი ხვედრითი ფენომენები. პოეტი დაიარება ამ ჩრდილებში, როგორც მოჩვენება, მუდამ ფრთხილი და ჩუმი, თითქოს ეშინოდეს ნივთთა მდუმარების შერხევა..." ნივთთა ასეთი გაიდუმალება გარეყოფიერებისაგან სრულ მოწყვეტას კი არ ნიშნავდა, არამედ უმტკიცეს ჯავშანს პოეტური თვითარსებობის შესანარჩუნებლად, ყოფიერების არსში რომ ღრმად ახედებდა და მზერაშებრუნებით თავისებურად ალაგებდა საგნებს დროსა და სივრცეში, ხილვებსა და წარმოსახვებში ახორციელებდა იმ ოცნებებს, რისი განხორციელებაც სინამდვილეში არ ძალუძდა. მისი ხილვები და წარმოსახვები მხოლოდ ცნობიერ სფეროში კი არ იბადებოდნენ, არამედ ქვეცნობიერ სფეროშიც, და ეს ორი ნახევარსფერო ისე ბუნებრივად ერწყმოდა ერთმანეთს, ხშირად უჭირდა კიდეც გაცნობიერება —

რომელი სფეროსაგან იბადებოდა შთაგონება და ლექსი. ქვეცნობიერის ნახევარსფერო მძაფრი გრძნობელობის დროს იკვეთებოდა ხოლმე, და მისი შედეგები მისთვისაც ბოლომდე შეუცნობელი რჩებოდა, და არც უცდია აეხსნა ქვეცნობიერის ის ფსიქოლოგიური თუ სოფლშეგრძნებითი ბიძგები, მის არსებაში პოეტურ ცნებებად რომ იბადებოდნენ, არ უცდია, რადგანაც ლექსის ხილული შედეგისა და შთაგონების უხილავი დასაბამის ბუნებრივი თანაკავშირი ერთმანეთს განსაზღვრავენ და განაპირობებენ. განა ეს შეუცნობელი თანაკავშირი არ ანიჭებს მის ლექსს მისტიურ იდუმალებას, ქალწულებრივ სილბოსა და სიფაქიზეს, ხილვებსა და გრძნობელობას, ფარულ ვნებიანობასა და მშფოთვარებას?!. „ქარია მძლავრი და საღამოა, ცაზე ყვითელი ღრუბლები რბიან. იმას არ ველი, ის აღარ მოვა, იმაზე წუხელ არ მიფიქრია. მზე დაიმალა ყვითელი ფერით (არც ეს ბედია ქარზე ნაკლები). მთაზე ჩამოწვა ლურჯი ღრუბელი, ღრუბელი მსგავსი მაღალ აქლემის. ქარია ისევ და საღამოა, ქარმა ჩემს სურვილს ფრთები მოსტეხა. ის არ მოსულა, ის აღარ მოვა, ის დადიოდა ბაღში ოდესღაც. ღამდება და მეც ვცილდები საზღვარს, საღამოს დარდი უფრო მწარეა. ის ალბათ თეთრი თოვლია სადღაც, ის შორეული სიმწუხარეა. ო, ყოველივე როგორ მომბეზრდა, ქარია ისევ და საღამოა. ის დაიკარგა ქარში ოდესღაც, იმას არ ველი, ის აღარ მოვა...“ ქართული სულისთვის ყოველთვის არაარსისეულად მიაჩნდა ყოფიერების ზერელე ჭვრეტა და პოეტური აზროვნების გეომეტრიულობა. სულიერობის თვითგამოვლენა — აი,' მისი მიზანი ცხოვრებაშიც, პოეზიაშიც, და არც არასოდეს უღალატნია ამ წმიდათა წმიდა გრძნობისათვის, თვით ყველაზე უმძიმეს წამებში, ხორციელი თუ ფსიქიური რღვევის წამებშიც კი. პირიქით: ხშირად სხეულებრივ სიმსუბუქესაც კი გრძნობდა და ასტრალური შეგრძნებებითა და ხილვებით ქმნიდა ლექსებს, იმ უხსოვარის გახსენებით, წინახილვის უნარს რომ უღვივებდა და უსხივოსნებდა. მისი ტანისმიერი თუ სულისმიერი შეგრძნებები, წამიერად აღძრულნი და აელვებულნი, უმალვე ასტრალურ სფეროებს უკავშირდებოდნენ და ახალ-ახალ ხილვებსა და წარმოსახვებს გამოიხმობდნენ სულის უხილავი მეუფებიდან, ერთმანეთსაც რომ ჰგავდნენ კიდეც და არც ჰგავდნენ კიდეც, ვით დედის საშოდან შობილი სიამის ტყუპები. ეს ხილვები და წარმოსახვები მისი სულიერი განწყობისდა კვალობა-

ზე იცვლებოდნენ, ვითარცა რხევა ქარიშხალში კვიპაროსისა, ყველაფერი მის მედან მოედინებოდა და იქიდან უმზერდა საკუთარ თავსაც, ადამიანებსაც, ქვეყნიერებასაც, და ეს რხევა და ცვალებადობა აღუძრავდა ათასნაირ აზრებსა და ფიქრებს! მერე ქაღალდზე თავიანთ პოეტურ სამოსელს რომ ეძიებდნენ; თოვლი სხვა ფრძნობას უღვიძებდა, ყინვა და ტალახი — სხვას, წვიმა და ქარი იდუმლად ტანჯავდა და უსასოობა იპყრობდა, იპყრობდა სევდა შორეული წარსულისა და შორეული მომავლისა: „კვიპაროსს არხევს ქარი ფერდობთან და ჩემი სისხლი ნელა ილევა. და წვიმიან დღის უიმედობა, და წვიმიან დღის განწყობილება. იქ სხვა გულია, ეს გული მე მაქვს და ჩემი სისხლი ნელა ილევა. და წვიმიან დღის მწუხარე თვლემა, და წვიმიან დღის განწყობილება...“ შემოდგომას გარინდებისა და მოლოდინის საუფლოში გადაჰყავდა, რაღაცას რომ ელი, რაღაც საოცრებას, რაღაც საშიშარსაც და დავიწყებულსაც, ელი რაღაც აუხსნელსა და განუმარტავს, ოდეს ბუნება ნელ-ნელა იძარცვება სიმწვანისა და სიცოცხლისაგან და თითქოს დაღუპვისაკენ მიექანება, კვლავ რომ აღსდგეს არყოფნის არსებობაში: „შემოდგომა უფსკრულისკენ მიდის და ხეები გაძარცული დგანან...“ ყინვა და სიცივე ამსოფლიური არსებობიდან გასვლისა და სხვა არსებობაში გადასვლის წყურვილს აღუძრავდა, რაც აწამებდა და ტანჯავდა, აწამებდა უმეგობრობა, უბინაობა, მარტოობა, აწამებდა ქარსა და ყინვაში უქმად ხეტიალი, უშუალოდ მისი სულისა და ფსიქიკის სფეროებს რომ სწვდებოდა, და უღვიძებდა რწმენას უზენაესი და უმაღლესი ძალისადმი, განსაცდელისაგან რომ დაიხსნიდა და გაათავისუფლებდა: „მივყვები გაყინულ რიყეს, სიცივე ძაღლივით მიყეფს. სიცივე ღელავს და მიტევს, მე ვგავარ უთუოდ ქრისტეს. ქალაქსაც ძვალ-რბილში უვლის სიცივე — ოებერვლის სული. სხვა ზეცა მპირდება ამინდს, წმინდაო მაცხოვარ, ამინ!...“ აოცებდა სამყარო, მისი სწორედ ასეთნაირობა და არა სხვანაირობა უჩვეულოდ რომ ეღვრებოდა სულში და უღვიძებდა მისტიურ ხილვებსა და წარმოსახვებს, რითაც არღვევდა საგნის ჩვეულებრივ სახეს და წარმოადგენდა გადასხვაფერებული, ხშირად საპირისპირო სახითაც კი, უფრო ღრმად რომ შეეცნო ყოფიერების აზრი და მიზანი. ეს მეტაფიზიკური პოეტური აზროვნება თვითმიზანი არასოდეს ყოფილა მისთვის, ის იყო საშუალება, გარდამავალი სა-

ფეხური ყოფიერების შემეცნების გზაზე, პოეზიის მაღალი სფეროების საწვდომად და მოსახილველად რომ უბიძგებდა.

ღამე — აი, მისი ხილვებსა და წარმოსახვების, მისი სიზმრებისა და შიშის, მისი ფიქრებისა და შემეცნების სათავე: „და ღამეებმა ხომ შეაწუხეს იმ ანგელოზის მწუხარე სახე. მე მთელი ღამე ვშფოთავდი წუხელ და საშინელი სიზმრები ვნახე...“ ეშინოდა ღამის, მაგრამ იზიდავდა კიდეც; ღამე ხომ ლექსის ჩამსახველი და აღმომაცენებელია: „ღამე სწოვს, როგორც აფთარი სულს, ლექსებში დამარხულს...“ თრთოდა ღამეული ლანდების წინაშე. მაგრამ იზიდავდა კიდეც, იზიდავდა და ისე იკრავდა ღამე გულში, ვით გარდაცვლილ პირმშოს იკრავს დედა გულში, იმ პირმშოს, სხვა კანონზომიერების, უცხო სამყაროს ბინადარი რომ გამხდარა უკვე. გამუდმებით სიბნელე ელოდა ოთახში, აანთებდა ლამპას და ქრებოდა სიბნელე, იფანტებოდა შიში და სინათლე ეღვრებოდა სულში, თუმცა მზერაში მაინც დარიალებდნენ ღამეული ჩრდილები და მოჩვენებანი: „ისევ ღამეა, ისევ ლანდია, ოთხშაბათია და დღეა უქმი. ჩემს წინ მწუხარე ლამპა ანთია და გარეთ გადის ფანჯრიდან შუქი. ეს შავი ღამე გაივლის ალბათ, კედელზე ისევ კაცის ჩრდილია. ჩემს წინ ანთია მწუხარე ლამპა, ანთია ლამპა და დუმილია...“ წყვდიადში ჩანთქმულა მთელი სამყარო, წყვდიადი უცვლელია და უძრავი, სინათლე იძვრის, მიდის და მოდის, მოვა და წაშლის წყვდიადს და მოგვაფენს სინათლეს, წავა და კვლავ წყვდიადს დაგვიტოვებს და მანამ გვამყოფებს ასე, სანამ მისი მადლი კვლავ არ მოეფინება ზეციერებას. რწმენა ღვთისა უღვიძებდა სულში სინათლეს, არსებათა დაფარულ წიაღში სინათლის წყაროს ხილვას; რწმენა ღვთისა ხომ გულგრილია და განურჩეველი წყვდიადისადმი, და სწორედ წყვდიადში ცდილობს იპოვოს სინათლისა და მარადიული სიმშვიდის წყარო: „ღამეა შავი და ჩნდება დარდი, გულიდან ისევ ამოდის კვნესა. ოთახში თეთრი სიჩუმე დადის, სიჩუმე დადის, როგორც პრინცესა...“ შიშით ელოდა დაღამებას, გაფერმკრთალებულ მწუხრს, დღისა და ღამის შეხვედრას თუ განშორებას, აუტანელ სევდასა და მწუხარებას რომ აღუძრავდა — „მოვა საღამო, როგორც წამება“ — და მიექანებოდა ღამისკენ, სადაც ელოდა შიში, კოშმარული ხილვები და ფიქრები, მაგრამ ნეტარი ფანცდა პოეზიისა, ლექსის ჩასახვისა და აღმოცენებისა, უცხო ქვეყნიდან გადმოხვეწილ ლურჯი ფრინვე-

ლივით რომ დაფარფატებდა მის ღამეულ შთაგონებაში: „მიდის ფერწასული დღე, ღამე მომიახლოვდა, ღამე მომიახლოვდა — შავი და საშინელი. სინანული გაივლის მოგონების მაღლობთან და მოვა მწუხარება — ჩემი ლურჯი ფრინველი...“ ღამეული წყვდიადი უჩუმრად ეუფლებოდა მის არსებას და უფორიაქებდა სულს, უღვივებდა და უმძაფრებდა არაცნობიერი შემეცნების ჟინს, ზევით, ცნობიერი სფეროებისაკენ ტანჯვა-წამებით რომ მიიკვლევდა გზას. ღამეული ბრძოლით გასავათებული დილის ნისლში ისე გამოდიოდა თავისი ცივი ოთახის სიწყვდიადიდან, როგორც ჩვილი — დედის საშოდან: უღონო და უძალო, ხორცდაშლილი და ამღვრეული თვალებით. და მზისა და სინათლის მოლოდინში თრთოდა ამ შეუცნობელი მისტერიით მოხიბლული: „გაივლის ღამე — სამარე სულის, ო, მიხარია ეს გათენება. და გავალ მზეზე ვე მოქანცული, როგორც სიზმარი და მოჩვენება...“ ღამე ხომ დემონისაა, ეშმაკთა და მზაკვართა საუფლოა, ათასნაირ ფიქრთა და ხილვათა აღმძვრელია, მშფოთვარებაა, სიზმრებისა და მოჩვენებების სამეფოა, გამუდმებით რომ აწამებდა, მაგრამ, დღის ცხოვრებით გადაღლილი, ქვეცნობიერად მაინც მისკენ მიილტვოდა, მარადიული სიმშვიდისაკენ, ვით სიცოცხლე მიილტვის სიკვდილისაკენ, ვით წვეთი — ოკეანესაკენ, ვით ქარიშხალი — კოსმიური სიჩუმისაკენ: „მწყურია ღამე და მოსვენება, მიწას მაყრიან ჩემი ხელები...“ ღამე — შორეული ქროლვა და მუსიკაა, გიტარის უხსოვარი მწუხარებაა, ღამე — წყალივით ჩუმია, ოცნება და ზეშთაგონებაა; ღამეა, რომ ელოდება გათენებას, ელოდება მზეს და წამები ამ ლოდინისა ყველაზე სანუკვარი და ყველაზე მტანჯველი წამებია; ღამე ხომ ცრემლია და გარინდება, ღამე — სიხარულიცაა და გაწვალებაც, ღამე — ფიქრია, ფიქრი კი — ღამეა, ღამე ჩაკეტილი წრეა, საიდანაც თავის დაღწევას მიელტვოდა, ეძიებდა თანამგრძნობელ გულს, იმ ანგელოზის გამოცხადებას, ვინც სამოთხეში დააბრუნებდა; ღამე — სიცარიელეა, მშბოლიური მარტოობაა, მოუსვენრობაა, უარყოფა და აღიარებაა, ქარია და საოცრება, წვიმაა და იდუმალება. თითქო ის და ღამე განუყოფელ ერთარსებად ქცეულიყვნენ, თითქო მთელი ცხოვრება გამუდმებულ ღვიძილში გაეტარებინოს, სადაც ცისმიერი თუ მიწისმიერი ლანდები და მოჩვენებანი მის სულში ისე დაფათურობდნენ, ვით ღამეულ და უსიერ ტყეში — გარეულ ნადირთა და ფრინველთა შლიგინი და ფარფატი, დაფა-

თურობდნენ და წამით არ აძლევდნენ ძილსა და მოსვენებას: „სული ვერ უძლებს ღამის ნაპრალებს, ო, სიბნელეა და გულგრილობა. კრულვა ჩემს ოთახს, კრულვა ჩემს თვალებს, თვალებს, რომელთაც სწვავთ უძილობა!..“ განა სწორედ ღამეულ მშფოთვარეობაში. ჩუმსა და იდუმალ წუხილში, არ აღეძროდა სამუდამო დასვენების გრძნობა, რის დროსაც ფიქრებში ადნობდა ღამის ნივთობრივ შეგრძნებას და არანივთობრივ არსებობაში ითქვიფებოდა?! ღამე ხომ წყაროა სიკვდილისა და სიცოცხლეზე დაულეველი ფიქრისა. სიცოცხლე კი წამებაა და ამ წამებიდან — თეთრი და სასტიკი სიბნელისაგან — სიკვდილი ათავისუფლებს ადამიანს და გადაჰყავს უხილავ და შეუგრძნობელ წყვდიადში, მარადიული სინათლეც რომ არის, გასხივოსნებული სამეფო ამსოფლიური ცხოვრებით დაღლილი სულისა... ღამე — შიშია და პოეზია, მოჩვენებებისა და ნერვიული თრთოლვის საუფლოა, და ამ საუფლოში გრძნობდა ყველაზე ღრმად თავის გრძნობელობას, — „გრძნობის კოცონი ისევ ძლიერდება და გრძელი ღამე ჩემი სიკვდილია,“ — არაცნობიერი შემეცნებისა და ზეშთაგონების ძალას, სულისა და პოეზიის ერთიანობას, ბუნებრიობასა და სიწრფელეს, სიხარულს რომ ანიჭებდა, სიხარულსა და ტანჯვას, და სწორედ ეს სიწრფელე, ტანჯვა და სიხარული აკავშირებდა პოეზიის ზეციურ სამყაროებთან, პოეზიის ღვთაებრივ წარმოდგენებთან: „ღამე პოეტებისათვის არის ანთება და ანათემა. მოახლოვდება საღამო და პოეტის სული აინთება როგორც შორეული შუქი, — წერდა იგი, — ღამეები მისდევენ პოეტის ფანტაზიას შავი ზოლივით... ღამეები ხშირად ეშაფოტია და გილიოტინა პოეტებისთვის... ღამეებს აქვს თავისი შინაგანი წვა და კოცონი. მძიმეა ღამეების გუგუნი, როგორც შავი ზღვის ღელვა ქარიშხალში... შეიძლება ერთ ღამეში იგრძნოს პოეტმა ყველაფერი. პოეტი იღრჩობა გრძნობების ზღვაში. ვისაც გრძნობა აკლია, იგი არ არის პოეტი. უძილო ღამეები დიდს არ ნიშნავს და მისი გაშაბლონება არ მოხდება არასდროს. ღამე გაჩენილია შემოქმედებისათვის და არა ძილისთვის, როგორც ეს გონიათ. მე მწამს, რომ ყოველი გენიოსური ნაწარმოები შექმნილია ღამით. ღამე არის სულის სარკე პოეტებისათვის, დღე არის მასკა და ნიღაბი. ჩემი სალამი ეკუთვნის იმ პოეტებს, რომლებიც ქუჩაში ხვდებიან განთიადს, და რომლებიც ფარბიან მთაში, რომ ეზიარონ ნისლით სუნთქვას. პოეტის სული არის ნაწილი ღამის. ვინ იცის,

რამდენი ფიქრებია გაბნეული ღამის სივრცეში. გალაკტიონ ტაბიძე მერცხალია ღამის... სიკვდილი დადის ღამეში, ღამით უფრო კვდებიან ადამიანები. მკვლელობა ღამის თანამგზავრია. ღამე ოაზისია სისხლის... ვისაც ძილი უყვარს და მოსვენება შეუძლია, იგი უნიჭოა და უგრძნობელი. სიცოცხლე ფიქრია მხოლოდ..."

ღამე — სიზმრების სავანეა და სიზმარი ხომ მისი ფსიქიკის თვისებაა, იმ სურვილებითა და ვნებებით ფერშეცვლილი და გაუცხოვებული, რითაც სინამდვილეში ცხოვრობდა და არსებობდა; სიზმარი უღვიძებდა იმ სულიერ ფიქრებს, ოდესღაც რომ განუცდია და უგრძვნია, ანდა მომავალში რომ განიცდის და იგრძნობს: „არის ძვირფასი და სიზმარია, როცა იგონებ შორეულ წარსულს..." სიზმრისეულობაში მხოლოდ სიზმრიდან გამოცხადებულ სინამდვილეს კი არ გულისხმობდა, არამედ ოდესღაც ნანახი და დავიწყებული სიზმრის სინამდვილის ანარეკლსაც, მისტიურ ხილვებსა და გახსენებებში აღდგენილს: „ყოფნას ვიგონებ ისე, როგორც შორეულ სიზმარს..." სიზმარს ყოველთვის სიმბოლურ ხატებაში ჰვრეტდა და ასე ხსნიდა მათ ბუნდოვანსა და გამოუთქმელ წესრიგს, ამ გზით აღწევდა ხელშეუხებ და თვალუხილავ, გამჭვირვალე უწონობის სფეროებს და საკუთარ არსებაში გამუდმებით გრძნობდა ორ ნაპირს — ცხადისა და არაცხადის, ხილულისა და უხილავის, ცნობიერისა და ქვეცნობიერის შეხლა-შემოხლას, მათ ურთიერთგანკვეთასა და ურთიერთშერწყმას: „სული ამაღლდა, გული ილევა, თითქოს საკუთარ ცხედარს დავცქერი. არ ვიცი, მართლა სინამდვილეა, თუ სიზმარია ეს ყველაფერი?!" „და სიზმარივით მივალ, და ნაწვიმარი დღეა..." არაცნობიერი შემეცნებით მიღებული ცოდნის ნაკადს სიზმრისეულ ხატებში ანაწილებდა და სანახევროდ სიზმარეული ხილვებითა და წარმოსახვებით დანისლული დაიარებოდა ცხადიერ არსებობაში, ბუნებრივად რომ ერწყმოდა მის პოეზიას და ათავისუფლებდა ამქვეყნიური არსებობის ზღუდეებისაგან. მთვარეულივით დაეხეტებოდა ცხადსა და სიზმარს, ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ არსებობას შორის: „დადგა ამინდი ცუდი და მე ისევ აქ ვარ. ეს დღე არყოფნას უდრის და მე ვამბობ: რა ვქნა! იცი: მაისი გაჰქრა, ჩანს ცისფერი მხარე. სინამდვილეში — აქ ვარ და სიზმარში — გარეთ..." „თითქოს ვარ, თითქოს არა ვარ..." თითქო ყოფნასა და თითქო არყოფნას შუა სიზმრად გამოცხადებული გარდაცვლილი დე-

დის სახება ლამპარივით უნათებდა წუთისოფლის დაბინდულ გზებს: „თითქოს ნისლია, არაფერს ვხედავ და თითქოს მქონდა შავი ნიღაბი. და მიცვალებულს ვხედავ მე დედას და მეკითხება: შენ სად იყავი?! იყო და გაქრა შავი ნიღაბი, ჩამოწვა ნისლი, არაფერს ვხედავ. მას ვუპასუხე — მე სად ვიყავი და სადღაც ნელა მივყავარ დედას. მინდა ეს წამი რომ მოვითმინო, რომ ხელში მქონდეს იმედის საჭე. „შვილო, მითხარი: რატომ სვამ ღვინოს, ანდა ერთი თვე რად მოგისაჯეს!“ და ბოლოს უცებ წამიღო ნისლმა და თითქოს შველა მე არ მეღირსა. ეს იყო წუხელ, რომ დამესიზმრა და დილას უცებ გამომეღვიძა...“ სიზმარეულ ხილვათა და გრძნეულ შეგრძნებათა მიჯნებზე მოარული, სულის იმ სიღრმეთა წვდომისაკენ ისწრაფვოდა, დაფარული რომ არის გონების თვალთაგან და სამყაროულ იდუმალებას უკავშირდება, რითაც ცდილობდა სინამდვილის გარდასახვას, გაუცხოებას, გადასხვანაირებას. განა სწორედ ეს სიზმარეულობა არ აღვიძებდა მის პოეზიაში მისტიურ ხილვებს, ხოლო მისტიური ხილვები — უხსოვარ ზმანებებს: „არის მკრთალი სარკე. ყვავილი მიმოზა. სიცოცხლე ბედნიერებისათვის. ყვავილი მიმოზა. სიკვდილის გარინდება, ფოთლები მკრთალი და ზამთრის მელანქოლია... ყვავილი მიმოზა. ერთი სარკე დგას მინასთან, სადაც ჩნდება ცისფერი თვალები, თვალები, რომლებიც ელიან გრიგალს. ყვავილი მიმოზა... ცეცხლი ჩამქრალია, გული ინთება, როგორც შანდალი. ეს არის ცისფერი ზეცის ყვავილი — მიმოზა...“ სიზმრის ბურუსიდან გამოსულს, მთელი ქვეყანა სიზმრად და სიზმრის ორეულად ეჩვენებოდა, ეჩვენებოდა, რომ იყო „ვიღაც“, იყო „სადღაც“, იყო „რაღაც“; განა ყოფიერებაც, არსებობაც მირაჟი არ არის, სიზმარივით რომ წამიერად გაიელვებს და ყველაფერი წამისუმალ მთავრდება, წყვდიადიდან მოდიხარ და ისევ წყვდიადში იძირები: „ყველაფერი სიზმარივით მიდის“, „სიჩუმეა და ქარიშხალს ვუცდი და სიცოცხლე სიზმარია „ღამის“, „ის ჩემი სული სადღაც გაფრინდა, მწამს, ყოველივე რომ სიზმარია,“ „ყველამ თქვა: „ყოფნა რომ სიზმარია“, „ოქტომბერია და მოდის ნისლი. ეს ცა, ეს ყოფნა რომ სიზმარია...“

ღამე — გოლგოთაა და წამება, „სისხლის გაშრობაა“. „სელის სამარეა“, ფიქრია ფიქრებზე, ფიქრი სიკვდილზე., სივრცეებზე, მესამე გზაზე, ღამე — ღვიძილია და აგზნება. ინდობაა და ...

შთაგონება; ღამე — შიშია მისტიური, ცნობიერებისაგან თავდაღწეული, სივრცეებთან ექსტაზური კავშირია, და ისიც ღამეული შიშით შეპყრობილი უპვრეტდა უხილავს, გრძნობდა შეუგრძნობელს. ღამე, გარესამყაროს ხაზები და ფერები განსაზღვრულობას რომ კარგავენ და უფერულდებიან, სიჩუმის ბგერები რომ იღვიძებენ და იძენენ იდუმალ ხმიერებას, შიშით შეპყრობილი ელოდა გათენებას, ელოდა ხსნას: „ისევ მოვა იდუმალი ღამე, ისევ მოვა იმედების გროვა...“ მაგრამ სიკვდილსაც ელოდა, სიკვდილის შიშით შეპყრობილი, იმ შიშით, მის ფსიქიკაში რომ ჩასახულიყო და გაღვივებულიყო: „ახლა მარტო ვარ და მე ვსაუბრობ რაღაც იშვიათს. არ ვიცი, რატომ და ღამით უფრო მეტი შიშია. უკვე გათავდა ეს აგონია, ვგრძნობ დაღლილ მკლავებს. ახლა ღამეა და მე მგონია, დანით მომკლავენ. ელავს ვენერა, მიწა ძირს გდია, ქსელში გავები. ცაზე მთვარეა და ისევ კრთიან შორს ვარსკვლავები...“ ბოლო წლებში, სიბნელის შიში რომ თითქმის ისტერიას გვრიდა, დაღამებისას თავის ისედაც ბნელ ოთახში მარტო ვერ შედიოდა, ვინმეს შეიყოლიებდა, ლამპას აანთებდა, ცოტა დამშვიდდებოდა და შეიძლება ცოტა ხნით დაეძინა, მერე ისევ ხილვები, ისევ კოშმარული სიზმრები, ისტერია და შიში... განა შიში არ მიაქანებდა შეუცნობელი სივრცეებისაკენ, რაღაც დაფარულისა და აუხსნელის შეცნობისაკენ, ნივთიერი ყოფის დასაზღვრულობის დაძლევისა და არყოფნის უსაზღვროებისაკენ?!. განა შინაგანი შფოთვა და შიში, მისი ფსიქიკის ძირის ძირი რომ იყო, არაცნობიერი შეეცნებით არ უკავშირდებოდა მისტიურ ზეშთაგონებას, რისი უცნაური ფერიცვალებაც პოეზიის შინაგან წესრიგს ერწყმოდა?! „ვოცნებობ შენზე, როგორც ბავშვი შიშით დაღლილი, თან მდუმარებაც მიზიდავს ტყეში...“ შიში ხომ სნებაც არის და ხსნაც, სატანჯველიც არის და ნეტარებაც, შიში აღმძვრელია ექსტაზური ხილვებისა და წარმოსახვებისა; შიში აუფლებდა თვითშემეცნებას, იქიდან რომ უჩვეულო ფერები და ბგერები, უცნაური ხატები და სახეები ამოეზიდა და გადაეცა ლექსისთვის. შიშსაც ხომ თავისი საკუთარი დილეგი აქვს მიჩენილი მის არსებაში, შიშის გრძნობაც ხომ მარად უწყვეტ კავშირშია მის ტანჯვასა თუ ბედნიერებასთან, მწუხარებასა თუ სიხარულთან, ცოდვასა თუ მონანიებასთან?! შიშიც ხომ არსებობის კანონი და აუცილებლობაა და ისე შეთვისებოდა, ვით სხვა რამ ხორციელსა თუ სულიერ

მოთხოვნებს, ისე მოეთვინიერებინა, ვით გატყიურებული ძაღლი, მოწყალებითა და ერთგულებით რომ შეპყურებს პატრონს თვალებში. შიში ხომ მისი იდუმალი მდგომარეობაა, რაღაც გამუდმებული შფოთია საფრთხის წინაშე, შიში ბედისწერაა, მის არსებაში უხსოვარი არსებობის ჟამს ჩასახული და კვლავმოვლინებისას აღმოცენებული, შიში განსაცდელიცაა, უფსკრულში რომ გიპირებს გადაჩეხვას, შიში მონუსხვაცაა, პეპელასავით უფრო და უფრო ღრმად რომ გიბიძგებს სინათლის წრეებისაკენ, რის შუაგულშიც მარადი წყვდიადი და ფერფლი ჩასახლებულა. შიში ხომ არარსებული დანაშაულის ფარული შეგრძნებაცაა, უხილავი მტრის მოლოდინია, გაფითრებაა, ყოველივე უსახურის გამოცხადებაა: „გამომელვიძა, ლამპა ჩამქრალა, ოთახში ბნელა, ფიქრი გროვდება. და შიშმა ისევ ამაკანკალა, და თითქოს ვიღაც მიახლოვდება. ეს როიალიც კუბოს მსგავსია და კუბოსავით მოჩანს კამოდიც. თითქოს ოთახში ვიღაც კაცია, თითქოს კიბეზე ვიღაც ამოდის. ქარმა ფანჯარას ფრთები მოარტყა, ეს მოლანდება მაინც რა იყო? თითქოს ვიღაცა კარებს მოადგა და თითქოს უცებ კარი გაიღო. ღამეა, თანაც ასეთი ლანდი, წვიმის ხმაური გაისმის კიდევ. თითქოს ოთახში ვიღაცა დადის, მგონია ვიღაც ხელებს მომკიდებს. ღმერთო! ნუ შემშლი, ძალა მომეცი, ღმერთო! მე უკვე გავცილდი საზღვარს. ვიღაც უცნობის ოხვრა მომესმის და წვიმის წვეთი ეცემა სადღაც...“ გაფაციცებული ელოდა გათენებას, ელოდა მზის პირველ სხივს, ვით სენაკში გამოკეტილი მწირი, მზის მხურვალე სხივებს რომ მიუსათუთოს ღამეული ლოცვით დაღლილი სული, სული მილეული, მიქანცული, მთელს გარე თუ ზე-ბუნებასთან რომ აკავშირებს, მიუსათუთოს და წამიერი შვება აგრძნობინოს: „ღამეა, ვებრძვი საშინელ წამებს, და გრძნობა უდრის გულის ანთებას. ცისფერ ლანდებით გაივლის ღამე და ჩემი შიში გაიფანტება...“ შიში ხომ უცოდველობაცაა, და თუ ხშირად არა, ზოგჯერ მაინც ხომ სხვათა თვალში ის არის დამნაშავე, ვინც უდანაშაულოა, ის არის ცოდვილი, ვინც უცოდველია, ის არის ბიწიერი, ვინც უბიწოა... მხოლოდ უეცარი გასხივოსნების წამებში ეკარგებოდა შიშის შეგრძნება, ექსტაზური ზეშთაგონების წამებში, რისი ლექსად გადმოღვრის მერე გონებას ნათელი ეფინებოდა, სიჩუმე და სიმშვიდე ისადგურებდა სულში. შიში არასოდეს ყოფილა მისთვის მხოლოდ განყენებული ცნება, მის შეგრძ-

ნებაში შიში ხშირად ჩაბუდებულა ვით განსახებული, განსულიერებული არსებაც, ყოველ ღამე რომ უცნაური სახით ეცხადებოდა მის უძილობით ჩამღვრეულ თვალებს. თუმცა არის უფრო დიდი შეგრძნება შიშისა, თითქო აუხსნელი და იდუმალი შეგრძნება, რაღაც უხილავით, რაღაც არარათი, რაღაც სიცარიელით, მაგრამ რაღაც დიადით აღძრული; ალბათ ეს არის შიში ღვთისა, ვითარცა ყოვლისმხილველისა, ვისაც არაფერი დაემალება ცისქვეშეთში; იქნებ ეს შიშია ერთი უმთავრესი, და იქნებ — ერთადერთი ძალაც, რასაც ძალუძს ადამიანის ვნებათა და ცოდვათაგან განწმენდა და მისი მიახლოება სრულქმნილ არსებასთან. განა შიშმა არ განუმტკიცა რწმენა, რწმენა ღვთისა, რწმენა მესამე გზისა და ზეციური ყოფიერების ჭეშმარიტად არსებობისა?! შიში არ განაგებს განა კაცთა ცხოვრებას, მათ მოვლინებასა და გადაშენებას, სიკვდილსა თუ სიცოცხლეს, შიში არ გვიღვიძებს რწმენას სულის უკვდავებისა, კვლავარსებობისა, პირველ-სოფლის იდუმალ შრიალსაც განა შიშით არ ვწვდებით?!. ბავშვობაშივე მწვავედ განიცდიდა ღამისა და სიბნელის შიშს, შინაგანი მშფოთვარებისა და უძილო ღამეების მიზეზებს, სინათლისა და მზისადმი გასაოცარ, მისტერიულ ლტოლვას, ქარისა და ქარიშხლების უცნაურ შეგრძნებას, უწარსულო და უმომავლო გახსენებებს, უმიზეზო შიშსა და სევდას რომ აღუძრავდა. ეს ყველაფერი ისე დაანაწილა თავის ლექსებში, ვით მთვარე ანაწილებს თავის სინათლეს ყველა მიწიერ არსებაში, ყველაფერი პოეზიის სულს მიუძღვნა მსხვერპლად, ფარულად რომ მიმოიძვრის არსებიდან არსებაში და უცვლელ საყრდენს მხოლოდ საკუთარ არსშივე ეძიებს, რომ განიწმინდოს ყოველივე. სხეულებრივისაგან და პოეზიას — ღვთით ბოძებულ მადლს — მხოლოდ თოვლივით უბიწო და სპეტაკი სული უსახსოვროს...

ღამე — შიშია და გლოვა, მშფოთვარებაა და კონვულსიები, ღამე — ფიქრის სავანეა, განუწყვეტელი ოცნება და ექსტაზია, ზეშთაგონების დაუშრეტელი წყარო და სათავეა; მისი ხვედრიც ხომ გამუდმებული ღვიძილია, საგნებსა და მოვლენებში დაქუცმაცებული, ხოლო გამუდმებული ღვიძილი — ფიქრია, ფიქრი უწყვეტი, შეუჩერებელი, მოუხელთებელი, ფიქრი კი ყოფიერების შემეცნების ძირი და მიზეზია, ფიქრი — დედაა ცნობიერი შემეცნებისა.

როცა სხვებს ნებივრად ეძინათ, იგი ფიქრობდა, ფიქრობდა ცხოვრებაზე. ადამიანის ხვედრზე, მის ბედნიერებასა თუ ტანჯვაზე, ფიქრობდა ყოველთვის და ყოველ წამს: „არ თავდება თარეში მოგონების და ნისლის. ღამე დაქრის თვალებში და წვალებას განვიცდი. ეს ბედია მხლებელი და სიჩუმე მძინარე. ფიქრი დაულეველი, მოდის როგორც მდინარე...“ ფიქრი ხომ სტუმარია გონების, მოდის და მიდის, მოდის და მიდის, ვით მოწმენდილ ცაზე ღრუბლების თარეში; ფიქრის შეჩერება ხომ შეუძლებელია, ფიქრს არა აქვს ძირი და ფესვი, უგანსაზღვრებოა, უსახლკარო მაწანწალებივით დაძრწიან ტვინის ერთი ნაპრალიდან მეორე ნაპრალში და მოაქვთ შორეული ქვეყნების სევდა, ოხვრა — ქვიშაში დაფლული ქარიშხლების და ქარავნების. ღამეული ფიქრები საშინელ შიშსა და კოშმარებს უღვიძებდა, თუმცა მორჩილებითაც იტანდა ამ წამებას, ვით აუცილებელს და ბუნებრივს მისი ხვედრისთვის. განა მშობიარე დედაც ასე არ იტანს მტანჯველ, მაგრამ ნეტარ ტკივილებს, ღვთით ბოძებული სიცოცხლე რომ განმეორდეს და გაგრძელდეს?! „იდგა საღამო და მე მომსდევდა შავი ფიქრების კორიანტელი“, „ამაღამ თვალებს ძილი არ უნდა, მოდის ახალი ფიქრების წყება“, „მე წუხელ კიდევ ღამე ვათიე და მოდიოდა ფიქრი ფარული...“ ფიქრი გულივით უფეთქავდა ტვინში, სამყაროს უხილავი არტერიებიდან რომ იღებდა საზრდოს და ხან წარსულში გადახვეწდა, დავიწყებულ და უხსოვარ წარსულში, ხანაც შეუცნობელ და უსასრულო მომავალში, რისი არც სახე უწყოდა, არც სახელი. წუთისოფლის ერთფეროვან დინებაში ჩართულს მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი, მტანჯველი, ცნობიერი შემეცნებით დასერილი ფიქრი, ერთ უწყვეტ წრეზე რომ ბრუნავდა დღენიადაგ და თითქო მთელი მისი ცხოვრება ერთ შედედებულ ფიქრად ექციოს, თითქო წაშლილიყოს დროისა და ადგილის საზღვრები და მთლიანად ფიქრისა და შემეცნების უსასრულო ტყვეობაში მოქცეულიყოს: „ფიქრთან ასე ვერთობი, ფიქრი არის გალია, ღამის სივრცემ წვეთობით ჩემი სისხლი დალია“, „აქაც გაისმის ქარის გოდება, ქარია გარეთ, ქარია სულში. დღესაც მეწვია და არ მშორდება ფიქრი, რომელიც მტანჯავდა გუშინ...“ ფიქრი ხომ შემეცნების საფუძველთა საფუძველია, საფუძველია არა მხოლოდ ხილული და ნივთიერი ყოფის შემეცნებისა, არამედ ყველაზე იდუმალისაც, ყველაზე უხილავისაც და ყველაზე შეუც-

ნობელისაც კი. განა ფიქრს არ გადაჰყავდა იმ მისტიურ სამყაროში, რის მიღმაც სხვა ქვეყანა იწყებოდა, უსხეულო და უსაგნო სივრცე, გამჭვირვალე და ასტრალური სივრცე, ფიქრით არ წვდებოდა უხილავის დასაბამს, შორეულის ჭეშმარიტ არსებობას?! „ისევ ღამეა და მთვარე სავსე, ღამეა ჩუმი და ასე მკრთალი. ვწევარ და ვფიქრობ მე უხილავზე და ისევ მესმის ხმა როიალის...“ ათასნაირ ფერებად და ბგერებად აღიქვამდა ფიქრებს, ხან სულიერად გამოეცხადებოდა, ხანაც უსულო და უარსებო ნივთად წარმოუდგებოდა, ხან ცხადიერად ესახებოდა, ხან არაცხადიერად, ხან შედედებულ მასად, ხანაც უსასრულო და თვითმოძრავ სიცარიელედ; ფიქრები იფანტებიან მზის სივრცეში, მაგრამ ღამეულ მწუხარებაში ისევ გროვდებიან, ერთიანდებიან და ცნობიერი შემეცნებისაკენ მიემართებიან, ხან გაირინდებიან, დამფრთხალი მწერივით, ვის არსებაშიც კოსმიური ძალები ჩასახლებულან, ხანაც იძარცვებიან სხეულებრივი საბურველისაგან და განსულიერებულნი მიელტვიან ზეცას —ღმერთის მარადიულ სასუფეველს. ფიქრები ხომ უჩინარობიდან მოდიან და ისევ უჩინარობაში უჩინარდებიან, ცისფერი ღამიდან ამომავალნი ცისფერ ღამეში იკარგებიან, ხან კი ზეცისკენ მიჰქრიან და მიაქროლებენ სულს, უკვდავებას რომ აზიარონ. ფიქრი ხომ უსხეულოა, მაგრამ სხეულებრივიც არის, თავისი ჩრდილები და ლანდები, თავისი მოჩვენებები და მოლანდებები რომ უთრთოლებს სხეულს, და ამ მოლანდებებსა და მოჩვენებებში ფიქრის ნაფლეთები ციდან ისე მოფარფატებენ, ვით თოვლის ფანტელები ტბის კამკამა ზედაპირზე — ეცემიან და ქრებიან, ეცემიან და ქრებიან: „თეთრი ფიქრები სადღაც მიდიან“, „და ფიქრმა ისევ მაღლა გასწია“, „ჩნდება ახალი ფიქრის ლანდები“. „ციდან ფიქრები ცვივა“, „უხმო საათმა ფიქრი მოთოვა“, „მივყვები ისევ ფიქრების შრიალს...“ ფიქრი — შემეცნებაა, შეგრძნებაა წარსულისა, გახსენების მოლოდინია, მესამე გზის მოლანდებაა, ღმერთისაკენ მიმავალი დაბურული ბილიკების ხილვაა; სიჩუმისა და გარინდების წამებში იღვიძებდა ფიქრი, მისი უმძაფრესი ბრუნვა და ტრიალი, ფიქრი, ქარსა და გრიგალზე უმალესი, რომ აქვავებდა და დუმილისკენ რომ მოუხმობდა, ფიქრი, მიწიდან ზეცას და ქვეცნობიერებიდან ცნობიერებას რომ სწვდებოდა, ფიქრი, ცეცხლივით რომ ენთო და იწვოდა; შემეცნების

ლაბირინთებში შეპრილი ისე ფანტავდა ფიქრს, ვითარცა ქარი — მარცვალს, ფანტავდა და ქვეყნის ყველა მხრისკენ გზავნიდა, იქიდან რომ უცხო ფერები და ბგერები გამოეხმო და ყოველივე პოეზიაში ცანეცხოველებინა; ისე მორჩილებდა ფიქრის იდუმალ მოძრაობას, ვით თავდახრილი აღმსარებელი — სულიერ მოძღვარს, მორჩილებდა და ლერწმის ღამეული შრიალივით შრიალებდნენ მისი ჩუმი და გზნებიანი ფიქრები, ფიქრები თეთრი და ფიქრები შავი: „ქრიან ფიქრები — თეთრი და შავი“, „სადღაც მთელი დღეები შავმა ფიქრმა წაიღო“, „შავი ფიქრები გროვდება ისევ“, „სულს წაიღებენ თეთრი ფიქრები“, „ფიქრები უფრო მალია ქარზე“, „ისევ ფიქრში ვარ, ქრიან დღეები“, „მოდ-ს აბალი ფიქრთა კრებული“, „ვამჩნევ, თეთრია ფიქრთა კრებული“... დრო მიდის და ულმობლად ანადგურებს გზაზე ყველაფერს, კვლავ რომ ააღორძინოს და აღმოაცენოს, ყველაფერი ხომ მუდმივ ცვალებადობასა და ურთიერთმონაცვლეობაშია, ფიქრებიც იცვლებიან და ენაცვლებიან ერთმანეთს, არ შორდებიან მის გონებას. მოდიან და მიდიან, ფიქრები, მარად სადღაც რომ უხმობენ — სიშორესა და უსასრულობაში; დრო მიდის, ფიქრებიც მოდიან და მიდიან, და ასე დაუსრულებლად იძვრის მის ფიქრთა საწუთრო; დიახ, ყველაფერს ხომ თავისი საწუთრო აქვს და ფიქრსაც აქვს თავისი ფიქრი, დაბადება და სიკვდილი. ყოველგან ფიქრი, ყოველთვის ფიქრი, ყოველ წამს ფიქრი, ფიქრი სიცოცხლეზე, ფიქრი სიკვდილზე, ფიქრი ღმერთზე, ამსოფლიურ ამაოებაზე, ფიქრი სიწმინდეზე, ფიქრი სათ-ოებაზე, სიკეთეზე: ქარიშხალივით დაჰქრის ფიქრი და გრძნობს, ფიქრი რომ სიცოცხლეა, ფიქრი რომ არსებობაა, ფიქრი რომ გულია და სისხლი, ფიქრი რომ ტვინია, ფიქრი რომ სხეულია, ფიქრი რომ პოეზიაა და სული: „ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ფიქრია და მხოლოდ ფიქრში მიდის მთელი დღე“, „მე ვფიქრობდი ამ დილას, მივალ — რატომ ან რისთვის! ვიცი, მე ამ ადგილას ისევ მოვალ ფიქრისთვის“, „ფიქრი, ყოველ წამს ფიქრი, გუშინაც ასე ვწერდი. თეთრი ოცნების იქით ვხედავ შორეულ წერტილს“, „ფიქრიდან ვხედავ შორეულ მიზანს“, „ეს ფიქრი წავა ოცნების იქეთ“, „ათასი ფიქრი ირევა თავში“, „და ისევ მეხვევა ირგვლივ ფიქრები ათასნაირი“, „ჩემს ფიქრებს თან სდევდა ლოცვები სიწმინდის“, „დგება ფიქრების მძიმე წუთე-

ბი“, „და იყო წუთი, როდესაც ყველგან დაქროდა ფიქრი ქარიშ-ხალივით...“

ფიქრი შემეცნებისაკენ მიაქროლებდა, ხოლო შემეცნებული აფიქრებდა და აცვიფრებდა, ამწუხრებდა და ასევდიანებდა. განა სწორედ თვითდაკვირვებისა და ფიქრის წყალობით არ იცნობიერებდა თავის შეგრძნებებსა და აღქმებს, გრძნობათა და სურვილთა მოძრაობას, ვნებათა დაუცხრომლობას, სიზმრებისა და ხილვების ფერიცვალებას?! ფიქრის თვითჩასახებასა და თვითხილვაში გამუდმებით ჩართულს, შეეძლო წვდომოდა ფიქრის ძაფებს, დამწვარი ქაღალდივით დაეფინა ფიქრი წინ და ჯერ კიდევ დაუმქრალ წერტილთა ციმციმში ამოეკითხა თავისი ხვედრი, თავისი ცხოვრება და მისწვდომოდა მახსოვრობის მიუვალ კუნძულებს. შეეძლო განუწყვეტლივ ეყურადებინა საკუთარი ფიქრის დინებისათვის, დაახლოებით მაინც შეეცნო მათი დამბადებელი მიზეზები, საიდან მოდიოდნენ და საით მიემართებოდ ენ. ფიქრით წვდებოდა თავის იდუმალ ფიქრებს, იქიდან რომ სულის ტკივილები გამოეხმო და პოეზიის სამოსელში გაეხვია. ასე აქცია ფიქრი ფიქრის საგნად, ფიქრი ფიქრის მოძრაობად, გარედან შიგნით რომ მიემართებოდა და უძლიერებდა შინაგან მჭვრეტელობას და თვითცნობიერებას: „ფიქრი გარინდების რისი ნიშანია“, „ამ წამებს მოაქვთ სხვა დაფიქრება“, „ცოდვის ტაძარში გადავითვლი ფიქრებს გაძარცულს“, „ეს ფიქრი ლექსზე უფრო მეტია“, „ვნახოთ, ეს ფიქრი სანამდე წავა“, „აჰა, საღამოა შორეულ ფიქრის, შავი ლანდები ისევ ქრებიან“, „საშიშ ფიქრიდან უკვე დავბრუნდი და როიალივით მიწყნარდა წვიმა...“ ასე დადიოდა ფიქრიდან ფიქრში, წარმოსახვიდან წარმოსახვაში და მხოლოდ ამ ფიქრებიდან შეცნობილ ქვეყნიერებას ჭვრეტდა, მიიწევდა პოეზიის გულის გულისკენ, პოეზიის პოეზიისკენ, წმინდა შემეცნებისკენ, რითაც სწვდებოდა ყოველივე იდუმალსა და ყოველივე დაფარულს. სწვდებოდა პოეზიის უხილავ საიდუმლოებას: „მას შემდეგ მტერმა სისხლი დალია, და ღამე გაჰქრა, როგორც ზმანება. და ის ყოველთვის იდუმალია, რაც ჩემში იწვევს აღფრთოვანებას...“ მისი ფიქრების შინაგანი მოძრაობა, მისტიურ გახსენებებზე დაფუძნებული, განუწყვეტელ ცვალებადობას განიცდიდა, ამ ცვალებადობას ბუნებრივად მოსდევდა განწყობათა ფერიცვალება, ხშირად დღეში რამდენიმეჯერ რომ ეცვლებოდა, მაგ-

რამ ყოველთვის ერთი უმთავრესი ღერძის გარშემო რომ ბრუ-ნავდა. განუწყვეტელი ფიქრით აღძრული გრძნობელობა, ქვეცნობიერების გამოხმობაც რომ ძალუძდა, უმძაფრეს დაღს ასვამდა მისი აზროვნებისა და შემეცნების თავისებურებას, რომელი თავისებურებითაც ეცვლებოდა ხშირად დამოკიდებულება ერთი და იმავე საგნისადმი, დროის სხვადასხვა მონაკვეთში საგნის სხვადასხვა კუთხით შეცნობას ცდილობდა, სურდა ყველა სპექტრით დაენახა იგი და შეეგრძნო მისი არსი. შთაგონებისა და ფიქრის ექსტაზის წამებში გამოიხმობდა შემოქმედ ძალებს, ღრმად რომ ჩაბუდებულიყო მის არსებაში, და უშუალოდ უჭვრეტდა და იმეცნებდა წუთისოფელს, და ეს უშუალო შემეცნება მისი არსებობის საფუძველთა საფუძველი იყო. ამიტომ იწოვდა მისი ლექსები ზეციურ სიმსუბუქესაც და მიწიერ სიმძიმესაც, სილბოსაც და სიმკვრივესაც, სიფაქიზესაც და ძალასაც, სიხარულსაც და მწუხარებასაც, თოვლის სისპეტაკესაც და ტალახის ბიწიერებასაც, ადამიანური ცხოვრების პირველქმნილ შეგრძნებებსაც და თანამედროვე ქალაქის მისტიურ ხატებასაც. რა არის მისი ფიქრისა და შემეცნების მიზეზიცა და მიზანიც? ცად ღმერთი და მიწაზე ჭიანჭველა, ამ ორი უკიდურესი საფეხურის ხილვა და მათი მეტაფიზიკური შერწყმა და დაკავშირება; მისი ფიქრისა და შემეცნების შინაგანი გრძნობელობა ხომ ერთდროულად იტევდა მაღალს და დაბალს, ერთ მთლიანში აერთიანებდა ყოფით და კოსმიურ წარმოდგენებს. მისი ფიქრი ხან დაღმა მიექანება, ხან ალმა, ხან ცივია და ჩუმი, ხან ცეცხლივით იწვის და ხმიანებს, ხან შორეულია და ხან მახლობელი, ხან მზიანია და ხანაც გაწყვდიადებული: „ცეცხლი მსგავსია ჩემი ფიქრების“, „დღეს გუშინდელი ფიქრი დავშალე“, „და ახლა ფიქრი ნელა ირხევა“ „აქაც შორეულ ფიქრს ველოდები“, „და ცეცხლივით მწვავს ფიქრი სიშორეზე“, „ეს ფიქრი ძველი, ცივი, ვით რკინა“, „ქრიან ფიქრები მზიან ამინდის“, „ფიქრს ცეცხლი მოსდევს და დროა შავი“, „ფიქრები მაინც ასე იწვიან“, „ეს ჩემი ფიქრის ლურჯი მხარეა“, „წავიდა ქარი და მწარე ფიქრი, თუმცა ფიქრები მარად ივლიან“, „დავიღალე შორეული ფიქრით და ძვირფასო, დასვენება მინდა...“ ხშირად ეუცნაურებოდა და აოცებდა კიდეც საკუთარი ფიქრები, ფიქრებიდან შობილი შემეცნება: საიდან ამოდიოდნენ, სად ჰქონდათ სათავე, როგორ უკავშირდებოდნენ გარემყოფ საგნებსა და

მოვლენებს, მის შინაგან მეს, საკუთარ ხვედრსა და მიზნებთან ერთად სხვათა ხვედრიცა და მიზნებიც რომ ჩაბუდებულიყო და ჩასახლებულიყო?! განა გამუდმებით იმას არ მიელტვოდა, მთელი ადამიანური მოდგმისათვის რაც ბუნებრივი იყო, მიელტვოდა ისე, ვით ნაწილი მიელტვის მთელს, ვით ერთი მიელტვის სიმრავლეს, მის უსასრულო წიაღში რომ განზავდეს და თავისი განუმეორებელი სახით ჩაიკარგოს. ადამიანებთან შინაგან კავშირში მყოფი, საკუთარ თავში ეძიებდა ხსნის იმ გზებს, დასაბამითვე რომ მიელტვის ადამიანი. ალბათ ამიტომაც იყო, მისი პოეზია რომ მარტო შემეცნებით მიღებულ შედეგებს კი არ წარმოსახავდა, არამედ ფიქრისა და შეძეცნების უშუალო თვითმოძრაობასაც. ყოველი ახალი წამი ახალ არსებობას სთავაზობდა, ახალ ფიქრსა და შთაგონებას, საიდანაც მარადიული თვალებით იმზირებოდა ყოფიერება: „ციდან ჩამოდის ფიფქი, ისმის ზარების გლოვა. და განუწყვეტლივ ფიქრი, და განუწყვეტლივ თოვა. დღეს მიხარია ღამე, მაღლა ზეცისკენ მივქრი. და თოვლიანი ღამე, და თოვლიანი ფიქრი. როიალის ხმას ვისმენ, მიდის ზეცისკენ ბოლი. დაფენილია ისევ თეთრ ქაღალდივით თოვლი...“

ფიქრის მისეული მზერა, შებინდული და შენისლული, ისევ რაღაც აუხსნელსა და დახურულს ირჩევდა შესამეცნებლად, მიუწვდომელსა და განუსაზღვრელს, პირველარსსა და პირველმიზეზს, ტანჯვასა და მწუხარებას რომ აღუძრავდა, თუმცა მაინც ვერ უღალატა არჩეულ გზას, მხოლოდ ტანჯვის ეს გზა იწამა წუთისოფლისა და ყოფიერების შესაცნობად. უუშორესი ვარსკვლავის ციმციმიც კი შინაგანი თვითარსებობის დამკვიდრებად ესახებოდა, ამ ციმციმში საკუთარი არსების ბედისწერის დასაბამსაც ჰვრეტდა. ასე იმეცნებდა ყოველივეს — ქვეყნიერებასაც და საკუთარ თავსაც, გარემყოფ საგნებსაც და სულის ყოფიერებასაც, საკუთარ მეს ამ გარემყოფ საგნებსა და სულის ყოფიერებაში, ვით ნაწილი და მტვერი მთელი ბუნებისა. სწორედ ამ გზით ეძიებდა საკუთარი არსების არსსაც. საგნები ხომ თავისთავადნი არიან, ისინი არც მახინჯი არიან, არც ნშვენიერნი, არც ისეთნი, როგორიც არიან, მათ ჩვენი გონება და წარმოსახვა ანაწევრებს ორ ურთიერთსაპირისპირო ფენომენად. მისი გონებაცა და წარმოსახვაც იმას ირჩევდა საგანთა თავისთავადობიდან, რაც მის სულთან იდგა ახლოს, იმას უარყოფდა საგანში,

რაც მისი სულისთვის უცხო იყო, ასე დაიყო სამყარო მის თვითცნობიერებაში პოეზიად და არაპოეზიად, და ამ განხეთქილებაში ზოგჯერ, ნებსით თუ უნებლიედ, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ამ მთლიანობის იმ ნაწილსაც უპირისპირდებოდა, რასაც აღიარებდა და რასაც მორჩილებდა, ხოლო ზოგჯერ იმასაც კი აღიარებდა, რასაც მთელი არსებით უპირისპირდებოდა. ამ უთანხმოების მორევში თრთოლვით თრთოდა მისი სული, შორეულ ზმანებებსა და უხსოვარ შეგრძნებებში ჩაქირული, ღაშეულ კოშმარებს რომ გაურბოდა და სინათლესა და ზეციურობასთან ზიარებას რომ მიელტვოდა: „ჩემი წამება უკვე ნახულია, წამება სპეტაკი და მუდამ ნამდვილი. თავზე სიჩუმის ფარდა მახურია და რაღაც ირხევა კუთხესთან ლანდივით. ისევ მიწუნარდნენ მაღლა სართულები, ქარმა შუაღამეს ღონე შეალია. დავიწყე ფიქრი სხვა მიმართულებით და ოთახის კართან რაღაც შრიალია. დადგა დრო ფარული და წმინდა ვედრების, უეცარ სიკვდილის მირაჟი ენთება. სიბნელე მიდის და ჩნდება კედლები. სინათლეა ოდნავ, ალბათ გათენდება...“ მიუხედავად გამუდმებული ხეტიალისა და მოცალეობისა, „თავისუფალი დრო“ არ არსებობდა მისთვის, განუწყვეტლივ ფიქრსა და შემეცნებაში იყო ჩართული, ბეტი სიღრმით რომ შეეღწია ყოფიერების არსში, ამოეცნო და ამოეხსნა მარადამოუცნობი და მარადამოუხსნელი აზრები ადამიანური არსებობისა. ფიქრისა და შემეცნების სიღრმე სულს უსხივოსნებდა, ათავისუფლებდა ყოფითობის ბრმა ვორჩილებისაგან და ხშირად უგრძვნია გამოუვლენელი აზრები, ფარულად და იდუმლად რომ იძირებოდნენ მის არსებაში, და თანდათანობით დაუფარავი, ცხადიერი სახე რომ მიეღიათ, მიეღიათ და ის ხორციელი თუ სულიერი ტკივილები, ფიქრსა და შემეცნებას რომ აღუძრავს მასში, ყველაფერი პოეზიაში გადასულა, ვით მწუხრი გადადის წყვდიადში, ხოლო წყვდიადი — მწუხრსა და სინათლეში. შესამეცნებელი საგნები და მოვლენები არასოდეს დაუყვია ძირითად და არაძირითად, მნიშვნელოვან და არამნიშვნელოვან, პირველ და მეორეხარისხოვან საგნებად და მოვლენებად. ყოველივეში მთლიანს, არსისეულს ხედავდა, თავის მისტიურ ზეშთაგონებაში ამთლიანებდა ყოველივე დაქუცმაცებულსა და დანაწევრებულს და მათ შინაგანი კანონზომიერებით აკავშირებდა ერთმანეთთან. ყოფითი საგანი უცაბედ გახსენებას აღუძრავდა, წამისუმალ რომ მისტიურ

სახედ გარდაისახებოდა, იმ სახედ, ბედისწერის უხილავი ძალით, რომ იყო ოდესღაც მის არსებაში ჩასახული და აღმოცენებული. ასე ქსოვდა ფიქრებსა და ხილულ საგანთა დამაკავშირებელ უხილავ ძაფებს, და ქმნიდა სინამდვილის მსგავსს მეტაფიზიკურ სამყაროს, სადაც ისე დაილანდებოდა, ვით გარდაცვლილის უხორცო სული დაილანდება ცხადქმნილ სამყაროში: „ეს შუაღამე მკრთალი დამეცა, როგორც თოვლი, არ სჩანს მფარველი თვალი, ირგვლივ გზებია შორი. ზამთრის ვედრება მწარე ჩამქრალ ვარდებთან გმინავს. გარეთ იკივლებს ზარი, ღამე ჩაუვლის მინას. არის ცისფერი თოვლი თეთრი ლოცვების გალმა. სული ფარული თრთოლვით მისდევს სიზმრების დალმართს. ისმის ძახილი წვიმის ბნელი ოთახის ახლო. მივალ, ვეძლევი ღიმილს, თან სიცოცხლეზე ვნაღვლობ. მღალავს სხეული სუსტი და მძიმე ხსოვნა მამის. შორეულ იღბალს ვუცდი, როგორც უმზეო ამინდს...“

თუ ძლიერი გრძნობელობა და ღამეული შიში არაცნობიერ შემეცნებას აღუძრავდა, ფიქრს — შემეცნების დედას ცნობიერი თვითშემეცნების საუფლოში შეჰყავდა, საიდანაც მხოლოდ საკუთარი მეს პრიზმით უმზერდა ქვეყნიერებას, როგორც ნაწილი საყოველთაო, სამყაროული სულიერი მესი განა მისი თვითშემეცნებაც ნაწილიდან მთლიანისაკენ და მთლიანიდან ნაწილისაკენ, ვით მთელისაკენ, არ მიმოიძროდა, მისი შინაგანი ფიქრიც ხან ცას არ შეერთვოდა და, ცას ზიარებული, ხან მიწას არ უბრუნდებოდა, აქ რომ ეძია საყრდენი და სამკვიდრებელი?! ამიტომ არ აღვსილა მისი სული ერთდროულად ზეციური მარადიულობითაც და მიწიური წარმავლობითაც?! ისეა ჩაპირქვავებული საკუთარ თავში, ნივთიერი ყოფა უცხოა მისთვის, ხოლო სამყაროს ელემენტები — მატერია და ძალა ქაოსია, მიზეზია არათანხმიერებისა, რის თანხმიერებად ქცევასაც მთელი არსებით მიელტვოდა, ცდილობდა საკუთარი არსება ბუნების წესრიგსა და კანონზომიერებისათვის დაემორჩილებინა, ყოველივე სხეულებრივი სულიერობაში გაეთქვიფა. განა თვითშემეცნების ჟამს არ აღეძროდა სოფლშეგრძნობები და სოფლაღქმები, რომელთა ერთიანობასაც გადაჰყავდა მთელი მისი არსება ასტრალურ ყოფიერებაში, ამ ყოფიერებით არ საზრდოობდა მისი თვითშემეცნება, ხილვებითა და

წარმოსახვებით გარემოცული?! სწამს, რომ ყოფიერებისა და საკუთარი თავის ასეთნაირი შემეცნება, მეტნაკლები ძალით, ყველა ადამიანშია ჩაბუდებული, და ვ-საც არსებობის უხეში ძალების დათრგუნვა სწადია, ვინც სულის გაფაქიზებას ფიელტვის, მან უნდა აღმოაჩინოს და აღმოაცენოს საკუთარ არსებაში თვითშემეცნების დიადი ნიჭი. ვიდრე მისი აზროვნება უშუალო თვითშემეცნების გზებს მოძებნიდა, ბინდბუნდში ხელის ცეცებით მიიკვლევდა გზას, თუმცა ქვეცნობიერად ყოველთვის გრძნობდა თვითშემეცნების ბუნდოვან წრიალს საკუთარ ტანში. ახლაც კარგად ახსოვს ის წამები, პირველად რომ შთაიგრძნო სხვათა ტკივილი და საწუხარი, პირველად რომ განიცადა და გაიზიარა სხვათა ტანჯვა, თანდათან შინაგან მოთხოვნილებად რომ ექცა და ბოლოს საერთო ადამიანური ხვედრის თანალმობასა და თანაგრძნობაში რომ გადაეზარდა. მერე და მერე, ყოფიერებისა და საკუთარი თავის შემეცნების ნიჭი რომ გაუღრმავდა, უარყო ყოველგვარი ლოგიკური ძიებანი და იმ იდუმალი და უხილავი კანონების შეცნობასა და ამოხსნას შეეცადა, თვალთაგან და ყურთაგან რომ დაფარული იყო და მხოლოდ შორეულ და მისტიურ გახსენებებს რომ აღუძრავდა. ცნობიერება და ბავშვობაში დაგროვილი ცოდნა ერთი მხრით ეზიდებოდა, ხოლო გრძნობის სამყარო, აუხსნელიც რომ არის, საოცარიც და ხშირად საშიშიც, მეორე მხრით, თუმცა მაინც ახერხებდა მათ ურთიერთმორიგებასა და ურთიერთშერწყმას. ასე აღიძრა მის არსებაში თანხმიერი უთანხმოება ამ ორი საწყისისა — ცნობიერისა და ქვეცნობიერისა, სხეულებრივისა და სულიერისა, მანამდე ახალ და უცხო განცდებსა და განწყობილებებს რომ ბადებდა, უღვიძებდა ახალ-ახალ ძალებს თვითშემეცნებისათვის. და რაც უფრო ღრმად ინთქმებოდა თვითშემეცნებაში, მით უფრო ღრმად იმზირებოდა საკუთარ თავში, უფრო ღრმად ეცნობოდა საკუთარ მეს, გამუდმებულ უთანხმოებასა თუ თანხმობაში რომ იმყოფებოდა გარესამყაროსთან, საკუთარ ცოდვა-მადლთანაც კი. თუ გრძნობიერებით მიწიერ საზღვრებს ვერ სცილდებოდა, თვითშემეცნებით არღვევდა ამ საზღვრებს და მაღალი საფეხურებისაკენ მიიწევდა, მეს შეცნობით ცდილობდა ყოველივეს ხილვასა და შეცნობას, ყოველივეს გაიდუმალებას და გაუცხოვებას: „დილიდან იბრძვის მძიმე ქარები და ქარში გასვლა ახლაც მწყურია. ვუმზერ ქვეყანას ნამძინარევი და ყველაფე-

რი უცნაური...“ ამიტომ გაიუცხოვა და გაისხვისა საკუთარი თავი, ამიტომ გიხადა იგი ამოხსნისა და შეცნობის საგნად, ვით სხვა მრავალი საგანი ბუნებისა, ვით საგანი საგანთა შორის. ყოველივეს მედან უმზერდა, ყოველივე მედან ამოდიოდა, იდუმალად რომ მიმოივლიდა ქვეყნიერებას და ისევ მეს უბრუნდებოდა ‘ვამდიდრებული და გასრულქმნილებული; საკუთარ თავში ჩანთქმულმა და ჩაპირქვავებულმა სწორედ ის გზა აირჩია თვითშემეცნებისა, მისი სული რომ ზეგრძნობიერ სამყაროში გადაჰყავდა, უმაღლესი წესრიგისა და თანხმიერების მფლობელი საგნებით დასახლებულ სამყაროში.

გაუწყვეტელი თვითშემეცნებიდან წამიწამ აძევებდა გარეგნულ და წარმავალ შთაბეჭდილებებს, ბორკილებად რომ ქცეულიყვნენ სულისა და გონების ამ ურთულეს მოღვაწეობაში, და სული, განწმენდილი ყოველნაირი ზერელე და ყოფითი ვნებებისაგან, მთლიანად თვითშემეცნებაში ჩაძირულიყო, ორმხრივად რომ მიმოიძროდა: გარედან შიგნით და შიგნიდან ‘ვარეთ. როცა ამბობდა — „არ ვიცი, ვინა ვარო“, განა ეს მისი მე არ იყო, ადამიანის შინაგანი სამყარო, თვით ადამიანი, თავისი რთული და ამოუხსნელი ბუნებით?! როცა ამბობდა — „არ ვიცი, სადა ვარო“, ეს ხომ გარესამყარო იყო, ადამიანის მიღმა ყოფიერება, უსასრულო და განუსაზღვრელი, მაგრამ მაინც ადამიანისაგან ‘განუთიშველი! ამ შეუცნობელ წრებრუნვაში ჩაკეტილი, საკუთარ მეში ეძიებდა მთელ სამყაროს, ხოლო სამყაროში — საკუთარ თავს. განა მთელი ცხოვრება საკუთარი ყოფიერების შეცნობისაკენ გამუდმებული სწრაფვა არ იყო, არც გარესამყარო უქცევია ოდესმე უბრალო თვითკვრეტისა და თვითტკბობის საგნად; თვითშემეცნების მტანჯველი გზა მარტოობის უდაბნოში იბადებოდა, მარტოობის გაუმტარ გარსს ასკდებოდა იქით-აქეთ, ცდილობდა დაუფლებოდა საკუთარ მეს, რომ გაერღვია უდაბურების საზღვრები და გაელწია სულიერობის თავისუფალ სფეროებში. ასეთი იყო გზჩინება მისი ბედისწერისა. თვითშემეცნების ბრძოლაში ჩართულს, ხშირად ორმხრივ შეუხედავს საკუთარი თავისთვის: როგორც საკუთარ მეს შემმეცნებლისთვისაც და როგორც საკუთარი მეს შემმეცნებლის შემმეცნებლისთვისაც, შესამეცნებელ საგნადაც ჩაუთვლია საკუთარი თავი და შემეცნების შემმეცნებელ არსებადაც. და მაინც, ‘ვარეგნულად თითქო შეცნობილი,

შინაგანად მისთვისაც კი ბოლომდე შეუცნობელი და იდუმალი რჩებოდა საკუთარი თავი, გასხვისებული და გაუცხოებული: „ცხოვრობდა იგი მთრთოლვარე, ცივი და ბედისაგან შეწუხებული. თითქოს საეკვო ქურდი კაცივით, უყვარდა ღამის შავი ხვეული. ის დადიოდა უცნობი სფინქსი და გაოცებით უმზერდა სანთელს; ის დადიოდა უცნობი სფინქსი და მწუხარების სნეული ლანდი. უნდოდა შველა და სწუხდა დღისით, სწამდა თბილისი — უდაბნო დარდის; ასეთი იყო ღობალი მისი. დღესაც ასეთი მოკლული დადის...“ ყოველივემ შიგნით გადაინაცვლა, სულიერობის სფეროში, ყოველივე უხილავ ძალად ეღვრებოდა სულში, დედდებოდა და პოეზიის სიტყვასა და მუსიკაში. პოეზიის ფერსა და ბგერაში ითქვიფებოდა. შინაგანი მწუხარება სისხლს უფორიაქებდა, აღუგზნებდა ვნებებს, აღუგზნებდა გონებას, გამუდმებულ თვითშემეცნებაში რომ იყო ჩართული; განა სწორედ ამ დაძაბულმა და განუწყვეტელმა აზროვნებამ არ დაასვა დაღი მთელს მის არსებას, აზროვნების ეს უწყვეტობა არ წვავდა და არ უფერფლავდა ხორცს, აზროვნებისამ უწყვეტობამ არ დაურღვია და აუწეწა მთელი ფსიქიკა?!. მაგრამ განა ამავე ძალამ არ იხსნა მისი სული ცოდვისა და შებილწვისაგან, ამავე ძალით არ მიარღვევდა მისი პოეტური შთაგონება უხილავ სივრცეებს, ამ ძალით არ იბადებოდა მისი ლექსი ბუნებრივად, ყოველგვარი გამოგონებისა და შეთხზვის გარეშე?! არსებობის მიზნად ყოფიერებისა და საკუთარი თავის შემეცნება მიაჩნდა, მოხილვა იმ უსაზღვრო სივრცეებისა, სულს რომ პოეზიის უმაღლეს სფეროებს აზიარებდა, და, მისი ღრმა რწმენით, ადამიანურ სიცოცხლეს არც გააჩნია სხვა მიზანი, გარდა განუწყვეტელი ფიქრისა და თვითშემეცნებისა: „ღამე დიდი და გრძელი, ისევ უამინდობა. სხვაგან ვეღარ გავძელი, ისევ შენთან მინდოდა. და მზიანი დღე მიჰქრის და მე ასე ვეწამე. გავიარე ეს ფიქრი, გავიარე ეს ღამე“; „ასე დადიან ირგვლივ და ასე გადის წამი. ჩემი მდუმარე ფიქრი ტყვეა ცისფერი ღამის... ბაღში ქარია ისევ, ლექსი შეღება სისხლმა. ყოფნას ვიგონებ ისე, როგორც შორეულ სიზმარს...“ სწორედ თვითშემეცნების გზით შეიგრძნო, ყოველი ცოცხალი არსება რომ, ადამიანიც, მათ შორის, სხვა არსებათა არსებობასაც მოიცავს, ერთ მთლიან და განუყოფელ კავშირს რომ ამყარებს მთელ ბუნებასთან?! სხეულის იშვიათი გრძნობელობით განა ისიც არ შეუგრძვნია და არ შეუცვნია, ადამიანი ერთი მდგომარეობი-

დან მეორე მდგომარეობაში რომ მარტო სიკვდილის მერე კი არ გადადის, არამედ სიცოცხლეშიც მიმდინარეობს სიკვდილისნაირი ძვრები, სრულიად სხვა კანონზომიერებაში რომ გადაჰყავს ადამიანი?! ეს ყოველივე ცხადად უგრძვნია საკუთარ ტანში, ვით დედა გრძნობს, იქნებ ხედავს კიდეც, ჩანასახს საშოში... გაახსენდა. როგორ მოიწამლა ერთხელ ბავშვობაში, მოიწამლა თუ რაღაცამ დასცადა, ზუსტად აღარ ახსოვს, ორი თუ სამი დღე მკვდარივით ეძინა; გაღვიძების მერე სხვანაირი ეჩვენა შინაური გარემო, მთვარეულივით დაიარებოდა წალენჯიხის ველ-მინდვრებზე, დანგრეულ ნატაძრალებსა თუ ციხე-კოშკებში. ხშირად უგრძვნია იმ დღეებში, თითქო ტოვებდა საკუთარ ტანს და რაღაც უცხო გარემოში გადადიოდა, თითქო რომ ხედავდა კიდეც და ვერც ხედავდა, ტანითაც რომ გრძნობდა და სულითაც, თითქო იხსენებდა კიდეც რაღაც წარსულს და ვერც იხსენებდა... მერე და მერე თანდათან გაუხშირდა ეს ტანისმიერი და სულისმიერი ფერიცვალებანი და მისი არსებობის ჩვეულებრიობად იქცა. ასე გაეღვიძა მის არსებაში წინახილვის შეგრძნებას, ცნობიერ და არაცნობიერ თვითშემეცნებათა ერთობლიობის შედეგს; ამ წინახილვით არ განჭვრიტა განა ოდესღაც თავისი მომავალი ბედისწერა და ხვედრი, ამ წინახილვით არ ძალუძდა სხვათა ფიქრების წვდომა, უტყვ და მდუმარ საგნებში შეღწევა და მათი იდუმალი ცხოვრების პოეზიის ენაზე ამეტყველება, ამ წინახილვით არ იახლოვებდა დროსა და სივრცეს და მისტიური საბურველით მოსავდა?!. მისი თვითშემეცნების გზები, მრავალ ბილიკად დაქუცმაცებული, ერთიან უსაზღვროობაში აღიქვამდა ქვეყნიერებას, აღიქვამდა სასრულსაც და უსასრულოსაც, წარმავალსაც და მარადიულსაც, და ამ უხილავ საფეხურებზე ამავალ-ჩამავალი წუხდა, ისეთად რომ არ იცნობდნენ, როგორიც სინამდვილეში იყო, როგორიც შიგნით, როგორიც მისი ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრება იყო. თითქო მისი გარეგნული ცხოვრება არც კი შეესაბამებოდა მის შინაგან ცხოვრებას, ანდა, ვინ იცის, იქნებ ისე ღრმად და ძლიერადაც კი შეესაბამებოდა, სწორედ ამიტომ მიიჩნევდნენ შეუსაბამოდ. თავის შინაგან წუთისოფელს მხოლოდ თვითონ გრძნობდა, ყველაფრის მიზეზსაც და დასაბამსაც თვით იმეცნებდა საკუთარ თავში, სიხარულსაც რომ ანიჭებდა და მწუხარებასაც, ბედნიერებასაც და ტანჯვასაც. მისი შინაგანი ცხოვრება არ ემთხვეოდა ბრბოს წარმოდგენას მის გა-

რეგნულ ცხოვრებაზე და თვითშემეცნებაში ღრმად ჩანთქმულს, არასოდეს დავიწყნია გარემყოფი სინამდვილე, საკუთარი თავი ამ სინამდვილეში და საკუთარი მე — თვითშემეცნების ერთადერთი წრფელი და ჭეშმარიტად წამებული უხილავი მოწმე: „ძველი ფიქრები ისევ დგებიან, ალბათ ასეა ნება განგების. ცაზე ურიცხვი ვარსკვლავებია და ცა ინთება, როგორც სანთელი. ჩემს სურვილს ციხის კედლები ფარავს, ელავს თბილისი — შექი გაპმული. საკანში ბინდი შემოიპარა, სადაც მე ვზივარ სულგანაბული. მე სხვა ვარ, ხალხი სხვაგვარად მიცნობს და ჩუმად ვიტან წამებას ამდენს. სხვა ვინ მიხვდება, მხოლოდ მე ვიგრძნობ ჩემს დაფიქრებას გაქვავებამდე...“

ყოველთვის ღრმად სწამდა: როგორიც არის ადამიანის შინაგანი შეგრძნებები და განწყობები, რაც მთავარია, მისი შინაგანი აზროვნება, ისეთივეა მისი მრწამსიც, მისგან აღქმული საგანთა და მოვლენათა სამყარო, შორეულობის ის მხარე, გამუდმებით რომ მიელტვის; ნივთიერი ყოფა, სადაც ადამიანურ და სამართლიან არსებობას მიელტვოდა, ველურ ყიჟინასა და წყვდიადში გათქვეფილიყო, და ყოველნაირ საყრდენს მოწყვეტილს, რა უნდა ექნა, სად ეძია ის მკვიდრი და სამკვიდრებელი, ცოტა ხნით მაინც სულს რომ მოითქვამდა და შეისვენებდა?! ისევ საკუთარ სულში შეიჭრა და იქ ცდილობდა ღმერთთან გაწყვეტილი კავშირის აღდგენას, ზეციური მეუფების დამკვიდრებას, შორეული და უცხო სამყაროების მოხილვას. აკი წერდა კიდეც აკაკი ანდრიაშვილს: „ძვირფასო აკაკი! შენ თითქოს შორს ხარ და ამავე დროს ძლიერ ახლოს. ეს არის ის, რაც მეგობრობას ყოველთვის თან სდევს. მე ვის მივმართო, რომელ ადამიანს, სად არის ჩემი ხსნა! სხვა ვინ არის, ისევ საკუთარ სულში ვიხედები და ვგრძნობ ბედნიერებას. ვარ მე და არის ეს ძვირფასი ქვეყანა, ქვეყანა როგორც ბუნება და არა როგორც მექანიკა. მე ყოველთვის ვგრძნობდი შორეულ და მარადიულ სამყაროსთან ახლობელ კავშირს...“ განა მისი ლექსის ყოველი სტრიქონი მტანჯველი თვითგანსჯა და თვითშემეცნება არ არის, მისი არსებობის ძირის-ძირი მისივე სულიერი ცხოვრება არ არის, და ეს არსებობა განუწყვეტელ წამებასა და ლტოლვას, ქვეჩაბრუნებულ თვითჭვრეტას არ ნო

ვინც შეიცნობს, შეიცნობს სამყაროსაც, შეცვლის საკუთარ თავს, შეცვლის თავის დ.მოკიდებულებას ამ უცვლელი სიდიადისადმი, რითაც იქნებ სრულქმნილებასაც კი მიაღწიოს. გარესამყარო დაქუცმაცებულ-დანაფლეთებული შემოდიოდა მის სულში და აქ — ში მეში იკვართებოდა ერთიანი სახით, ცდილობდა აეხსნა ამ ერთიანი სახის იდუმალება, აეხსნა ადამიანის არსებობის აზრი სხვა გარემყოფ საგნებს შორის, ცდილობდა დაემსხვრია ხორციელებისა და მიწიერების ყველა კარიბჭე და თვითშემეცნებით მიგნებულ უხილავ სივრცეებში გ:ელწია: „უფსკრულია და უფსკრულში ვრჩები და ახლოა ქარიშხალი ისევ. სიჩუმეა და ვსაუბრობ ჩემთვის, მე ვსაუბრობ და კედლები მისმენს. ახლაც დაჰქრის, არ ეშველა ქარებს და კიდია შორს მდუმარე ზარი. მინდა ავდგე. გავიხედო გარეთ და გავაღო დაკეტილი კარი...“ ღრმად სწამდა: თუ საკუთარ თავს ვერ შეიცნობდა, თუ ვერ გაიცნობიერებდა თავის უსასრულო მეს, სამყარეულ მეში რომ იღებდა დასაბამს, ვერ შეიცნობდა სხვას, ვერ შეიცნობდა ქვეყნიერებას, ვერ შეიცნობდა ყოფიერებას, ვერ შეიცნობდა პოეზიის ღვთაებრივ მადლს; ჭეშმარიტებასაც და ცთომასაც სწორედ თავის თავში ეძიებდა, ერთადერთ და მარადიულ ჭეშმარიტებას, რისკენაც თვითშემეცნების დაუცხრომელი ძალა მიაქროლებდა: „ჩაესვენა სურვილების გროვა, როგორც შორი მირაჟების სერია. ახლა უფრო დაფიქრების დროა, ჩადენილი შეცდომები ბევრია... ო, ეს გული, ისევ გული მტკივა, სიჩუმეა უსიცოცხლო ველების. რანაირი ნაწამები მივალ, მიმაქვს ჩემი დაკრეფილი ხელები...“ ცხადად უგრძვნია წამები, გარინდებული რომ აყურადებდა საკუთარ არსებაში რაღაც უცნობ ხმებს,. რაღაც იდუმალ გამოძახილებს, უეცარი აგზნებისა თუ გარინდების იმ წამებს, როცა არ რჩებოდა არცერთი ღია ნაწიბური თვითგანსჯისა და ფიქრისთვის, როცა ქვეცნობიერის ბიძგები უფრო ადრე ეცხადებოდა ცნობიერებას, ვიდრე ისინი გონებამდე ააღწევდნენ; უძლიერესი მღელვარების მერე რომ გაირინდებოდა, ხორციელად დარღვეულისა და ქანცმილეულს, ვნებათა და სურვილთაგან დაცლილს, ყველაფრისადმი განურჩევლობა ეუფლებოდა, საკუთარ თავსაც ისე აღიქვამდა, გასხვისებულსა და გაუცხოვებულს, ვით მწირს — ოდესღაც გ:დახვეწილსა და დაბრუნებულს, ვისაც ვერ სცნობს სოფელი: „მოდის ახალი ფიქრთა კრებული, მე ვერ ვიპოვი ნამდვილ მეგობარს. მივდივარ ნელა გაჩუმებული და

ქარი მიწევს წინააღმდეგობას. ეს ჩემი სული მან ვერ გაიგო, მაინც დღეები ასე მიჰქრიან. მე ახლა ისეთ რამეზე ვფიქრობ, რაზედაც არავის არ უფიქრია...“ ზოგჯერ თვითშემეცნების ისეთი ძალა დაუფლებია, მისთვისაც რომ მოულოდნელი და გასაოცარი ყოფილა, დაუფლებია უსხეულო არსებობა და გამქვირვალედ დაუნახავს მთელი თავისი არსება, თავისი ცოდვიანობაცა და უცოდველობაც, ნიღაბს რომ ხსნიდა მის მწუხარე სახეს და საკუთარი მეს წინაშე გაშიშვლებულს აყენებდა. განა ყველაფრისაგან განწმენდილი თვითშემეცნება არ იყო მიზეზი ყველა მაცთუნებელი ვნებებისა და სურვილების დათრგუნვისა, პოეზიის ზეგრძნობიერ და ზეცნობიერ სფეროებს რომ აზიარა?! ამ გამქვირვალე სულით არ უმზირა წუთისოფლის დინებას, საკუთარ თავსა და ადამიანებს, მის არსებაში რომ იმ ძალას ავლენდა, რისი წყალობითაც ინარჩუნებდა თავის მეს, ინარჩუნებდა უდიდესი ტანჯვითა და წამებით?! მისი აწეწილი ნერვები და წმინდა სული ათასნაირ ფერიცვალებას განიცდიდა თვითშემეცნებისას, და ზოგჯერ ვერც გარკვეულიყო — თავად იყო ყოფიერება თუ მქვრეტელი ყოფიერებისა, თავად ფლობდა ნივთებს თუ ნივთები ფლობდნენ მას, მაგრამ ბოლოს მაინც ყველაფერი პოეზიად იღვრებოდა პერგამენტივით გაყვითლებულ ქაღალდზე, ეს ფსიქიკური და სულიერი ფერიცვალებანი არასოდეს ქცეულა მისი მთლიანი მსოფლმხედველობის დაშლისა და დაქუცმაცების მიზეზი. ყოფიერების ნივთებსა და მოვლენებს იმეცნებდა არა განკერძოებულად, არამედ ერთმანეთთან ბუნებრივ კავშირში, იმეცნებდა არა მარტო პირობითი სახით, არამედ აბსოლუტური სახითაც, და სწორედ ასეთი თვითშემეცნებით ათავისუფლებდა თავის ხილვებსა და წარმოსახვებს ვიწრო წარმოდგენებიდან და ყოფიერების ზოგად სფეროებს უკავშირებდა. რაც უფრო მაღლა მიიწევდა თვითშემეცნების უხილავ საფეხურებზე, მით უფრო მტანჯველი ხდებოდა მისი ცხოვრება, ის სატკივარი, პასუხს რომ ელოდა და მეტაფიზიკური რწმენის შედეგი უფრო იყო, ვიდრე რაიმე წინასწარ აჩემებული აზრისა. განა ასეთი რწმენა ხშირად თვით ცოდნასაც არ აღემატება, და განა თვით რწმენა შინაგანი ცოდნა არ არის, იდუმალი და დაფარული?!. მისი რწმენაც ხომ მისივე შინაგანი არსების თანდაყოლილი, ბედისწერით განჩინებულ ცოდნას ეუფლება, იმ ცოდნას, ყოველივე იდუმალისა და უხილავის შესაც-

ნობად რომ მიისწრაფვის, და ეს სწრაფვა სიხარულთან ერთად ტანჯვასაც რომ ანიჭებს. განა მთელი მისი წუთისოფელი, ვით წუთისოფელი ყველა იმ კაცისა, ვინც მცირე ხნით მაინც ჩაღრმავებია ცხოვრებისა და ყოფიერების აზრს, ტკივილითა და ტანჯვით არ აღესილა?! თუმცა იმედი ხსნისა არასოდეს დაუკარგავს... „ნეტარ იყვნენ მგლოვიარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იქმნენ...“ რამეთუ — „ცრემლოოდა იესოცი...“ ამიტომ უთქვამს ხშირად: „მე რომ ვატარებ წმინდა წამებას, ბევრია ამის მაგალითები!..“ როგორც კი შეაღწევდა თვითშემეცნების ეკლიან ლაბირინთში, ბინდი და მწუხარება რომ გამეფებულიყო, უმალვე უკუქცევის შიში იპყრობდა, იპყრობდა შიში ადამიანურ უძლურებათა გამო, და თითქო მოჯადოებული წრეში მოქცეულიყოს, რისი გარღვევაც არაფრით შეეძლო და უკუქცეული და ქანცმილეული ისევ სიმშვიდის, სიჩუმისა და დუმილის საუფლოს მიელტვოდა, პირველქმნილი და დაურღვეველი ცნობიერებით რომ შთაეგრძნო ბუნების, ანუ იგივე პირველ-სოფლის ღვთაებრივი მშვენიერება.

ხსოვნის წიაღს, შავ-მეწამულ სივრცედ რომ შედედებულიყო და გარინდებულიყო, მახსოვრობის ფარფატი აკრთობდა და ახმიანებდა, ხსოვნის ნაპრალებიდან აღშოცენებული ხილვები და მოგონებები ყვავილებივით ჭკნებოდნენ და იძინებდ.ენ სიჩუმის ფსკერზე, გარდასული და შორეული ზარების ექო კვლავ აცოცხლებდა და დუმილის უძირო ტბებში, ვით მარადიულ სიწყვდიადეში, ინთქმებოდნენ და იძირებოდნენ: „მეც მიცინია, მეც მყვარებია, ახლა რეკავენ სულ სხვა ზარები. მე რომ მაშფოთებს — ეს ზარებია, მოუსავლეთში მივემგზავრები...“ კამათლებივით ახმიანებენ ამ სიტყვებს სიკვდილის შავი ფრინველები ხსოვნის წიაღში და კვლავ აფხიზლებენ მძიმე და შორეული ფიქრებიდან. დაღლილი მზერით ჯერ ცას ახედა. უძრავ. ნაშუადღევის გადამელნისფერებულ ცას, გათენების მოლოდინში რომ სოფლიური სიჩუმე დაუფლებოდა, მერე ზარებს მიაშტერდა, ისინიც რომ რაღაც ავისმომასწავებლად და-

დუმებულიყვნენ, თვით სივრცეც. ცისა და მიწის შემაერთებელი, რაღაც შემაძრწუნებელ და სამარისებურ დუმილში ჩანთქმულიყო. მის არსებაშიც სიჩუმემ დაისადგურა, რაღაც იმქვეყნიურმა, სიკვდილმეუფების სიჩუმემ... და განა მთელი მისი წუთისოფელი დუმილი არ იყო — თვითშემეცნების ძე და შთამომავალი?!. დუმილში არ ახმიანებდა პოეზიის მუსიკას, ზეციურ დუმილს დაუფლებული არ დაეხეტებოდა მარტოობის ცივ უდაბნოში, შეითქვა საკუთარ თავთან, საკუთარ მწუხარებასა თუ სიხარულთან. დუმილში არ მიელტვოდა მესამე გზის ხილვასა და სულის უკვდავების დამკვიდრებას?!. ბაგემდუმარემ არ დათრგუნა ყველა ყოფიერი თუ ხორციელი ვნებები და სურვილები და შეინარჩუნა სულიერი უბიწოება, ბაგემდუმარემ არ შეიცნო განა საკუთარი თავი, ამაოებაც და იმედიც წუთისოფლისა, საკუთარი ხვედრი თუ ბედისწერა?!. გარინდებაში არ შეიგრძნო მისტერიული ლტოლვა მზისაკენ, ვით პირველ-სოფლის უხსოვარი სინათლისაკენ, გარინდებაში არ ცდილობდა აეხსნა სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოება, მიეკვლია უკვდავების ცისფერი მხარისათვის, შეეცნო პოეზიის ჯადოსნური მისტიურობა?!. დუმილში იწამა სიცოცხლე სხეულის გარეშე, ხიჩუმეში ელოდა ქრისტეს ლანდს, განსაცდელისაგან რომ დაიხსნიდა, მიელტვოდა ყოველ არსში დაქუცმაცებასა და განსულიერებას, ელანდებოდა სიცოცხლისა და სიკვდილის მიღმა არსებული უხილავი და იდუმალი გზა. სწორედ სიჩუმისა და დუმილის ზეგრძნობიერ წამებში ჩაესახა სულში „გულიდან სისხლის წვეთები“, მთელმა მისმა გრძნობამ და აზრმა, მთელმა მსოფლმხედველობამ ერთ შენივთებულ წერტილში რომ მოიყარა თავი, სხივებად რომ იფანტეპოდნენ და ლექსებში პოულობდნენ სამუდამო ნავსაყუდელს... „მე ვწერ ამ სტრიქონებს ქარიან ღამეში, როდესაც წვიმის წვეთები ეცემიან ფინას და როცა სიშორეზე ტირის როიალი. მე ახლა მაგონდება ჩემი ცხოვრების ქარიშხლიანი დღეები და სინანულის ურუანტელი მივლის, თანაც მიხარია, რომ ვარ ტერენტი გრანელი. წინ უფსკრულია და შავი ნისლი მახვევია ირგვლივ. მე ქვეყნის გაჩენიდან ნელა მოვდიოდი სინათლისაკენ, რომ მეხილა შზე. ალბათ მიზიდავდა შორეული და უხილავი. მოველი ადრე. და ახლა ისევ ვუახლოვდები სიბნელეს, როგორც ზღვას, სადაც სამუდამოდ ჩაიძირება ჩემი სხეული. ყოველ ღამეს მოაქვს

ფიქრი სიკვდილზე და სიშორეზე. და მეშინია... ვფიქრობ: მოვა წამი, როცა არ ვიქნები ცოცხალი. მაინც მჯერა ჩემი უკვდავება. მე პოეზიამ მაგრძნობინა, რომ სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე სული. ქარიშხლიანი ღამეა და მინდა ვიყო სხვაგან. პოეზიამ იცის უეცარი სიხარული, რომელიც უდრის გაფრენას. მე არ მინდოდა სიცოცხლე. არც სიკვდილი. მე რაღაც სხვა მსურდა. ახლაც ვფიქრობ და მწამს მესამე გზის არსებობა, როგორც იდუმალების. მე ისევ ვდგავარ მარადისობის გარინდებულ საზღვართან, ვით მგლოვიარე სერაფიმი და ველი ქრისტეს ლანდს, რომელიც დამიხსნის მე განსაცდელისაგან. და მჯერა სიცოცხლე სხეულის გარეშე. მე მივმართავ მთელ მსოფლიოს შემდეგი სიტყვებით: მე მინდა გაფრენა. მე მინდა ყველგან ვიყო, როგორც ღმერთი. ჩარჩენილი ვარ ბავშვივით ამ ცოდვილ ქვეყანაზე და არ ვიცი როგორ ამოვიდე იმ ტალახიდან, რომელსაც ეწოდება მიწა. არა სიცოცხლე. არა სიკვდილი. არამედ რაღაც სხვა. ვამბობ: არ არიან სიტყვები გრძნობისათვის... გარეთ ისევ ქარიშხალია, წვიმის წვეთები ისევ ეცემიან მინას და ისევ სიშორეზე ტირის როიალი...“

საწუთროება გლოვაა, შინაგანი და გამოუთქმელი, წრფელი გლოვა; საწუთროება წამებაა, შინაგანი და გამოუთქმელი, წრფელი წამება; საწუთროება დუმილია, შინაგანი და გამოუთქმელი, წრფელი დუმილი: „ჩემი ცხოვრების საგანი გახდა გლოვა, დუმილი და გაწვალება...“ დუმილი — ფიქრია, შესაკრებელია ფიქრისა, შენივთებაა ფიქრისა, უძლიერესი გრძნობელობის შეჩერებაა, დიდი მწუხარებაა, ჩუმი და გამოუთქმელი წრფელი მწუხარება: „და უდიდესი გრძნობის ნიშანი არის დუმილი და გარინდება“, „ალბათ ეს გრძნობა მალე დამაღრჩობს, ვიგრძნობ ყველაფერს და გავჩუმდები...“ დუმილი ფიქრის სამშობლოა, მისი ჩასახვისა და აღმოცენების მიუვალი ალაგია, ხსოვნაა და მახსოვრობა, შორეული წარსულის გახსენებაა, იმ უხსოვარი წარსულისა, ოდესღაც რომ ცხოვრობდი, მაგრამ ბედისწერის წრებრუნვამ ისევ მოგავლინა და მიგაჯაჭვა ყოველივე მიწიერს, კვლავ მოგივლინა მწუხარების შავი დემონი: „გარშემო ზამთრის თეთრი არეა, მოვიდა ფიქრი და გამარინდა. ჩემთვის სამშობლო ხომ სამარეა, ვეძახი დედას მე სამარიდან. სჯობია წასვლა, სიმშვიდე არ მსურს, დღენი მიდიან და მზეა ცაზე. მე ახლა ვსდუმვარ, ვი-

გონებ წარსულს, მე ახლა ვსდუმვარ და ვწუხვარ ასე...“ როცა სული მღვიძარებს და იწვის, ბაგე დუმს, რამეთუ დუმილი — სასტიკი მისტერიაა სიხარულისა და მწუხარებისა — ...„აწ სული ჩემი შეძრწუნებულ არს და რაჲ-მე ვთქუა?..“ ასე ეუფლება სული უცოდველობას, ასე ეუფლება სული თავის თავს. რაც უფრო ღრმად ინთქმებოდა დუმილში, უფრო მეტად იძირებოდა საკუთარ არსებაში და ამოჰქონდა იქიდან მარადისობის თეთრი ყვავილები, პოეზიის ქარიშხლებსა და მუსიკაში მოლივლივე, ამოჰქონდა სული — ცისფერი და სოფლიურ სიჩუმეს ზიარებული, ამოჰქონდა სიყვარული, ყველას და ყველაფერს რომ ეკუთვნოდა, ხოლო ცალკე — არავის. განა დუმილი სიყვარული არ არის, საუფლო სიცოცხლისა და ბედისწერის იდუმალი მოძრაობისა, მეუფება სიკვდილისა და მარადიული სიმშვიდისა?! დუმილი — უხილავი კავშირია ამჟამინდელი ყოფისა და პირველ-სოფლის უძრავი სიმშვიდისა, მისი თანხმიერებისა და გამჭირვალობისა, ლტოლვაა მარადიული სიჩუმისაკენ: „იყო სიჩუმე, სამი წერტილი, მას შემდეგ ბევრი ხანი გავიდა. ახლა შორს ელავს ცა მოწმენდილი და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან. ალბათ ივნისი დადგება მალე, დღეს ხომ მაისის ოცდაშვიდია და მენატრება ისეთი მხარე, სადაც დუმილი და სიმშვიდეა...“ დუმილის ხელშეუხებელ საუფლოში ინარჩუნებდა სულიერ სინათლესა და სათნოებას, გულის სიწრფელეს, უხმობდა ჭეშმარიტების შორეული გზები, უცნობი სამყაროებისაკენ რომ მიაქანებდა. დუმილი ჯავშანი იყო მისთვის, გაუმტარი გარსი, ნივთიერი ყოფის შემოტევებისაგან რომ იცავდა სულს, მუდამ ერთგულ დარაჯად რომ ედგა გვერდით და მხოლოდ იმას ატარებდა მის გაუმჭირვალ არსებაში, რაღაც დიადთან და ზეციურთან რომ აკავშირებდა და იტანჯებოდა ამ კავშირით, საკუთარ სინდისსა და სიმართლეში გამდნარი და განმარტოებული: „რა ვქნა, ვერ ვუძლებ ამნაირ წამებს და იმედისთვის არ მყოფნის ძალა. და ვარსკვლავების მზიდველი ღამე მძიმე ქვასავით ეცემა ქალაქს. ის იღუპება, მას არ უვლიან, ქვეყნის სიმძიმე მის გულს მოება. და სიჩუმეში დაფარულია ჩემი სიმართლე და სათნოება. ქრიან ქარები ასე უსახო, მოსჩანს ვარსკვლავი, როგორც ობობა. ჩემს მწუხარებას ზრდის სატუსაღო და ვგრძნობ საშინელ უმეგობრობას...“ დუმილში ეუფლებოდა ზემიწიერი, ცისფერი სიცარიელე, ზეშთაგონებას რომ

აღუნთებდა და პოეზიის ცეცხლში ფერფლავდა, წყდებოდა მიწიერ ყოფას და ბუნების უსასრულობაში ითქვიფებოდა: „თითქოს ჩემი წამება შორს წაიღეს ქარებმა. ახლა შავი ღამეა, ღამე და მწუხარება. და ფიქრები მიდიან, და გაქრება ეს ხანა. მე ვარ და დუმილია და ცისფერი ქვეყანა..“ დუმილი ხომ მისი განუსაზღვრელი და შეუცნობელი პირველარსია, ქვეყნიერების კანონზომიერი მეუფე და წესრიგი, სამყაროს არსებობის კანონია, განა სწორედ მდუმარებაში არ ძალუძს კაცს შეიცნოს სამყაროს ჭეშმარიტი სახე, მისი დასაბამი, მისი უცვლელი ცვალებადობა?! თუმცა დუმილისა და შემეცნების ეს წამები მტანჯველია და მარტოობის უდაბნოში უჩინარდებიან, კვლავ აღდგებიან, იმედსაც რომ დაეუფლონ და უიმედობასაც, ხსოვნასაც და მოლოდინსაც, სიწყვდიადესაც და სინათლესაც, დაეუფლონ სიჩუმეს, ნეტარი თვითგვემით რომ გაიკაფონ გზა ამ ამღვრეულ წუთისოფელში: „მე ქუჩაში ვარ, ისევ ღამეა და ქრიან ღამის შავი წამები. და გარინდების წყნარი წამია, ამგვარ წამებას მივესალმები“ „ახლა თოვლია, ახლა ჩემს სულში კვლავ დუმილია და ნეტარება“, „და მიხარია, დღეს რომ ვარ ასე, და მიხარია, რომ ვარ მდუმარე...“ დუმილში აყურადებდა ნივთიერი ყოფის წარმავალ დროსაც და უსასრულობის მარადიულ დროსაც, დროის ცვალებადობასაც და უცვლელობასაც, თავის შინაგან განცდებსაც და უძლიერეს გრძნობელობასაც, ფიქრისა და აზრის განუწყვეტელ ღვიძილს, სულიერ წვასა და პოეზიის იდუმალ მუსიკას: „და საუბარზე უფრო დიდია, ეს დაფიქრება და ეს დუმილი“, „დრო ასე მიდის, სულ მიდის, გულმა ტირილი ინება. დუმილი, ისევ დუმილი, დუმილი და მოთმინება...“

დუმილი და სიჩუმე ხომ ერთი დედის საშოდან ნაშობი ტყუპი დები არიან, განუყოფელნი და განუთიშველნი; დუმილს ზეციური ქვეყნებიდან მონაბერი სიჩუმე აღუძრავდა და არინდებდა, ხოლო სიჩუმეს — დუმილი და გარინდება. დუმილი ხომ შინაგანი, ბუნებითი სიჩუმეა, დიადი განუთქმელობაა, ყველა ქადაგებაზე წრფელი და შთამბეჭდავი. სიჩუმე ხომ დაა მისი — უნაზესი და მარადიული: „ცოდვილ დასავით მიგაჩნდა ალბათ სიჩუმე — თეთრი და უწმინდესი...“ მიწიური უფსკრულებიდან ამოვარდნილ გრიგალს მისი გული სადღაც მიჰქონდა და იტანჯებოდა უსიცოცხლო და აკვამლური ველებით შეძრწუნებული, ხოლო

სული, ფაქიზი და სათნო სული. საყდრულ სიჩუმეში იმქვრეოდა და უჩინარდებოდა, ნათლისმცემელივით გულხელდაკრეფილი მიმოდიოდა მარტოობის უდაბნოში და შორეული ფიქრებით დაღლილი, მარადიულ დასვენებას ნატრობდა. ზოგჯერ კი ისე ჩაესმოდა ყურში ირგვლივ დასადგურებული სიჩუმე, „როგორც ქალწულის მძიმე გოდება“ და ცხადად გრძნობდა, როგორ უახლოვდებოდა მის სიცოცხლეს ჩონჩხადქცეული სიკვდილის აჩრდილი. თუ გრიგალი და ქარიშხალი უთანხმოებაა, სიბობოქრე და მშოთვარებაა სიჩუმე — კოსმიური და მარადიული სიმშვიდეა, გრძნეული გარინდებაა, ზეშთაგონებაა, თუმცა ხშირად აუხსნელიცაა და განუმარტავი: „ფიქრი გარინდების რის ნიშანია?!“ გამუდმებით ეძიებდა საკუთარ არსებაში სიჩუმისა და გარინდების მიზეზებს, სად გაედგათ ფესვები, რა იყო მათი ამძრავი ძალა, ხან რომ დალანდავდა მათ პირველ მიზეზებს და შეიგრძნობდა, ხანაც დაეკარგებოდა თვალსა და ხელს შუა და უშედეგო ძიებით დაღლილს, ისევ სიჩუმე და დუმილი ეუფლებოდა, თეთრი,. უსაზღვრო სიჩუმე, თვითშემეცნების მტანჯველ წამებს რომ აზიარებდა. ხილვად და მკვრივ საგნებსაც კი სიჩუმის საბურველით მოსავდა, მერე სიჩუმით გაიდუმალებულ საგნებს მისტიურ საუფლოს აზიარებდა, ბოლოს თვითონაც სოფლიურ სიჩუმეში იკარგებოდა, ყოველნაირი ხორციელობისაგან გაძარცული: „ჩემი სული სიზმარია, ბედზე დარი მივატოვე. და მე ასე მიხარია სიჩუმე და სიმარტოვე. დღესაც ბაღში ვიმალები, როგორც თეთრი მდუმარება. და მიზიდავს გრიგალივით სიჩუმე და მწუხარება. მაღლა თეთრი თავანია, გლოვა ისევ აინთება. ახლა ჩემი სავანეა სიჩუმე და გარინდება. გული შენთან მეგონება, ეს ვარდია დაფენილი. ასე ჩნდება მოგონება ზარის ხმაზე გაფრენილი. სადღაც მკრთალი მიდამოა და ცისფერი მოჩვენება. და მწყურია სამუდამო სიჩუმე და მოსვენება. ღამის მიერ შენაფერი მე ვედრებაც მივატოვე. და მგონია ყველაფერი სიჩუმე და სიმარტოვე...“ სწორედ ამ უსასრულო სიჩუმესა და სიმარტოვეში აღეძვროდა ზეცნობიერი ხილვები, ექსტაზური ზეშთაგონება — პოეზიის თვითმბადი დაუშრეტელი ძალა. სწორედ დუმილში აღწევდა იმ სისხამ და შეუმღვრეველ თვითშემეცნებას, მასაზრდოებელი ძირი რომ არის პოეზიისა, ლოცვისა და ვედრებისა, სინანულისა და მონანიებისა, შენდობისა და მიტევებისა, დუმილში იტანჯებოდა და ითმენდა

ყოველივეს, უცრემლოდ მისტიროდა თავის გაუხარელ წუთისოფელს, კვდებოდა და ცოცხლდებოდა, უხმობდა ზეციურ მეუფებას, რომ შერწყმოდა და სამუდამოდ შენივთებოდა უსასრულობის სამკვიდრებელს. დუმილის განცხოველებულ ხატად შორეული პირამიდების კოსმიური გარინდება ესახებოდა, ამ გარინდებიდან მობერილი გრიგალი რომ შორს — სიჩუმის სამყაროებში მიაქროლებდა: „სევდიან სარკეში და უცხო ღამიდან სანთლებით მისდევენ ყვავები ამ აპრილს. პოეტს გარინდებულს, როგორც პირამიდას, ზარების ტირილში გრიგალი გამაფრენს. გუმბათებს აკივლებს ხატების ანთება, ჰაერში ირხევა ფრთები ანგელოზების. სამრეკლოს წუხილი რომ გაიფანტება, ტაძარაში შევდივარ მწუხარე ლოცვებით...“ განა ყველა დიადი აზრი მდუმარებაში არ იბადება, სული მდუმარებაში არ მღვიძარებს და ხარობს, ცდილობს მიუღწეველის მიღწევას, სამყაროს მიუწვდომელი სფეროების წვდომას?! დუმილში არ იღება დახშული ბჭე ღვთაებრიობისა, სულიერობის და სათნოების ის უხილავი ბჭე, საიდანაც ღმერთისა და რაღაც მესამე არსებობისაკენ მიმავალი გზა იწყება?! დუმილში არ მიმოიძროდა მისი ფიქრებისა და ხილვების განუწყვეტელი ფერიცვალობა, მეტყველი და მრავლისმთქმელი სიჩუმე?! სიტყვა ხომ ჭონაა დუმილისა, მის საშოში ჩასახული და აღმოცენებული, სიტყვა წარმავლობაა, მხოლოდ დუმილია მარადისობა და წარუვალობა. და ისიც დუმდა, ზემიწიერ დუმილში რომ მაინც დაუფლებოდა იმას, მიწიერ ხმაურში რომ ვერ მიაგნო და ვერ დაეუფლა. ასე გადიოდა დრო და დუმდა, დუმდა მოწამებრივი დუმილით, შეუცვლელი ბედისწერით დაღდასმული: „ღამეა, ქარი, ჩუმი ოცნება, ეს დუმილია და გაოცება. ღამეა, ცივა, ვზივარ ღუმელთან, ეს დუმილია და გაჩუმება. ღამეა, მინდა სულის დალევა, ეს დუმილია და გაწვალება. ღამეა, ცეცხლი უფრო ინთება, ეს დუმილია და გარინდება...“

დუმილში იმეცნებდა წუთისოფელს, სიცოცხლესთან რომ ახლოვებდა, სიკვდილთან რომ ანათესავებდა; სიკვდილისნაირი განცდებიდან და შეგრძნებებიდან მობრუნებულს, უჭირდა ნივთიერ ყოფაში არსებობა, სიკვდილის უხილავი სამყარო უფრო მიმზიდველად ეღიმოდა. თუ დუმილის თვითშემეცნებაში ხშირად ზეციურობის უმაღლეს სფეროებს სწვდებოდა, ზოგჯერ მიწასაც უბრუნდებოდა და მიწიურ საუფლოს დასტრიალებდა თავს, მაგრამ მის-

გან უკუქცეულს უმალვე აღძვრია სურვილი გასცლოდა მიწას, გასცლოდა ველურ ყიჟინას, სული რომ ხრწნისა და დაღუპვისაგან ეხსნა. დუმილის ამ თვითშემეცნებაში გადიოდა დრო, გადიოდა დღეები, წუთები, წამები, მდუმარებასა და სიჩუმეს დაესადგურებინა ყველგან და ყველაფერში: „მდუმარება მთელ სამყაროს იცავს, სადღაც კენტად ჩაიარა ვაჟმა. მე ოცნებით მოვშორდები მიწას, გული იგრძნობს მარადიულ ლაჟვარდს. მე, ძვირფასო, უფრო გული მტკივა. ისევ მინდა ჩავიარო დაბლა. ქარი არ ქრის, ფიქრიანი ლოდი ადევს მივიწყებულ საფლავს. თეთრი დღეა და ბაღია იქით, ვზივარ, არის გული და ოცნება წმინდა. დავიღალე შორეული ფიქრით და ძვირფასო, დასვენება მინდა..“ განა მთელი მისი ლტოლვა, გარეყოფასთან უთანხმოებით რომ აღძრულიყო, საუკუნო სიმშვიდეს მოწყურებული ადამიანის ლტოლვა არ იყო უშფოთველობასა და სიჩუმისაკენ?! განა სიმშვიდის დასაუფლებლად არ აირჩია გარეუბნებში განუწყვეტელი ხეტიალი?! განა საკუთარ სულიერ წიაღში არ მიელტვოდა სიმშვიდეს?! სული ხომ ყველაზე იდუმალი და ჩუმი თავშესაფარია, ხორცი კი — სნებისა და დაღლილობის ჭურჭელია. განა დუმილი მხოლოდ წამიერი გარინდებაა?! წარმავალი და წარუვალი დროის გზაჯვარედინია, ზეციური სიმშვიდის საუფლოა მაგრამ სწამს, შეწყდება თუ არა ველური ყიჟინა და შეშლილთა ხომალდსაც აქაფებული ზღვა შთანთქავს, წარმავალი დროც წარიხოცება და ადამიანთა ცხოვრებას მხოლოდ მარადიული დრო და ზეციური სიმშვიდე დაეუფლება. მხოლოდ სიჩუმისა და ზემიწიერი დუმილისაკენ ლტოლვას უნდა ეხსნა სულიერი რღვევიდან, სწორედ სიჩუმესა და შინაგან სიმშვიდეს უნდა ეხსნა მისი სულიერი სიმართლე და უბიწოება, დუმილის გაუმტარ გარსს უნდა დაეცვა მისი პოეზია ველური ნატერფალებისაგან, შემოესაზღვრა მისი ზეგრძნობიერი მარტოობა, დუმილს უნდა აღეძრა მის არსებაში ის უხილავი და ნისლიანი ხილვები, სულს რომ მარადისობის სივრცეებს, საუკუნო სიმშვიდეს აზიარებდა ...„ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქუეყანაჲ...“ მის დუმილსა და სიჩუმეში განა მხოლოდ წუთისოფლის ქარები ქროდა, მხოლოდ მიწიერ ტანჯვასა და წამებას დაესადგურებინა?! — „და მოვა ღამე — სევდის ნიშანი, ისევ დუმილის წამი გამეფდა. მე განვიცადე ეს ქარიშხალი, მე განვიცადე დიდი წამება.“, „ჰა, საღამოა, შუქი ინთება, სა-

ღამო ისევ მიწას მოება. ძვირფასო, თითქოს ეს გარინდება ნიშნავს გრიგალის მოახლოებას...“ — იმქვეყნიური სიცარიელის ნისლიანი უფსკრულებიც ილანდებოდა, არყოფნის კოსმიური სიჩუმის ქარიც ქროდა, საგნების უხილავ ნაწიბურებს რომ ჭვრეტდა. უსმენდა ღმერთის დუმილს, აყურადებდა იდუმალ გზას, პირველ-სოფლის უბიწოებისაკენ რომ მიაქანებდა სულს. დუმილი ხომ ბუნებითობასთან შერწყმა და მორჩილებაა, პირველქმნილი სიჩუმისა და სიმშვიდის დაუფლებაა, ღვთისაგან ბოძებული განძია, ბუნების გარდასახვათა წამიერი შეჩერებაა, შინაგანი გულისთქმა და ძახილია. სამყაროული სიჩუმის იდუმალი მოძრაობაა. დუმილს ისე დაესადგურებინა მის სულში, ვით სიჩუმეს — მიუვალ უფსკრულეთში, შემზარავსა და სასტიკს. მთვლემარ სულს რომ უფხიზლებდა და უფერმკრთალებდა. სიჩუმე ხომ დიადი საუფლოა დუმილისა, უძრავად რომ იძვრიან ცთომილები და პლანეტები, ღამეული ლოცვაა, იჭვი და ფიქრი, შიში და გაოცება რომ ‘განივთებულა ერთად: „წამების წამი დადგა, ნუთუ იღბალი არის. ერთად მიდიან სადღაც ღამე, მთვარე და ქარი. როგორც საღამოს ლოცვა, დადგება მთაზე ნისლი. მიყვარს ღამეში. როცა ფოთლის შრიალი ისმის. მაშინ ვეძლევი დუმილს, ქვეყნის გაჩენა მიკვირს. ისევ ღამეა ჩუმი, მესმის ტირილი სკრიპკის...“

დუმილში შეიგრძნობდა და შეიცნობდა ბუნების ცხოველმყოფელ დუმილს, მის სიდიადეს და სიმშვენიერეს, მის პირველქმნელობასა და პირველმიზეზებს: დუმილში აყურადებდა ბუნების ღვთაებრივ სიჩუმეს, მის შინაგან ხმიერებასა და გარდასახვებს. მის ფერსა და ბგერას, ბუნებისაგან სწავლობდა დუმილის ხელოვნებას; „სდუმან ეს მთები, მეც ვსდუმვარ აგრე, შენ ქვეყნის მზერა ისევ გაცინებს. ღმერთო, რამდენი ფიქრები გაქრნენ, ღმერთო, რამდენი დრო გავაცდინე...“ ყოველი მოვლენა ბუნებისა ხომ სასწაულია, სასწაულია არსებათა ჩასახვა და აღმოცენება, მათი სიცოცხლე და კვდომა მათი ბუნებითი კავშირი ბუნებასთან, სასწაულია მზისა და ვარსკვლავთა არსებობა. წყალთა და ველთა არსებობაც სასწაულია. შეუცნობელი და მიუწვდომელი არ არის გონებისათვის?! თვით ბუნება განსასწაული არ არის, შეუცნობელი და აუხსნელი მისი იდუმალი ფერიცვალებანი?! ჭიანჭველაც ხომ სასწაულია ბუნებისა, სწორედ ახლა ამ

წამს რომ მის ხელზე დაფუსფუსობს, მუშაკობს და არავითარ საზღაურსა და ჯილდოს არ ითხოვს, ცხოვრობს თავისთვის და არის, ბუნების პირველარსს შეზრდილი და შეთვისებული. განა თვითონაც ბუნების შვილი არ არის, მისი ბუნებრივი ამონიზარდი, ვით ყვავილი ველისა, და რად იტანჯება ასე მწარედ, რად არ ძალუძს არსებობა ისე უბრალოდ და მარტივად. ვით ჭიანჭველას?! ის-ც ხომ ჭიანჭველასავით ცოცხალი არსებაა, ბუნებისაგან შექმნილი?! ერთი ხელის განძრევა კმარა, მკვლელი და წარმხოცველი რომ გახდეს სიცოცხლისა. განა მისი სიცოცხლეც, მისი ბედიც, ვით ბედი და სიცოცხლე ჭიანჭველასი, რაღაც უხილავ ძალას არ უპყრია, ისიც ვიღაცის უხილავ სხეულზე არ მიმოიძვრის?! მაშ, რად არის მტერი ჭიანჭველასი?! რა არის და სად ძევს ამის მიზეზი?! იქნებ დაშორდა ადამიანი ბუნებას, გამოეყო და აუმხედრდა კიდეც თავისი მძლავრი ცნობიერებით, შემეცნების განსაკუთრებული მოვლენით, და ბუნებამაც დასაჯა ადამიანი, დასაჯა ბუნებასთან გამუდმებული უთანხმოებით, რითაც შიშიც ჩაუნერგა, უძლურებისა და უმწეობის შიში, და რწმენაც, მარადიულობისა და სულის უკვდავების რწმენა?!. მის არსებაში ხომ თვით ბუნება იძვრის და ცოცხლობს, და ამიტომ ეძიებს საკუთარ თავს ბუნებაში, ეძიებს ბუნებას, ვით გადახვეწილი ძე — დავიწყებულ დედას და სახლ-კარს: „სხვა ვინ არის, ისევ საკუთარ სულში ვიხედები და ვგრძნობ ბედნიერებას. ვარ მე და არის ეს ძვირფასი ქვეყანა, ქვეყანა, როგორც ბუნება და არა როგორც მექანიკა. მე ყოველთვის ვგრძნობ შორეულ და მარადიულ სამყაროსთან ახლობელ კავშირს...“ „გათენდა. მივდივარ ობსერვატორიის ბაღში. ბაღი ამწვანებულია, მოლი გაშლილია გარშემო ხავერდით. ვსეირნობ, როგორც უზრუნველი... მე ვჯდები სკამზე და ვფიქრობ დავიწყო მუშაობა სადმე ბაღში და უფრო დავუახლოვდე ბუნებას...“ „და მიხარია, რომ ხეა ირგვლივ და ჩემს გარშემო რომ ყვავილია...“ ბუნება ხომ ერთიანია, დაუქუცმაცებელი, განუყოფელი: ამ ერთიანობის ხილვა ეწადა, მისი მაღალი და დაბალი საფეხურების წვდომა და გაერთიანება. ამიტომ ანაწევრებდა ფიქრებს, ერთ სიბრტყეზე რომ დაელაგებინა მიწიური და ციური საგნები, სიმრავლესაც ისე აღიქვამდა, როგორც ერთს, ბუნების მთლიანობის ძირსა და დასაბამს. კარგად უწყოდა ძველთაძველი სიბრძნე, ადამიანს რომ ბუნებასთან თანხმიერება და მისი მორჩილება მართებს, ვით მორჩილება გარდუვალი ბედისწერისა;

ვინც აღუდგება ბუნებას, უეჭველად დაიღუპება. ამიტომ მიელტ-ვოდა ქალაქის გარეუბნებსა და ბაღებს, ვით შემცირებულ ბუნე-ნებას — „სული — ლაჟვარდი, ბაღი — ბუნება," — იქ რომ სულიერ წონასწორობასა და სიმშვიდეს დაუფლებოდა. მაგრამ ამ ბაღებს თითქო დაეკარგათ მის თვალში ხილული სახე და რაღაც არამიწიუ-რი, მისტიური სახე მიეღოთ, ალბათ ისეთი, ოდესღაც რომ ჰქონდა ბუნებას, ოდეს მშვიდი და ნეტარი სიცოცხლით იძროდა და ფოფი-ნებდა. ბაღი ხომ ცხოვრებაა, წუთისოფლის დამღლელი გზაა, ხან ბნელი უდაბნოა, ხან მზიანი ედემი, ხან სავსეა, ხან ცარიელია, ხან მწუხარე და სევდიანია, ხანაც ხალისიანი და განათებული; ბაღი — ცისფერი მეუფებაა სულისა, სულის ნავსაყუდელია, პირველ-სოფ-ლის იდუმალი ალაგია, ლანდებისა და ჩრდილების საუფლოა, ასტ-რალური მეუფებაა; ბაღი — უხსოვრობაა, გარდასულის გახსენებაა, ღვთიური უქმობა და სიმარტოვეა, მარადიული სიმშვიდის ალაგია; როგორც კი მარტი დადგებოდა, გაიხდიდა პალტოს და თეთრი პე-რანგისამარა, ია-იებით ხელში, გამოეცხადებოდა თბილისის ბაღებს, პირველმა მე უნდა მოვიყვანო თბილისში გაზაფხულიო. და დაია-რებოდა ქალაქის ბაღებში, ხან მწუხარე, ხან ბედნიერი, უშუალოდ სურდა შეეგრძნო მთელი ძალმოსილება ბუნების იდუმალი სიმშვე-ნიერისა: „შეიძლება ჩემი მწუხარების მიზეზი უხილავი ბაღების სილურჯე იყოს", „რა ვქნა, მე ვერსად ვერ მოვისვენე, შევდივარ ბაღში სიმშვიდისათვის", „ისევ ფიქრში ვარ, ქრიან დღეები, დავ-ტოვე ქუჩა, ხალხი, პროსპექტი, მე ისევ მიყვარს ბაღის ხეები. მე ისევ მიყვარს კვიპაროსები", „ის უკვე გაქრა, რაც უწინ მსურდა, რა ვქნა, ლანდივით მზეში გავიარ. ღმერთო, ეს ბაღი ახლოა სულ-თან, ეს ბაღი სულის ნათესავია", „და ვფიქრობ: სადღაც უხილავ ბაღთან დღეს ჩაიარეს უცნობ ქალებმა", „ასე ნელა გავიარე ბაღი, ასე ნელა ჩამოვშორდი ყველას", „იქ დუმილია შორეულ ბაღის", „და ჩამქრალ ბაღის სივრცე ფარავდა ბნელი ფოთლების იდუმა-ლებას", „გულიდან ისევ სისხლი იქცევა და ირგვლივ ბაღის ლურჯი სივრცეა", „ფიქრისთვის ძალა შემწევს, მიმაქვს ფონება საღი. ისევ იშლება ჩემს წინ დილის ცისფერი ბაღი", „იყო საღამო და მომა-გონდა, ის ბაღი, სადაც მე ვკრეფდი ყვავილს. მე მაშინ თითქოს გული არ მქონდა, მე მაშინ თითქოს აღარ ვიყავი", „მახსოვს ამ ბაღში უწინ ვიყავი, როდესაც კრთოდა კვირა მზიანი, „სდუმს სადღაც ბაგე შორეულ ბაღში", „მიტოვებული ბაღი კიოდა, დაჰ-

ქროდა ლურჯი სურნელი კვირის...“ ბაღი-ბუნება შიშითაც აღავსებდა და სიხარულითაც, სიმშვენიერითაც და მწუხარებითაც, და მაინც მიელტვოდა მას, ბუნების იდუმალი ძალები საკუთარი ტკივილების სალბუნად რომ გამოეხმო, ამიტომ ასულიერებდა ბუნების ყოველ საგანს, ამიტომ აადამიანებდა ყოველ არსებას, ამიტომ ანიჭებდა მათ სიცოცხლისა და მოძრაობის უნარს და, პირველყოფილი ადამიანის მსგავსად, ქიმერათა უსასრულო სამყაროში ცხოვრობდა. მაგრამ ბუნება თითქო დუმდა, თითქო უგრძნობი რჩებოდა მისადმი, რადგანაც ის, რაც მას აწუხებდა, ბუნებას არ აწუხებდა, არ აწუხებს ბუნებას ყოფნა-არყოფნის მარადიული სატკივარი, ბუნება არ იტანჯება წარმავლობისა და სიკვდილის შიშით. ბუნება არის და მეტი არაფერი, არის თავის თავში, თავის უცვლელობასა და მარადიულ ფერიცვალებაში. წუთისოფლის ამაოებით გულაცრუებული, ბუნებაში ეძიებდა შვებასა და ხსნას, ბუნება ესახებოდა სულიერ განცდათა მესაიდუმლედ და თანამგრძნობელად, ბუნებას უზიარებდა ფიქრებსა და ტკივილებს, თანალმობასაც მისგან მოელოდა: „ძვირფასო ხეო, შენ მოგეყრდნობი, ძვირფასო ხეო, რამე მირჩიე! მე გეუბნები მწუხარე გრძნობით, ეს ტკივილები შენ მომირჩინე!“ ძვირფასო ხეო, მე შენ მოგმართავ, მიიღე ჩემი გრძნობა სათუთი. ვამბობ ტირილით და ვამბობ მართლა, მე ვერ გამიგეს და შენც დადუმდი. ძვირფასო ხეო, არა მყავს დედა, ჩემს ყურადღებას ახლა შენ იპყრობ, და შეიძლება ეს ჩემი სევდა რომ შენთვის უფრო ძვირფასი იყოს! მე ისევ შენთან ვსაუბრობ მარტო და მეც შენსავით ქარი მაწუხებს. ძვირფასო ხეო, მე რას მივმართო, ამაზე მაინც შენ შიპასუხე!..“

ბუნებასთან თანაკავშირსა და თანაზიარობას რომ მიელტვოდა, ისიც იცოდა, განგებამ ჩანასახშივე რომ ჩაუსახა მშობლის — ბუნების წინაალმდეგ ამხედრების ჟინი, ვით დედის საშოში მყოფი ჩვილი უმხედრდება მშობელ დედას, ამხედრებასა და უარყოფის გზით რომ თვითშობას, თვითდამკვიდრებას, თვითარსებობას მიაღწიოს. ამ უთანასწორო უთანხმოებაში გრძნობდა ადამიანურ სისუსტესა და უძლურებას, არასრულქმნილებას ბუნების სიდიადესა და სრულქმნასთან შედარებით. ადამიანი ხომ ვერასოდეს იხილავს და მისწვდება ბუნების სრულქმნას სრულ განფენილობაში, რადგანაც თვით ღმერთია ბუნება, და თუ ღმერთი, ისევე ვით ბუნება, უზენაესი სრულქმნა და განურჩევლობაა, ადამიანი, პირიქით, —

არასრულქმნილი მოაზროვნე არსებაა და სწორედ აზროვნებითა და ცნობიერებით უჯანყდება ბუნებას, არ ეთანხმება ბუნების პირველქმნილობასა და განურჩევლობას, სადაც ყოველთვის სრული თანხმობა და ურთიერთმორჩილება სუფევს. მას მერე, რაც შეიცნო ნიცშეს სიტყვები: „ცხოვრობდე, — განა ეს იმას არ ნიშნავს, იყო რაღაც სხვა, ვიდრე ეს ბუნებაა?!". — ცხოვლად მიელტვოდა ბუნებითობას, ცდილობდა განძარცულიყო „რაღაც სხვისაგან" და დაბრუნებოდა ადამის უცოდნელ და უცოდველ პირველარსებობას, გამუდმებით ეძიებდა ბუნებაში დასაბრუნებელ გზებს, ბუნების დიადი უბიწოების საკუთარ არსებაში აღორძინებას, სამუდამოდ რომ მოეხსნა უთანხმოება ბუნებასა და საკუთარ თავს შორის, ცდილობდა დაუფლებოდა ბუნების პირველსახეს, მის პირველგანცდას, ვით მიხრწნილი ბერიკაცი მიელტვის ბავშვობის წიაღში დაბრუნებას, ახალშობილის სინორჩის კვლავგანცდას, ყოფიერი ბიწისაგან განწმენდილი რომ დაუბრუნდეს პირველარსს — არყოფნის საუფლოს. ეს განცდა რაღაც სხვანაირ სიხარულსა და სიმშვიდეს უსადგურებდა სულში და, უწონო და მსუბუქი, პირველ-სოფლის იდუმალ ლივლივში ითქვიფებოდა: „გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი. სული საზღვარს გადასცდება ფრენით. ახლაც მახსოვს მისამართი შენი. ცამდე წვდება ღამეების სიგრძე, რაღაც დიდი სიხარული ვიგრძენ. წინ მეშლება სხვა ოცნების არე, მიწის ცქერით დაიღალა მთვარე. გაზაფხულის საღამოა მშვიდი. ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი..." შემოდგომის დღე კი, ყვითელი და ქარისაგან მსუბუქად აშრიალებული, შორეულ ფიქრებსა და ხილვებს აღუძრავდა, და ამ ხილვებში ილანდებოდა ზარების აგონია, გრძნება სოფლიური სიჩუმისა: „ეს შემოდგომა წყნარი, ქარი, ზარები, ფიქრი. მიდის ცისფერი წყალი და სიჩუმეა ირგვლივ..." ხანაც მშფოთვარება დაეუფლებოდა მის სულს, ქარიშხლების არამიწიერი ხმიერება, მუსიკა ბუნებისა და ზეშთაგონებისა: „ღუნავს ქარები ალვას, ელავს მუსიკის ხმები. დამწვა საკუთარ ალმა, ვატყობ თანდათან ვქრები..." განა ქარიშხალი მხოლოდ ბუნებისეული მოვლენაა, ან რაიმე სიმბოლო პოეტური აზრისა? უხილავი და მისტიური ძალაა, საიდანღაც მობერილი მიწიერ საუფლოში, თან რომ დაკარგული სამყაროების კვნესა მოაქვს, ადამიანთა სულები რომ გამოაფხიზლოს და ამცნოს მათ, მოკვდავნი და წარმავალნი რომ არიან, ამცნოს, გრიგალი და ქარიშ-

ხალი რომ ბუნების მარადისი მოძრაობაა, მისი დაუცხრომლობა და უსასრულობაა, კოსმიური სიცარიელის სულია, სუნთქვაა სამყაროსი, უხსოვარი და დავიწყებული ფიქრების ამშლელია, ბედისწერაა, მისი ცხოვრების მარადი თანმხლებია; გრიგალი ხომ უხილავი მტერია მისი, გარეყოფის უსახური სახე, ველური ყიჟინაა, სილამაზისა და სიმშვენიერის წარმტაცებელია, შიში და შფოთია, შეძრწოლება და წამებაა, უთანხმოებაა და ცრემლის დაუშრეტელი წყარო; გრიგალი — ექსტაზია, უხორციელობა და უწონობაა, სიმსუბუქე და სილივლივეა, ტანჯვიდან აღმოცენებული ოცნება და ზეშთაგონებაა, ხვედრის შეურიგებლობა და მორჩილებაა, მიზიდვაა, სასტიკი თანაგრძნობაა; ქარიშხალი — ბედისწერის საშოა, წამების ჩასახვა და აღმოცენებაა, წარმხოცველი ძალაა, მარტოობის თანამგზავრია. ხმობაა შორეული სამყაროების, მეუფეა ქვეყნიერებისა და ზეციერების: „ქარია, რომ იწვევს ქვეყნის სხვანაირ შეცნაურებას, მთვარიან ღამეში ქარი ქმნის დაუსრულებელ ფანტასმაგორიას, — წერდა შესავალ წერილში, ერთ-ერთი ჟურნალისათვის რომ იყო განკუთვნილი, — ქარი და მთვარე არიან სინონიმები იმ შორეული მისტიკის, რომელიც მუდამ ანათებს პოეტის მწუხარე სულს. თითქოს ქარს უნდა მოიტაცოს მთვარე, როგორც თეთრი დედოფალი, და გადალეწოს ზღვაში, ქარი თითქოს დაუნდობელი ჯალათია სამყაროსი, და ამავე დროს საყვარელია, როგორც უხილავი ძლიერების მატარებელი ძალა. ისევ ვიმეორებ: ნამდვილ პოეტებს მუდამ აწვალებს ქარების დაუსრულებელი თარეში. ქარი იდუმალია და მართალი, როგორც სამარადისო საგანი პოეზიისა. პოეზიას თუ გამოაკლდა ქარი და ღამე, დარჩება სიცარიელე... ჯერ არ ყოფილა ისეთი ქარი თბილისში, რომ არ მოხვედროდეს იმ პოეტებს, რომელთა გზა უფსკრულისაკენ მიემართება. პოეზია დღეს საოცრება არის და სიკვდილი. ვინც ახლოს სდგას ამ კოშმარებთან, ის უფრო დიდი პოეტია. როცა ირგვლივ სდგანან ჩაღამებული და მკვდარი სახლები, და როცა ყველას ძინავს, პოეტი ათასნაირი ფიქრებით დატვირთული ქარებთან დგას, როგორც ქანდაკება... აგრეთვე არის ქარები მუსიკის და ორკესტრის, რომელიც უჩინარ სტიქიას წარმოადგენს. მუსიკის უკიდურეს აგონიის დროს ჩნდება ჯადოსნური ქარი, რომელიც ცდილობს გაწყვიტოს ადამიანის დაჭიმული ნერვები... შემდეგ ერთად ჩნდებიან შემოდგომის და მოგონების ქარები, და მასთან გაშლილი ველი, ფოთლების ცვე-

ნა, გაძარცულ ხეების ტოტებს რომ აქანავებს ქარი უცნაურად. ანდა ტყეში გუგუნი და სტვენა ქარის. ეს ყველაფერი ქმნის სამყაროს მისტიურ შეგრძნებას. და ამგვარ სურათში პოეტი იძირება სიზმარეულ გრძნობების უფსკრულში. კიდევ უფრო მიმზიდველია და მტანჯველი ქარი სიმთვრალეში მზის ამოსვლამდე... პოეტები იბადებიან ქარში, და ისინი მისდევენ ქარების ნაკვალევს..." და ისიც ხომ მთელი თავისი წუთისოფელი ქარებს მისდევდა, ქარებს ებრძოდა, გრიგალში გახვეული გრიგალებს უხმობდა, ქარიშხლების ქოხში თავშეფარებულს, ქარიშხლები ლეწდა და ამსხვრევდა: „ვიცი, გავუძლებ ამნაირ დროსაც, თუმცა გარშემო გრიგალი მივლის", „ახლა ჩემს სულში სხვა გრიგალია, დაკარგულ იღბალს ქარში დაეძებ", „უწინ გრიგალში ყვავილს ვფანტავდი, ახლაც ქარები ახლო არიან", „მე განვიცადე ეს ქარიშხალი, მე განვიცადე დიდი წამება", „სხვა მეგობარი მე არ მყოლია, მხოლოდ ქარია ჩემი მხლებელი", „დაო შენ უკვე გრიგალს ჩაბარდი და შენი ბედი უფრო მწველია", „ისევ საშინელ გრიგალს ვებრძვი, ისევ საშინელ დრამას განვიცდი", „ისევ მინდა შევებრძოლო ქარებს და ვიღაცას უდარდელად ძინავს", „ეს შორეული ქარი ჩემთვის ძირფასი გახდა", „აქაც გაისმის ქარის გოდება, ქარია გარეთ, ქარია სულში", „დღეს ჩემი ბედი ქარიშხალს მისდევს", „ველიდან მოვლენ მძიმე ქარები, ახლა ველიდან ქრის მდუმარება", „ისევ დაჰქრიან ზამთრის ქარები, ისევ გრძელდება ჩემი წამება", „დროა გრიგალმა მაღლა აგწიოს, როგორც ოცნება დიდი ნაღველის", „რა ვქნა, არ ვიცი, დღეა მზიანი და ქვეყნის ბედი ქარს უკავია", „გრიგალს მივსდევ, ვარ მწუხარე სახის, შიმაქვს დარდი მე არ ვიცი, რატომ?", „საშინელ გრიგალს ისევ მე ველი", „ქარი ყოველთვის ფოთოლს ეხება, რა ვქნა, მე გრიგალს ვერ გავუძელი", „ჩემი იღბალი გრიგალს დაჰქონდა და ქარიშხალი მყავდა მხლებელი", „მე ისევ ბედის გრიგალს მივყვები", „ისევ ციდან ველოდები მერცხალს, მაგრამ ციდან ქარიშხალი მოვა", „გათენდება ქარიანი კვირა, ბედისწერა დაეტყობა ხელებს", „ჩემი ცხოვრება ქარიშხალია და ჩემი გული მიწას ეცემა", „იქ მივალ, სადაც გრიგალი რეკავს, იქ მივალ, სადაც სიმწუხარეა..."

ხშირად იმაზე მეტი სურვილი და მოთხოვნილება აღძვრია, ვიდრე ბუნებამ ჩაუსახა, თუმცა ეს თავის სისუსტედ ჩაუთვლია, საერთო ადამიანურ სისუსტედ და უმალვე უმიზნობა და უქმობა დაუფ-

ლებია მის სულს, უდაბნოდ წარმოუსახია მთელი ქვეყანა, თვით დიადი ბუნებაც კი, ძლიერი ვნება მიწიერი არსებობის უარყოფისა, საშველს არ აძლევდა. ასეთ წამებაში ისევ ზეციერება იყო მისი მხსნელი, მისი საიმედო თავშესაფარი მიწა კი — სასტიკი და ავის მაუწყებელი, უკაცრიელობით გაუდაბურებული. ზამთრის ცივი ღამეები უსაზღვროების წვდომის სურვილს აღუძრავდა. რისი აღუსრულებლობაც სიბრალულითა და თანაგრძნობით აღავსებდა საკუთარი თავისადმი, როგორც სუსტი და უძწეო არსებისადმი. და ამ მიუღწეველის ლოდინში გადიოდა დრო, ხან ნელა, ხან სწრაფად. ხშირად ისეთი შეგრძნება დაუფლებია, თითქო რაღაც უხილავი ძალა უხმობდა შორეული სამყაროებიდან, ვიღაც უხმობდა, მიწიერი სიცივის ტყვეობიდან რომ დაეხსნა. ამ შორეული ძახილით გატაცებული, გზადაბნეული ბავშვივით მიიკვლევდა გზას უკიდეგანო ღამეულ ველზე, მთვარისა და ვარსკვლავების ანაბარად დარჩენილი. მაგრამ ყოველთვის სწამდა და ახლაც სწამს, მოვა სიხარულისა და აღდგომის დღე და ზეცაში მოლივლივე მის სულს მარადი სითბო და სინათლე დაეუფლება: „ახლა ეს ბაღი უფრო წყნარია და სადღაც ქარში იძახის ბავშვი, ჯერ კიდევ ზამთრის ცივი ქარია, ჯერ კიდევ ბევრი თოვლია ბაღში, დღე ორშაბათის ისევ გათენდა და ქარი მთიდან ახლა ბრუნდება. ნუ გეშინია, მალე გათბება, სითბოა, მალე გაზაფხულდება...“ შემოდგომის ყვითელი დღეები, წარმავლობის ფარული მოძრაობით აღბეჭდილნი, გარდაცვალებისა და ფერიცვალების მაუწყებელნი, სევდასაც რომ ბადებს და შორეული სიჩუმის შეგრძნებასაც, მარტოობის საშინელ გრძნობასა და იდუმალ სიხარულს აღუძრავდა: „და ახლა ჩემთვის სიხარულია, რომ სიყვითლეა და შემოდგომა“, „გავიარე ღამეების წყება, გავიარე შემოდგომის გზები“, „შემოდგომა ახლოვდება, ირა, შემოდგომა სიზმარივით მოდის“, „მოვა ჩუმი შემოდგომა მალე, შემოდგომას სიხარული მოაქვს“, „ნოემბერია და ოდნავ ცივა, მოვა ზამთარი, ველი წამებას...“ შემოდგომური სიყვითლე ხომ კვდომაა, გადასვლაა სხვა კანონზომიერებაში, საიდანაც კვლავ ამობრწყინდება მზე, კვლავ დაგვიბრუნებს სითბოსა და სიხარულს, აუცილებლად განმეორდება უზრუნველი დღეები, მაგრამ იდუმალი ფერიცვალება ბუნებისა მარად აუხსნელი დარჩება, ისევ აუხსნელი და საიდუმლო, ვით სიცოცხლე და სიკვდილია აუხსნელი და საიდუმლო. მაგრამ როცა ბუნების პირველქმნილობასა და სიმშვენიერეს განვიც-

დი, განა ღირს რაიმეს ასახსნელად და ამოსაცნობად ჩაფიქრება?!. „უკვე გაუვითლდა სოფლის ტყე-ველი (სადღაც საყდარი შორს ციმციმებდა). დგას მდუმარება შეურყეველი, დგას შემოდგომა და სიცივეა. აგერ ბელელთან დაჯდა ბელურა და ფრინველების მთელი ყრილობა. სოფელს სიყვითლე გადაეხურა და ირგვლივ სუფევს მოწყენილობა. შეწყდა სიმღერა და ზარის გლოვა, და ისევ მოვა სხვა ფიქრთა გროვა, და ისევ მოვა დღე უზრუნველი...“ ბუნების წიაღში აღმოაჩენდა ხოლმე იმ მარადიულ ხატებს, მერე პოეზიას რომ გადასცემდა, ბუნების უძრავ საგნებსა და ხატებს პოეზიის ცხოველმყოფელ არსად აქცევდა, ბუნების იდუმალ ძალებს მისტიურ ბგერებად გარდასახავდა; „მესმის შრიალი იდუმალ ძალთა და მოდის მთვარე ასე ბებერი“, „მიყვარს ღამეში, როცა ფოთოლის შრიალი ისმის“, „და შენ მწუხარე არიას უსმენ, ეს ყვავილები ვინ აურია“, „ჩემს სულში სევდა თოვლივით ელავს, ისევ მწუხარე ხმებია ზარის...“ ბუნებაში სურდა განეკვრიტა და შთაეგრძნო ის უცვლელობა, არსისეული და დასაბამიერი რომ არის მთელი სამყაროსთვის; მის შინაგან მზერას ხშირად შეუჩერებია და აღუბეჭდავს თვალთა გუგებში ბუნების სურათი, რომ ეხილა ის იდუმალება ბუნებისა, რა იდუმალებითაც ბუნება სუნთქავს და იძვრის, თვინიერად ფშვინავს თუ მღვიძარებს, და თვითონაც შერწყმოდა ბუნების იდუმალ ფერიცვალებას: „სუფევს ეს დღე და წამება დიდი, ქარში მივალ, ვიღიმები თანაც. შემოდგომა უფსკრულისკენ მიდის და ხეები გაძარცული დგანან. ჩანს ფიქრების დარაზმული რიგი და ცივია ხელი. როგორც რკინა. ყრუ ფოთლების სიყვითლეა ირგვლივ და ფოთლებში შემოდგომას ძინავს...“

იმ შინაგანი მზერით უმზერდა ბუნებას, მის უიდუმალეს სახეებში რომ ახედებდა და აოცებდა, ვით შველი იმზირება კამკამა ტბაში და გაოცებულია საკუთარი თავის პირველხილვით; ეს გაოცება არასოდეს განელებია, ბუნების სიმარტივითა და სინათლით აღძრული გაოცება, და მის სულსაც ისეთივე სინათლე და სილბო ეუფლებოდა, როგორი სინათლესაც და სილბოსაც ბუნება ფლობს. ბუნების ფერიცვალობასა და გარდაქმნებში საკუთარი ფერიცვალობის უნარიც ირწმუნა, — ისიც ხომ ძეა ბუნებისა, მისი სახეცვალების დასაბამი და დასასრული, — და თუ ბუნებას ძალუძს გარდაცვლა და აღორძინება, მასაც ხომ უნდა ძალუძდეს გარდაცვლა და აღორძინება. ამიტომაც სწამს, რომ იყო ოდესღაც, იყო რაღაც

და ვიღაც, ბუნების პირველქმნილი არსებობა, მისი ელემენტების უხსოვარი განსხეულება და განსულიერება: „დავდივარ ღამით და მე ვარ თოვლი, და მე ვარ ნისლი, და მე ვარ წვიმა. და სულს ცეცხლისკენ მივყავარ თრთოლვით, ისე ვარ. როგორც ვიყავი წინათ“... ვით ადამიანთა მოდგმის ნაშიერს, ეშინოდა ბუნების შურისგებისა და მასთან შერწყმას მიელტვოდა, ცდილობდა დაუფლებოდა მზეს — ბუნების გრგვინვასა და საკუთარი სულიერი ექსტაზისა და მისტერიის აღმძრავ ძალას, რისი ხილვაც უსაზღვრო ტანჯვასა და სიხარულს აღუძრავდა. თავის ყოველწამიერ არსებობაში ისე გრძნობდა მზის სიდიადესაც და სიძლიერესაც, ვით ცისკენ ვედრებით ხელებაწვდილი წარმართი, გათენების შეუცნობელი ბრწყინვალების ძალით მონუსხული და ქვედამხობილი: „მზე ღრუბლებიდან მალე გამოვა, ირგვლივ დადგება მეტი სინათლე“, „მე მაშინ მოველ — მზე ანთებული,როცა მოჰქროდნენ ხმები სხვა ზარის“, „მსურს წამოვიდეს დილა მტრედისფერი და მივყვებოდე ქარში გასვენებას. შუაღამეა, რაღაც ვერ ვისვენებ და ახლა მინდა იყოს გათენება“, „ღამეა, ვწევარ და მიხარია მე ხვალინდელი დღის გათენება“, „უკვე გათენდა დილა, გაქრნენ წამები ‘ბლოვის“, „გადავიტანე კიდევ ეს ღამე და ახლა უკვე განთიადია“, „ისევ მზიანი დღეა, ისევ სიხარულს ვეძებ“... მარტოობასა და უარყოფაში გადახვეწილს, მზისა და სითბოს უეცარი გამონათებაც კი უზენაესი სიხარულით აღავსებდა, და ამ ზეგრძნობიერ მისტერიაში დათოვლილი სანთელივით ილეოდა და იფერფლებოდა; ისე შეიგრძნობდა ცაზე ამონათებულ მზეს, ვით დედა-ბუნებას, ვით ღმერთს — უხილავი სამყაროებიდან ადამიანთა გაყინული გულების ასანთებად მოვლინებულს: „მივალ, სხვა დღეა, გულს ამოვიტან და ისევ მოდის დრო აღელვების. წვიმდა და უცებ მზე გამოვიდა და გავიშვირე მზისკენ ხელები. მე წუხელ კიდევ ღამე ვათიე და მოდიოდა ფიქრი ფარული. ღმერთო! მიშველე და მაპატიე ეს აღტაცება და სიხარული...“

ახსენდება ის ღამე, ვერაფრით რომ ვერ დაიძინა, საწუთროებაზე ფიქრმა რომ არ მოასვენა და თავის ახალგაზრდა მეგობარს ვადიმ ნორაკიძეს ეწვია ბინაზე. 1924 წლის ზამთარი იდგა. ახლაც ახსოვს მეგობრის წერილიდან რამდენიმე სტრიქონი, სწორედ იმ

წელს „თეატრსა და ცხოვრებაში“ რომ გამოაქვეყნა: „იგი, ვით ჯვარზე გაკრული ქრისტე, იწვის პოეზიის რელიგიისათვის. საშინელი გულის დამღრღნელი პარუსი: არარაობა, სიკვდილი, ვით უდაბნოში უმწეო ზარების რეკა, გაისმის მის პოეზიაში... პოეტს აწუხებს მსოფლიო რაობა, ფართო ფორმით. მისი პესიმიზმი თუ ოპტიმიზმი არ არის რუტინის, მიეთ-მოეთის, არამედ საერთოა, მსოფლიოა... მისი პოეზია დაწმენდილი სისხლი და ცრემლია... მისი რკალი ინტუიციური ცდაა მსოფლიო რკინის რკალის გარღვევის... ტერენტი გრანელს, ვით ბოლდერს, ჰაშიში უყვარს, ქარი და ღამე... მას უყვარს ქარი და ღამე, ორივე იდუმალი, ძლიერი და უცნობი... მისი ბინა ქუჩაა, მშობლები — ქარი და ღამე, ღამენათევ პოეტის განთიადის შეგებება. უსაყვარლესი და სიჩუმე — სიმარტოვე. ეს ქვეყანა მისთვის გამოუცნობი სფინქსია...“ დიახ, ვადგავართ ადამიანები შეუცნობელ და უშორეს გზას, წინ და უკან ნისლით დაბურულს, და არ ვიცით,საით მივდივართ, რატომ რისთვის?! არც ის ვიცით, რა აზრი აქვს ცხოვრებას. ვინა ვართ, ან სადა ვართ, რა არის ეს სამყარო, საიდან და რისგან იშვა, საით მიდის?!. ამ კითხვებით გაოცებულს, ხშირად წამოუძახნია: „არ ვიცი, ვინა ვარ, არ ვიცი, სადა ვარ; ხანდახან იქა ვარ, ხანდახან აქა ვარ“, „ქვეყნის გაჩენა მიკვირს“, „შენ, დედამიწავ, საიდან გაჩნდი!..“ ამ პასუხგაუცემელი კითხვებით აგზნებულმა და აფორიაქებულმა, მაშინვე წაუკითხა მეგობარს რამდენიმე ახალი ლექსი. მერე დადუმდა და დიდხანს, ძალიან დიდხანს, იჯდა მდუმარე, ფიქრებში ჩაძირული, ჩაღრმავებული. მერე ადგა და, კვლავ ფიქრიანი, იქით-აქეთ სიარულს მოჰყვა. ბოლოს, თითქო ბურანიდან გამოერკვაო, მეგობარს სთხოვა: „მეშინია დაძინების, მე მინდა შენთან ერთად ვიარო თბილისის ქუჩებში, თეთრად გავათენო ეს ბნელი ღამე, სული ქუჩებისაკენ სახეტიალოდ მიიწევს“. მეგობარმა დალევა შესთავაზა, მაგრამ იუარა: „ვადიმ, ახლა მეც მაქვს ცოტა ფული, მაგრამ ახლა ღვინო არ მინდა...“ გათენებამდე იარეს თბილისის ქუჩებში. ასეთი მწუხარე არასოდეს ყოფილა, ასეთი გაჩვილებული, ასეთი გასათუთებული, თუმცა სულს მაინც იდუმალი ცეცხლი უდაღავდა, და სწორედ ამ გასათუთებაში გრძნობდა დიდ ძალას, შინაგან წიაღში ჩაბუდებულ შეუცნობელ ძალას. დროდადრო შეჩერდებოდა და ყოფიერების აზრზე კითხვებს უსვამდა მეგობარს, სივრცეში რომ უპასუხოდ იკარგებოდნენ. სივრცე კი

დუმდა. სწორედ იმ ღამეს იგრძნო ყველაზე ცხადად. სხეული რომ მას არ ეკუთვნის, ნაგვემი სხეული, მისი ხორცი რომ ვიღაცის თუ რაღაცის წილხვედრია, სული კი მისია სამარადჟამოდ, სიკვდილის მერეც მისი იქნება, კვლავმოვლინების ჟამსაც იმავე სულს ჩაუდგამს შემოქმედი და აზიარებს ახალ სიცოცხლეს. ამიტომ იმარხულა მთელი ცხოვრებაა, იმარხულა იმაზე მეტად, ვიდრე სენაკში გაჩოკეტილი ბერი მარხულობს ალბათ. რაც უფრო მეტად იტანჯებოდა ყოფიერებაზე ფიქრით, მით უფრო მეტად გრძნობდა სულიერ განწმენდას... კარგად არც კი გათენებულიყო, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე რომ აღმოჩნდნენ მეგობრები. ო, რანაირად უყვრდა ეს ალაგი!.. რაღაც სხვანაირ სიუცხოვეს გრძნობდა აქ, ისეთს, სიზმარში რომ ეუფლება ადამიანს. თვალდანისლული გაჰყურებდა თრიალეთს, ნისლში ამოწვერილ ეკლესიის გუმბათებს, ზმანებასავით უსმენდა ზარების რეკვას, კვირის წირვაზე რომ უხმობდა მიწიერი ცხოვრებით დაღლილ მლოცველებს. რეკდა ზარი, მაგრამ მაინც დუმდა, და ეს დუმილი ღმერთის მდუმარე საუფლოსკენ მიაქროლებდა: „ალბათ მოვა დრო, შენც აინთები, ახლა დარდების მძიმე წუთია. მიწას ადგია ცა გარინდებით და ეს ქვეყანა თითქოს ყუთია. არის სიცოცხლე, სიკვდილიც არის, ადამიანის ბედი კრულია. დადუმებული კიდია ზარი და თითქოს ზარი საყდრის გულია. მე ასე ვფიქრობ, ღამდება კიდეც, ალბათ ლანდებიც მალე მოვლიან. დგას საფლავების ნწვანე სიმშვიდე და ეკლესია თითქოს თოვლია...“

სამყარო ამოუხსნელი ქიმერაა, რის ამოხსნასაც მთელი ცხოვრება მიელტვოდა; და განა ეს ლტოლვა მისი არსებობის ყოველწამიერ კანონად არ იქცა, ცნობიერების უმაღლეს სფეროებში ისე ჩვეულებრივად და თან შიშით არ სახლობდა, ვით უნაზესი ყვავილი — ულრან ტყეში, გარინდებულს, ხშირად რომ გამოუჭერია თავი უგანზომილებო დროსა და სივრცეში ჩაკარგული, განუჭვრეტელ წყვდიადში ჩანთქმული!?. ხელზე მცოცავ ჭიანჭველასაც ხომ ისე უმზერდა, ვით უცხო არსებას, არამიწიერს, კოსმიურს, ცდილობდა მის არსებობასა და ფუსფუსში ამოეცნო ყოფიერების აზრი და მიზანი. ამ ძიებაში დანთქმულს. მუდამ ახსოვდა უძველესი სიბრძნე: სამყარო თავისუფლებამ შვა. თავისუფლებაშივე მიმოიძვრის, თავისუფლებაშივე გაიმქვრევა და აღმოცენდება. თავისუფლება ხომ ის უხილავი და შეუგრძნობელი სიცარიელეა, მილიო-

ნობით სამყარო რომ იძვრის, და მხოლოდ მას ძალუძს დაახლოებით მაინც მისწვდეს და იხილოს ამ სიცარიელის მარადისი საუფლო, ვინც ამ უკიდეგანო და მრავალსახოვან სამყაროში ერთ დასაბამს ჰვრეტს, ვინც სიკვდილის მეუფებაში სიცოცხლეს ეუფლება, ვინც ამ უგრძნობელ და გაწყვდიადებულ სამყაროში ერთ წყაროს ჰვრეტს სინათლისა, სიკეთისა და სიბრძნისა, და საკაცობრიო სევდა კელაპტარივით მიუძღვის წინ: „ნისლივით მიმაქვს ცისკენ გლოვა სხვისი და ჩემი“, „რა ვქნა. მომდევს ამნაირი სევდა, სევდა უფრო მარადიულ სახის“, „მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“, „მე ვიფერფლები, გულის გარშემო მსოფლიოს სევდის ცეცხლი ანთია...“ ყოფიერება მიუსაფრობაა, უთვისტომობაა, ადამიანის ხვედრიც უსასოოა. დღენიადაგ ამიტომ ლოცულობდა, ამიტომ ეძიებდა მხსნელს, ვინც ამ უსასოო ყოფიერებას განარიდებდა და ზეყოფიერებისაკენ მიმავალ გზაზე გაიყვანდა. მაგრამ განა ვინმემ უწყის, სად არის ეს გზა, ანდა თუ არსებობს საერთოდ, თვით ზეყოფიერება თუა ნეტა, სად არის, სად იწყება მისი უხილავი სათავე?! ადამიანი ჩაკარგულია ამ ცოდვილ მიწაზე და არ უწყის, საიდან გავიდეს ამ სამწყვრევიდან; ამ ძიებაში უსიხარულოდ ქრება სიცოცხლე, ხსნა არსაით არის, ერთადერთი ხსნა ტანჯვა, მონანიება და ლოცვაა: „უფროა გრძნობა, უფრო ანთება, ისევ აპრილის დღეა მზიანი. გაზაფხულია, ნელა ღამდება და სადღაც ტირის ადამიანი. მე ეს ცხოვრება ახლა ვიწამე, ისევ აპრილის დღეა მზიანი. სადღაც ლანდივით დადის მიწაზე ვიღაც მწუხარე ადამიანი. მე ისევ მინდა გავექცე ღობალს, ისევ აპრილის დღეა მზიანი. ზარი დარეკეს, ლოცულობს ვიღაც, ლოცულობს ვიღაც ადამიანი...“ განუწყვეტლივ მიელტვოდა ყოფიერების აზრი შეცნობას, კოსმიურ საგნებთან ზეგრძნობიერ კავშირს, გრძნობდა მათ ხილულ თუ უხილავ, აქაურ და იქაურ მოძრაობას, თავის თავში ერთდროულად რომ მოიცავს ყოფიერებისა და არყოფნის მზეს, ვით ყოველი მიწიერი არსება, სიცოცხლესაც რომ ფლობს და სიკვდილსაც, რომელთა მონაცვლეობაც არამდგრადია და წამისუმალ გადადის ერთი კანონზომიერებიდან მეორეში: „ვიღაც კითხულობს ძვირფას ბარათებს, ვიღაცა კვდება, ვიღაც არ არის...“ ყოველივე იძვრის და მოძრაობს, ყოველივე იბადება, ცოცხლობს და კვდება, თვით მზესაც კი უწერია დაბერება: „და გადიან ის დღეები წმინდა, დაბერება ხომ მოელის მზესაც...“ თუ მის გრძნობას მიწიერი ყოფა

ანიჭებდა სახეს, სივრცის შეგრძნება სიზმარეულ და მისტიურ სურათხატებს აღუძრავდა, ცვალებადი არსებობისაგან რომ ათავისუფლებდა და ყოფიერება თავისი წმინდა, ჭეშმარიტი სახით ეცხადებოდა, არც კარიბჭე რომ აქვს და არც სარკმელი, საიდანაც მისი დატყვევებული სული შესძლებდა ზემიწიერ ყოფიერებაში გასვლას: „ეს ციხე ჩემთვის რა საჭიროა, როცა ეს მიწა ჩემთვის ციხეა," „ახლა არ ვიცი, საით წავიდე, როდესაც ირგვლივ ღრმა უფსკრულია", „და მე უფსკრულში გადავარდნილი, ვუმზერ სისხლიან სამარის კედელს..." ყოფიერება ყოფნაც არის და არყოფნაც: „ყოფნა არ მჯერა, ნუთუ ეს მე ვარ, რაა სიცოცხლე ბოლოს და ბოლოს", ყოფიერება ქაოსია: „და ცხოვრება დაემსგავსა ქაოსს", ყოფიერება გაელვებაა, წამიერებაა, სიზმარია: „მე ხანდახან თავი მკვდარი მეგონება და ეს ქვეყანა მხოლოდ სიზმარეთი", წყვდიადითა და ნისლით დაბურული ყოფიერება მხოლოდ სიკვდილისაკენ სვლაა: „ჩემი გზა მიდის სამარისაკენ და ნაპრალებთან წევს შავი ღამე..." ხორციელი არსებობა მოჩვენებაა, ცხადსა და სიზმარს შორის სვლაა. წარმავალსა და წარუვალს შორის ქანაობაა; ყოველივე წარმავალია, დრო მიდის და ერთს მეორე ცვლის, მეორეს მესამე და რჩება ხსოვნა, ხსოვნა წარსულისა, ვით ძვირფასი მიცვალებულისა. გახა არსთა მონაცვლეობა დროის მონაცვლეობა არ არის, დროის მონაცვლეობა კი წარმავლობაა, მხოლოდ ყოფიერება, მხოლოდ ბუნება რჩება მარადუძრავი და მარადუცვლელი: „ისევ დადგება სურნელი ნისლის, სულს წაიღებენ თეთრი ფიქრები. ამ ყრუ ადგილას ვინმე გაივლის მაშინ, როდესაც მე არ ვიქნები. ჩვეულებრივი მთვარე ამოვა და გაქრებიან თეთრი ფიქრები. ამ ყრუ ადგილას ვინმე სხვა მოვა, მაშინ, როდესაც მე არ ვიქნები. და სულის ლანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების, ვიცი ამ კლდეზე ვინმე დაჯდება მაშინ, როდესაც მე არ ვიქნები..." ყოფიერება — მარადი ტანჯვაა, შეუწყვეტელი გრიგალია, დაბნეულობაა, უფსკრულია, დუმილია, ცრემლია: „ქარი — ქარია, მე ისევ მე ვარ, რა ვქნა, ცხოვრების ქსელში გავები. ჩემი ტირილის ჩუმი მოწმეა ეს თეთრი მთვარე და ვარსკვლავები", „რა ვქნა, სიცოცხლე თუ ტირილია..." სადღაც შორს, ნისლში, ზარი ილანდება, მდუმარე ზარი, ყველა მწირსა და მიუსაფარს რომ ელოდება, რომ ჩამოჰკრან უკვდავებისა და თავისუფლების ზარი, მაგრამ ირგვლივ სიცარიელეა დ ზარიც დუმს; ვინ უწყის, ამ

დამთრგუნველ დუმილში საით მიდის კაცის ცხოვრება, საიდან მოვიდა, რა აზრი აქვს ტანჯვას ან ცრემლს, სიხარულს ან ბედნიერებას, დარჩება რაიმე თუ ყველაფერი წამიერი სიზმარივით გაქრება: „დღეა ასეთი დიდი და ისევ რეკავენ ზარს. მაინც საითკენ მიდის ეს ჩემი სიცოცხლის გზა. მღუპავს ცხოვრების ბინდი. მზეა და გარშემო ბზა. მაინც საითკენ მიდის ჩემი სევდიანი გზა...“

დიახ, ყოველივე მიდის, ყოველივე მოძრაობს, ყოველივე მიედინება, და ეს სვლა გაურკვეველი უსასრულობისაკენ დროა — მარადუცვლელი და სივრცეში შედედებული, სივრცე კი — სიცარიელე და უსასრულობაა დროისა, ერთფეროვანი, შეჩერებული დროა, სივრცე, ვით დრო, მომცველია ყოველივესი: „მიწიდან ცამდე სივრცეა ისევ, მიწიდან ცამდე შავი ღამეა...“ განა დრო, მისი მოძრაობა თუ უძრაობა არ აქცევდა არარაობად მის სიხარულსაც და მწუხარებასაც, დრო არ უშრეტდა თვით ყველაზე უსპეტაკეს ცრემლსაც კი, ჭარიშხალი რომ სადღაც, შორეულ მხარეში ფანტავდა?! ხომ დროა ძირი შემეცნებისა, დროს მოაქვს და მიაქვს ფიქრები, მოაქვს ღამეები — ფიქრების დედა და სავანე. დრო ხომ ფერიცვალებაა, გარდაცვალებაა, სახეცვალებაა, დრო ასახიერებს და სრულქმნის ადამიანს, უსასრულო სიწყვდიადისაკენ და მარადისობისაკენაც დრო მიაქანებს; დრო ჩვეულებრივი ხანგრძლივობა როდია. არამედ უდროობაა, სულიერი თავისუფლების მარადისი საუფლოა, ხოლო რაც უდროოა, ის უცვლელიცაა, უზენაესიცაა, შეუღწეველ სიცივეშია განფენილი: „ყველაფერი ცივია, რაც კი მარადისია...“ თუმცა მიწა მარადმყოფელია. მაინც ცოდვილი და სისხლიანია, მაინც სასრულია, მაინც უწერია. ვით ოდესღაც, სიცოცხლის წარმხოცველი გამყინვარება, აპოკალიფსური შიში დროის წრებრუნვისა: „მოვა სხვა დრო და სისხლიან მიწას. როგორც ცრემლი დაეცემა თოვლი...“ დრო — გარესახეა მარადისობისა, მისი პირობითი საფარველია: დრო — უცვლელი და უძრავია, ადამიანის ცნობიერებამ, მისმა წასვლა-მოსვლამ დააქუცმაცა რაღაც მისტიურ ნაფლეთებად. დრო — დაბადებაა. სიცოცხლეა, სიკვდილია; დრო — კვლავშობაა, აღდგომაა. აშაღლებაა: დრო — უხსოვრობაცაა და მახსოვრობაც. არსებობაც და არარსებობაც. ხშირად გაუმეორებია უძველეს ციხე-კოშკზე ამოკითხული სიბრძნე: „შენ მანამაც აქ იყავი, ვიდრე მოხვიდოდი, და აქ დარჩები, როდესაც წახვალ...“ სწორედ ეს არის

დროის წრებრუნვა, მიუსაფრობა და ერთფეროვნება დროისა, მაგრამ არა მიწიერი, არამედ კოსმიური, მარადიული მიუსაფრობა და ერთფეროვნება, უმიზნობასა და დაღლილობას რომ გვისადგურებს სულსა და ხორცში: „მდუმარე საყდარს ნელა ჩავუვლი, მღალავს დღეების განმეორება“, „არ ვხედავ ღრუბელს, არ ვხედავ ნისლებს, ჩემთან ახლოა ეს ერთი ნუში. და იმ ადგილას მოვედი ისევ, სადაც მთელი დღე ვიყავი გუშინ. აქაც გაისმის ქარის გოდება, ქარია გარეთ, ქარია სულში. დღესაც მეწვია და არ მშორდება ფიქრი, რომელიც მტანჯავდა გუშინ. დღეს ჩემი ბედი ქარიშხალს მისდევს, რა უცებ შეწყდა ხმაური ქუჩის. და იმ ადგილას ვოცნებობ ისევ, სადაც მთელი დღე ვიყავი გუშინ...“ დრო მიდის, დღეს დღე მისდევს, ღამეს ღამე, კვირას ორშაბათი, ორშაბათს სამშაბათი, — „დღეს ისევ კვირა, ხვალ ორშაბათი და ეს დღეები არ ილევიან. — და ეს ერთფეროვნება დროისა მხოლოდ უმიზნობასა და თვითმკვლელობის განცდას იწვევს: „ახლა ხომ დროა მოვიკლა თავი, მეტის მოთმენა არ შემიძლია...“ მიდის დრო, მიდის და ინთქმება სამყაროს უსასრულო წყვდიადში, მერე ისევ ბრუნდება უკან და მოაქვს უცხო სამყაროთა უხილავი, წამიერებაში შეგრძნობილი კოშმარული ზმანებები, თოვლის ფანტელებივით ტოვებს ამქვეყნად და კვლავ უკან ბრუნდება; დრო მიდის და ტოვებს შორეულობის სევდას, სევდას უხსოვარი წარსულისა. და ეს დინება დროისა უცვლელია და მარადიული: „გამუდმებით წუხდა, ამ უცვლელი დროის მიღმა რომ გადიოდა მისი ხანმოკლე სიცოცხლის დრო, ის დღეებიც პეპლებივით რომ კვდებოდნენ, ათასი ცრემლი, ათასი ტანჯვა და სიხარული რომ არგუნა: „თანდათან მიდის ეს დრო წვალების, ადამიანი ღონდება ასე“, „დრო ასე მიდის, სულ მიდის, გულმა ტირილი ინება“, „გათავდა, მორჩა, მე არ ვარსებობ, დღენი მიჰქრიან, როგორც ფოთლები“, „თეთრი დღეები მარად ივლიან და მე სიცოცხლის აზრი ვიწამე“, „ეს დღე შორს წავა, ეს დღეც მოკვდება“, „ის კვდება, მაგრამ რჩება გენია. ბევრი დღე გაჰქრა, წინ რამდენია“, „არავინ, მარტო დავრჩი სრულიად, მიდიან, დღეებს ბოლო არ უჩანს“, „თეთრი დღეები ჩემს წინ ქრებიან“, „ეს დღე გაჰქრა, სხვა დღეები მოელენ“, „დღენი მიჰქრიან, როგორც გედები...“

დრო მიდის, თვეს თვე სცვლის, წელი წელს, დროის ყოველწამიერი ბედისწერა უხილავი ძაფებით უკავშირდება დღეებსა და რიცხვებს, რაღაც მაგიურ, შეუცნობელ ნიშნებად რომ ესახებოდა.

დრო ისე იმზირება რიცხვებში, ვით მისტიურ სარკეში, ვით მზის სხივი — ტბის ფსკერში, იქიდან არეკლილს გლოვა და მწუხარება რომ ამოაქვს ზედაპირზე; ზოგჯერ ეს რიცხვები სულიერივით ესაუბრებოდნენ, ანუგეშებდნენ, თანაუგრძნობდნენ, ზოგჯერ სიხარულით აღავსებდნენ, ზოგჯერ მწუხარებით: „მოვიდა რიცხვი ახალი და მოიტანა სამარე“, „ბედის სიშორეს ქარივით მისდევს რიცხვები გლოვის და აღშფოთების“, „სულის გადაღმა ელავს კანდელი და განსაცდელი შორეულ რიცხვის“, „ისევ წამება და ავი სახე, წამიღებს ზარით მე ნოემბერი“. „მივალ და მიმაქვს ქვეყნის დარდები, მარტი გათავდა. დღეს აპრილია“, „ალბათ ივნისი დადგება მალე, დღეს ხომ მაისის ოცდაშვიდია. და მენატრება ისეთი მხარე, სადაც დუმილი და სიმშვიდეა...“ თუ სამყარო დროსა და სივრცეში განფენილა და მიმოიძვრის, პოეზიასაც თავისი დრო და სივრცე აქვს, ისიც დროსა და სივრცეშია განფენილი; თუმცა აწმყოშია ჩასახული, წარსულისა და მომავლის უგანზომილებო წამიერებაში აღმოცენებული, არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული. აწმყო წამიერებაში ილანდება პოეზიის სული, სული ყოველი არსების. თუ სული სამყაროსი, წარუვალი რომ არის და მარადიული, ყველაფერი დანარჩენი მიდის და ყრუ სიწყვდიადეში იკარგება: „და ყოველივე, რაც იყო, ყრუ სიშორეში წავიდა...“ ეს სიშორე ხომ მოიცავს წარსულს და მომავალსაც, გაურკვევლობის მირაჟით რომ დაუბინდავს მთელი მისი არსება, მხოლოდ აწმყოა ერთადერთი სიცხადე, წამიერებაში რომ ცოცხლობს და კვდება. მისი ლექსიც ხომ წარსულია, აწმყოში შობილი, დანისლულ მომავალში გასაღწევად გამზადებული, ვით სხეული გარდაცვალებისას, ერთდროულად რომ ფლობს თავის თავში აღმოცენების, სიცოცხლისა და სიკვდილის ელემენტებს. სწორედ ამიტომ აწმყო უძრავი და გაქვავებული როდია, სულივით მოციმციმე და მოცახცახეა, უსასრულობის წრებრუნვის წრეზე დაძრული წერტილია, გასაუკუნოვებული „ახლაა“, გამარადისებული წამიერებაა. წამიერება ხომ ექსტაზია, გასხივოსნებაა, უეცარი გაზეციერებაა, მიწიერი მეუფებიდან თავის დაღწევა და სულიერობის საუფლოში გადასვლაა. წამიერება — დედაა პოეზიისა. განა დრო წამიერება არ არის? აწმყოც ხომ წამიერებაა, წარსულისა და მომავლის შესაკრებელი. მისი ყველა განცდაც და აზრიც ხომ წამიერი აწმყოთია დაღდასმული. წამიერი აწმყო — აი, ყველაზე ნამდვილი და ცხადად არსებული დრო, სადაც

იერის თავს ყველა დახარჩეხი განზომილებანი დროისა. წამი თუ წამიერება ბჭეა წარსულისა და მომავლისა, მათი ურთიერთშერწყმის გზაჯვარედინია, წამზე გადიან საუკუნეები, შორდებიან და კვლავ ხვდებიან ერთმანეთს; წამი ყოფნაც არის და არყოფნაც, სიცოცხლეც და სიკვდილიც; ამიტომ მიელტვოდა მარადიულობის გაწამიერებას და წამის შეჩერებასა და გამარადისებას. ერთი მეგრული ლექსიც ხომ ასე იწყება: „ყოფილს, მყოფსა და მყოფადს, ფლობ ჟამო, ღვთიურ მადლით. შენ ძალგიძს ყოვლის ფლობა, შენ ფესვი სად არ გადგი?!“ განა სწორედ წამიერებაში არ ეკარგებოდა საკუთარ თავს, წარმოსახვით არყოფნის უდაბნოში გადახვეწილი, შორეული სივრცეებისაკენ მზირალი, მარადისობის კარიბჭესთან შემდგარი, ქრისტეს ლანდს რომ ელოდება უკდავებაში გასაღწევად. მთელი ყოფირება, წამების დაუსრულებელი ქროლვა რომ არის, წამიერებას მორჩილებს, ყოველი არსიც და სულდგმულიც წამიერებაში იბადება და კვდება, წამიერება იდუმალი სახეა ყოფიერებისა; წამიერება — დაუსრულებელი ფიქრია, ფიქრი ადამიანის წარმავალ ხვედრზე, ბუნების უცვლელობასა და სიმშვენიერეზე, სიცოცხლეზე, სიკვდილზე, სულის უკვდავებაზე, ღმერთზე; წამიერება — თოვლის ფანტელთა ცვენაა, შემოდგომური ყვითელი ფოთლების შრიალია, ღამეული ქროლვაა ნიავქარისა, წამიერება — მარადისობის ძაფებით გაკვართული სულია: „წამი მრავალი და წამი ერთი. წამი მავალი და წამი თეთრი“, „ჰქრიან წამები ისევ წვალების“ „და მზიან ამინდს შვენის წუთები, მოვა სხვა წამი და შევწუხდები“, „წამი გადის, მე ვოცნებობ ზღვაზე და ქვეყანას ვუზიარებ ტკივილს“, „ახლაც გარშემო მძიმე წამია“, „და იყო წამი, ცისფერი წამი, და იყო წამი სხვა გარინდების“, „ქრის წამი, შავი და უცნაური“, „დგება ცისფერი წამი ზმანების“, „მიჰქონდა ბედი სევდიან წამებს სადღაც გოდებით“, „ვწუხდი, ეს წამი რომ გადიოდა, ვწუხდი, ეს ფიქრი რომ დროს მიჰქონდა“, „ისევ ვიგონებ შორეულ წამებს, ვიგონებ ცისფერ ფიქრების გროვას. და ღამე, ღამე, და ღამე, ღამე. და გლოვა, გლოვა, და გლოვა, გლოვა...“

რაკი დრო ასე დაუნდობლად მიდის და მიაქვს ყველაფერი, რაკი წარმავლობაა ყოფიერების ერთადერთი აზრი, ალბათ უმიზნობაა ერთადერთი ნამდვილი მიზანი ადამიანის არსებობისა; რაკი ყოველივე აუხსნელია და იდუმალებით გარემოცული, რაკი არსაით არის ხსნა, ერთადერთი გამოსავალი უქმობა და უმიზნობაა, უმიზ-

ნობითა და უიმედობით არის დასაზღვრული ადამიანის სიცოცხლე, უმიზნობა აყალიბებს მის ცხოვრებას, უმიზნობა და უიმედობა აძლევს სახეს, უმიზნობაა ყველა მიუსაფარის არსებობის კანონი: „მე ამდენ წამებას ვითმენ და ჩემი სანთელიც ჩაქრა. ღამდება, ვისთან მივიდე, და ახლა, არ ვიცი, რა ვქნა“, „ახლა არ ვიცი, საით წავიდე, როდესაც ირგვლივ ღრმა უფსკრულია“, და ფიქრის შემდეგ ვაყენებ კითხვას: ახლა რა მინდა და ახლა რა მსურს!“, „ახლა მინდა, რომ მოვშორდე თბილისს, სად წავიდე და, ძვირფასო, რა ვქნა?“ „ყველას მოვშორდი, ახლა მარტო ვარ, ახლა უმიზნოდ დავეხეტები“, „ახლა არ ვიცი, რას ვისურვებდი, ახლა არ ვიცი, მე რა მწყურია“, „დღეს იმედები ისევ ქრებიან, არავინ არის, რომ ხელი მივცე“, „რა უიმედო საღამო დგება, ისევ საოცარ იღბალს მივყევარ“, „და იმედები ისევ ტირიან და მწუხარეა ჩემი მეობა“, „ჩემი იმედები ისევ გაიბზარა, უიმედო გული მიმაქვს ცხედარივით...“ მაგრამ სადღაც შორს, მისტიურ მხარეში, მაინც კიანთობს ლანდად რაღაც მიზანი და იმედი, შორეული მიზანი, ბოლომდე შეუცნობელი, მიწიერ უმიზნობას მარადიულ მიზნად რომ აქცევს, და მისი სულიც, ცხადად თუ ფარულად, ამ შორეულ მიზანს ელტვოდა, შორეულ იმედებს, იმედს ხსნისა, ზეციურ საუფლოში გადახვეწისა, იმედს მესამე გზის პოვნისა, გაუკვდავებისა, გამარადისებისა: „დღესაც ვეტრფი მე შორეულ მიზანს“, „და ღრუბელივით ვხედავ ახლა შორეულ მიზანს“, მე მივაღწიე შორეულ მიზანს, ეს გული შფოთავს და მაინც გოდებს“, „ფიქრიდან ვხედავ შორეულ მიზანს, სხეული კვდება, გული ვისროლე“, „შენსკენ გამაფრინეს ფიქრებმა რაღაც შორეული იმედით“, „და ისევ კრთიან შორს იმედები“, „ისევ მოვა იდუმალი ღამე, ისევ მოვა იმედების გროვა“, „ვიგრძნობთ სამყაროს მხოლოდ მე და მზე და იმედებიც ჩემთან იქნება...“

მძიმე ფიქრებით ქანცმილეულმა, კვლავ ახედა გადამელნისფერებულ ცას, მკრთალი სიცისფრე რომ შეპარვოდა, და ჩანისლული თვალუში დასავლეთისაკენ გადახრილ მთვარეს მიაშტერა, ჩამოღარულ სახეს რომ უსხივოსნებს მისი ალმაცერი სხივები. ხოლო ხორცს, ნაგვემსა და გალახულს, სამრეკლოს ცივ კედელზე ყინავს და აქანდაკებს, დაღლილი სული კი, ამ გაქანდაკებული სხეულებრივი გარსიდან თავდაღწევას რომ ლამობს, კვლავ ალისფერ წრედ ბრუნავს მის ირგვლივ და ერთდროულად სიხა-

რულსაც ჰგვრის და მწუხარებასაც; სიხარულით ბუნების სიდიადისა და სიმშვენიერის ხილვა აღავსებს, ხოლო მწუხარებით — ბოახლოებული სიკვდილის წინაგრძნობა, რისი წყალობითაც ველარასოდეს ველარ შეიგრძნობს ბუნების ამ სიმშვენიერეს. ჩავა მთვარე და ამოვა მზე, ჩავა მზე და ამოვა მთვარე, ყველაფერი თავის თავს დაუბრუნდება. ის კი შესძლებს ოდესმე ამ შეუცნობელი და იდუმალი წრებრუნვის კვლავ ხილვას, შესძლებს ბუნებისა და სიცოცხლის სიდიადით დატკბობას?!. სიკვდილის შავი ფრინველები ხომ სულ ახლოს დაფარფატებენ, სულ უფრო და უფრო ახლოს ჩაესმის მათი ეცნაური და უცხო ხმები. უზარმაზარ ფრთებზე რომ შეისვან და სამარადისო სიჩუმის ქვეყანაში გააქროლონ. ამ ფიქრმა 1924 წლის ის დღე გაახსენა, „Memento mori"-ს გამოსვლით გახარებული რომ დაიარებოდა თბილისის ქუჩებში, თვალებში ჩასცქეროდა თანამოქალაქეებს, თითქო თანაგრძნობის გამოხმობა სურდა მათგან, იმის გაზიარება, ყველა სიკვდილის შვილები რომ ვართ და უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, ხოლო ერთმანეთი რომ გვიყვარდეს, სიკვდილი უნდა გვახსოვდეს, უნდა გვახსოვდეს. წარმავლობა რომ ჩასახლებულა ჩვენს ტანში, და რომ მხოლოდ სიკეთე და სათნოება უნდა ვთესოთ ამქვეყნად. განა ასე არ იყო ძველ რომში?!. თავდავიწყებულ იმპერატორთა ორგიები უმაღლეს მწვერვალს რომ მიაღწევდა. შემოვარდებოდა დარბაზში კარს უკან მდგარი მონა და შესძახებდა „Memento mori!.." და იქ, სადაც წამის წინ ექსტაზში შესულთა არაადამიანური ყიჟინა ისმოდა, შემაძრწუნებელი სიჩუმე ისადგურებდა... Memento mori!.." მანაც შესძახა თანამოქალაქეებს. მაგრამ თითქო პირი შეუკრავთო, ისე ირეკლავდნენ ამ გამაფრთხილებელ შეძახილს, ვით ყინულზე დაცვენილ ვერცხლს, ირეკლავდნენ და რჩებოდნენ თავიანთ ნაჭუჭში გამომწყვდეულნი, ყოველდღიური ცხოვრებით თავდავიწყებულნი... თარიღი „1924" რატომღაც ნეწამულად ამოუტივტივდა გონებაში და სწორედ იმ წელს ნანახი ერთი საშინელი სიზმარი გაახსენდა; თუმცა ახლა კარგად აღარც კი ახსოვს, მართლა სიზმარი იყო ყოველივე თუ ხილვა. მისტიური კოშმარი თუ ცხადიერი მოლანდება. ერთი რამ კი კარგად ახსოვს: სწორედ ამ სიზმრის თუ ცხადიერი კოშმარის მერე დაარქვა თავის წიგნს «Memento mori», მანამდე „გაფრენილი დღეები" რომ ერქვა... რაღაც უცნაურ კარიბჭეში ფეხი შედგა თუ არა, საოცარი სანახაობა იხილა: მიწას ისე ასდიოდა ხანძრის

ალი, როგორც კუპრის ზღვას, ცაც შავი ალით იწვოდა თითქო... მიწის ბორცვებს პირი დაეფჩინათ, ცეცხლის ალთან ერთად შავი ქაჯები რომ ამორბოდნენ, ჩასისხლულ თვალთა ბრიალითა და წითელი ენების სარსალით, ამორბოდნენ და როკავდნენ, თან ერთმანეთს მუჯლუგუნებს სცემდნენ... მოედნის შუაგულში წითელი კარავი დაედგათ, კარავში შიშველი მეფე სადილობდა, მაგიდაზე კი ბაყაყები, ხვლიკები, გველები დაცოცავდნენ და ერთმანეთში იხლართებოდნენ... აგერ, გაგანია ცეცხლზე ქვაბი შემოუდგამს ჭაობისფერ დედაბერს, სახე და კბილები რომ ნიანგს მიუგავს, ცეცხლს აჩაღებს, ქვაბში კაცუნები დაცურავენ, მღერიან, კივიან, ხვნეშიან... გომბეშოსმაგვარ წითელ კაცს შამფურზე აუგია პატარა ბიჭი და ცეცხლს უკეთებს, გარშემო კი უზარმაზარი შავი ღამურები დაფარფატებენ, სისხლისფერი თვალებით, წითელი ბრჭყალებით, და შემზარავად გაჰკივიან... შორს, სივრცეში სახრჩობელები აღუმართავთ, ბაყაყები და შავი რქოსანი ეშმაკები მასზე შიშველ ქალებს ჰკიდებენ... აგერ, შავ რკინისბრჭყალებიან ჯუჯას, წითელ კაბიანსა და ყვითელ ყაბალახიანს, თვალები რომ ჩასისხლიანებია, ხელში დიდი შავი ტაფა უჭირავს და ცეცხლზე კაცის თავსა და ხელ-ფეხს წვავს, თან კმაყოფილი ზეცას შესცქერის... იქვე წითელთმიანი დედაბერი ჩამჯდარა მიწაზე, რკინის ეკლებიანი კაბით შემოსილი, მწვანე სახეზეც რკინის ეკლები წამოზრდია, მარჯვენით შამფურს ატრიალებს, პატარა ბიჭი რომ წამოუგია და წვავს, მარცხენით კი გავარვარებულ ზეთს ასხამს თავზე... დაბალ გორაზე წისქვილი გაუმართავთ, დოლაბს კატის სახიანი ქალი ატრიალებს და ადამიანს ფქვავს, სისხლის ღვარი და ხორცის ნაგლეჯები უზარმაზარ ქოთანში ცვივა... წითელფრთებიან შავ ეშმაკს ბრჭყალები ჩაუვლია შიშველ კაცისთვის და დაფჩენილ პირში მაიმუნის ფსელს ასხამს კასრიდან. იქვე უზარმაზარი თავი მოაბიჯებს, შავი სახითა და წითელი თვალებით, შავი მუზარადით თავდახურული, ფეხების ნაცვლად უზარმაზარ ყურებს დაათრევს და იქთ-აქეთ დახტის... მაიმუნი უზარმაზარ თვლებზე შემდგარ დანას მოაგორებს, ზარბაზანს რომ ჰგავს, რის ქვეშაც შიშისაგან ერთმანეთში გახლართული შიშველი ბიჭები იკლაკნებიან... აგერ, საზარელი, ოთხკუთხა ურჩხული, მუცლის ნაცვლად შავი გისოსები რომ ამორტყმია, რის მიღმაც ცეცხლი გიზგიზებს; ურჩხულს თავზე მწვანე გვირგვინი ადგას, თავი მგლისა აქვს, წითელ ხახაში კი ოთხი თეთრი ეშვი უელავს, თვალე-

ბი წითლად უბრიალებს, ინდაურისმაგვარ წითელ ხელებში ჩიტები უპყრია და ყლაპავს, ბატისმაგვარ ფეხებზე კი ჭინკები ახვევია და როკავენ... აგერ, ევაც, — ორხელა და ოთხფეხა შავი გველი შემოხვევია ტანს... დიდ, უზარმაზარ ვირთხაზე ნიანგი შემომჯდარა, ზედა ტანი რომ ხისა აქვს, ქვედა — ქვისა, უბეში რკინის ბავშვი შეუბღუჯავს... უზარმაზარი დამსხვრეული კვერცხიდან კუ მოხოხავს, უბაკანო და თავსაფრიანი, ზევით ვირის ჩონჩხი შემოსჯდომია, ხელში ჩონგური უჭირავს, ტანზე კი აშმორებული ჭილოფი მოუხურავს, უკან ხმალამოწვდილი მამლის ჩონჩხი მოპყვება და შავ ღრუბლებს ხმალს უქნევს... აგერ, მიწაში ჩაფლული ქაჯი, თავი რომ მიწის ზევით ამოუყვია და თავდავიწყებით ხარხარებს... აკვამლულ ჭაობში ქერუბიმნი ჩაუყრიათ და წითელი ცხენი სპილოს ფეხებით თელავს მათ... შორს, სიღრმეში, თეთრ მთებზე ტაძრებს ხანძარი ასდის, იწვის მიწა, იწვის ცა, იწვის მთელი ქვეყნიერება. ჰაერში უზარმაზარი თევზები დაფრინავენ, იქით-აქეთ დაჰქრიან ხოჭოები, ბაყაყები, შავწითელა მზაკვრები რომ შემოჯდომიან და უზარმაზარ პრიალა დანებს აელვებენ, დანის პირებს სისხლი ღვარად სდის და რწყავს ზღვებს, მინდვრებს, ტაძრებს, წითელ ყაყაჩოებს... „აწვიმა ცეცხლი და წუნწუბი ზეცით და წარწყმიდნა ყოველნი...“ „და იყვნენ ძრვანი დიდ-დიდნი ადგილდ-ადგილდ, სიყმილნი და სრვანი, საშინელებანი ზეცით. და სასწაულნი დიდ-დიდნი იყვნენ...“ ამ საშინელი ჩვენებიდან გამოფხიზლებული, მთელი ღამე ერთსა და იგივეს იმეორებდა: „გახსოვდეს სიკვდილი!.“ „გახსოვდეს სიკვდილი!..“ „გახსოვდეს სიკვდილი!..“ დილაბინდზე კი სტამბაში გავარდა და წიგნს სათაური შეუცვალა — „Memento mori!“ გამოვიდა თუ არა, თაყვანისმცემლებმა 21 დეკემბერს მისი პოეზიისადმი მიძღვნილი გაზეთი გამოსცეს და დიდი საღამოც მოუწყვეს; გაზეთი ხალხს მოუწოდებდა, 28 დეკემბერს, აუცილებლად რომ დასწრებოდნენ მისი პოეზიის საღამოს: „სრული რწმენით, რომ საქართველო არის პოეზიის ქვეყანა, ხოლო ქართველები პოეზიის მოყვარულნი და თაყვანისმცემლები, მოუწოდებთ ყველას, დაესწრონ ამ დღეს. მაშ, მთელი ყურადღება ამ დღისათვის, მარტო ტერენტი გრანელს. ტერენტი გრანელი: სისხლიან სამარიდან. ტერენტი გრანელი: პლანეტებზე. ტერენტი გრანელი: პოეზიის გრიგალში. ტერენტი გრანელი: ყველგან!“ მისადმი მიძღვნილი ვარლამ რუხაძის ლექსი, ამავე გაზეთში დაბეჭდი-

ლი, განა ზუსტად არ გამოხატავს მის სულიერ ცხოვრებას?!. „დადიხარ მუდამ თავშიშველი და ნამთვრალევი, გაფითრებული ისე, როგორც გარდაცვალება. სამეგრელოდან მოიტანე ეს ნათვალევი და არ გშორდება უემური და სულის წვალება. შენს ღრმა თვალებში სიკვდილი ზის ჩონჩხად ქცეული და მღერი მუდამ საფლავების ბნელ მისტერიას. და მე მგონია: შენი სული არის სნეული და თვითმკვლელობით დასრულდება ეს ისტორია. ვიცი ცხოვრება უნდო არის, არ გაგიტანა — და მახსოვს, ერთხელ შენ დაკარგე თბილისში ვული. ვინ იცის, ეგებ მასზე ფიქრმა გადაგიტანა და გინდა ახლა, რომ კახურში ჩააღრჩო სული...“

„ტერენტი გრანელი: „სიკვდილში!..“ დიახ, სიკვდილი იყო ის პირველი საკვირველება, ყველაზე მძლავრად რომ განიცადა. პირველად მაშინ შეიგრძნო სიკვდილის საშინელება, დედას რომ შეახო თავისი უხილავი კვერთხი და სადღაც, უცხო ქვეყანაში გადახვეწა. მისი გაოცებული ბავშვური თვალები ისე შეჰყურებდა სიკვდილს, ვით ქოხში უეცრად შემოფრენილ ზემიწიურ უზარმაზარ უცხო ფრინველს, ვისი ფრთების ჩუმი შრიალიც იდუმალებით ავსებდა იქაურობას. ძერე მამა მოუკვდა. მოუკლეს უახლოესი მეგობრებიც, მათთან ერთად რომ სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოდა, და ბოლოს ისე გაუშინაურდა სიკვდილს, ვით მწუხრისას საძოვრიდან დაბრუნებულ ძროხას, უხსოვარი სევდითა და სიმშვიდით რომ ავსია თვალები. და ახლა, თავადაც სიკვდილის პირისპირ მდგარს, არაერთხელ რომ გადაელახავს სიცოცხლის საზღვრები და ღამეულ ხილვებსა და წარმოსახვებში მოუხილავს სიკვდილის სამეფო, უკვე შეცნობილი აქვს სიკვდილის გარდუვალობა და მშვიდი მშფოთვარებით ელოდება ბავშვობაში ხილულ სიკვდილის შავ ფრინველს, უცხო სამეფოსაკენ რომ გააქროლებს, რის კარიბჭესთანაც დედა დახვდება და შუბლზე ეამბორება თავის გაწამებულ შვილს, ნახავს მამას, გულში რომ ჩაიკრავს ძე შეცდომილს და მშვიდი საყვედურით ეტყვის: „ასე რად გაიწამე, შვილო, თავიო!..“ ნახავს ძვირფას მეგობრებს: პეტრე კედიას, იასონ სარიას, მელიტონ ნარიშვილს, ფრიშა ჯიქიას და ბევრ კიდევ სხვას, სამშობლოსათვის უთანასწორო ბრძოლაში რომ დაეცნენ, დაეცნენ და ჭაბუკური სიცოცხლე მშობელ ხალხს შესწირეს მსხვერპლად; ისინი ხომ ვერც იქ მოისვენებენ: წავიდნენ და თან წაიღეს აღსრულებელი ოცნება მიჯაჭვული ამირანის დახსნისა. განა

ძვირფასი მეგობრების ტრაგიკულმა სიკვდილმა არ შეაგრძნობინა ყველაზე სასტიკად სიკვდილის საშინელება, ამაოება სიცოცხლისა და წარმავლობის ულმობელობა?!. თვითონაც ჭაბუკი იყო, ამ სტრიქონებს რომ წერდა 1920 წელს „ახალ ნაკადში". „უცნაურია ადამიანის ბუნება. როდესაც ადამიანს გწყურია სიცოცხლე, როცა გსურს დაეწაფო ამქვეყნიერ ტახჯვით სავსე ცხოვრებას და იქ ამოსწოვო ნეტარება, — აი, სიცოცხლის ასეთ აყვავების და განახლების ჟამში ადამიანს სიკვდილის შავი აჩრდილი ნელი ნაბიჯით გიახლოვდება და ბოლოს კი სამუდამოდ გისპობს ახალგაზრდულ და ჯერ კიდევ გაუფურჩქვნელ სიცოცხლეს, საერთო ბედნიერების ძაძიებელი ადამიანი უღვთოდ კვდება. სამუდამოდ დავიწყებას მიეცემი..." ...„ვინ არს კაცი, რომელი ცხოვნდეს და არა იხილოს სიკუდილი?!." ახლა, ოდეს უკვე გავლილია შემეცნების ბნელი ჯურღმულები, სამსხვერპლოზე გაყვანილი კრავივით დამორჩილებია სიკვდილის გარდუვალობას. ინსანად კი, ამ სტრიქონებს რომ წერდა, სიჭაბუკის წლებში, სიკვდილი უზარმაზარ პირამიდასავით ამოზრდილიყო ბის არსებაში, არც კარი რომ ჰქონდა სადმე, არც მცირე რამ სარკმელი, საიდანაც შესძლებდა მის გაწყვდიადებულ სამეფოში შეხედვას. სწორედ ეს აღუძრავდა სიკვდილის შიშს, შიშსა და გაოცებას, სიკვდილის შეცნობის წყურვილს. სამყაროს დასაბამიერი საშოც. ყოველივეს რომ შობს და სიცოცხლით აღავსებს, ყოველივეს რომ თვითარსებობის მადლს ანიჭებს, ისიც კი ძრწის ალბათ სიკვდილის შიშით, მასაც ხომ თავისი დასასრული აქვს, თუ აქვს დასაწყისი, ოდესმე ისიც ხომ უნდა შთაინთქეს მარადიული სიცარიელისა და არარაობის უფსკრულში. ოცნებათა განუწყვეტელი ნგრევა და სიკვდილის შიში აღძრავდა მასში ტანჯვასა და მწუხარებას. რომელი ტანჯვაც ნეტარებად ექცა, რადგანაც ეს ტანჯვა შემეცნების წიაღში იღებდა სათავეს და არა უბრალოდ ყოფითი ცხოვრების წარმავლობაში. ახლაც, სიკვდილში მხოლოდ ხსნასა და თავისუფლებას რომ ხედავს, ახლაც იტანჯება. უკან ხომ მთელი ცხოვრება რჩება, წინ — ბურუსი სამარადისო: „ასეთი დარდი არ მახსოვს დღემდე, ო. როგორ მორბის ლანდი სიკვდილის..." ცხადად გრძნობს, კი არ გრძნობს, თითქოს ხედავს კიდეც. ეს წამები რომ სიკვდილის სამეფოსაკენ მიმავალი წამებია და, დროის ულმობელობით გაოცებული. ისე უხმობს სიკვდილს მხსნელად და მფარველად. თითქო არსთა არსი ხელიდან გასხლტომოდეს და ახლა ამ არსს ეძიებ-

დეს. რაც მეტად მწუხარებდა სიკვდილის შიშით, მით მეტად სპობდა თავის თავში ხორციელი არსების ცხოველმყოფლობას, მით მეტად უახლოვდებოდა ის უცხო ფრინველი, სიკვდილი და გარდაცვალება რომ ჰქვია სახელად: „ასე მძიმეა შიში სიკვდილის, ასე ერთი და მუდამ იგივე“, „სხვა ფიქრი მივლის და საშინელი სიკვდილის ლანდი...“ საკუთარი არყოფნის შიშმა შეაცნობინა, რაღაც იდუმალი და აუხსნელი ძალა რომ მეფობს სამყაროში, ყველაფერს რომ სპობს და წარხოცავს მიწისაგან პირისა, ყველაფერს რომ თიშავს სიცოცხლის მოძრაობიდან, და ეს ძალა სიკვდილია, ერთადერთი სინამდვილედ რომ აღმართულიყო ნიადაგ მის წინ, ვით ღამურასათვის — წყვდიადი და სიბნელე. სიკვდილის პირველქმნილი შიში ატაცებული, — შიში რაღაც უხსოვარ მისტერიას რომ აღვიძებდა მის არსებაში, — ღამურასავით დაფარფატებდა წყვდიადში და შემეცნების ხან ერთ კედელს მიეხლებოდა, ხან მეორეს, ხან თუ სისასტიკეს დააუფლებდა, ხან უბიწოების გრძნობას ჩაუსახავდა, ხან სიმახინჯეს აზიარებდა, ხან სიმშვენიერეს. ადამიანი ხომ სწორედ გარდაცვალების წამებშია ყველაზე შემაძრწუნებელიც და ყველაზე შესაწყალებელიც, ყველაზე ცოდვილიც და ყველაზე უმანკოც, ყველაზე წამებულიც და ყველაზე ნეტარიც; ამიტომ აშინებდა სიკვდილი, აშინებდა და იზიდავდა კიდეც, ვით ღამურას — წყვდიადი. სიკვდილიც ხომ ისეთივე სინამდვილეა, როგორც დაბადება, ხილულიც და უხილავი საშოც უსასრულო სიწყვდიადისა; იშვა, იტანჯა და სულ რამდენიმე წამში აღარც იქნება, არარაობაში ჩაიძირება მისი სხეული — მსხვერპლი დაბადებისა და ლანდი — სიცოცხლისა. ყველაფერი ქრება, ყველაფერი სიკვდილის შავი საშეფოსაკენ მიექანება, სადაც მხოლოდ სიჩუმე ხმიანებს, და არავინ უწყის, სად და როდის შეჩერდება, ვის როდის ჩაახედებს თავის მისტიურ სარკეში; ყოველი წამი, სიცოცხლით რომ ფეთქავს და სუნთქავს, მარადისობაში რომ მიმოიძვრის, იგივე სიკვდილია: „მოვა წამი, როცა არ ვიქნები ცოცხალი...“ ამის გაფიქრებაც კი ყოველთვის საშინელება იყო მისთვის, იმ „საბედისწერო რიცხვებშიც“, „ტრიბუნაში“ რომ 1921 წელს წერდა: „ყველაზე უფრო უმძიმესია სიკვდილის ლანდი, როდესაც იგი ალის მსგავსად გაცხელებული ადამიანის არსებისაკენ მიექანება, რამდენიმე წუთში ბნელეთის სამეფოსაკენ რომ წაიღოს ჩვენი განწირული სიცოცხლე და შექმნას არარაობის სასახლე. არაფერი არ არის ისეთი საი-

დუმლო, მიუწვდომელი ადამიანის გონებისათვის, როგორც ეს წყეული სიკვდილის რაობა. აქ არის უმაღლესი ტრაგიზმის ბნელი ცეცხლები დანთებული, რომელიც მთელ მსოფლიოს დაფარფატებს თავზე, როგორც საშინელების შავი აჩრდილი...“ სიკვდილის სამეფო ხომ მარადისი შესაკრებელია ყოველივე წარმავალისა, ყოველივე აღმონაცენის განსაწმენდელია, კვლავ რომ ამოხეთქოს მისი სიწყვდიადიდან, ახალ სიცოცხლეში განსულიერებული და განცხოველებული. ამიტომ შეეპყრო არა მარტო საკუთარი სხეულის გაქრობის შიშს, არამედ საერთოდ ადამიანის მიწიერ ხვედრს, მისი არსებობის წამიერებასა და არამდგრადობას. განა სასაფლაოებისკენაც სიკვდილის შიში არ იზიდავდა, რომ შეგუებოდა და შეთვისებოდა მის გარდუვალობას, დაახლოვებოდა და გაშინაურებოდა, სიკვდილის შიშით რომ მარადიულ სიმშვიდეს ზიარებოდა?! ცდილობდა პირდაპირ თვალებში ჩაეხედა სიკვდილის უცხო ფრინველისათვის, შეხებოდა მის გაწყვდიადებულ ფრთებს, შეეგრძნო მისი სიჩუმით მოგვრილი სიცივე, შიში არყოფნისა, ყველა საგანსა თუ არსებაში რომ ჩაუსახავს დიად ჩამსახველს: „მზე ნელა ჩადის და დგება ჩრდილი, გარშემო ძველი ძეგლები დგანან. ო, ვიღაც ქალი საფლავთან ტირის, არყოფნის შიშმა მეც ამიტანა...“ საფლავთა შორის მოხეტიალეს, ხშირად უფიქრია აღდგომაზე, იმ სასწაულებრივ აღდგომაზე, რა ძალამაც ქრისტე აღადგინა, აღადგინა და ცად აღამაღლა. თუკი სიკვდილის ფარული და იდუმალი ძალა არსებობს, რად არ შეიძლება არსებობდეს აღდგომის ფარული და აუხსნელი ძალაც, რა ძალაც ოდესმე ყველა სულიერს აღადგენს და აღამაღლებს?!. ხშირად გაუოცებია ასეთ ხილვას სასაფლაოზე: „...დილას დაიწყო თოვა. მე მივდივარ კუკიის სასაფლაოზე... დიდხანს ვუმზერდი კლავდიას საფლავს. ასე მეგონა, თითქოს იგი აღსდგა საფლავიდან და თვალწინ დამიდგა მისი დაღონებული სახე. შემეშინდა...“ შიში წარმავლობისა და გარდუვალი დაღუპვისა, ყოვლის წარმხოცველი აჩრდილი სიკვდილისა არა მარტო სულს უშფოთებდა და უფორიაქებდა, სხეულსაც უსუსტებდა და უთენთავდა, ასავათებდა და, ხორცდაშლილი და დარღვეული, ნახევრადმიცვალებულივით დაიარებოდა ქალაქის ქუჩებში. ეს ხომ სიცოცხლეშივე სიკვდილის სხეულებრივი შეცნობა იყო, სიკვდილის შიშით აღძრული დამბლა ხორცისა, სულ სხვა არსებობასა და კანონზომიერებაში რომ გადაჰყავდა მისი სული და აზიარებდა რა-

ღაც არამიწიერ მდგომარეობას: „ეს საავადმყოფო კუბოს მაგონებს, სიკვდილზე ფიქრი აქ უფრო მღალავს, გამომელია მართლა ძალ-ღონე, გამომელია სიცოცხლის ძალა“, მგონი არ ვარ მე სხვებთან ერთად, ალბათ მკვდარივით მიგონებს დებიც. ასე მგონია გული შეჩერდა, ასე მგონია ამ წუთში ვკვდები“, „მთელი დღე მკვდარი ვიყავი გუშინ, მკვდარივით მივალ, ძვირფასო, დღესაც“, „კვლავ ვსდუმვარ ახლა მე, როგორც მკვდარი“, „ვხედავ სიცოცხლის ბოლოს, ვგრძნობ სასიკვდილო დაღლას“, „ვატყობ ეს გული დღეს შეჩერდება, დღეს ვიმყოფები სიკვდილის პირას“, „ნელა მივდივარ, გული მკვდარია და სულში ისევ გამეფდა სევდა...“

ამ უცნაურმა სხეულებრივმა განცდამ, ქვეცნობიერების ჩუმმა მოძრაობამ, თანდათან გონებისა და ფიქრის ცნობიერ სფეროში რომ გადაინაცვლა, მიიყვანა სიკვდილის გარდუვალობის აღიარებამდე, და ეს იყო პირველი მიჯნა სიკვდილის შიშის დაძლევისა, შეგუება იმ აზრთან, რომ სიკვდილი, ვით გარდუვალი ბედისწერა, მარადიული ხვედრია ადამიანისა, ყოველი სულდგმულისა. და აქ არაფერია საშინელი და საზარელი. თუკი ყოველი არსება ბუნებისა მშვიდად და უდრტვინველად ღებულობს სიკვდილს, მანაც ხომ ისევე ბუნებრივად უნდა მიიღოს იგი, როგორც დაბადება, როგორც შობა, როგორც აღმოცენება. ასე ნელ-ნელა შემოეპარა სიკვდილი სიცოცხლეში, ხორციელი ტვეშა — სიხარულში, საფლავები და მიცვალებულები — სულის უკვდავებაში, ასე ნელ-ნელა შეურიგდა სიკვდილის კანონზომიერებას, გაუქრა ავადმყოფური შიში სიკვდილისა და მის სულში სიმშვიდემ და სიკვდილმისჯილის ხვედრის მორჩილებამ დაისადგურა: „ნელა გადის ღამეების რიგი, სამარეა ჩვენი ყოფნის ბოლო“, „რას ვიზამ, სიკვდილს ვერ გავექცევი“, „ახლა რაღაც სხვა მინდა, რაღაც სხვა, უსახელო, რომ დალუპვა მომელის, ვიცი დანამდვილებით“, „მე რა ვქნა, სიკვდილს თუ ვერ ავცდები...“ საკუთარ არსებაში ისე ატარებდა სიკვდილს, ვით საშო — ჩანასახს, ცხრა თვის მერე საშინელი კონვულსიებითა და ტკივილებით რომ უნდა შვას ახალი სიცოცხლე, ისე ებრძოდა სიკვდილს. ვით დაბადებას, ისე იწამა სიკვდილის გარდუვალობა. ვით გარდუვალობა დაბადებისა და სიცოცხლისა; ეს აზრი ამშვიდებდა და ისე მორჩილებდა სიკვდილს ვით ბუნების დიად და უცვლელ კანონს: დაწოლილია თბილისი დაბლა (ბედი მძიმეა და ულმობელი). ვხედავ ქვეყანას, ვხედავ შენს საფლავს და

ჩვენც, ძვირფასო, ეს დღე მოგველის...“ თუმცა შინაგანად აღიარა სიკვდილის გარდუვალობა, მაინც ბოლომდე ვერ შეგუებოდა იმ აზრს, ადამიანი რომ უნდა მოკვდეს, უნდა ისე აღიგვეს მიწისაგან პირისა, სახსენებელიც კი არ დარჩეს მისი; ყველაზე დიდი საშინელება და საოცრება ადამიანის სიკვდილია: „რა ვქნა, მე სუსტმა და ასე მწირმა, და არი კვირა, დღეა მზიანი. ჩემს გვერდით უცებ გაშალეს შირმა, ჩემს გვერდით მოკვდა ადამიანი...“

რაკი აღიარა სიკვდილის გარდუვალობა, ისიც აღიარა, სიკვდილის წყარო რომ მიწაა, და ცდილობდა გასცლოდა მას; სიკვდილის შიშსა და მის გარდუვალობას დაუკავშირა ცისა და მიწის მეტაფიზიკური მეუფება, რომ მიწა — სიკვდილის სამეფოა, ხოლო ცა — სიცოცხლისა და უკვდავებისა, მარადიული ყოფიერებისა. მიწა და სიკვდილი ტოლფასოვან ცნებებად მოძრაობდნენ მის ცნობიერებაში: „ალბათ მოვა დრო, მეც არ ვიქნები და ჩემი მტერი მიწა მგონია...“ მიწა — ტანჯვაა, ცრემლია, სისხლიანი და გაწყვდიადებული უფსკრულია, უცხო უდაბნოეთია, მიწა — ჟრიამულია, წარმავლობაა, ტალახია, პოეზიისა და სიცოცხლის მტერია, მიუსაფრობაა, ციხეა: „პოეზია — ზეცა, ცხოვრება — ტალახი“, „ეს ციხე ჩემთვის რა საჭიროა, როდესაც მიწა ჩემთვის ციხეა...“ მიწიერი სამწყვრევისაგან განთავისუფლებას რომ მიელტვოდა, ცდილობდა დაეძლია საკუთარ არსებაში ჩასახული ყველა ხორციელი თუ ბიწიერი ძალა მიწიერებისა, განწმენდილიყო ტანჯვისა და სისპეტაკის ემბაზში და ცად ამაღლებულიყო: „სულში თეთრი სიჩუმეა დღესაც, რა ვქნა, ისევ უიმედო ვრჩები. ცისკენ მივალ და მწყურია ზეცა, რადგან მიწა სამარეა ჩემთვის...“ ეს ლტოლვა და ეს უარყოფა, მის არსებაში აღძრული განხეთქილება მიწისა და ცისა, სულს — უფორიაქებდა, ხორცს — უნადგურებდა და უსპობდა, აწამებდა და ტანჯავდა; მაგრამ განა სწორედ ასეთი ლტოლვით ცისკენ და მიწის, იგივე სიკვდილის მეუფების, უარყოფით არ მისწვდა შემეცნებისა და ადამიანური ყოფიერების იმ ამოუწურავ შესაძლებლობებს, სხვა გზით მისთვის მარად დაფარული და მარად შეუცნობელი რომ დარჩებოდა?!. ცა მარადიულია, არც დრო აქვს, არც დასაწყისი, არც დასასრული: „ელავს ცა უდრო...“ მიწაზე მწუხარება გამეფებულა, ცაში — სილურჯე, სიმშვიდე, უკვდავება: „ცის მდუმარება იგრძნეს ქუჩებმა, აქ ბრწყინავს სევდა, იქ სილურჯეა...“ ცის წილხვედრი სულია, მიწისა — ხორცი: „სული

გაფრინდა ცისკენ. სხეული დარჩა მიწას...“ ცის წილხვედრი პოეტია ექსტაზია, ზეგრძნობიერებაა: „ახლა ვარ ოთახში, გარეთ ისევ თოვს და მაქვს სულიერი ეცხოვრობდე ზეცაში და ციდან ვუგზავნიდე ლექსებს მიწაზე შობინადრე ხალხს...“ მიწა საპყრობილეა და ამ მიწიერ საპყრობილეში სული ფოთოლივით თრთის და იწვის ცისფერი ალით და მიიწევს ზევით — ცის მარადიულ საუფლოში. ხშირად ისეთი შეგრძნება დაუფლებია, თითქო მიწაზე კი არ შობილიყოს, სადღაც შორეულ პლანეტაზე. დროებითი სტუმარია მიწისა — ჩარჩენილა იმ ტალახში, მიწა რომ ეწოდება. ხოლო იქ, უცხო პლანეტაზე, მისი ორეული ტირის, ტირის ბავშვობისა და უცოდველობის ხანას: „და იქაც, თურმე, ტიროდა ბავშვი. რა ვუყო, ოუ მე მიწაზე დავრჩი...“ ცა — იმედია, მიწა — უიმედობა, ცა — ძწყურვალებაა, სულიერობაა, მიწა — შიმშილია, ხორციელობაა: „ძვირფასო, ჩემთვის ცა იმედია და მიწა მხოლოდ უიმედობა“, „ზეცა მწყურია და მიწა მშია, ვფიქრობ გაწყვეტილ სიმზე“, „ილბალს ვინ აცადა, შორს ვარ სრულიად. ვრჩები მიწაზე და ცა მწყურია...“ ოაკი სიკვდილი გარდუვალია, და სიკვდილი მიწის წილხვედრია, ანუ მიწიერება სიკვდილია, იქნებ მიწა ზეცის გულია, მთელს კოსმიურ სივრცე-სხეულს რომ ასაზრდოვებს?! მაშინ სიკვდილიც ხომ სანეტარო იქნება: „მინდა სიკვდილი იყოს ადვილი, ეს მიწა ზეცის გული მგონია...“ ცა — უსასრულობა და მარადისობაა. მიწა — სასრულობა და წარმავლობაა: „ცა — ლაჟვარდი, დედამიწა — კუბო. ცხოვრებისთვის ძალა აღარ შემწევს...“ საბოლოო ხვედრი ადამიანისა მიწიერებაა. და ეს ხვედრი სასტიკია და საშინელი: „ამნარ ბედზე ვნაღვლობ, ბედმა მიწაზე დამტოვა. შენ ხარ ჩემ სულთან ახლო და სული მუდამ მარტოა...“ ცა — მზეა, გათენებაა, აღდგომაა, მიწა — წყვდიადია, სიმწუხარეა: „მოვა დრო უფრო სხვაგვარ ანთების, მე ლაჟვარდები უფრო მიზიდავს. ცადან მოდიან განთიადები, საღამოები ქრიან მიწიდან...“

განა სწორედ ამიტომ არ მიელტვოდა ცის მეუფებას, სწორედ ამიტომ არ ეძიებდა ზეცაში სამუდამო ნავსაყუდელს, სულიერ სსნასა და გადარჩენას, მიწიერი და ხორციელი ბორკილებისაგან თავის დაღწევას?!. „ელავს მზიანი სივრცე, ვხედავ შორეულ მიზანს. დროა, გავფრინდე ცისკენ. დროა, გავექცე მიწას...“ განა ზეციურ მეუფებასთან ზიარებით არ მიაღწევს კაცი უზენაეს სიწმინდესა და ღვთაებრიობას?!. „იხილნეთ ცანი განხმულნი და ანგე-

ლოსნი ღმრთისანი!..“ ცა ხომ მხოლოდ ის ხელული სიცისფერე არ
არის. თვალი რომ უმზერს, ჩვენი მიწიერი გრძნობელობა რომ ალქ-
აფას: ცა — უმაღლესი მეუფებაა, უნილავი და მარადი მეუფება, —
„ისევ სდუმს ზეცა მარადისობის“, — ჩვენი გონება რომ ვერასოდეს
ამოწურდება. ჩვენი გრძნობელობა რომ ვერასოდეს შეიგრძნობს, ჩვენ-
თვალი რომ ვერასოდეს იხილავს, ბოლო წვდომა და შეიეცნება რაოც
იდუმალი და მაგიური ძალით თუა მხოლოდ შესაძლებელი. განა
მთელი მისი ფიქრი, მშფოთვარე და დაუდეგარი, ქვევიდან ზევით
არ მიილტვოდა — მიწიდან ცისკენ, მერე ისევ ქვევით რომ ეშვებოდა
მიწაზე. ზეციური სიწმინდით გამდიდრებული?! და განა ყოველ
წამს ასე არ დაჰქროდა წარმავლობიდან მარადიერობაში, სასრულ-
დან უსასრულობაში, წამიერობიდან უკვდავებაში, მცირეობიდან
უსაზღვრობაში?! ცა სომ უმაღლესი ოცნებისა და ფიქრის ბინადარ-
ია. სიწმინდისა და უბიწოების სამეფოა, აღამიანური ოცნების
განსულიერებაა. დიადი თანხმობის ფარული ძალა. სიცოცხლისა და
თავისუფლების მომნიჭებელია: „საღამოა, ვგრძნობ შორიდან ზამ-
თარს, ვარ მწუხარე და მივფრინავ ცისკენ“, „მიფრინავ ცისკენ ფიქ-
რებით სავსე და ისევ ზამთრის დღეა მზიანი“, „ისევ შორეულ ცას
ვავენდობი. მე შორეულმა დარდებმა მომკლა“, „ზეცა გულისკენ
მსურს მივიზიდო, ცას იდუმალი ძალა ერევა“, „ფიქრიდან ეხეოავ
შორეულ მიზანს, სხეული კვდება, გული ვისროლე. მივდივარ ცის-
კენ, ვშორდები მიწას და გასაფრენი ფრთა გავისწორე...“ ისე იწამა
და ირწმუნა ზეციური არსებობა და ყოფიერება, ვით მიწიერი, ოი-
სი გარღვევითაც ცდილობდა ზემიწიერი ყოფიერების წვდომას, ზე-
ციური სიბრწყინვალისა და გამჭვირვალობის დაუფლებას, განა მთე-
ლი ცხოვრება ამ გარღვევის ჟინით აგზნებული არ დაეხეტებოდა
ცოდვილ მიწაზე, სწორედ ცოდვილ მიწაზე არ ცდილობდა ზემიწიე-
რი მეუფების დამკვიდრებას, ცის მეუფება სასიცოცხლო მოთხოვ-
ნილება არ იყო მისთვის, მის არსებაში დაბადებითვე ჩასახული და
აღმოცენებული, ზეციური სუფევისაკენ ლტოლვა არ ესახებოდა
ერთადერთ ჭეშმარიტ მიზნად ადამიანური ცხოვრებისა, მიწიერი
ცხოვრება არ განუმკვიდრებდა ზეციურ ცხოვრებას, მიწიერი ხვედ-
რი არ განუმზადებდა განა ციურ ხვედრს, მიწიერი არსებობის სწო-
რედ ამნაირი უარყოფა არ აღუძრავდა მარადისობის რწმენას, თავი-
სი ამჟამინდელი ყოფიერებით არ ჭვრეტდა ციურ ყოფიერებას, ძის
მარადისობასა და უსაზღვროებას?!. „მე ოცნებით მოვშორდები მი-

წას, გული იგრძნობს მარადიულ ლაჟვარდს“ „მე მარადიულ ცისკენ მივიწევ, — ქვეყანა ახალ მზეს ელოდება“, „ახლა ღამეა, თენდება ისევ და ცა ლაჟვარდი ჩემს გულს მოება. ყოველთვის მინდა გაფრენა ცისკენ, ყოველთვის მინდა განმარტოება...“ გამქვირვალე, მაგრამ გაუღწევადი ზეცა მოსვენებას არ აძლევდა, ოცნებით ზეცად ასულს მიწა ტალახად ესახებოდა, ადამიანები — მწირ და მიუსაფარ არსებებად, რომელთაც განგებამ მხოლოდ ტანჯვა-წამება და სიკვდილი განუმზადა; ამიტომ არის ცისკენ ლტოლვა ხსნა, შეუცნობელი და უხილავი სამყაროების შეცნობა, მიწიერი სამწყვრევისაგან თავდახსნა, თავისუფლებისა და მარადისობის საუფლოში შეღწევა: „ისევ სიშორის ცეცხლი მიზიდავს, არ მინდა გული სამარეს მივცე. მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან, მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ. იქ უხილავი მხარე მიცდიდა და ნისლიანი უსაზღვრო სივრცე. მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან, მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ. იმ პლანეტებზე ფიქრი მიმძიმდა და გაგიჟებას ველოდი ისევ; მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან, მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ!..“ თუ სამყარო მთლიანი ცოცხალი არსებობაა, თავადაც ხომ ამ მთლიანი არსებობის ბუნებრივი შემადგენელი ნაწილია, და სწორედ ამიტომ მიელტვოდა ზეციურ სუფევას, საბოლოოდ რომ შეერწყმოდა სიცოცხლის უმაღლეს ყოფიერებას, დაბალი არსებობიდან მაღალ არსებობაში შეეღწია და შეეკრა ის წრე, ადამიანის ცნობიერებამ რომ გათიშა იმ დღიდან, პირველი ადამიანის პირველქმნილი კავშირი რომ დაირღვა ბუნებასთან: „გავალ მიწიდან, მინდა ალერსი. ისევ მიზიდავს ცა უმაღლესი“, „ისევ მაღალ ცას ვეთაყვანები“, „თეთრი დღეები მარად ივლიან და მე სიცოცხლის აზრი ვიწამე. მაღლა ბრწყინვალე ცის დუმილია და ჟრიამული ისმის მიწაზე...“ ხშირად წარმოუსახია თავი ციდან ძოფრენილ ანგელოზად, ფრთები რომ დაულეწეს და გააძევეს მიწიერი სამეფოდან, წუხს და იტანჯება, მაგრამ უკვე აღარ ძალუძს ცად ამაღლება, ყოველივე უცხოა ირგვლივ, უცხოა მიწა, უცხოა ენა, და ემალება ადამიანებს, ვით სამოთხიდან გაძევებული ადამი, მონაწილე და მსხვერპლი პირველცოდვისა. მიწიდან გაძევებულს — ყოველ საგანში ორ დასაბამს რომ ჭვრეტდა: ურთიერთგამომრიცხავსაც და ურთიერთგამაწონასწორებელსაც, მიწიერსაც და ციურსაც, მაგნიტური ძალით რომ იზიდავენ და განიზიდავენ ერთმანეთს, — პოეზიის ძალა მიაქროლებდა ზეცაში, იმ უსასრულო სიცისფრეში, საიდანაც მიწაზე მოფრინდა, მაგრამ გა-

სასვლელი გზები გადავიწყნოდა უკვე: „ეს შემოდგომა და ეს მინდორი მიხმობს უმიზნო ხეტიალისთვის. მაღლა გაფრენა მე მოვინდომე, რადგან მიწაზე სული არ იცდის...“

ასე დაუცხრომლად რომ მიელტვოდა ზეციურ სუფევას, უმაღლეს სიწმინდესა და უბიწოებას, ზოგჯერ, წარმოსახვით ცად ამაღლებული, ისევ მიწისკენ იბრუნებდა პირს, ზეციური სიმშვენიერით აღვსებული და გამდიდრებული: „ღონემიხდილი მოვწყდები ლაჟვარდს, ძირს დავეშვები მაღალ სივრციდან... “ამ უსასრულო და გაუღწეველ წრებრუნვაში ჩაკეტილ, ზეციურობის გამიწიერებასა და მიწიერების გაზეციურებას რომ მიელტვოდა, ზეციური ღვთაებრიობა რომ მიწაზე დაემკვიდრებინა, სურდა მიწაზე ეხილა ის, ოცნებით ზეცაში რომ ეძიებდა, სურდა უხეში მიწიერებისა და ხორციელებისაგან განძარცვა, ამაღლება ზენარული არსებობის სიმსუბუქემდე და გამჭვირვალობამდე და ღვთაებრივ სიწმინდეს მიწაზე ზიარებოდა: „მიწა უნდა ჩემს უბრალო თვალებს, ღმერთო ჩემო, ახლა უკვე დროა. მოვა ჩუმი შემოდგომა მალე, შემოდგომას სიხარული მოაქვს“, „ეს დღე გათავდა, მზე გაიპარა, ასეთ მოლოდინს ბევრი დრო უნდა. ახლა ჩემს სხეულს ბალახი ფარავს, ახლა ჩემს სხეულს მიწა მოუნდა...“ თუ კოსმიური ელემენტები სიყვარულით არიან შეკავშირებულნი, ადამიანებსაც ხომ სიყვარული აკავშირებს მათთანაც და ერთმანეთთანაც, განკერძოება ხომ მტრობას ნიშნავს?! ამიტომ უყვარდა მიწა, ვით ბუნება და უბრალოება, და არა ვით სიმკვრივე და სიუხეშე; ამიტომ უყვარდა წყალი, ვით ბუნება და სიწმინდე, ამიტომ ეკრძალებოდა ცეცხლს, თავის აფორიაქებულ ფიქრებს, სულიერ წვასა და ზეგრძნობიერებას რომ ადარებდა. დროდადრო ისე მძლავრად იგრძნობდა ამ კოსმიური ელემენტების აუცილებლობას, ვით სიყვარულსა და სიცოცხლეს: „ისევ მჭირდება მიწის ნაყოფი, მჭირდება ცეცხლი, წყალი, ჰაერი...“ სიკვდილის საზღვრებიდან ხშირად შემობრუნებულა სიცოცხლისაკენ, თავისი მიწიერი არსებობა რომ დაემკვიდრებინა და აზრი მიეცა, სიკვდილის არსის ძიებას მიჰყავდა სიცოცხლის არსის ძიებისაკენ, სიცოცხლის აზრს სიკვდილის შიშით იმეცნებდა. ისევე აშინებდა ძილი, ვით სიკვდილი, და იმ წამებში, თეთრად რომ ათენებდა ღამეებს, გრძნობდა უდიდეს სასიცოცხლო ძალას, გრძნობდა, მისი სული სწორედ ამ ღვიძილში რომ დაჰქროდა სიზმარეულ სამყაროში, გასათუთებული და გაფაქიზებული, ახალშობილივით უმზერდა ქვეყნიერებას და ყო-

ველივე მზედ და სიცოცხლედ ესაბებოდა. განა სიკვდილის შიშმა არ ჩაუნერგა სიცოცხლის ცხოველი სიყვარული, არა ბრმა სიყვარული, განსულიერებული სიყვარული სიცოცხლისა, ვითარცა უმაღლესი მშვენიერებისა?!. თუმცა მის არსებაში ჩასახულ და მფეთქავ სიცოცხლეს სიკვდილის სუდარა ემოსა, სიცოცხლის დიად ძალას ყველაზე მეტად მაინც სასაფლაოებზე ხეტიალისას გრძნობდა, სიცოცხლის აუცილებლობასაც აქ განიცდიდა ყველაზე მწვავედ: „ხსოვნა დარჩება და ღღენი წავლენ, უხილავია ალბათ ხილულშიც. მზე — მწვანე, მწვანე. მზე — მწვანე, მწვანე, ცა — ლურჯი, ლურჯი, ცა — ლურჯი, ლურჯი...“ ისევე უსაზღვროდ მიელტვოდა სიცოცხლეს, ვით სიკვდილს, ისევე უსაზღვროდ აშინებდა სიცოცხლე, ვით სიკვდილი. განა ეს ლტოლვა და ეს შიში არ დაატარებდა სასაფლაოებზე, ეს ლტოლვა და ეს შიში არ მსჭვალავდა ცოცხლებისადმი სიყვარულით, ხოლო მიცვალებულისადმი — კრძალვითა და მოწიწებით, განა მიწიერი სიმშვიდეც ისე არ იზიდავდა, ვით შეუცნობელი სიმშვიდე სიკვდილისა?!. სიკვდილის შიშით დაღლილს ხშირად მონატრებია მშვიდი, მყუდრო მიწიერი ცხოვრება, მონატრებია სიცოცხლე და უძებნია მისკენ მიმავალი გზები: „უარვყოფ სიკვდილს, ხელახლა მინდა ისევ სიცოცხლის გზები ვეძიო“, „რა ვქნა, ვარსებობ ამ ქვეყანაზე, რადგან სიცოცხლე მიმზიდველია“, „და მე სიცოცხლეს ვუმღერი ისევ, ღა მე სიცოცხლე ისევ მწყურია“. „ისევ მეწვია სიცოცხლის ფიქრი და ისევ ხელი შევახე ყვავილს...“ სიცოცხლის დაუშრეტელი წყარო ხომ სიყვარულია, მზეა, სითბოა, სინათლეა: „ისევ მინდა გაზაფხული ვნახო, მე დავიკრეფ ჩემს დაღალულ ხელებს“, „მზე ღრუბლებიდან მალე გამოვა, ირგვლივ დადგება მეტი სინათლე“, „ახლა თენდება, სიცოცხლე მსურს მე, ახლა თენდება და მოდის სპივი. და სინათლეა, თენდება, ვუსმენ ძაღლების ყეფას, მამლების ყივილს...“

ხშირად ჩამობრუნებულა ციდან მიწაზე, ხშირად დაბრუნებულა სიკვდილის შიშის საუფლოდან, აქ, მიწაზე რომ ეგრძნო ყველაზე ძლიერად სიცოცხლის ძალა და, ქაოსსა და თანხმიერებას შორის მდგარს, იქით აუწვდია ხელები, რისიც არც საპელი უწყოდა, არც სახე. არც ფერი, არცა გზა — მისკენ მავალი. სწორედ ეს ლტოლვა შეუცნობელისა და უხილავისაკენ, კვლავ დაბრუნება შეცნობილსა და ხილულში, ეს უწყვეტი წრებრუნვა, ეს თანხმიერი უთანხმოება აღუძრავდა აზრს, სიცოცხლე რომ წამებაა, სიცოცხლის ამძრავი

ძალა რომ ღვთაებრივი ტანჯვაა, სიცოცხლე რომ მწუხარე ბედნიერებაა: „მე ახლა ისევ მინდა წამება, მინდა სიცოცხლე და სიხარული“... სიცოცხლე, წამება და სიხარული ხომ განუყოფელნი არიან ერთმანეთისაგან: „და სადღაც ქალი მუდმივ წამებას და თან სიცოცხლეს გამოეთხოვა...“ სიცოცხლე ხომ დაღლაა, ტანჯვაა, ვნებაა, და თავი სიცოცხლე ტანჯვაა, ისევ ზეცისკენ მიიწევდა, მარდიულ ნეტარებასა და თავისუფლებას რომ ზიარებოდა, მაგრამ ამაოდ. ვერ გადალახავია მიწიერი საზღვრები, ვერ დაამსხვრია ხორციელი ჭურჭელი. უკვდავებას რომ ზიარებოდა, თავის დამსხვრეულ ფრთებს ისევ მიწაზე მიათრევს, მიწა კი სიკვდილია, ამაოებაა, წარმავლობაა: „სადღაც სდუმს მთები, სადღაც ნისლია, ვერ გადურჩები სულის წვალებას. მე რომ გაფრენა არ შეშიძლია, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას. სადღაც სდუმს დილა, სადღაც ძილია, გზა გაიარეს სადღაც ქალებმა. ჩემი სხეული რომ დაღლილია, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას. და სადღაც ბაღთან ვიღაც იცდიდა, და უცებ ზეცა ნახეს თვალებმა. რომ ვერ შევძელი გასვლა მიწიდან, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას...“ მას მერე, ყველა გზა რომ მოიძია და მოიხილა სიცოცხლისა და არსებობისა, ერთადერთ ჭეშმარიტ გზად, ხსნის გზად სიკვდილი აღიარა, ვით მარადიული სიმშვიდისა და სულის უკვდავების სამეფო; დიახ, სიკვდილი აღიარა ხსნის გზად, რადგანაც მიწიერი არსებობა კვდომა და წარმავლობაა, სიცოცხლე — ტანჯვა და მწუხარებაა, და თუ ეს ასეა, და ეს ხომ ჭეშმარიტად ასეა, რა აზრი ჰქონდა მის მოვლინებას ამ ქვეყნად, რად არ ჩარჩა იმ არყოფნის წყვდიადში, საიდანაც მხოლოდ სატანჯველად და სასიკვდილოდ აღმოცენდა?! ანგელოზივით მოფაფატე მისი სული, ნეტარად კრძნობდა თავს ღვთაებრივი არარაობის უფსკრულებში, სადაც არც სურვილები გააჩნდა, არც ვნებები, არც არაფერს მიელტვოდა, იყო და მეტი არაფერი, იყო და არ იყო. საოცარია, ვინ და რამ გამოიჩიმო მისი სული სატანჯველად, რა იდუმალმა ძალამ შემოსა ეს სული მძიმე და სნებიანი, კვდომადი ხორციო. სურვილებითა და ვნებებით, ფიქრებითა და ოცნებებით?!. ნეტავ რად მოსწყვიტეს თავის ადრინდელ, დაუბადებელ სიმშვიდეს, რად არგუნეს ასეთი მძიმე ხვედრი?! განა ყველაზე ღვთაებრივი ხვედრი არშობა არ იქნებოდა?!. ნეტავ არასოდეს ეხილა ბუნება და ეს უმშვენიერესი ციისქვეშეთი, არ განეცადა სიცოცხლის მტანჯველი ძალა, არ ეხილა მზე და გამჭვირვალე ზეცის თავანი!.. ნუთუ ყოველივე უნდა წარიხოცოს მის ცნო-

ბიერებაში მისი სიკვდილის მერე, ნუთუ ისე უნდა მოისპოს, აღარაფერი დარჩეს მისგან, ნუთუ მხოლოდ იმიტომ მოევლინა ქვეყნიერებას, რომ ეტანჯა, რომ ემარტვილა და განწმენდილ-გასათუთებული, ჩვილის დარად, იდუმალი გარდაცვალებისა და განახლების სამეფოში გადასულიყო?!. ხოლო თუ სიკვდილი კვლავ მოვლინების გაწყვდიადებული გზა და განსაწმენდელია, თუ სიკვდილი იგივე დაბადებაა, ხოლო დაბადება და სიცოცხლე ტანჯვა და სიკვდილია, რაღა აზრი ჰქონდა დაბადებას, განა არ ჯობდა არყოფნის წყვდიადში დარჩენილიყო, ასე ცხოვლად რომ მიელტვის ახლა მისი გაცისკროვნებული სული?!. „ეს შემოდგომა და ეს მინდორი მიხმობს უმიზნო ხეტიალისთვის. მაღლა გაფრენა მე მოვინდომე, რადგან მიწაზე სული არ იცდის... ახლაც გარშემო მძიმე წამია, ახლაც ქარში ვარ, თავს ვერ ვუშველე. და ვესალმები იმ ადამიანს, ვისაც ცრემლები ლოყას უსველებს... შენ, დედამიწავ! უფრო რაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ. წმინდაო ღმერთო! რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია?! და ასე ფიქრი უფრო ძნელია, როცა თვალები ნათელს უცდიან. ღმერთო! ჩემს ირგვლივ რა სიბნელეა! ღმერთო! ჩემს ირგვლივ რა ბურუსია?!.“ ხოლო თუ დაბადა დამბადებელმა, ასე უძლური და წარმავალი რაღად ქმნა?!. ეს არარაობა და უმწეობა ადამიანისა ტანჯავდა მთელი ცხოვრება და ახლაც, მშვიდი მშფოთვარებით რომ იმზირება თავისი სულის სარკეში, ერთადერთ ჭეშმარიტ სინამდვილედ სიკვდილის გაწყვდიადებული საშო აღმართულა მის წინაშე: „ისევ ვეძებ მარადიულ ყოფას, სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“, „და სიცოცხლეზე უფრო ახლოა ახლა სიკვდილის გზა პირდაპირი...“

სიკვდილი მწუხარე მამასავით ჩაიკრავს გულში, შეიფარებს თავის ფრთებქვეშ გზადაბნეულ და ვაშაწანებ შვილს, შეიფარებს და მის ტანჯვასაც ბოლო მოეღება, სამარადისოდ დაისვენებს. სიკვდილი ხომ ყოფიერებიდან არყოფნაში გადასვლაა, ხოლო არყოფნა — იგივე ყოფიერებაა, არყოფნა მშობელი დედაა ყოფიერებისა, ყოფიერება არყოფნის ღამეული ნისლითაა დაბურულ-გაუდაბურებული. და განა ასე საშინელია მშობელ დედასთან დაბრუნება?!. სურს გაარღვიოს ყოფიერების საზღვრები, რაც შეიძლება ჩქარა შეაღწიოს არყოფნის მარადიულ სიჩუმესა და დუმილში, — არყოფნის უხილავი ღამე ხომ საშოა განუწყვეტელი გარდაცვალებისა და ფერიცვალებისა, კვლავშობისა და კვლავმოვლინებისა, და

თუ სიკვდილი სიცოცხლის განჩინებაა, მისი გვირგვინი და ბნელი შარავანდედი, რაც უფრო მშვიდად და უდრტვინველად შევეგებებით მას, მით უფრო თბილად ჩაგვიკრავს გულში. მით უფრო ღრმად გაამქვრევს ჩვენს სხეულს იმ წიაღში, საიდანაც აღმოვცენდით და კვლავაც აღმოვცენდებით, ხოლო სულს — უკვდავების სამყოფელს აზიარებს. „დრო ასეთია, ვღონდები ისევ, დაბნელდა ჩემი ოცნების მხარე. არყოფნის ღამევ! შენსკენ მოვიწევ, არყოფნის ღამევ! შენ დამიფარე!..“ თუ ადრე აძრწუნებდა სიკვდილი, ახლა დიად ფერიცვალებად და გარდაცვალებად ესახება, საშინელ ტკივილთან ერთად ნეტარებაც რომ მოაქვს. რაღაცის დაკარგვასთან ერთად რაღაცასაც რომ იძენს, სულიერ მშფოთვარებასთან ერთად სულიერ სიმშვიდესაც რომ აუფლებს, და ისე მორჩილად იბურება ახლა სიკვდილის ნისლში, ვით ჩვილი ბავშვი — აკვნის არტახებში. და თუ მცირე რამ ნატამალი შერჩენია სიკვდილის შიშისა, ეს შიში არყოფნაში გადასვლის შიში კი არა, თვითცნობიერების წარხოცვის შიშია, სიკვდილშემდგომ რომ აღარ შეეძლება იქაური სამყაროს შემეცნება. მაგრამ უწყის ვინმემ, აქ რას ვტოვებთ და იქ რა მიგვაქვს, რა უხილავი და დაფარული ძალა განაგებს ჩვენს აქაურ და იქაურ არსებობას?!. იქნებ ყველაფერს თავის დასასრულთან ერთად თავისი დასაწყისი აქვს, იქნებ სიკვდილიც დასაწყისია და არა დასასრული, იქნებ მზეც კვდება და კვლავ იბადება, მხოლოდ ჩვენ არ ძალგვიძს მივწვდეთ ამ დაფარულ მისტერიას, რადგანაც ზე-სოფლიურია ეს მისტერია და დიადი. სწორედ ამიტომ უხმობდა მწყედ და მფარველად არყოფხის ღამეს, მარადიულ სიმშვიდესა და სიჩუმეს რომ ზიარებოდა: „სამუდამო ძილი მინდა და სიკვდილით დასვეხება“, „მწყურია ღამე და მოსვეხება, მიწას მაყრიან ჩემი ხელები“, „შენ სამარეში წევხარ, გველივით მიდის ნისლი. და წამებიდან ეხლა მხოლოდ სიკვდილი მიხსნის“, „მე დასვენებას ვერ ვეღირსები, სანამ სიკვდილი ჩემთან არ მოვა“, „უმანკო ცრემლი დამეცა გულზე, ყველამ თქვა: ყოფნა რომ სიზმარია. სიკვდილს ყოველთვის თვალებში ვუმზერ, ვგრძნობ ვიღუპები და მიხარია...“ იმ უხილავ მხარეში, არყოფნის ღამე რომ გამეფებულა დაბადებამდელი მისი სული რომ თავისუფლად დაფარფატებდა, შვებაა და ნეტარება, უძრაობა და უცვლელობა, მიწიერი სამწყვრევისაგან ხსნაა, წარუვალი თავისუფლებაა, სიცოცხლე კი ფერფლია და მეტი არაფერი, ტანჯვა-წამებაა, განუწყვეტელი მოძრაობა და დაღლაა, ამაოებაა, წამიერებაა: „ღმერთო! მომკალი, მე გევედრები, ახლა სიცოცხ-

ლე ფერთლია ალბათ!..“ და განა, გოეთეს თქმისა არ იყოს, ბინდით მოცული სავსება არ მოელის ჩვენს სულს. განა ჩვენი სული ამ სავსებას მოწყურებული არ მიელტვის უსაზღვრო სივრცეებს, რომ დავვიხსნას ხორციელი და მიწიერი დაღლილობისაგან და გვაზიარებს უნეტარეს არარაობას, საიდანაც ალმოვცენდით და სადაც უგზოუკვლოდ გადავიხვეწებით?! სწორედ ეს უნეტარესი არარაობაა არყოფნის ღამე — სიკვდილის უხილავი სამეფო, რისკენაც ზოგჯერ ისე მძლავრად მიილტვოდა ხოლმე, ექსტაზის ზეგრძნობიერ წამებში, — „დადგა დრო ფარული და წმინდა ყოდრების. უეცარ სიკვდილის მირაჟი ენთება,“ — მიცვალებულად წარმოისახავდა თავს და ნეტარი აგონიით შეპყრობილი, მწუხარე დიდებით მოსილი მიემგზავრებოდა სიკვდილის სამეფოსაკენ: „შენ ვერ მიხილავ და ნურც დამეძებ. სადღაც წამიღეს ბნელი მკლავებით. მე წუხელ მოვკვდი, შუაღამეზე, როდესაც კრთოდნენ ცის ვარსკვლავები. დაბნელდა სივრცე, დაბნელდა ბინა, დამგლოვიარდნენ სახლის მინებიც. მე თეთრ კუბოში ჩუმად მეძინა, მოჰქონდათ ვარდი და გვირგვინები. ალბათ ჩემს სიკვდილს გრძნობდა სოფელიც (ვერ დავბრუნდები მე ბურუსიდან). მკვდარი ვიყავი და უგრძნობელი, ღია სამარე ჩემს გულს უცდიდა. და ეცემოდნენ სადღაც წვიმები, შორეულ ღრუბლის სანაპიროდან. კუბოსთან იდგნენ სერაფიმები და ღვთისმშობელი ჩემზე ტიროდა. არც შორეული დების ლოცვები ჩემს გადარჩენას ხელს არ უწყობდა. მიმასვენებდნენ ანგელოზები და კუბოს ქრისტე წინ მიუძღოდა. ირგვლივ სიკვდილის ხელი მეხვია, რა მექნა, სულო, დაეცხრომელო! მსურდა, სიბნელე რომ გამერღვია და კვლავ ქვეყნისთვის თვალი მომეევლო...“

სიკვდილი — გადაწყვეტილებაა. ბედისწერამ მარადიული სიწყვდიადის სანაპიროსთან მიგვაჯაჭვა და მთელი ცხოვრება იქით ვიმზირებით, ვშფოთავთ და ვმწუხარებთ. ნუთუ ასე ძნელია ერთი გაბედული ნაბიჯი, ამ მარადიულ სიწყვდიადეში რომ გადავეშვათ საიდუმლო გამოცხადებისათვის?!. ეს აზიარებდა უნეტარეს სიჩუმესა და სიმშვიდეს, გამოხსნიდა ყველა კვანძს მისი სიცოცხლისა და გაიყვანდა სამშვიდობოს. ამიტომ ესწრაფვოდა და სწყუროდა სიკვდილი, ამიტომ მდგარა ხშირად თვითმკვლელობის საბედისწერო მიჯნასთან: „ქრიან ფიქრები — თეთრი და შავი, და ეს დღეები სახეს მიცვლიან. ახლა ხომ დროა მოვიკლა თავი, მეტის მოთმენა არ შეიძლია“, „ეზიეარ და ახლა წიგნია ირგვლივ, მე რა მინდოდა ან რას

ველოდი? ვუსმენ როიალს და მოდის ფიქრი ისევ სიკვდილის და თვითმკვლელობის...“ თუმცა არც ის უყოყოდა. სიკვდილი თუ ამოსნილა ყველა ამოცანას, სიკვდილში თუა მართლა ხსნა?!. ამ ეჭვებით შეპყრობილი, სიკვდილის სანაპირიოთან პირისპირ მდგარი, ისევ სიცოცხლისაკენ შემობრუნებულა ხოლმე, მაგრამ სიცოცხლეს ხვეული კვლავ სიკვდილისაკენ მიაქანებდა და ამ გაურკვეველობის გზაჯვარედინზე მდგარს, ცისკენ ხელაპყრობილი მლოცველივით სასოწარკვეთით წამოუძახნია: „არის სიცოცხლე, სიკვდილიც არის. ადამიანის ბედი კრულია!..“ „ახლა ვატყობ, რომ სიცოცხლე არ ღირს. სიკვდილშიაც ხომ არ არის შველა...“ ეს წუთისოფელი რომ მართლა ტანჯვა და წამიერება არ იყოს. განა ოდესმე სიკვდილს ინატრებდა?! მაგრამ არც სიკვდილია ხსნა: „ახლა სიცოცხლე ჩემთვის ლანდია, რაღაც სხვა მინდა სიკვდილზე მეტი...“ სიკვდილი ხომ დაბადებამ ჩასახა მის არსებაში და ამ ჩასახვამ განსაზღვრა მისი სიცოცხლის ბედისწერა მისი შიში და უარყოფა სიცოცხლისა. სიკვდილის გარდუვალობის ხვედრი აწმყოში გადმოჰქონდა და მის არსებობას აწმყოს წამიერი ბედისწერა განაგებდა, სიკვდილის კი იმიტომ ეშინოდა, სიცოცხლე რომ ცხოვლად უყვარდა, თუმცა არც სიცოცხლე ანიჭებდა სიხარულსა და ბედნიერებას; სიცოცხლე, ისევე ვით სიკვდილი, ხსნაც არის და დაღუპვაც, საბოლოოდ ორივე დამღუპველია, ორივე ცრუა, ორივე საშინელებაა: „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“, „მე არ მინდოდა სიცოცხლე, არც სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა მსურდა...“ ეს „რაღაც სხვა“ კი მესამეა, სიკვდილ-სიცოცხლის მიღმა არსებული იდუმალი და შეუცნობელი ყოფიერებაა. რა ძალას, რა ცხად თუ დაფარულ ძალას ძალუძს გაარღვევინოს სიკვდილ-სიცოცხლის ქაოსური საზღვრები და აზიაროს იმ მისტიურ, მესამე გზაას თუ მესამე ყოფიერებას, საბოლოოდ რომ დაიხსნის როგორც ამქვეყნიური, ისე იმქვეყნიური გეენისაგან?! ეს იდუმალი და მაგიური ძალა პოეზიაა, მხოლოდ პოეზიას ძალუძს მოხნას მის არსებაში ყველა ხორციელი თუ მიწიერი დაბრკოლებანი და აზიაროს მესამე გზისა და ღმერთის უზენაეს ყოფიერებას.

1924 წლის ნოემბერი დგას. ქართველი ერი გლოვობს ვანო სარაჯიშვილის უდროო გარდაცვალებას. მთელი საქართველო დედაქალაქისაკენ დაძრულა, თბილისში ტევა არ არის, რუსთაველის გამზირზე ნემსი არ ჩავრდება. აი, მოასვენებენ ოპერის თეატრიდან საქართველოს დიდ შვილს, აწ მდუმარეს, ჟამის უკან რომ ატყვევებდა მსმენელს თავისი ხმით. თრთოლაატანილი დგას გასასვლელში და შეჰყურებს, ბედიდურად რომ მოაპობს კუბო სივრცეს, ეჩვენება, თითქო უფრო და უფრო მაღლა მიიწევს, ზეციურ ლაჟვარდებში რომ შეიჭრას და ერთხელ კიდევ აგრძნობინოს მიწაზე მყოფთ თავისი ზეციური სიმღერა. სივრცეში „თავო ჩემო“ ჟღერს, ხალხი ქვითინებს. წამიერმა ექსტაზმა და ზეგრძნობიერებამ დაიპყრო, წამიერადვე რომ შეაჩერა მის არსებაში ყოველგვარი აზრი, სმენა, მხედველობა და, ეთერულ განცდაში ამაღლებული, მთვარეულივით ადის ოპერის ბაღის სვეტზე და ამბობს: „დაეშვა ფარდა, დაბნელდა სცენა, შეწყდა შრიალი და მისტერია. ვანო აღსრულდა შენი სიმღერა: „თავო ჩემო ბედი არ გიწერია“. და ახლა ირგვლივ გლოვის წამია, წამია გლოვის, ცრემლების გარდა. ქართულ სცენაზე მძიმე ღამეა, ქართული სცენა დამგლოვიარდა...“ წარმოთქვამს ამ მწუხარე სიტყვებს და, ზეგრძნობიერ ექსტაზში დანთქმულს, საკუთარი ხმის მხოლოდ ნაწყვეტები ჩაესმის, მთელი სხეული ალმოდებულივით უხურს და აკრჟოლებს, თუმცა ვეღარც სხეულს გრძნობს, ვეღარც გარემოს, ვეღარც საკუთარ თავს, თითქო სადღაც შორს, ნისლით დაბურულ ვარსკვლავზე შემდგარიყოს, გრძნეული ჰანგებით გაფერმკრთალებული. დაამთავრა თუ არა ლექსი. უმალვე გაუჩინარდა. სამი დღე არ გამოჩენილა ქუჩაში, ოთახში შეიკეტა და მშიერ-მწყურვალი, ინდღეევანდელი შთაბეჭდილებით ცხოვრობდა, ბევრჯერ ეცადა აღედვინა გონებაში ყოველი წვრილმანი, გაეხსენებინა და გაეცნობიერებინა საკუთარი ხმა, მისი ხმიერება, ტანის მიმოხვრა, მაგრამ ვერ შესძლო, თითქო ყოველივე ერთ წამიერ ექსტაზად შენივთებულიყოს. მეოთხე დღეს გენო ქელბაქიანმა მოაკითხა, შემოდგა თუ არა ოთახში ფეხი, მაშინვე ჰკითხა: „როგორი იყო, ხომ კარგად წავიკითხე?!.“ ასე იდუმლად დაატარებდა გულში ადამიანთა სიყვარულს და ამ სიყვარულის სიხარულს პოეზიას უზიარებდა, პოეზია ევლინებოდა მფარველ, თანამგრძნობელ ზეციურ ძალად, პოეზია უნელებდა შიშს, მთელი მისი არსება რომ დაეპყრო, მარტოობის ჟამს პოეზია იყო მისი სული სულთაგანი და

სისხლი სისხლთაგანი, პოეზიის იმედით განუდგა ყველას და ყველაფერს, განუდგა და შეითქვა საკუთარ თავთან და ცისკენ თვალაპყრობილი მიმოსივით მიირწეოდა ბეწვის ხიდზე, გადარჩენასა და დაღუპვას შორის მოქანავე, პოეზიის ზეციურ ძალას უხმობდა მხსნელად და მშველელად. პოეზია ხომ დაბადება და განახლებაა, მარადი ღვიძილია, მარადი ბრძოლაა ყოფიერებასა და ზეყოფიერებას შორის, არსსა და გარეარსს შორის, წარმავალსა და წარუვალს შორის, პოეზია მარტოკაცთა ხსნაა, გარდამოხსნაა, ამაღლებაა, ადამიანთა დაწყევლილი ბედის გამართლებაა, ღვთაებრივთან ზიარებაა, ცოდვილთა და მწირთა ბედის თანაზიარია: „მე ახლა ბევრი მყავს მეგობარი. ძე სხვა არ მინდა ლექსების გარდა". „მივდივარ, მომდევს სხვა მონონება, ეს ლექსებია ჩემი ქონება", „მე მიყვარს ჩემი კარგი ლექსები, იყოს ლექსები, სხვა არაფერი". „ისევ ლექსებთან ვრჩები და ლექსი სულის ლანდია", „ისევ ლექსია ჩემთვის ნუგეში", „ყველას ავტოვებ, ყველანი წავლენ და ბოლოს ვრჩები მე ჩემს ლექსებთან..." პოეზია ხორციელი არსებობის სულიერ არსებობაში გადასვლა და სულიერობის აღზევებაა, ცეცხლოვანი სულის სუნთქვა და ენებასთან თანხმიერებაა, მწუხარებისა და სიხარულისაგან განთავისუფლება და ზეციური გრძნობიერობა და ექსტაზია: „და პოეზია ჩემთვის გულია", „და ლექსი — გულია, და ლექსი — სისხლია", „პოეზია უსაზღვროა ისევ და გულია პოეზია მხოლოდ", „მე ვატყობ, ქარი უფრო გამეფდა და პოეზია მხოლოდ გულია..." პოეზია ფარული ლოცვაა, ბუნების იდუმალი შრიალია, პოეზია — მისტერიაა: „ეს ლექსი მისტერია და სასიკვდილო განცდა..." პოეზია ზეგრძნობიერებაა, მიწიერი სამწყვრევისგან რომ დაგიხსნის, სიკვდილ-სიცოცხლის საზღვრებს რომ დაგამსხვრევინებს და ზეყოფიერებასა და უკვდავებას გაზიარებს, გაპოვნინებს რაღაც მესამისა და ღმერთის ყოფიერებისაკენ მიმავალ გზას: „პოეზიამ იცის უეცარი სიხარული, რომელიც უდრის გაფრენას", „მე ლექსები გამაფრენენ ცაზე, მე ლექსების სიხარული მომკლაესს", „მე პოეზიამ მაგრძნობინა, რომ სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე სული..." მხოლოდ სისხლით შეღებილ, ტანჯვიდან აღმოცენებულ ლექსს ძალუძს დაიხსნას ადამიანი ყოფიერი ცხოვრების ბორკილებისაგან და აზიაროს ზეციურ საუფლოს, განაცდევინოს მწუხარების სიხარული და სიხარულის მწუხარება: „და ჩემი ლექსი შეღება სისხლმა, რა ბრწყინვალეა ცა იქაური", „ეს

კული დიდი მიმაქვს ხელებით, პოეტი მიდის საშინელებით", „მე ვერ მიშველის თვით ჩემი ლექსი, თვით ჩემი ლექსი — სისხლის რვეული..."

დიახ. პოეზია ზეგრძნობიერებაა და ზეგრძნობიერ ექსტაზში შესული, თითქო მთლიანად ერწყმოდა ბუნებას, სამოსელისაგან შეძარცული და პირველქმნილი უცოდველობით აღვსილი. ამ წამებში თითქო სივრციდან უმზერდა ხოლმე საკუთარ თავს, მარტოობის გარსით შესუდრულს, უწონოსა და უხორციელოს, სინამდვილის შეგრძნებას რომ კარგავდა, და ასტრალურ საწუთროში გადასული. ჩვეულებრივ გარემოშიც გაუცხოვებულად გრძნობდა თავს: „ახლა შორიდან ვიგონებ ქუჩებს, ქალაქს დაფერფლილს. მოვშორდი თბილისს და თითქოს უცებ გადავსხვაფერდი... დაცვენილია ფოთლების გროვა, დღეა სხვა ყოფნის; უცნაურია და მეუცხოვა სიჩუმ, სოფლის..." ერთარსად შეკრული შორეული თუ ცხადი შეგრძნებანი მის სულიერ არსებას ამთლიანებდა და იმას, უხსოვარ ჟამს „ოდესღაც" ან „სადღაც" რომ არსებობდა, ზეგრძნობიერების წყალობით თავის შინაგან, სულიერ ძალად აქცევდა, და რამდენადაც ღრმად შეიცნობდა თავის თავში ამ სულიერ ძალას, იმდენად უფრო ღრმად იჭრებოდა პოეზიის ზეგრძნობიერ სამყაროში, ხორციელობას რომ უთრგუნავდა და უფერფლავდა: „ღღე მდუმარეა, მე შენ მოგელი და დგანან მძიმე საუდრის კედლები. გულში ცეცხლია გაუქრობელი. გულში ცეცხლია და ვიფერფლები..." ერთადერთი, პოეზიის ასეთი ზეგრძნობიერი განცდა რომ აღუძრავდა, სიკვდილის ექსტაზური. აგონიური განცდა იყო, იმდენად დიდი იყო ამ ზეგრძნობიერების ძალა, მას მხოლოდ სიკვდილი შეიძლება მოჰყვეს: „ისევ შორეულ საგანს ვითვისებ, ახლა ჩემს გულში ბევრი ლექსია", „გაისმის რეკვა, იწყება ლოცვა, ახლა სიკვდილთან უფრო ახლოს ვარ", „მე ისევ ვფიქრობ სხვა პლანეტაზე და სიკვდილს უდრის ეს დაფიქრება..." ან სიკვდილი და დალუპვა, ან გაფრენა და გადარჩენა; ზეგრძნობიერ ექსტაზში ქროლვისას, მოწყვეტილი ნივთიერ ყოფას და საკუთარ თავსაც კი, უწონო და მსუბუქი, აჩრდილივით დაფარფატებდა ზეციურ სივრცეებში, წმინდა სახით რომ განეჭვრიტა საგანთა დაფარულია არსი: „ფიქრიდან ვხედავ შორეულ მიზანს, სხეული კვდება, გული ვისროლე. მივდივარ ცისკენ, ვშორდები მიწას და გასაფრენი ფრთა გავისწორე..." თითქო, საკუთარ არსებაში ჩანთქმული, თავად კი არ მოქმედებდა, ფიქრობდა თუ ოცნებობდა, არამედ ვილაც სხვა,

რაღაც უსილავი ძალა ამოძრავებდა ჰთელს მის არსებას, ხორციელსაც და სულიერსაც... 1929 წლის გვიანი შემოდგომაა. მწერალთა სახლში პოეზიის დიდი საღამოა დანიშნული. სადღაც შეიტყო ეს და სიკ მოვიდა, საავადმყოფოდან ახალი გამოსული, სახეფერმკრთალი, თმაანწეწილი, წვერმოშვებული, დავიწყებული. გალაკტიონს საგანგებოდ მოვიდა, მაგრამ გალაკტიონი იმ საღამოს არ გამოჩენილა. დარბაზში რომ შევიდა, საღამო კარგად დაწყებული იყო: ჯერ ჩერნოვიცით შეხვდნენ ბის გამოჩენას, ბოლოს აჩოჩქოლდა ხალხი და სცენაზე მისი გამოსვლა მოითხოვეს. ნუთუ კიდევ ახსოვთ. გაუელვა თავში, და ამ თანაგრძნობამ ცრემლიც კი მოგვარა, თუმცა არავის შეუნიშნავს იგი; სახეშეწუხარე ავიდა სცენაზე, დიდხანს იდგა მდუმარე, დარბაზშიც სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო... ო, რა კარგი იქნებოდა, გალაკტიონი რომ აქ ყოფილიყო, ჩახედავდა უძირო თვალებში, იქ ჭეშმარიტ თანაგრძნობას ამოიკითხავდა და მერე სამედამოდ გაშორდებოდა იქაურობას, იმედიცა და რწმენით აღსავსე... დარბაზი კი სულგანაბული ელოდება... „შენ მიდიოდი ნისლიან გზაზე და კანკალებდა რტოები ვაზის. გველივით გდევდა ცრემლების ზღვაზე მკვდარი დღეების ცისფერი ხაზი. ეს იყო დარდი, სულის დაღალვა და სისხლიანი ბედი ქრისტესი. ცოდვილ დასავით მიგაჩნდა ალბათ სიჩუმე თეთრი და უწმინდესი. გესმოდა ზარის ხმა უდაბნოდან და გაწვალებდა თოვლი და ქარი. ძველი დღეები შენ წინ ჩნდებოდა, როგორც ლანდები ლურჯი სიზმარის...“ წამით გაირინდა დარბაზი, მერე კი ტაშმა და შეძახილებმა გააყრუა იქაურობა, ბუნდოვნად და ყრუდ რომ აღწევდა მის ცნობიერებაში, წამიერი ექსტაზისა და ზეგრძნობიერებისაგან დაქანცული და გამოცარიელებული, ჩაფერფლილი სანთელივით გასაწყლებული და ჩამოღვენთილი, ვიოლინოს სიმივით გაწყვეტილი, ყამის უკან მომაჯადოებელ ბგერებს რომ გამოსცემდა. დარბაზი კვლავ ითხოვდა ეთქვა ლექსი, მაგრამ მას უკვე აღარაფერი აღარ შეეძლო. ახსოვს, კონსტანტინე გამსახურდია მიუახლოვდა, ხელი მოჰკიდა, მიეფერა, სცენაზე გაატარ-გამოატარა, რაღაცას ჩასჩურჩულებდა, გრძნობდა, კვლავ ლექსების წაკითხვას რომ სთხოვდა, მაგრამ მას უკვე აღარ შეეძლო აღედგინა და თავის თავში გაემეორებინა ის წამი, რისი დაბრუნებაც არავითარ ძალას აღარ შეეძლო. საღამოს თავმჯდომარემ რომ გამოაცხადა, ახლა გრიშაშვილი გამოვაო, ხალხი კი მაინც

„გრანელი!, გრანელიო!..“ გაიძახოდა, სწორედ ამ ქაოსში იხელთა დრო და დარბაზიდან გაუჩინარდა...

პოეზიის ზეგრძნობიერ სამყაროს სხეულის სტიქიური და ექსტაზური გრძნობით აღწევდა, უმალვე რომ იღვიძებდა, რაწამსაც კი შთაგონებისა და თვითშემეცნების უნაღლეს განცდაში ჩაერთვებოდა; სწორედ ამ ჩართვას გადაჰყავდა ასტრალურ საწუთროში, მთვარეულივით ცხად არსებობას მოწყვეტილი: „რა ვქნა, მე განცდა მიმაფრენს ქარში, ვწყვეტ ცხოვრებასთან ყოველგვარ კავშირს...“ განა გადანაცვლების ამ წამებში არ უგრძვნია ყველაზე მძლავრად უეცარი სულიერი გამონათება, ხორციელი წვა და გრძნობათა აალება, უხილავი სამყაროების მოხილვისაკენ რომ უბიძგებდა?!. მისი სტიქიური სხეული განუწყვეტლად არ მღვიძარებდა, განუწყვეტლად ზეგრძნობიერებისაკენ არ მიილტვოდა, ხორციელი თვითუარყოფის ჟამსაც კი? სწორედ ხორციელი დაღლილობის ჟამს არ აღწევდა მისი სული ზეციურ გამჭვირვალობასა და უსაზღვროებას?!. „გული მიწუხს და სულია ვრცელი“, „სული ანაღლდა, გული ილევა“, „ვამჩნევ, უსაზღვრო სივრცეა სულში...“ თუმცა, ეს განუწყვეტლობა ზეგრძნობიერებისა და ექსტაზისა ისე ღლიდა ხოლმე, უეცარ სიკვდილის საზღვრებსაც კი მიახლოებია: „ეს გული, ცეცხლის მიერ დამწვარი, დაო, დღეს თითქო დაღალულია“, „ვატყობ, ეს გული დღეს შეჩერდება, დღეს ვიმყოფები სიკვდილის პირას...“ ზეგრძნობიერება და ექსტაზი პოეზიისა ძარცვავდა ყოველნაირი ნივთობრიობისა და პირობითობისაგან და ყოფითი, მიწიერი საგნები მის ხილვებსა და წარმოსახვებს წმინდა სახით ეცხადებოდა, საკუთარი სულიც კი სოფლიური სულის აჩრდილად და ანარეკლად გამოცხადებია, რისი შემეცნებაც იმ გზების საძიებლად აღძრავდა, სულიერ არსებათა ყოფიერებისაკენაც რომ წაიყვანდა და შეაცნობინებდა საგანთა დაფარულ არსს, და სიკვდილისა და სიცოცხლის მიღმა არსებულ რაღაც მესამე ყოფიერებასაც მოუვლენდა და ჭეშმარიტ უკვდავებას აზიარებდა. სწორედ პოეზიის ზეგრძნობიერ სამყაროში შეღწევით არ შლიდა იმ ზღვარს, შეძენილ და ბუნებით თვისებებს შორის რომ გადიოდა, შლიდა და აერთმნიშვნელიანებდა?! ზეგრძნობიერი სამყაროსთვის ხომ გამორიცხულია რაიმე დაპირისპირებანი! ყოველივე პოეზიის წამიერი ექსტაზით არ სუნთქავს, ერთსახედ და ერთარსებად შენივთებულ-შეკავშირებული?! განა მთლიანად და სრულიად არ იხსნებოდა ამ ექსტაზში, იხსნებოდა ისე, ერთი ნა-

წიბურიც არ რჩებოდა ამოგმანული?! ყოველივე წარმავლობისაგან განწმენდილი, მუდამ მზადმყოფი გასახსნელად, არ ეზიარა პოეზიის იმ მეტაფიზიკურ და მისტიურ სამყაროებს, ასე დაუცხრომლად რომ მიელტვოდა მთელი ცხოვრება?!. ვანლერ დაისელიც ამას გულისხმობდა, 1924 წელს მისადმი მიძღვნილ გაზეთში რომ წერდა: „ის მოდის სველი ოდიშიდან, დამძიმებული და მგლოვიარე. ქართულ პოეზიაში მწუხარება სულით არავის დაუღვრია ისე, როგორც ტერენტი გრანელს... პოეზია არის დათრობა და კარგია დათრობა მწუხარების პოეზიით... ქართულმა ქარიშხლიანმა სულმა ვულკანივით ამოხეთქა გადაცვლილ საუკუნეთა აკლდამებიდან, ტერენტის მათრობი მწუხარების სიმფონიით, ლირიკა გრძნეული ქალის თვალებით დაღვრილი შიშიან ქარში... ტფილისს აწვალებს პოეტის სისხლი. ფითრიანი მზერა მოკლული თვალებით... ის დადის, როგორც ქრისტე — მოხსნილი წამების ჯვარიდან, დაჭრილი გულით... იგი არის და დარჩება სფინქსად პოეზიაში“...

განა პოეზიის ზეგრძნობიერმა ძალამ არ აზიარა ბუნების სიმშვენიერეს, პოეზიის ზეგრძნობიერი ძალით არ ირწმუნა უკვდავება სულისა, ზეციური სამყაროებისა და მესამე გზის არსებობა?! პოეზიის ძალამ არ გამოაქცია სოფლიდან თბილისს, სწორედ აქ — პოეზიის მეფეთა და პოეტ-მეფეთა ქალაქში რომ ზიარებოდა პოეტის ტრაგიკულ ხვედრს?!. პოეზიის ძალით იყო, რკინიგზაზე მუშაობას რომ ვერ გაუძლო, მიანება თავი და პოეზიის თბილისს შეერია. „ახალი საქმის“ რედაქტორმა სამსონ ფირცხალავამ შეიფარა, სათნო და კეთილმა ადამიანმა, რედაქციაში შიკრიკად დააწყებინა მუშაობა, სტამბაში სარედაქციო მასალები დაჰქონდა, ხარობდა, თავის საყვარელ გარემოში რომ ტრიალებდა, თავის საყვარელ მწერლებსა და პოეტებს რომ ხედავდა და ეცნობოდა. ეს იყო 1918 წელი. კარგად ახსოვს ის დღე, მორიდებით რომ შეაღო რედაქციის მდივნის სიმონ ყაუხჩიშვილის კარი და ხელნაწერი ლექსი გადასცა, ლექსის წაკითხვის მერე სიმონის სახეზე რომ გაოცება და სიხარული ამოიკითხა. მაშინვე რომ თანხმობა წააწერა ლექსს და სტამბაში მასვე გაატანა. ყველაზე მზიანი წუთები იყო, პირველად რომ იხილა საკუთარი ლექსი დაბეჭდილი. სწორედ აქ, ამ რედაქციაში, და კიდევ „ახალი ნაკადისა“ და „ტრიბუნის“ რედაქციაში გაეცნო გიორგი ქუჩიშვილსა და სეზმან ერთაწმინდელს, იუსტინე აბულაძესა და გერონტი ქიქოძეს, შალვა ნუცუბიძესა და ვახტანგ კოტეტიშვილს, ტიციან ტაბი-

ძესა და პაოლო იაშვილს, ვალერიან გაფრინდაშვილსა და ალექსახდრე აბაშელს?! გაეცნო და დაუმეგობრდა მათ... გალაკტიონი კი... გალაკტიონი ღმერთი იყო მისი... ის-ის იყო, სიმბოლიზმი მკვიდრდებოდა საქართველოში და მასაც. სხვა ახალგაზრდა პოეტებივით, ვისთვისაც ძვირფასი იყო ახალი ჭროლვა პოეზიისა, პირზე ეკერა ედგარ პოსა და ბოდლერის. ვერლენისა და რემბოს, მალარმესა და ლაფორგის, ვერჰარნისა და მეტერლინკის, სოლოვიოვისა და ბლოკის, ბელისა და ბრიუსოვის, სოლოგუბისა და გუმილიოვის, ანენსკისა და ნადსონის, ახმატოვასა და ცვეტაევას სახელები: მათი ლექსები ხომ თითქმის ზეპირად იცოდა... ყველაზე მეტად მაინც ესენინი უყვარდა, გრძნობდა მისი სულის, მისი პოეტური და ადამიანური ხვედრის თანაზიარობას. სერგეი ესენინი — მარტოსული კაცი, რუსულ მიწაზე ბალახივით აღმოცენებული, მწუხარებისა და სევდის პოეტი, ყოველთვისა და ყველაფერში წრფელი და მართალი, თვითმკვლელობაშიც კი რაღაც უზენაესთან ზიარებული. ო, როგორ დაწყვიტა მისმა სიკვდილმა გული, თითქო შორეულ უდაბნოში ძმა გარდაცვლოდეს, ვისმა სიკვდილმაც კიდევ ერთხელ დააყენა სიცოცხლისა და სიკვდილის გზაჯვარედინზე. კიდევ ერთხელ ჩაუწვა და ჩაუფერფლა პოეზიის ზეგრძნობიერი ძალით ანთებული გული: „მოდის ცისფერი და რაღაც შავი და სადღაც გაღმა გაისმის სროლა. ესენინივით მოვიკლა თავი თუ სიცოცხლისთვის განვაგრძო ბრძოლა?!. სადღაც ქანაობს გემის აფრები, ირგვლივ საგნების ჩუმი ძილია. სხვას უკავია ფრთა გასაფრენი და ჩემი ფრთები შეკვეცილია. ადამიანი არ ჩანს სრულიად, გარშემო სუფევს ქაოსი და ნისლი. გარშემო ზღუდე აღმართულია, მე თვითმკვლელობის გარდა, რა მიხსნის?! “ ზამთრის დღეა. მოღრუბლულია თბილისში და მოწყენილობა. ესენინი ვერის დაღმართზე ჩამოდის, მარტო, სევდიანი ვერი გადაჰკრავს მის უბრალო, ლამაზ სახეს. პირდაპირ საკვირველია, რად არ ახლავან გვერდით ტიციანი, პაოლო, გოგლა... მიესალმა, გაეცნო, მე პოეტი ტერენტი გრანელი გახლავართო. „საქართველოში ყველა პოეტია“, ჩაეღიმა ესენინს და ხელი ჩამოართვა. დიდხანს იარეს მტკვრის სანაპიროზე, ბაღში, მდუმარედ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისაუბრეს სიკვდილზე, სიცოცხლეზე, ცხოვრებაზე, ისაუბრეს პოეზიაზე. მდუმარედ მიუყვებოდნენ სანაპიროს, თან მტკვარს ჩასჩერებოდნენ, თითქო მისგან ელოდნენ პასუხს, მაგრამ მტკვარი თავისი გზით მიდიოდა, თავისი საწუხარი აწუხებდა, თავისი საკუთარი ამოცანა ჰქონდა

ამოსახსნელი. მიდიოდნენ ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთისაგან საკუთარი ტკივილებით განკერძოებულნი, მაგრამ მაინც ერთი სადარდელით შეპყრობილნი, უტყვი თანამგრძნობელნი და თვისტომნი სულით... ბაღიდან რომ გამოვიდნენ, ესენინი უკვე აღარ ღიმებოდა, მწუხარე სახით გაშორდა იქაურობას... მეორედ რუსთაველზე შეხვდა, სამხედრო ქუჩის კუთხეში, სასაუზმის წინ, ნაცრისფერი რუსული ხალათი ეცვა, უფრო ხალისიანიც სჩანდა. ეს კი მწუხარე იყო, პეტრე-პავლეს სასაფლაოდან ბრუნდებოდა. ბავშვივით გაუღიმა ესენინმა და სასაუზმეში შეიპატიჟა. ნელ-ნელა თვრებოდა და თან ესენინის სტრიქონებს ამბობდა, ამბობდა გულით, როგორც თავისას... გამოსვლისას ორი „ჩერვონეცი" ჩაუდო ესენინმა ჯიბეში, ვიცი, არ გექნება, ხვალაც დალიეო. ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იყო... ესენინის თვითმკვლელობის ამბავი რომ შეიტყო, ერთი კვირა გარეთ არ გამოსულა, ოთახში ჩაიკეტა და ჩუმად, თავისთვის გამოიგლოვა პოეტის უდროო სიკვდილი...

...განა მარტო პოეზიას, ხელოვნებისა და მეცნიერების ყველა სფეროს სიახლე და აღორძინება დაეტყო, მოდიოდა ახალი თაობა და მოჰქონდა ახალი საუკუნის სუნთქვა, მეცხრამეტე საუკუნით ნასაზრდოვები, ევროპული კულტურით ნაზიარები, ახალი აზრითა და წარმოდგენებით გამდიდრებული. მოვიდა დიდი ივანე ჯავახიშვილი და ქართულ უნივერსიტეტში ეროვნული მეცნიერებისა და ხელოვნების ლამპარი აღანთო, ქართული სულის სიდიადე ახალი წვითა და წამებით ააღორძინა, ყველგან და ყველაფერში ახალი სიტყვა და თავისუფალი აზრი მკვიდრდებოდა. განა ახალი სიტყვის მაცნეები არ იყვნენ პოეზიაში „ცისფერი ყანწები", „თოლაბულუსის სარტყელი", „მეოცნებე ნიამორები", „მშვილდოსანი", „რუბიკონი", „ბახტრიონი", „ლომისი", „საქართველოს სამრეკლო"?!. საქართველოში სიმბოლიზმის აღმოცენებამ არ გაუღვიძა და აღუნთო სულში ბედისწერით ჩასახული ის მიდრეკილებანი, მისტიურ სიმბოლიზმს რომ აზიარა?!. ახალი პოეზიის გამარჯვების წყურვილმა არ შთააგონა, გამოეცა 1919 წელს გაზეთი „ია" და ჟურნალი „კრონოსის სარკე?!" „ია" 26 მაისს გამოვიდა... ია ხომ მშვენიერებისა და სიფაქიზის, სიხარულისა და სიწმინდის, აღმოცენებისა და სულიერობის, სიცოცხლისა და თავისუფლების სიმბოლოა. სწორედ ეს აბედვინებდა ეთქვა შესავალ წერილში: „...ჩვენი უახლოესი მიზანია ძიება ახალი გზისა და ახალი მიმართულებისა ხე-

ლოვნებაში, რომ ხელი შეუწყოს საქართველოში წმინდა ხელოვნების აღორძინებას... ხელოვნების ცხოველმა შუქმა უნდა გაანათოს ჩვენი ცხოვრების ბნელი კუნჭულები, აამოძრაოს ადამიანის შემოქმედება და თვალწინ გადაუშალოს საუცხოო სურათები სილამაზისა, სიმშვენიერისა და ჭეშმარიტებისა...“ ახალი საუკუნე ადამიანებს თავისუფალი პოეზიისაკენ, სულის პოეზიისაკენ, წმინდა შემეცნების პოეზიისაკენ უხმობდა და მასაც არასოდეს უღალატნია ამ გზისთვის, იმ გზისთვის, სიტყვის ნივთობრივ ერთსახოვნებას რომ შლის და მისტიურ ნისლში მიგიძღვის, სიტყვის მრავალსახოვნებასა და პირველქმნილებას რომ გაზიაროს, რომ წაშალოს ზღვარი ხილულსა და უხილავს შორის, საგნებმა რომ თავისთავადობა დაკარგონ და იხილო ისინი ზეყოფიერების გამჭვირვალე გარსით შემოსილნი. ჭეშმარიტი პოეზია ხომ გამოუთქმელია, ამოუხსნელია, განუმარტავია, ისევე ამოუხსნელი და განუმარტავი, ვით პირველდასაბამი სამყაროსი. ვით მუსიკას ძალუძს აღძრას ადამიანში ათასნაირი ხილვები და წარმოსახვები, შორეული და უხსოვარი გახსენებები, გააღვიძოს ადამიანში ყველაზე დაფარული და შეუღწეველი შრეები ცნობიერებისა თუ ქვეცნობიერებისა, ისე პოეზიამ უნდა აღძრას ადამიანში გახსენებები, გააღვიძოს ყველა ბიმალული გრძნობა და აზრი, წმინდა, გამოუთქმელი და აუხსნელი. განა ამას არ ნიშნავს — „მუსიკა უპირველეს ყოვლისა...“ განა ამას არ ნიშნავს — „პოეზია უპირველეს ყოვლისა!..“ პოეზია და მუსიკა ხომ ერთი და იგივეა, ადამიანის ცნობიერებასა და გრძნობიერებაში რომ აგრძელებს თავის სიცოცხლეს, იქ იძენს თავის დასრულებულ და სრულქმნილ სახეს და წმინდა შემეცნებას მიელტვის. ახალი, სიმბოლისტური, მისტიური პოეზიის დამკვიდრების ჟინით გულანთებული „კრონოსის სარკის“ შესავალში წერდა: „სიმბოლიზმის ჯადოსნური ცეცხლის ალი მოედო ძველ შაბლონურ პოეზიას. დაიწყო ჩქარი რენესანსი ხელოვნებისა, რომლის სწრაფი გაქანებით იბნევა ბრილიანტებით შემოსილი ლანდები და წითელ რაშების თეთრი ზმანება. ამიერიდან ჩვენ არ შეგვაწუხებს ძველი დახავსებული პოეზიის მკრთალი ფერები. დღეს ალურ ფრთებით ვეშვებით ახალ სამყაროში, სადაც უხილავი სახეების ჩუმი თამაშია გამეფებული. ჩვენ არ შეგვაშინებს სივრცის უსაზღვრობა, არც პატარა კაცუნების პრიმიტული იერიშები, ჩვენ უკვე თეთრი სამოსით დავიწყეთ ჯირითი იქ, სადაც იზრდება სიმბოლიზმის მწვანე ყვავილები, ჩვენ დავტოვეთ სინამდვი-

ლე. დავგმეთ შავი წარსული და ახალი ფერებთან დავიწყეთ ვრცელი საუბარი. დღეს ჩვენ წინ იშლება ახალი ქვეყნის მუქი სურათები, რომლის მშვენიერი სანახაობა მეტად გვაბრმავებს. ფერად კრიალოსნებით და მზის ნათელ ელვარებით იმოსება ჩვენი სავალი გზა. ოცნება ჩვენი ამაყია და ციურ ბგერებში იფერფლება ყვითელ ალმურით. არ გვაწუხებს სიკვდილის შიში. ჩვენი უახლოესი მიზანია შევქმნათ მარადისობა და უტეხი სხეულით მივეგებოთ ყოველგვარ საშინელებას. სული ჩვენი ჩქარია და შეუკავებელი. გვიყვარს ქანაობა უმაღლეს ლიცენციაში...“ ამგვარი პოეზიისათვის თავისი გვარი — „კვირკველიაც“ შეუფერებლად მიაჩნდა და ფსევდონიმი — „წალენჯიხელიც“, არც ერთი მოსწონდა და არც მეორე, ის-ის იყო მკვიდრდებოდა მწერლობაში და არ სურდა ამ სახელებით დაეკავშირებინა თავისი ბედი პოეზიასთან. ახალი გაცნობილი ჰყავდა, ერთხელ გალაკტიონმა რომ უთხრა: „დედას თუ მამას, არ ვიცი, კარგი სახელი შეურქმევიათ შენთვის, ალბათ გვარიც კარგი ყოფილა. მაგრამ ფსევდონიმად „წალენჯიხელზე“ უკეთესი ვერაფერი შეირჩიე?!.“ „არც მე მომწონს, მაგრამ რა ვქნა, ძვირფასო გალაკტიონ, სადაურიც ვარ, ის დავირქვი. ერთი ფსევდონიმი შევირჩიე, მაგრამ ჯერ თავს ვიკავებ, ვყოყმანობ, არ ვიცი, რა ვქნა“. „მაინც?..“ — ჩაეძია გალაკტიონი. „გრანელი“, „გრანელი!.. გრანელი?... გრანელი?!. — სხვადასხვა ხმიერებით წარმოსთქვამდა გალაკტიონი, საკუთარ არსებაში იმზირებოდა და თითქო რაღაც შორეულს უსმენდა — ტერენტი გრანელი!.. რაღა თქმა უნდა, „წალენჯიხელს“ ბევრად სჯობია, პოეტურიც არის, სახელთანაც ბუნებრივად ეღერს და კიდევ... კიდევ რაღაც იდუმალსაც მოიცავს თავის თავში!..“ ამ სახელით დაუკავშირა თავისი პოეტური და ადამიანური ხვედრი პოეზიის უზენაეს საუფლოს... მითქმა-მოთქმა გამოიწვია „კრონოსის სარკის“ გამოსვლამ, მისმა შესავალმა პოეტურმა წერილმაც ბევრი გააღიზიანა; თანაუგრძნობდნენ კიდეც, გულგრილი და ცივი მზერაც ბევრი იგემა, თვით ცისფერყანწელებისგანაც კი. გული ატკინა ასეთმა დამოკიდებულებამ, არ მოელოდა; ისინი ხომ თითქო ერთ ნიადაგზე იდგნენ, ერთი პოეტური მსოფლმხედველობის დამკვიდრებას მიელტვოდნენ, მაშ, რა მოხდა, რაში იყო საქმე?! სწორედ მაშინ გაჩნდა პირველი ბზარი მასა და ყანწელებს შორის, მერე და მერე რომ გაიზარდა ღა ფარულ განხეთქილებამდე მიიყვანა ორივე მხარე. თუმცა რა, მათ ხომ გალაკტიონიც გაინაპი-

რეს, „არტისტული ყვავილების“ გამოსვლის მერე პოეზიის მეფედ რომ იყო უკვე აღიარებული. ცისფერყანწელთა ორდენში ყველაზე დიდ პატივს ვალერიან გაფრინდაშვილს სცემდა, როგორც ადამიანსაც და როგორც პოეტსაც, ნამდვილი სიმბოლიზმისა და მისტიციზმის ერთ-ერთ დამამკვიდრებლად საქართველოში სწორედ ვალერიანი ესახებოდა. აკი წერდა კიდეც „დაისების“ გამო 1919 წელს „კრონოსის სარკეში“: „დაისები“ უნიკუმია საქართველოში. მისტიციზმა, როგორც ძირითადმა ლეიტმოტივმა სიმბოლიზმისა, ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში ჰპოვა რეალური გამოხატულება. ის „ორეულები“, „ოფელიები“, „მარსიფალიები“, რომელიც ეზმანება პოეტს ახალ ქვეყანაში, აბსოლუტური თავდებია პოეტის უსაზღვრო ფანტაზიის და უძირო სულის. გაფრინდაშვილმა შეჰქმნა ისეთი მრავალფეროვანი პოეზია, რომელშიც გამოსჭვივის მისტიური სახე და ახალი სამყაროს გიგანტიური სული. პოეტის ასეთი ორიგინალობის გენეზისი, უეჭველია, მის განსხვავებულ ტალახტში იმალება...“ ვერ ეგუებოდა ცისფერყანწელთა ხელოვნურად შეთვისებულ სიმახინჯისა და ეროტიზმის კულტს, არაბუნებრივ მწუხარებასა და ხელოვნურ მისტიციზმს, უხერხულ თავმოწონებასა და ესთეტიზმს, ვერ ეგუებოდა მათ ჯგუფობრიობასა და სენტიმენტალურ ძმაბიჭობას. პოეზია ჭეშმარიტი მისტიკის გარეშე, ხოლო პოეტი — ჭეშმარიტი მარტოობის გარეშე შევარდნის ფიტულს ჰგავს, სიცოცხლე და ცაში თავისუფლად სრბოლა რომ აღარ ძალუძს. ჭეშმარიტი პოეტი ყოველთვის მარტოა, ერთია, მარტოობაში ეძიებს პოეზიის ზეგრძნობიერ ძალას, ეძიებს და ეუფლება კიდეც, და ამ დაუფლებით ნეტარებს და იტანჯება, ბედხიერიც არის და უბედურიც, ხარობს და მწუხარებს: „პოეტი არის ყოველთვის ერთი, პოეტი არის ყოველთვის ღმერთი. პოეტი არის ყოველთვის გედი, მოვიდა ქარი, წავიდა ბედი. პოეტი არის, პოეტი მხოლოდ, და სიკვდილია პოეტის ბოლო. პოეტი არის ყოველთვის მარტო, პოეტი არის, პოეტი დარდობს...“ პოეტის თანამგრძნობელი — პოეზიაა, პოეტის თანამგრძნობელი — ტანჯვაა, პოეტის თანამგრძნობელი — ღმერთია. პოეტი ყველას სატკივარს იკრებს საკუთარ არსებაში, იკრებს უმიზეზოდ, არაფრის გამო, მხოლოდ სიყვარულის გამო, მხოლოდ სხვათა ბედნიერების გამო, მხოლოდ პოეტს ტკივა მთელი ადამიანური მოდგმის ხვედრი, ტკივა მთელი კაცობრიობა.

ვინ, ვინ ატარებს პოეტის ჭეშმარიტ სახელს საქართველოში, ვინ იცავს პოეტის უწმინდეს სახელს, ვინ არის მაცნე და აძღოლი-ძინებელი ახალ საუკუნეში ახალი პოეზიისა, ვინ არის ძეუფე ქართული სიტყვისა? . ეს კაცი გალაკტიონ ტაბიძეა — მისი ძვირფასი და მარადიული მეგობარი, განცხოველებული და გახსულიერებული პოეზია, მის სულს იდუმლად ნაზიარები: „ეს დღე შორს წავა, ეს დღე მოკვდება, კვლავ დაიწყებენ თვალები რონიხს. ისევ ერთმანეთს უახლოვდება სული ჩემი და გალაკტიონის...“ გალაკტიონიც იდუმლად გრძნობდა ამ დიდ სიყვარულს, გრძნობდა. წრფელად რომ სწამდა მისი, ვით კაცისა, ვით პოეტისა, სწამდა მისი პოეზიისა, ვით გამარჯვების სიხარულისა. სწორედ ამიტომ ეპყრობოდა გალაკტიონი ძმობითა და თანაგრძნობით, ზოგჯერ მფარველობითა და მშობლიური მზრუნველობითაც კი. გალაკტიონის სიყვარული და თაყვანისცემა არც მაშინ დაუკარგავს. გალაკტიონის დიდებამ მწვერვალს რომ მიაღწია, — „გალაკტიონი ყოველთვის დიდი, გალაკტიონი ზეცისკენ მიდის“, — თავად კი. ქუჩებისა და სარდაფების ბინადარი, უსახელოდ. და უთვისტომოდ მიექანებოდა სურამის პირდაფჩენილი სიცარიელისაკენ. თუმცა ეს უკვე ბედისწერის გარდაწყვეტა იყო, რისი შემობრუნებაც თვით ბედისწერასაც კი აღარ ძალუძდა: „ერთად ვხეტიალობდით თბილისის ბულვარებში, რესტორნებში, ბაღებში, მე არსად არ გტოვებდი. შენ პოეტად შეგიცნეს, რომ ჩაგხედეს თვალებში, მე კი დავრჩი მტკვრის პირას უსახელო პოეტი...“ თუმცა სწამს, ოდესმე გათენდება და მზის სხივი იმ ბნელ კუთხეშიც ჩამოაღწევს, მთელი წუთისოფელი ცისკენ ხელაპყრობილი რომ ლოცულობდა. სინათლესა და სითბოს მოწყურებული ხშირად ტკენია გული. უმეცრული აზრი რომ სმენია: გალაკტიონის გავლენა აქვსო, მათ სულიერ ნათესაობას პოეტურ იგივეობად თვლიდხენ და ვერ ამჩნევდნენ მათი პოეტური სამყაროებისა და პოეტური აზროვნების სხვადასხვაობას, რომელთა გაიგივებაც მიუტევებელ ცოდვად მიაჩნდა. გალაკტიონი — გალაკტიონი იყო, ტერენტი გრანელი კი — ტერენტი გრანელი. ხშირად დაეჭვებულა გალაკტიონიც ასე ხომ არ ფიქრობსო, დაეჭვებულა და ჩუმად გაბრაზებულა, კვირეობით გამოკეტილა ოთახში, გაფიცხებულ გულზე რომ არ შეხვედროდა თავის ძვირფას მეგობარს, სამაგიეროდ გალაკტიონს მოენატრებოდა ხოლმე, მოსძებნიდა და ნახავდა. „ძამიკო, ტე-

რენტი, მიჭირს დიდხანს უშენობაო“, — ეტყოდა სიყვარულით... თითქო ცხადად ხედავს გალაკტიონს, მისი ოთახის კარში გაჩერებულს, სადღაც მთაწმინდაზე, კიბის ქვეშ. სწორედ წინა დღეებში ჩაუკაკლეს „კეთილმოსურნეებმა“ ვიღაც კრიტიკოსის ნათქვამი: ტერენტი გრანელს გალაკტიონ ტაბიძის გავლენა აქვსო. ახლა ჩაკეტილია ოთახში, და თუმცა გაუხარდა გალაკტიონის სტუმრობა, სიხარულს მაინც ვერ ამჟღავნებს, რამდენიმე დღის უჭმელ-უსმელი, მისუსტებული, გაფერმკრთალებული. დგას გალაკტიონი დამნაშავესავით, თითქოს მას მიუძღოდეს რაიმე ბრალი. „ცუდად ხომ არა ხარ, ტერენტი, ძამიკო?..“ ისევ გალაკტიონი არღვევს უხერხულ სიჩუმეს და სიტყვა „ტერენტის“ ისეთი საოცარი სილბოთი, ისეთი თანაგრძნობით წარმოთქვამს, ყველა წყენა, რაც კი ოდესმე მის გულს უგემნია, სადღაც იკარგება. თუმცა იქვის რაღაც ნატამალი მაინც კიაფობს, გალაკტიონის თანგრძნობას ირონიად რომ აღაქმევინებს და უფრო მეტად ბრაზდება და ღიზიანდება. „თუ შენ ჩემთან მოხვედი, როგორც დიდი პოეტი პატარა პოეტთან, სასტიკად სცდები!..“ ახლაც თვალწინ უდგას გალაკტიონი, მის ამ სიტყვებზე როგორ შეკრთა და აიწურა, ბაგეზე მომდგარი სიტყვა შეუწყდა, თუმცა წაძიერი დუმილის მერე მაინც მიუგო: „არა ძამიკო, მე მოვედი შენთან, როგორც მეგობართან, უბრალოდ მომენატრე და მოვედი“, „გალაკტიონ! მე შენზე დიდი პოეტი ვარ!..“ წარმოსთქვა თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე ტუჩზე იკბინა, არა იმიტომ, თავის ნათქვამში რომ ეჭვი ეპარებოდა, არამედ იმიტომ, დაუმსახურებლად რომ ატკინა გული თავის ძვირფას პოეტსა და ადამიანს, იქნებ ერთადერთ ძვირფას მეგობარსაც კი. ახლაც ცხადად ჩაესმის გალაკტიონის მშვიდი, თუმცა შინაგანად აგზნებული ხმა: „კი, ძამიკო, ხარ?!.“ ამ შეხვედრიდან რამდენიმე დღის მერე „მე და გალაკტიონი“ დაწერა: „ავად ვიყავი, წუხელ ვკვდებოდი, ახლა მიგონებს ალბათ ზოზია. გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოზია. ყოველდღე ვიღებ ძვირფას ბარათებს, ბაღში მივდივარ, ეს დღე ციცია. გალაკტიონში მიწა ანათებს და ჩემში უფრო ზეცის სხივია. შორ! ქარი კივის, ახლო მტერია, ახლა ღამდება, შვიდია სრული. გალაკტიონში ლურჯი ფერია და ჩემს ლექსიდან მოჩანს უფსკრული. ავად ვიყავი, წუხელ ვკვდებოდი, ახლა მიგონებს ალბათ ზოზია. გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოზია...“ დაწერა, შაგრამ არ დაუბეჭდავს, ვაითუ გალაკტიონს ეწყინოსო.

ყოველთვის ფაქიზად გრძნობდა რაღაცნაირ ფარულ ლტოლვას გალაკტიონისადმი, და ეს სიყვარული არასოდეს ჩამქრალა მის სულში; გალაკტიონის შორეულ თანაგრძნობასაც გრძნობს ახლა, გალაკტიონი ხომ ყოველთვის წრფელი იყო მასთან, ყოველთვის გახსნილი, ყოველთვის სათუთი. ო, რა ძნელია უგალაკტიონობა!.. ისევ ის თუ მოეფერება ახლა, ისევ ის თუ გაუგებს, ისევ ის თუ გადაუხსნის გულს, ამ გაჭირვების ჟამს რომ რწმენა ჩაუნერგოს. გული ტკივა, რომ ვერ შეიცნეს ამისი ცხოვრება, ამისი პოეზია, გული ტკივა, გალაკტიონმაც რომ მიატოვა ბოლო ხანებში. სწორედ ამ შეუცნობლობით გულამღვრეულმა არ გადაყარა ვერის ხიდიდან რამდენიმე ცალი ახლად გამოსული „Memento mori?!.“ მაინც არავის ესმის ჩემი და ჩემი პოეზიისაო... „სოფელსა შინა იყო... და სოფელმან იგი ვერ იცნა..“ თუმცა ახლა რაღა დროს შეუცნობლობაზეა ლაპარაკი, — საერთოდ ახსოვს ვისმე, ვინმესთვის არსებობს ქვეყანაზე?! ალბათ მხოლოდ ღმერთს ახსოვს, ღმერთია მასთან... „და არ ვარ მე მარტოჲ, არამედ მამაჲ ჩემი ჩემთანა არს...“ განა თავიდანვე მძაფრ გარემოცვაში არ მოექცა, გაუწყვეტლივ არ უწამლავდნენ სულსა და გულს, — ხან რას დასწამებდნენ და ხან რას, — თავიდანვე იობივით დათმენისა და მორჩილების გზა არ აირჩია, ზოგჯერ მაინც რომ უმტყუნებდა ნერვები და სასოწარკვეთილი წამოიძახებდა: „არ თავდება ვარამი და იობის წამება!..“ ამისი ნაზი და სათუთი გული ვერ უძლებდა ასეთ უხეშ მოპყრობას და გაურბოდა ადამიანებს, საკუთარ თავში იკეტებოდა, რამდენიმე მეგობრისა და ღმერთის ანაბარა. გალაკტიონი ყველაზე წმინდა და ყველაზე წრფელი თავშესაფარი იყო მისთვის, თანასაგრძნობელი წყარო მისი მხურვალე და განაწამები გულის გასაგრილებლად; მხოლოდ გალაკტიონთან, მხოლოდ გლაკტიონით ჰპოვებდა შვებას, ტანჯვის სიხარულს, პოეზიას, ციდან მოვარდნილ ქარების მუსიკას, ლურჯი ბაღების სევდას: „დილით ვიყავი ბევრჯერ დაწერილ და ბევრჯერ ნახულ ადგილებში. საღამოს შემხვდა ჩემი მარადიული მეგობარი და ძვირფასი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. ექვსი თვე არ მენახა. შემხვდა დღეს, უცებ ვიგრძენით ერთმანეთი. ბევრი ვისაუბრეთ ალექსანდროვის ბაღში. ბაღში ჩვენს გარდა სხვებიც იყვნენ. უცებ გავჩუმდით. მივდივართ და ქვეყანას იპყრობს საღამოს ცისფერი ბინდი...“ ვერ იტანდა უგალაკტიონობას დიდხანს: „და სადმე წასვლა მეც მინდა ეხლა. და ისევ კიევის ზარი სიონის. დაიგვიანა, რატომ ამდენხანს არ ჩამოვიდა გალაკტიონი. და სხვაგვარია

ეს ფიქრი დილის და ისევ მარტო მივდივარ ბაღში. გალაკტიონი გაექ-
ცა თბილისს და მე, ძვირფასო, ისევ აქ დავრჩი...“ შეხვდებოდნენ
და დუმდნენ, დუმდნენ და ამ დუმილში გრძნობდნენ ერთმანეთს,
გრძნობდა გალაკტიონის პოეზიის ღვთაებრივ ძალას, პოეზიის ფერ-
სა და ბგერას, ჭეშმარიტი პოეზიის მუსიკას, მუსიკა ხომ ამისი სუ-
ლიერი ცხოვრება იყო, ქარში აწეწილი თმები — ვიოლიხოს სიმები,
დაგლეჯილი ნერვები — კლავიშები. გალაკტიონთან ერთად ხშირად
დაიარებოდა აკაკი ანდრიაშვილთან. უსმენდნენ მუსიკას, სულებს
რომ უფორიაქებდათ, უღვიძებდათ შინაგან წუხილს და სადღაც, შო-
რეულ წარსულსა თუ მომავალში გადაჰყავდათ. აი, თითქო ახლაც
ცხადად ჩაესმის ანდრიაშვილის დაკრული „რექვიემი“ მოცარტისა
და გალაკტიონის ჩურჩულ-წამღერებით ნათქვამი სტრიქონები:
„ათოვდა ზამთრის ბაღებს, მიჰქონდათ შავი კუბო და შლიდა
ბაირაღებს თმაგაწეწილი ქარი. გზა იყო უდაბური, უსახო, უპირქუ-
ბო. მიჰქონდათ კიდევ კუბო — ყორნების საუბარი: დარეკე! დაუ-
ბერე! ათოვდა ზამთრის ბაღებს...“ გალაკტიონი მისთვის ცხადი და
მიწიერიც იყო და მიწად მავალი მითიც. საიდანღაც მოვლენილი,
თვითმბადი არსი პოეზიისა, რომ იწვის და ანათებს, მაგრამ წყარო
ნათებისა უხილავია და განუჭვრეტელი. როცა დაუახლოვდა, მიუახ-
ლოვდა კიდეც, შეაღწია მის არსებაში და დარწმუნდა, გალაკტიო-
ნიც რომ მასავით კაცი იყო, ხორციელი და მოკვდავი, ხილული
და მხილველი ყველა იმისა, თავადაც რომ გრძნობდა და ხედავდა;
მაგრამ გალაკტიონი მაინც სხვა იყო, რაღაც არამიწიერი, შორეული,
ზოგჯერ ცივი და მიუკარებელიც კი. თანდათან რომ ჩამოაშორა
მითიური საბურველი, მიწიერ მითად აქცია, და ეს სამოსი მიწიე-
რი მითიურობისა არასოდეს არ ჩამოუხსნია ძვირფასი მეგობრის
მხრებიდან. თუმცა გალაკტიონი ფარული შიშისა და არაცნობიერი
შურის აღმძვრელიც იყო, მაგრამ მაინც სათაყვანო მისთვის, მის-
ტიური ჭვრეტის გასხივოსნებული საპყრობილე. განა ამიტომ არ
მიაჩნდა გალაკტიონი თავის ყველაზე დიდ და ერთადერთ მეტო-
ქედ, გამტარი და აღმომცენებელი იმ ჭეშმარიტი პოეზიისა, პირ-
ველმა პოეტთა შორის წრფელი გულით რომ აღიარა?!

ბავშვობიდანვე უნერგავდნენ, — შინ: მორწმუნე დედინაცვალი,
ეკლესიაში: მოძღვარი, — სხვათა აღიარება რომ სიკეთე და დიდი
ნიჭია, არ დაფარვა არდასაფარავისა რომ სიწრფელე და სიხდისიე-
რებაა. განა ქრისტეს აღიარებით არ ამაღლდა თავად იოანე ნათლის-

მცემელი, სწორედ სიკეთისა და ღვთაებრივი თანაგრძნობის ამ გზას არ უხსნია ოდესმე დიადი შენამოქმედი ადამიანისა, სწორედ ამ გზით არ ვეზიარებით ღმერთს — უჭენაეს ჭეშმარიტებას?! გალაკტიონის აღიარებით ხომ საერთოდ პოეზიის გამარჯვება, ახალ საუკუნეში ახალი პოეზიის აღმოცენება იზეიმა! განა სხვანაირად შეეძლო?! შეეძლო განა არ ეღიარებინა, „არტისტული ყვავილებით" რომ დაიწყო ახალი ერა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში, რომ „ლურჯა ცხენები" ადამიანის შინაგანი ძალების, უხილავი მისტერიის განსულიერებაა, მარადი მზადყოფნა და მზადება მარადიულ ქვეყნებში სახეტიალოდ?!. „ახალ ნაკადში", 1920 წელს სწორედ ამას წერდა: „აპრილის შვიდს სახელმწიფო თეატრში კიდევ იმართება საღამო ჩვენი მგოსნის გალაკტიონ ტაბიძისა. რასაკვირველია ბევრს ვერაფერს ვიტყვით გალაკტიონის პოეზიაზე ამ წერილში, მაგრამ ორიოდე სიტყვით მაინც გვინდა ხაზი გავუსვათ მისი შემოქმედების ზოგიერთ თვისებებს. გალაკტიონს უმთავრესად თავისებურება ახასიათებს პოეზიაში და ეს გარემოება, უეჭველია, დადებითი მხარეა მისი შემოქმედებისა. საქართველოს პოეზიის რენესანსში გალაკტიონმა თავისი წვლილი შეიტანა... გალაკტიონი სიმბოლისტია, იგი ყოველთვის თავის განცდებს სიმბოლიურად გვიხატავს და მის ლექსებში უმთავრესად სიფაქიზის და სინაზის მისტიციზმი გამოსჭვივის. გალაკტიონი ინდივიდუალიზმის ცეცხლით არის გამსჭვალული, მას სწამს მხოლოდ „მე", როგორც მსოფლიოს განუსაზღვრელი და განუყრელი ხაწილი. გალაკტიონის შემოქმედებაში არის თავისებური სამყარო, რომელიც ხილული ქვეყნის ანარეკლია; იგი ყოველთვის საგხების გადალმა ეძიებს მსოფლიოში გაბნეულ ფერებს, და აქ არის გალაკტიონის გამართლება; მას უყვარს მუსიკის და განცდის ერთმანეთთან შეხამება, რომლის სინთეზში ადამიანს ძალუძს ემოციონალურ და ესთეტიურ გრძნობათა დაკმაყოფილება. გალაკტიონმა ნახა თავისი სახე, სახე მეტად ძლიერი და პოეტური ბუნებით აღჭურვილი. სხვა ლექსებს თავი რომ დავანებოთ, „ლურჯა ცხენები" შედევრია, რომლის ვრცელი დინამიკა უმაღლეს წერტილს აღწევს... გალაკტიონი ვიწრო ყალიბებში არ თავსდება, იგი თავისი შეუკავებელი სულით ლიცენციისაკენ მიისწრაფვის და აქ იშლება მისი პოეტური სახის უზენაესი ატრიბუტები. ჩვენ ამ წერილში ყოველივე პრეტენზიებს გვერდს ვუვლით და თამამად ვამბობთ, რომ შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში არ დავეთანხმოთ

გალაკტიონს; მაგრამ რამდენიმე ლექსით ჩვენ მას ვღებულობთ როგორც პოეტს... გალაკტიონმა დაიმსახურა პოეტის წმინდა სახელი. მან იცის თავისი დანიშნულება. და ჩვენ ვფიქრობთ, მომავალში იგი სავსებით დაიკავებს იმ ხაზს, რომლის წიაღში პოეზიის აბსოლუტური გამარჯვება აუცილებელი იქნება...“

დიახ, პოეზია უმაღლესი გამოცხადებაა, სამყაროს ხელმეორედ შექმნა რომ ძალუძს, პოეზია გამოსხივებაა შემოქმედისა, ქვეცნობიერების უწყვდიადეს შრეებს რომ ანათებს და წვდება ადამიანის სულის დაფარულ სიღრმეებს, პოეზია შესაკრებელია მარადიულ ჭეშმარიტებათა, ცხოველმყოფელი თესლის სახით რომ განფენილა სამყაროში, პოეზია იდუმალი კავშირია ადამიანისა და ბუნებისა, წარმავალში წარუვალს რომ ჭვრეტს, პოეზია ხსნაა, ქრისტეს სისხლივით რომ მოწვეთავს სპეტაკ პერანგზე. პოეზია ყველგან არის, პოეზია ყველაფერშია, ცისა და მიწის შემაერთებელია, უდაბლესი და უმაღლესი საფეხურების დამაკავშირებელია: „და ზეციდან — ეს ღმერთი, და გულიდან — ეს სისხლი. და ვარ თითქმის ყოველთვის განწყობილი ლექსისთვის. მიწა, ცა უმაღლესი — ხომ პოეტის გულია, და მგონია მე ეს ლექსი ყველგან გაბნეულია...“ პოეზია დაფარული და უხსოვარი გზხებაა, ხორციელობის სულიერობად გარდამქცევია, არაცნობიერი გზხებით შემოპარული ღვთიური ძალაა, ლოცვაა, მონანიებაა, მიწიერ შეცოდებათა მიტევებაა, წრფელი და მართალი აღსარებაა. პოეზია ზმანებაა, მოწამებრივი ტკბობითა და მწუხარე მშვენიერებით დაბინდული ზმანება: „სთქვი: პოეზია — ეს ზღაპარია, სთქვი — ეს სიზმრის ახსნა“, „ჩემი სუსტი სხეული — გაწყვეტილი ძაფია, ჩემი შემოქმედება — დედამიწის სიზმარი...“ პოეზია სულიერი რიტმის გაქანდაკებაა, ხოლო სიტყვა პოეზიისა — ორეულია ხანახი სიზმრის. სიტყვა პოეზიისა — შეფარული გრძნეულებაა, იდუმალებაა, მისტიური ხილვაა, აზრს რომ კი არ აღძრავს, არამედ ვხებათა და სურვილთა შინაგან მოძრაობას, მიწიური ტანჯვის სამყაროდან ზეციური სუფევის სინეტარეში რომ გაგიყვანს და პოეზიის რელიგიას გაზიარებს. დიახ, პოეზია რელიგიაა, ადამიანური ცხოვრების უზენაესი მიზნის, ყოფიერების უმაღლესი აზრის განსულიერებაა. ვით სინათლის სხივი მიელტვის ღამეულ სივრცეებს, უსასრულობის საზღვრები რომ გადალახოს და გაასხივოსნოს ქვეყნიერება, ისე პოეზია მიელტვის ამსოფლიურ ყოფიერებას, ადა-

მიანთა გაუხეშებული გულები რომ გააკეთილშობილოს და გაასათუთოს, გააფაქიზოს და გაასათნოკოს: „წითელი მზე აელვარდა მინებთან, მოდის ჩუმი და ცისფერი ღამე. უიმედო გულის ძგერა მინელდა, შენ წმინდაო მაცხოვარო, ამინ!..“ პოეზია მხოლოდ სიკეთისა და სათნოების წილხვედრაა, ხოლო პოეზიით სენშეპყრობილი — კეთილია და სათნო. ვით სინათლის სხივს, სივრცეში გატყორცნილს, ვერ ამრუდებს ქარი, ყოვლის დამანგრეველი და დამამსხვრეველი, ისე პოეზიას ვერ ამრუდებს ბოროტეული გამოვლენანი ყოფიერებისა. უხეში მიწიერება, წარმავალი დრო და ცხოვრება, ველური ყიჟინა მკვლელია პოეზიის; ზეციერება — თანხმიერებაა პოეზიის, მიწიერება — უთანხმოება, ზეციერება — სიცოცხლეა პოეზიის, მიწიერება — სიკვდილია, ზეციერება — მარადიული საუფლოა პოეზიისა, მიწიერება — წარმავლობის საუფლო: „გაზაფხულია, მივდივარ ნელა და მიკავია ხელში ეს ია. მე უარვყავი მთელი ცხოვრება, ვიწამე ზეცა და პოეზია“, „პოეზია — ზეცა, ცხოვრება — ტალახი“, „მე ისევ მღალავს შფოთი ქალაქის და გრიგალები მიწას უვლიან, მესმის ცხოვრება როგორც ტალახი და პოეზია სიხარულია“, „ჩემს პოეზიას ებრძვის ცხოვრება“, „ეს ოცნება სარკესავით ელავს, ასეთ ყოფნას ვეუბნები უარს. ვიღუპები, არ იქნება შველა ცხოვრების და პოეზიის შუა. აკეთებენ სადღაც ჩემთვის კუბოს, ნელა მივალ და გულია ღერძი. ეს ცხოვრება ტალახია უფრო და ცხოვრება პოეზიას ებრძვის...“ პოეზია უხენაესი მადლი და წყალობაა, დიახ, მადლი და წყალობა, დაუოკებელი ვნებების დათრგუნვა და მათი სიკეთედ და სათნოებად გარდაქმნა რომ ძალუძს, კვლავ პოეზიას რომ მიუძღვის, ვითარცა ზვარაკი სისხლიანი. პოეზიაც ხომ ისეთივე უბიწოა, ვით მოწამებრივი ტანჯვა მოწამესი, და რაც უფრო მძიმეა და წრფელი მოწამეობა, მით უფრო წმინდაა მოწამე, ხოლო ვედრება და აღსარება მოწამესი — წრფელი. ჭეშმარიტი ტანჯვის ბეჭედი რასაც არ აზის, არ არის წმინდა, ჭეშმარიტი მოწამეობა სადაც არ არის, იქ არ არის პოეზიის რელიგია: „საღამო, კანკალი სანთლის, ირგვლივ დაწოლილი ნისლი. ფარული წამების ლანდი, პოეტის ცრემლი და სისხლი“, „დატანჯულია მართლა პოეტი, ცრემლიანია მისი თვალები. დიდი ხანია მე რომ მოვედი, დიდი ხანია, რაც ვეწვალები. ყოველი წამი ბოლოს მიმატებს და სოველია ციხის ფანჯრები. დიდი ხანია, რაც დავიბადე, დიდი ხანია, რაც ვიტანჯები...“ ივანე

გომართელიც ხომ ამას წერდა მისდამი მიძღვნილ გაზეთში, 1924 წელს: „ტერენტი გრანელს იზიდავს ყოველივე, რაც საიდუმლოების, იდუმალების ზეწარშია გახვეული და ეს იდუმალება მის ყოველ სტრიქონში გამოჰკიაფობს. მთელი პოეზია ტერენტი გრანელისა მისი საკუთარი განცდაა, პოეტი საკუთარი სულიერი გახწყობილების მხატვარია... მთელი პოეზია გრანელისა მოქარგულია სევდის ძაფებით. სევდა არის უმთავრესი განწყობილება მისი შემოქმედებისა, გლოვა — უმთავრესი ტონი მისი მუსიკისა. პოეტის სევდაში ჩაქსოვილია დიდი გულწრფელობა, ქალური სინაზე. დარბილება და ძიება მოუსვენარი, მოწყურებული სულისა... ტერენტი გრანელის პოეზია მუსიკაა მისი სევდიანი სულისა...“

მუსიკა პოეზიისა აღვიძებს ადამიანში ჩათვლემილ და უხსოვრობაში ჩალექილ გრძნობებს, აღვიძებს და ატივტივებს ცნობიერების ზედაპირზე, მუსიკა პოეზიისა ამსუბუქებს ადამიანში ცხოვრებით მოგვრილ ტანჯვასა და მწუხარებას, შეაგრძნობინებს მწუხარე მშვენიერებას, მუსიკა შინაგანი და არა გარეგანი, მუსიკა პოეზიისა და არა ლექსისა, მუსიკა აზროვნებისა და გრძნობისა და არა სიტყვისა და სტრიქონისა. პოეზიას უნდა ისმენდე ვით მუსიკას, პოეზიას უნდა უმზერდე, ვით ფერწერას. მუსიკა პოეზიისა ამხელს საგნების სულს. პოეტის მარტოსულობასა და განდგომას, ღვთაებრივი სივრცეებისაკენ მის ლტოლვას. მუსიკა პოეზიისა, ხან დემონი რომ დირიჟორობს და ხან ანგელოზი, არათანხმიერი თანხმიერებაა, წესრიგსაც რომ გვაუფლებს და უწესრიგობასაც. ხმაურსაც და სიმშვიდესაც. ცხოვრებაც ხომ ასეთია, ასეთია სამყაროს მოძრაობისა თუ უძრაობის, ცვალებადობისა თუ უცვლელობის კანონები. წარმოსახულ საგნებში ისე იმსხვრევიან მოვლენები, ხოლო მოვლენებში საგნები, ვით ტბის ფსკერში ჩატყორცნილი მზის სხივი, და ეს ურთიერთმსხვრევა საგანთა და მოვლენათა, მათი ხმიერი ფერიცვალება ქმნის პოეზიის მუსიკას, იქ მისტიურ მუსიკას, არც სახე რომ არა აქვს, არც სახელი, არც ფერი. სწორედ პოეზიის ამ მუსიკიდან აღძრული აზრი თუ ფიქრი, გრძნობა თუ გრძნება, ხილვა თუ გახსენება არის წმინდა შემეცნება პოეზიისა, მისი უზენაესი დანიშნულებისა. სიჩუმე ფიქრისა — აი, მისი პოეზიის მუსიკა, დუმილი აზრისა — აი, მისი პოეზიის მუსიკა, გარინდება გრძნობისა — აი, მისი პოეზიის მუ-

სიკა. ფერთაცვალება ოთხი დროისა — აი, მისი პოეზიის მუსიკა. შინაგანი რიტმი ჰქმნის პოეზიის მუსიკას, შინაგანი აზრი და გრძნობა ჰქმნის პოეზიის მუსიკას, დროსა და სივრცეში განფენილს. აი, ჟეშმარიტი მუსიკა პოეზიისა, ადამიანში რომ შორეულობასაც აღვიძებს და უკაცრიელობასაც. ზეციურობასაც და მწუხარე მშვენიერებასაც, სიმშვიდესაც და მშფოთვარებასაც, სიცხადესაც და იდუმალ ფერთაცვალებასაც. ეს არათახსმიერი თანხმიერება აშფოთებდა დიმიტრი კარამაზოვსაც: „შეშაძრწუხებელია, მშვენიერება რომ არა მხოლოდ საშინელია, არამედ იდუმალიც. ეშმაკი ღმერთს ებრძვის, ველი ბრძოლისა — ადამიანის გულია“. დიახ, მუსიკა პოეზიისა აღვიძებს პოეზიის ფერთაცვალებას, ხოლო პოეზიის ფერთაცვალება — პოეზიის მუსიკას, მათი ზეგრძნობიერი თანაკავშირი ფერთაცვალების მუსიკასა და მუსიკის ფერთაცვალებას რომ ჰქმნის. ფერთა მუსიკა მხოლოდ ცხადი სამყაროდან კი არ შედიოდა მის არსებაში, არამედ სიზმარეული და უხილავი სივრცეებიდანაც მოლივლივებდა, ათასნაირ ფერად რომ იმსხვრეოდა და ბუნებრივად ერწყმოდა პოეზიის მუსიკას. ისე გრძნობდა ფერისა და სინათლის მუსიკას, ვით მუსიკას სულისას. სიმწყვდიადის საშო თუ გამჭირვალობაა, ხოლო გამჭირვალობისა — სიწყვდიადე, ზეგრძნობიერ ექსტაზში წარმოსახული საგანი, მისტიური ნისლით დაბურული, სიბნელესაც ფლობს და სინათლესაც, სითეთრესაც და სიშავესაც, სილურჯესაც და სიცისფერესაც, სიყვითლესაც და სიწითლესაც. ყველა ფერი, მის პოეზიას რომ ბუნებრივად შერწყმია და შეთვისებია, მისტიური და მეტაფიზიკური პოეტური აზროვნების მაუწყებელნი, მის არსებაში არიან ჩასახულნი და აღმოცენებულნი.

ცისფერი ყვავილი — სიმბოლოა ზეციური ბედნიერების, მწუხარე მშვენიერების, მარადიული ჟეშმარიტების, ზედროული საძყაროებისაკენ ლტოლვის, იმსოფლიური არსებობის გაძარადისების, სულიერობის გაუკვდავების: „ალბათ, ირა, ჩემ საფლავთან მოხვალ და მომიტან უფრო ცისფერ ყვავილს“, „და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სულიდან“, „ციდან ცისფერი ყვავილი ცვივა...“ ცისფერი — სიმბოლოა უსაზღვროების, შორეულობის, მარადისობის, უხილავი, მარადი ქვეყნის, სიზმარში ხილული ზეყოფიერების: „ასე მგონია, სულთან ახლოა ცისფერი შუქი მარადისობის“, „ახლა ცხოვრებას ვიღებ სრულიად და ცისფერ ქვეყნის მზერა

ვიწამე“, „მე ვარ და დუმილია და ცისფერი ქვეყანა“, „მე ისევ ცისფერ სამყაროს ვეძებ“, „ყოველთვის იმის აღნიშვნა შიყვარს, რაც ცისფერია და შორეული...“ ცისფერი — სიმბოლოა სიზმრის, ძოჩვენებებისა და ლანდების, მოგონებებისა და ოცნების, წმინდა ფიქრისა და ზეშთაგონების, წამიერი მწუხარებისა და სიხარულის, სინათლისა და იმედის: „ცისფერია ფიქრი წმინდა“, „მიმაქვს ცისფერი სევდა“, „სადღაც მკრთალი მიდამოა და ცისფერი ძოჩვენება“, „ცისფერ ლანდებით გაივლის ღამე და ჩემი შიში გაიფანტება“, „გულში ნისლიანი ღამე, სულში — ცისფერი სინათლე“, „ახლა არ ვდარდობ და ვიღიმები, დგება ცისფერი წამი ზმანების“, „და ფოთოლივით სულში კანკალებს მოგონებების ცისფერი ქსელი“, „პოეტს ცისფერი ოცნება დაღლის“, „დღეს სულს ცისფერი სინათლე ახლავს“, „ცეცხლი მსგავსია ჩემი ფიქრების და სადღაც მივსდევ ცისფერ ზმანებას“... ლურჯი — სიმბოლოა ოცნების, ხსნისა და იმედის, სულიერი სინაზისა და სიფაქიზის, უხილაობის, ღვთაებრივი უქმობის, მწუხარების: „მელანდება სიკვდილი და სოფელი მამშვიდებს, ჩემი ტკბილი ოცნების ლურჯი ნამოსახლარი“, „ბედს გავურბოდი, მაინც რას ვეძებ! და ვსაუბრობდით, ჩვენ, სილურჯეზე“, „როგორც ლურჯი სინაზე დაიკივლებს ვარდებში“, „ცის მდუმარება იგრძნეს ქუჩებმა, აქ ბრწყინავს სევდა, იქ სილურჯეა“, „მიტოვებული ბაღი კიოდა, დაჰქროდა ლურჯი სურნელი კვირის“, „შეიძლება ჩემი მწუხარების მიზეზი უხილავი ბაღის სილურჯე იყოს“, „სინანული გაივლის მოგონების მაღლობთან და მოვა მწუხარება — ჩემი ლურჯი ფრინველი...“ თეთრი — სიმბოლოა სრულქმნილების, მწუხარების, შიშის, სიჩუმის, სულიერობის, დროის დინების, სიწმინდისა და უბიწოების, ფიქრისა და ოცნების, მდუმარებისა და იმედის, უსაზღვროებისა და სიმშვიდის: „თეთრი სივრცე მწუხარებას მალავს“, „ამ ძაღლობზე ველოდ ქრისტეს გამოცხადებას, მერე თეთრმა სიჩუმემ ის იმედი წაიღო“, „სული გაფრინდა თეთრი მტრედივით, სხეული დარჩა ცოდვილ მიწაზე“, „და სულში თეთრი ანგელოზია“, „ისევ დადგება სურნელი ნისლის, სულს წაიღებენ თეთრი ფიქრები“, „თეთრი ოცნება იდუმალია“, „თეთრი ოცნების იქით ვხედავ შორეულ წერტილს“, „დღესაც ბაღში ვიმალები, როგორც თეთრი მდუმარება“, „ჩემი თეთრი იმედი დაიკარგა ოდესღაც“, „ცოდვილ დაწავით ძიგაჩნდა ალბათ, სიჩუმე — თეთრი და უწმინდესი“, „ჩემი თეთრი სული

შენთან იტანჯება“, „ის ალბათ თეთრი თოვლია სადღაც, ის შორეული სიმწუხარეა“, „ჩემს სულს სწყურია თეთრი სავანე, ჩემს სულს სწყურია უსაზღვროება...“ შავი — სიმბოლოა წარმავლობის, სიბნელის, უბედობის, ველური ყიჟინისა და კოშმარის, პყრობილობის, მწუხარებისა და მარტოობის, გაუღწევლობის, ბოროტებისა და უსასოობის: „ახლა ბნელია სიზმრების მხარე“, „სადაც მე ვდგავარ იქ სიბნელეა, იქეთ არავინ არ იხედება“, „და ჩაქრა მუქი თავისუფლების, სიბნელე ირგვლივ დაფენილია“. „ქრის წამი, შავი და უცნაური“, „ბნელია სივრცე. ქსელავს ობობა და ისევ ვიგრძენ უმეგობრობა“, „ახლა შავი ღამეა, ღამე და მწუხარება“, „როგორი სიჩუმე დადგა, ო, როგორ ჩამოწვა ბინდი“, „ფიქრს ცეცხლი მოსდევს და დროა შავი“, „და სულში ირგვლივ ბოროტების შავი ნისლია“, „ღამე მომიახლოვდა, შავი და საშიხელი“, „ბოროტება მიცქერის, როგორც შავი ყორანი“, „ეს შავი ფიქრი დაღუპვას უდრის...“ ყვითელი — სიმბოლოა სიკვდილისა და კვდომის, მოახლოებული გარდაცვალებისა და ფერიცვალების, ფარული სიხარულისა და სევდის: „კვირის აისი ლანდებში ახვევს დამსხვრეულ კუბოს ყვითელი ფერით“, „ყრუ ფოთლების სიყვითლეა ირგვლივ და ფოთლებში შემოდგომას ძიხავს“, „ცოტა ხნის შემდეგ სისხლიც გაშრება, ეხედავ სიკვდილის ყვითელ მახტიას“, „ჩემი სახე რომ ყვითლდება, ეხედავ, შორეული ყვავილებიც ხმებიან. სამარისკენ აცილებენ ცხედარს და მუსიკის მგლოვიარე ხმებია“, „სოფელში მაინც სხვა შრიალია, დაიწყო თოვა ყვითელ ფოთლების“, „და ახლა ჩემთვის სიხარულია, რომ სიყვითლეა და შემოდგომა“, „და შემოდგომა ყვითელი ალბათ სიხარულს მოიტანს“, „მე თანდათან ვყვითლდები და ჩემი თმაც ძირს ცვივა“, „ო, სიყვითლეა, სიყვითლე ყველგან, და მეც სიკვდილი მიახლოვდება...“

ეს იდუმალი ფერთაცვალება, ფერთა ეს იდუმალება ქმნის პოეზიის იდუმალებას, რისი წყალობითაც საგნებს ცხადიერ ხაზებში კი არ ვუმზერთ, მის შინაგან ფერსა და ბგერას, მის წმინდა არსს ვუპვრეტთ, და ასე იღვიძებს ჩვენში შეგრძნება მწუხარე მშვენიერებისა. ჭეშმარიტი პოეზია ყოველთვის იდუმალია. გაშოუთქმელია, ფარული იდუმალების ახსნა კი შეუძლებელია, მხოლოდ წამიერად თუ შევიგრძნობთ მის ფარულ სუნთქვას. სწორედ ამ წამის ხელთაპყრობაა აუცილებელი, რომ არ წარიხოცოს იდუმა-

ლება, თვალსა და ხელს შუა რომ არ გაგვისხლტეს, რომ არ დავკარგოთ უსაზღვროება, პოეზიის უსაზღვროება და მარადიულობა: „სადღაც შორს, ნაპრალს ნისლი ეწვია, მე დავასვენე ბაღში თვალები. ჰქრიან ფიქრები და პოეზია რა არის, გარდა იდუმალების, სადღაც შორს, ნაპრალს ნისლი ეწვია, მივდივარ, თბილისს ვტოვებ დროებით, ჰქრიან ფიქრები და პოეზია რა არის, გარდა უსაზღვროების. სადღაც შორს, ნაპრალს ნისლი ეწვია, ძვირფასო, ჩემს გულს შენ არ იცნობდი. ჰქრიან ფიქრები და პოეზია რა არის, გარდა მარადისობისა...“ პოეზია და ზეციერება ერთია, პოეზია ზეცასავით მარადიულია: „მოდიან წლები უაზინდობის, ახლა ერთია ზეცა და ლექსი“, „ვწევარ, ქუჩებში სხვები დადიან და როგორც ლექსი, ცა მარადია...“ მარადია პოეზია, ეითარცა სიტყვა ღვთიური... „ცანი და ქუეყანაჲ წარსდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარხდენ...“ მხოლოდ მარადისობასთან ნაზიარებ პოეზიას ძალუძს გაარღვიოს სიცოცხლისა და სიკვდილის საზღვრები და გადახვეწოს ადამიანი სადღაც შორს, მესამე არსებობაში ბისტიურ ზეყოფიერებაში, სადაც სული უკვდავებას ეზიარება: „პოეზიაჲ იცის უეცარი სიხარული, რომელიც უდრის გაფრენას“, „მე პოეზიამ მაგრძნობინა, რომ სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე სული...“

ძვირფასო ირა!.. კვლავ გაიღვიძა ჩემში ფაქიზმა და შორეულმა სიყვარულმა შენდამი. რომ დაგანახა ახლა, რა უცხო ფერის სიწითლე ეპარება თბილისის ცას აღმოსავლეთით, გაოცდებოდი. მალე გათენდება და მიხარია. ვგრძნობ, შენც ასეთივე გახცდა გეუფლება ახლა, თუმცა შორს ხარ ჩემგან. ბევრი ვებრძოლე თავს, შენი სიყვარულისაგან რომ განვთავისუფლებულიყავი, მაგრამ არაფერი გამოვიდა: თუმცა ის განცდა აღარ მაქვს, ოდესღაც რომ მქონდა, აღარც ის ვნებაა და აღარც ის გზნება, რომ მაფორიაქებდა და მამსხვრევდა. თანდათან მიდის ყველაფერი და რჩება ხაშთი მოგონებისა, რჩება ერთხელ განცდილის მკრთალი და უფერული კვლავგანცდა... „თითქო ყოველივე, რაც იყო, ღრმა სიშორეში წავიდა...“ მე ავმაღლდი ჩემს ვნებებზე და მოვიპოვე სულის სიმშვიდე, ასე აუცილებელი ჩემი შორეული და მარადიული მგზავრობის წინ. დიდი ხანია მოგიტევე, რადგანაც სხვახაირად არ შეშძლია. განა შენ კი ცოტა ეწამე, ჩემი სნებიანი სული რომ გეხსნა?!. აი, ახლა, სწორედ ამ წამს, რაღაც არამიწიერი სიმღერა ჩამესმის და წამიე-

რად ღვიძებ ჩემში, ღვიძებ ისეთი, ოდესღაც რომ იყავი. ო, რა ძალა აქვს ამ სიმღერას!.. მთელი სხეული მერღვევა და უმწეო ვხდები. გულჩვილობა მიპყრობს, სულს სილბო ეპარება, ჩემს ტანში ისე მოეონავს ცრემლი, ვით გაბლიკებულ, ნაზამთრალ მიწაში გაზაფხულის მღვრიე წყლები. არის რაღაც დიადი ამ სიმღერაში, რაღაც გამოუთქმელი და აუხსნელი, ჩემი დაგმანული ქვეცნობიერება რომ გრძნობს მხოლოდ. ეს სიმღერა იყო, ნიადაგ რომ ზმანებაში ჩამესმოდა, ქარის შორეულ ქროლვასა და ალვების იდუმალ შრიალში. არ ვიცი, იქნებ ეს ხმიერი გამოცხადებაა დედაბუნებისა, ცხადსა და სიზმარს შორის რომ განფენილა და ნეტარად მაშფოთებს და მაფორიაქებს?.. სურამში, ყველაფერი ზმანებასავით რომ დანისლულა, ხშირად ვნახულობდი სიზმრებს, და ეს სიზმრები იყო ჩემი ხსნაც და ჩემი მშობლიური ნავსაყუდელიც. ერთხელ ტყე მეზმანა, ქარისაგან მსუბუქად დარწეული, იდუმალი მუსიკით ახმიანებული, ჩემს ბავშვობაში რომ გადამაფრინა, ჩემ სოფელი გამომეცხადა და ცრემლი მომგვარა. ტყის შრიალი და ფრინველთა გალობა ღვთიურ ლოცვად იღვრებოდა ჩემში და სადღაც, უცხო ქვეყანაში დავაბიჯებდი, წალენჯიხასაც რომ ჰგავდა და არც ჰგავდა. მუსიკის ჰანგებიდან თითქო ცისფერი წრეები მოფრინავდნენ და მე ნელ-ნელა მივიწევდი წრეთა შუა უსასრულობისაკენ, საიდანაც ღვთისმშობლის სახე მიღიმოდა და მიხმობდა; მერე თითქო გადმოვიდა წრიდან, თმაზე ხელს მისვამდა და მეფერებოდა. ო, რა მშობლიური და ღვთაებრივი წამები იყო!.. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქო შენ იყავი გამოცხადებული ღვთისმშობელი, ოდესღაც გარდაცვლილი და მკვდრეთით აღმდგარი, ცისფერ, უსაზღვრო თვალებში სევდაჩამდგარი... აგონიის ცეცხლით შეპყრობილს გამეღვიძა, უსუსურ ბავშვად ვიგრძენი თავი, უღრან ტყეში გზადაბნეულმა საით წავიდეს რომ არ იცის, მინდოდა მეყვირა, მინდოდა გამომეხმო ღრმა ბურანიდან სნეულთა სნებიანი სულები და მათ გულებში სიცოცხლის მზე ამენთო, მაგრამ დუმილს შთაენთქა ყველა და ყველაფერი, საავადმყოფოს რუხი კედლებიც სამარისებურ სიჩუმეში ჩაძირულიყო. თითქო კოსმიური სიჩუმე დაუფლებოდა გაუბედურებულ ადამიანებსაც, და მეც ვდუმდი... ახლაც ვდუმვარ ქაშუეთის სამრეკლოზე, ზარების ნაცვლად ჩემი სული ფარულად რომ რეკავს, და შენ გიხმობ თანამგრძნობლად ამ სიწყვდიადესა და სიცარიელეში... „შენთან მინდა და ნაპრალთან ვდგევარ, საშინელი სიმარტოვე ვიგრძენ. რვა სექტემბრის

ქარიანი დღეა, წინ იშლება უიმედო სივრცე. ისევ გელი და გიგონებ ხშირად, მოგონება — ჩემთვის მძიმე ლოდი. შემოდგომა ახლოვდება, ირა, შემოდგომა სიზმარივით მოდის. შენსკენ მოჰქრის ეს ოცნება წმინდა, უფსკრულია და მე რაღაც მშველის. შენთან ერთად მე სიცოცხლე მინდა, შენთან ერთად შემოდგომას ველი...“

ძვირფასო ირა!.. შენ იცი, პოეზიასთან ერთად მეორე დიდი ძალა, შორეული სივრცეებისაკენ, მესამე გზისა და ზეყოფიერებისაკენ რომ მიმაქროლებდა, იყო ქალი, ქალში განსულიერებული მისტიური ძალა, ციდან გადმოვლენილი და ჩემს არსებაში ბედისწერით ჩასახლებული. მე არასოდეს შემიხედავს შენთვის, როგორც მხოლოდ ხორციელი არსებისათვის, შენს მიღმა ყოველთვის ველტვოდი იმ სულიერებას, რაღაც მაგიური ძალით ზეციურ სამყაროებთან რომ მაკავშირებდა. ქალში ყოველთვის მწუხარე მშვენიერებას ვეძიებდი, და არა მიწიერ სილამაზეს, იმ ჰწუხარე მშვენიერებას, პოეზიასთან ერთად რაღაც უხილავს, რაღაც შეუცნობელს რომ მაზიარა. ქალი ისეთივე მიუწვდომელი არსებაა, ვით ზეციური, შორეულობის სამყარო, და ველტვოდი ამ შეუცნობელ მშვენიერებას, თუმცა ვკრთოდი კიდეც ამ მშვენიერების წინაშე, რადგანაც მშვენიერება მკაცრიც არის და უკაცრიელიც. და სწორედ ამ უკაცრიელობით არის მიმზიდველი... ვდგავარ ახლა სიკვდილ-სიცოცხლის გზაგასაყარზე თეთრი ფიქრებით გარემოცული, მშვიდი. შფოთვითა და კონვულსიებით შეპყრობილი და ზეციური გათენების გამჭვირვალობიდან ვიღაც უხილავი ქალის ცისფერი თვალები მიხმობს და მიღიმის. ნუთუ ეს ის ქალია, ერთხელ ნაბვის მერე რომ დაიკარგა და დარჩა ლანდი შორეული მოგონების?!. იქნებ მარადიული სიქალწულია, იქნებ უხილავი, განსულიერებული ძალაა პოეზიისა, ძალა ფერისა და ბგერისა, ძალა ღვთიური მუსიკისა, სულიერ გასხივოსნებასა და უკვდავებას რომ გვანიჭებს?!. „მძიმე ქარები გარეთ კვნესიან, დღემდე ოცნება სივრცე მეგონა. რა ძვირფასია ეს პოეზია და იდუმალი ქალი ლენორა. მიყვარს ეს ვარდი, მიყვარს ეს ია, ფიქრებს ფიქრები გადაეკონა. რა ძვირფასია ეს პოეზია და იდუმალი ქალი ლენორა. გულს გრიგალები შემოესია, დღემდე ოცნება სივრცე მეგონა. რა ძვირფასია ეს პოეზია და იდუმალი ქალი ლენორა...“

ძვირფასო ირა!.. ალბათ გახსოვს, ერთხელ რომ მთხოვე, მომეთხრო ჩემი ცხოვრება, ჩემი წარსული, გამეღვიძებინა შენში ჩემი

იდუმალი წუთისოფლის წამები, მაგრამ მე ვდუმდი, ვდუმდით ორივენი, შინაგანი გზნებით ანთებულნი. მართალია, მე ყოველთვის წრფელი ვიყავი შენთან. მაგრამ ალბათ, ყველაზე იდუმალს ჩემთვის ვიტოვებდი, ისევ შენთვის, და რაც მთავარია, პოეზიისათვის რომ გადამეცა. ჩემი დუმილი გზიბლავდა და გიზიდავდა, თუმცა თრგუნავდა კიდეც შენს ფაქიზ სულს, გაშლილ ველზე ყვავილივით რომ ამოზრდილიყო და იქეთ-აქეთ ირწეოდა ჩემი დუმილის გრიგალებსა და ქარიშხლებში. და შენ მაინც გაიღვიძე ჩემში, გაიღვიძე ახალი ძალით და გამახსენდა ის პირველი დღეები, ორივენი ბედნიერნი რომ ვიყავით. ცა იყო სუფთა, მზე — მობრწყინვალე, ნიავი — გრილი, და საოცარი, ჩუმი გრძნობა სიხარულისა, სიხარულისა და ფარული სევდისა. ის წამები ალარასოდეს განმეორდება... „თითქო ყოველივე, რაც იყო, ყრუ სიშორეში წავიდა...“ და ისევ გშორდები, გშორდები და მავიწყდები, ვშორდები იმ ბედნიერ წამებს, მხურვალე წერტილებად რომ სახლობენ ახლა ჩემში. განშორებისას გიახლოვდებოდი, მოახლოებისას — გშორდებოდი, და ეს წამები განშორებისა და მოახლებისა ისე ფარფატებდა ჩემს სულში, ვით მომაკვდავ თოლიას მოფარფატე ფრთები. ახლა შენს შორეულ არსებობას ისე განვიცდი, ვით უხსოვარ ძახილს, ძახილს, ჩემამდე რომ არ აღწევს. როცა ვუმზერდი შენს თვალებს და ვუსმენდი შენს ხმას, მაშინ თითქო არ არსებობდი, ხოლო ახლა, რომ ვერც გხედავ და ვერც გისმენ, სწორედ ახლა ვგრძნობ შენს ჭეშმარიტ არსებობას... „არ შემიძლია და მე ავად ვარ, ქარი ეწვია წუხელ იმ ყვავილს, ცხოვრობდი უწინ. ახლა არა ხარ, მე მივდიოდი, შენ არ იყავი... კრთოდა გულიდან სხვა სტრიქონები, ქრებოდა ლანდი შავი ნიღაბის. შენ მოდიოდი და მიგონებდი, შენ ბიდიოდი, მე არ ვიყავი“, „და მოლოდინიც სცადეს თვალებმა, მოვარდა ქარი და სული მიჰყავს, და ახლა სადღაც შორს იმალება ქალი, რომელიც მე ასე მიყვარს...“

ძვირფასო ირა!.. სწორედ ამ შორეული სიყვარულით მიყვარდა ნინო დადიანი, შალვა დადიანის ძმისწული, ულამაზესი ქალწული, განსულიერება მწუხარე მშვენიერებისა. ის ხანა ჩემი ცხოვრებისა, მარად ულამაზეს წუთად დარჩება ჩემს მახსოვრობაში... იმხანად ხშირად დავიარებოდი ვერაზე. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის მიდამოებში, მტკვარს რომ ზემოდან გადაჰყურებს. ნინო სამეცადინოდ შემოდიოდა ხოლმე ბაღში, ჩაეჯდებოდა პეპელასავით და თავჩაქინდრული წიგნს ჩასჩერებოდა. დადიანები იქვე, ბაღის განაპირას

ცხოვრობდნენ. ხშირად აღმოვჩენილვარ მის გვერდით და მდუმარედ მიგრძვნია მისი უშფოთველი სუნთქვა, რომ არ დამეფრთხო, გარინდებული გადავსცქეროდი მტკვრის დინებას და რატომღაც იმ წამებში უხილავსა და მიუწვდომელზე ვფიქრობდი, ვფიქრობდი მოლოდინზე და განშორების სინანულზე... მოლოდინი და განშორება — ო, რა სასტიკი, რა ულმობელი სიტყვებია!.. „დღე მზიანია და ულმობელი, ჩემი ფიქრები შენთან იწვიან. ჩემო ძვირფასო, მე შენ მოგელი, რომ ვიღუპები, — ეს არ იციან“, იყო გრიგალის და თოვლის შემდეგ უფრო მწუხარე გამოსალმება“, „განშორებისთვის გული მტკიოდა და არ ველოდი მე დაბრუნებას...“ ნინო თითქო არც უცხოობდა ჩემს გვერდით ყოფნას, ვინ იცის, იქნებ გრძნობდა კიდეც ჩემს ფიქრებს, მის სუნთქვაში რაღაცნაირ მოწიწებასაც კი ვგრძნობდი ჩემდამი... ერთხელ ბაღში ბატონი შალვაც შემობრძანდა, დისწულს მოუხმო, მე კი, — გვიანი შემოდგომა იდგა და პერანგისამარა ვიყავი, — დარბაისლური კილოთი მითხრა: „ჩაიცვი, ყმაწვილო, ჩაიცვი!..“ არაფერი მიპასუხნია, ორი დღე აღარ გამოვჩენილვარ ბაღში, ნაწყენ გულზე კი იმ საღამოს ეს სტრიქონები ჩავიწერე: „ძვირფასო, შალვა, არათუ კაცმა, ბავშვმაც კი იცის ჭამა და ჩაცმა. შენ სიღატაკეს არ იცნობ, ალბათ, რომელიც არის პატარა ჯვარცმა!..“ ალბათ გულწრფელად სჯეროდა შალვა დადიანს, თითქო მქონდა და არ ვიცვამდი, თითქო მქონდა და მშიერი დავიარებოდი. მაგრამ ეს ხომ ჩემთვის ყოველთვის პატარა ჯვარცმა იყო, პატარა და ყოვლად უმნიშვნელო. დიდი ჯვარცმა — მარად პოეზია იყო ჩემთვის, იყო და იქნება... დადიანების ლამაზი ბაღი სასაფლაოს უერთდებოდა, სიჩუმე და სიმშვიდე სუფევდა ირგვლივ. აქ დავიარებოდი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, აქ ვითქვამდი სულს ქუჩის და ბრბოს ხმაურს გამორიდებული, აქ ვუმზერდი ხოლმე მალულად უმშვენიერეს ნინოს.. ერთხელ, გაზაფხულის ერთ დილას, მგონი მაისი იყო, თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი, დადიანების ეზოს მივადექი. ფრთხილად დავაკაკუნე კარზე. კარი ნინომ გამიღო. ოდნავ შემკრთალმა შემომანათა თავისი ცისფერი თვალები. ო, ეს ცისფერი თვალები, არასოდეს დამვიწყებია მათი უმანკო მზერა... „ეს დღე ჩუმია, ეს დღე კარგია და მიმზერს ქალის ლურჯი თვალები“, „ვამჩნევდი, სახეს რომ მინათებდა შენი თვალების ცისფერი შუქი...“; „მე ვიცი, თქვენ რომ ბატონ შალვა დადიანის ძმისწული ხართ... დიდი ხანია, შორიდან გიცნობთ... თქვენ რაც გაგიცანით, ჩემი შთაგონების წყარო გახ-

დით... თქვენს გამო ყოველ დღე ლავიარები ამ ბაღში... და ვწერ ლექსებს...“ შეაკრთო ჩემმა სიტყვებმა და ჩიტივით დაფრთხა. დიდხანს მერიდებოდა. ერთ დღეს, ისევ აღმოვჩნდით ერთმანეთის გვერდით, რამდენიმე ხელნაწერი ლექსი გავუწოდე, ვთხოვე, წაეკითხა და ამოერჩია, რომელი მოეწონებოდა. კითხულობდა მორცხვად, ჩურჩულით... მეორე დღეს ისევ ვეწვიე შინ, ახალი ხელნაწერი ლექსი გადავეცი: „ეს ლექსი თქვენ მოგიძღვენით... თუ არ გსურთ, ჩემი ხშირი სტუმრობით რომ შეგაწუხოთ, მაჩუქეთ თქვენი სურათი, მუდამ თვალწინ რომ მედგას უმშვენიერესი ქართველი ქალის სახე, მუდამ შთაგონებული რომ ვიყო თქვენით...“ დავუტოვე ლექსი — „ქალი, რომელიც ეკლესიის ეზოში ცხოვრობს“ და გადავიკაოგე იმ მიდამოდან, კვლავ ჩემს მშობლიურ ხეტიალსა და მარტოობას დავუბრუნდი... და დარჩა ლექსი შორეული სიყვარულის ანარეკლად... „მიდიხარ სადღაც, ივიწყებ დედას, მიდიხარ სადღაც და ბედი გღუბავს. და შენ ყოველთვის ფანჯრიდან ხედავ მაღალ სამრეკლოს და კისფერ გუმბათს. გიყვარს ზაფხულის ჩუმი ტაროსი, როცა ღრუბლები ცაზე ქრებიან. შენს ფანჯარასთან დგას კვიპაროსი, შენს ფანჯარასთან საფლავებია... შენ გიყვარს ცაზე მთვარის რონინი, გინდა, ქვეყანა რომ გეუცხოვოს. და განდგომილი მონაზონივით შენ ეკლესიის ეზოში ცხოვრობ...“

ძვირფასო ირა!.. ქალი ხომ უბიწოებისა და სისპეტაკის, მარადი ქალწულობისა და მშვენიერების სიმბოლოა, შორეულობის განცდის წყაროა, სწორედ შორეულობითაა ქალი უმანკო და წმინდა, ქალი მიუწვდომლობაა: „ჩემთვის წამებას უდრის ხმა შორეული ქალის. იყოს ამინდი ცუდი და მაწუხებდეს ქარი. ქალი მშვენებას უდრის, იყოს ყოველთვის ქალი. იყოს ამინდი ცუდი და მაწუხებდეს ქარი“, „სადღაც შორს უცებ შეწუხდა ვიღაც, სადღაც შორს ქალი დაფიქრდა გვიან...“ ქალი განსულიერებაა სიფაქიზისა და კდემამოსილების, ღვთაებრივი ცრემლისა და მწუხარების, ბავშვური სევდისა და მოწყენის: „ქალწულის ცრემლი დაეცა საყდარს (იქნება კიდევ ოხვრა მრავალი)“, „კვამლია მსხვერპლის საიქიოდან და სადღაც ქალი სიზმარში ტირის“, „ახლა იქ მიდის ლამაზი ქალი, სადაც გაისმის ზარების გლოვა,“ „ის ალბათ თეთრი თოვლია სადღაც, ის შორეული სიმწუხარეა“, „ახლა მეტი მწუხარება არის, ვიღაც ქალი სამარესთან გოდებს...“ ქალშია ჩასახლებული დიადი ძალა ზეშთაგონებისა. პოეზიის ზეგრძნობიერი ძალა, ხელოვნების მარადი სული, შორეული

და უაჩრდილო: „როიალიდან ქალი ამოდის. როიალიდან ქრის მწუხარება“, „სადღაც სოფელში ახლა მზე ჩადის და ვიღაც ქალი უკრავს გიტარას...“ ქალი მარადიული ცთუნებისა და პირველცოდვის დედაა: „სადღაც წევს ქალი მიწასთან მარტო, ვას ახლა გველი თუ ესიზმრება...“ ქალში სახლობს ძალა სატანიური, „და მომდევს ლანდი და ფიქრი მკრთალი, იქ შეშლილივით იცინის ქალი...“ განგებამ ქალში მიტევების ძალაც ჩასახა და ღალატისაც, გაცემისაც და სათნოებისაც, შურისგებისაც და კდემამოსილებისაც, თვინიერებისაც და უმოწყალობისაც, ბნელმეტყველებისაც და მართლგანმკითხველისაც, ურწმუნოებისაც და ღვთის მოშიშობისაც, მაგრამ მე მაინც ქალში მშვენიერებას ვხედავ, იმ მწუხარე მშვენიერებას, უხილავ ჯავშნად რომ აუფარებია სახეზე, განკითხვის ჟამისთვის სათუთად გადამალული. სწორედ მწუხარე მშვენიერება და უხილაობაა ქალის მისტიური საფარველი და თვითხსნა, მარად თანამდევ ძალად რომ აქცევს ქალს ჩემთვის, უსასრულობისა და უხილაობის ძალად, ზმანებად და იდუმალებით მოცულ არსებად, მხსნელ და მფარველ ძალად, მისტიური ხილვების წყაროდ, ზეციერ და ამაღლებულ არსებად, სიჩუმისა და დუმილის ქვეყნის უხილავ ბინადრად, გაელვებად და მოჩვენებად: „ვიგონებ სოფელს და განვლილ წამებს, ნაღლა მთვარეა, ელავს ცა უდრო. ძვირფასო, ვტირი და ყოველ ღამე ვიღაც უხილავ ქალთან ვსაუბრობ... ვიგონებ სოფელს და განვლილ წამებს და ეს გონება გრძნობებს დანებდა. ძვირფასო, ვტირი და ყოველ ღამე ვსაუბრობ ვიღაც მარსიანელთან“, „ჩევრი დღეები ნახეს თვალებმა და რაღაც ცისფერს მთვარესთან ძინავს. სადღაც სიბნელე და სიმკრთალეა და ვიღაც ქალი უცქერის მიწას“, „მთაზე ისევ ჩამოწვება ნისლი, მინას უცებ ჩაუარა ქალმა“, „იქ, სადღაც ქმარზე დაფიქრდა ქალი, იქ, სადღაც გვიან შეირხა ფარდა“, „არის ფიქრები ცისფერ წვიმაზე, არის უცნობი ქალის პირობა“, „სადღაც ქალს თეთრი ოცნება ღალავს, შევყურებ თოვლით შემოსილ ქალაქს“, „ახლა სრულიად სხვა სივრცეს ვხედავ და გაქრა ქალი ჩემი მხლებელი“, „და სადღაც ქალი მიდის ბაღისკენ, ღმერთო! ცოტა ხნის ყოფნა მაღირსე...“ ეს იყო იდუმალი ქალი, მარად თან რომ დამდევდა და ცხადად არასოდეს გამომცხადებია. ეს ქალი მიყვარდა ყველა ქალში. როგორც კი ცხადად შევიგრძნობდი ქალს, მის მიწიერ მიმზიდველობას, უმალვე ქრებოდა ჩემში მწუხარე მშვენიერების შეგრძნება და სულში სიცარიელე ისადგურებდა. ამიტომ ველტვოდი ლენორას — იდუ-

მალ ქალს, არარსებულ, უხილავ, მიუწვდომელ მშვენიერებას, ისეთივე ღვთიურ ძალას რომ მინერგავდა პოეზიის ზეგრძნობიერ ექსტაზში შესულს, ვით დანტეს — ბეატრიჩე, ვით ტარიელს — ნესტანდარეჯანი, ვით დონ კიხოტს — დულსინეა ტობოსელი, ღვთიურ ძალას მინერგავდა და გაუვალ წყვდიადში მეგზურად მიმიძღოდა მესამე გზისა და ღმერთის საძიებლად: „ლენორა — წმინდა, ლენორა — ერთი, ლენორა — მინდა, ლენორა — ღმერთი... ლენორა — მინდა. ლენორა —ფიქრი, ლენორა — წმინდა, ლენორა — მიჰქრის, ლენორა — მოდის, ლენორა — მოვა, ლენორა — ლოდი, ლენორა — გლოვა. ლენორა — სხვებთან, ლენორა — მარტო, ლენორა — სევდა, ლენორა — დარდობს... ლენორა — წმინდა, ლენორა — ერთი, ლენორა — მინდა, ლენორა — ღმერთი..."

ძვირფასო ირა!.. ვინ იცის, იქნებ ჩემი ტანჯვის ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ ის არი, ქალი რომ არასოდეს მყვარებია ჩვეულებრივი, მიწიერი სიყვარულით, მხოლოდ ჩემს მისტიურ წარმოსახვებში ხილულ ქალს რომ ვეთაყვანებოდი. ასე მგონია, შენც უხსოვარ დროს გიცნობდი, ხელახლა ვიშვი და მოვედი უხსოვრობიდან, უარყოფიდან, არყოფნიდან, არარაიდან, მოვედი და ვიგონებ, ვით უხსოვარს, ყოფილს, არყოფილს... სიყვარულია ჩემთვის მთავარი და მარადიული, წარმავლობა — სიძულვილის წილხვედრია მხოლოდ. სიყვარული ეამგრძელობაა, მწუხარე მშვენიერების საშო და დამბადებელი, მთელი სიცოცხლე ცხოველმყოფლად რომ ველტვით ადამიანები. საბოლოოა, ვინც ჰპოვა სიყვარული, მაგრამ დაჰკარგა, ბედნიერია, ვინც ჰპოვა სიყვარული, ჰპოვა და ირწმუნა სამარადისოდ, ვითარცა ღმერთი, ირწმუნა და ეთაყვანა, რადგანაც: „ღმერთი სიყვარული არს..." მე მითს ვქმნიდი სიყვარულზე, და ვიდრე მყოფნიდა ძალა წარმოსახვისა, მანამ ვიყავი სიყვარულით შეპყრობილი. როგორც კი დავიღლებოდი და დამეკარგებოდა ძალა წარმოსახვისა, უმალვე ქრებოდა სიყვარული, ვით ვეიანი თოვლი გაზაფხულისა, და სულში საშინელი სიცარიელე ისადგურებდა... თუმცა ქალი მუდამ ცოცხლობდა ჩემში ყოფიერების შემეცნების უმშვენიერეს საგნად საგანთა შორის. მე ყოველთვის მწამდა სიყვარულის ძალისა, იმ ბუნებითი სიყვარულისა, სიცოცხლის დიად კანონებს რომ მორჩილებს. განა სიყვარულის ძალით არ გავდივართ მიწიდან ზეცაში, სიყვარულის ძალით არ ვეზიარებით ყოველსავე ღვთაებრივს?!. სიყვარული ხომ ერთიანობაა სულისა და ბუნებისა, სიყვარული თვით

სულია, ბუნების სახეში გამოვლენილი და გამოცხადებული. სიყვარულის დიად ძალას გადაჰყავს ჩიტი ერთი ხიდან მეორე ხეზე, ორთა იდუმალი კავშირი რომ შეაერთოს და უხილავი უფსკრულებიდან დაძრული ვიღაც მესამე ღვთაებრივ ყოფიერებას აზიაროს; სიყვარულის დიად ძალას ამოჰყავს ია თოვლიან თებერვალში, ბუნების სიმშვენიერე და სიმარტოვე რომ შეაგრძნობინოს ადამიანებს, შეაგრძნობინოს მწუხარე მშვენიერების ღვთაებრივი ძალა. ნუთუ არსებობს ძალა, უმაღლესი სიყვარულისა, ნუთუ არსებობს ძალა, უმაღლესი სიცოცხლისა?!. სიყვარული და სიცოცხლე ხომ კოსმიური დები არიან, სიცოცხლე — სიყვარულია, ხოლო თუ სიცოცხლე სიყვარულია, სიკვდილიც სიყვარულია; დიდი ხანია წარიხოცა ჩემში შიში სიკვდილისა, რადგანაც მე თვით ვარ უკვე სიკვდილი, ანთებული და მფეთქავი სიკვდილი, ხოლო თუ სიკვდილი ვარ, სიყვარულიც ვარ. არ არსებობს გრძნობა, უმაღლესი სიყვარულისა, ხოლო თუ არსებობს, მაშინ არ არსებულა სიყვარული, არ არსებულა ღმერთი, ხოლო თუ არსებობს სიყვარული, არსებობს ღმერთი, არსებობს სიცოცხლეც, მზიანი ჟამი დიადი სიჩუმისა და დუმილისა; რის წიაღშიც ძალგვიძს ვეზიაროთ ზემიწიურ სიყვარულს: „გარშემო იდგა თბილი ჰაერი და იყო სივრცე, როგორც ზეწარი. იყო შეხვედრა სულ სხვანაირი, შეხვედრა ჩუმი და უეცარი. მე არ ვფიქრობდი მაშინ წვიმაზე, ღმერთო! რა იყო ამის მიზეზი. კვლავ მიდიოდა ქალი ძვირფასი და შენ სახეზე ნელა მიმზერდი. და თითქოს ბედი მიჰქონდა თვალებს და მე სიმშვიდეს შენში ვეძებდი. ნელა წარმოსთქვი: მე დავიღალე და შენ აღმართზე უცებ შეჩერდი. ჩემებრ გაფრენის სურვილს ანთებდა ეს ცა მაღალი და ასე მუქი. ვამჩნევდი, სახეს რომ მინათებდა შენი თვალების ცისფერი შუქი...“ ისე მიველტვოდი სიყვარულს, ვით პოეზიას. ვით მისტიურ მესამე გზას, ვით ღმერთს, მიველტვოდი და დღესაც მიველტვი, და ეს არის ჩემი ხვედრიც, გადალახვა რისიც ყოვლად შეუძლებელია. წამიერად ვხუჭავ თვალებს და თითქო ვებრძვი ბედისწერას, მაგრამ იდუმალი ძალა არ მტოვებს ამ შორეული და მარადიული მგზავრობის წინ. ბედისწერა ხომ მაშინაც ჩვენში მიმოიძვრის, ოდეს გავურბივართ მას. შენს ეკერდით ყოფნის ჟამს წმინდა, ნათელი წინათგრძნობით ვიყავი სნეული, და ჩემს უხსოვარ, დავიწყებულ ცხოვრებას ვიხსენებდი, უმაღლეს ნეტარებასა და ტანჯვას რომ მგვრიდა, წამებაზე უმწარესად მაწამებდა, და ეს წამება მაფა-

ქიზებდა და მასათუთებდა. ოდეს სული თავისი ყრუ საშოდან იძვრის, მაშინ დგება ჟამი უნაზესი და უფაქიზესი სიყვარულისა.

ძვირფასო ირა!.. მხოლოდ ერთხელ შევიყვარე ქალი ნამდვილი სიყვარულით და ისიც დაინგრა და ისე გადაიარა, ვით მზე გადაივლის ღრუბლიან ზეცას, ქარსა და ავდარში, სადღაც ჩაესვენება და დაგვიტოვებს წყვდიადსა და გამოუთქმელ სევდას... თამარ ჯაფარიძისაგან კიევიდან ვღებულობდი წერილებს. წერილები ჩემდამი და ჩემი პოეზიისადმი ფაქიზი სიყვარულით იყო გაჟღენთილი, ჩემი ცხოვრების თანაგრძნობა გამოსჭვიოდა ამ წერილებში. მეც შევიყვარე ჩემზე შეყვარებული ქალი და ვწერდი სიყვარულით გაჟღენთილ წერილებს... „ჩემგან გამოვლილ ჭირთათვის მან მე შემიყვარა, მე შევიყვარე ჩემთა ჭირთა თანა-გრძნობისთვის...“ მხოლოდ სურათით ვიცნობდი მის სახეს და ისე ველოდი თბილისში მის ჩამოსვლას, ვით ნუგეშს, ვით ხსნას, ველოდი და ვიტანჯებოდი ამ მოლოდინით: „მე შენზე ვფიქრობ და თითქოს გხედავ, ვფიქრობ და ისევ დღეა მზიანი. ძვირფასო! მოსვლა რად გაგიძნელდა, ძვირფასო რისთვის დაიგვიანე. ახლა ეს გრძნობა უფრო მეტია, ახლა ქარები არხევენ ტირიფს. მე შენ გიამბობ ჩემს ტრაგედიას და როგორც ბავშვი დავიწყებ ტირილს. ასე გაივლის წამება, ოხვრა, შენ მოხვალ ჩემთან თეთრი ხელებით. მოხვალ დაღლილი, მეტყვი, როგორ ხარ? მოხვალ და ვიცი, მომეფერები! თუმცა იქნება ღამე წვალების, ღამე სასტიკი და ულმობელი. და ეს თვალები, ლურჯი თვალები, ჩემი თვალები ისევ მოგელის!..“ და აი, დადგა ჩვენი შეხვედრის წუთებიც... მატარებელი თბილისის სადგურზე ჩამოდგა, მთელი ვაგონები დაიცალა, მე კი ვდგავარ უძრავად და ვიცდი... ვიღაც ქალი ჩამოდის ბოლო ვაგონიდან, ხელში დიდი ჩემოდანი და ფუთა უჭირავს, ნელი, მძიმე, ნაბიჯებით მიახლოვდება და დამნაშავესავით ჩერდება ჩემს წინ... მე გაფითრებული შევყურებ და ვგრძნობ, როგორ მკიდებენ სახრჩობელაზე, როგორ მიჭერენ ყელში მარწუხებს... არა, ეს ის ქალი არ არის, მე რომ ველტვოდი და ველოდი, არც ის, ასე ძლიერად და ფაქიზად რომ მიყვარდა. მე მწუხარე მშვენიერებას ველოდი... ის კი... ჩემოდანი, ფუთა... ო, რა საშინელებაა!.. ვბრუნდებოდი უკან და თან მოვათრევდი დამსხვრეულ ფრთებს, ჟამის უკან ზეცაში გაფრენას რომ მიპირებდა... იმ ქალს აღარასოდეს შევხვედრივარ...

ძვირფასო ირა!.. ახლა ცარიელი მაქვს გული, საშინლად ცარიელი. ვინ იცის, ალბათ, ეს არის ის დიადი მარტოობა, საშოში ჩასახვის-

თანავე რომ განმიმზადა ბედისწერამ, და ეს მარტოობა მწუხარებას კი აღარ აღძრავს ჩემში, არამედ სევდას, მოწყენას. მახსენდება მთელი ჩემი ცხოვრება და მიხარია, კვლავ რომ შემიძლია ტირილი, მთლად რომ არ დამშრალა ცრემლი, კვლავ რომ ადამიანი ვარ... ანთებული სანთელივით შემოხვედი ჩემს სულში, მე კი ჩამქრალი და დაცარიელებული ვიყავი, მათხოვრის ჩამოძენძილ ჩანთასავით, ბნელ ქუჩებში მოხეტიალეს, სიკვდილის ლანდი არ მაძლევდა მოსვენებას. მე ეკლიანი და სისხლიანი გზებით მივიკვლევდი გზას ქარსა და თოვლში, და ჩემი ხორცი, ნაგვემი და გალახული, ისე დარღვეულიყო, ვით მათხოვრის კაბა, იქიდან გამომზირალი შიშველი სხეული მოწყალებასა და შეწყალებას რომ ითხოვენ. ყველასაგან უარყოფილი, შენ შემიწყალე, ყველასაგან შეუცნობელი, შენ შემიცანი, ყველასაგან მიუტევებელი, შენ მომიტევე, მომიტევე, კვლავ რომ ჯვარზე გაგეკარი, რომ გეწამებინე, სამსჭვალავებით რომ დაგემსჭვალა ჩემი სული. დაგემსჭვალა და მერე შენვე განგებანა მხურვალე ცრემლით. ასე მძიმეა ჩემი ხვედრი. თუ სიყვარული სისხლსა და მსხვერპლს მოითხოვს, ეს სისხლი განგვწმენდს ცოდვებისაგან და უბიწოებას გვაზიარებს. ხომ ასე განწმინდა ქრისტეს უმწიკვლო სისხლმა ცოდვანი კაცთა!.. რას იზამ, ცხოვრება ტანჯვაა და ამ ტანჯვაშია ბედნიერებაც. ცისფერი ყვავილიც — სიმბოლო მწუხარე მშვენიერებისა და ზეციერებისა. ტანჯვით მიიწვდომება, შენ რომ მოწყვიტე ჩემი სულიდან და დაცარიელებული გულით, კვლავ უთვისტომო დამტოვე: „გათენდა, ვაღებ დაკეტილ კარებს, მგლოვიარეა ჩემი ფანჯრები. ძვირფასო, რა ვქნა. შენ დაიკარგე, ჩემთან არა ხარ და ვიტანჯები“, „ეს ფიქრი წავა ოცნების იქეთ და შენ გაჩნდები, როგორც მისანი. მე დღესაც ვნანობ, რომ ვერ გამიგე, რომ შენ ამდენ ხანს ვერ გამიცანი...“ ო, არა!... მე არ ვეკუთვნი იმათ, ვისაც სწამს ბედისწერის კვლავდაბრუნებისა. მე რაც ვიხილე და შევიცანი, ჩემს ჩამქრალ თვალებში კიაფობს მუდამ. მე ჩამესმის საშინელი გოდება, და ისევ, და იმავე ძალით, სინანულის ის გოდება ჩემს ყურებში კივის, და არც მზიანი ბგერები გაზაფხულისა. არც მწუხარე ხმა ძვირფასი ქალისა იმ გოდებას ვერ ჩაახშობს ჩემს არსებაში. სადაც მწუხარება გამეფებულა, მწუხარება მშვენიერებისა, იქ სიცილი ვეღარ გაიხმაურებს. ვისაც ყველაფრის დავიწყება ძალუძს, მას ჩემს ცრემლებთან, ჩემს სინანულთან არაფერი ესაქმება: „გაიხსნა თეთრი ფიქრების რკალი და მოგონების წამები ჰქრიან. და მატარებელს მწუხარე ქალის თეთრი ხელები თოვლივით

მიაქვს. ეს ღამე. ეს ცა მე ისევ მიყვარს, იქ დუმილია შორეულ ბაღის. და მატარებელს უთუოდ მიჰყავს უცნობი ქალი, სევდიან სახით...“

ძვირფასო ირა!.. თანდათან ლღვება ჩემი გრძნობიერება. შრება და იფანტება, ეს კი ეწინააღმდეგება ჩემს ბუნებას. სხვისთვის რაც ადვილია, ის ძნელია ჩემთვის, რადგანაც გრძნობა ჩემი — უსაზღვროა და ცეცხლივით მწველი, გრძნობა სისუსტეა ჩემი, მაგრამ სიძლიერეცაა. თუ სხვისთვის ცრემლი სისაწყლეა და საცოდაობა, ჩემთვის ძალაა, ძალა სათნოების, სიწრფელის, სიფაქიზის. ჩემი განაწამები გული სიყვარულსა და სითბოს ელოდა ადამიანებისაგან, სიყვარულს, ვით რწმენას, ვით ღმერთს, რასაც ვერაფრით იწამებ, ოდნავ თუ მაინც დაეჭვდი მის არსებაში. რწმენა, სიყვარული, ღმერთი ეწინააღმდეგება განსჯას, რამეთუ ღმერთი მარადიული უქმობაა. და ეს ძალაა, შენსკენ რომ მიხმობს ახლა, შენ რომ გაღვიძებს ჩემში, გრიგალივით რომ მიზიდავ, — მე ხომ სიჩუმე ვარ ახლა, სიჩუმე და არარაობა: „დავრჩი ბედის კუთხეში, ბრბო მიცქერის უხეში, მოვა ქალის ნუგეში საიდუმლო ქნარებით. მრავების კრებული არის გათეთრებული და მე გაფითრებული შენსკენ მივექანები!..“ შენ კი შორს ხარ ჩემგან. მე მწამდა, ერთი ეზრით, ერთი თვალით ვუყურებდი ქვეყნიერებას, ერთნაირად ველტვოდი ზეციერებას. იქნებ მე მსურდა, ასე რომ ყოფილიყო, იქნებ ორივენი ვიგონებდით ყველაფერს, ვიგონებდით წრფელად და ამ გამოგონებით ვქმნიდით სიყვარულის მითოლოგიას. იქნებ სწორედ ამ გამოგონებაშია ადამიანის სისუსტეც და სიძლიერეც, შიში ეიუსაფრობისა თუ სიკვდილის წინაშე... თანდათან მიდის ყველაფერი. ბიდის და ქრება ის გზნება, რომ მაღელვებდა და მაფორიაქებდა. ქრება ყოველივე და რჩება ხსოვნა, ჩვენს წარსულს რომ ამსჯერევს, ნეტარ წამებს ერთადყოფნისა: „მიჰქროდა წამი თანდათანობით, სულის დაღუპვას ვგრძნობდი წინათაც. შენ განშორებას უფრო ნანობდი და თვალში თეთრი ცრემლი ბრწყინავდა. ნელა წყდებოდა ფოთლები ხეებს და სადღაც სდუმდა ხე გაძარცული. შენ იგონებდი გაფრენილ დღეებს და თვალწინ გედგა ჩვენი წარსული. ის არ ვიყავი, რასაც ელოდი, ძვირფასო! ახლა მითხარი რა გსურს. მე შეგამჩნიე იცრემლებოდი და როიალიც ტიროდა წარსულს...“

ძვირფასო ირა!.. გახსოვს მზე რომ ჩადიოდა. ცა რომ წმინდა იყო. ქვეყანას რომ ცისფერი ბინდი იპყრობდა, სიჩუმე და სიმშვიდე რომ ისადგურებდა ირგვლივ. ჩვენც ჩუმად მივდიოდით და ვგრძნობდით

ფარულ ბედნიერებას და სინანულს... ახლა შენ აღარ ხარ ჩემთან და ეს უფრო საშინელს ხდის ჩემს მარტოობას... მე მქონდა ჩემი წარსული, ჩემი ბავშვობა, ჩემი ხსოვნა, ამ წარსულით ვსაზრდოობდი, ამ ხსოვნით ვცოცხლობდი. შენ რომ შეგხვედი, წარიხოცა ჩემში ხსოვნაცა და წარსულიც და ყოველივე შენში განსულიერდა... დავშორდით და მარტო დავრჩი, სრულიად მარტო. უწარსულო და უმახსოვრო. საწუთრო ჩემი გამხმარ ხეს დაემსგავსა, დარსაც რომ ვეღარ გრძნობს და ავდარსაც... გახსოვს, ირა, როგორ ჩადიოდა ჩვენს თვალწინ დიდი, მეწამული მზე, როგორ ნელ-ნელა იკარგებოდა სადღაც, უხილავ სამყაროში, თითქო კვდებოდა, თითქო იღუპებოდა. მხოლოდ გარდაცვლილი მზის ანარეკლი რჩებოდა ცის დასავალთან და ჩვენც ათასნაირი ზღაპრული, მითიური სურათების ხილვით ვიყავით გატაცებულნი. მარტოობის საშინელებიდან თავდაღწეულნი ჩვენი სულები ერთმანეთს ერწყმოდნენ და უნებურად გვდიოდა ცრემლი. მთელი არსებით ვგრძნობდი, რაღაც შორეულს და დაკარგულს რომ ვიხსენებდი, ვიხსენებდი უსსოვრობაში ნანახ სიზმარს, და ამ გახსენებაში შენ გხედავდი, შორეულსა და მიუწვდომელს... და ახლა უკვე აღარ ვიცი: ვიხსენებდი თუ ვივიწყებდი, გპოულობდი თუ გკარგავდი, ვკარგავდი რაღაც დიადს. უთქმელს და აუხსნელს. იქნებ სწორედ ეს დაკარგვა იყო იმ ცრემლის ძირი, ქვეცნობიერებიდან დაძრულ ბედისწერაში რომ ჟონავდა იდუმლად. მე ყოველთვის მწამდა: დადგებოდა წამები, ოდეს ვიპოვიდი დაკარგულს, გავიხსენებდი დავიწყებულს; მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, დადგებოდა ჟამი დაკარგვისა და დავიწყებისა. ასეთია ჩემი ხვედრი, ჩემი ბედისწერა. ... ...

ღამოა. ვგრძნობ შორიდან ზამთარს, ვარ მწუხარე და მივფრინავ ცისკენ. რა ვქნა, ირა, — შენი სახე მწამდა. რა ვქნა, ირა, — მაგონდები ისევ. საღამოა, თანაც მეტი ოხვრა. მოდის ფიქრი და ფიქრია შავი. ალბათ, ირა, ჩემ საფლავთან მოხვალ და მომიტან უფრო ცისფერ ყვავილს...“

მიწურ ბინდში მდგარი, პოეზიის ზეგრძნობიერი ძალითა და ქალის მწუხარე მშვენიერებით ეძიებდა ნათელს და ზენაართა სამყაროებისაკენ აღაპყრობდა თვალთ, განუკვრეტელ უკუნს უკვრეტდა, იდუმალის ამოხსნას მიელტვოდა, ცდილობდა მიეგნო ის მესამე გზა, ბედნიერებასა და უკვდავებას რომ მოუტანს ადამიანს, იხსნის როგორც ამსოფლიურ, ისე იმსოფლიურ უბედურებათაგან. არსებობის ერთადერთი აზრი ხომ ლტოლვაა წყვდიადიდან სინათლისაკენ, თვალს რომ აბრმავებს, ლტოლვაა კოსმიური სიჩუმისაკენ, სმენას რომ ახშობს, მიწიერების დახშული ბჭის გარღვევა და ზეციური ბჭეების დაუფლება დიადი საკვირველების წინაშე რომ აყენებს ადამიანს: „ვდგავარ საოცრების კარებთან. როგორც სიზმარი წარსულის...“ ადამიანი იბადება, ცოცხლობს და კვდება, მაგრამ ადამიანი ხომ უკვდავიცაა, რადგანაც უკვდავია კაცობრიობა, დასაზღვრულობას რომ ვერ ითმენს და ძიელტვის რაღაც სხვა, უფრო მაღალ, ღვთაებრივ არსებობას. არც სიცოცხლეშია ხსნა და არც სიკვდილში — „და ვამბობ: სიკვდილი არ მინდა! სიცოცხლე უფრო მწარეა“, — არის რაღაც მესამე გზა, უკვდავებისა და მარადისობისა, რისი არსებობაც ისე მწამს, ვით დაბადება და გარდაცვალება, ვით სიცოცხლე და დიადი ფერიცვალება: „მე არ მინდოდა სიცოცხლე. არც სიკვდილი. მე რაღაც სხვა მსურდა. ახლაც ვფიქრობ და მწამს მესამე გზის არსებობა, როგორც იდუმალების...“ ერთდროულად ეს რწმენაც იყო მისი, სურვილიც და ლტოლვაც; რწმენა რომ არ ჰქონოდა, ხსნის იმედიც არ ექნებოდა, სწორედ ხსნის იმედმა მიიყვანა მესამე გზის არსებობის აღიარებამდე, განხეთქილების გრძნობას რომ აღუძრავდა მიწიერ არსებობასთან. ეს უთანხმოება უფრო მეტად უბიძგებდა უმაღლესი თანხმიერებისაკენ, და ოცნებით იმ სამყაროებს მიელტვოდა, საიდანაც ამსოფლიურ არსებობას მოევლინა: „ისევ შორიდან ვუმზერ სამყაროს, ეს გრძნობა თვალებს ცრემლით ამივსებს. მწუხარე სახით მოვწყდი საღა-

მოს და ახლა მივალ ცისფერ ღამისკენ...“ დაუცხრომლად რომ მიელტვოდა უხილავ სამყაროებს, სული რომ თავისუფლად იქროლებდა შეუზღუდავ და უგანზომილებო სივრცეებში, შინაგანად ყოველთვის სწამდა მათი არსებობა, თუმცა არ უწყოდა, რა ძალა აღძრავდა მის არსებაში ამ რწმენას; და ეს არცოდნა იყო მისი ცოდნის ძირი და ფუძე, მეტაფიზიკური ლტოლვის მიზეზი, ქვეცნობიერი ცოდნა იმისა, რაღაც მესამე გზა რომ არსებობს. ადამიანს რომ უვნებლად გაიყვანს სადღაც, ზეყოფიერ არსებობაში. მაგრამ ყოველივე ამაოა: „ღამეა ჩუმი და მაღლა ნისლია და შენზე ფიქრით ბევრჯერ ავენთები. რა ვქნა, გაფრენა მე არ შემიძლია, რომ ვნახო ქვეყნის ყველა პლანეტები!..“ ამ ამაოებით დაპყრობილს უფრო მეტად უცდია ხორციელი და მიწიერი ბორკილებისაგან თავდახსნა, სიკვდილ-სიცოცხლის აპოკალიფსური შიშისაგან განთავისუფლება და მესამე ზეყოფიერების რწმენა და დაუფლება: „იდუმალია ის გზა მესამე, ნუთუ ცხოვრებას ვერ გავექცევი...“ იდუმალი სამყაროების შეცნობისა და დაუფლებისაკენ ლტოლვა სასტიკი და გარდუვალი ხვედრია მისი: „იდუმალ მხარეების მოდიოდა გრიგალი და მკლავდნენ ღამეები ბედის მძიმე გრიალით. პირჯვარი გადვიწერე და გთხოვე მოწყალება. ასეა ბედისწერა, ასეა გაწვალება...“ ამ წამებაში თითქო გამოდიოდა საკუთარი თავის ტყვეობიდან და, გაუცხოვებულსა და იერშეცვლილს, შორეულ სივრცეებში უმზერდა თავის ორეულს „შენ დედამიწავ, საიდან გაჩნდი, მოვიდა ცრემლი და სასოება. შორიდან ვხედავ საკუთარ აჩრდილს, შორიდან ვხედავ უსაზღვროებას...“ საკუთარ თავში აღმოაჩინა უხილავი, იდუმალების სამყარო, ისევე შორეული და იდუმალი, ვით მესამე გზა, ასე ცხოველმყოფლად რომ მიელტვოდა მის მიგნებასა და დაუფლებას; ისე იზიდავდა უხილაობისა და შორეულობის სამყარო, ვით უნაზესი და განუყრელი და — სიჩუმე. კოსმიური სამყაროებიდან რომ უხმობდა მიწიერ ცოდვათაგან განსაწმენდად: „ვწევარ და ვფიქრობ და კედელს ვუმზერ, ფიქრი ჩუმია და ასე მკრთალი. ვწევარ და ვფიქრობ მე შორეულზე და ისევ მესმის ხმა როიალის. ისევ ღამეა და მთვარე სავსე, ღამეა ჩუმი და ისე მკრთალი... ვწევარ და ვფიქრობ მე უხილავზე და ისევ მესმის ხმა როიალის...“ „ოთახში ვდუმდი და წვიმდა ოდნავ და ვწუხდი გვიან გაფრენილ დღეზე. და როგორც ცეცხლი, გარს მეხვეოდა ფიქრი სიკვდილზე და სიშორეზე...“ სი-

ცოცხლეც ხომ ისევე ფლობს უხილავ არსებობას, ვით სიკვდილი. და ლტოლვა უხილავის ხილვისაკენ, შეუცნობელის შეცნობისაკენ ძახილია მოწყურებული სულის, თავის შინაგან და დაფარულ არსებაში რომ ჩაახედა, და დაანახა მზე — ორეული თუ ანარეკლი სამყაროული მზისა, მთელს მიწიერ-ზეციერებას რომ ასხივოსნებს: „მე ქვეყნის გაჩენიდან ნელა მოვდიოდი სინათლისაკენ, რომ მეხილა მზე...“ „ვიგრძნობთ, სამყაროს მხოლოდ მე და მზე“, „მე მაშინ მოველ — მზე ანაებული, როცა მოჰქროდნენ ხმები სხვა ზარის...“ ამიტომ იზიდავდა ყოველივე შორეული და იდუმალი. იქ ეძიებდა ჭეშმარიტ ყოფიერებას, ყოველივე იმას, მიწიერების ცხად ყოფიერებაში რომ ვერ გრძნობდა და ხედავდა: „და ის ყოველთვის იდუმალია, რაც ჩემში იწვევს აღფრთოვანებას...“

მისტიური ცნობიერების წყალობით ცდილობდა იმ დაფარული საიდუმლოების დაუფლებას, მთელი ცხოვრება რომ მიელტვოდა. და სწორედ ეს ექსტაზური ლტოლვა აკავშირებდა შორეულ, კოსმიურ, საგნებთან: „ნეტავ ზღვის ძახილზე გრიგალს გავეტაცე. ღმერთო! გამაღვიძე მე სხვა პლანეტაზე...“ სულიერი ღვიძილის ამ წამებში შორეული სინათლის წყალობით უკვრეტდა საგანთა უხილავ სახებას, მათ დასაბამიერ ყოფიერებას, და საკუთარ არსებაში ჩაპირქვავებულს, აღმსარებლის ჩუმი სიხარული ეუფლებოდა: „ჩემი სული სიზმარია, ბედზე დარდი მივატოვე. და მე ასე მიხარია სიჩუმე და სიმარტოვე...“ სწორედ სიზმარეულობაში გრძნობდა ყოველივე იმას, საგნებსა და სიტყვებს მიღმა რომ დგას, ამ იდუმალ ძალას, სიტყვებსა და აზრებს რომ წარმოშობს, მესამე გზას, ცის დასავალთან რომ კრთის და ელავს. ღვთაებრივ სიჩუმეს, მგლოვიარე სერაფიმთა ფრთების შრიალი რომ აღლვევს. გაწყვდიადებული უფსკრულეთიდან რომ გაიხმონ და უკვდავების მიუწვდომელ ნათელს, ზეყოფიერ არსებობას აზიარონ, გრძნობდა გაღვთიურებული დის ლანდს. მფარველი თვალებით რომ უმზეოს ძმას, მარტოობის ცივ უდაბნოში შოხეტიალეს: „შუაღამე ჩამოეშვა. ხატების წინ ხელაპყრობილი ვდგავართ მე და გაფითრება. სადღაც შორს, ბნელი თვალებით ვამჩნევ: თეთრ უდაბნოში სანთელივით რომ კრთის ჩემი მწუხარე დის ცისფერი ლანდი...“, „ჰქრიან წამები ისევ წვალების. დაო, ჩამოდი. თუ ისევ იქ ხარ, შენ ილიმები ცისფერ თვალებით, ცისფერ თვალებით მიცქერის ვიღაც...“ თვითჩილვის უმშვიდეს და დანისლულ წამებში ალლობდა საგნებს.

უმზერდა მათ ისეთს, სინამდვილეში რომ იყვნენ — პირველქმნილი გამჭვირვალობითა და მისტიური უხილაობით შებურვილთ. და სწორედ ეს გრძნობა აახლოებდა კოსმიურ სიჩუმესა და სიშორეს: „ქრება ის უმანკო და შუქი ნუგეშის. მე ქვეყნის წინაშე ვდგავარ მგლოვიარე. გული ასვენია მაღალ სიჩუმეში, თანაც სიშორეზე ტირის როიალი...“ ძალა, უმაღლეს და უხილავ სამყაროებთან რომ აკავშირებდა. იყო იდუმალების ძალა, მის არსებაში ბედისწერით ჩასახული და ჩაბუდებული „მივსდევ ქარიშხალს და უფრო ლანდებს და სული ტყვეა იდუმალ ძალის“, „მესმის შრიალი იდუმალ ძალთა“. „და ელავს მთვარე ასე ბებერი და იდუმალი წამები ჰქრიან“. „შეიძლება მე ადამის ბე ვარ, ვგრძნობ საშინელ და უცნაურ ძალას...“ იდუმალებით გარემოცულს, მთელი გარესამყარო, მატერიაც და ძალაც იდუმალებად ესახებოდა, ამ იდუმალებაში მუდმივი სულიერი განახლება ასულდგმულებდა მის მაძიებელ სულს. და რაც უფრო ცხოვლად მიელტვოდა უმაღლეს ყოფიერებას, მით მეტად იტანჯებოდა. თუმცა მესამე გზის არსებობის რწმენაც უფრო უმტკიცდებოდა. ამ რწმენით აღვსილს სამეფო ხსნისა ეცხადებოდა „იქ“ და „სადღაც“, და არა აქ — მიწიერ ყოფიერებაში: „იქ“ და „სადღაც“ ის მისტიური მხარეა, მისი სული მარად რომ ცოცხლობს. „იქ“ და და „სადღაც“ ის ასტრალური საწუთროა, სამყაროს უკვდავი სული რომ ანთია. „იქ“ და „სადღაც“ მიირწევა მისი ზეციური ორეული, ვინც მიწიერ ორეულთან ერთად იტანჯება. წუხს. უხარია და თანაუგრძნობს მას. იქაც — მორეულ და უხილავ ქვეყანაში, ისე ცხოვრობენ, ვით აქ, მიწაზე იქაც ცრემლი და გარდაცვალებაა, მაგრამ იქ სიმარტივეა, სიმსუბუქეა, გამჭვირვალობაა, სწორედ იქაა ის „ვილაც“ თუ „რაღაც“, გამუდმებით რომ ეძიებდა და არც დღეს დაუკარგავს რწმენა ძიებისა... „ამ „რაღაცის“ ძებნაში ფრთებს ისხამს მისი მისტიციზმი პოეზიის რელიგიისათვის. — წერდნენ მისადმი მიძღვნილ გაზეთში, — იგი მისტიურ თვალებით უყურებს მინიატურულ სამყაროს, საიდანაც ჩონჩხებად იშლებიან დასისხლულ დროთა სევდაში მზიანი ჩრდილები შავი სიკვდილის... ათასგვარ მოჩვენებათა პლეადა იცავს პოეტის სპეტაკ სულს და განწირულთა უეცარი აგონიით დაღვრემილი სახეები ისახებიან მასში. საშინელი მელანქოლია, ღამე კოშმარული, მისტერია ლანდების. უეცარი შიში და ფერმიხდილი დღეები... ბნელ უფსკრულში იკარგება „სადღაც“ და „ვილაც“

და პოეტი გრძნობს მომავალი ტანჯვის სიმძაფრეს". ერთდროულად „აქაც" არის და „იქაც" ხან „აქ" არის და ხან „იქ" და სწამს, რომ „იქ" „სადღაც" მიატოვა არსებანი. გამუდმებით რომ ელიან მის ღაბრუნებას: „მაღალო ცაო, ისევ შენ გიმზერ, იქ. უცხო მხარეში. ალბათ მომელიან. ძვირფასო, ვდგავარ გზაჯვარედინზე და ვიცი, ჩემი გზა ახლა რომელია", ალბათ იქ ვიღაც გარდაიცვალა", „აქ დუმილია. ალბათ იქ ტირიან", „ის კაცი გაჰქრა და ვიღაც არის. იქ აცილებენ შორეულ ცხედარს. იქ. სადღაც. ბაღში შეიჭრა ქარი. და სადღაც ბავშვი ეძახის დედას". „მგონია. სადღაც შორს ვიმყოფები და ახლა თითქოს არ ვარ მიწაზე", „სადღაც ვიღაცა მიდის და ფიქრობს თავის ბედზე". „აქეთ სიჩუმე სუფევს და დუმილია იქაც". „სადღაც ტირიან ცრემლით. სადღაც მარხავენ ცხედარს". ალბათ იქ. სადღაც. შორეულ გზაზე ვიღაცა მიდის და ნელა მღერის". „ნელა მიკვდავარ და წინ ბაღია, როგორც აქ. ისე ღამდება იქაც. სადღაც მიხმობენ და მეძახიან. მგონია ციდან მეძახის ვიღაც..."

ამ იდუმალი ხმობით სულანთებული მიელტვოდა უსაზღვრო სივრცეებს. მესამე გზას. იქ ეძიებდა მარადიულ ჰეშმარიტებას. უკვდავ. წმინდა მშვენიერებას, შორეულობისა და იდუმალების სამყარო თავისკენ უხმობდა: „მიწიდან მოდის ღამე თანდათან. სალამოს ბაღში ჰქრიან ბინდები. არ შემიძლია, გული გათავდა, მე ფრთას შევისხამ და გავფრინდები", „ეს გაგრეება უცნაურია. ქარიშხალივით მოდის ოცნება. ახლა გაფრენა როგორ მწყურია, ახლა მწყურია გამოცოცხლება". „მე ისევ ცისფერ სამყაროს ვეძებ, მე ისევ ვეძებ მარადისობას", „მინდა ფრთები და მიწიდან გასვლა და გაფრენის სურვილია უფრო." ისევ ოლბალმა და საოცრებამ უმზეო დღენი ჩემს წინ გაფინეს. შენ, შორეულო ჩემო ოცნებავ! — მომეცი ფრთები და გამაფრინე!.." ვასილ ბარნოვი წარმოუდგა თვალწინ. ბიბლიური მოხუცი, სპეტაკი თმა-წვეროთ. სპეტაკი გულით, სიბრძნითა და სიკეთით სულგანწმენდილი კაცი. ვინც ამოიკითხა მის სულში იდუმალებისა და უხილაობის სამყაროებისაკენ ლტოლვა. ამოიკითხა და შეიცნო. ეს ლტოლვა რომ უმიზნო კი არ არის. უკვდავების მესამე გზის ძიებაა. ღმერთსა და ღმერთის მარადიულ. გაუჩინარებულ და გაიდუმალებულ ზეყოფიერებას რომ მიეახლოს: „უხორცოთაც სჩვევიათ ცთომა. — წერდა ვასილ ბარნოვი 1924 წელს გაზეთში „ტერენტი გრანელი". — ეთეროვნებს მაინ

შეცდომა, მაინც არის ცოდვა მამძიმი. გამჩენელი უწესებს სასჯელს: გადმოსტყორცნის ქვეყანახედ კაცთა სახითა. ‘ოგს ავიწყდება ზეციური ყოფნა ნეტარი. სად პირისპირ ჰმზერდა იგი მშვენიერებას. სხვას გადმოჰყვება ბუნდოვანად ის სახეები, შეგრძნობა მჭრალი იმ სუფევისა. და დაეძებს ამ ბნელეთში ნათელ სახეთა! ბუნდის თვალით თითქო ჰხედავს იმათ ანარეკლს, ყრუ სასმელით ისმენს მათ ბგერას. მშვენიერ ნივთში ჰყნოსავს იგი მათ სურნელებას, დაშლილ საგანში ეჩვენება ამბროზიონი, ეწაფება ხრწნილების შრატს, ვითა ნექტარსა. ქვეყნად ქმნილება მოაგონებს დაკარგულ ზეცას. მისდევს. მიჰყვება იმ მოჩვენებათ, რომ შეიპყროს სატურფალნი სიტყვის ბადეში, რიტმში, რითმაში და ეწამება: მოკვდავ სიტყვათა ვერ ძალუძსთ უკვდავ გრძნობათა გამოთქმა. მაინც მისდევს მოხიბლული ციურ მშვენებით. მიუპყრავს მისკენ გატაცებული გონების თვალი, გულისყური, სურვილთა ძალა. მიილტვის, მისდევს მიუწვდომელ მისაწოომელთა და ვეღარ ჰხედავს თვის გარშემო დამთრგუნველ ყოფას. და დაეძებს თვის საძიებელს, მარად, ყოველგან: ყაბახზედ თუ ორღობეში, ტყეღრეში, ველად, თასის ძირზედ. კათხის ფსკერზედ. ყანწის ჯურღმულში. მიდ-მოდის, დაძრწის თავშიშველი. თმაბურძგვხილი, ფეხშეუმოსი. ნათხოვარი გვაბანაკი ჩამოძენძილი. ბევრჯერ მშიერი, ‘ან გამაძღარი. ვერ დასთმობს იგი ამ ძიებას აღსასრულამდინ! — და ჰპოვებს იგი? — არ მოაკლებს შემოქმედი განცხადებათა, შეაძლებინებს უჭკნობ ყვავილთ უხვად მოკრებას, რომ მოუფინოს ბნელში მავალთ გზა ცხოვრებისა...“

ჯვლავ ჩათვლიმა ხსოვნის ბურანში და. მოჩვენებად და სიზმრად ქცეულს, მოეჩვენა: დგას იქ, სადაც ახლაა, ქაშუეთის სამრეკლოზე, ჭაბუკი, სიცოცხლით სავსე, დგას და სიხარულით უბრწყინავს ცისფერი თვალები. დილაა და რაღაც საოცარი მზე აბრწყინებს თბილისს, თეთრი გამჭირვალე ცა კი ლურჯია ჯოტოს ცასავით. დგას თეთრ პერანგში. სინათლითა და ხაონოებით აღვსილი, და ‘არებს რეკავს, გათენებას ამცნობს ქალაქს, შორეული მგზავრობიდან დაბრუნებას; ქაშუეთი

კი რაღაცას დიადის მაცნედ აღმართულა, ოქროსფერი შარავანდედით გარემოცული და გასხივოსნებული... ბრუნდება ჩვენებიდან და ამღვრეული მზერით აღმოსავლეთის ცას გაჰყურებს. თითქოს მარადი ყაყაჩოებით აფეთქებულს. წამიწამ რომ უნდა ამობრწყინდეს მზე იმსოფლიური სასუფეველიდან... თენდება... ზეციური სინათლე უსხივოსნებს ჩაღამებულ სახეს, თვალები მხურვალე ნაკვერცხლებივით უელავს, სულში რაღაც ღვთაებრივი ეღვრება და თითქო ზეცად მაღლდება... „არ მოაკლებს შემოქმედი განცხადებათა!..“ დიახ, ღმერთი ყოველთვის მასთან იყო, რამეთუ მთელი თავისი წუთისოფელი ღმერთს ეძიებდა, ხოლო ვინც ღმერთს ეძიებს, მარადიული სინათლე ეუფლება მის სულს... „მე ვარ ნათელი სოფლისაჲ. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისაჲ...“ სიცოცხლისა და სიკვდილის, ყოფნისა და არყოფნის, ამსოფლიურ და იმსოფლიურ გზაჯვარედინზე მდგომმა, პოეზიის ზეგრძნობიერი ძალით ირწმუნა მესამე გზისა თუ ყოფიერების უკვდავების ცისფერი ქვეყნის არსებობა, ირწმუნა ქრისტე-ღმერთი, ხორციელი ტყვეობისა და მიწიერი გახსაცდელისაგან რომ დაიხსნის და მის სულს უკვდავებას აზიარებს: „მე ისევ ვდგავარ მარადისობის გარინდებულ საზღვართან, ვით მგლოვიარე სერაფიმი და ველი ქრისტეს ლანდს, რომელიც დამიხსნის მე განსაცდელისაგან“... დიახ, „არ მოაკლებს შემოქმედი გახცხადებათა!..“ მაგრამ ვის ძალუძს ღმერთის უმაღლეს სამკვიდრებელთან მიახლება?!. მხოლოდ მას, ვინც გაითავისუფლა სული მიწიერი და ხორციელი ტყვეობისაგან, ვინც აღივსო სული ღვთის რწმენითა და სიყვარულით, ვინც შეიცნო პირველცოდვა და განისპეტაკა სული ლოცვითა და მარხვით, დათმენითა და აღსარებით, ტანჯვითა და ღვთიური სიხარულით, თვითგვემითა და თვითუარყოფით, ვინც განიწმინდა სული ცოდვისა და ბიწისაგან და ირწმუნა სულის უკვდავება: „და მჯერა სიცოცხლე სხეულის გარეშე“, „მოვა წამი, როცა არ ვიქნები ცოცხალი. მაინც მჯერა ჩემი უკვდავება... სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე სული...“

ამ რწმენით ანთებული, ტანჯვა რომ ღმერთთან მიახლების სიხარულად გადაუქცია, მიწევდა სრულქმნისაკენ მიმავალ საიდუმლო გზაზე. ამსოფლიური ტკბობისა და ხორციელი არსებობის უარყოფისაკენ. შორეული და მარადიული სივრცეებისაკენ.

გარღვევა მოაჯადოებული მიწიერი წრისა, თავად ადამიანმა რომ შემოისაზღვრა. მხოლოდ რწმენას ძალუძს. რწმენას ღვთისა, წარმავლობაზე რომ აღგვამაღლებს და რაღაც უკვდავს გვაზიარებს. ყოველივეს რწმენის ძალით ითმენდა და დუმდა. დუმდა. ვით მუმია. და რწმენაც ისევე აუხსნელი იყო მისთვის. ვით თვითშეწირვის წამია აუხსნელი და გამოუთქმელი: მხოლოდ საკუთარი თავი ჰყავდა ამ დუმილში თანამზმობლად და თანამგრძნობლად: „სხვა ვინ მიხვდება. მხოლოდ მე ვიგრძნობ. ჩემს დაფიქრებას ვაქვავებამდე...“ და ამ მარტოობაში, თითქო ორ არსებად რომ გაყოფილიყო. — ხორციელ და სულიერ არსებად, — მისტიურ სარკეში უმზერდა თავის ორეულს; და სულის ცისფერ ანარეკლს რწმენის სანთლებს უნთებდა. მართალია, დროდადრო მის რწმენასაც გადაეფარებოდა შავი ღრუბელი იქვისა. მაგრამ ეს დროებითი და წამიერი იყო. მალე ისევ სნებასაყით დაეუფლებოდა რწმენა. რისი ძალითაც სწამდა თავისი შინაგანი სიწრფელე და სიმართლე, რისი ძალითაც მიელტვოდა მხსნელად არყოფნის ღამეს, მესამე გზას. ღმერთის მარადიულ სამკეიდრებელს — ციურ, ღვთაებრივ ჭეშმარიტებას. რწმენა ხომ სიკეთეა, თავისუფლებაა, ბედისწერისა და ბუნებითობის დიადი კანონის მორჩილებაა. სიბრძნეა: ურწმუნოება — უკეთურებაა, მონობაა, ამბოხია, უმეცრებაა. რწმენა — ჭეშმარიტებაა, ხოლო ჭეშმარიტი ის არის, რაც გწამს, რაც ტანჯვით განწმენდილ ღვთის მაძიებელ სულს სწამს. მხოლოდ შენში რომ ხარობს და შენში ყვავილობს. რწმენა — ლტოლვაა, ხოლო ლტოლვა — რწმენაა, ლტოლვა ღვთაებრივისაკენ, და იგიც მისტიკოსის შეუჩყეველი რწმენით მიელტვოდა ღმერთს — უზენაეს სიბრძნესა და სიკეთეს: „ღმერთო! გამაფრინე და ქრისტე მაჩვენე!..“ ვინც ღმერთს ეძიებს, ღმერთიც მას სწამს. ხოლო ვისაც ღმერთი სწამს, უზენაესი ჭეშმარიტებაც სწამს, ჭეშმარიტება კი, ვით გამოსხივება ღვთისა, სიტყვათა მილმა რომ ძევს, უაჩრდილო და გამოუთქმელი. რწმენისა და სიყვარულის საუფლოა, ხოლო ვისაც რწმენა და სიყვარული დაუფლებია, გადარჩენილია... „რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს...“

რწმენა — სიყვარულია, სიყვარული ყოველივე არსისა, ადამიანისა. სიყვარული ღვთისა. ხოლო თუ რწმენა სიყვარულია. სიყვარული — უმაღლესი სიკეთეა, უმაღლესი სათნოებაა. სიწრფელეა, ზნეობრივი სიწმინდეა. ხოლო ვინც წმინდაა, ნეტარ არიან. — „რამეთუ მათ ღმერთი იხილონ...“ მიწიერი კეთილდღეო-

ბისადმი გულგრილობით დაძლია შიში — წყარო ბოროტებისა და უბედურებისა, აღზევებისა და ცრუ დიდებისა, ხორციელი ტკბობისა და ნეტარებისა, და ახლა ამაყად, სულიერად განწმენდილი და სიყვარულით ანთებული, დგას მარადისობის გარინდებულ უფსკრულთან და ელის ქრისტეს ლანდს. მის ცნობიერებაში ცნება ბოროტება ნელ-ნელა გაითქვიფა სიკეთის უმაღლეს ცნებაში და გაქრა, ვით არარაობა, ყოველივე სიკეთემ ადამიანობის ღვთაებრივ ცნებაში გადაინაცვლა, რადგანაც ადამიანია ყველაზე უმაღლესი არსება ყოველივე არსს შორის. რადგან მხოლოდ ადამიანს ძალუძს ღმერთთან მიახლება, მხოლოდ ადამიანს ძალუძს გაღმერთება. მხოლოდ ადამიანობა გვანიჭებს ჭეშმარიტ ტანჯვასაც და ჭეშმარიტ ბედნიერებასაც. ჭეშმარიტ სიყვარულს, ადამიანობა ყველაზე ღვთაებრივი გამოვლინებაა ღვთისა... „ხლვის და ცის შორ-ს არის მსგავსება, ისევ ქარია და დღე მზიანი. შენგან არ ვითხოვ მე დაფასებას, იყავი მხოლოდ ადამიანი ისევ თვალები და ცისკენ მზერა, ისევ ქარია და დღე მზიანი. იყავი კარვი. ხან გაიმეერა და შე'ში მოკვდა ადამიანი. მივდივარ, მიმაქვს ფიქრი ასეთი, ისევ ქარია და დღე მზიანი. მე შენ სრულიად არ მაფასებდი და შენში გაპქრა ადამიანი...“ სიყვარულით გულანთებულს ხშირად გაურღვევია ჩვეულებრივი არსებობის საზღვრები და, სხვა განზომილებაში გადასულს, უმეტყველო საგნებიც კი ადამიანური სულით აღუვსია, მისთვის ხომ არსებობა უმაღლესი ადამიანობა, უმაღლესი ზნეობაა, და ეს არსებობა ისეთივე უცვლელი უნდა იყოს, ვით ღმერთია უცვლელი: ზნეობრივი უცვლელობა კანონია ღვთისა, ხოლო გარდასხვაფერება — სატანისა... „მიცქერი, გული დარდით ამივსე, არ იღიმები, თითქო დადუმდი. მე რაც ვიყავი. ისა ვარ ისევ და შენ სრულიად გადასხვაფერდი...“ სწორედ ამ უცვლელობამ მიიყვანა ჭეშმარიტ სიყვარულამდე, სიყვარულმა — სათნოებამდე, სულში რომ თაფლის სანთელივით ჩამოქნა და აღანთო. ვის ძალუძს უცვლელობა, ვის ძალუძს წრფელი, უმწიკვლო, მხოლოდ რწმენით ანთებული სიყვარული ღვთისა და ადამიანისა, ვის ძალუძს ამ სიყვარულით ტანჯვა. სიყვარულის ტანჯვით გახარება?! მხოლოდ მას, ვინც ბავშვობა, ვინც უბიწოება და სიწრფელე შეინარჩუნა!... „ვიცი, ქარიშხალს ვერ დავეწევი. ვიცი, დავრჩები ბოლომდე ბავშვი...“, „ვარ ასე მარტო, პოეტი-ბავშვი და ფიქრი ბრუნავს, როგორც საათი...“ მისი წრფელი გული ხომ მარადი ბავშვურობით იყო აღვსილი, მთელი არსებით რომ განიც-

დიდა ცხოვრების სისასტიკეს, ადამიანებში უმაღლესი ზნეობის რღვევას. თვითშემეცნებას მკაცრი კანონები გამოჰქონდა სიყვარულით ანთებული გულისთვის, და ხშირად დამორჩილებია ამ კანონებს, ვით ბედისწერას: „და იყო სხვა დრო, მე როგორც ბავშვი, დავემორჩილე საშინელ ღობალს...“ „ანდა ცუდია განა — დავრჩე ბოლომდე ბავშვი?..“ ამ მორჩილებას ხშირად განხეთქილების სარბიელად უქცევია მისი არსება, ხან მკაცრი თვითშემეცნება რომ აღაზევებდა, ხან სიყვარულით განწმენდილი გული, ხან ერთი იმარჯვებდა, ხან მეორე, თუმცა მათი მკვიდრობა ხანიერი არასოდეს ყოფილა — მიდიოდნენ და მოდიოდნენ. ამ დაუსრულებელ მოძრაობას ხშირად უქცევია უმწეო, სუსტ არსებად, ვერსად რომ ვერ უპოვნია ხსნა და თავშესაფარი, მაინც არასოდეს დაუკარგავს რწმენა და სიყვარული ბავშვური უბრალოებითა და სიწრფელით აღვსებულ მის გულს, თუმცა ამ სიყვარულმაც ტანჯვა-წამებაც ბევრი არგუნა: „თეთრი ფიქრები სადღაც მიდიან, თითქოს ქარია ჩემი ცხოვრება. რა ვქნა, რომ აწი არ შემიძლია ამ შეცდომების გამოსწორება. კარგია ასე ტაძარში შესვლა, ამ ქვეყანაზე მე მარტო დავრჩი ავადმყოფივით დავდივარ ეხლა, ასე უდროოდ მოკლული ბავშვი“...

ვინც არასოდეს დაბნეულა საკუთარ შეცდომათა წინაშე, ვისაც ერთხელაც კი არ დაუკარგავს გზა ამ უდაბურ წუთისოფელში, ვისაც ვერ შეუცვნია პირველცოდვის მტანჯველი აზრი და არ ცდილა ამ ცოდვის საკუთარ არსებაში ამოძირკვას, ცოდვათა მონანიებას, ვერასოდეს მიაღწევს სულიერ სინათლესა და გასხივოსნებას: „ხელს მაღლა აგიშვერს ცოდვა ადამისა. ღმერთო! გამაგიჟე და შენვე დამიცავ!..“ განა ადამის ცოდვილი ხვედრით ცოდვილნი არ დავეხეტებით ყველანი ამ მიუდგომელ წუთისოფელში, პირველცოდვა არ არის, რომ არ გვასვენებს და გვაწრიალებს?! პირველცოდვა განა ისე არ იძვრის ჩვენს არსებაში, ვითარცა ყრმა — დედის საშოში?! ხომ ამიტომ ესწრაფვოდა ღმერთს — შემწყნარებელს შემწყნარებელთა შორის, სულის უმაღლეს განსაწმენდელსა და სამკვიდრებელს?! მთელი ცხოვრება ხომ ცოდვის მონანიებასა და ფარულ აღსარებას შეალია?! მაგრამ შესძლებს კი კაცი ოდესმე ამ ცოდვისაგან განთავისუფლებას?! ცოდვის გრძნობა ხომ წარუვალია და მარადიული სატანჯველი: „თეთრი ფიქრები სადღაც მიდიან, თითქოს ქარია ჩემი ცხოვრება. რა ვქნა, რომ აწი არ შემიძლია ამ შეცდომების გამოსწორება...“ სწორედ ცოდვილის

გრძნობით ეზიარა იმ სიწმინდეს, მთელი ცხოვრება რომ მიელტვოდა, ეზიარა, თუმცა ვიდრე „მთასა წმიდასა“ ააღწევდა, უმძიმესი გზა არგუნა ბედმა, თვითგვემისა და თვითუარყოფის უმკაცრესი გზა. ცოდვის საკუთარ თავში შეცნობამ არ გადაუკეტა გარეგანობისაკენ მიმავალი გზა და უარყო ხორციელი ვნებანი, ცოდვის შეგრძნებამ არ აიძულა შეჭრილიყო საკუთარ არსებაში, იქაური მიწიერი კოშკები რომ დაემსხვრია და აღემართა ახალი სამშვენისები ზეციური თანალმობისა და სიყვარულისა, საგრძნობელისა და თანასაგრძნობელისა, სიკეთისა და სათნოებისა?! განუდგა თვისტომს, უფრო ახლო რომ ‘ისულიყო მასთან, შემოისაზღვრა, უფრო ღრმად რომ მოეძია ცოდვის მიზეზები, მოეძია და გაევლო მონანიებისა და თვითგვემის ეკლიანი გზა; სწამს, მიზეზები ცოდვისა სადმე შორს, ჩვენს მიღმა კი არ იმალება, ჩვენსავე არსებაშია ჩასახული და ჩასახლებული, ვითარცა ბედისწერა. კაცის ცხოვრებაც ხომ ბედისწერის ბორბალზეა მიჯაჭვული და იგიც მორჩილად ბრუნავდა ამ მიზეზ-შედეგობრივ ბორბალზე, ბრუნავდა და თრგუნავდა ვნებებსა და სურვილთა ძალას, სხვათა განსჯასა და განქიქებას, რაც სათავეა ბიწიერებისა და უკეთურებისა და ინანიებდა ცოდვებს. თუ ყოველივე, ბუნების ნაბოძები, მშვენიერია და კანონიერი, მაშინ ცოდვაც, მონანიების ძირი და მიზეზი, მშვენიერია, მონანიება ამშვენებს და აკეთილშობილებს ადამიანს. ძე შეცთომილიც ხომ თავისი ცოდვებითა და გზადაბნეულობით, ამ ცოდვათა მონანიებით არის წრფელი და კეთილშობილი, ხოლო რაც წრფელი და კეთილშობილია, ის მშვენიერიც არის და დიადიც. აძის უნაზესი და ღვთაებრივი მაგალითი ხომ ქრისტეა — განკაცებული ძე ღვთისა და გაღმერთებული კაცი, საკაცობრიო მაგალითია პირველცოდვის გამოსყიდვისა, სიკვდილით სიკვდილის მოკვდინებისა, გაწყვდიადებულ სულთა განწმენდისა და გაბრწყინებისა. ქრისტე ხომ ჯვარცმული შუამავალია ღმერთსა და ადამიანებს შორის; ღმერთის გაცხადებული სიტყვაა, და ვინც ხელს შეახებს მის ღვთაებრივ კვართს, ვინც დაუტევებს ხორცს და გაათავისუფლებს სულს, ვინც ამ ტანჯვაში სიხარულს ჰპოვებს, ის იხილავს მას, ის იხილავს ღმერთს... „რომელმან მიხილა მე, იხილა მამაი ჩემი...“ რა იყო მისი ცოდვა?!. ალბათ ის, ადამის ჩამომავალი და ნაშიერი რომ იყო, მასაც რომ ედო წილი იმ ცოდვაში, ადამმა რომ მოიმოქმედა; ისიც ხომ ადამივით შიშველი დაიარებოდა, სადღაც, შორეულ პლანეტაზე,

აცთუნეს და მოუხმეს მიწაზე, რაღაც წვირიანი სამოსით შეუმოსეს სპეტაკი ხორცი, ვერაფრით რომ ვეღარ შემოიძარცვა და, ლოცვა-ვედრებით შესთხოვს ახლა ღმერთს: „კვირის წირვებში ცოდვილ ტაძრებს ასწევენ მკვდრები, თავის წამება სამრეკლოზე მარტო მე მინდა. ო, ვიყრი მუხლებს, სინანულით შენ გევედრები, მე გაჭირ-ვებულს და საცოდავს, ღმერთო შემინდე!..“ ბავშვივით ჩარჩენი-ლა ცოდვილ ქვეყანაზე და არ უწყის, როგორ ამოვიდეს იმ ტალა-ხიდან, მიწა რომ ჰქვია. ოდესღაც უცოდველმა დ არყოფნის ღვთიურ ღამეში გარინდებულმა, არაფერი უწყოდა ცოდვისა, სიკეთისა და სიბოროტისა, სიმახინჯისა და სიმშვენიერისა, და ახლა, პირველ-ცოდვით დამძიმებული, ისევ უცოდველობის წიაღს მიელტვის, არყოფნის ღვთიურ სამეფოს, კვლავ რომ შეიძლებს პირველქმნი-ლი უბიწოებისა და უცოდველობის დაბრუნებას, უპოვარი და ღა-ტაკი, ლოცვითა და მონანიებით გასათუთებული და გასაწყლებუ-ლი. იშვა თუ არა ამქვეყნად, ცოდვაც მაშინვე იშვა მის არსებაში, კაცთა მოდგმის მარადიული ხვედრით ჩასახული და განჩინებული, გამოსყიდვა რისიც არ ეგების: „ვერ გავასწორებ ჩემს დანაშაულს, ვერ გავასწორებ მე ჩემს შეცდომას“... „მე ეს შეცდომა ისევ მაწ-ვალებს, შენ ჩემი თვალი რისთვის გეძებდა“, „ახლა უფრო და-ფიქრების დროა, ჩადენილი შეცდომები ბევრია“, „მე მენატრება ღამეები, ძილი მეფური, როს სულში ირგვლივ ბოროტების შავი ნისლია და ჩემი ტანი ცოდვებისაგან დამძიმებული...“ დგას ახლა არყოფნის ღვთიური ღამის წინაშე, ცოდვებითა და შეცდომებით დამძიმებული, ყველასაგან. უარყოფილი და მიუტევებელი, და მხოლოდ ღმერთისგან ელის სულიერ ხსნასა და მიტევებას, მო-ნანიე და მარხული, აღმსარებელი და მავედრებელი... „უკუეთუ არა შეინანოთ, ეგრეევ სახედ ყოველნი წარსწყდეთ...“ და იგიც ცრემლითა და ლოცვით ინანიებდა ცოდვებს: „დადგა დრო ფა-რული და წმინდა ვედრების“, „მძიმე წამია, მე რა ვქნა, სულო! ახ-ლა ღამეა და მე ვლოცულობ“, „ღამეა, ცრიან წვიმის წვეთები, ღმერთო! შველას გთხოვ და გევედრები“, „ღმერთო შეუნდე ჩემს მოღლილ ხელებს!..“ „წმიდაო ღმერთო! ძალა მომეცი“, „ღმერთო! მიშველე და შემეწიე!..“ „ღმერთო! ნუ შემშლი, ძალა მომეცი!..“ ღმერთი — უმაღლესი ძალა, უმაღლესი კანონზომიერებაა, დამბა-დებელი ყოველივე არსთა, მეუფე ცოცხალთა და მკვდართა... აჰა, მიირწევა ქრისტე ატალახებულ და ნისლიან აღმართზე, უზარმაზარი

ჯვრით მხრებზე, მიირწევა და მიაქვს ძელი ცხოველი, ეკლის გვირგვინი შუბლს უკაწრავს, ღაწვებზე სისხლის წვეთები ჩამოსდის, სახეს უსაზღვრო ტანჯვა დაუფლებია, ტანს სამოსელი შემოძარცვია. თითქო ესეც იქ არის. მიჰყვება ქრისტეს და მიაქვს თავისი წილხვედრი ჯვარი, ვით ჭეშმარიტი აღმსარებელი, ღმერთის მწყალობელ კალთას აფარებს თავს... „რომელსა უნდეს შემოდგომად ჩემდა, უარ-ყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯუარი თვისი და მომდევდინ მე...“ აჰა, უმაღლესი ემბაზი და განსაწმენდელი!.. მხოლოდ ღმერთის ზენათელ წყვდიადშია შესაძლებელი ცოდვათა მონანიება და სულიერი განწმენდა, და იგიც, ჩუმი განგაშითა და მშფოთვარებით შესუდრული, ჯვარცმული ძის უქორწინებელ დედას შესთხოვს ხსნასა და მიტევებას: „ჯვარებთან გაივლის ფარული ვედრება, წირვებით წამიღებს წამების მწვერვალი. ვარდისფერ სარკეში სურვილი ბერდება, მთვარესთან ჩამოწვა უვნებო ფერვალი. მე, ჩუმი, მივყვები, ლანდების ასეულს, ღამე უდაბნოა, ვნება კოშმარიბ. ქუჩაში მცხოვრებს და სახლიდან გაქცეულს შემინდე. შემინდე, წმინდაო მარიამ!..“ ღმერთის წყალობით სურდა დაეხსნა თავი პირველცოდვისა თუ მიწიერი ცოდვებისაგან, ზიარებოდა უბიწოებასა და უცოდველობას და აღმდგარიყო ახალ ზემიწიერ არსებობაში. მთელი მისი წუთისოფელი ხომ შეშფოთებული სულის წრიალია, ჩაღამებულ ტაძარში ღმერთისაკენ ხელაპყრობილი აღმსარებლის ლოცვა-ვედრებაა, აღვლენილი სიწმინდისათვის, სინათლისათვის, სიკვდილის გაწყვდიადებული სამეფო რომ გაუნათოს და გაიყვანოს სამშვიდობოს — სულთა მარადისობის ქვეყანაში: „დავალ ქვეყანაზე, როგორც შერისხული, შენი ზვარაკია, ღმერთო, ჩემი სული. დავალ ქვეყანაზე, როგორც ბნედიანი, ღმერთო! მაპატიე უქმად ხეტიალი. დავალ ქვეყანაზე, როგორც გაძარცული, ღმერთო! დააჩქარე ჩემი აღსასრული...“ ეს ხომ ლოცვაა, უიმედობაში დაბადებული, ლოცვა ხსნისა და გადარჩენისა, ლოცვა იდუმალი, ღმერთისადმი აღვლენილი... „იღვიძებდით და ილოცევდით, რაითა არა შეხვიდეთ განსაცდელსა...“

კიდევ რას, მონანიებისა და ლოცვის გარდა, რას ძალუძს განწმინდოს სული ცოდვათაგან, გაათავისუფლოს ხორციელი ტყვეობისაგან და წმინდა სახით აზიაროს ღმერთის საუფლოს?!. ტანჯვას!.. ტანჯვას და ტანჯვით მონიჭებულ ღვთიურ სიხარულს: „და მოვიდა სიხარულის წამი დიდი ტანჯვის და წვალების შემდეგ...“

დიახ. არ არსებობს ბედნიერება უბედურების გარეშე, არ არსებობს სიხარული მწუხარების გარეშე, არ არსებობს ტანჯვა ნეტარების გარეშე!.. ერთია მათი აღმოძაცენებელი ძირი და ფესვი. ძალა, ტანჯვამ რომ დაბადა, მადლიერებად გადაიქცევა, აღმსარებლის გულიც სიხარულით და მადლით აღივსება, — „მწუხარება თქუენი სიხარულად გარდაიქცეს...“ — მადლის იდუმალი გამოვლენა კი ლოცვაა, სულს რომ აფაქიზებს და ასათუთებს. მხოლოდ გაფაქიზებულ და გასათუთებულ სულს ძალუძს ჭეშმარიტი ტანჯვა, დათმობა ამსოფლიურ სიამეთა, მორჩილება და დათმენა ყოველივესი, თვითგვემა და თვითუარყოფა, სხვათა ტანჯვით ტანჯვა, კრძალვა და მოწიწება წამებულთა: „მე რომ ვატარებ წმინდა წამებას, ბევრია ამის მაგალითები!..“ ყველა სიამე დათმო ამ გზაზე და იტანჯა, იტანჯა, სული რომ ამქვეყნიური ბორკილებისაგან დაეხსნა და სრული და შეუზღუდავი თავისუფლება მიეხიჭებინა მისთვის; მისი შინაგანი არსება და არსებული ყოფა ებრძოდნენ ერთმანეთს და სწორედ ამ ფარულ ბრძოლაში იკვეთებოდა მისი იდუმალი და ტანჯული ცხოვრება, მარად დაატარებდა ერთი ბრძენის ნათქვამს: რაში უძალესი, სრულქმნილისაკენ რომ მიგვაქროლებს, ტანჯვაა. ყველაზე დიდი მაგალითი, მაგალითი წმინდა წამებისა, გოლგოთის მისტერიაა: „მოჩანს წამება დიდი და მეც სამარეს ვეძებ, სადღაც ვიღაცა მიდის და ფიქრობს თავის ბედზე. ჯვარზე შეღება ქრისტე გულის უმანკო სისხლმა. ამაღამ ეელი ისევ საშიშ ლანდიან სიზმარს...“ გოლგოთის მისტერია მარადიული ხვედრია ადამიანისა, პოეტისა: „ყოველი ღამე — ყრუ სამარეა, ყოველი ღამე — არის გოლგოთა...“ “მე იმდენად შევეჩვიე სევდას ყველა ლექსი ცრემლით დამისველდა...“ ტანჯვა არსებობის კანონია, ბედისწერის გარდუვალობაა, მორჩილება და დათმენაა, მორჩილება — სიკეთეა, სიკეთე — სიბრძნეა, სიბრძნე — ღმერთის სიყვარულია, წრფელი და სათუთი. იობივით უნდა ეწამო, ღმერთის წყალობა რომ დაიმსახურო: „არ თავდება ვარამი და იობის წამება...“ განუწყვეტელი ტანჯვით სასოწარკვეთილს, ხშირად წამოუძახნია: „მე ველოდები ისევ წამებას, მე ველოდები საშინელ გრიგალს...“ ღვთაებრივი ტანჯვა ყოველთვის აუხსნელია, უმიზეზო, შეუცნობელი: „რა იქნებოდა, რომ ჩემს წამებას ჰქონოდა სახე ან დასასრული...“ მთელი ცხოვრება საკუთარ არსებაში იყო დანთქმული, მაინც ვერაფრით ახსნა საკუთარი ტანჯვის მიზეზები, ვერ მიაგნო იმ ფესვს,

საიდანაც მისი სევდა და მწუხარება აღმოცენდა; ადამიანი ხომ ამოუცნობი და ამოუხსნელი ქიმერაა. ვით სამყარო, ადამიანიც ხომ სამყაროსავით უსაზღვრო და შეუცნობელია, ადამიანის ტანჯვის ძირი ყოფიერების შეუღწეველ წყვდიადებშია ჩაბუდებული. ვის ძალუძს მისწვდეს და შეიმეცნოს იგი?!. „სად არის ძირი ჩემი წამების". „გრიგალს მივსდევ. ვარ მწუხარე სახის. მიმაქვს დარდი, მე არ ვიცი. რატომ", „საიდან გაჩნდა ასეთი სევდა, როდის ელავდა ჩემს წინ სანთელი. იდგა საღამო და მე მომსდევდა შავი ფიქრების კორიანტელი..." სიცოცხლე მარად ტკივილია, განსაცდელია, ცრემლია, სამზადისია სიკვდილისა. და ვით ქარიმხალი ამსხვრევს ვარდის რტოებს, ისე ტანჯვა-წამება ამსხვრევს ადამიანს, თუმცა ასათუთებს და ასპეტაკებს. კიდეც, იმ მარადიულ ცეცხლში აწრთობს, ცისფრად რომ გიზგიზებს სულში. ტანჯვა საიდუმლო მისტერიაა, მორწმუნე აღმსარებლის ბაგეთაგან ლოცვად აღმომხდარი, მარადისობას რომ ერთვის: „ჩემს წამებას ბოლო აღარ უჩანს..." მხოლოდ ტანჯულს ძალუძს შეიცნოს პოეზიის იდუმალი და ღვთაებრივი მადლი. სხვათა სულიერი სიფაქიზე და სინათლე, სხვათა ტანჯვა, წარმავალი ცხოვრებისაგან გაძარცული და მარადიულს ზიარებული: „ახლაც გარშემო მძიმე წამია, ახლაც ქარში ვარ, თავს ვერ კუშველე. და ვესალმები იმ ადამიანს, ვისაც ცრემლები ლოყას უსველებს..." ვის ძალუძს შეიცნოს მისი ტანჯა და მადლით აღივსოს?!. მხოლოდ ტანჯულ სულს: „ისევ მიწაზე ვარ მიჯაჭვული (სადღაც შიშია, ვიღაც ფითრდება). მოვა ოდესმე ვინმე ტანჯული და ჩემს საფლავთან ის დაფიქრდება..." ქარიშხალი წუთისოფლისა დაჰქრის კიდიდან კიდემდე და ისე არხევს კვიპაროსის ტოტებს, ვით ტანჯვა — მისი სულის დაჭიმულ სიმებს, მწუხარე მუსიკა წუთისოფლისა ისადგურებს მის გულში სადღაც. მისტიურ ქვეყანაშიც მწუხარება დაუფლებია მის ორეულს, იქაც დარდია გამეფებული, აქაც დარდით არიან შეპყრობილნი. ვის, ადამიანთაგან, ვის ძალუძს გაექცეს ამ საშინელ ხვედრს?!. ხოლო თუ ტანჯვას თავისი უხილავი დასაწყისი აქვს სადმე, დასასრულიც ხომ უნდა ჰქონდეს. ხომ აქვს ბოლო ყველაფერს?! „წუხს როიალი, მე რაღაც მტკივა, დავტოვებ თბილისს და წავალ დასთან. ვნახოთ ეს ფიქრი სანამდე წავა, ვნახოთ ეს ტანჯვა სანამდე გასტანს..." ვინც ღვთაებრივი ტანჯვით არ ცხოვრობს — ურწმუნოა და შიში დაუფლებია მის გულს, ვინც იტანჯება — ძლიერია და რწმენით აღვსილი. უფსკრულის პირას

მდგომს სინათლე ეგებება და არა წყვდიადი, ტანჯვა ღვთაებრივი განსაწმენდელია მისთვის: „მე თითქოს ვხედავ და თითქოს ვუმ-ზერ შენს სულს — ტანჯვისაგან გასპეტაკებულს...“ ხოლო თუ ეს ჰეშმარიტად ასეა, — „ო, მარადი წუხილის მეტი რა დაგვრჩენია...“ ტანჯვას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, მხოლოდ მაშინ მიეახლება ტანჯულის სული ღმერთს, თუკი წრფელია ეს ტანჯვა და წმინდა: „ჩემი წამება უკვე ნახულია, წამება სპეტაკი და მუდამ ნამდვი-ლი...“ მხოლოდ ასეთ ტანჯვას ძალუძს მომავალში ფესვის გადგ-მა და დამკვიდრება, მარადიულობასთან ზიარება: „და მწუხარება უფრო ინთება, ვიგონებ წარსულს გულისტკივილით. ამ საუკუნეს რომ გასცილდება ჩემი ტანჯული სულის ტკივილი...“ თუმცა ზოგ-ჯერ იჭვიც კი შეიპყრობდა ხოლმე: „დამიფასდება მე ეს წამება თუ ყველაფერი დაკარგულია...“

ჰეშმარიტი ტანჯვა ყოველთვის სულისმიერია და არა ხორცის-მიერი. ამიტომ არის ტანჯვა სულის სიდიადის ნიშანი, ერთეულთა ხვედრი, სულიერი ტანჯვა ერთდროულად სინათლესაც აბრწყი-ნებს და სიბნელესაც, ამიტომ უჭირთ მასთან ახლოს მოსვლა, მი-სი შეცნობა, მისი თანაგრძნობა: „ჩემთვის სიცოცხლე ისევ ძნე-ლია და გრძნობის ცეცხლი სხეულს ედება. სადაც მე ვდგავარ, იქ სიბნელეა, იქეთ არავინ არ იხედება...“ მაგრამ სწამს: დადგება დრო და ამ სიბნელეშიც გადმოიხედავენ, იქ სულის უსაზღვრო სინათ-ლესა და სიცისფერეს დაინახავენ და... უთანაგრძნობენ... „ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ...“ ტანჯვა დასაბამითვე დაჰყვა კაცობრიულ ცხოვრებას. ქრისტეს მოვლინებამ და ზეციური მეუფების ქადაგებამ, ადამიან-თა გულებში უფრო ღრმად გადგა ფესვი ამსოფლიურმა ტანჯვამ. იესო ზეცისაკენ მიუთითებდა ადამიანის სულს და იქ ჰპირდებო-და მარადიულ სიმშვიდესა და უკვდავებას. თუ ღმერთი უმაღლე-სი სიკეთეა, და თუ ამ სიკეთის დასაუფლებლად გარდუვალია დაძ-ლევა ხორციელობისა, ვნებათა საუფლოდ რომ ქცეულა — „ვნე-ბა-კოშმარია“, მაშინ უმაღლესი სრულქმნის მისაღწევად ასევე გარდუვალია ამაღლება ღვთაებრიობამდე, რამეთუ საუფლო ღვთისა — ზეციური სიკეთის საუფლოა, ხოლო ღმერთისაკენ მი-მავალი გზა ტანჯვა-წამებით არის აღვსილი: „შენ მიდიოდი ნის-ლიან გზაზე და კანკალებდა რტოები ვაზის. გველივით გდევდა ცრემლების ზღვაზე მკვდარი დღეების ცისფერი ხაზი. ეს იყო

დარდი, სულის დაღალვა და სისხლიანი ბედი ქრისტესი. ცოდვილ დასავით მიგაჩნდა ალბათ, სიჩუმე — თეთრი და უწმინდესი"... „სისხლიანი ბედი ქრისტესი" მწუხარებასთან ერთად ხომ სიხარულსაც აღძრავს, ხსნის, გადარჩენის, სულიერი ამაღლების სიხარულს. ამიტომ ჰგავს მწუხარება სიხარულს, ხოლო სიხარული — მწუხარებას, ამიტომ ბადებს ტანჯვა ბედნიერებას, ხოლო ბედნიერება — ტანჯვას, ამიტომ არიან ისინი ერთი ფესვიდან აღმოცენებულნი. ადამიანის სიცილი განა ზოგჯერ ტირილს არ ჰგავს, ხოლო ტირილი — სიცილს?! ოდეს იცინის, რად არ იცინის მთლიანად, ოდეს ტირის, რად არ ტირის მთლიანად?!. სიხარულის წამებშიც მწუხარებს ადამიანი და მწუხარების ჟამსაც ხარობს: „დღეს ჩემი სული მართლა ღმერთია და სიჩუმეა, ასე ფარული. და ახლა ვატყობ, ჩემთვის ერთია ეს მწუხარება და სიხარული", „ძვირფასო, ისევ მინდა წამება, მინდა სიცოცხლე და სიხარული..." ტანჯვით სიხარული და სიხარულით ტანჯვა — აი, პოეზიის უმაღლესი გზაჯვარედინი, ზეგრძნობიერების ცეცხლით ანთებული და გაჩირაღდნებული; ტანჯვიდან აღმოცენებული სიხარულია ჭეშმარიტი, ღვთაებრივი სიხარული, რელიგიურ ექსტაზს რომ ბადებს ადამიანში: „ჩემთვის წამება სიხარულია და მიხარია, რომ ვიტანჯები..." ურთიერთგამომრიცხავი და ურთიერთუარმყოფელი საგნებისა და მოვლენების დაუკავშირებლობა ტანჯავდა, ტანჯავდა სიცოცხლეც და სიკვდილიც, და რაც უფრო მეტად მიელტვოდა ურთიერთდაპირისპირებულ დასაბამთა შეთანხმებას, მით მეტად ამწუხრებდა თავისი ადამიანური სისუსტე, კვლავ სიცოცხლისა და სიხარულისაკენ რომ უბიძგებდა: „ვარ ასე მოღლილი და სახედამწვარი და ყოველი ღამე ეს ჩემი ლოდია. მე მივალ ბაღისკენ, გათავდა ზამთარი და უფრო ნათელი დღეები მოდიან. მე ბევრჯერ მქონია დარდი იშვიათი, ბევრჯერ თავის მოკვლაც მქონდა განზრახული. გუშინ შომენატრა ფოთლების შრიალი და ჩუმი საღამო ისევ გაზაფხულის..." მხოლოდ ტანჯვით აღმოცენებული სულიერი სინათლე ასხივოსნებს მშვენიერებას, მშვენიერების უხილავ და ამოუთქმელ ძალას, გარინდებულ სილამაზეს: „ჯერ კიდევ ძალა შემწევს, ვიგრძნო დუმილი ვარდის..." მშვენიერების უეცარი ხილვა და შეცნობაა სიხარული, მშვენიერების ხილვის ჟამს ცდილობს კაცი გადალახოს საკუთარ არსებაში ჩასახული ტანჯვის მიზეზები და წამიერად მაინც იგრძნოს სიხარულის მისტერია: „ისევ მი-

წასთან ვდგევარ, მინდა გავიდე ველზე. ისევ მზიანი დღეა ისევ სიხარულს ვეძებ...“ მაგრამ სიხარული წამიერია, მხოლოდ ტანჯვაა განუწყვეტელი, ძირი და ფუძე კაცთა მოდგმისა; ლტოლვა წამიერებისაკენ და ფუძისაგან მოწყვეტა ხომ მკრესელობაა, ღვთაებრივი დასაბამის უარყოფაა, და ისევ ღმერთი თუ მოგვიტევებს ამ მკრეხელობას: „ღმერთო! მიშველე და მაპატიე, ეს აღტაცება და სიხარული...“ მის გულში მწუხარება და სიხარული ისე ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, ვით მიწისკენ მოფარფატე ფანტელები; მისი მწუხარებაც წრფელი და ბუნებრივი იყო და მისი სიხარულიც: სიხარული, ხანგრძლივი მწუხარების მერე რომ აღიძვრის სულში: „მესმის ვილაცა უკრავს გიტარას და მეორდება, რაც იყო დღემდე. და შუადღეზე გამოიდარა ამდენი წვიმის და ქარის შემდეგ...“ ნეტარების საწყაოც ხომ იგივეა, როგორც ტანჯვის, სიხარულიც ხომ იმდენივეა ამქვეყნად, რამდენიც მწუხარება, ღიმილიც ხომ ცრემლის დაა, ღიმილსაც ხომ ძალუძს დაგვანახოს კარიბჭე იქაური სამყაროსი, მხოლოდ ეს ღიმილი უცხოა და სხვანაირი, არაკაცებრივი ღიმილია, ქვეცნობიერების ცრემლშია განბანილი: „ამნაირი ღიმილი უწინ მე არ ვიცოდი...“ განუწყვეტელ სატანჯველში მცხოვრებს, ღრმად შეეცნო ადამიანის მუდმივი სატანჯველი, და სწორედ ეს იყო მისი განსაწმენდელიც, გზა ზეციური სუფევისაკენ: „დატანჯულია მართლა პოეტი, ცრემლიანია მისი თვალები. დიდი ხანია მე რომ მოვედი, დიდი ხანია, რაც ვეწვალები. ყოველი წამი ბოლოს მიმატებს და სოველია ციხის ფანჯრები. დიდი ხანია, რაც დავიბადე, დიდი ხანია, რაც ვიტანჯები...“

ღმერთიც მხოლოდ იმასთან არის, მხოლოდ იმას სწყალობს. ვინც თვითუარყოფითია და თვითგვემით განიწმინდა და გაითავისუფლა სული ხორციელობის ტყვეობისაგან, ვინც მიწიერ ცხოვრებაშივე ირწმუნა სულის უკვდავება და უზენაეს სამკვიდრებელს ეზიარა, ვინც მარადი ზეცასავით გაიცისფერა სული: „მოვა ცისფერი სული“, დღეს სულს ცისფერი სინათლე ახლავს“, „გულში — უიმედო ღამეა, სულში — ცისფერი სინათლე...“ განა მხოლოდ მიწიერი სიამაყის დათრგუნვით არ მიიღწევა ზეციური სიდიადე?!. განა ეს არ არის მაცხოვრის — უხრწნადისა და წარუვალის დამკვიდრება ხრწნადსა და წარმავალში?! მანაც ამით არ მიაღწია ზნეობრივ სრულქმნასა და სულის თავისუფლებას?! სწორედ დათმენასა და თვითუარყოფაში არ ძევს უდიდესი ძალა, ძალა სათნოებისა, სიკე-

თისა, სიყვარულისა?! „გაქრება ისევ სიზმარი ღამის და გაგრძელდება ჩემი ობლობა. უფრო კარგია ასეთი წამი, უფრო კარგია უმეგობრობა", „და მინდა ისევ შევძულდე ყველას, და მინდა ყველამ რომ დამივიწყოს". „მიხარია, „თავს შევაფარებ მტვერიან ქაღაღს და სადმე მტვერში დავიმარხები..." განა მორჩილებასა და თვითუარყოფაში არ დაეუფლა თავისუფლებას, ამ თავისუფლებაში არ შეიცნო პოეზიისა და ზეციერების მადლი: „გაზაფხულია, მივდივარ ნელა და მიკავია ხელში ეს ია. მე უარვყავი მთელი ცხოვრება, ვიწამე ზეცა და პოეზია..." მან უარყო და ისიც უარყვეს მაგრამ სწორედ ამ უარყოფაში ჩაუდებულა მომავლის რწმენა: „მე ახლა ვამჩნევ მღალატობს ყველა, მით უფრო მეტი მელის დიდება..." უარყავ თავი და დაეუფლები ღვთაებრივ ნათელს, დადუმდი და დაითმინე და დაეუფლები სიწმინდესა და უბიწოებას „ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს". განა სწორედ დათმენითა და ხორციელი თვითგვემით არ განიწმინდა სული, ღვთაებრივი ნათელი რომ ასხივებს, განა სურვილთა დათრგუნვით არ ცდილობდა ღმერთის უხილავ მეუფებასთან მიახლებას?! სული რომ ეხსნა, ჯვარცმის მისტერია რომ სრულად განეცადა, ცდილობდა თვითწამებითა და თვითგვემით უარეყო ხორციელება, დაესაჯა საკუთარი თავი ტანჯვით და სიცოცხლეშივე განთავისუფლებულიყო სხეულის დამღალავი ბორკილებისაგან: „და ისევ ხელი მოვავლე ეკალს, ეს მხარე ისევ სევდის მხარეა. იქ მივალ, სადაც გრიგალი რეკავს, იქ მივალ, სადაც სიმწუხარეა..." თვითგვემით განაწამები, ისე დაათრევდა საკუთარ ხორცს, მატერიული ელემენტებისა და ბიწიერების ბუდეს, ვით მათხოვრის დაძენძილ კაბას: „ღმერთო! მძიმეა ჩემი სხეული", „დებისგან ისევ მივიღე ცნობა და მოქანცული ბაღში მოვედი. ეს არის ფიქრი, ეს არის გრძნობა და ეს დარდია დაღლილ პოეტის", „ჩემი სხეული რომ დაღლილია, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას..."

ხორცი სიმძიმეა, წარმავლობაა, სულის დაბრკოლებაა ზეციურ სუფევაში დასამკვიდრებლად: „რა ვქნა, როდესაც ლეშს არ შეუძლია შეასრულოს სულის მოწოდება. მე ისევ მიწაზე ვრჩები...", ხორცი — საპყრობილეა, სული — პატიმარია, ტყვეა ხორციელი გარსისა: „ვიცი, სხეულმა რომ დამატყვევა, ტანი — ციხეა, მე პატიმარი..." სული არსია, უდასაწყისო და უდასასრულო, დაუბადებელი და წარუხოცველი; სული უაჩრდილოა, ხორციელი სამწყევრევისაგან გათავისუფლება და მარადიულთან ზიარება რომ სწადია:

„სული სხეულის ჩუმი ტუსაღია, სული — უცნობი, სული — ანგელოზი...“ ანგელოზი ხომ მაცნეა ღვთაებრივი სამყაროს მიწიერ სამყაროსთან შერწყმისა, და მხოლოდ მის სულს ძალუძს შეაღწიოს ღმერთის დაფარულ წიაღში, ვისი სულიც ანგელოზურობითაა აღჭურვილი: „აქ სიცივეა და დგანან მთები და სულში თეთრი ანგელოზია“, ხორცი დაიშლება სიკვდილის მერე და ნაცრად ჩაიმქვრევა მიწის წიაღში, სული კი, ხორცის უხეშ ჭურჭელში დატყვევებული, თავის მარადიულ საშოს — სამყაროულ სულს შეუერთდება: „გადავეცემი სიკვდილის მდუმარე ხელებს. ჩემი წამებული სხეული შეუერთდება მსოფლიო ელემენტებს. და მე ვიგრძნობ უმაღლეს მოსვენებას“, „სული არს განმაცხოველებელ, ხოლო ხორცნი არად სარგებელ არიან...“ თუმცა ხორცი დაღლაა და უხერხული საფარი სულისა, მაინც წამოიძახებდა ზოგჯერ სინანულით: „მოცემულ სხეულს ვერ ვურიგდები, მაგრამ ჩემია და მენანება!“ ხორცი მიწიერი ნეტარებისაკენ მიილტვის, სული კი — მარადიული მეუფებისაკენ, კვდება ხორცი, ხოლო სული, უხრწნელი და დაურღვეველი, მარად ცოცხლობს არყოფნიდან არყოფნამდე: „ცრემლი არ მოდის, მაინც მე ვტირი და შორეული სივრცე მიტაცებს. სული გაფრინდა თეთრი მტრედივით, სხეული დარჩა ცოდვილ მიწაზე...“ ვანა ქრისტეს თეთრი მტრედის სახით არ მოევლინა „სული ღმერთისაᲐ“?! ხორცი დროსა და სივრცეს მორჩილებს, სული — უდროოა და უგანზომილებო, ხორცი ვნებულია — სული უვნებელი, სული რომ ხორცს გაეყრება და ხორციელი ბორკილებისაგან თავს დაიხსნის, მარტო დარჩება თავის თავში, წმინდა და შეურყვნელი, ვითარცა „სული ღმრთისაᲐ“, ოდეს აღარც ბგერა აამღვრევს, აღარც ფერი. არცა ტანჯვა და სიხარული, მხოლოდ მაშინ შესძლებს ეზიაროს წმინდა არსებობასა და დაფარულ საიდუმლოს: „და სული მუდამ მარტოა...“ სწორედ ხორციელი საპყრობიდან განძარცულ და მარტომყოფ სულს ძალუძს უკვდავების დაუფლება, მხოლოდ ტანჯვის მარწუხებიდან თავდახსნილ სულს ძალუძს ღვთაებრივ, მარადიულ სფეროებთან მიახლოება: „ასე მგონია, სულთან ახლოა ცისფერი შუქი მარადისობის“, „ჩემს სულს სწყურია თეთრი სავანე, ჩემს სულს სწყურია უსაზღვროება...“ მხოლოდ უსაზღვრო სივრცეებში მოფარფატე სულს ძალუძს უკვდავების ცისფერ მხარეში შეღწევა და ღმერთთან მიახლება: „ეს ჩემი სული — ლანდია ღმერთის, ეს ჩემი გრძნობა — გრიგალი მძიმე“, სულს, მარად ღმერთსა და გა-

უკვდავებას რომ მიელტვის, ძალუძს სხვა არსებაში გადანაცვლება, კვლავ აღმოცენება სამყაროულ საგნებში, განმეორება და კელავშობა, ახალი ძალით რომ მოევლინოს ქვეყნიერებას, ახალი ძალით გაასხივოსნოს ყოფიერება და კვლავ ძველი და მარადიული ტკივილებითა და სიხარულით აღივსოს: „სული ჩქარია მრავალ სირბილით და ვიცი, ისევ რომ ავენთები, როგორც სიცოცხლე, როგორც სიკვდილი, როგორც სიშორე და პლანეტები...“ ეს ძველთაძველი წარმოდგენა — დაურღვევლობა კაცის ჭეშმარიტი არსებისა, სულის ერთი სახიდან მეორე სახედ გარდაცვლას, რომ მოასწავებს, სულის ბუნებაა, ბუნება მარადი ჭოძრაობისა, სრბოლისა, ღვიძილისა, თავისუფლებისა, რამეთუ სული, ხორციელ და მიწიერ სამწყვრევში გამომწყვდეული: „ვერ უძლებს ღამის ნაპრალებს“, „ტყვეა იდუმალ ძალის“, სულს, მარადისობას თუ არ მიელტვის, — „ნისლიანი ქაოსი ფარავს“, მხოლოდ თავისუფალ სულს ძალუძს ფერიცვალება: „მოვა სინაზის ლურჯი დამლევი და შენი სული მზეზე ფერს იცვლის“, თავისუფალ სულს ძალუძს ტანჯვისაგან თავის დაღწევა და ბედნიერების, ღვთაებრივი სიხარულის დაუფლება: „სადღაც ელავს ლამპარი ჩემი თეთრი სულივით“. მხოლოდ თავისუფალი სულის მიტაცება ძალუძს ქარიშხალს — „მოვარდა ქარი და სული მიჰყავს“, — თვითყოფიერების სიმარტოვეში რომ ჩაიძიროს და მოიხილოს ზეყოფიერი სამყაროები, დაეუფლოს ღვთაებრივ საიდუმლოს. ვის ძალუძს სულის გათავისუფლება?!.. ვინც საკუთარი ხელებით ამსხვრევს ხორციელობის ნიჟარას და ისეთივე სპეტაკი ეცხადება ღმერთს, როგორი სპეტაკიც ამქვეყნად მოავლინა. ძალუძს ღმერთის მარადიულ უსასრულობაში გადახვეწა და გაუკვდავება... „რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან პოვოს იგი...“

წმინდაო ღმერთო!.. აჰა, ამობრწყინდა მზე და გაასხივოსნა ქვეყნიერება, გაასხივოსნა სული ჩემი, ზეციდან უხილავი ზარების რეკვა ჩაესმის და რაღაც ღვთაებრივი სიხარული მეღვრება სულში. „წმინდაო ღმერთო! ისევ ზარია, ღმერთო! სადა ხარ, მე შენ დაგეძებ. დღეს ჩემი მზერა მგლოვიარეა და ჩემი სული უსპეტაკესი“, განსაწმენდელი ყოველნაირი ბიწისაგან, თავდახსნილი ხორციელობის ტყვეობისაგან და გთხოვ, მიიღო იგი შენს წიაღში.

„წმინდაო ღმერთო! მე დიდხანს გელოდი“,გელოდი, რამეთუ — „მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხოვრებაჲ“... მთელი ცხოვრება შენ გეძებდი და შენ მოგელტვოდი, რომ დამეხსნა სული ჩემი განსაცდელისაგან. განა ყოველი არსება. შენგან შობილი. ღვთაებრიობას არ მიელტვის?!. თვით უნაზესი და უმშვენიერესი ყვავილის მიზანიც ხომ, ცისა და მზისკენ რომ მიიწევს, ღვთაებრიობის დაუფლებაა?!. პეპელაც ხომ ღვთაებრიობისაკენ მიილტვის, თითქო უაზროდ და უმიზნოდ რომ დაფარფატებს და გვახარებს თავისი ჰაეროვნებით?! ისინი წამიერად ცოცხლობენ ამქვეყნად და არაფერი უწყიან შენი (ვინ იცის, იქნებ უწყიან კიდეც!). რაღაც იდუმალ ძალას მორჩილებენ და სწორედ ეს იდუმალი ძალა ხარ შენ, ყოვლადძლიერო და ყოვლადსახიერო!.. სწორედ ეს იდუმალი ძალა მიღვიძებდა მიწიერებიდან გასვლისა და ზეციურობასთან ზიარების სურვილს, ეს ძალა შთამაგონებდა სულის უკვდავების რწმენას, ეს ძალა მასულდგმულებდა გაჭირვების ჟამსაც: „ჩემი ცხოვრება უცნაური ქრება ცრემლებით, არავინ არ მყავს, არსაიდან შველას არ ველი. ო, ჩემს გარშემო მკვლელებია და გამცემლები, უფალი იყოს ამ ქალაქში ჩემი მფარველი!..“ და განა ყველა ის, ვინც შენს მფარველობას მიელტვის. მწირი და ღატაკი არ არის, ხოლო ვინც მწირი და ღატაკია. ჭეშმარიტებას არ მსახურობს, ხოლო ვინც ჭეშმარიტებას მსახურებს. მისი სული დახსნილი არ არის ყოველნაირი უბედურებისაგან?! რაც უფრო ცხოვლად მოგელტვოდი, მით უფრო უხილავი, დაფარული და იდუმალი ჩანდი, უფრო ღრმად ვიძირებოდი მისტიურ პირველარსში, მოახლების ჟინი უფრო მიცხოველდებოდა და უფრო მეტი დამაბრმავებელი სინათლით ბრწყინავდი ჩემს სულში. ქვეყნის ერთი კიდიდან მეორე კიდემდე რომ დაჰკროდა. ციურ სივრცეთა გაუღწეველ გამჭვირვალობას აწყდებოდა, რომ გაეღწია გასაღწეველში და წმინდა უსაზღვროებას დაუფლებოდა. მე ყოველთვის მწამდა სიტყვები, ჩემმა დიდმა წინამორბედმა რომ ბრძანა: „ღმერთი მაწამებს მე!..“ შენ ხომ წყარო ხარ სიბრძნისა. სიკეთისა, სამართლიანობისა, შენ თავად ხარ უზენაესი სიბრძნე, სიკეთე, სამართლიანობა, შენ სიყვარული ხარ და ამიტომ დაგეძებდი, საუკუნეში გადაკარგულს და დავიწყებულს. შენ „მოგკლეს“. ამოგშანთეს ჩვენი გულებიდან, მაგრამ ისევ ჩვენ ვართ დამნაშავენი; ისტერიულად გაჰყვიროდა ნიცშე; „ის ჩვენ

მოვკალით!..“ მაგრამ შენ არასოდეს მიგიტოვებია შენი სამწყსო, რამეთუ — „მე ვარ მწყემსი კეთილი...“ ამიტომ გეძებდი და გელოდი, გელოდი რომ აღმედგინა უზენაესთან ადამიანის გაწყვეტილი კავშირი. და აჰა, გამომეცხადე კიდეც: „ფიქრები უფრო მალია ქარზე და სინანული ასე გვიანი. და წერტილივით შორეულ მთაზე გამოჩნდა ერთი ადამიანი...“ ეს შენ ხარ, შენს ჯვარცმულ ძეში გაცხადებული. სახიერი და ცხადქმნილი, ცად ამაღლებული. შორეული სივრცეებიდან რომ მიხმობს ახლა: „იყო სიჩუმე, სამი წერტილი, მას შემდეგ ბევრი ხანი გავიდა. ახლა შორს ელავს ცა მოწმენდილი და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან...“

წმინდაო ღმერთო!.. ქრისტეს ნაწამები სახე ჩემს სულში ყაყაჩოსავით ანთია, კვირის წირვები ნუგეშად და რწმენად გამოცხადებული. დღესაც კვირაა. წმინდა კვირა. კვირა ხომ რწმენისა და უქმობის დღეა, ქრისტეს აღდგომისა და გაღმერთების დღეა. უზენაესი სასწაულის დღეა, ლოცვისა და ვედრების, მონანიებისა და იდუმალი მისტერიის დღეა: „მოდის აღდგომა... ემზადებიან დღესასწაულისათვის. საყდრებში ქრისტეს სურათს კოცნიან... მეც სხვებივით ხელში მიკავია ანთებული სანთელი და თითოეული სინათლის შუქი ანათებს ჩემს მოღლილ სახეს!..“ „ხვალ თენდება აღდგომა, ახლა თორმეტი საათია და ქალაქში უკვე ახმაურდნენ ზარები, მე მთელი ღამე არ მძინავს, ტანზე არ გამიხდია და დიდი სიხარულით ვეგებები აღდგომას... ამაღამ განათდება ყველა ეკლესიები, დაიწვება ბევრი სანთელი. ხვალ თენდება აღდგომა და მე უძილოდ ვეგებები ამ ძვირფას დღესასწაულს...“ ქრისტე ხომ ძალაა, ვინც დამიფარა და დამიხსნა ამქვეყნიური განსაცდელისაგან, მარადიული სიჩუმის ქვეყანაშიც ის წამიძღვება, ღვთაებრივი მზერით რომ გამითბოს განაწამები სული და უმაღლეს სიმშვიდეს აზიაროს: „ჩემო ზოზია, მე წავალ მალე, არარაობა გამაბნევს ქარში. ამ ნათურების ცოფიან თვალებს ჩემი სანთლები შეცვლიან მაშინ. ჩემო ზოზია, მე წავალ მალე, დედის აჩრდილი მიმელის გზაში. ამ ნათურების ცოფიან თვალებს. ქრისტეს თვალები შეცვლიან მაშინ...“, ქრისტეს გზა ხომ ზეციერობის გზაა, სულიერი ტანჯვისა და თვითშეწირვის, გაღმერთების გზაა, რომელ გზასაც არა მხოლოდ ვეძებდი და ვმორჩილებდი, არამედ მიველტვოდი კიდეც, ღვთაებრივში რომ განვზავებულიყავი და ქრისტესმიერ კაცად მეგრძნო თავი, მეც რომ მისი

დიდი ტანჯვის მცირე ჯვარისმტვირთველი ვყოფილიყავი: „ეს ტირილი და კვნესა ჩემსკენ წამოვა ისევ. მე შენთან მოვალ დღესაც, როგორც მწუხარე ქრისტე“, „მე ვგავარ უთუოდ ქრისტეს“, „ეს იყო დარდი, სულის დაღალვა და სისხლიანი ბედი ქრისტესი“, „შავი ფიქრები გროვდება ისევ, დგება წამების თეთრი საათი. მიწა არ მინდა და როგორც ქრისტე, მე ვემზადები გაფრენისათვის...“ სიცოცხლე სიზმარია, და მე უკვე გამოვფხიზლდი მიწიერი სიზმრებისაგან, ამ მისტერიული ნათელხილვის წამებაში მოვიწევ შენსკენ, შენი უხილავი სიცხადე რომ ვიხილო, რომ ვიხილო ქრისტე — ჩემი შორეული და მარადიული მგზავრობის მეგზური: „წამი აღმაფრენის და ფიქრი ნაჩვევი. ღმერთო! გამაფრინე და ქრისტე მაჩვენე. ხელს მაღლა აგიშვერს ცოდვა ადამისა. ღმერთო! გამაგიჟე და შენვე დამიცავ. ნეტავ ზღვის ძახილზე გრიგალს გავეტაცე. ღმერთო! გამაღვიძე მე სხვა პლანეტაზე. მიმაჭვს პანაშვიდი, ვარ ღია ბაღისებრ. ღმერთო! დამამშვიდე და ძილი მაღირსე!..“ და აი, ახლაც, რაღაც უზენაესი სიხარულის წამებში, ყველა სატანჯველისაგან რომ განთავისუფლებულა სული ჩემი, — სიკვდილის საზღვართან მდგარს, ვით მგლოვიარე სერაფიმი, ვით გედი, თავის უკანასკნელ სიმღერას რომ მღერის — „სნეული სახე სიკვდილის წინ ვარ, სიკვდილის წინ ვარ მე, როგორც გედი“. — „ვგრძნობ ვიღუპები და მიხარია“, მიხარია, რადგანაც ვიხილე ქრისტე — „გამოჩნდა ქრისტე და ყვავილებით ანგელოზები ჩემსკენ მოდიან“, მიხარია, რადგანაც სიკვდილის წინ ქრისტესავით მეც წმინდა ცრემლი მდის, თოვლის სპეტაკი ფანტელივით რომ დნება ახლა შენს მშობლიურ და უკაცრიელ წიაღში: „ეს ნარცისები ისევ მე მინდა, დაო, ძლიერო და უწმინდესო! და სასიკვდილო თეთრი ცრემლიდან მე ვიხედები, როგორც იესო!..“

წმინდაო ღმერთო!.. მე მოვკვდი ღამით, გათენებისას, ათ ოქტომბერს, ათასცხრაას ოცდათოთხმეტს. სიკვდილის წინ მომაგონდა თბილისის ღამეები და ჩემი უნაზესი და: ეს ორი შეერთებული კოცონი, რომელიც მწვავდა მე ყოველთვის. გათავდა სინათლე, გაქრა მოგონების წამები. გადავეცი სიკვდილის მდუმარე ხელებს. ჩემი წამებული სხეული შეუერთდა მსოფლიო ელემენტებს. და მე ვიგრძენი უმაღლესი მოსვენება. ჩემი კუბო იყო სა-

და და პროცესია უცრემლო. მე დამასაფლავეს შუადღის ორ საათზე, თბილისის ახლო. ჩემი დაკრძალვის დღეს აიშალნენ ფერადი ღრუბლები და ამოვარდა შორეული გრიგალი. ბალდახინი, რომლითაც წაიღეს ჩემი ცხედარი, იყო თეთრი და მოძველებული. პანაშვიდი გადამიხადა უბრალო მღვდელმა, რომელსაც არ ჰქონდა წაკითხული ჩემი სისხლიანი წიგნი „Memento mori...“ არ შევცოდებივარ მღვდელს, რომელმაც არ იცოდა ჩემი დაფერფლილი სულის ისტორია. მხოლოდ ცხედართან მდგომ პოეტებს მოაგონდათ ჩემი დანისლული ლექსებიდან სტრიქონები... პანაშვიდი გათავდა ქარში. ჩემი ცხედარი ნელა ჩაუშვეს სამარეში. და პირველი მიწა სახეზე მომაყარა ვიღაც უხეშმა მესაფლავემ. კუბოს ფიცარზე შეწყდა უკანასკნელი გუგუნი მიწის და ქვების. პროცესია დაიშალა. მე და სიჩუმე დავრჩით მარტო... თეთრად შეისუდრა მთელი ქვეყანა... გავიდა ზამთარი წვიმით და ქარებით. დადგა გაზაფხულის დღეები. შეიფოთლა სასაფლაო... ჩემ საფლავთან მოდიან და იგონებენ ჩემს დამწვარ სახეს, იგონებენ ჩემს წამებას და ვეცოდებით. ასე გადიან წლები, საუკუნეები. ჩემს საფლავს დანათის მზე შორეულ რიცხვის. ჩემ მიერ უხილავ საღამოს ბინდმა დაფარა მივიწყებული ლოდები და ჩემი საფლავიც შეიმოსა სიბნელით. მოდის წვიმა, ქარიშხალი, და ჩემს მოწყენილ საფლავზე აყრის ყვითელ ფოთლებს. ასე, დროთა შავი წვეთებით დახავსდა ჩემი სამარე, ზედ წამოიზარდა ბალახი... მოდის კვირადღე და ჩემს ახლო რეკავენ ზარებს, ანთებენ სანთლებს. იღლებიან ხელაპყრობილი მლოცველები. წირვა თავდება. საყდარს კეტავენ, ხატები დამწყვდეული ტუსაღებივით რჩებიან შიგ. სასაფლაოს ჩხავილით დაფრენს ყვავი. გაქრა თვალები, რომელზედაც ესვენა თბილისის ღამეები მძიმე ლოდებივით. და ჩემი სამარის სამუდამო დარაჯი გახდა ჩემი უნაზესი და — სიჩუმე.

Алимонаки Лери Александрович

ВОСКРЕСНЫЕ СЛУЖБЫ

(На грузинском языке)

Детюниздат Грузинской ССР

«Накадули», Тбилиси, 1988

ს. ბ. № 1919

რედაქტორი ნ. ლორთქიფანიძე
მხატვარი დ. გოიგოლია
მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური რედაქტორი ლ. ქვარცხავა
კონტრ.-კორექტორი ლ. სულთანიშვილი
კორექტორი მ. სიმონიშვილი, მ. შველიძე
გამომშვები გ. ჩიღუნაძე

გადაეცა ასაწყობად 14.07.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.01.88. ქაღალდის ზომა 60×84 1/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირ. ნაბეჭდი თაბახი 14,41. საბ. ქაღალდი № 1. პირ. საღებავგატარება 14,65. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 12,72. ტირაჟი 20.000 შეკვ. № 2187

ფასი 1 მან.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი,
მშვიდობის გამზ. № 28.

Издательство «Накадули», Тбилиси Пр. Мира № 28

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ., 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы 7.